

მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული თარგმანი

(ტექსტის ისტორიისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები)

ანა ხარანაული, თამარ მაგრაქველიძე, ლალი ვაშაყმაძე, თინათინ ჯიქურაშვილი,

მარიამ თხინვალები, ნინო გიორგაძე

*კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით [FR-21-3104] / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia
(SRNSFG) [FR-21-3104].*

ნაწილი მეორე
თარგმანის ენა და ხასიათი

სარჩევი

მცირე წინასწარმეტყველთა თარგმანის ენა და სტილი	9
სოფონიას წინასწარმეტყველების თარგმანის ტექნიკა - ლექსიკა და მხატვრული სახეები	10
ლექსიკა	11
ჰაპაქსლეგომენონები და იშვიათად ხმარებული სიტყვები	12
ხშირად ხმარებული სიტყვები	16
ერთი ძირის სიტყვები	26
სემანტიკური გაფართოების შემთხვევები	26
გაორმაგებული ძირის გადმოტანა	27
ნასესხობა	28
ფრაზეოლოგია	29
მხატვრული სახეები	32
ანგიას წინასწარმეტყველების თარგმანის სტილი.....	37
მიმღობის გადმოტანა	37
მსაზღვრელ-საზღვრული.....	40
ებრაიზმები	42
ლექსიკა	46
მიქეას წინასწარმეტყველების ენა ბერძნული უპირო კონსტრუქციების გადმოტანის მაგალითზე	51
I.1. ბერძნული უშემასმენლო წინადადებები	51
I.2. ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქციები (F. BLASS / A. DEBRUNNER 1961: § 388, 389, 390, 391, 392, 393, 394)	57
I.2.1. ბერძნული მიზნის ინფინიტივი და მისი გადმოტანის გზები ქართულში	58
I.2.1. ა) ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქცია ქართულში გადმოდის ინფინიტივითა და დამატებებით	59
I.2.1. ბ) ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქცია ქართულში გადმოდის რაფთა კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადებით	63
I.2.1. გ) ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქცია ქართულში გადმოდის ზმნის პირიანი ფორმის შემცველი მარტივი წინადადებით	65
I.3. მიმღობური კონსტრუქციები (F. BLASS / A. DEBRUNNER 1961: §411. 412, 414. 415, 416, 417).....	66
I.3.1. მიმღობური კონსტრუქციების გადმოტანა ქართულში	66
I.3.1. ა) ბერძნული პარტიციპიუმი გადმოსულია მიმღობით:	67
I.3.1. ბ) ბერძნული პარტიციპიუმი ქართულში გადმოსულია ჰიპოტაქსური წინადადებით:	69
პირდაპირი ნათქვამის წინ დასმული λεγαν პარტიციპიუმი	75
დასკვნა.....	76
მცირე წინასწარმეტყველთა მხატვრული ენა.....	81
I. ძირის ფორმალური თუ სემანტიკური განმეორებით შექმნილი ზმნური შესიტყვებები (ეტიმოლოგიური ფიგურები)	81

Status quaestionis	81
I. ერთი და იმავე ან სინონიმური ძირის მქონე პირიანი ზმნისა და პარტიციპიუმის შესიტყვება	91
სახელური ნაწილი პრეპოზიციაშია	95
სახელური ნაწილი პოსტპოზიციაშია:	97
შეჯამება	100
II. ერთი და იმავე ან სინონიმური ძირის მქონე სახელისა და პირიანი ზმნის შესიტყვება	101
II.1 ერთი ან სინონიმური ძირის მქონე პირიანი ზმნისა და (ἐν+) დატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება	102
II.1.1. ეტიმოლოგიური ფიგურა	104
სახელური ნაწილი პრეპოზიციაშია:	104
სახელური ნაწილი პოსტპოზიციაშია:	104
II. 1.2. დატივუსი რეალური მნიშვნელობით	107
შეჯამება	109
II. 2. ერთი ან სინონიმური ძირების მქონე პირიანი ზმნისა და აკუსატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება	109
II.2.2. აკუსატივუსი – შინაგანი ობიექტი თუ პირდაპირი ობიექტი?	114
შეჯამება	125
II.3. ერთი ძირის მქონე პირიანი ზმნისა და ნომინატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება	126
III. ერთი ძირის მქონე პირიანი ზმნისა და εἰς წინდებულიან აკუსატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება	127
დასკვნა.....	128

II. სათარგმნი ტექსტის იდიომა და ძველი აღთქმის ქართველი მთარგმნელის პოლიტიკა τῖθημι/დადება-თი და λαμβάνω/ალება-თი შედგენილი ფრაზების ქართული ეკვივალენტების მაგალითზე*..... 130

I. τῖθημι.....	136
1. τῖθημι, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნა წინადადებაში	136
შეჯამება	138
2. τῖθημι ფრაზეოლოგიურ ებრაიზმებში	139
2.1. τῖθημι-თი შედგენილი სინტაგმები: τῖθημι თანდებულიან და უთანდებულო acc-თან.....	139
2.2. τῖθημι-თა და καθίστα-თი შედგენილი იდიომატური გამოთქმები	151
II. λαμβάνω	156
1. λαμβάνω, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნა წინადადებაში	156
2. λαμβάνω ფრაზეოლოგიურ ებრაიზმებში	159
2.1. λαμβάνω-თი შედგენილი სინტაგმები	159
2.2. λαμβάνω და ψαχή-თი შედგენილი იდიომატური გამოთქმები.....	162
2.3. λαμβάνω τὸ πρόσωπον	165
დასკვნა.....	172

III. მხატვრულ-რიტორიკული ხერხები - განმეორებები..... 173

ეფფონიური განმეორება	178
გემინაცია	185
სიტყვების თამაში	187
ერთი ძირის შემცველი ზმნური შესიტყვებები (ეტიმოლოგიური ფიგურები)	188

ეპანასტროფე.....	192
ანაფორა.....	193
მეტაბოლუε μεταβολή,.....	195
ეპანალუპსე	197
ეპიფორა	199
პლოკე	200
ეპანასტროფე ქართულში	201
ეპანასტროფე და პლოკე.....	201
პლოკე და სიტყვების თამაში	202
შეჯამება	203
წინადადებების გამეორებები ერთმანეთის მომდევნოდ.....	205
რეფრენი	206
მეტაბოლუე ქართულში.....	207
სიტყვის, შესიტყვების, ფრაზის გამეორება პარალელურ პერიოდებში.....	208
ფრაზა-ფორმულები	208
დასკვნა.....	218

IV. ებრაული ׀ და მისი ბერძნული და ქართული შესატყვისები - καί და 'და' მცირე

წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში..... 219

'და' წინადადების ერთგვარი წევრებისა და თანწყობილი წინადადებების მაერთებლად	222
'და' დიდი შინაარსობლივი მონაკვეთების დამაკავშირებლად.....	223
'და' ზმნურ შესიტყვებებში.....	224
მაპირისპირებელი 'და'.....	226
მოულოდნელობა, გაკვირვება.....	229
'და' მიმართებითი ნაცვალსახელის სანაცვლოდ.....	232
თანამიმდევრობის 'და'.....	233
აპოდოტური 'და'.....	237
აპოდოტური 'და' დროის დამოკიდებულ წინადადებასთან.....	243
'და'-ს ხმარების კერძო შემთხვევები.....	245
'და' ფორმულებში	245
გამადლიერებელი/დამაზუსტებელი 'და'.....	246
დასკვნა.....	247

წინდებულთა გადმოტანის საშუალებები მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ

თარგმანებში..... 249

I. ძველი ბერძნული წინდებულები.....	249
ἀντί	250
ἀπό.....	255
κατά.....	267
μετά და σύν.....	277
παρά	287
πλήν.....	295
ὕπὸ.....	298
ἐν	303

II. ნახევარწინდებულები.....	308
ნახევარწინდებულები სეკტუაგინტაში.....	308
ნახევარწინდებულები მცირე წინასწარმეტყველებში	309
კომპოზიტიური ნახევარწინდებულები	310
ἐνώπιον	310
ἐπάνω.....	315
ἐπέκεινα	317
ὑπεράνω	318
ὑποκάτω.....	319
ἐναντίον	321
ἀπέναντι	323
κατέναντι	325
დასკვნა.....	327
ნახევარწინდებულები შექმნილი შესიტყვებით.....	327
წინდებული+ μέσος	328
წინდებული+ὀφθαλμῶν.....	337
წინდებული+πρόσωπον	339
წინდებული+χειρὶς.....	349
III. ძველი ბერძული ზმნისწინები	357
ἀνά.....	358
ἀντί	363
ἀπό	364
διὰ.....	368
κατά.....	372
περί.....	375
ὑπό.....	376
დასკვნა.....	377
ძირითადი დასკვნები	378
ბიბლიოგრაფია:	380

მცირე წინასწარმეტყველთა თარგმანის ენა და სტილი

ქრისტიანობამ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ახალი სააზროვნო სისტემა და ახალი ცნებები შემოიტანა, რომელიც გამოსახვის ახალი საშუალებებით – ახალი ლექსიკით, იდიომებითა და ფრაზეოლოგიით, უცნობი მხატვრული სახეებით, განსხვავებული გრამატიკული კონსტრუქციებით იყო გამოხატული. წმინდა წერილის თარგმნა მთარგმნელებს პირველ რიგში სწორედ ამ სიახლეების გადმოტანის სირთულის პირისპირ აყენებს. მათი დაძლევა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: იმაზე, თუ რამდენად აცნობიერებს მთარგმნელი მის წინაშე მდგარ პრობლემებს, რამდენად შეუძლია მას სუბიექტურად ამ სირთულების დაძლევა და რამდენად აძლევს ენა თარგმანის სასურველი ტექნიკის გამოყენების საშუალებას.

დღეს, როდესაც ჩვენ ბიბლიის თარგმანებს დიაქრონიაში ვახასიათებთ, ე.ი. როდესაც ერთმანეთს ვადარებთ ბიბლიის პირველმთარგმნელებისა და შემდგომი ეტაპის მთარგმნელების ნამუშავეს, გვეჩვენება, რომ ადრეული თარგმანები გაცილებით თავისუფალი ხასიათისაა, რომ პირველი მთარგმნელები უფრო საკუთარ ენაზე არიან ორიენტირებულნი და მათი ენა უფრო ბუნებრივი ქართულით არის შესრულებული, ვიდრე გვიანდელი, XI-XIII საუკუნეებში შექმნილი თარგმანები. მაგრამ, ამგვარი დასკვნა თარგმანების ჩვენი, გვიანდელი გადმოსახედიდან შეფასების შედეგია. სინამდვილეში, როგორც ყველა სხვა მოვლენას, თარგმანის აქტსაც, მის ხასიათსაც, თარგმნის თანადროული პერსპექტივიდან უნდა შევხედოთ. რა ვიცით იმის შესახებ, თუ როგორი იყო თარგმანის ენა, ქართული ენა, რომელზეც მთარგმნელი მეტყველებდა და წერდა? რამდენად აძლევდა იგი მთარგმნელს სათარგმნი ტექსტის ენის მახასიათებლების ადეკვატური ასახვის საშუალებას? რამდენად უწევდა პირველი ქართველი მთარგმნელი ანგარიშს საკუთარი ენის ბუნებას ანდა – რამდენად ღალატობდა თავის ენას იმისათვის, რომ უფრო ზედმიწევნით გადმოეტანა სათარგმნი ტექსტის სემანტიკაცა და ფორმაც?

იმდენად, რამდენადაც ჩვენამდე არ მოღწეულა ქრისტიანობამდელი ქართული მწერლობის ნიმუშები და რამდენადაც პირველი წერილობითი ძეგლები თავად წმინდა წერილი და მის შემდეგ დაწერილი ქრისტიანული შინაარსის თხზულებებია, ჩვენთვის ძნელია მსჯელობა ქართული ენის ხასიათის, მისი მხატვრული სტილისტიკის შესახებ. ამიტომაც თარგმანისა და სათარგმნი ტექსტის ურთიერთშედარება სხვა ყველაფერთან ერთად, თარგმანის ენის – ქრისტიანობამდელი ქართული ენის დახასიათების საშუალებასაც მოგვცემს.

თამარ მაგრაქველიძე

სოფონიას წინასწარმეტყველების თარგმანის ტექნიკა - ლექსიკა და მხატვრული სახეები

არავინ დავობს იმ ფაქტზე, რომ თარგმანი რთული ფენომენია, მაგრამ ეს სირთულე რამდენადმე დიფერენცირდება. სირთულე, რომელსაც წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმანებში ვხვდებით, არის სახეების გადმოტანა, რომელიც წინასწარმეტყველს წარმოუდგება თვალწინ. მეტად რთული საქმეა იდიომატიკის გადმოტანაც, რადგან იგი გაჩენილია ენაში, იმ ენის მატარებელი ხალხის ყოფიერებიდან გამომდინარე. მე ვსაუბრობ ებრაულ ფრაზეოლოგიაზე, რომელიც ელინებმა სიტყვასიტყვით ასახეს თავიანთ თარგმანებში და ასევე მოიქცნენ ქართველი მთარგმნელებიც. არ მორიდებიან რთული კონცეპტების გადმოტანას, მიუხედავად აზრის ბუნდოვანებისა. რატომ? ერთი იმიტომ რომ ეს არ არის ნარატივი, ეს არის ესქატოლოგიის სფეროდან ცნებების სიუცხოვე, მეორე მხრივ კი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წმინდა წერილის თარგმნაზე ვსაუბრობთ. იგი ღვთის სიტყვაა და ყველა ენაზე ერთნაირად უნდა გამოითქმოდეს.

ბიბლიის ენას ერთდროულად ახასიათებს სიმძიმე, მოუქნელობა, ერთგვაროვნება და უბრალოება, სიღრმე, სიზუსტე. სეპტუაგინტას ენას განიხილავენ არამხოლოდ, როგორც ლინგვისტურ ერთეულს, არამედ, როგორც აზროვნების ფორმასა და გამომსახველობით სტილს. სწორედ ამის გამო ბიბლიის ენა ძველი სამყაროსა და მწერლობისათვის რევოლუციის მომასწავებელი იყო. სეპტუაგინტა სრულიად უცხო და გაუგებარი იყო მისი თანადროული სამყაროს უდიდესი ნაწილისათვის, მაგრამ ვინც განკაცებული ლოგოსი ირწმუნა მისთვის ყოველივე გასაგები იყო. ქრისტიანობის სწრაფი გავრცელება და ის რომ წმინდა წერილს ენობრივი სწორება არ განუცდია არც ბერძნულად და არც თარგმანებში მიუთითებს იმას, რომ გასაგები იყო მისი ყველა მკითხველისა თუ მსმენელისათვის.

ქართული ბიბლიის ენის შესწავლა რთულია, რადგან მის ყველაზე სიტყვასიტყვით თარგმანებზე, გელათურზე ამბობენ, რომ მათ ყოველივე ქართული დაკარგული აქვთ. დოკუმენტურად ვერც უარყოფთ და ვერც დავადასტურებთ თარგმანის ენის სიახლოვეს მის

თანამედროვე სამწერლობო და სალაპარაკო ენასთან. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, რომ ისინი მთლიანად გამსჭვალულნი არიან ბიბლიური სახეებით, სააზროვნო ფორმაც და ენობრივი კონსტრუქციაც ერთი აქვთ. საილუსტრაციოდ „შუმანიკის წამების“ ტექსტიც კმარა.

წმინდა წერილის ენას აქვს უნიკალური თვისება ყოველგვარი რაციონალური განსჯის გარეშე მისწვდეს მორწმუნეთა გულებს, აღძრას მათში სულიერი განცდა. მორწმუნე ადამიანი გუმანით ხვდება რაზეა საუბარი, მაგრამ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა არ ესმის.

ლექსიკა

სოფონია წინასწარმეტყველის ქართული თარგმანების ბერძნულთან სიტყვასიტყვით შედარებისას გამოჩნდა საინტერესო ლექსიკა. ქვემოთ განხილულია სემანტიკური ველი ხშირად, ნაკლები სიხშირით და იშვიათად ხმარებული სიტყვებისა. ყველა აქ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია შევავასოთ ქართული ენის იმ დროინდელი შესაძლებლობა ლექსიკური გამომსახველობის კუთხით, როცა ეს თარგმანები განხორციელდა. ასევე შეგვიძლია ნათლად დავინახოთ მთარგმნელის ინდივიდუალიზმი, რაც მისი იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს. შესაძლოა დავადგინოთ წარმომავლობაც. მოვიხმოთ პარალელურ ადგილებს ბიბლიის სხვა წიგნებიდან, უმთავრესად მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს სოფონიას წინასწარმეტყველების ტექსტის თარგმანის სპეციფიკა. წინამდებარე მაგალთებიდან იკვეთება, რომ რიგ შემთხვევაში ერთ ბერძნულ სიტყვას რამდენიმე ქართული ეკვივალენტი შეესატყვისება, ზოგჯერ კი პირიქითაა, რამდენიმე ბერძნული სიტყვა ქართულად ერთი სიტყვით ითარგმნება. გვაქვს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებისა და დავიწროების შემთხვევები, ასევე ეტიმოლოგიური თარგმანის ნიმუშებიც.

ჰაპაქსლეგომენონები და იშვიათად ხმარებული სიტყვები

მაშ, შევუდგეთ სოფონიას წინასწარმეტყველების ტექსტის ლექსიკური თავისებურებების განხილვას. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჰაპაქსლეგომენონები, ანუ სიტყვები, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ ტექსტში გვხვდება და სხვაგან არსად ბიბლიაში. ასეთია, ბერძნული სიტყვა *φασίστρια*, რომელიც მხოლოდ სოფონიას წინასწარმეტყველების ტექსტშია გამოყენებული ზედსართავი სახელის ფორმით, ქართულიც ცდილობს შესატყვისის მოძებნას და გვთავაზობს *განქარვებული OJ/ხენეშა GSB* ფორმებს. ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა გაუგებარია. ვერც კონტექსტით იხსნება. **Zep. 2,15** ესე არს იგი ქალაქი *განქარვებული*, (+და O) დამკვდრებული სასოებით, რომელი (რომელი) რ O იტყოდა გულსა თვისსა: მე ვარ და (არღავინ J) არღარავინ არს ჩემსა შემდგომად. OJ ესე ქალაქი *ხენეშა*, დამკვდრებული სასოებით მეტყუწლ (მეტყლი SB) შორის გულისა თვისსა: მე ვარ და არა იყოს ჩემ თანა მერმე. GSB

φασίστρια - showing contempt (Mur) showing contempt, contemptuous (Lust); she that despises (Liddell Scott).

Zep.2:15 *ἀπτή ἡ πόλις ἡ φασίστρια* ესე არს იგი ქალაქი *განქარვებული OJ*; ესე ქალაქი *ხენეშა GSB*.

იმავე ძირით ნაწარმოები სიტყვები ქართულში რამდენიმე შესატყვისით გადმოდის *φασίσμα-წარწყმედა, გარდაქცევა, სიცრუე, განქარვება, საქიქელობა, სიხენეშენი, შეურაცხება*. ამ სიტყვათა მნიშვნელობები კონტექსტით ჩანს აბუჩად აგდება, უპატივცემულოდ მოქცევა, ყურად არ ღება.

φασίσμα- manifestation of contemptuous attitude (Mur) contemptible act (Lust) disparagement, contempt (Liddell Scott)

Zep 3:11 *περιελάν από σοῦ τὰ φασίσματα* მოგისპო შენ (სიცრუე J) *სიცრუე OJ*; მოგძარცუნე შენგან *სიხენეშენი GSB*.

Isa 37:22 *ὁ θεός ἐφάσισέν σε* ესე არს სიტყუა, რომელსა იტყოდა ღმერთისათვის: *განგაქარვო შენ OJ*.

Isa 28:11 διὰ φαλισμὸν χειλέων διὰ γλώσσης ἑτέρας ὅτι λαλήσουσιν τῷ λαῷ τοῦτω განქარვებითა ბაგეთადთა, ენითა სხვთა ეტყოდინ ერსა [ა]მას O].

Isa 51:7 τῷ φαλισμῷ αὐτῶν μὴ ἤττασθε შეურაცხებასა მათსა ნუ მოუძღვრდებით O].

Hos 7:16 ὁ φαλισμὸς αὐτῶν ἐν γῆ Αἰγύπτῳ ესე არს განქარვებულეზა მათი ქუეყანასა ეგვიპტისასა O; ესე საქიქელობა მათი ქუეყანასა შინა ეგვიპტისასა GSB.

Gen25:34 ἐφάσπισεν Ησαυ τὰ πρωτοτόκια წარწყმდნა ესავ პირმშოებანი CB; და განაქარვა ესავ პირმშოება თვისი O; განაქარვა ესავ პირმშოება თვისი AKS.

Num 15:31 ὅτι τὸ ῥῆμα κυρίου ἐφάσπισεν რამეთუ სიტყუა უფლისა გარდააქცია SLZ; რამეთუ სიტყუა უფლისა გარდააქცია AK რამეთუ სიტყუა უფლისა შეურაცხ-ყო B რამეთუ სიტყუა უფლისა განწყუნა G

მთარგმნელი სხვადასხვანაირად იქცევა უცხო ლექსიკის გადმოტანის დროს. ზოგჯერ თარგმნის ზუსტად, ზოგჯერ ქმნის ნეოლოგიზმს. მაგ. სიტყვა *χάμαιλέων- ქამელეონი* ორჯერაა ნახსენები ბიბლიაში. **Zep 2:14, Lev11:30** ეს სიტყვა ბერძნულში წარმოადგენს ებრაულის კალკს. შედგება ორი ნაწილისაგან: *χαμά-მიწა* და *λέων-ლომი*. ქართულის შემთხვევაში, გელათურ თარგმანში კომპოზიტის ორივე ნაწილია გადმოტანილი „*მიწის-ლომნი*.“ ომკურ-იერუსალიმურში კი ნათარგმნია, როგორც „*მსუნ-ლომნი*“. ამ თარგმანის მიხედვით შეუძლებელია ზუსტი წარმოდგენის შექმნა რა ცხოველზეა საუბარი.

χάμαιλέων, ὄντος ὁ- Хамелеон, chameleon: ceremonially unclean,(Mur) chameleon (Lust)(Liddle Scot)

Zep 2:14 *χάμαιλέοντες καὶ ἐχῖνοι ἐν τοῖς φατνώμασιν αὐτῆς κοιτασθήσονται მსუნ-ლომნი* და გრძდაზნი სართულთა მისთა დაადგრენ. O] *მიწის-ლომნი* და ექინნი ბავოვნებისა შორის მისისა დაწვენ. GSB

Lev 11:30 *μυγαλῆ καὶ χάμαιλέων καὶ καλαβῶτης καὶ σάβρα καὶ ἀσπάλαξ* და თაგუ-ქურცინი და მსუნ-ლომი და მხულივი და მსუნნი და მთხუნველი. OAKSB ვრცინი და თაგვ და მსუნ-ლომი და მხულივი და მსუნნი და მთხუნველი. G

შემდეგი იშვიათად ხმარებული სიტყვა ბიბლიაში არის **φάρναμα**, რომელიც ქართულში სხვადასხვა შესატყვისით გადმოდის **სართული** და **ბაგოვნება**. ამ ფორმით **τοῖς φαρνάμασι** მხოლოდ სოფონიას წინასწარმეტყველების ტექსტშია დაფიქსირებული. ცალკე აღებულს ამ სიტყვას გაურკვეველი მნიშვნელობა აქვს, რადგან წარმოადგენს ქამელეონთა და ზღარბთა სამყოფელს. გამოდინარე იქიდან, რომ ქართველი მთარგმნელისთვის უცხოა ეს ცხოველები, უცხო ცნებაა მათი სამყოფელიც. უცხოობა განაპირობებს არაერთგვაროვან თარგმანს. შევძრინე, რომ ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნების ქართულ თარგმანებში გამოყენებულ „**სართულ**“ სიტყვას რამდენიმე ბერძნული სიტყვა შეესაბამება. აი, მაგ. **κίβωτος- οἷ** - **სართულეზად** CB,AS chest, coffer (Lust) enclosed container as depository usually for valuable objects: (Mur) (**Gen 6:16**) **κοιλοστάθμοις- საფარდულედსა** Geo^o ; **სართულედსა** Geo^{JPLL} ; 1. panelled, provided with a coffered ceiling (Mur.) ; 2. With coffered ceiling, paneled (LSJ) ; with curved or hollow supports (Lust). (**Hagg. 1.14**) **στέγη,- ἡς -სართული** CB,AS covering, roof (Lust) flat, protective structure over above (Mur) (**Gen 8.13.**) **σκέπ-η, ἡ- სართულსა** CB,O, AS, covering, shelter, protection (Liddell Scot) (**Gen 19:8**) **τὸ αἴθριον –οἷ- უსართულო** OJ **ურთავსა** GsW the main hall (Mur) inner court giving light to the adjacent rooms (Lust) (**Eze 40:14 47:1**) **φάρναμα, ατος, τό,** 1.ceiling, 2.coffer in ceiling-habitation of chameleons and hedgehogs(Mur) coffered ceiling (Lust) coffered work in a ceiling (Liddell Scott)

Zep. 2.14 **τοῖς φαρνάμασι-სართულთა** OJ **ბაგოვნებისა** შორისGSB

Amos 8:3 **καὶ ὁλοσῆξει τὰ φαρνάματα** თიშ ნაოშ და ღაღადებენ **სართულნი** ტაძრისანი OJ 8,3 და ვალალებდენ **სართულნი** ტაძრისანი GSB

Ezek 41:20 **ἐκ τοῦ ἐδάφους ἕως τοῦ φαρνάματος** τὰ χερουβιν καὶ οἱ φοίνικες διαγεγλυμμένοι იატაკითგან ვიდრე **სართულადმდე** ქერობინები და დანაკისკუდები გამოქანდაკებულ. OJ*იატაკითგან ვიდრე* **მოზაგულამდე** ქერუვიმნი და ფინიკნი წახნაგებულნი. GsW

ორადორჯერაა ბიბლიაში გამოყენებული სიტყვა **ἐπιφυλλ-იც** ამ ფორმით (**Zep3:7, Jud 8:2**), რომელსაც ქართულ თარგმანებში სხვადასხვა შესატყვისი აქვს. მაგალითებიდან ჩანს, მთარგმნელთა მიერ მრავალგზის ცდა ამ სიტყვისთვის ეკვივალენტის მისადაგებისა. ილ.

აბულადის ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მარცული“¹. საბას განმარტებით, „კუფხალი ეწოდების ტევნის(ა) ნამჭრევსა უდიდესსა“²

ἐπιφύλλ-ის, ἰδος, ἦ, small grapes left for gleaners (Liddell-Scott) small grapes left for gleaners: εν τρυγετω and || καλαμη (Mur) gleaning (Lust)

Zep 3:7 διέφθαρται πάντα ἡ ἐπιφύλλις ἀπ᾽ αὐτῶν რამეთუ განრყუნილ არს საყურძენი მათი. OJ განხრწნილ არს ყოველი მოკუფხლავა მათი. GSB

Mic 7:1 ὡς ἐπιφύλλιδά ἐν τρυγήτῳ ვითარცა კუფხალსა სთულეზასა შინა OJ ვითარცა კუფხალი ნასთულეზასა შორის SB

Oba 1:5 οὐκ ἂν ὑπέλιποντο ἐπιφύλλιδά არამცა დაუტევეს სამყნელი მკვრტი OJ არამცა დაუტევესა მოსაკუფხლავი GSB

Isa 24:13 ὃν τρόπον ἔάν τις καλαμῆσῃται ἐλαίαν οὕτως καλαμῆσονται ἀπὸ τούτων ვითარცა-იგი ვინ მოკუფხლავნ ზეთისხილსა, ეგრეთ მოკუფხლენნ იგინი OJ

Jud 8:2 ἡ οὐχὶ κρεῖσσον ἐπιφύλλις Εφραϊμ ანუ არა უმჯობეს არს საკუფხლებელი ეგე ეფრემისი BDS ანუ არა უმჯობესობს ნაფურცლისზედაები ეფრემისი G

გამოჩენის მნიშვნელობით გადმოდის ქართულში ბერძნული სიტყვა ἐπιφαίνω- გამოვაჩინებ, გამოვაცხადებ, გამოვხატავ **выставлять напоказ, показывать, обнаруживать; pass. показываться, (по)являться (дворецк.) appear, make an appearance, show oneself** (Liddell Scott) 1. to make appearance; 2. to cause to make appearance; (Mur) A: to show forth, to display; to shine upon [intrans.] to appear (Lust) რომელიც აღნიშნავს, როგორც პირდაპირი მნიშვნელობით გამოჩენას ისე წარჩინებულსა და გამოჩინებულს. ეს, უკანასკნელნი ფორმით წარმოადგენენ გაარსებითეზულ მიმღეობას. ἐπιφαίνω შედგება ორი ნაწილისაგან ἐπι ზმნისწინისა და φαίνω ზმნისგან. ომკურ-იერუსალიმური თარგმანი გადმოსცემს ორივე სეგმენტს, გელათი კი თავისუფალ თარგმანს გვთავაზობს. სიტყაფორმა ἐπιφανήσεται არის სოფონიას წინასწარმეტყველების ჰაპსაქსი.

¹ ილ. აბულადე ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მეცნიერება 1973, გვ. 206
² <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=42357>

Zep2:11 ἐπιφανήσεται κύριος ἐπ’ αὐτοὺς **გამოჩნდეს** უფალი მათ ზედა O|საჩინო-იქმნეს მათ ზედა უფალი GSB

ἐπιφανής- *საჩინო, განჩინებული, დიდებული.* (по)являющийся, (по)явившийся (дворецк.) 1. remarkable, notable, distinguished 2. Renowned 3. visually manifest (Mur) notable, distinguished, famous ; manifest, evident (Lust) *splendid, glorious* (Liddell Scott)

Zep 3:1 ὧ ἢ ἐπιφανής ἢ წარჩინებული O| ეჰა საჩინო GSB შდრ. **Hab 1:7**

Joel 2:11 ἐπιφανής σφόδρα გამოჩინებულ ფრიად O|მჩენ ფრიად GSB

ხშირად ხმარებული სიტყვები

ბიბლიაში ხშირად ხმარებული სიტყვაა, **ἀφαισμός, -σῆ, ὅ** уничтожение, истребление, похищение, убыль, ущерб (дворецк.) ruin, destruction, annihilation (Mur) extermination, destruction (Lust), რომელიც ქართულში ნათარგმნია, როგორც *განრყუნა* O|/ *უჩინო-ქმნა* GSB. ბერძნული სიტყვა იმთავითვე უარყოფითი შინაარსის მატარებელია, რასაც მას **ἀ** უარყოფის ნაწილაკი სძენს. ქართული თარგმანის გელათურ ვერსიაში ნაცადია ამ ასპექტის გადმოტანა უ-ო უქონლობის მაწარმოებელი კონფიქსით, ასევე **φαι** ძირის გადმოტანაც. აქ აღნიშნული სიტყვა გვევლინება **ἐπιφανής საჩინო**-ს ანტონიმად. ოშკურ-იერუსალიმი კი სიტყვის მნიშვნელობის გაზრდას გვთავაზობს. კონტექსტიდან ვხვდებით, რომ ეს სიტყვები განადგურების, მოსპობის, არა კეთილის ქმნის სიმბოლიკის მატარებელია.

Zep.1.13 ἔσται.....οἱ οἴκοι αὐτῶν εἰς ἀφαισμόν იყოს.....სახლნი მათნი **განსარყუნელად** O **განსარყუნელ** J იყოს....სახლნი მათნი - **უჩინო-საქმნელად** GSB

Zep. 1.15 ἡμέρα ἀσπίας καὶ ἀφαισμοῦ დღე უბადრუკებისა და **განრყუნილებისა** O **განრყუნისა** J დღე საარებისა და **უჩინო-ქმნისა** GSB

Zep. 2:9 ἡφαισμένη εἰς τὸν αἰῶνα **განირყუნეს** უკუნისამდე. O| **უჩინო-ქმნილი** საუკუნოდ. GSB

Zep. 2:4 Γὰρ διηρασμένη ἔσται καὶ Ἀσκαλὼν ἔσται εἰς ἀφαισμόν **გაზაა** მიმოსატაცებელ იყოს და ასკალონი - **განსარყუნელ** O| **ლაზაა** დატაცებული იყოს და ასკალონი - **უჩინო-საქმნელად** GSB

Zep. 3:6 ἐν διαφθορᾷ κατέσπασα ὑπερηφάνους ἠφάνισθησαν γασία ἀπάν ..განირყუნნეს (განირყუნნეს J) საკიდურნი მათნი (მისნი O,) OJ განირყუნნეს საკერპონი მათნი LS უჩინო-იქმნენ (უჩინო-იქმნენ SB) ყურენი მათნი. GSB

Zep. 3:6 ἐν διαφθορᾷ κατέσπασα ὑπερηφάνους განრყუნნილებასა შინა დავამკუნე ამპარტავანნი OJ უსამართლოებათა დავამკუნე ამპარტავანნი GSB

ბიბლიურ წიგნებში ხშირად ხმარებული სიტყვაა **θλίψις**, რომელსაც ქართულ თარგმანებში **ჭირი, ურვა, მწუხარება** შეესაბამება. ხშირ შემთხვევაში გამოიყენება დღის ან დროის (ჟამის) მსაზღვრელად და ქმნის სინტაგმას **ჭირის დღე/ჭირის ჟამი**, რაც თავის მხრივ არის ებრაისტული ფრაზა და მიანიშნებს უფლის მეორედ მოსვლაზე.

θλίψις ,-ეად **ჭირი, ურვა, მწუხარება** (კვირიკაშვილი) **давление: уступить давлению; гнёт, притеснение, му́ка, скорбь (дворецк.)** 1. oppressive, distressful circumstance 2. forced reduction (Mur). **oppression, affliction, anguish, distress (Lust). *ppression, affliction, tribulation* (Liddell Scott)**

Zep1:15 ἐκεῖνη ἡμέρα **θλίψεად დღე ჭირისა** OJ **დღე იგი, ჭირისა** GSB **შდრ. Hab3:16; Oba1:14;**

Zep1:17 καὶ ἐκθλίψα τοὺς ἀνθρώπους და **ვაჭირო** კაცთა OJ და **ვაჭიროვ** კაცთა GSB

Nah1:7 ἐν ἡμέρᾳ **θλίψεად** ჟამსა **ჭირისასა** OJ; **დღესა ჭირისასა** GSB

Nah2:2 ἔξαιρούμενος ἐκ **θλίψεად** განრინებად **ჭირისაგან**. OJ **განმარინებელი ჭირისაგან**. GSB

წინასწარმეტყველთა წიგნებში **θλίψις** სინონიმად გვხვდება **ἀνάγκη (Jer 9:14, 15:4 GW)**, რომლის პირველადი მნიშვნელობა არის საჭიროობა, უცილობლობა. ქართული ბიბლიის ოშკურ-იერუსალიმურ რედაქციაში **ἀνάγκη**-ს შეესაბამება **ურვა**, ხოლო გელათური ჯგუფს გადმოაქვს, როგორც **ჭირი/სალმობა**.

ἀνάγκη, -ης - **იძულება, საჭიროობა, ჭირი, დაჭირვება, ურვა, უცილობლობა, თანაწარუვალობა და უღონობა, თანა-დება, უნებელობა, უეჭველობა, განგება, წესი, ღვაწლი.** (კვირიკა) **необходимость, неизбежность (дворецк.), plight with little scope for manoeuvring (Mur), necessity; destiny; compulsion, pressure; tribulation, punishment; distress (Lust) 1. *Necessity, compulsion, pressure* 2. *distress, calamity* (Liddell Scott)**

Zep. 1:15 ἡμέρα θλίψεως καὶ ἀνάγκης დღ ჭირისა და ურვისაჲ OJ დღე ჭირისა და სალმობისა GSB.

Jer 9:14 ἴδου ἐγὼ ψαμῖν ἀπτοῦς ἀνάγκας აჰა ესერა მე ვაჭამო მათ ურვაჲ OJ აჰა მე ვაჭამნე მათ ჭირნი GW.

Jer 15:4 καὶ παραδώσω ἀπτοῦς εἰς ἀνάγκας და მივსცნე იგინი ურვასა OJ და განვსცე ეგენი ჭირთა მიმართ GW.

მურაოკას ლექსიკონში მითითებულია, რომ **ἀνάγκη-ს** სინონიმად იხმარება **ἄρα**, რაც ქართულ თარგმანში არ დასტურდება.

ἄρα- несвоевременность (дворецк.) night; midnight; darkness (Lust), 1. hard time, distressful plight 2. midnight, the dead of night (Mur) a wrong time, at an unseasonable time (Liddell Scott)

Zep1:15 ἡμέρα ἄρας დღ უბადრუკებისა OJ დღე საარებისა GSB

Isaiah 59:9 ἐν ἄρα περιεπάτησαν უჟამოსა შინა ვიდოდეს OJ

წინამდებარე მაგალითი ეტიმოლოგიური თარგმანის ნიმუშს წარმოადგენს. ბერძნული **εὐφραίνω** ქართული ბიბლიის ომკურ-იერუსალიმურ თარგმანში გადმოტანილია **სიხარულის** მნიშვნელობით, გელათურში კი **შვებად** გადმოდის. საბას განმარტებით³ **სიხარული** „ესე არს ყოვლის ჭმუნვისაგან თავისუფლება“ და **შვება** არის „**ნებიერყოფა**.“ ამ ორ სიტყვას შორის, როგორც ვხედავთ არის მცირე სემანტიკური განსხვავება. ომურ-იერუსალიმურის მთარგმნელი მის პირველად მნიშვნელობას, სიხარულს, მხიარულებას, განცხრომას ირჩევს. სოფონიას წინასწარმეტყველების ქართულ თარგმანში სიხარულის მნიშვნელობით იხმარება ასევე **χαίρω**. სოფ.3.14. χαίρε გიხაროდენ OJ GEO^L LK LS **იხარებდ** GSB

εὐφραίνω- ვახარებ, მხიარულ ვყოფ, განვაცხრობ, შვებულ ვყოფ, განვადლებ, радовать, веселить (дворецк.) gladden, cheer, be glad, enjoy oneself, rejoice, be merry (Liddell Scott) I. act. to gladden, cheer: II. pass, to rejoice, be glad (Mur) to cheer, to gladden, to enjoy oneself, to rejoice (Lust)

³ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=40598>

Zep 3:14 εὐφραίνου ἰσχυροὶ OJ ἰσχυροὶ GSB

Joe 2:21 εὐφραίνου ἰσχυροὶ-ἰσχυροὶ OJ ἰσχυροὶ GSB

Hos 9:1 μὴδὲ εὐφραίνου καθὼς ἔφυγε γὰρ ἡσυχία O ἰσχυροὶ SB

Zec 2:14 εὐφραίνου ἰσχυροὶ Σιων ἰσχυροὶ ἰσχυροὶ OJ ἰσχυροὶ GSB

ღვთის მოშიშების აღმნიშვნელია ტერმინი **εὐλαβέομαι**, რომელიც ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში, მათ შორის სოფონიას ტექსტის თარგმანშიც უფლის მოშიშების მნიშვნელობითაა გადმოტანილი.

εὐλαβέομαι - მოშიშ ვარ, შევშინდები, შევიშინებ, შევძრწუნდები. *остерегаться, беречься, заботиться, оберегать себя, подстерегать, выжидать, окружать уважением, почитать, чтить (дворецк.)* 1. to treat with reverent regard and awe 2. not to venture (to do), to refrain from (doing) out of a sense of awe: + inf 3. to act cautiously not to do sth 4. to feel anxious and fearful (Mur) to be afraid 1 Sm 18,15; to be cautious that, to be afraid that [μὴ +subj.] 1 Mc 12,40; to be afraid that to beware of, to dread; to reverence, to pay honour to, to fear (Lust) *be afraid, be concerned take care and reverence, respect* are also possible (Skot)

Zep 1:7 εὐλαβείσθε ἀπὸ προσώπου κυρίου τοῦ θεοῦ **გეშინოდენ** პირისაგან უფლისა ღმრთისა OJ; **შეშინდით** პირისაგან უფლისა ღმრთისა GSB

Zep 3:12 εὐλαβηθήσονται ἀπὸ τοῦ ὀνόματος κυρίου **ეშინოდის** სახელისათვის უფლისა OJ; **მკრძალობდენ** სახელისაგან უფლისა GSB

Hab 2:20 εὐλαβείσθε ἀπὸ προσώπου αὐτοῦ **ეშინოდენ** პირისა მისისაგან OJ; SB და **შეკდემულ** იქმენინ პირისაგან მისისა

Mal 3:16 τοῖς φοβουμένοις τὸν κύριον καὶ **εὐλαβουμένοις** τὸ ὄνομα αὐτοῦ **მოშიშთათვის** უფლისათა და რომელნი **ჰმსახურებენ** სახელსა OJ უფლისასა». **მოშიშთა** უფლისათა და **მკრძალავთა** სახელისა მისისათა. SB

კონტექსტებიდან ჩანს, რომ **ἐλαβείμαι** ნიშნავს არა პირდაპირი მნიშვნელობით შიშს, არამედ მოშიშებას, კრძალულებას ღმერთის მიმართ.

არ *შინების* და *მინდობის* მნიშვნელობით ითარგმნება ქართულად ბერძნული **θαρσέω**. ლექსიკონებში მოცემულია, რომ ორივე მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ სიტყვას, თუმცა ძნელია დაადგინო, რომელია პირველადი მნიშვნელობა და რომელი მეორეული. წინასწარმეტყველთა წიგნებში (**Zep 3:16**, **Joel 2:21**, **Bar 4:30**, **Hag 2:5**, **Zech 8:13**) უფალი მოუწოდებს სიონს, იერუსალიმს, ქვეყანას, რომ ნუ *შეეშინდებათ/მინდობილ იყვნენ*. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ოშკურ-იერუსალიმური თარგმანი ამ სიტყვას პირველადი მნიშვნელობით გადმოსცემდეს, გელათური კი უზრდიდეს სემანტიკურ ველს.

θαρσέω- быть смелым, отважным, отваживаться, дерзать быть уверенным, твёрдо верить, доверять(ся), смело полагаться, (дворецк.) to be of good cheer, not be afraid, to be trusting (Mur) to be courageous, to be bold, to be confident about (Lust) to be of good courage (Liddell Scott)

Zep 3:16 **θάρσει** Σιων ნუ გეშინინ, სიონ OJ მინდობილ-იყავ, სიონ GSB

Joel 2:21 **θάρσει** γῆ ნუ გეშინინ, ქუეყანაო OJ შენდობილ იყავ, ქუეყანაო GSB

Bar 4:30 **θάρσει** Ἱερουσαλὴμ ნუ გეშინინ, იერუსალემ OJ მინდობილობდ GaSB

Gen 35:17 **θάρσει** ნუ გეშინინ O ნუ გეშინინ AKS მინდობილ იყავ CB

Hag 2:5 **θαρσεῖτε** ნუ გეშინინ თქუენ OJ ნუ გეშინინ თქუენ SB

Zech 8:13 **θαρσεῖτε** ნუ გეშინინ OJ მინდობილ-იყვენით GSB

ბიბლიაში ძალიან ხშირად ხმარებული სიტყვაა **ἐκδικέω**- ქართული შესატყვისით *შურს ვიძიებ, შურს-ვიგებ, გამოვიძიებ*, карать, мстить (дворецк.) 1. to requite, take action in response to a punishable deed or injustice, often, w. God taking or instigating such action, The following constructions are attested, 2. to vindicate sbd by taking up his cause. (Mur) to exact vengeance for (Lust) შედგება ორი სემენტისაგან **ἐκ** out of, forth from (**Liddell Scott**) ზმნისწინისაგან და **δικη** *სმართალი, ჩვეულება*, custom, usage (liddell scott) обычай, уклад, право, справедливость, законность(дворецк.)

Zep 1:12 και ἐκδικήσω ἐπὶ τοὺς ἄνδρας **შური ვიდიო** კაცთაჲ მათ **OJ შურ-ვიგო** მამაკაცთა ზედა **GSB** შდრ. **Zep 1:8; Zep 1:9; Hos 2:15; Hos 4:9; Am 3:14; Isa 57:16; Jer 15:3; Ezek16:38**

Joel 4:21 και ἐκδικήσω τὸ αἷμα αὐτῶν **გამოვიდიო** სისხლი მათი **OJ გამოვიდიო** სისხლი მათი **GSB**

Ezek 20:4 εἰ ἐκδικήσω αὐτοὺς ἐκδικήσει უკუეთუ არა **შურისგებით შური ვიდიო** **OJ** უკუეთუ უსაჯო მათ **შჯაჲ** **GsW**

Hos 1:4 ἐκδικήσω τὸ αἷμα **შური-ვიდიო** სისხლისა **O** **შური-ვიდიო** **SB** შდრ. **Amos 3:2; Jer 23:34; Jer 25:12; Ezek7: 7; Ezek 7:27**

ἄδικος - несправедливый, неправильно поступающий, обиды, насилия; неправедный, неправый, нечестный, незаконный, плохой, негодный. (дворецк.) act contravening law, wrongdoing, iniquity: (Mur) of persons, wrongdoing, unrighteous, unjust (Liddel Scott)

Zep 3:5 ὁ δὲ κύριος **δίκαιος** ἐν μέσῳ αὐτῆς και οὐ μὴ ποιήσῃ **ἄδικον** **პრავი პრავი** δώσει **κρίμα** αὐτοῖς εἰς φῶς και οὐκ ἀπεκρύβῃ και οὐκ ἔγνω **ἀδικίαν** ἐν ἀπαιτήσει και οὐκ εἰς νεῖκος **ἀδικίαν** ხოლო უფალი მართალი...არა ყოს სიცრუე. განთიად მოსცეს **სამართალი** მისი ნათლად და არა დაეფაროს და არა ცნა **სიცრუე** შემთხუევასა და არა ძლევად ყო **სუცრუე** **J** ხოლო უფალი მართალი...არა ყოს **უსამართლო**...მოსცეს **მშჯავრი**არა ცნა **უსამართლოება** მიკდასა შინა. **GSB**

Zep. 1.3 ἐξαρῶ τοὺς [ανομους] ἀπὸ προσώπου τῆς γῆς აღვიხუნე **უმჯულონი** პირისაგან ქუეყანისა **OJ** აღვიხუნამ **უმჯულოთა** პირისაგან ქუეყანისა **GSB**

Isa 9:16 και πᾶν στόμα λαλεῖ **ἄδικα** და ყოველი პირი იტყვს **სიცრუესა**. **OJ**

Isa 29:21 και ἐπλαγίασαν ἐν **ἀδίκους** **δίκαιον** და გუერდქცეულ-ყვეს **უსამართლოთა** მიერ **მართალი** **OJ**

Isa 32:7 ἡ γὰρ βουλή τῶν πονηρῶν ἄνομα βουλεύσεται καταφθεῖραι ταπεινούς ἐν λόγοις **ἀδίκους** και διασκεδάσαι λόγους ταπεινῶν ἐν **κρίσει** რამეთუ ზრახვად უკეთურთაჲ **უმჯულოებასა** ზრახავს განკრწნად მდაბალთა სიტყვთა **ცრუითა** და განქარვებად სიტყუასა მდაბალტასა დასაშჯელად.

Jer 5:31 οἱ προφηταὶ προφητεύουσιν **ἄδικα** წინაწარმეტყუელნი წინაწარმეტყუელებდეს **ცრუსა** OJ წინადაწარმეტყუელნი წინადაწარმეტყუელებენ **უმართლოთა** GSB

Ezek 21:8 ἐξελθὲς ἐκ τοῦ **ἄδικου** καὶ **ἀνομοῦ** მოვსრა შენგან ყოველი **ცრუ** და უშჯულო **J** მოვსრა შენ[G]გან ყოველი **ცრუ** და უშჯულო

ἄ-νομος- უშჯულო беззаконный, противозаконный, нечестивый, преступный (дворецк.)
unlawful, in breach of law (Mur.) evil, wicked (Lust)

Isa 29:20 ἐξέλιπεν **ἀνομος** მოაკლდა უშჯულო OJ

Isa 48:8 **ἀνομος** ἔτι ἐκ κοιλίας κληθήσῃ უშჯულო მიერვე დედის მუცლით გეწოდის შენ OJ

Isa 55:7 ἀνήρ **ἀνομος** τὰς βουλάς αὐτοῦ კაცმან უშჯულომან ზრახვანი თვისნი OJ

Isa 66:3 ὁ δὲ **ἀνομος** ხოლო უშჯულო იგი OJ

Ezek 3:19 καὶ σὺ ἐὰν διαστείλῃ **τῷ ἀνόμῳ** καὶ μὴ ἀποστρέψῃ **ἀπὸ τῆς ἀνομίας** αὐτοῦ καὶ **τῆς ὀδοῦ** αὐτοῦ ὁ **ἀνομος** ἐκεῖνος ἐν **τῇ ἀδικίᾳ** αὐτοῦ ἀποθάνειται καὶ σὺ τὴν ψυχὴν σου ῥύσῃ და შენ უკუეთუ უთხრა უშჯულოსა მას და იგი არა მოიქცეს უშჯულოებისაგან თვისისა და გზისაგან თვისისა ბოროტისა, უშჯულო იგი უშჯულოებითა თვისითა მოკუდეს და შენ სული თვისი განირინო. OJ ხოლო უკუეთუ განამკაცრო უშჯულო და არა მოქცევით მოიქცეს უშჯულოებისაგან მისისა და გზისაგან მისისა, უშჯულო იგი უსამართლოებასა შინა მისსა მოკუდეს და შენ სული შენი განირინო. GsW

Ezek 18:21 καὶ ὁ **ἀνομος** ἐὰν ἀποστρέψῃ ἐκ πᾶσων τῶν **ἀνομιῶν** αὐτοῦ და უშჯულომან მან თუ მოაქციოს ყოველთაგან უშჯულოებათა მისთა OJ და უშჯულომან უკუეთუ მოაქციოს ყოველთაგან უშჯულოებათა მისთა

Ezek 33:8 καὶ μὴ λαλήσῃς τοῖς φυλάξεσθαι τὸν **ἀσεβῆ** ἀπὸ τῆς ὀδοῦ αὐτοῦ αὐτὸς ὁ **ἀνομος** **τῇ ἀνομίᾳ** αὐτοῦ ἀποθάνειται და შენ არა უთხრა უშჯულოსა მას, რადთამცა მოიქცა იგი უშჯულოებისაგან თვისისა; უშჯულო იგი უშჯულოებითა თვისითა მოკუდეს OJ და არ კრძალვა სცე ცოდვილსა დაცვად უთნობად უშჯულო იგი უშჯულოებითა მისითა მოკუდეს GsW

„წასვლა“ ზმნის სემანტიკა ბერძნულში დაკავშირებულია ობიექტ სიტყვასთან, რომელიც გზას ნიშნავს. მისი ზმნური ფორმა დიოდესა- проходить, проезжать (дворецк.) to travel through(Mur) to travel through, to march through, to pass through (Lust) travel through (Liddell Scott) კი სვლის.

Zep 3:6 ἔξερημάσω τὰς ὁδοὺς αὐτῶν მოაკრნა გზანი მათნი ყოვლად OJ მოვაკრენ გზანი მათნი

Isa 59:8 καὶ ὁδὸν εἰρήνης οὐκ οἶδασι καὶ οὐκ ἔστιν κρίσις ἐν ταῖς ὁδοῖς αὐτῶν αἱ γὰρ τρίβοι αὐτῶν διεστραμμένοι ἄρ' ὁδοῦσιν καὶ οὐκ οἶδασι εἰρήνην და გზად მშდობისად არა იციან, არა არს სამართალი გზათა მათთა, რამეთუ ალაგნი დრკუ არიან და არა იციან მშდობად.

OJ

Zep 3:6 τοῦ μὴ διοδεύειν რადთა არა ვიდოდის კაცი OJ რადთურთით არ წარსავლელად GSB

Zech 7:14 κατόπισθεν αὐτῶν ἔκ διοδεύοντος შემდგომად მათსა ზედა-მიმავალთაგან მისთა.

OJ უკუანაგან მათსა არავინ იყოს განმვლელისაგან GSB

Jer 2:6 ἐν γῆ ἐν ἧ ὁ δῶδευσεν ἐν αὐτῇ ὁσθὲν ქუეყანასა, რომელსა არა ასრულ იყო მუნ კაცი

Gen12:6 καὶ δῶδευσεν Αβραμ τὴν γῆν εἰς და განვლო აბრამ ქუეყანა იგი CB და განვლო აბრაამ ქუეყანა იგი AS

Gen 13:17 ἀναστὰς δῶδευσον τὴν γῆν აღდეგ, მოვლე ქუეყანა CB აღდეგ და მოვლე ქუეყანად

O აღდეგ, მოვლე ქუეყანა AS

Dan 8:12 ἐποίησε καὶ εὐαδῶθη ყო და წარემართა. OJ და ქმნა და წარემართა BS

ძალზე საინტერესო სემანტიკის შემცველია სიტყვა ἐρημος- უდაბნო, რაც ქართულ თარგმანებში ზოგჯერ ოკერი შესატყვისით გადმოდის. საბას განმარტებით ოკერია ადგილი, რომელიც გავერანებულია, უშენობოა, უკაცურია. უდაბნოსაც იმავენაირად განმარტავს „იგი არს, სადა არა არს (+ ყოვლადვე C) შენებულობა“

ἐρημος-ოკერი, უდაბნო, пустынный, безлюдный, покинутый, брошенный, одинокое скитание; одиноко живущий (не стаями), лишённый, не имеющий, лишённый друзей, (дворецк.) desolate, lonely, solitary (Liddle Scot) desolate: s land and cities(Mur) desolate; destitute of, without (Lust)

Zephaniah. 2:13 τὴν Νινευη εἰς ἀφαισισμόν ἄσπυρον ἄς **ἔρημος** ნინევეს განსარყუნელად (ურწყულად]- O) ურწყულად, ვითარცა **ოკერი**. OJ დავდვა ნინევი ურწყულად, ვითარცა **უდაბნოდ**. GSB

Hag 1:9 ὃν ὁ οἰκός μου ἐστὶν **ἔρημος** სახლი ჩემი **ოკერ** არს, OJ სახლი ჩემი არს **ოკერ** SB

Isa1:7 ἢ γῆ ἡμῶν **ἔρημος** ქუეყანად თქუენი **ოკერ** არს OJ

Isa 5:9 εἰς **ἔρημον** ἔσονται **ოკრად** გარდაიქვენ OJ

Ezek 5:14 καὶ θήσομαι σε εἰς **ἔρημον** და დავდვა შენ **ოკრად** OJ და დავდვა მე შენ **ოკრად** GsW

Ezek 36:33 κατοικιῶ τὰς πόλεις καὶ οἰκοδομηθήσονται αἱ **ἔρημοι** და დავაშენენ ქალაქნი და აღიმშენენ **ოკერნი**. OJ დავამკვდრენ ქალაქნი და აღემენენ **ოკერნი** GsW

Ezek 5:14 καὶ θήσομαι σε εἰς **ἔρημον** და დავდვა შენ **ოკრად** OJ და დავდვა მე შენ **ოკრად** GsW

Ezek 6:14 εἰς ἔλεθρον ἀπὸ τῆς **ἔρημου** მოსასრველად **უდაბნოდ** OJ მოსასრველად **უდაბნოდ** Sw

Ezek 13:4 ὡς ἀλώπεκες ἐν ταῖς ἐρήμοις ვითარცა მელნი **უდაბნოსა** ზედა OJ ვითარცა მელნი **ნაოკართა** შინა sW

Ezek 19:13 καὶ νῦν πεφύτευκαν αὐτὴν ἐν τῇ ἐρήμῳ და აწ დაჰნერგეს იგი **უდაბნოსა** OJ და აწ დაჰნერგეს იგი **უდაბნოსა** შინა GsW

Ezek 20:10 καὶ ἤγαγον αὐτοὺς εἰς τὴν **ἔρημον** და მოვიყვანენ იგინი **უდაბნოდ** OJ მივიყვანენ იგინი **უდაბნოდ**. GsW

Ezek 20:17 εἰς συντέλειαν ἐν τῇ **ἐρήμῳ** მოვასრულენ იგინი **უდაბნოსა** ზედა OJ არა ვყვენ იგინი მოსასრულელად **უდაბნოს** ზედა. GsW

იმავე ძირის შემცველი ზმნური ფორმა ქართულში მხოლოდ „მოოხრებით“ ითარგმნება, რასაც აქვს გაუდაბურების, განადგურებულის სემანტიკა.

ἔξερημάω- მოოკრება, делать безлюдным, опустелым, погннуть и (тем) пресечь свой род; оставлять, покидать, лишать зубов (дворецк.) to leave destitute: + acc. and without indicating what is wanting (Mur) to soften, to tame, to humanize (Lust) make quite desolate (Liddel-Scot)

Zep 3:6 **ἔξερημάσω** τὰς ὀδοὺς αὐτῶν **მოოკრნა** გზანი მათნი ყოვლად OJ **მოვაოკრენ** გზანი მათნი რადეთრთით არ წარსავლელად GSB

Isa 37:26 ἄνδρες δὲ ἐπέδειξα ἐξερημῶσαι ἔθνη ἐν ὄχουσις καὶ ἐνοικοῦντας ἐν πύλαισι ὄχουσις
ხოლო აწ განვაჩინე მოოჯრებად ნათესავნი ძლიერებათა შენთანი OJ

Isa 1.7. καὶ ἠρήμωται κατεστραμμένη ὑπὸ λαῶν ἀλλοτρίων მოოჯრებულ არს და დაქცეულ
ერისაგან უცხო-თესლთადას;

მიტაცების, დატაცების, გაყოფის, გაჭრის, მოხვეჭის, დანგრევის მნიშვნელობით
გადმოდის ქართულში ზმნა **διαρπάζω**- разрывать, растерзывать, расхищать, подвергать
разграблению, сметать, заметать(дворецк.) to plunder, wronged and plundered (Mur) to spoil, to
plunder (Lust)

Zep 2:9 καὶ οἱ κατάλοιποι λαοῦ μου διαρπῶνται αὐτοῦς და ნეშტნი ერისა ჩემისანი
ალიჭრიდენ მათ OJ და ნეშტნი ერისა ჩემისანი ჰბასრობდენ მას GSB

Zech 14:2 διαρπαγήσονται αἱ οἰκίαι ἀλικιρᾶν(sic) სახლები OJ განიბმარნენ სახლნი SB

Zep 1:13 καὶ ἔσται ἡ δύναμις αὐτῶν εἰς διαρπαγὴν და იყოს ძალი მათი აღსაჭრელ OJ და იყოს
ძალი მათი დასატაცებელად GSB

Zep 2:4 διότι Γάζα διηρπασμένη ἔσται რამეთუ გაზაჲ მიმოსატაცებელ იყოს და OJ მით
რამეთუ ღაზაჲ დატაცებული იყოს GSB

Amos 3:11 διαρπαγήσονται αἱ χῶραι σου მიმოსატაცებელ იყოს სოფლები შენი OJ
დაიტაცნეს სოფლებნი შენნი. SB

Nah 2:10 διηρπαζον τὸ ἀργύριον διηρπαζον τὸ χρυσίον ἀλιტაცებდეს ვეცხლსა და ოქროსა OJ
და იტაცებდეს ვეცხლსა და იტაცებდეს ოქროსა SB

Isa 5:17 καὶ βοσκηθήσονται οἱ διηρπασμένοι და მოვდენ მიმოტაცაბულნი იგი OJ

Isa 42:22 καὶ ἐγένετο ὁ λαὸς πεπρονომευμένος καὶ διηρπασμένος ვითარ იყო ერი იგი
წარტყუნულ და მიმოდატაცებულ OJ

Jer 21:12 ἐξέλεσθε διηρπασμένον ἐκ χειρὸς ἀδικούντος αὐτόν ὅπως განარინით მიტაცებული
ჯელისაგან მავნებელისა მისისა OJ განარინებდით მიხუეჭილსა ჯელისაგან მიმხუეჭელთა
მისთადას

ხშირადხმარებული სიტყვების ანალიზიდან ჩანს, რომ ქართულ თარგმანებში
ეკვივალენტები უმეტეს შემთხვევაში მყარია.

ერთი ძირის სიტყვები

ერთი ძირის სიტყვების ἀπαίδευτος და παιδεία-ს ქართული თარგმანის შემთხვევაში ომკურ-იერუსალიმური თარგმნის სწავლა/უსწავლელობის მნიშვნელობით. გელათი კი წურთაჲ/უწურთელის მნიშვნელობით. ერთი ძირით ნაწარმოები სიტყვების შემთხვევაში ქართულ თარგმანებს შენარჩუნებული აქვთ სიტყვის ძირი.

παιδεία, -ας - воспитание, обучение, образование (дворецк.) 1. education, instruction 2. *body of knowledge to be inculcated*: 3. lesson taught or learned by way of punishment or constructive criticism (Mur) teaching, discipline, instruction, correction; mental culture, learning (result of teaching); education, training; chastisement, (Lust) training, discipline (Liddell Scott)

Zep 3:2 οὐκ ἐδέξατο παιδείαν არცა მიიღო სწავლაჲ OJ არ შეიწყნარა წურთაჲ GSB შდრ. **Zep 3:7; Jer 5:3**

Amos 3:7 ἐὰν μὴ ἀποκαλύψῃ παιδείαν αὐτοῖς უკუეთუ არა გამოუცხადოს სწავლაჲ თვისი OJ არა თუ გამოაცხადოს სწავლაჲ მისი SB შდრ. **Hab 1:12 Jer 17:23**

Jer 2:30 μάρτην ἐπάταξα τὰ τέκνα ἡμῶν παιδείαν οὐκ ἐδέξασθε მოძღურებაჲ თქუენ არა შეიწყნარეთ OJ წურთაჲ არ შეიწყნარეთ GW

ἀπαίδευτος - უსწავლელი, უწვრთელი, невоспитанный, необразованный (дворецк.) uneducated (Mur) uncultivated, foolish, impious (Lust) uneducated (Skot)

Zep 2:1 συδῆθητε τὸ ἔθνος τὸ ἀπαίδευτον შეიკრენით ნათესავი ეგე უსწავლელი OJ თან- შეიკრენით ნათესავი უწურთელი GSB შდრ. **Isa 26:11**

სემანტიკური გაფართოების შემთხვევები

შემდეგი მაგალითებიდან ჩანს ბერძნული სიტყვების ქართული თარგმანისას სემანტიკური გაფართოების შემთხვევები. **καύχημα** ლექსიკონთა მონაცემების მიხედვით ნიშნავს სიამაყეს, ტრაბახს, კვებნას. თარგმანებში კი ვხვდებით დაქადების, მუქარის მნიშვნელობით.

καύχημα -სიქადული, საქადული, საქებელი, ქება, ქებულება, პატივი (კვირიკ.) хвастовство, похвальба (дворецк.) that which makes one proud, object of pride (Mur) glory, honour; pride (Lust) a boast, vaunt (Liddell Scott)

Zep 3:19 θήσομαι αὐτοὺς εἰς **καύχημα** დავსხნე იგინი **სიქადულად** OJ დავსხნე მე იგინი **საქადულად** GSB მსგავსადაა ნათარგმნი Jer. 13.11, Jer. 17.14, Zec. 12.7.. Zep. 3.20.

რაც შეეხება სიტყვას **μεγαλαυχέω** ნათარგმნია ქედმაღლობის, ამპარტავნების მნიშვნელობით.

μεγαλαυχέω- დიდად ვმაღლოვი, хвастаться, чваниться (дворецк.) to brag, boast (Mur) to boast (Lust) boast, brag (Liddell Scott)

Zep 3:11 μὴ προσθῆς τοῦ μεγαλαυχῆσαι არღარა შესძინო (ქედ-მაღლოვად J) მაღლოვად OJ შესძინო დიდ-მოქადულობად GSB

გაორმაგებული ძირის გადმოტანა

ὄλοσυγμός-loud cry of sorrow: of mourners (Mur)ხმაზამვითი სიტყვა, რომელსაც ქართული ბიბლიის თარგმანებში შემდეგი შესატყვისები აქვს **ყივილება, ვალალება, ღალაღება**, ეს უკანასკნელნი ფორმალური თარგმანის ნიმუშადაც შეგვიძლია განვიხილოთ. ბერძნულშიც გაორმაგებული ძირია **ὄλος** და ქართულსაც გაორმაგებული ძირითვე გადმოაქვს **ვალალ, ღალა**.

Zep 1:10 ὄλοσυγμός ἀπὸ τῆς δευτέρας **ყივილება** მეორისაგან OJ **ვალალებისა**(ვალალებისა SB) მეორისაგან GSB

Isa 15:8 ὄλοσυγμός αὐτῆς ἕως τοῦ φρέατος τοῦ Αἰλιμ **ვალალაება** მისი ვიდრე ჯურღმულადმდე ელიმისა OJ

Isa 16:7 οὐχ οὕτως **ὄλοσύξει** Μωαβ ἐν γὰρ τῇ Μωαβίτιδι πάντες **ὄλοσύξουσιν** τοῖς κατοικοῦσιν Δεσεθ μελετήσεις καὶ οὐκ ἐντραπήσῃ **ღალაღებს** მოაბ მოაბელისა მიმართ, ყოველნი **ღალაღებენ** დამკვდრებულთა მათ ზედა კედელსა კეცისასა; OJ

Hos7:14 καὶ οὐκ ἐβήσαν πρὸς με αἱ καρδίαι αὐτῶν ἀλλ' ἦ ἀβύσσος ἐν ταῖς κοίταις αὐτῶν ἐπὶ σίτω καὶ οἶνω κατετέμνοντο ἐπαίδεύθησαν ἐν ἐμοῖς ἀρὰ **ღაღადებდეს** ჩემდამო გულნი მათნი, არამედ **ვაღალებდეს** საწოლთა მათთა ზედა იფქლისათჳს და ღვნისა და იჭრებოდეს, განისწავლნეს ჩემდამო. OJ

Amos 8:3 καὶ ἔλυσται τὰ φαντάσματα τοῦ ναοῦ და **ღაღადებენ** სართულნი ტაძრისანი OJ 8,3 და **ვაღალებდენ** სართულნი ტაძრისანი GSB

ნასესხობა

საინტერესო შემთხვევაა სოფონია წინასწარმეტყველის გელათურ თარგმანში **βορρᾶς** ბერძნული სიტყვის ეკვივალენტად **ბლოარსა** სიტყვის ხმარება. იგივე სიტყვა წინასწარმეტყველთა სხვა წიგნებში ჩრდილოეთის მნიშვნელობით გადმოდის. ლექსიკონში ახსნილია შემდეგნაირად **северо-северо-восточный** , **иногда северный ветер**.(дворецк.) north wind, north (Mur) (Lust) (Liddell Scott). გელათური ბიბლიის გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომად ვერ ჩავთვლით აღნიშნულ სიტყვას. უფრო ზეპირი ნასესხობის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ ვარაუდს ზურგი შეიძლება გაუმაგროს იმ ფაქტმა, რომ დასავლეთ საქართველოში დღესაც ჩრდილოეთის ქარის აღსანიშნად იყენებენ. **ბორიო/ბორია** სიტყვას, ჯავახურშიც ნიავის, სუსტი ქარის აღმნიშვნელად გამოიყენება.

Zep 2:13 καὶ ἐκτενεῖ τὴν χεῖρα αὐτοῦ ἐπὶ **βορρᾶν** და განერთხას კელი მისი **ჩრდილოდ** OJ და განვირთხამ კელსა ჩემსა **ბლოარსა** ზედა GSB

Ezek 21:9 ἀπὸ ἀπηλιώτου ἕως **βορρᾶ** მზის აღმოსავალითგან ვიდრე **ჩრდილოდმდე** J აღმოსავალითგან ვიდრე **ჩრდილომდე** GsW

Amos 8:12 ἀπὸ **βορρᾶ** ἕως ἀνατολῶν περιδραμοῦνται ζητοῦντες τὸν λόγον κυρίου **ჩრდილოდთგან** მზის აღმოსავალადმდე ეძიებდენ სიტყუასა OJ **ჩრდილოთგან** ვიდრე აღმოსავალთამდე მიმორბიოდინ მეძიებელნი სიტყუასა GSB

Zech 2:10 ᾧ ᾧ φεύγετε ἀπὸ γῆς **βορρᾶ** ოფ, ივლტოდეთ ქუეყანისაგან **ჩრდილოდსა**

Isa 14:13 ἐπὶ τὰ ὄρη τὰ ὑψηλὰ τὰ πρὸς βορρᾶν მათათა ზედა მაღალთა ჩრდილოდთ;

ილია აბულამეს ქართული ენის ლექსიკონში⁴ მითითებული აქვს, რომ **ბლოარი/ბლუარი** ნიშნავს **სამხრეთს, სამხრეთის ქარს**. **Jer 13:19** πάλεις αὐτὸν πρὸς νότον ქალაქნი ბლუარით კერძონი დაიწმენეს OJ GW მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ ბერძნულში ქართული **ბლუარის** შესატყვისია **νότος, ὄ, south wind (opp. βορέας)** liddell-scott და არა **βορρᾶς**. ეს არეულობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სიტყვა ქართულში ზეპირი გზითაა შემოსული

ფრაზეოლოგია

„სოფონიას“ ტექსტის ქართულ რედაქციებში მოიპოვება სიტყვასიტყვითი თარგმანის სხვადასხვა ნიმუშები. თვალში საცემია **ებრაიზმები** ენის სხვადასხვა სფეროდან - სინტაქსი, იდიომატიკა, ლექსიკა... ფრაზები რომელთა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა გაუგებარია.

სიტყვასიტყვითაა ნათარგმნი იდიომები , რომლებიც ქართულ თარგმანში ან სრულიად გახსნილია ან ნაწილობრივ. მაგ.:

ხელის განრთხმა

მილიტალური ჟესტია, მეფისთვის დამახასიათებელი.

Zep 1:4 ἐκτενῶ τὴν χεῖρά μου ἐπὶ Ἰουδαίαν განვირთხა ველი ჩემი იუდასა ზედა OJ განვიპყრობ(განვიპყრა SB) ველსა(ველი SB) ჩემსა (ჩემი SB) იუდასა (იუდას SB) ზედა GSB

Zep 2:13 ἐκτενεῖ τὴν χεῖρα αὐτοῦ ἐπὶ βορρᾶν განერთხას ველი მისი ჩრდილოდOJ განვირთხამ ველსა ჩემსა ბლოარსა ზედა GSB

Genesis 14:22 ἐκτενῶ τὴν χεῖρά μου πρὸς τὸν θεὸν τὸν ὑψίστον განვიპყრობ ველსა ჩემსა ღმრთისა მიმართ მაღლისა CB განვიპყრობ ველსა ჩემსა ღმრთისა მიმართ მაღლისა AS

⁴ ილ. აბულამე „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ თბ. მეცნიერება 1973 გვ. 38

Ezekiel 14:13 ἐκτενῶ τὴν χεῖρά μου ἐπ’ αὐτὴν განვირთხა ჯელი ჩემი მის ზედა OJ მივეყო ჯელი ჩემი მის ზედა sW

ებრაული ზმნა ქართულში თარგმნილია როგორც „განვირთხა, განვიპყრობ“ ებრაულში ნიშნავს: „გავჭიმავ“ და „დავხრი, დავაქვეითებ“. ბიბლიაში აღნიშნულ ზმნას (natiti iadi) ყველგან აქვს უარყოფითი დატვირთვა, მიუთითებს უფლის მიერ ყველა იმ ადგილისა და პიროვნების განადგურებაზე, რომელზეც იქნება „დახრილი მისი ხელი“, რომელის ბოროტი საქმეც მიიქცევს ღმერთის ყურადღებას.

მოსპობის, აღმოფხვრის, განადგურების სემანტიკა ქართულ თარგმანებში გადმოტანილია ერთი და იმავე ან მსგავსი შინაარსის სიტყვებით, რომლებიც გადმოიცემა შემდეგი იდიომებით: პარონომაზია ἐκλείψει ἐκλιπέτω -**მოკლებით მოაკლდინ** OJ Zep 1.2

ებრაული (asof asef) გამოხატავს ემფაზს და ხაზს უსვამს, რომ მოვლენა, რომელზეც საუბარია, ნამდვილად მოხდება. ძირს (asaf) ებრაულში აქვს ორი მნიშვნელობა, ძირითადი მნიშვნელობაა: „შეკრება“, „შეგროვება“, ასევე ნიშნავს „წაღებას“. სოფონიასთან asof asef ნიშნავს განადგურებას, რომ ყოველივე „აღიგვება მიწის პირიდან“.

ცეცხლის შურით შეჭმა

ნიშნავს ყველაფრის დაწვას. ცეცხლისგან დაწვის ისტორია სოდომ-გომორის ისტორიას უკავშირდება.

Zep 1:18 ἐν πυρὶ ζήλους αὐτοὺς καταναλωθήσεται πᾶσα ἢ γῆ ცეცხლითა შურისა მისისადათა შეიჭამოს ყოველი ქუეყანა OJ ცეცხლითა შურისა მისისასა აღისპოს ყოველი ქუეყანა GSB

Zep 3:8 BGT ἐν πυρὶ ζήλους μου καταναλωθήσεται πᾶσα ἢ γῆ ცეცხლითა შურისა ჩემისადათა შეიჭამოს ყოველი ქუეყანა OJ ცეცხლითა შურისა ჩემისადათა შეიჭამოს ყოველი ქუეყანა LS ცეცხლისა მიერ შურისა ჩემისადათა განილიოს ყოველი ქუეყანა GSB

Zechariah 9:4 αὕτη ἐν πυρὶ καταναλωθήσεται თავადი იგი ცეცხლითა განილიოს OJ იგი ცეცხლისა მიერ განილიოს. SB

შდრ.

Amos 7:4 ἐκάλεσεν τὴν δίκην ἐν πυρὶ κύριος καὶ κατέφαγε τὴν ἄβυσσον τὴν πολλὴν καὶ κατέφαγεν τὴν μερίδα მოუწოდა ცეცხლითა საშჯელსა უფალმან ღმერთმან. და (382v) შექამნა უფსკრულნი მრავალნი. და შექამა ნაწილი. OJ უწოდა საშჯელსა ცეცხლისა მიერ უფალმან უფალმან. და შექამა უფსკრული მრავალი. და შექამა ნაწილი. GSB

ადგილიდან აღება

ებრაულში ნიშნავს გადასახლებას. ქართულ თარგმანში ეს იდიომი ნაწილობრივ გახსნილია.

Zep 1:4 ἐξαρῶ ἐκ τοῦ τόπου τούτου τὰ ὀνόματα τῆς Βααλ καὶ τὰ ὀνόματα τῶν ἱερέων ადვილო ამის ადგილისაგან სახელები ბაალისა და სახელები მღდელთაჲ OJადვილუნე ადგილისა ამისგან სახელნი ბაალისნი და სახელნი მღდელთანი. GSB

შდრ.

Ezekiel 14:8 ἐξαρῶ αὐτὸν ἐκ μέσου τοῦ λαοῦ μου καὶ ἐπιγνώσεσθε ὅτι ἐγὼ κύριος ადვილო იგი შორის ერისაგან ჩემისა და ჰსცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი. OJ ადვილო იგი საშუალ ერისა ჩემისა და სცნათ, ვითარმედ მე ვარ უფალი. sW

Ezekiel 14:13 ἐξαρῶ ἐξ αὐτῆς ἄνθρωπον καὶ κτήνη ადვილოცო მისგან კაცი და პირუტყვ. OJ ადვილო მისგან კაცი და საცხოვარი. sW

Ezekiel 14:17 ἐξαρῶ ἐξ αὐτῆς ἄνθρωπον καὶ κτῆνος ადვილო მისგან კაცი და საცხოვარი; OJ ადვილო მისგან კაცი და საცხოვარი sW

Obadiah 1:9 ἐξαρθή ἄνθρωπος ἐξ ὄρουσ Ἡσαυ აღვიცოს კაცი მთისა მისგან ესავისა OJ აღვიცოს კაცი მთისაგან ესავისსა GSB

Obadiah 1:10 ἐξαρθήσῃ εἰς τὸν αἰῶνα ადვილოცო უკუნისამდე: OJ ადვილოცო უკუნისამდე. GSB
შემდეგი იდიომი გაუხსნელია ქართულ თარგმანში. ებრაულად იგი ნიშნავს ტყვეობის საპირისპირო პროცესს.

ტყვეს მოქცევა

Zep 3.20 ἐπιστρέφειν με τὴν αἰχμαλωσίαν ὑμῶν ἐνώπιον ὑμῶν **მოვაქციო მე ტყუფ** თქუენი წინაშე თქუენსა ო **ქმოქცევასა ჩემგან ტყუფობისა** თქუფნისასა წინაშე თქუფნსა GSB

Zep 2,7 ἀπέστρεψε τὴν αἰχμαλωσίαν αὐτῶν **მოაქციოს ტყუფ** მათი ოქ **მოაქცია ტყუფობა** მათი GSB

შდრ. Joel 4:1 ὅταν ἐπιστρέψω τὴν αἰχμαλωσίαν Ἰουδα καὶ Ἱερουσαλημ **რაჟამს მოვაქციო ტყუფ** იუდაასი და იერუსალემისაჲ, ო **ოდეს მოვაწიო ტყუეობა** იუდაასი და იერუსალიმისაჲ. GSB

Amos 9:14 καὶ ἐπιστρέψω τὴν αἰχμαλωσίαν λαοῦ μου Ἰσραηλ **და მოვაქციო ტყუფ** ერისა ჩემისა ისრაფლისაჲ ოქ **და მოვაქციო ტყუფობა** ერისა ჩემისა ისრაფლისა GSB

Hosea 6:11 ἐπιστρέφειν με τὴν αἰχμαλωσίαν τοῦ λαοῦ μου **მოქცევასა ჩემსა ტყუესა** ერისა ჩემისასა. ო **მოქცევასა შინა ჩემგან ტყუესა** ერისა ჩემისასა. SB

მხატვრული სახეები

სოფონიას წინასწარმეტყველების ცენტრალური სახეა „დღე უფლისა“, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება აღნიშნულ ტექსტში და არის მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველება. უფრო მეტად ეს არის სიმბოლო მრისხანებით, შურისძიებით უფლის მოსვლისა, ცოდვით დამძიმებული ქვეყნიერების განწმენდისთვის. წინასწარმეტყველი ხაზს უსვამს რომ ეს დღე ახლოა

Zep 1:14 ὅτι ἐγγύς ἡ ἡμέρα κυρίου ἡ μεγάλη ἐγγύς καὶ ταχεῖα **რამეთუ ახლოს არს დღე უფლისაჲ**, მახლობელ და მწრაფლ ფრიად. ოქ

Zep 1:7 διότι ἐγγύς ἡ ἡμέρα τοῦ κυρίου **რამეთუ ახლოს არს დღე უფლისაჲ!** ოქ

გვხვდება იოელის წინასწარმეტყველებაში

Joel 1:15 ὅτι ἐγγὺς ἡμέρα κυρίου ρამეთუ ახლოს არს დღჳ უფლისაჲ. OJ

Joel 2:1 διότι πάρεστιν ἡμέρα κυρίου ὅτι ἐγγὺς ρამეთუ მოწევნულ არს დღჳ იგი უფლისაჲ, ρამეთუ ახლოს არს. OJ

წინასწარმეტყველებების ტექსტებში, უმთავრესად კი სოფონია წინასწარმეტყველთან დახასიათებულია უფლის დღე, თუ როგორია ის. ამ დღეს აქვს ხმა, რომელიც არის **მწარღ** და **ფიცხელი**.

Zep 1:14 φωνὴ ἡμέρας κυρίου πικρὰ καὶ σκληρὰ τέτακται δυσατὴ **ჰმაჲ დღისა მის უფლისაჲ** - მწარღ (მწარე J) და ფიცხელი (ფიცხელ J), დაწესებულ არს ძლიერი.

Joel 2,11 καὶ κύριος δώσει φωνὴν αὐτοῦ πρὸ προσώπου δυνάμεως αὐτοῦ და **უფალმან მოსცეს** **ჰმაჲ** თჳსი წინაშე პირსა ძლიერებისა მისისა

წინამდებარე მუხლებში ჩამოთვლილია როგორი იქნება დღე უფლისა.

Zep. 1:15 ἡμέρα ὀργῆς ἢ ἡμέρα ἐκείνη ἡμέρα θλίψεως καὶ ἀνάγκης ἡμέρα ἀρίας καὶ ἀφανισμοῦ ἡμέρα σκοτόυς καὶ γνόφου ἡμέρα νεφέλης καὶ ὀμίχλης დღჳ რისხვისაჲ დღჳ იგი, დღჳ ჭირისა და ურვისაჲ, დღჳ უბადრუკებისაჲ და განრყუნილებისაჲ (განრყუნისაჲ J) , დღჳ წყუდიადისა და ბნელისაჲ, დღჳ ღრუბლისა (ღრუბლისაჲ J) და ნისლისაჲ. OJ დღე რისხვისა დღე იგი, ჭირისა და სალმობისა, დღე საარებისა და უჩინო-ქმნისა, დღე აღმურისა და ბნელისა, დღე ღრუბლისა და ნისლისა. GSB

Zep. 2:2 ὀργὴν κυρίου ἡμέραν θυμαῖν κυρίου რისხვისა უფლისაჲსადღისა მის რისხვისა გულისწყრომისა (უფლისაჲ J) უფლისაჲსა. OJ

Zep. 2:3 σκεπασθῆτε ἐν ἡμέρᾳ ὀργῆς κυρίου]დაიფარნეთ **დღესა მას რისხვისა უფლისაჲსა**. OJ

დღე, როდესაც ღმერთი რაღაც კონკრეტულს მოიმოქმედებს (1:9, 10, 12)

Zep. 1:9 καὶ ἐδικήσω ἐπὶ πάνταςἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ შური ვიძიῶ ყოველთა ზედა ... მას დღესა შინა OJ

Zep. 1:10 καὶ ἔσται ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ λέγει κύριος **φωνὴ κραυγῆς** ἀπὸ πύλης ἀποκεντούντων καὶ ὀλοσυγμὸς ἀπὸ τῆς δευτέρας καὶ συντριμμὸς μέγας ἀπὸ τῶν βουνῶν **და იყოს მას დღესა შინა** - იტყვს უფალი - **ჰმაღ ღაღადებისა** ბჭეთაგან განგუმერილთადას (განგუმერილრადასა O) და ყოვილება მერისაგან და შემუსრვა დიდი ბორცუთაგან. OJ

Zep 1:12. καὶ ἔσται ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ ἐξερευνήσω τὴν Ἱερουσαλημ μετὰ λύχνου καὶ ἐκδικήσω ἐπὶ τοὺς ἄνδρας τοὺς καταφρονοῦντας ἐπὶ τὰ φυλάγματα αὐτῶν οἱ λέγοντες ἐν ταῖς καρδίαις αὐτῶν οὐ μὴ ἀγαθοποιήσῃ κύριος οὐδ' οὐ μὴ κακώσῃ **და იყოს მას დღესა შინა (დღესა O შინა]შიდა J)** გამოვიხილო იერუსალჴმი სანთლითა და შური ვიძიო კაცთა მათ, რომელთა შეურაცხ-უყოფიან საცონი მათნი, რომელნი იტყვან გულთა შინა მათთა: არცა კეთილი ქმნეს უფალმან, არცა ბოროტი. OJ

შემდეგ მუხლებში დასახელებულია დღე რა მიზეზითაა მოსული. ეს დღე მოვიდა შეცოდებების გამო

Zep. 1:11 θρηγήσατε οἱ κατοικοῦντες τὴν κατακεκομμένην ὄτι ὡμοιώθη πᾶς ὁ λαὸς Χανααν ἐξωλεθρεύθησαν πάντες οἱ ἐπηρμένοι ἀργυρίῳ **გოდებით, რომელნი დამკვდრებულ ხართ დაჭრილთასა, რამეთუ ემსგავსა ყოველი ერი ქანაანსა. მოისრნეს ყოველნი აღმაღლებულნი ვეცხლითა. OJ გოდებდით დამკვდრებულნი დაჭრილსა, რამეთუ ემსგავსა ყოველი ერი ქანაანს. მოისრნეს ყოველნი აღმაღლებულნი ვეცხლითა. GSB**

Zep. 1:6 καὶ τοὺς ἐκκλίνοντας ἀπὸ τοῦ κυρίου καὶ τοὺς μὴ ζήτησαντας τὸν κύριον καὶ τοὺς μὴ ἀντεχομένους τοῦ κυρίου **და რომელნი განდგომილ არიან უფლისაგან და რომელნი არა ეძიებენ უფალსა და რომელნი არა თავს-იდებენ უფლისასა. OJ და რომელნი მიდრკებიან უფლისაგან და რომელნი არა გამოეძიებენ უფალსა და რომელნი არა შეუდგან უფალსა. GSB**

Zep. 1:8 καὶ ἔσται ἐν ἡμέρᾳ θυσίας κυρίου καὶ ἐκδικήσω ἐπὶ τοὺς ἄρχοντας καὶ ἐπὶ τὸν οἶκον τοῦ βασιλέως καὶ ἐπὶ πάντα τοὺς ἐνδεδυμένους ἐνδύματα ἀλλότρια **და იყოს დღესა მას მსხუერპლისა უფლისასა შური ვიძიო მთავართა ზედა და სახლსა ზედა (402r) მეფისასა და ყოველთა ზედა, რომელთა ჰმოსიეს სამოსელი სხვსა. OJ და იყოს დღესა შინა**

მსხუფრპლისა უფლისასა და შურ-ვიგო მთავართა ზედა და სახლსა ზედა მეფისასა და ყოველთა შემოსილთა ზედა სამოსლებითა უცხოდა. GSB

Zep. 1:9 καὶ ἐκδικήσω ἐπὶ πάντας ἐμφανῶς ἐπὶ τὰ πρόπλα ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ τοὺς πληροῦντας τὸν οἶκον κυρίου τοῦ θεοῦ αὐτῶν ἀσεβείας καὶ δόλου და შური ვიძიო ყოველთა ზედა განცხადებულად წინაშე ბჭეთა მას დღესა შინა, რომელნი აღავსებენ სახლსა ღმრთისა მათისასა უღმრთოებითა და ზაკუვითა. OJ და შურ-ვიგო ყოველთა ზედა საჩინო-ქმნილთა წინა ბჭეებთა ზედა მას დღესა შინა აღმავსებელთა სახლისა უფლისათა უთნობითა და ზაკუვითა. GSB

Zep. 3:2 οὐκ εἰσήκουσεν φωνῆς οὐκ ἐδέξατο παιδείαν ἐπὶ τῷ κυρίῳ οὐκ ἐπεποιθεὶ καὶ πρὸς τὸν θεὸν αὐτῆς οὐκ ἠγγύσεν არა ისმინა ჳმაჲ, არცა მიილო სწავლაჲ და უფალსა არა ესვიდა და ღმერთსა თვსსა არა მიეახლა. OJ არა ისმინა ჳმისაჲ, არშეიწყნარა წურთაჲ, უფლისა მიმართ არა ესვიდა და ღმრთისა მიმართ მისისა არა მიეახლა. GSB

Zep. 3:7 εἶπα πλὴν φοβεῖσθέ με καὶ δέξασθε παιδείαν καὶ οὐ μὴ ἐξολεθρευθῆτε ἐξ ὀφθαλμῶν αὐτῆς πάντα ὅσα ἐξεδίκησα ἐπ’ αὐτήν ἐτοιμάζου ὄρθρισον διέφθαρται πᾶσα ἢ ἐπιφυλλίς αὐτῶν ვთქუ: გარნა გეშინოდენ ჩემგან და მიიღეთ სწავლაჲ და არა (404r) მოისრას თუალთაგან მისთა ყოველი იგი, რომელი შურ-ვიგე მისგან. განემზადე, აღიმსთუე, რამეთუ განრყუნილ არს საყურძენი მათი. OJ ვთქუ: გარნა შეშინდით ჩემგან და შეიწყნარეთ წურთაჲ და არ მოესრულნეთ თუალთაგან მისთა ყოველნი რაოდენნი შურ-ვიგენ მის ზედა. განემზადე, აღიმსთუე! განხრწნილ არს ყოველი მოკუფხლვაჲ მათი. GSB

შდრ.

Habakkuk 1:4 διὰ τοῦτο διεσκέδασται νόμος καὶ οὐ διεξάγεται εἰς τέλος κρίμα ὅτι ὁ ἀσεβὴς καταδυναστεύει τὸν δίκαιον ἕνεκεν τούτου ἐξελύσεται τὸ κρίμα διεστραμμένον ამისთვის განქარვებულ არს შჯული და არა გამოვალს სრულიად სამართალი, რამეთუ უღმრთოჲ ჳმძლავრობს მართალსა. ამისთვის გამოვალს საშჯელი გულარძნილი. და არა მიჳსნი! OJ და ამისთვის განქარვებულ არს შჯული და არ მიიწევს სრულეზად სამართალი, რამეთუ უთნო ჳმძლავრობს მართალსა. ამისთვის გამოვალს მსჯავრი გულარძნილი. SB

ვისზეც მოდის ეს დღე

Zep.2:8 ἤκουσα ὀνειδισμοῦς Μωαβ καὶ κονδύλισμοῦς σὶν Ἀμμων ἐν οἷς ὀνειδίζον τὸν λαόν μου καὶ ἐμεγαλύνοντο ἐπὶ τὰ ὄρια μου მესმნეს ყუჭდრებანიცა მოაბისნი და ჯუჭდნანი ძეთა ამმონისთა, რომელთა მიერ ჰყუჭდრიდეს ერსა ჩემსა და განდიდნებოდეს საზღვართა ზედა ჩემთა. OJ მესმნეს ყუჭდრებანიცა მოაბისნი და ჯუჭდნანი ძეთა ამმონისთა, რომელთა მიერ ჰყუჭდრიდეს ერსა ჩემსა და განდიდნებოდეს საზღვართა ზედა ჩემთა. GSB

Zep. 2:10 αὕτη αὐτοῖς ἀντὶ τῆς ὑβρεως αὐτῶν διότι ὀνειδίσαν καὶ ἐμεγαλύνθησαν ἐπὶ τὸν κύριον τὸν παντοκράτορα ესე - მათ გინებისა წილ მისისა, მით რამეთუ აყუჭდრეს და განდიდნეს უფლისა თანა ყოვლისა მპყრობელისა. OJ ესე - მათ გინებისა წილ მისისა, მით რამეთუ აყუჭდრეს და განდიდნეს უფლისა თანა ყოვლისა მპყრობელისა. GSB

მოყვანილი მაგალითები საჭიროა იმის საილუსტრაციოდ ახერხებს თუ არა მთარგმნელი თავი გაართვას რთულ ამოცანას, გადმოიტანოს ესქატოლოგიის ცნება ქართულ თარგმანში. მაგალითებიდან ჩანს, რომ შესიტყვებები მეორედ მოსვლის ასოციაციას ქმნის, თუმცა მრევლისთვის ძნელად გასაგებია. ეს იმიტომ, რომ თარგმანია სიტყვასიტყვითი.

ლალი ვაშაყმაძე

ანგიას წინასწარმეტყველების თარგმანის სტილი

მიმღეობის გადმოტანა

თარგმანის ტექნიკის კვლევისას სხვადასხვა ფაქტორი იქცევა ყურადღებას. ერთ-ერთი მათგანი სინტაქსური კონსტრუქციებია. ამ მხრივ საყურადღებოა ბერძნული მიმღეობის გადმოტანის ტენდენცია ის, თუ რა ხერხებს იყენებს მთარგმნელი ქართული ენისთვის ამ მოვლენის მოსარგებად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმღეობა არც ქართული ენისთვისაა უცხო. უცხოა მისი ჭარბი ან ქართულისათვის არადადამახასიათებელ მიმართებებში გამოყენება.

ქართულად ბერძნული მიმღეობის გადმოღების რამდენიმე ხერხი არსებობს. იგი შეიძლება გადმოვდეს რთული თანწყობილი წინადადებით, დამოკიდებული წინადადებით (განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებით, დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით ან მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით) ან თავად მიმღეობით.

ანგია წინასწარმეტყველის ტექსტში, მიმღეობათა ერთი ნაწილი გვხვდება თქმასთან დაკავშირებულ ებრაულ ფრაზებში, რომლებიც როგორც ბერძნული ისე ქართული ენისთვის უცხოა. მაშინ როცა ფრაზაში ერთმანეთის მიმდევრობით „თქმის“ მნიშვნელობის ორი შესატყვისი გვხვდება, ქართულში მიმღეობა თანწყობილ წინადადებებს ქმნის:

1:1 λέγων εἶπὸν] და თქუა : არქუ Geo^o ; და ჰრქუა : არქუ Geo^l

1:1 λέγων εἶπὸν..... λέγων] და თქუა: არქუ.....და თქუა Geo^o ; და ჰრქუა: არქუ.....და თქუა Geo^l

2:2 εἶπὸν..... λέγων] არქუ.....და არქუ Geo^{OJLL} ; თქუა არქუთ..... და არქუთ Geo^{LP}

1:1 τάδε λέγει κύριος παντοκράτωρ λέγων] ამას იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი და თქუა

1:1 καὶ ἐγένετο λόγος κυρίου ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων] და იყო სიტყუა უფლისა ჯელითა ანგჳა წინაწარმეტყუელისადათა და თქუა Geo^{OLP} ; და იყო სიტყუა ჯელითა ანგეს წინაწარმეტყუელისადათა და თქუა Geo^I ; და იყოს სიტყუა ჯელითა ანგია წინაწარმეტყუელისადათა და თქუა Geo^{LL}

2:1 ἐλάλησεν κύριος ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων] იტყოდა უფალი ჯელითა ანგეა წინაწარმეტყუელისადათა და თქუა Geo^O ; იტყოდა უფალი ჯელითა ანგეს წინაწარმეტყუელისადათა და თქუა Geo^I ; ..იტყოდა ჯელითა ანგეს წინაწარმეტყუელისადათა და თქუა Geo^{LL}

2:9 ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ἀγγαίον τὸν προφήτην λέγων] იყო სიტყუა უფლისა ანგეადს მიმართ წინაწარმეტყუელისა და თქუა Geo^O ; იყო სიტყუა უფლისა ანგეადს მიმართ წინაწარმეტყუელისა და თქუა Geo^I ;

2:9 τάδε λέγει κύριος παντοκράτωρ ἐπερώτησον τοὺς ἱερεῖς νόμιον λέγων] ამას იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: ჰკითხე შენ მღდელთა მათ შჯული და არქუ

2:20 καὶ ἐγένετο λόγος κυρίου..... λέγων] და იყო სიტყუა უფლისა და ჰრქუა Geo^O ; და იყო სიტყუა უფლისა და თქუა Geo^I.

ბერძნულ მიმღეობათა ერთი ნაწილი ქართულში გადმოდის დაქვემდებარებული წინადადებით:

2:9 παντὶ τῷ κτίζοντι τοῦ ἀναστῆσαι τὸν ναὸν τοῦτον] ყოვლისა, რომელი აშენებდეს აღმართებად ტამარსა ამას Geo^O ; ყოვლისა რომელი აშენებდეს აღმართებად ტამარსა ამას Geo^I ; ყოველი, რომელი აშენებდეს აღმართებად ტამარსა ამას Geo^{LP}

2:19 τὰ σὺν φέροντα] რომელსა არა აქუნ Geo^o ; რომელსა არა მოაქუნდა Geo^l ; τὰ σὺν φέροντα καρπὸν] რომელსა არა აქუნ ნაყოფი.

გვაქვს მიმღობის მიმღობითვე გადმოტანის შემთხვევებიც:

2:2 καὶ πῶς ἡμεῖς βλέπετε αὐτὸν νῦν καθὼς οὐχ ὑπάρχοντα ἐνώπιον ἡμῶν] და ვითარ ჰხედავთ აწ მას ვითარცა არა ყოფილსა თქუენ წინაშე Geo^o ; და ვითარ ხედავთ აწ მას ვითარცა არა ყოფილსა თქუენ წინაშე Geo^l ; და ვითარ ხედავთ აწ? - ვითარცა არა ყოფილსა თქუენ წინაშე Geo^{LP} ;

ეს მიმღობა ლატალის ლექციონარში შედგენილი შემასმენლით გადმოდის: ὑπάρχοντα] ყოფილ+არს Geo^{LL} οὐχ ὑπάρχοντα ἐνώπιον ἡμῶν] ვითარ ვხედავ აწ ვითარცა არა ყოფილ არს თქუენ წინაშე Geo^{LL}

2:13 καὶ εἶπεν Ἀγγαῖος ἐὰν ἄψηται μεμιαμμένος ἐπὶ ψυχῇ ἀπὸ παντὸς τούτων εἰ μὴ ἀποθήσεται] და თქუა ანგეოზ: უკუეთუ შეეხოს შეგინებული სულითა ამის ყოვლისაგანსა, უკუეთუ შეიგინოს? Geo^o ; და თქუა ანგეოს უკუეთუ შეეხოს შეგინებული სულითა ამის ყოვლისაგანსა, უკუეთუ შეიგინოს? Geo^l ;

2:14 καὶ ἐμισεῖτε ἐν πύλαις ἐλέγχοντας] და გძულდა ბჭეთა ზედა მამხილებელი Geo^{oJ}

გარდა მიმღობებისა, საინტერესოა ინფინიტიური კონსტრუქციის გადმოტანის შემთხვევებიც. ჩვენს შემთხვევაში ტექსტში არსებული ყველა საწყისი ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდართ გადმოდის. რიგ შემთხვევაში საწყისს ობიექტი მიცემით ბრუნვაში ეწყობა:

1:1 οἰκεῖν] ყოფად Geo^{oJLPLL}: უკუეთუ თქუენი ჟამი არს ყოფად სახლებსა საფარდულედსა Geo^o ; უკუეთუ თქუენი ჟამი არს ყოფად სახლებსა სართულედსა Geo^{lLPLL} ;

2:9 ἀναστῆσαι] აღმართებად Geo^{OLP} ; εἰς περιποίησιν παντὶ τῷ κτίζοντι τοὺς ἀναστῆσαι τὸν ναὸν τοῦτον] შესაწევნელად ყოვლისა რომელი აშენებდეს აღმართებად ტაძარსა ამას Geo^O ; შესაწევნელად ყოველთა რომელი აშენებდეს აღმართებად ტაძარსა ამას Geo^I ; შესაწევნელად ყოველი, რომელი აშენებდეს აღმართებად ტაძარსა ამას Geo^{LP}

დანარჩენ ორ შემთხვევაში კი ობიექტი ნათესაობით ბრუნვაში გვაქვს:

1:1 ἦκει ὁ καιρὸς τοῦ οἰκοδομῆσαι τὸν οἶκον κυρίου] მოწევნულ არს ჟამი შენჭებად სახლისა უფლისაჲ Geo^{OLP} ; მოწევნულ არს ჟამი შენებად სახლისა უფლისაჲ Geo^{LL};

2:16 ἐξαντλήσαι] აღმოვსებად Geo^{OI} ; εἰσεπορεύεσθε εἰς τὸ ὑπολήνιον ἐξαντλήσαι πεντήκοντα μετρητάς] შთაჰკედით საწნებელსა აღმოვსებად ერგასისისა საწყაულისა Geo^I; შთაჰკედით საწნებელსა აღმოვსებად ერგასისისა საწყაულისა Geo^O ; შეხვდოდეთ ტაგარისა მიმართ აღმოვსებად ერგასისთა მართა Geo^{LP}

მსაზღვრელ-საზღვრული

ანგია წინასწარმეტყველის წიგნის ბერძნულ ტექსტში ძირითადად მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა გვხვდება. პრეპოზიციის რამდენიმე შემთხვევა გვაქვს , რომელთა უმრავლესობაში მსაზღვრელად რიცხვითი სახელი გვევლინება. რაც შეეხება ქართულ ტექსტს, ძირითად შემთხვევებში, იგი მისდევს ბერძნულს და აქაც უმრავლესად მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგ გვევლინება:

პოსტპოზიცია:

1:1 ἐγένετο λόγος κυρίου] იყო სიტყუაჲ უფლისაჲ Geo^{OI}

1:2 κύριος παντοκράτωρ] უფალი ყოვლისამპყრობელი Geo^{OJLPLL}

1:4 οἴκοις ἰμῶν] სახლი ესე ჩემი Geo^{OJLPLL}

1:1 Ἀγγαίου τοῦ προφήτου] ანგეა წინაწარმეტყუელისადათა Geo^o ; ანგეადსითა წინაწარმეტყუელისადათა Geo^l

1:7 τὰς καρδίας ὑμῶν εἰς τὰς ὀδοὺς ὑμῶν] დაისხენით გულნი თქუენნი გზათა თქუენთა Geo^o და სხვ.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართული თავისუფალი თარგმანის გზას ირჩევს და პრეპოზიციულ წყობას გვთავაზობს:

1:4 καιρὸς ὑμῖν μὲν ἔστιν] თქუენი ჟამი არს Geo^oLP წყობის ასეთი ცვლილება ქართული ენის ბუნებიდან უნდა მომდინარეობდეს და შედგენილი შემასმენლის სახელადი და ზმნური ნაწილების დაახლოების გამო უნდა მომხდარიყო.

2:16 κριθῆς δέκα σάτα] ათ სათუელ ქრთილი Geo^o

2:19 τῆς ἡμέρας τᾶς τετῆς] ამიერ დღითგან შდრ. 2:18 ἀπὸ τῆς ἡμέρας τᾶς τετῆς] ამიერთგან Geo^o , ამიერ დღითგან Geo^l

2:11 ὁ λαὸς οὗτος] ესე ერი Geo^o

იმ შემთხვევაში, სადაც ბერძნულში პრეპოზიციული წყობა გვაქვს, ქართულშიც მსაზღვრელი საზღვრულის წინ გვხვდება:

1:12 τῆς φωνῆς κυρίου τοῦ θεοῦ ἀπὸ τῶν] ჳმაჲ უფლისა ღმრთისა მათისაჲ Geo^oLP^{LL}

1:12 ἔτους δευτέρου ἐπὶ Δαρείου] მეორესა წელსა დარიოზ მეფისასა Geo^o

ებრაიზმები

ბიბლიური ტექსტების თარგმნა ამა თუ იმ ენაზე გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. იბლიის წინასწარმეტყველთა წიგნების შემთხვევაში ეს სირთულე კიდევ უფრო იმატებს, წინასწარმეტყველებები, რომლებიც ხილვებს წარმოადგენენ ისედაც რთული გამოსათქმელია არათუ მათი თარგმნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ითარგმნება გენეტიკურად განსხვავებულ ენებზე.

ებრაული იდიომატური აზროვნება უცხო ცნებებს, შესიტყვებებსა და ფრაზებს ქმნის ქართულისათვის. დედნის ბუნდოვანი ფრაზები, როგორც წესი, სიტყვასიტყვით ითარგნება ხოლმე. იმის გამო, რომ ქართულში ებრაიზმები შუამავალი ენის, ბერძნულის გზით შემოვიდა, ისინი ქართულითვის კიდევ უფრო ბინდოვანი და ძნელად გასაგებია.

საუბარს დავიწყებთ „და“ კავშირით დაწყებული ფრაზებით. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი კონსტრუქციები ქართულისათვის დამახასიათებელი არ არის, ასეთი შემთხვევები ტექსტში მრავლად გვხვდება:

1:3 και ἐγένετο λόγος κυρίου - და იყო და იყო სიტყუაჲ, Geo^{OJLPLL} რომლითაც მესამე მუხლი იწყება. ამავე რიგისაა 1:13 και εἶπεν - და თქუა Geo^{OJLPLL} ; 1.14 και ἐξήγειρεν – და აღადგინა Geo^{OJLPLL} და სხვ.

ებრაიზმთა ერთ ჯგუფს ქმნის "თქმასთან" დაკავშირებული ფრაზები. ებრაულში და შემდეგ ბერძნულში ეს ფრაზები შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს ფორმულირებული:

λέγει რამდენჯერმე იყოს განმეორებული:

2:23 ἐν τῇ ἡμέρᾳ ἐκείνῃ λέγει κύριος παντοκράτωρ λήψομαι σε Ζοροβাবেλ τὸν τοῦ Σαλαθιηλ τὸν δοῦλόν μου λέγει κύριος καὶ θήσομαι σε ὡς σφραγίδα διότι σὲ ἠρέτισα λέγει κύριος

παντοκράτωρ – 2.23 მას დღესა შინა - **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი - მოგიყვანო შენ ზორობაბელ სალათიელისო, მონაო ჩემო, - **იტყვს** უფალი - და დაგადგა შენ, ვითარცა ბექედი, რამეთუ შენ სათნო-გიყავ - **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი Geo⁰¹; მას დღესა შინა - **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი მიგიღო მე შენ ზორობაბელ სალათიელისო, მონაო ჩემო, და დაგდვა შენ, ვითარცა აღმონაბექედი, მით რამეთუ სათნო-გიყავ შენ - **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი Geo^{LP}

განმეორებული იყოს სემანტიკურად თუმცა არა ფორმალურად:

2:13 ἀπεκρίθησαν οἱ ἱερεῖς καὶ εἶπαν μισθῶσεται] მიუგეს მღვდელთა მათ: შეიგინოს! >L

განსაკუთრებით საინტერესოა "თქმის" მნიშვნელობით შემდეგი იდიომის გამოყენება:

2:20 καὶ ἐγένετο λόγος κυρίου] და იყო სიტყუა უფლისა Geo⁰¹

1:3 ἐγένετο λόγος κυρίου ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων - **იყო სიტყუა უფლისა ... და ჰრქუა** თუ არ ჩავთვლით უკანასკნელ შემთხვევაში ἐγένετο-ს "იყო"-თი და არა "იქმნა"-თი თარგმნას (რასაც გელათში ვხვდებით) (γίνομαι- ქმნა), ყველა ეს ფრაზა სიტყვასიტყვით არის თარგმნილი.

უკანასკნელი წინადადება ქართულისათვის კიდევ შემდეგი იდიომის გამო რთულდება და "არაბუნებრივად" ჟღერს: 1:1 ἐγένετο λόγος κυρίου ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων - იყო სიტყუა უფლისა **ველითა ანგეა** წინააღმართმეტყუელისა და და ჰრქუა Geo⁰¹

იმავე სემანტიკის ფრაზა (თქმა ვიდაცის ხელით), მცირეოდენი სახესხვაობით კიდევ ერთხელ მეორდება: 2:1 ἐλάλησεν κύριος ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων - **იტყოდა** უფალი ველითა ანგეა წინააღმართმეტყუელისა და და თქუა Geo^{01LPLL}

ებრაულში და, შესაბამისად, სეპტუაგინტაში, „ხელი“-ის გარდა, სხეულის სხვა ნაწილებიც ქნიან ხოლმე ფრაზოლოგიზმებს.

განსაკუთრებით ხშირია "გული", რომელიც ანგეაში ფრაზეოლოგიზმებს ქმნის **πίθημα τίσσω - სთან** (ეს უკანასკნელნიც ხშირად ქმნიან ხოლმე ფრაზეოლოგიზმებს მაგ. ფსალმუნებში⁶)

2.15 **θήσθε ἐν ταῖς καρδίαις ὑμῶν** - დაიდევით გულთა თქუნთა Geo^{OJ}

1.7 **θήσθε τὰς καρδίαις ὑμῶν εἰς τὰς ὀδοὺς ὑμῶν** - დაისხენით გულნი თქუნნი გზათა თქუნთა Geo^{OJLPLL}

1.5 **τάξατε δὴ τὰς καρδίαις ὑμῶν εἰς τὰς ὀδοὺς** - განაწესენით გულნი თქუნნი გზათა Geo^{OJLPLL}

2.18 **ὑποτάξατε δὴ τὰς καρδίαις ὑμῶν** - დააწესენით გულნი თქუნნი Geo^{OJ}

სიტყვასიტყვითაა გადმოტანილი ებრაული ნახევრადწინდებულის (სემიპრეპოზიციონის) შესატყვისი **προσάπων**-იც: 1:12 **ἐφοιῆθη ὁ λαὸς ὑπὸ προσώπου κυρίου** - შეეშინა ერსა მას პირისაგან უფლისა Geo^{OJLP} (ნაცვლად - შეეშინდა უფლისა) უცვლელადაა გადმოტანილი წელთაღრიცხვის ებრაული მოდელები, რომლებიც რთულიგასაგებია.

1:15 **τῆ τετραδὶ καὶ εἰκάδι τοῦ μηνὸς τοῦ ἔκτου τῷ δευτέρῳ ἔτει ἐπὶ Δαρείου τοῦ βασιλέως]** ოცდაოთხსა თვსა მის მეექუსისასა, მეორესა წელსა დარიოზ მეფისასა Geo^{OJ}; ოც და ოთხსა მის თთვსა მეექუსისასა, მეორესა წელსა დარეოზ მეფისასა Geo^{LPb}; ოცდა ათსა თ..ისა მის მეექუსისა (.....) წელსა დარიოზ (.....სა) Geo^{LLb}; - დარიოზ მეფის მეფობის მეორე წლის მეექვსე თვის 24 რიცხვში.

2:1 **τῷ ἑβδόμῳ μηνὶ μὲν καὶ εἰκάδι τοῦ μηνὸς]** მეშვდესა თუესა ოცდაერთსა თვსასა Geo^{OJ}; მეშვდესა ოც და ერთისა მის თთვსასა Geo^{LP}; მეშუიდესა თუ..... .. და ერთსა თვსასა Geo^{LL}

2:10 **τετραδὶ καὶ εἰκάδι τοῦ ἑνάτου μηνὸς ἔτους δευτέρου ἐπὶ Δαρείου]** ოცდაოთხსა მეცხრისა მის თვსა, მეორესა წელსა დარიოზ მეფისასა Geo^O; ოცდაოთხსა მეცხრისა მის, თთვსასა მეორესა წელსა დარიოზ მეფისასა Geo^J; - დარიოზ მეფის მეფობის მეორე წლის ოცდაოთხ რიცხვში

⁶ ა.ხარანაული, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანის ხასიათის შესახებ (διδόναι და πιθεναί-თი ნაწარმოები გრამატიკული კონსტრუქციებისა და შესიტყვებების გადმოცემის მაგალითზე ქართულ ფსალმუნში)

2:18 ἀπὸ τῆς ἡμέρας ταύτης καὶ] ოცდაოთხითგან მეცხრისა თვსადთ Geo⁰; ოცდაოთხითგან მეცხრისა თთვსადთ Geo¹

2:20 τετράδι καὶ εἰκάδι τοῦ μηνὸς λέγων] ოცდაოთხსა თვსასა და ჰრქუა Geo⁰ ; ოცდაოთხსა თვსასა თთვსასა და თქუა

ასევე საინტერესოა შემთხვევა, როდესაც ქართულ თარგმანში ენის ბუნებიდან გამომდინარე სიტყვის მატება მოსალოდნელია, თუმცა კი ასე არ ხდება ხდება:

1:1 Ἰησοῦν τὸν τοῦ Ἰωσεδεκ] ისუს იოსედეკისსა Geo⁰¹

1:1 πρὸς Ζωροβᾶβελ τὸν τοῦ Σαλαθιηλ] ზორობაბელის მიმართ სალათიელისსა Geo⁰¹

1:12 Ζωροβᾶβελ ὁ τοῦ Σαλαθιηλ] ზორაბაბელს სალათიელისსა Geo^{0LL} ; ზორობაბელს სალათიელისსა Geo^{1LP}

2:2 Ζωροβᾶβελ τὸν τοῦ Σαλαθιηλ] ზორაბაბელს სალათიელისსა Geo^{0LL} ; ზორობაბელს სალათიელისსა Geo^{1LP} ;

2:4 Ἰησοῦν ὁ τοῦ Ἰωσεδεκ] ისო იოსედეკისო Geo⁰ ; იესუ იოსედეკისო Geo¹ ; >L

მოსალოდნელია, რომ ასეთ შემთხვევებში მთარგმნელს ჩაემატებინა სიტყვა „ძე“, თუმცა, როგორც ვხედავთ ზემოთმოყვანილ შემთხვევებში იგი ასე არ იქცევა. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთ ფრაზაში გვაქვს:

1:14 Ἰησοῦν τοῦ Ἰωσεδεκ] ისოძსი ძისა იოსედეკისი Geo⁰ ; იესუსი ძისა იოსედეკისი Geo¹ ; ისუძსი ძისა იოზედეკისი Geo^{1LP} ; ისუსი იოზედეკისა Geo^{LLa} ; ისუსი ძისა იოსედეკისა Geo^{LLb} ;

წიგნში გვხვდება აპოკალიპტური შეპირებები:

2:6 διότι τάδε λέγει κύριος παντοκράτωρ ἔτι ἄπαξ ἐγὼ σείσω τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν καὶ τὴν θάλασσαν καὶ τὴν ξηρὰν] რამეთუ ამას იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი, რამეთუ: ერთგზისდა შევძრა ცაჲ და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ჯმელი Geo⁰¹ ; რამეთუ ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, რამეთუ: ერთგ-ზის შევძრა ქუეყანაჲ, ცაჲ, ზღუაჲ და ჯმელი Geo^{1LP}

2:21 ἐγὼ σεῖα τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν καὶ τὴν θάλασσαν καὶ τὴν ξηρὰν] მე შევძრა ცა და ქუეყანა, ზღუა და ჳმელი Geo^o ;

2:22 καὶ καταστρέψω θρόνους βασιλέων καὶ ὀλεθρεύσω δύναμιν βασιλέων τῶν ἐθνῶν καὶ καταστρέψω ἄρματα καὶ ἀναβάτας καὶ καταβήσονται ἵπποι καὶ ἀναβάται αὐτῶν ἕκαστος ἐν ῥομφαίᾳ πρὸς τὸν ἀδελφὸν αὐτοῦ] და დავამჳუნე საყდარნი მეფეთანი და მოვსრა ძალი მეფეთა და ყოველთა თესლთა და დავსცე ეტლები და მჳედრები და დაეცეს ცხენები და მჳედრები და აღმჳედრებულნი მათ ზედა კაცად-კაცადი მახვლითა ძმისა მიმართ თჳსისა Geo^o ; და დავამჳუნე საყდარნი მეფეთანი და მოვსრა ძალი მეფეთა ყოველთა თესლთა და დავსცე ეტლები და მჳედრები და დაეცეს ცხენები და აღმჳედრებულნი მათ ზედა კაცად-კაცადი მახვლითა ძმისა მიმართ თჳსისა Geo^o

ლექსიკა

ანგია წინასწარმეტყველის წიგნში ვხვდებით სფეციფიკურ ლექსიკას, იშვიათად ხმარებულ სიტყვებს:

დავიწყებთ სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ ანგიას წიგნში გვხვდება:

κοιλοστάθμοις , **οὐ** – panelled, provided with a coffered ceiling (Mur.) ; With coffered ceiling, paneled (LSJ) ; with curved or hollow supports (Lust).

1:4 **κοιλοστάθμοις** - საფარდულედსა Geo^o ; სართულედსა Geo^{JLPLL} ;

ეს სიტყვა კომპოზიტია, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: **κοιλος**, **η**, **οὐ** – empty and hollow inside (Mur) ; hollow, Hom. Mostly as epith. Of ships (LSJ) ; hollow ; depressed (Lust) .

στάθμος , **οὐ** – doorway, doorpost, place where a marching army had its quarters (Mur.) ; lodge, rest station, stage , post, doorpost, door, balance, scales, weight, measure (Lust).

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვას ქართულში ორი სხვადასხვაგვარი შესატყვისი აქვს. თუმცა მათი სემანტიკა ერთი და იგივე უნდა იყოს.

აგრეთვე მხოლოდ ანგიას წიგნში გვხვდება **κυσέλην**:

κυσέλη, ἦ - ящик, сундук, ларь (дворецк.); hollow container: for grain (Mur.); any hollow vessel, corn bin (Lust); any hollow vessel, chest, box (LSJ)

2:16 εἰς κυσέλην - საუნჯესა Geo^{OJ}

საინტერესო ლექსიკური ერთეულია **σάτα**, რომელიც ძველი აღთქმის წიგნთაგან მხოლოდ ანგიას წინასწარმეტყველებაში გვხვდება. რაც შეეხება ახალ აღთქმას იქ, ამ სიტყვას მათესა და ლუკას სახარებებში ვხვდებით.

σάτον, ου - სატად, საწყაული (ფქვილისა) (კვირიკ.); (евр.) сат (*мера сыпучих тел = 1.5 римск. модиям, т. е. ок. 13 л*) (дворецк.); a Hebrew dry measure (Mur.); measure (Lust);

სატონ - ვიფი. საწყავია (საბა)

2:16 δέκα σάτα - ათ სათუელ Geo^{OJ};

σάτον ებრაულიდან ნასესხები სიტყვაა და რაღაცის საზომს, საწყაოს აღნიშნავს. იგი ოშკურ და იერუსალიმურ ვერსიებში თარგმნილია როგორც *სათუელ*, იმავე სემანტიკის მატარებელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ საბასა და ბაქარის ბიბლილაში ეს სიტყვა კალკირებულია და გადმოღებულია როგორც *სატა*: ათი სატად - Geo^{SB}

ებრაიზმია აგრეთვე **ἐξηρήματα**

ἐξηρημάω- მოოჯრება(კვირიკ.); делать безлюдным, опустелым, погннуть и (тем) пресечь свой род; оставлять, покидать, лишать зубов (дворецк.) to leave destitute: + acc. and without indicating what is wanting (Mur) to soften, to tame, to humanize (Lust) make quite desolate (Liddel-Scot)

1:4 ἐξηρήματα - მოოჯრებულ არს Geo^{OJLP};

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ *ἐρημος*, რომელიც უდაბნოს ნიშნავს, ამავე წიგნის პირველი თავის მეცხრე მუხლში იგი თარგმნილია როგორც *ოჯერ*.

ეს სიტყვა სხვა მცირე წინასწარმეტყველებთან სულ ოთხჯერ გვხვდება და ოთხივე შემთხვევაში იმავე ლექსიკური ერთეულითაა გადმოღებული.

ყოფადღებას იქცევს შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც:

περιποίησις, -εως, ἡ - მოურნეობა(კვირიკ.); **сохранение, спасение, получение, приобретение** (дворецк) **act of gaining possession, that which is acquired, survivors (Mur.) ; keep safe, preservation** 2Chr., **saving gaining possession of Hag.2.9 (Lust) ;**

მოურნე - მზრუნველი, მეურვე (აბულ.)

2:9 εἰρήνην ψυχῆς εἰς περιποίησιν παντὶ - მშვიდობაჲ სულისაჲ შესაწევნელად ყოვლისა.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ერთი მნიშვნელობით იგი აღნიშნავს რაიმეს ფლობას, დაუფლებას, ხოლო მეორე მნიშვნელობით - გადარჩენას, შენახვას, დაცვას. ოშკურ და იერუსალიმურ ნუსხებში იგი სწორედ ამ მეორე მნიშვნელობითაა გადმოტანილი, თუმცა როგორც ლუსტის ლექსიკონში ვკითხულობთ, ანგიას წიგნში ეს სიტყვა მისი მეორე მნიშვნელობით გამოიყენება. ამიტომ საინტერესოა შევამოწმოთ ის, თუ როგორ გადმოდის ეს სიტყვა მცირე წინასწარმეტყველთა სხვა წიგნებში. მაგრამ მანამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგიას წიგნის საბასა და ბაქარისეულ ვერსიებში *περιποίησις* გადმოტანილია როგორც *მოურნეობა*, ანუ იმავე ფლობის სემანტიკის მატარებელი სიტყვით. რაც შეეხება სხვა მცირე წინასწარმეტყველებს, *περιποίησις* მხოლოდ მალაქიასთან გვხვდება მესამე თავის მეჩვიდმეტე მუხლში. ოშკურ იერუსალიმური ნუსხები ამ შემთხვევაშიც ანგიას წიგნის მსგავსად თარგმნიან, რაც შეეხება საბასადა ბაქარის ბიბლიებს, აქაც იგი გადმოღებულია როგორც *მოურნე*.

Mal. 3:17 εἰς περιποίησιν - შესაწევნელად Geo^{OJ}; მოურნედ Geo^{SB}

ὑπολήνιον, -ου -საწნეხელი, ტაგარი (კვირიკ.); **виноградный чан (дворецк) ; container** **plced under a wine-press to collect wine (Mur.) ; vessel or vat placed under the winepress to receive the wine (Lust) ;**

2:16 εἰσεπορεύεσθε εἰς τὸ ὑπολήνιον - შთაჰყედით **საწნეხელსა** Geo^{OJ} ;

ὑπολήνιον ორი ნაწილისაგან შედგება, **ὑπο** ნიშნავს *ქვეშ*, ხოლო **ληνός** ღვინის საწნებს. მისი ლიტერალური თარგმანი ჟღერს როგორც *ღვინის საწნების ქვეშ*. ოშკურ და

იერუსალიმურ ნუსხებში იგი თარგმნილია როგორც საწნახელი, ხოლო საბასა და ბაქარის ბიბლიაში - ტაგარი, რომელსაც საბა შემდეგნაირად განმარტავს: *ტაგარი - ტკბილის სადგომი.*

ტაგარ-ი - საწნახელი, ორმო (აბულ.)

გარდა ანგიას წიგნისა, სხვა მცირე წინასწარმეტყველებთან ἄπολήσιον ორჯერ გვხვდება და ორივე შემთხვევაში, ისევე როგორც ოშკისა და იერუსალიმის, საბასა და ბაქარის ბიბლიებშიც იგი გადმოღებულია როგორც საწნახელი.

წიგნში ვხვდებით საინტერესო კომპოზიტებს:

ἀνεμοφθορος, **ον** - ქარცემული, ხორშაკეული, ქარ-ხრწნილი (კვირიკ.); *damaging by wind (Mur) ; blasted by the wind (Lust)*

ἐν ἀνεμοφθορίᾳ - ხორშაკითა Geo^ᵅ.

ხორშაკეულ-ი - ხორშაკნაცემი, დასიცხული (აბულ.)

კომპოზიტის პირველი ნაწილი, *ἀνεμος* ქარს აღნიშნავს, ხოლო მეორე - *φθορος* განადგურებას. აქედან გამომდინარე, *ἀνεμοφθορος* ქარისგან რაიმეს განადგურებას უნდა ნიშნავდეს. ქართულში იგი არ არის კომპოზიტით გადმოტანილი. *ხორშაკი* სულხან-საბას განმარტებით არის *ქარი შემწველი*. წინა მაგალითის მსგავსად, საბასა და ბაქარის ბიბლიის ტექსტები კალკირებას მიმართავს და ამ სიტყვას შემდეგნაირად თარგმნის: *ზედა ქარისაგან მხრწნელობისა.*

კომპოზიტია აგრეთვე **παντοκράτωρ**, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოყენებადი სიტყვაა არა მხოლოდ ანგიას წინასწარმეტყველებაში, არამედ ბიბლიის სხვა წიგნებშიც.

παντοκράτωρ, ὀρος - ყოვლისა მპყრობელი (კვირიკ.); *всерогуший, всевластный (дворецк) ; almighty, omnipotent being (Mur.) ; almighty (Lust).*

1:2 παντοκράτωρ - ყოვლისამპყრობელი Geo^ᵅ

კომპოზიტის პირველი ნაწილი *παντός* ნიშნავს *ყოველს, თითოეულს*, ხოლო *κρατέω* რაიმეს ფლობას. როგორც ვხედავთ, ქართველი მთარგმნელი ამ ბერძნული სიტყვის კალკს იყენებს.

ანგიას წინასწარმეტყველებაში ეს ტერმინი სულ თოთხმეტჯერ გვხვდება, თითოეული მათგანის ითარგმნება როგორც *ყოვლისა მპყრობელი* და თითოეულ მათგანში უფლის ყოვლისმპყრობელობაზეა საუბარი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *παντοκράτωρ* ხშირად გამოყენებადი სიტყვაა ბიბლიის წიგნებში. მცირე წინასწარმეტყველებთან, გარდა ანგიას წიგნისა, იგი სულ სამოცდათექვსმეტჯერ გვხვდება, ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა ათგანს არ ჩამოვთვლით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ თითოეული მათგანი ასევე ითარგმნება როგორც *ყოვლისა მპყრობელი*, ორგან, ამოსის წიგნის მეხუთე თავის მეერვე მუხლსა და მეცხრე თავის მეხუთე მუხლში ეს სიტყვა საერთოდ გამოტოვებულია.

ელენე ლურსმანაშვილი

მიქეას წინასწარმეტყველების ენა ბერძნული უპირო კონსტრუქციების გადმოტანის მაგალითზე

I.1. ბერძნული უშემასმენლო წინადადებები

I.1.1. *εἰμὶ* ზმნის ფორმათა გამოტოვების შემთხვევები

ბერძნულში უშემასმენლო წინადადებათა გამოყენება არც თუ იშვიათი მოვლენაა. ყოფნა ზმნა, როგორც კოპულა, ხშირად არის გამოტოვებული ბერძნულ ახალ აღთქმაში ებრაული ენის გავლენით. წინადადების ამ სახეს ნომინალური/სახელდებითი წინადადება ეწოდება (F. BLASS/ A. DEBRUNNER 1961: §127).

ἔστιν (არს) მეშველი ზმნა ყველაზე ხშირად გამოიყენება ბერძნულში. უმრავლეს შემთხვევაში სწორედ იგია გამოტოვებული. *ἔστιν* შესაძლოა ჩავარდეს: 1. სენტენციებში: *ἄξιός γάρ ὁ ἐργάτης τῆς τροφῆς αὐτοῦ* (მათე 10:10) 2. უპირო (არაპერსონალურ) კონსტრუქციებში, მაგალითად, აუცილებლობის, შესაძლებლობის, საჭიროების გამომხატველ გამონათქვამებში: *Δίλον ὅτι*, 3. ზოგიერთ კითხვით წინადადებებში: *τί ἤμιν καὶ σὺν*, (მათე 8:29), 4. ექსკლამაციებში და ისეთ გამონათქვამებში, როგორებიცაა, მაგალითად, *Μακάριος ἀνὴρ* (იაკობი 1:12) 5. იშვიათად გამოტოვებულია მარტივ ფრაზებში, 6. კოპულა *ἔστιν* შეიძლება ჩავარდნილი იყოს რისამე აღწერის დროსაც (არსებობს ასეთი და ასეთი რამ) და -τέιδ-ზე დაბოლოებულ ზმნიზედებთან (F. BLASS/ A. DEBRUNNER 1961: §127)

იშვიათია *εἰμὶ* მეშველი ზმნის სხვა გრამატიკულ ფორმათა გამოტოვების შემთხვევები. მაგ. 1. *ἔστιν*-ის ელიპსისის შემთხვევების პარალელურად შეიძლება გამოტოვებულ იქნას *εἶσιν* (არიან).

2. *εἰμὶ* (*ვარ*), *εἶ* (*ხარ*), *ἔσμεν* (*ვართ*), *ἔστέ* (*ხართ*) იშვიათად აკლია, და თუ მაინც აკლია, პირის ნაცვალსახელი, როგორც წესი, წარმოდგენილია.

3. ἦν (*იყო*) ყოველთვის ამოღებულია შემდეგ ფრაზებში: *ὁ τὸ ὄνομα* (მარკოზი 14:32), *τὸ ὄνομα αὐτοῦ* (ლუკა 1:5).

4. ἔσται (*იქნება*) და ἦ (*იყოს*) ასევე იშვიათადაა გამოტოვებული.

5. εἶν (*ნატვრითი*) და ἔστω (*ბრძანებითი*) კილოს ფორმები ამოღებულია ისეთ ფორმულებში, როგორცაა: *εἰρήνη ἰμῖν*, დოქსოლოგიებში და ა.შ.

6. ἔστω (*აწმყოს ბრძანებითის*) ფორმა ბერძნულში გამოტოვებულია მხოლოდ კლასიკურ ფორმულაში *χαρίζεσθε* (*πᾶσι*).

7. εἶναι შესაძლოა ჩავარდეს აწყოში ან იმპერფექტშიც (აგრეთვე აორისტსა და ფუტურუმში) შორისდებული ἰδὸς -ს (აჰა, აჰა-ესერა) შემდეგ (F. BLASS/ A. DEBRUNNER 1961: §128).

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ ქართულში? ცნობილია, რომ ქართული ენისათვის დამახიათებელი და ბუნებრივია შემასმენლიანი წინადადებები. თუმცა ბერძნულის გავლენით ძველ ქართულ ნათარგმნ ტექსტებში გვხვდება უშემასმენლო წინადადებებიც, მაგ.: *ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ, და დავითისით ვიდრე ბაბილოვნელთა ტყუენვამდე ნათესავი ათოთხმეტ, და ტყუენვითგან ბაბილოვნელთაათ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ* (მათე 1:17). საშუალება და ახალმა ქართულმა (საუბარია ორიგინალურ ლიტერატურაზე - ე. ლ.) კი ამგვარი კონსტრუქცია არ იცის (სარჯველაძე 1984: 161, 1997: 176).

მიქეას წინასწარმეტყველების ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე (წინასწარმეტყველება), ἔστιν ბერძნული ზმნის ფორმები გამოტოვებულია ხოლმე რომელიმე წინასწარმეტყველების აღწერისას, ქართველი მთარგმნელი კი მას ხან აღადგენს, ხან არა.

1. კოპულა ჩავარდნილია რისამე აღწერის დროს:

7:6 *διότι σὺν τῷ ἀτιμάζει πατέρα, θυγάτηρ ἐπαναστήσεται ἐπὶ τὴν μητέρα αὐτοῦ, νόμῳ ἐπὶ τὴν πενθερὰν αὐτοῦ, ἐχθροὶ ἀνδρῶν οἱ ἄνδρες οἱ ἐν τῷ οἴκῳ αὐτοῦ.*] რამეთუ ძე შეურაცხ-ჰყოფს მამასა და ასული აღდგეს დედასა თვისსა ზედა, სძალი (სძალი) და ძის ცოლი

O - დედამთილსა ზედა. და მტერ იყუნენ (იყვნენ *O*) კაცისა კაცნი სახლისა მისისანი Geo¹⁰. შდრ. მტერებ მამაკაცისა - მამანი Geo⁵.

წინამავალი ბერძნული ზმნის ფორმის (ἐπαναστήσεται) გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამოტოვებული კოპულა ფუტურუმის ფორმა უნდა იყოს, იგი შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის ადგილასაა ჩავარდნილი. უძველეს ქართულ თარგმანში კი აღდგენილია მეორე კავშირებითის მწკრივით, რომელსაც ჰქონდა თხრობითი კილოს მქონე მომავალი დროის გამოხატვის უნარი.

ἐστίν ზმნის ფუტურუმის ფორმა ივარაუდება ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებაშიც, რომელიც ასევე წინასწარმეტყველებას აღწერს ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ჩავარდნილი კოპულა არც ძველ ქართულ თარგმანშია აღდგენილი:

5:2 ἐκ σοῦ μοι ἐξελεύσεται τοῦ εἶναι εἰς ἄρχοντα ἐν τῷ Ἰσραηλ, καὶ αἱ ἔξοδοι αὐτοῦ ἂπ' ἀρχῆς ἐξ ἡμερῶν αἰῶνος.] რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდა მთავარი ისრაჴლსა ზედა რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჴლი (რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჴლი] რომელი მთავრობდეს ისრაჴლსა ზედა Lt; > O) და გამოსავალნი მისნი დასაბამითგან (დასაბამით O) დღეთა (დღათაგან O) საუკუნეთა. Geo^{10Lt}

შდრ. რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდად ყოფადი მთავრად ისრაჴლსა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით დღეთაგან საუკუნოდასათა Geo^{6S}.

1:2 καὶ ἔσται κύριος ἐν ἡμῖν εἰς μαρτύριον, κύριος ἐξ οἴκου ἀγίου αὐτοῦ.] და იყოს უფალი ღმერთი (უფალი O) მოწამე თქუნ შორის საწამებელად, უფლისა სახლისაგან წმიდისა მისისა. Geo¹⁰

შდრ. და იყავნ უფალი ღმერთი თქუნ შორის მოწამედ, უფალი სახლით გამო წმიდით მისით Geo⁵.

ორ შემთხვევაში ἐστίν ზმნის ფორმები გამოტოვებულია უბრალო აღწერის დროს. სავარაუდოდ, კონტექსტიდან გამომდინარე, ჩავარდნილია აწმყო დროის მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა - არს. აღნიშნული ზმნა არც ოშკურ და იერუსალიმურ ვერსიებშია წარმოდგენილი:

1:13 *ψόφος ἀρμάτων καὶ ἰππευόντων. κατοικοῦσα Λαχίς, ἀρχηγὸς ἀμαρτίας αὐτῆ]*
ბგერად ეტლებისა და მკედართა და მკვდრებული ლაქის წინამძღუარი ცოდვისა
მისისა Geo¹⁰.

შდრ. *ბგერა[დ] [სა]ჭურველთა და ცხენოსანთა და მკვდრებული ლაქის*
წინამძღუარი ცოდვისა (ცოდვსა S) Geo^{GS};

1:5 *διὰ ἀσέβειαν Ἰακωβ πάντα ταῦτα καὶ διὰ ἀμαρτίαν οἴκου Ἰσραηλ.]*
ულმრთობისათჳს იაკობისა ესე ყოველი და ცოდვისათჳს სახლისა იუდაასა Geo¹⁰.

შდრ. *უთნობისათჳს იაკობისა ყოველნი ესე და ცოდვისათჳს სახლისა*
ისრაჲლისა Geo^S;

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბერძნულ კითხვით წინადადებებში ხშირია *ἐστίν* ზმნის ფორმათა გამოტოვების შემთხვევები (მე-3 პუნქტი). შესაბამის კონსტრუქციათა უძველესი ქართული თარგმანი კი ყოველთვის გავრცობილია *არს* ფორმით.

2. *ἐστίν* ზმნის ფორმები გამოტოვებულია კითხვით წინადადებებში:

6:8 *ἀνηγγέλη σοι, ἄνθρωπε, τί καλόν;] მე ვითხრა შენ, კაცო, რად იგი არს კეთილ Geo^{10P}.*

შდრ. *მიგეთხრა შენ, ზი კაცო, რად კეთილ Geo^S.*

7:18 *τίς θεὸς ὃσπερ σὺ;] ვინ არს ღმერთი (ღმერთ OP), ვითარ-ეგე შენ? Geo^{10P}.*

შდრ. *ვინ არს ღმერთ, ვითარ შენ? Geo^S.*

გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ქართულ თარგმანში *არს* მეშველი ზმნა კითხვის პასუხში არაა აღდგენილი, ეს ქართულისათვის ბუნებრივი გამოტოვებაა განმეორების თავიდან ასაცილებლად, ჩავარდნილი შემასმენელი მარტივად აღდგება წინამავალი წინადადების გათვალისწინებით. მაგალითად:

1:5 *τίς ἢ ἀσέβεια τοῦ Ἰακωβ; οὗ Σαμάρεια; καὶ τίς ἢ ἀμαρτία οἴκου Ἰουδα; οὗ χὶ Ἱερουσαλημ;]*
ვინა (ვინ O) არს ულმრთობად იაკობისი? ანუ არა სამარია? და ვინ არს ცოდვად
სახლისა იუდაასი? ანუ არა იერუსალჲმი? Geo¹⁰.

შდრ. *რად არს უთნობა იაკობისი? არა სამარია? და რად ცოდვად სახლისა*
იუდაასი? არა იერუსალიმი? Geo^S;

I.1.2. ბერძნული უშემასმენლო წინადადებები, რომლებშიც შემასმენელი მარტივად აღდგება წინამავალი წინადადების გათვალისწინებით

მიქეას წინასწარმეტყველების ბერძნულ ტექსტში უშემასმენლო წინადადებების კიდევ ერთ სახეს ვხვდებით, კერძოდ, მათში გამოტოვებულია ზმნა-შემასმენელი, რომლის აღდგენაც შესაძლებელია წინამავალი წინადადების გათვალისწინებით. მსგავსი გამოტოვება არც ქართული ენისთვისაა უცხო და წინადადების აზრიც ადვილი გასაგებია, რადგან შემასმენელი პირველი ნაწილის მიხედვით მარტივად იგულისხმება, შესაძლოა ჩავარდნილი იყოს ნებისმიერი სახის შემასმენელი (მათ შორის *ყოფნა* ზმნის ფორმებიც - ე.ლ.) (მელიქიშვილი 2019: 101-102). უძველეს ქართულ თარგმანში მსგავსი გამოტოვება ყოველთვის გადმოტანილია:

3:12 *καὶ Ἰερουσαλημ ὡς ὁ παροφυσάκιον ἔσται καὶ τὸ ὄρος τοῦ οἴκου εἰς ἄλσος δρυμῶν.]*
იერუსალჴში ვითარცა ხილის საცავი იქმნეს (იქმნას O) და მთაჲ იგი სახლისა უფლისაჲ - ვითარცა სერტყი მადნარისაჲ. Geo¹⁰

შდრ. და *იზრუსალიმი ხილის საცავად იყოს და მთაჲ სახლისა უფლისაჲ - სერტყად მადნარისაჲ. Geo^{GS}.*

4:2 *δι ἐκ Σιων ἐξελεύσεται νόμος καὶ λόγος κυρίου ἐξ Ἰερουσαλημ.]* რამეთუ სიონით გამოვიდეს შჯული, და სიტყუაჲ უფლისაჲ - იერუსალჴმით. Geo¹⁰

შდრ. რამეთუ სიონისაგან გამოვიდეს შჯული და სიტყუაჲ უფლისაჲ იერუსალჴმისაგან Geo^{GS}.

4:4 *καὶ ἀναπαύσεται ἕκαστος ὑποκάτω ἀμπέλου αὐτοῦ καὶ ἕκαστος ὑποκάτω συκῆς αὐτοῦ,]* და განისუენებდეს კაცად-კაცადი ქუემზ ვენაჴსა თჴსსა (ვენაჴსა თჴსსა ქუემზ O) და კაცად-კაცადი - ქუემზ ლელუსა თჴსსა (ლელოვანსა თჴსსა ქუემზ O) Geo¹⁰

შდრ. და განისუენებდეს კაცადი ქუზჴე ვენაჴსა თჴსსა და კაცადი - ქუზჴე (ქუემზ S) კერძო ლელუსა (ლელვისა S) თჴსისა Geo^{GS}.

7:6 *θυγάτηρ ἐπαναστήσεται ἐπὶ τὴν μητέρα αὐτῆς, νύμφη (νύμφη) pr. και A AchSa Aeth, Geo^o: cf. Matth. 10:35 /) ἐπὶ τὴν πενθερὰν αὐτῆς]* ასული აღდგეს დედასა თვისსა ზედა, სძალი (სძალი] და ძის ცოლი O) - დედამთილსა ზედა Geo^o

შდრ. ასული ზედა-აღდგების დედისა ზედა თვისსა, სძალი - დედამთილისა ზედა თვისსა Geo^s

7:12 *καὶ αἱ πόλεις σου ἤξουσιν εἰς ὀμαλισμὸν καὶ εἰς διαμερισμὸν [Ἀσσυρίων] καὶ αἱ πόλεις σου αἱ ὄχραι εἰς διαμερισμὸν ἀπὸ Τύρου ἕως ποταμοῦ.]* და ქალაქნი შენნი მიიწინენ შეყენებად (შესაყენებელად O) და განსაყოფელად (განსარყოფელად OP) ასურასტანელთა. და ქალაქნი შენნი მოზღუდვილნი - აღსაჭრელად ტჯროსითგან (ტჯროსით O) ვიდრე მდინარედმდ^ლ (მდინარედმდე OP) Geo^oOP

შდრ. და ქალაქნი შენნი მოვიდენ განსაწილველად ასურასტანელთა. და ქალაქნი შენნი მაგარნი - განსაწილველად ტჯროსითგან ვიდრე მდინარედმდე ასურეთისა Geo^s.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მთარგმნელი სხვადასხვანაირად იქცევა, როდესაც ბერძნულ დედანში *ἕστιν* ზმნის ფორმები გამოტოვებულია. მას დედნის ეს თავისებურება, როგორც მისი სტილისტური ნიშანი, კითხვით წინადადებებში არასდროს არ გადმოაქვს, რადგანაც თუკი მასში შემასმენელი არ არის, მთარგმნელი მას ყოველთვის აღადგენს არს მეშველი ზმნით. რაოდენობრივი ცვლილების ამ სახეს (როდესაც წინადადებაში შემასმენელი არ არის და მთარგმნელი აღადგენს) **ლინგვისტური ეგზეგეზა** ეწოდება (ხარანაული 2009: 941). სხვა შემთხვევებში კი ზოგჯერ აღადგენს, ზოგჯერ არა.

მეორე მხრივ, წინასწარმეტყველების უძველეს ქართულ თარგმანში ყოველთვისაა გადმოტანილი იმ ზმნა-შემასმენელთა გამოტოვება, რომელთა აღდგენაც მარტივად შეიძლება წინამავალი წინადადების გათვალისწინებით.

I.2. ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქციები (F. BLASS / A. DEBRUNNER 1961: § 388, 389, 390, 391, 392, 393, 394)

ინფინიტივი (განუსაზღვრელი კილო) ბერძნულ ენაში მრავალი ფუნქციის მატარებელია. იგი გვხვდება როგორც ახალი და ძველი აღთქმის წიგნებში, ასევე ბერძენ კლასიკოს ავტორებთანაც. როგორც გრამატიკულ ლიტერატურაშია აღნიშნული, ინფინიტივს ბერძნულ ენაში შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

ა) გამოხატავდეს ბრძანებას (**ბრძანებითის ინფინიტივი**), იგი განსაკუთრებით ძველია და ფართოდ გამოიყენება ჰომეროსთან. მისი ჩანაცვლება თავისუფლად ხდება ἵνα კავშირიანი აღწერითი კონსტრუქციით.

ბ) გამოხატავდეს მიზანს (**მიზნის ინფინიტივი**, ვრცლად ქვემოთ).

გ) გვიჩვენებდეს შედეგს (**შედეგის ინფინიტივი**), იგი დაკავშირებულია მიზნის ინფინიტივთან და ისე სხვაობს ამ უკანასკნელისგან, როგორც ἵνα ὅτι კავშირიანი წინადადებისაგან. შესაბამისად, მისი ჩანაცვლება ხდება ὅτι კავშირიანი აღწერითი წინადადებით.

დ) შესაძლოა ინფინიტივი წარმოდგენილი იყოს, როგორც **ზმნის დამატება**. აღნიშნული ახლოს დგას მიზნისა და შედეგის ინფინიტივთან. იგი გამოიყენება სურვილის, ბრძოლის/სწრაფვის, რისამე თავიდან აცილების, ხსოვნის, მოხმობა/მოწვევის, კეთების, ნების დართვის, ხელის შეშლის, შესაძლებლობის... შინაარსის ზმნებთან.

ე) ინფინიტივი გვხვდება უპირო, არაპერსონალურ გამოთქმებში, აგრეთვე სხვადასხვა სახის ზედსართავებთანაც. ასე მაგალითად: *δυσχερής* (*ძლიერი*), *ἄξιός* (*ღირსეული*), *ἰκανός* (*საკმარისი*), *ἔτοιμος* (*გამზადებული*) და მსგავსი შინაარსის ზედსართავები გამოიყენება εἵνα ინფინიტივთან კომბინაციაში. ამ შემთხვევებში ინფინიტივი შეიძლება ჩაითვალოს მიზნის ან მიმართულების გამომხატველად.

ვ) არსებობს **განმარტებითი (ეგზეგეტიკური) ინფინიტივი**. მისი ადგილი შეიძლება დაიკავოს ἵνα კავშირიანმა წინადადებაამაც

I.2.1. ბერძნული მიზნის ინფინიტივი და მისი გადმოტანის გზები ქართულში

ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებულ მიქეას წინასწარმეტყველების ბერძნულ ტექსტში, ძირითადად, მიზნის ინფინიტივი გვხვდება. ფორმალური თვალსაზრისით იგი შეიძლება გამოხატული იყოს გენეტივის τῶν არტიკლთან ერთადაც და მის გარეშეც (არტიკლისგან დამოუკიდებლადაც შესწევს უნარი მიზნის გამოხატვისა). გარდა არტიკლისა, მიზანს გამოხატავს εἰς წინდებულის კომბინაციაც ინფინიტივთან და იგი ფაქტობრივად არ სხვაობს უთანდებულო, ე.ი. ოდენ τῶν + inf. კონსტრუქციისგან. მიზნის ინფინიტივის სემანტიკური ეკვივალენტი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა. იგი თავისუფლად შეიძლება გამოიხატოს ἵνα კავშირიანი აღწერითი კონსტრუქციით, რომელიც ასევე ბუნებრივია ბერძნულისათვის, იკავშირებს რა დაქვემდებარებულ წინადადებას. ἵνα კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადება შესაძლოა გამოყენებული იყოს ირიბი ნათქვამის დროსაც. ხაზგასასმელია, რომ სექტუაგინტას ტექსტში ἵνα კავშირიანი კონსტრუქცია იშვიათად გვხვდება ებრაული ენის გავლენით (F. BLASS / A. DEBRUNNER 1961: § 388, 390, 400, 402).

მიზნის გარემოების გამომხატველი ინფინიტივური კონსტრუქცია ბერძნულში სრული სახით წარმოგვიდგება შემდეგნაირად: გენეტივის არტიკლს (τῶν)/ ან εἰς წინდებულს + ინფინიტივი + პირდაპირი დამატება აკუზატივში და/ან ირიბი დამატება დატივში.

ზემოაღნიშნული კონსტრუქცია ქართულში გადმოდის სამი გზით:

- ა) ინფინიტივითა და დამატებებით
- ბ) რამთა კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადებით
- გ) ზმნის პირიანი ფორმის შემცველი მარტივი წინადადებით

I.2.1. ა) ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქცია ქართულში გადმოდის ინფინიტივითა და დამატებებით

სანამ უშუალოდ წინასწარმეტყველების ტექსტის მაგალითთა ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ბერძნული ინფინიტივის შესატყვის ტერმინთა დაზუსტება ქართულში. არამ მარტივოსოვი წერს, რომ „*V-X საუკუნეების ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლების მიხედვით ძველ ქართულში აშკარად ჩანს პროცესი თავისებური „ინფინიტივის“ ჩამოყალიბებისა. ესაა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის თავისებური ხმარება... ასეთი მასდარი წარმოების თვალსაზრისით ნაზმნარი სახელია, მაგრამ ჩვეულებრივი მასდარისაგან განსხვავებით იგი ხასიათდება ინფინიტივის შესაფერისი სინტაქსური ფუნქციებით. სხვა ენების ინფინიტივის მსგავსად ასეთი მასდარი სათანადო კონსტრუქციაში ყოველთვის „ირიბ ბრუნვაში“ (ვითარებითში) გვევლინება. მას, სახელობითში დასმული მასდარისაგან განსხვავებით, მეტი ზმნური ძალა გააჩნდა. მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები ასეთი მასდარი პირდაპირ დამატებას ისევე იტუებდა ბრუნვებში (სახელობითსა და მიცემითში), როგორც სათანადო ზმნის ფორმა. ამგვარად ვითარებითში დასმული მასდარი ინფინიტივის ფუნქციებს სინტაქსური თვალსაზრისით ავლენდა... ზემოაღნიშნულის გარდა, ვითარებითში დასმულ მასდარს ინფინიტივთან საერთო სხვა სინტაქსური ფუნქციებიც მოეპოვება. ასეთი მასდარის მქონე მარტივი წინადადება ჩვეულებრივ გადმოსცემს იმ შინაარსს, რაც სხვა შემთხვევაში რთული ქვეწყობილი წინადადებით გამოიხატება“ [მარტივოსოვი 1955: 45-46]. დ. ჩხუბიანაშვილი აღნიშნავს, რომ „*ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე სხვა ენათა ინფინიტივის როლს ასრულებდა. მისი, როგორც ინფინიტივის არსებობა V-X საუკუნეებით შემოიფარგლება. ერთ-ერთი სინტაქსური ფუნქცია ინფინიტივისა, რომელიც მას XII - XIII საუკუნეებშიც ჰქონდა შემორჩენილი, იყო მიზნის გარემოების გამოხატვა... ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარის შემცველი მარტივი წინადადება ჰიპოტაქსურ შინაარსს გამოხატავდა“ [ჩხუბიანაშვილი 1961: 193-194].**

ჩვენი აზრით, იმ ფორმისთვის, რომელსაც შესწევს სახელის ბრუნვაში მართვის უნარი, შემცველია ჰიპოტაქსური შინაარსისა და რომლის სინტაქსურ ფუნქციას ძველ და საშუალო ქართულშიც კი მიზნის გარემოების გამოხატვა წარმოადგენდა, უნდა გამოვიყენოთ ტერმინი **ინფინიტივი** (არა - ვითარებითში დასმული მასდარი). ზუსტად ისე, როგორც ბერძნულ ენაში, რადგან ინფინიტივი, როგორც **სინტაქსური** კატეგორია, სწორედ მისი ანალოგია და აქვს ის ფუნქციები, რაც ბერძნულ ინფინიტივს. მეორე საკითხია, რომელი მორფოლოგიური ფორმა გამოიყენა ქართულმა ენამ აღნიშნული კატეგორიის შესაქმნელად. ეს უკანასკნელი ამჯერად ჩვენი კვლევისა და ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, ვაკეთებთ რა სინტაქსურ კატეგორიათა ანალიზს.

საანალიზოდ აღებული ტექსტის მაგალითთა უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ ბერძნული მიზნის ინფინიტივი ქართულ უძველეს თარგმანშიც მიზნის გარემოების გამომხატველი ინფინიტივითაა გადმოტანილი. იგი გამოიყენება სხვადასხვა სემანტიკის ზმნებთან:

ა) ინფინიტივი რისამე აღვსების შინაარსის ზმნასთან:

3:8 *ἐὰν μὴ ἔγῃ ἐμπλήσῃ ἰσχύς ἐν πνεύματι ... τοῦ ἀπαγγεῖλαι πρὸς Ἰακωβὸν ἀσεβείας αὐτοῦ]*
უკუეთუ მე არა აღვავსო ძალი სულითა ... მითხრობად (მითხრობითა O) იაკობისა (იაკობსა O) უღმრთოებანი მისნი Geo¹⁰

შდრ. *მითხრობად იაკობსა უთნობანი მისნი Geo^{GS}.*

ეს მაგალითი იმითაცაა საინტერესო, რომ ბერძნული მიზნის ინფინიტივური კონსტრუქციის სრულ სახეს წარმოგვიდგენს: გენეტივის არტიკლს (τοῦ) + ინფინიტივი + ირიბი დამატება დატივში (πρὸς Ἰακωβὸν) + პირდაპირი დამატება აკუზატივში (ἀσεβείας).

ბ) ინფინიტივი ყოფნა/არსებობის სემანტიკის ზმნებთან:

7:1 *οὐκ ὑπάρχοντος βότρυος τοῦ φαγεῖν τὰ πρωτόγονα]*
ჭამად პირველი ნყოფი Geo¹⁰

შდრ. *არყოფასა ტევნისასა ჭამად პირველ ნყოფთა Geo^S*

3:1 *οὐκ ἔστιν ἔσθαι τὸ κρίμα;]*
არს თქუენი არს ცნობად სამართლისა (სამართლისა O) Geo¹⁰.

შდრ. არა თქნი არს ცნობად მშჯავრი (მსჯავრი S) Geo^{GS};

2:4 και οὐκ ἦν ὁ καλῦσαν αὐτὸν τοῦ ἀποστρέψαι] და არავინ იყო მაყენებელ მისა მოქცევად Geo^O.

შდრ. და არა იყო მაყენებელი მისი მოქცევად Geo^{GS}.

გ) ინფინიტივი ხელის შეშლის, რისამე შეწყვეტის, აკრძალვის შინაარსის ზმნასთან:

7:5 φύλαξαι τοῦ (τοῦ] + μη 764) ἀναθέσθαι τι] ეკრძალე თხრობად რადმე (რადსამე O) Geo^O. შდრ. დაფარე არ თხრობად რადმე Geo^S

დ) ინფინიტივი რისამე გახდის სემანტიკის ზმნასთან:

2:8 τὴν δόξαν αὐ τοῦ ἐξέδειραν τοῦ ἀφελέσθαι ἐλπίδα] ტყავი მისი განჰკადეს მიღებად სასოებისა (შდრ. სასოება O) Geo^O.

შდრ. Geo^{GS} = Geo^I;

ინფინიტივთან მდგარი პირმიმართი წევრები

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინფინიტივს აქვს პირმიმართ დამატებათა ბრუნვაში მართვის უნარი. ამის არაერთ მაგალითს შევხვდით მიქეას წინასწარმეტყველების ტექსტშიც.

ინფინიტივი მართავს პირდაპირ დამატებას სახელობით ბრუნვაში:

7:1 ოდეს-იგი არა არნ ტევანი ჭამად პირველი ნაყოფი Geo^O

7:5 ეკრძალე თხრობად რადმე (რადსამე O) Geo^O

2:8 ტყავი მისი განჰკადეს მიღებად სასოება (შდრ. სასოებისა J) Geo^O

ინფინიტივი მართავს ირიბ დამატებას მიცემითში, პირდაპირ დამატებას სახელობითში:

3:8 უკუეთუ მე არა აღვავსო ძალი სულითა ... მითხრობად (მითხრობითა O) იაკობსა (იაკობისა J) უღმრთოებანი მისნი Geo^O.

საინტერესოა ერთი გარემოება, ინფინიტივის გვერდით წარმოდგენილი დამატება შეიძლება არ იდგეს არც მიცემით და არც სახელობით ბრუნვებში. ასე მაგალითად:

2:8 ტყავი მისი განჰკადეს მიღებად სასოებისა (შდრ. სასოებაჲ O) Geo¹⁰.

3:1 არა თქუენი არს ცნობად სამართალისა (-თლისა O) Geo¹⁰.

2:4 და არავინ იყო მაყენებელ მისა მოქცევაჲ Geo¹⁰.

7:5 ეკრძაღე თხრობად რაჲსამე (რაჲმე J) Geo¹⁰

აღნიშნულ ფორმებს არამ მარტიროსოვი ნანათესაობითარ ვითარებითად მიიჩნევს და ამბობს, რომ „ნათესაობითში დასმული მსზღვრელი ეთანხმება ვითარებითში დასმულ საზღვრულს ბრუნვაში და ვიღებთ საზღვრულ-მსაზღვრელის ისეთ ფორმებს, როგორიცაა „ჭამად პურისა“... აქ რომ პურისა ნანათესაობითარი ვითარებითა, ამას ამტკიცებს მსაზღვრელად გამოყენებული ვითარებითში დასმული ნაცვალსახელი ან საკუთარი სახელი (მაგ.: შენდა, ჩემდა... - ე.ლ.) [მარტიროსოვი 1955: 54].

ზურაბ სარჯველაძე „მოდულებად ბოროტისა“ და სხვა ანალოგიურ ფორმებს ნათესაობითში მდგარ უბრალო დამატებას უწოდებს (სარჯველაძე 1997: 176). იმავე სახელდებას იყენებს ივ. იმნაიშვილიც (იმნაიშვილი 1957: 751).

თედო უთურგაიძის მართებული შენიშვნით, „ბრუნვებს, როგორც პარადიგმატულ ერთეულებს შეუძლიათ ურთიერთჩანაცვლება, მაგრამ არ შეუძლიათ თანაარსებობა ერთ ფორმაში. ძველი ქართულის „მართულ“ და „მართულ-შეთანხმებულ“ ფორმებში -ის/ -ისა წარმოქმნის ელემენტებია“ [უთურგაიძე 2004:170].

თუ მივიჩნევთ, რომ „მიღებად სასოებისა“ და მსგავსი ფორმები ერთმანეთის მიმართ საზღვრულ-მსაზღვრელია, მაშინ „სასოებისა“ ელემენტს უნდა მივცეთ სუბსტანტიური მსაზღვრელის კვალიფიკაცია, რომელიც ვითარებით ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულ წევრს. რადგანაც ნებისმიერი სახის მსაზღვრელი „მოკლებულია საკუთარ ბრუნვას, რიცხვსა და სქესს, მას ეს კატეგორიები საზღვრულისა უნდა ჰქონდეს“ [უთურგაიძე 2004: 171].

მეორე მხრივ, დგება საკითხი - უნდა კვალიფიცირდეს თუ არა ზემოაღნიშნული ფორმები საზღვრულ-მსაზღვრელად და, შესაბამისად, მათ შორის არსებული სინტაქსური კავშირი - შეთანხმებად. დადებითი პასუხის შემთხვევაში გამოდის, რომ

„მიღებად სასოებისა“ და სხვა ტიპიურ მაგალითებში ინფინიტივი არის სახელი და არა ზმნა, რადგან იგი კი არ მართავს პირმიმართ წევრს ბრუნვაში, არამედ ითანხმებს უბრალო დამატებას. დ. ჩხუბიანაშვილი აღნიშნავს, რომ ამგვარ ფორმათა არსებობა ინფინიტიური კონსტრუქციის რღვევის და მისი თანდათან გადაშენების ნიშანია (ჩხუბიანაშვილი 1972: 80).

იმის გათვალისწინებით, რომ ინფინიტივი, როგორც კატეგორია, ჩამოყალიბდა თარგმანის გზით ბერძნული ენის საფუძველზე, შესაბამისად, მისი ზმნური ძალაც პირმიმართ წევრთა ბრუნვაში მართვისა (პირდაპირი დამატებისა სახელობითსა და მიცემითში ბერძნული აკუზატივის ფარდად და ირიბი დამატებისა მიცემითში ბერძნული დატივის დარად), ლოგიკურია, რომ ბერძნული ენის გავლენა იყოს. მისი ეს ფუნქცია, შესაძლოა, არც ყოფილიყო ბუნებრივი ქართულისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ წინადადებებში ხან ოშკი გვიჩვენებს ინფინიტივის ზმნური ძალის დაქვეითებას, ხანაც იერუსალიმი. მაგალითად: 7:5 *ეკრძალე თხოვრებად რადმე (რადსამე O) Geo¹⁰, 2:8 ტყავი მისი განჰკადეს მიღებად სასოებისა* (შდრ. *სასოებად O) Geo¹⁰*. პირველადი, მთარგმნელისეული ჩვენება უნდა იყოს დამატებები, რომლებიც ბრუნვაში მართულია ინფინიტივის მიერ, რადგან ასე იყო დედანში, ბერძნულში, საიდანაც სრულდებოდა თარგმანი. პირმიმართ წევრთა უბრალო დამატების ბრუნვებში ჩასმა კი გადამწერს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მისთვის ბუნებრივი იყო სწორედ ამგვარი წყვილი. როგორც ჩანს, მას ინფინიტივი + დამატება ფორმები შესაძლოა გაეგო საზღვრულ-მსაზღვრელის ურთიერთობად.

I.2.1. ბ) ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქცია ქართულში გადმოღის რაფთა კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადებით

ბერძნული მიზნის ინფინიტივის სემანტიკური ეკვივალენტი ქართულში რაფთა კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადება (მსგავსად ბერძნული ἵνα კავშირიანი აღწერითი კონსტრუქციისა). საინტერესოა, რომ მიზნის გარემოების გამომხატველი ჰიპოტაქსური წინადადება ინფინიტივურის სანაცვლოდ მიქვას

წინასწარმეტყველების ომკურ და იერუსალიმურ ვერსიებში მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა:

6:8 *τί κύριος ἐκζητεῖ παρὰ σοῦ ἄλλ' ἢ τοῦ ποιεῖν κρίμα καὶ ἀγαπᾶν ἔλεος καὶ ἔτοιμον εἶναι τοῦ πορεύεσθαι μετὰ κυρίου θεοῦ σου;*] რასა ეძიებს უფალი შენგან: არამედ ყოფად (ნაყოფსა P) სიმართლესა (სიმართლისა O, სიმართლისასა P) და რადთა გიყუარდეს წყალობად და განმზადებულ (განმზადებულ] + იყო J) ყოფად (+ და O) რადთა ხვდოდი (ჰხვდოდი O) ღმრთისა შენისა თანა Geo^{10P}.

შდრ. რასა ეძიებს შენგან უფალი: არამედ ქმნასა მსჯავრისასა და შეყუარებასა წყალობისასა და მზა-ყოფასა სლვად უფლისა თანა ღმრთისა შენისა Geo⁵.

როგორც ვხედავთ, ინფინიტივი ბერძნულში ოთხჯერაა გამოყენებული და ოთხივე წინადადების მეორე ნაწილშია წარმოდგენილი, მათგან პირველი სამი „და“ კავშირითაა შეერთებული და უკავშირდება ἐκζητεῖ ზმნას, ისინი ერთმანეთის თანაზომიერი წინადადებებია და ცალ-ცალკე გამოხატავენ გარკვეულ მიზანს (*τοῦ ποιεῖν κρίμα καὶ ἀγαπᾶν ἔλεος καὶ ἔτοιμον εἶναι*) ამასთან, პირველი და მეორე ინფინიტივები შეიწყობენ პირდაპირ ობიექტს აკუზატივში. მესამე მათგანი უშუალოდ იკავშირებს მეოთხე ინფინიტივს, რომელიც სემანტიკურად მისი მიზნის გაემოებითი დამოკიდებული წინადადებაა⁷ (*ἔτοιμον εἶναι τοῦ πορεύεσθαι*). ესე იგი, ფაქტობრივად, გვაქვს ორმაგი დაქვემდებარება. როგორაა ასახული ყოველივე ეს ქართულში: წარმოდგენილია ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, რომლის დამოკიდებულ ნაწილში პირველი ინფინიტივი ასევე მიზნის ინფინიტივითაა გადმოსული (*არამედ ყოფად (ნაყოფსა P) სიმართლესა (სიმართლისა O, სიმართლისასა P)*), იგი შეიწყობს პირდაპირ დამატებას მიცემითში (იერუსალიმურ ვერსიაში). ამას მოსდევს რადთა კავშირიანი ზმნის პირიანი ფორმა (და რადთა გიყუარდეს წყალობად), უკანასკნელს კი „და“ კავშირით მიერთვის ინფინიტივი და მასზე მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადება: *განმზადებულ (განმზადებულ] + იყო J) ყოფად (+ და O) რადთა ხვდოდი*

⁷ აქვე დავსძენთ, რომ ἔτοιμος ფორმასთან εἶναι ინფინიტივის გამოყენება ნიშანდობლივია ბერძნულისათვის (F. BLASS / A. DEBRUNNER 1961: § 393).

(*ჰხვდოდი O*) ღმრთისა შენისა თანა). აქაც ორმაგი დაქვემდებარებაა. აღსანიშნავია, რომ პირველადი ჩვენება უნდა იყოს - *განმზადებულ ყოფად რაათა ხვდოდი (ჰხვდოდი O)*... იყო ზმნისა და და კავშირის დამატება მეორადი ვარიანტებია. მოცემული კონსტრუქციის სირთულე, სწორედ, ტექსტის ისტორიაში ვლინდება.

საინტერესოა, რა განაპირობებს ქართულ თარგმანებში ინფინიტივური კონსტრუქციის ჰიპოტაქსურით შეცვლას? როგორც თინათინ ცქიტიშვილი აღნიშნავს, სულ სხვაა ამ ტიპის კონსტრუქციათა ბუნებრივი ქართულისათვის დამახასიათებელი ზომიერებით გამოყენება. ქართულისათვის ნიშანდობლივია ზმნის პირიანი ფორმები წინადადებაში, ინფინიტიურ და მიმღობურ კონსტრუქციათა ხმარება ამძიმებს და ანელებს თხრობის დინამიურობას, აბუნდოვნებს აზრს (ცქიტიშვილი 1976: 219). აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ინფინიტიური კონსტრუქციის ჰიპოტაქსით გადმოტანა იერუსალიმურ და ოშკურ ნუსხებში განაპირობა მისმა მიჯრით გამოყენებამ. თუმცა ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილ აღნიშნულ კონსტრუქციათა ზედმიწევნით გადმოტანა შეუძლებელი რომ არაა ქართულისათვის, ამის მაგალითს გელათი წარმოგვიდგენს.

I.2.1. გ) ბერძნული ინფინიტივური კონსტრუქცია ქართულში გადმოდის ზმნის პირიანი ფორმის შემცველი მარტივი წინადადებით

ერთადერთ შემთხვევაში ბერძნული მიზნის ინფინიტივი უძველეს ქართულ თარგმანებში ზმნის პირიანი ფორმის შემცველი მარტივი წინადადებითაა გადმოტანილი:

6:13 *καὶ ἐγὼ ἄρξομαι τὸν πατάξαι σε*] და მეცა გტანჯე შენ Geo¹⁰

შდრ. და მე ვიწყებ დაცემად შენდა Geo⁵

როგორც მაგალითიდან ჩანს, ἄρξομαι ზმნა ქართულში საერთოდ გამოტოვებულია და ამის საპირწონედ τὸν πατάξαι გადმოტანილია პირიანი ფორმით, ე. ი. გახსნილია იდიომა.

I.3. მიმღობური კონსტრუქციები (F. BLASS / A. DEBRUNNER 1961: §411. 412, 414. 415, 416, 417)

ბერძნულში მიმღობა სამი ძირითადი ფუნქციით გამოიყენება:

- ა) დამატებითი მიმღობა
- ბ) განსაზღვრებითი მიმღობა
- გ) ზმნიზედური (გარემოებითი) მიმღობა

განსაზღვრებითი მიმღობის ეკვივალენტი განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებაა.

დამატებითი მიმღობა შემასმენლებთან ერთად გამოხატავს *ყოფნა* და *კეთება* ზმნების შეცვლილ, მოდიფიცირებულ მნიშვნელობას. გამოიყენება გარკვეული ემოციის (χαίρειν, ὀργίζεσθαι), აღქმა-შემეცნების (βλέπειν, θεωρεῖν, ἰδεῖν, γινώσκειν) გამომახტველ შემასმენლებთან ერთად.

ზმნიზედური (გარემოებითი) მიმღობის ეკვივალენტი დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა.

I.3.1. მიმღობური კონსტრუქციების გადმოტანა ქართულში

მიმღობური კონსტრუქცია გულისხმობს იმას, რომ მიმღობა ცვლის წინადადების ნაწილს - შემასმენელსა და მასთან პირით დაკავშირებულ წევრებს (სარჯველაძე 1984: 162). მიმღობური კონსტრუქცია, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსაზღვრებით, ქვემდებარული, დამატებითი... დამოკიდებული წინადადებების ნაცვლად. ქვეწყობილი (ჰიპოტაქსური) და მიმღობური კონსტრუქციების მონაცვლეობა უცხო არაა ძველი ქართულისათვის (ჩხუბიანაშვილი 1961: 194-195). დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ რთული ქვეწყობილი წინადადებების შეცვლა მოკლე მიმღობური კონსტრუქციით ერთ-ერთი საშუალებაა რთული კონსტრუქციებისაგან ენის განტვირთვისა (მელიქიშვილი 2019: 105). დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე მდგომი, ერთი მიმღობის გადმოტანა

ქართველი მთარგმნელისათვის პრობლემას არ წარმოადგენს და ეს არც სიუცხოვის ეფექტს ქმნის ენაში.

როგორც წესი, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია გვხვდება მიმღობათა ჭარბი გამოყენების შემთხვევებში, სხვა დროს მიმღობა ჰიპოტაქსით იშვიათად იცვლება. მიქეას წინასწარმეტყველების უძველეს ქართულ თარგმანებში მიმღობური კონსტრუქციების გადმოტანის 2 გზას გამოვყოფთ: 1. როდესაც ბერძნული პარტიციპიუმი გადმოსულია მიღობით, 2. როდესაც ბერძნული პარტიციპიუმი გადმოსულია დაქვემდებარებული წინადადებით.

I.3.1. ა) ბერძნული პარტიციპიუმი გადმოსულია მიმღობით:

ა) აქტიური პარტიციპიუმი - მიმღობა:

1:11 *κατοικοῦσα καλῶς τὰς πόλεις ἀπὸς τὸν ἑξήλθε κατοικοῦσα Σενναα]*
დამკვდრებული ეგე კეთილად ქალაქთა მისთა არა გამოვიდა დამკვდრებული
(დამკვდრებული] – O) სენაარს (სენარს O) Geo¹⁰.

შდრ. დამკვდრებულმან კეთილად ქალაქთა მისთა. არ გამოვიდა დამკვდრებული სენაარს Geo⁵.

1:13 *κατοικοῦσα Λαχis, ἀρχηγὸς ἀμαρτίας ἀπὸς τῆ ἐστὶ τῆ θυγατρὶ Σιω]*
დამკვდრებული ლაქისს წინამძღუარი ცოდვისა მისისაჲ, ესე არს ასულისა (ასულიO)
სიონისაჲ Geo¹⁰. შდრ. დამკვდრებული ლაქისს წინამძღუარი ცოდვისაჲ (ცოდვსა S) არს
შორის ასულსა იზრუსალიმისასა (სიონისსა S) Geo^{GS};

1:15 *ἔως τοὺς κληρονόμους ἀγάγα σοι, κατοικοῦσα [Λαχis] κληρονομία,]* ვიდრემდე
მკვდრნი მოიყვანნენ დამკვდრებულმან ლაქისს სამკვდრებელი Geo¹⁰.

შდრ. ვიდრემდის მკვდრთა მოგგური შენ, დამკვდრებულო ლაქისს სამკვდრებულო Geo^{GS}.

1:12 *τίς ἤρξατο εἰς ἀγαθὰ κατοικοῦσῃ ὀδύναα]* ვინ იწყო (იყო O) კეთილად,
დამკვდრებულმან საღმობათა შინა Geo¹⁰.

შდრ. ვინ იწყო კეთილთა მიმართ დამკვდრებულმან საღმობათა Geo^{GS}.

5:7 καὶ ἔσται τὸ ὑπόλειμμα τοῦ Ἰακωβ ... ὡς δρόσος ... **πίπτουσα**] და იყოს ნემტი იგი იაკობის ... ვითარცა ცუარი ... **გარდამომავალი** Geo^{IO}, გარდამოსრული Geo^{PLt}.

შდრ. და იყოს დაშთომილი იაკობის ... ვითარცა ცუარი დავრდომილი Geo^S

2:4 οὐκ ἦν ὁ **καλύσαν** αὐτὸν τοῦ ἀποστρέψαι] არავინ იყო **მაყენებელ** მისა მოქცევად Geo^{IO}.

შდრ. არა იყო მაყენებელი მისი მოქცევად Geo^{GS}

4:4 καὶ οὐκ ἔσται ὁ **ἐκφοβῶν** ν] არა ვინ იყოს **მაშინებელ** Geo^{IO}.

შდრ. და არა იყოს მაშინებელი Geo^{GS}.

2:5 οὐκ ἔσται σοι **βάλλων** σχοινίον] არავინ იყოს (იყო O) შენდა (> O) **მომდებელ** (შთამომდებელ O) საბლისა Geo^{IO}.

შდრ. არა იყოს შენდა დამდებელ საბლისა Geo^{GS}

5:9 ὑψαθήσεται ἡ χεὶρ σου ἐπὶ τοὺς **θλιβοντάς** σε] აღმაღლდეს ჯელი შენი **მაჭირვებელთა** (მაჭირებელთა O) შენთა ზედა Geo^{IO}.

შდრ. აღმაღლდეს ჯელი შენი მაჭირვებელთა ზედა შენთა Geo^S.

ცალკეა გამოსაყოფი ბერძნული სასუბიექტო (აქტიური) მიმღეობის **πίπτουσα**-ის გადმოტანის ფორმები უძველეს ქართულ თარგმანში, ზოგჯერ იგი -ად-ი სუფიქსითაა ნაწარმოები, ხანაც მის გარეშეა წარმოდგენილი (მ- პრეფიქსს არსად არ დაირთავს):

4:9 κατεκράτησάν σου ὁ δῖνες ὡς **πικτούσης**] რამეთუ შეგიპყრეს შენ სალმობათა, ვითარცა **შობადისათა** Geo^{IO}.

შდრ. რამეთუ შეგიპყრეს შენ სალმობათა, ვითარცა შობისათა Geo^{GS}.

4:10 καὶ ἔγγιζε (καὶ ἔγγιζε] ÷ O V; adn. «hic obelus non positus erat in hexaplis» Syhmg; > A C LaCAeth Geo^{GS}), **θύγατερ** Σιων, ὡς **πίπτουσα**] და მიეახლე, ასული სიონისაჲ, ვითარცა **შობადი** Geo^{IOp}.

შდრ. და განმჯნდი, ასულო სიონისაჲ, ვითარცა მშობი Geo^{GS}.

5:3 διὰ τοῦτο δώσει αὐτοὺς ἕως καιροῦ **πικτούσης** τέξεται] ამისთვის მოსცეს (> O) მათ (მას O) **ჟამდმდე შობისა** ზედა Geo^{IOlt}.

შდრ. ამისთვის მისცეს მათ ვიდრე ჟამდმდე შობისა ზედა. Geo^S.

ბ) პასიური პარტიციპიუმი - მიმღობა:

1:11 κόψασθαι οἶκον ἐχόμενον ἀπὸ τῆς] ეტყებდით სახლსა მახლობელსა მისსა, Geo¹⁰.

შდრ. ეტყებდით სახლსა მახლობელსა მისსა Geo⁵.

2:1 Ἐγένοντο λογιζόμενοι κόπους καὶ ἐργαζόμενοι κακὰ] იქმნეს (იქმნენს O) შერაცხილ შრომათა და მოქმედ ბოროტისა (ბოროტის O) Geo¹⁰.

შდრ. იქმნენს შემრაცხელ შრომათა და მოქმედ ძვრთა Geo^{6S}

1:4 αἱ κοιλάδες τακῆσονται ὡς κηρὸς ἀπὸ προσώπου πυρὸς καὶ ὕδωρ καταφερόμενον ἐν καταβάσει] და ლელენი (ლელენი O) დადნენ (+ ქუმშ მისსა O) ვითარცა ცვლნი (ცვლი O) წინაშე პირსა ცეცხლისასა (წინაშე ცეცხლსა O) და ვითარცა წყალი გარდამომავალი (გარდამომავალი] – O) გარდამოსაქანელსა მისსა Geo¹⁰.

შდრ. და ჯევნებნი დადნენ, ვითარცა ცვლი პირისაგან ცეცხლისა და ვითარცა წყალი შთამომდინარი შთამოდმართსა Geo⁵.

5:12 ἀποφθεγγόμενοι σὺκ ἔσονται ἐν σοί] გამომეტყუელნი არა იყვნენ შენდა Geo¹⁰.

შდრ. აღმომგმობელნი არა იყუნენ შენდა Geo⁵.

1:14 δάσεις ἐξ αποστελλομένους] მოსცნეს განვლინებულნი Geo¹⁰.

შდრ. მოცნე გავლინებულნი Geo^{6S}.

I.3.1. ბ) ბერძნული პარტიციპიუმი ქართულში გადმოსულია ჰიპოტაქსური წინადადებით:

ა) ბერძნულ პარტიციპიუმს მიმართებითი ნაცვალსახელი + პირიანი ზმნა შეესაბამება დაქვემდებარებული წინადადების შემასმენლის როლში. მაგალითად:

(3:1) σὺχ ἴμῃν ἐστι τοῦ γινῶναι τὸ κρίμα; 3:2 οἱ μισοῦντες τὰ καλὰ καὶ ζητοῦντες τὰ πονηρά, ἀρπάζοντες τὰ δέρματα ἀπὸ τῶν ἀπ' ἀπὸ τῶν καὶ τὰς σάρκας ἀπὸ τῶν ὀστέων ἀπὸ τῶν] არა თქუენი არს ცნობად სამართლისა (სამართლისა O). რომელთა გძულს კეთილი და გიყუარს ბოროტი, მოჰქდით ტყავსა მათსა მათგან ჯორცსა მათსა ძუალთაგან მათთა Geo¹⁰.

შდრ. რომელთა გძულან კეთილნი და ეძიებთ ბოროტთა, მიმტაცებელნი (მიმტაცებელნი S) ტყავთა მათთან მათგან და ჯორცთა მათთან ძულათაგან მათთა Geo^{GS}.

(6:9) καὶ τίς κοσμήσει πόλιν; 6:10 μὴ πῆρ καὶ οἶκος ἀνόμου [θησαυρί(ζ)ων] θησαυροῦς] ვინ შეამკოს ქალაქი! ნუკუჭ (ნუკუჭე O) ცეცხლმან და სახლი უშჯულოდსა (უშჯულოთა O), რომელი იუნჯებდეს საუნჯეთა Geo^O

შდრ. და ვინ შეამკოს ქალაქი! არა ცეცხლმანა და სახლი უსჯულოთასა, რომელი იუნჯებს საუნჯეთა Geo^S.

6:12 οἱ κατοικοῦντες αὐτὴν ἐλάλουν ψευδῆ] რომელნი მკვდრ არიან მას შინა, იტყოდეს სიცრუესა Geo^O.

შდრ. დამკვდრებულნი მისნი იტყოდეს ცრუესა Geo^S.

3:5 τάδε λέγει κύριος ἐπὶ τοὺς προφήτας τοὺς πλανῶντας τὸν λαόν μου, τοὺς δάκνοντας ἐν τοῖς ὀδοῦσιν αὐτῶν καὶ κηρύσσοντας ἐπ’ αὐτὸν εἰρήνην καὶ οὐκ ἐδόθη εἰς τὸ στόμα αὐτῶν, ἡγείραν ἐπ’ αὐτὸν πόλεμον.] (ამისთვის O) ამას იტყვს უფალი წინაწარმეტყუელთა მათთვის, რომელნი აცთუნებენ ერსა ჩემსა (აცთუნებენ ერსა ჩემსა] > O) რომელნი უკბენენ (უკბენდეს O) კბილითა მათითა და რომელნი უქადაგებენ მათ (> O) მშვდობასა და არა მოეცა (მოეცა O) პირსა მათსა, აღადგინა მათ ზედა ბრძოლა Geo^O.

შდრ. ამათ იტყვს უფალი წინაწარმეტყუელთა ზედა მაცთუნებელთა ერისა ჩემისათა, მკბენელთა გზათა შორის მათთა და მქადაგებელთა მშვდობასა მის ზედა და არა მისცა პირსა შინა მათსა, წმიდა- ყვეს (წმიდაა-ყუჭს S) მის ზედა ბრძოლა Geo^{GS}.

6:16 καὶ ἐπορεύθητε ἐν ταῖς βουλαῖς αὐτῶν, ὅπως παραδῶν σε εἰς ἀφανισμόν καὶ τοὺς κατοικοῦντας αὐτὴν εἰς συρισμόν· καὶ ὁ νεῖδη λαὸν λήμψεσθε] და ხვდოდეთ (ხვდოდით O) თქუენ ზრახვათა მათათაებრ, რადთა მიგცე შენ განსარყუნელად (განსარყუნელად + და O), რომელ (რომელნი) დამკვდრებულ არიან მას შინა (არიან მას შინა დამკვდრებულ O) სასტვნიველად და ყუედრებად ერთად მოიღოთ Geo^O.

შდრ. და ვიდოდენ ნებათა შინა მათთა, რადთა მიგვე შენ უჩინო-საქმნელად და შორის დამკვდრებულნი მისნი და სასტჯნველად და ყუჭდრება ერისაჲ მიიღოთ Geo⁵.

3:7 καὶ καταισχυσθήσονται οἱ ὀρνῆτες τὰ ἐνύπνια ... διότι οὐκ ἔσται ὁ εἰσακούων αὐτῶν] და ჰრცხუენოდის, რომელნი ხედვიდეს (ჰხედვიდეს O) ჩუენებასა ... რამეთუ არა იყოს რომელმანმცა ისმინა მათი Geo¹⁰.

შდრ. და სირცხვლეულ-იქმნენ მხილველნი სიზმართანი ... მით რამეთუ არა არს, რომელი ერხდეს მათ Geo⁶⁵.

3:9 ἀκούσατε δὴ ταῦτα, οἱ ἡγούμενοι οἴκου Ιακωβ καὶ οἱ κατάλοιποι οἴκου Ισραηλ, οἱ βδελυσσόμενοι κρίμα καὶ πάντα τὰ ὀρθῶν διαστρέφοντες (3:10) οἱ οἰκοδομοῦντες Σιών ἐν αἵμασι καὶ Ἱερουσαλημ ἐν ἀδικίαις] ისმინეთ ესე, წინამძღუარნო სახლისა იაკობისნო, და ნეშტთა მათგან (მაგათ O) სახლისა ისრაჴლისათა, რომელთა-ეგე გმაგს სამართალი და ყოველსავე მართალსა გარდაჰგულარძნით, რომელნი აშენებთ (ალაშენებთ O) სიონსა სისხლითა და იერუსალჴმსა - სიცრუვითა (უშჯულოვითა O) Geo¹⁰.

შდრ. რომელთა გმულს მშჯავრი (მსჯავრი S) და ყოველთა მართალთა გულარძნილ-ჰყოფთ, რომელნი აშენებთ სიონსა სისხლისა მიერ, და იერუსალჴმსა (იერუსალიმს S) - უსამართლოებათა (უსამართლოებათა S) მიერ Geo⁶⁵.

7:1 Οἴμμοι ὅτι ἐγενόμην ὡς συνάγων καλάμην] ვაჲ მე, რამეთუ ვიქმენ მე ვითარცა იგი, რომელი შეჰკრებნ წუელსა Geo¹⁰.

შდრ. ვაჲ მე, რამეთუ ვიქმენ ვითარცა შემკრებელი ჯუილისა Geo⁵.

7:2 καὶ κατορθῶν ἐν ἀνθρώποις οὐχ ὑπάρχει] რომელმანმცა წარიმართა კაცთა შორის, არა იპოვების Geo¹⁰.

შდრ. წარმმართველი კაცთა შორის არა არს Geo⁵.

(7: 3) καὶ ἐξελοῦμαι τὰ ἀγαθὰ αὐτῶν 7:4 ὡς σὴς ἐκτραῶν καὶ βαδίζων ἐπὶ κανόνος] და გამოულლო (გამოილო O) სიმდიდრჴ (სიმდიდრე O) მათი. ვითარცა იგი (იგი] > O) მლილმან შეჰამის და ვიდოდის განწესებულად Geo¹⁰.

შდრ. და განვერები კეთილთა მათთა. ვითარცა მლილი შემჰამელი და მოარული კანონსა ზედა Geo⁵.

ბ) ბერძნულ პარტიციპიუმს შეესაბამება ზმნის პირიანი ფორმა მიმართებითი ნაცვალსახელის გარეშე:

7:18 *πῶς θεὸς ἄσπερ σὺ; ἐξαιρῶν ἄδικίαν καὶ ὑπερβίαν ἄσφειάν]* ვინ არს ღმერთი (ღმერთ *O*), ვითარ-ეგე შენ? აჰკოც (აღჰკოც *O*) უმჯულოებათა და თანა-წარხუალ სიცრუვეთა Geo^{10P} .

შდრ. ვინ არს ღმერთ, ვითარ შენ? აღმღებელი უმჯულოებათა და ზემთ-მავალი უსამართლობა Geo^S .

ისმის კითხვა: გვიჩვენებს თუ არა წინასწარმეტყველების ოშკური და იერუსალიმური ტექსტი ბერძნული მიმღეობური კონსტრუქციის გადმოტანის წინასწარშემუშავებულ პრინციპს. ასახსნელია ეკვივალენტების მრავალფეროვნება. შესაძლო მიზეზებია:

1. სტილი (მიმღეობების სიმრავლე)
2. ბერძნული არტიკლი, როგორც ნაცვალსახელის ეკვივალენტი
3. გვარი

სტილი

ერთი შეხედვით, მიმღეობათა ჭარბი გამოყენებისას ქართული მიმართავს ჰიპოტაქსს:

3:5 *(ამისთვის O) ამას იტყვს უფალი წინასწარმეტყუელთა მათთვის, რომელნი აცთუნებენ ერსა ჩემსა (აცთუნებენ ერსა ჩემსა] > O) რომელნი უკბენენ (უკბენდეს O) კბილითა მათითა და რომელნი უქადაგებენ მათ (> O) მშვიდობასა და არა მოეცა (მოეცა O) პირსა მათსა, აღადგინა მათ ზედა ბრძოლად* Geo^{10} .

მაგრამ მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის, შესაძლოა მიმღევრობაში რამდენიმე მიმღეობა ასევე მიმღეობით იყოს გადმოტანილი:

2:1 *იქმნეს (იქმნნეს O) შერაცხილ შრომათა და მოქმედ ბოროტისა (ბოროტის O)* Geo^{10} .

რა ხდება მაშინ, როდესაც წინადადებაში ერთი მიმღეობაა? არც ამ შემთხვევაში იკვეთება თარგმნის ერთიანი პრინციპი, იგი გადმოდის ჰიპოტაქსითაც და მიმღეობითაც:

6:12 *რომელნი მკვდრ არიან მას შინა, იტყოდეს სიცრუესა* Geo¹⁰

1:14 *მოსცნეს განვლინებულნი* Geo¹⁰.

ბერძნული არტიკლი, როგორც ნაცვალსახელის ეკვივალენტი

საინტერესოა ერთი გარემოების გათვალისწინება - ბერძნული არტიკლიანი ფორმა ქართულში ხშირად (არა ყოველთვის) კავშირის ფუნქციის მქონე მიმართებითი ნაცვალსახელითაა გადმოსული. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მკვდრ ძირის შემცველი ფორმები, რომლებიც ყოველთვის მიმღეობით ითარგმნება, გარდა ორი შემთხვევისა, როდესაც მის ბერძნულ ეკვივალენტებს არტიკლი დაერთვის:

1:11 *დამკვდრებული ეგე კეთილად ქალაქთა მისთა არა გამოვიდა დამკვდრებული (დამკვდრებული] – O) სენაარს (სენარს O) Geo¹⁰.*

1:13 *დამკვდრებული ლაქისს წინამძღუარი ცოდვისა მისისაჲ, ესე არს ასულისა (ასულიO) სიონისაჲ* Geo¹⁰.

1:15 *ვიდრემდე მკვდრნი მოიყვანნენ დამკვდრებულმან ლაქისს სამკვდრებელი* Geo¹⁰.

შეადარეთ:

6:16 *და ხვდოდეთ (ხვდოდით O) თქუნ ზრახვათა მათათაებრ, რადთა მიგცე შენ განსარყუნელად (განსარყუნელად + და O), რომელ (რომელნი) დამკვდრებულ არიან მას შინა (არიან მას შინა დამკვდრებულ O) სასტჯნველად და ყუედრებაჲ ერთაჲ მოიღოთ* Geo¹⁰.

სხვა მაგალითები:

3:7 *და ჰრცხუნოდის, რომელნი ხედვიდეს (ჰხედვიდეს O) ჩუენებასა ... რამეთუ არა იყოს რომელმანმცა ისმინა მათი* Geo¹⁰.

3:9 *ისმინეთ ესე, წინამძღუარნო სახლისა იაკობისნო, და ნეშტთა მათგან (მაგათ O) სახლისა ისრაჴლისათა, რომელთა-ეგე გმაგს სამართალი და ყოველსავე მართალსა*

გარდაჰგულარძნით, რომელნი აშენებთ (აღაშენებთ O) სიონსა სისხლითა და იერუსალჴმსა - სიცრუვითა (უმჯულოებითა O) Geo¹⁰.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ არტიკლიანი ფორმაც შეიძლება გადმოვიდეს მიმღეობით:

5:8 არავინ არნ განმარინებელ Geo¹⁰.

2:4 არავინ იყო მაყენებელ მისა მოქცევად Geo¹⁰.

4:4 არა ვინ იყოს მაშინებელ Geo¹⁰.

გვარი

ცალკეა გამოსაყოფი ბერძნული მოქმედებითი (სასუბიექტო) და ვნებითი (საობიექტო) გვარის მიმღეობათა თარგმნის ტენდენცია. მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სასუბიექტო მიმღეობა გადმოდის ზმნის როგორც უპირო, ისე პირიანი ფორმებით, მაგალითად:

2:5 არავინ იყოს (იყო O) შენდა (> O) მომდებელ (შთამომდებელ O) სახლისა Geo¹⁰.

5:9 აღმალდეს ჯელი შენი მაჭირვებელთა (მაჭირვებელთა O) შენთა ზედა Geo¹⁰.

1:12 ვინ იწყო (იყო O) კეთილად, დამკვდრებულმან სალმობათა შინა Geo¹⁰.

პირიანი ფორმით:

7:1 ვად მე, რამეთუ ვიქმენ მე ვითარცა იგი, რომელი შეჰკრებნ წუელსა Geo¹⁰.

7:2 რომელმანმცა წარიმართა კაცთა შორის, არა იპოების Geo¹⁰

რაც შეეხება საობიექტო მიმღეობას, იგი ყოველთვის ზმნის უპირო ფორმითაა გადმოტანილი, გამონაკისია მხოლოდ ერთი შემთხვევა:

3:9 ისმინეთ ესე, წინამძღუარნო სახლისა იაკობისნო, და ნემტთა მათგან (მაგათ O) სახლისა ისრაჴლისათა, რომელთა-ეგე გძაგს სამართალი და ყოველსავე მართალსა გარდაჰგულარძნით, რომელნი აშენებთ (აღაშენებთ O) სიონსა სისხლითა და იერუსალჴმსა - სიცრუვითა (უმჯულოებითა O) Geo¹⁰. აქ, შესაძლოა, გავლენა იყოს მომდევნო სასუბიექტო მიმღეობებისა, რომლებიც ჰიპოტაქსით ითარგმნება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ მთარგმნელი მოქმედებს არა წინასწარშემუშავებული პრინციპიდან გამომდინარე, არამედ

კონტექსტის შესაბამისად ირჩევს სათარგმნ ეკვივალენტებს (პირიან ან უპირო ფორმებს). აქ არც მშობლიური ენის მიზანმიმართული დაცვაა ხაზგასმულ-გამოკვეთილი და არც ბერძნული ენის ზედმიწევნითი კალკირება.

პირდაპირი ნათქვამის წინ დასმული *λέγων* პარტიციპიუმი

პირდაპირი ნათქვამის წინ *λέγων* პარტიციპიუმის გამოყენების შემთხვევები გამოვყავით ცალკე ქვეთავად, რადგან, როგორც ანა ხარანაული აღნიშნავს, გელათამდელ ქართულ ხელნაწერებში იგი მზა კლიშეა და არ მეტყველებს მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილზე (ხარანაული 2009: 951-952).

2:4 *καὶ θρηνηθήσεται θρῆνος ἐν μέλει λέγων Ταλαιπωρία ἐταλαιπωρήσαμεν]* და გგოდებდენ თქვენ გოდებასა შესხმით. და თქუნან: უბადრუკ-ვიქმნენით (*pr.* უბადრუკებით *O*) *Geo*¹⁰.

შდრ. და იგოდებოს გოდებაჲ კილოდთა მეტყუზლი: საარებაჲ ვისაარებეთ. *Geo*^{GS}.

2:7 *ὁ λέγων Οἶκος Ιακωβ παρ᾽ ἄργισε πνεῦμα κυρίου]* რომელ (რომელმან *O*) თქუნას: სახლმან იაკობისმან განარისხა სული უფლისაჲ *Geo*¹⁰.

შდრ. მეტყუზლი: სახლმან იაკობისმან განარისხა სული უფლისაჲ *Geo*^{GS}.

3:11 *ἐπὶ τὸν κύριον ἐπανεπαύοντο λέγοντες Οὐχὶ κύριος ἐν ἡμῖν ἐστιν;]* უფლისა ზედა განისუენებდეს და იტყოდეს: ანუ არა უფალი ჩუენ თანა არს? *Geo*¹⁰.

შდრ. და უფლისა ზედა განისუზნებდეს მეტყუელნი: არა უფლაი ჩუენ შორის არს? *Geo*^{GS}.

4:11 *καὶ νῦν ἐπισυνήχθη ἐπὶ σὲ ἔθνη πολλὰ οἱ λέγοντες Ἐπιχαρούμεθα, καὶ ἐπόψονται ἐπὶ Σιών οἱ ὀφθαλμοὶ ἡμῶν.]* და აწ შეკრბა შენ ზედა ნათესავი მრავალი, რომელნი იტყუნან: მოგუცხრების და იხილონ თუალთა ჩემთა (ჩუენთა *O*) სიონი *Geo*^{10P}.

შდრ. და აწ ზედა - შეკრბეს შენ ზედა ნათესავნი მრავალნი მეტყუზლნი: «მოვცხრებით და ზედ-დახედნენ სიონსა ზედა თუალთა ჩუენთა.» *Geo*^{GS}.

7:10 *περιβαλεῖται αἰσχύνην ἢ λέγουσα πρὸς με Ποῦ κύριος ὁ θεός σου;]* დაფაროს იგი სირცხულმან, რომელი მეტყოდა მე: სადა არს უფალი ღმერთი შენი? *Geo*^{10P}.

შდრ. და გარე-მოისხას სირცხული მეტყუზლმან ჩემდამო: სადა არს უფალი ღმერთი შენი? Geo⁵.

დასკვნა

მიქეას წინასწარმეტყველების უძველესი ქართული თარგმანის ენის თავისებურებებსა და თარგმანის ტექნიკის შესწავლის შედეგად გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები:

I. უშემასმენლო კონსტრუქციების თარგმნისას (როდესაც ბერძნულ დედანში გამოტოვებულია *ἔσθ' ἔσθ' ἔσθ'* ზმნის ფორმები) ქართველი მთარგმნელი სხვადასხვანაირად იქცევა:

ა) კითხვით წინადადებებში მას დედნის ეს თავისებურება, როგორც მისი სტილისტური ნიშანი, არასდროს არ გადმოაქვს, თუკი წინადადებაში შემასმენელი არ არის, მთარგმნელი მას ყოველთვის აღადგენს არს მეშველი ზმნით.

ბ) როდესაც უშემასმენელი გამოტოვებულია რისამე აღწერის დროს, ქართველი მთარგმნელი მას ხან აღადგენს, ხანაც არა. მეორე მხრივ, როდესაც ბერძნულ დედანში გამოტოვებულია უშემასმენელი, რომელიც მარტივად აღდება წინამავალი წინადადების გათვალისწინებით, იგი (უშემასმენელი) არც უძველეს ქართულ თარგმანშია წარმოდგენილი. გამოდის, რომ ქართველი მთარგმნელი ცდილობს, გადმოიტანოს ტექსტის როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი მხარე. მაგრამ, როდესაც არჩევანის გაკეთება უწევს თარგმანის ფორმალურ და შინაარსობრივ სიზუსტეს შორის, იგი ხშირად შინაარსობრივ მხარეს ირჩევს.

II. მიქეას წინასწარმეტყველების ტექსტში ინფინიტივური კონსტრუქციები გვხვდება ერთადერთი, მიზნის გარემოების ფუნქციით. უძველეს ქართულ თარგმანში იგი ორი გზითაა გადმოსული:

1. ინფინიტივური კონსტრუქციით
2. რადთა კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადებით

ქართული მიზნის ინფინიტივი ბერძნულის დარად მართავს პირდაპირ დამატებას **სახელობით**, ხოლო ირიბ დამატებას **მიცემით** ბრუნვებში. მაგრამ ინფინიტიურ კონსტრუქციებში გვხვდება მაგალითებიც, რომლებშიც ინფინიტივის გვერდით წარმოდგენილი დამატება შეიძლება არ იდგეს არც მიცემით და არც სახელობით ბრუნვებში, არამედ წარმოდგენილი იყოს ნათესაობითის ფორმით. პირველადი, მთარგმნელისეული უნდა იყოს დამატებების ის ბრუნვები, რომლებიც მართულია ინფინიტივის მიერ, რადგან ასე იყო დედანში, ბერძნულში, საიდანაც სრულდებოდა თარგმანი. პირმართ წევრთა უბრალო დამატების ბრუნვებში ჩასმა, სავარაუდოდ, მეორეული მოვლენაა, როდესაც ინფინიტივი + დამატება ფორმები გაგებულია საზღვრულ-მსაზღვრელის ურთიერთობად.

მიზნის გარემოების გამომხატველი ჰიპოტაქსური წინადადება ინფინიტიურის სანაცვლოდ მიქეას წინასწარმეტყველების ოშკურ და იერუსალიმურ ვერსიებში მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა, რაც განაპირობა მისმა მიჯრით გამოყენებამ. ინფინიტივთა სიჭარბე არ არის ბუნებრივი ქართულისათვის, წინადადების შინაარსი ბუნდოვანია, ამიტომ ამ შემთხვევაშიც შინაარსის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს ძველი ქართველი მთარგმნელი.

III. მიქეას წინასწარმეტყველების უძველეს ქართულ თარგმანში მიმდებარე კონსტრუქცია გადმოსულია ორი საშუალებით:

1. მიმდებარებით
2. დაქვემდებარებული წინადადებით

ძველი ქართველი მთარგმნელის არჩევანს მიმდებარე და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს შორის შეიძლება განაპირობებდეს:

სტილი- მიმდებარებათა ჭარბი გამოყენება: ერთი შეხედვით, მიმდებარებათა ჭარბი გამოყენებისას ქართული მიმართავს ჰიპოტაქსს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის, შესაძლოა ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი რამდენიმე მიმდებარება ასევე მიმდებარებით იყოს გადმოტანილი. რა ხდება მაშინ, როდესაც წინადადებაში ერთი მიმდებარებაა? არც ამ შემთხვევაში იკვეთება თარგმნის ერთიანი პრინციპი, იგი

გადმოდის ჰიპოტაქსითაც და მიმლეობითაც. ე.ი. მიმლეობათა ჭარბი გამოყენება არ განსაზღვრავს პარტიციპიუმის ჰიპოტაქსით გადმოტანას.

არტიკლი- ბერძნული არტიკლიანი ფორმა ქართულში ხშირად (არა ყოველთვის) კავშირის ფუნქციის მქონე მიმართებითი ნაცვალსახელითაა გადმოსული, მაგრამ არტიკლიანი მიმლეობაც შეიძლება გადმოვიდეს მიმლეობით.

გვარი- ბერძნულ მიმლეობურ კონსტრუქციათა მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სასუბიექტო მიმლეობა გადმოდის ზმნის როგორც უპირო, ისე პირიანი ფორმებით. რაც შეეხება საობიექტო მიმლეობას, იგი ყოველთვის ზმნის უპირო ფორმითაა გადმოტანილი, გარდა ერთი შემთხვევისა.

იკვეთება, რომ ძველ ქართველ მთარგმნელს არ აქვს ბერძნული მიმლეობური კონსტრუქციების თარგმნის რაიმე წინასწარშემუშავებული პრინციპი და ეკვივალენტებს არჩევს (შესაძლოა, ზოგჯერ თავადაც ქმნის) სპონტანურად, თარგმანის პროცესში, ეს ეკვივალენტები ზოგჯერ ფორმალურია, ზოგჯერ კი მხოლოდ შინაარსობრივი.

IV. περι, ὑπερ, εις, εκ, επι, κατά ბერძნული წინდებულების თარგმანზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

ა) მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან, რომლებიც მიმართულებას ზმნისწინებით გამოხატავენ, წინდებულების მნიშვნელობები, ძირითადად, მიცემითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმებით გადმოიცემა, რაც სრულიად ბუნებრივია ქართულისათვის, რადგან როგორც მიცემითი, ისე ვითარებითი ბრუნვები ძველ ქართულში ადგილის გარემოების ბრუნვები იყო. ვითარებითი ბრუნვითაა გადმოსული მიზნის გარემოების ან საგნის დანიშნულების აღმნიშვნელი εις წინდებულიანი ბერძნული სახელი. მოქმედებითი კი გამოყენებულია ბერძნული ინსტრუმენტალისის ეკვივალენტად. მოქმედებითითაა გადმოტანილი გამოსვლითობის გამომხატველი εκ ბერძნულწინდებულიანი სახელებიც.

ბ) არც ბერძნული წინდებულების თანდებულებით გადმოტანაა უცხო ძველი ქართველი მთარგმნელისათვის: ასე მაგალითად, επι წინდებულის ძირითადი

ფორმალური ეკვივალენტი სახელებთან ზედა თანდებულია (რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა კონსტრუქციაში და სხვადასხვა შინაარსის გამომხატველია). ხშირად თანდებულითაა გადმოსული κατά წინდებულიანი სახელიც.

გ) როდესაც ბერძნულში წინდებული დაერთვის ერთდროულად სახელსაც და ზმნასაც, ძველ ქართველ მთარგმნელს იგი ხან სახელთან გადმოაქვს, ხანაც ზმნასთან (იშვიათად ორივესთან).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით იკვეთება ძველი ქართველი მთარგმნელის თარგმანის ტექნიკა: სადაც შესაძლებელია, ბერძნულ ფორმებს ქართულისათვის ბუნებრივი ფორმებით ცვლის, ოღონდ ისე, რომ ზუსტად გადმოსცემს დედნის შინაარსს (მაგალითად, იყენებს ბრუნვის ფორმებს თანდებულების ნაცვლად), არ ქმნის ზედმიწევნით ფორმალურ თარგმანს.

V. ბერძნული ეტიმოლოგიური ფიგურები, რომლებიც გულისხმობს ერთი ძირისაგან ნაწარმოებ ორ განსხვავებულ ფორმას, მიქეას წინასწარმეტყველების უძველეს თარგმანშიც ერთი ძირის შემცველი ორი განსხვავებული ფორმით გადმოდის (გამონაკლისია მხოლოდ ერთი შემთხვევა).

ეტიმოლოგიური ფიგურის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა ფუნქციის მატარებელნი არიან. მაგალითად, ზმნის პირიანი ფორმის გვერდით მდგარი სახელი შეიძლება გამოიყენებოდეს ქვემდებარის, პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატების ფუნქციით. ძველი ქართველი მთარგმნელი, უმეტესად, ცდილობს, გადმოიტანოს ფიგურის შემადგენელი თითოეული წევრის ფუნქციაცა და ფორმაც. აღსანიშნავია, რომ ეტიმოლოგიურ ფიგურაში შემავალი მიმღეობა (რომელსაც იკავშირებს ზმნის პირიანი ფორმა), ბერძნულში ზოგჯერ გამოყენებულია უბრალო დამატების ფუნქციით გენეტივში, უძველეს ქართულ თარგმანში კი, დატივში მდგარი სახელის ანალოგიით, გადმოტანილია მოქმედებითის ფორმით.

რაც შეეხება სიტყვათა რიგს ეტიმოლოგიურ ფიგურებში: იგი ყოველთვის თავისუფალია ბერძნულში, ამ უკანასკნელის გავლენით კი მიქეას

წინასწარმეტყველების უძველეს ქართულ თარგმანშიც, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში ყოველთვის მიჰყვება დედნის თანმიმდევრობას.

ნაშრომში წარმოდგენილი ქართულისათვის უჩვეულო ან სრულიად უცხო ენობრივი ფენომენების გადმოტანის მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ძველ ქართველ მთარგმნელს არ აქვს თარგმანის წინასწარშემუშავებული პრინციპი. იგი მოქმედებს კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, სპონტანურად არჩევს (ან ქმნის) ეკვივალენტებს უშუალოდ თარგმნის პროცესში. იგი ცდილობს არ გადაუხვიოს დედანს და დაიცვას მისი როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი მხარე. მაგრამ მისი მიზანმიმართული ქმედება, წინასწარშემუშავებული პრინციპი არ გახლავთ მაინცდამაინც ფორმალური, სიტყვასიტყვითი თარგმანის შექმნა და, როდესაც უწევს არჩევანის გაკეთება შინაარსსა და ფორმას შორის, იგი შინაარსობრივ სიცხადესა და სიზუსტეს ანიჭებს უპირატესობას, ამიტომაც ზოგჯერ ბერძნულ კონსტრუქციებს ქართულისათვის ბუნებრივი ფორმებითა და წინადადებით ცვლის.

ერთი შეხედვით, ეტიმოლოგიური ფიგურების თარგმნისას ძველი ქართველი მთარგმნელი უფრო მეტად იცავს ფორმალურ მხარეს, რადგან ბერძნულში ინფინიტივის მიერ მართული პიმიმართი დამატებები ქართულშიც პირმიმართ წევრებად გადმოაქვს (მიუხედავად იმისა, რომ ქართულისათვის, შესაძლოა, უფრო ბუნებრივი ყოფილიყო პირმიუმართავი დამატება). სინამდვილეში, ბერძნული ინფინიტივის მიერ მართული პიმიმართი დამატების პირმიუმართავ დამატებად გადმოტანა გამოიწვევდა არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ წევრთა ფუნქციურ ცვლილებასაც, რასაც, როგორც ჩანს, თავს არიდებს ქართველი მთარგმნელი.

ანა ხარანაული

მცირე წინასწარმეტყველთა მხატვრული ენა

I. ძირის ფორმალური თუ სემანტიკური განმეორებით შექმნილი ზმნური შესიტყვებები (ეტიმოლოგიური ფიგურები)

Status quaestionis

მხატვრული ხერხების, მხატვრული სახეების (ბერძნ. Σχῆμα, ლათ. figura), როგორც ტექსტის სტილისტური მახასიათებლის გადმოტანა, საზოგადოდ, მთარგმნელისათვის ყველაზე დიდ გამოწვევას და, ამავე დროს, მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის შესრულება უბიძგებს მთარგმნელს, აიძულოს ენა, რომ გადაუხვიოს საკუთარ ბუნებას და ხასიათის ახალი შტრიხი შესძინოს მას. სწორედ ამ რიგის მაგალითია ბიბლიის ბერძნულში გამოყენებული ძირის ფორმალური და სემანტიკური განმეორებით შექმნილი ზმნური შესიტყვებებისთვის ქართული ეკვივალენტების პოვნა და გამოყენება. მაგრამ იმისათვის, რომ ამ ეკვივალენტების გრამატიკულ სტრუქტურაში, მის შინაარსსა და ფუნქციაში გავერკვეთ, ჯერ თავად ამ შესიტყვების ფენომენი უნდა შევისწავლოთ ებრაულსა და ბერძნულში.

ძირის განმეორებით შექმნილი ზმნური შესიტყვებები⁸ განმეორებებისგან შემდგარ სხვა მხატვრულ სახეებს შორის დგას, ისეთების, როგორებიცაა ანაფორა, ეპიფორა და ამათი კომბინაცია – სიმპლოკე (სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფის განმეორება ერთმანეთის მომდევნო ტექსტურ ნაწილებში – წინადადების დასაწყისში, ბოლოში და ორივეში ერთად), ჰომოიოტელევტონი (გარკვეული ფუნქციის მქონე დაბოლოებების განმეორება), პოლიპტოტონი (სხვადასხვა ფორმაში მდგარი ერთი სიტყვის განმეორება), გემინაცია ან ეპანალეპსი (სიტყვის გაორმაგება).⁹ სხვა ტიპის განმეორებებიც არსებობს, რომლებიც, ასევე, მხატვრულ სახეებს ქმნიან:

⁸ Repetitive verbal constructions, Callaham 2010, 3.

⁹ პირველს მარცვლის განმეორების გაგებითაც ხმარობენ.

პარალელიზმი და ანტითეზა, რომლებიც ცალკეული სტრუქტურების – შესიტყვებებისა და წინადადებების – განმეორებით იქმნებიან.¹⁰

ყველა ამათ ზოგი მკვლევარი სიტყვათა თამაშის, ზოგი პარექეზის (παρήχουσις – ხმოვანების მიმსგავსება), ზოგი კი პარონომაზიის (παρονομαζία – სიტყვის გადახრა) სახეებად მიიჩნევს. ტერმინები – სიტყვების თამაში, პარონომაზია და პარექეზა სამეცნიერო ლიტერატურაში – ლიტერატურათმცოდნეობის სახელმძღვანელოებში, ტროპების ლექსიკონებში, სხვადასხვა ენის სტილისტიკისადმი მიძღვნილ ნაშრომებში – სხვადასხვაგვარადაა განსაზღვრული და პრაქტიკულადაც, ასევე, სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: ან როგორც სინონიმები, ან როგორც ერთმანეთთან გვარსახეობით მიმართებაში მყოფი კატეგორიები. მაგრამ ყველა შემთხვევაში ამ ტერმინებს განსაზღვრავენ, როგორც ფიგურებს, სადაც განმეორებული ბგერები და/ან ასოები მათი შემცველი სეგმენტების (სიტყვებისა თუ ფრაზების) ურთიერთმიმართებაზე მიაჩნებენ.

განმეორებებით შექმნილი შესიტყვებებს შორის შევჩერდები მხოლოდ ორ ტერმინზე: *პარონომაზია* და *ეტიმოლოგიური ფიგურა* (figura etymologica, schema etymologicum), რომლებიც ქართულ და არაქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთს ენაცვლება ხოლმე. ლიტერატურათმცოდნეობის სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში ამ ორ ტერმინს ერთმანეთისგან უმთავრესად ის განასხვავებს, რომ *პარონომაზია* მსგავსი *ჟღერადობის*, მაგრამ *სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვების* (პარონიმების) განმეორებად არის მიჩნეული, მაშინ, როდესაც *ეტიმოლოგიური ფიგურა* ერთი მნიშვნელობის, მაგრამ ერთი ან განსხვავებული *ჟღერადობის სიტყვათა კომბინაციას წარმოადგენს*. მაგრამ სხვადასხვაენოვანი და სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის მკვლევრები სხვადასხვა ტრადიციას ეყრდნობიან და სხვადასხვა მნიშვნელობითაც იყენებენ ამ ტერმინებს.

ჩვენთვის საინტერესო კონტექსტის – ბიბლიის ებრაულის საფუძველზე შექმნილ ლექსიკონში – E.W. Bullinger, *Figures of Speech Used in the Bible* (1898)

¹⁰ Fehling 1969, 10-14.

პარონომაზია განიმარტება, როგორც მსგავსი ჟღერადობისა და მსგავსი (თუმცა არა ყოველთვის – ავტორი სემანტიკის განსხვავებას განსაკუთრებულად უსვამს ხაზს) მნიშვნელობის სიტყვების გამოყენება ერთმანეთის მეზობლობაში.¹¹ ასევე განსაზღვრავდა ამ ტერმინს რამდენიმე წლით ადრე Casanowicz: როგორც მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული შინაარსის ერთობას¹² და განასხვავებდა მას ეტიმოლოგიური ფიგურისგან. ეს უკანასკნელი მას ენის გრამატიკულ თავისებურებად მიაჩნდა, რომელიც მხოლოდ ინტენსიური ხმარების შემთხვევაში იქცევა სტილის თავისებურებად.¹³ ახალი აღთქმის გრამატიკის ავტორებიც პარონომაზიას ჟღერით ფიგურებს¹⁴ აკუთვნებენ: პარონომაზია წარმოადგენს ერთი და იმავე სიტყვისა თუ ძირის განმეორებას ერთმანეთის სიახლოვეში.¹⁵ Bühlmann-Sherer-ის ლექსიკონის თანახმად, პარონომაზია ალიტერაციის გავრცობაა იმ აზრით, რომ აქ არა ცალკეული მარცვალი, არამედ მთელი სიტყვა შედგება ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერებისაგან. ასევე ესმით ეს ტერმინი Kabergs და Ausloos-საც: მათი აზრით, პარონომაზია სიტყვების თამაშის ერთ-ერთი სახეა,¹⁶ რომელიც წარმოადგენს ფონეტიკურად მსგავსი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის ან ფუნქციის მქონე სიტყვების (პარონიმების) კომბინაციას.¹⁷

რაც შეეხება ტერმინს – *ეტიმოლოგიური ფიგურა*, ბიბლიის ებრაულისა და ბერძნულის კონტექსტში ამ ტერმინით აღნიშნავენ ერთი და იმავე ანდა სინონიმური ძირების მქონე ზმნის პირიანი ფორმისა და სახელის (ებრაულში – infinitivus absolutus) კომბინაციას, რომელიც სინტაქსურად წინადადების ერთ წევრს – შემასმენელს –

¹¹ Bullinger 1898, 363.

¹² ამასთან, ეს მსგავსი ჟღერადობა ავტორის მიერ, განზრახ უნდა იყოს შექმნილი და არა ენობრივი აუცილებლობით გამოწვეული (Casanowicz 1893, 105).

¹³ The charm and effect of paronomasia lie... in the union of similarity of sound with dissimilarity of sense. Hence it does not include the reiteration of the same words or word-stems in the same meaning (Casanowicz 1893, 105).

¹⁴ Klangfiguren (Blass et al. 1990, §488).

¹⁵ Blass et al. 1990, §488.1.

¹⁶ განსხვავებით Bullinger-ისგან, რომელიც პარონომაზიას სიტყვების თამაშად (pun) არ მიიჩნევს (Bullinger 1898, 307).

¹⁷ Kabergs and Ausloos 2012, 8; Bühlmann and Sherer 1994, 19.

წარმოადგენს. ამრიგად, მის ფიგურატიულობას უფრო გრამატიკული კონსტრუქცია და სემანტიკის განმეორება ქმნის, ვიდრე ჟღერადობა.

მოკლედ და მარტივად რომ შევაჯამოთ, პარონომაზია ჟღერადობით, აკუსტიკური განმეორებით იქმნება, ხოლო ეტიმოლოგიური ფიგურა – სემანტიკური განმეორებით. ამრიგად, თუ, ერთი მხრივ, პარონომაზიის ფართო განმარტებას ავიღებთ, როგორც მსგავსი ჟღერადობის სიტყვების განმეორებას, ხოლო, მეორე მხრივ, ეტიმოლოგიური ფიგურის განმარტებისას, მისი გრამატიკული სტრუქტურის გარდა, ძირის ჟღერადობის მსგავსებასაც გავუსვამთ ხაზს, ეს უკანასკნელი, შეიძლება, პარონომაზიის ერთ-ერთ სახედაც იქნეს განხილული. მაგ., „პარონომასტიკულ“ ხასიათისად მიაჩნია Muraoka-ს ებრაული ეტიმოლოგიური ფიგურა, რადგან სწორედ განმეორება და არა სინტაქსური კონსტრუქცია იძლევა გამოთქმის ემფატიკურობის ეფექტს.¹⁸ რადგანაც ებრაულში განმეორებული ძირებისგან შემდგარი სინტაგმის გავრცელებულ მოდელში უპირო ფორმად infinitivus absolutus-ია გამოყენებული, Callaham-ი მას პარონომაზიულ ინფინიტივუს აბსოლუტუსს (paronomastic infinitive absolute) უწოდებს,¹⁹ ხოლო Perkins-ი პარონიმულ ინფინიტივს (paronymus infinitive).²⁰ ამავე დროს, ებრაული infinitivus absolutus-ის პარონომაზიულ გამოთქმაში გამოყენებას figura etymologica-ს ან schema etymologicum-ს უწოდებენ.²¹ ბერძნულ ძველ აღთქმასთან დაკავშირებულ კვლევაში Bons-ს ზმნისა და სახელისაგან შემდგარ პარონომაზიის ერთ-ერთ მაგალითად, სხვა ტიპის მაგალითებთან ერთად, მოაქვს ის შესიტყვებები სეპტუაგინტადან, რომლებიც ეტიმოლოგიურ ფიგურას წარმოადგენენ.²² თუმცა, ასეთ შემთხვევაში, პარონომაზია მთლიანად არ ფარავს ეტიმოლოგიურ ფიგურას: როცა პარონომაზიისა და ეტიმოლოგიური ფიგურის განსაზღვრებისას ჟღერადობის

¹⁸ Muraoka 1985, 86, 92.

¹⁹ Callaham 2010, 2-7.

²⁰ Perkins 2022.

²¹ Sollamo 2012, 1-2; Because in this use the infinitive absolute shares the verbal root and (usually) stem of the accompanying finite verb, the use is said to be **paronomastic**, that is, based in **word play**, or to exhibit the **schema etymologicum** (Waltke and O’Konnor 1990, 584).

²² Bons 2011, 76-77.

ფაქტორს წამოვწევთ წინ და, შესაბამისად, ვაიგივებთ ამ ტერმინებს, განხილვის მიღმა რჩება სინონიმური ძირების განმეორებები, ე.წ. სემასიოლოგიური განმეორებები.

ტერმინი „პარონომაზია“ ქართულ სამეცნიერო (როგორც გრამატიკულ, ისე ლიტერატურათმცოდნეობით) დისკუსიაში კონსტანტინე წერეთლის სტატიის – „პარონომაზია ქართულში“ – შემდგომ შემოვიდა და დამკვიდრდა.²³ მისი განმარტებით, პარონომაზია სემიტური ენებისა და, კერძოდ, ებრაული ენის კონკრეტულ კონსტრუქციას მიემართება: „იგი მდგომარეობს ერთი ვერბალი ცნების ორი ფორმით (ორი სიტყვით) გადმოცემაში, ამასთანავე, ეს სიტყვები ერთი და იმავე ზმნიდან არიან ნაწარმოებნი; ან, მოკლედ რომ ვთქვათ, პარონომაზია ერთი ზმნის ორი სახით (ფორმით) წარმოდგენაა, რომლებიც მკითხველში (resp. მსმენელში) ერთ ცნებას იწვევს“.²⁴

თვალში საცემია, რომ ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ეტიმოლოგიური ფიგურების მაგალითების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ან ძველი აღთქმის წიგნებიდანაა მოტანილი, ანდა სხვა ტექსტებში ციტირებული ძველი აღთქმის ციტატებსა თუ ალუზიებს წარმოადგენს.²⁵ ამიტომ ამ შესიტყვების ნებისმიერი კუთხით შესწავლა ბიბლიის თარგმანებით უნდა დავიწყოთ და მათ გრამატიკულ სტრუქტურაში, სემანტიკასა თუ წარმომავლობაში გასარკვევად ორიგინალი უნდა დავიხმაროთ. დავიწყებ ებრაულიდან, რომლისთვისაც ძირების განმეორებით მიღებული შესიტყვების ორგანულობა ეჭვს არ იწვევს.

აქედანვე ვიტყვი, რომ შემდგომში ძირის ფორმალური თუ სემანტიკური განმეორებით შექმნილ ზმნურ შესიტყვებებს, რომლებიც შედგება ერთი ბგერითი შედგენილობისა თუ ერთი შინაარსის ძირის მქონე პირიანი ზმნისა და უპირო ზმნისა

²³ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია იხ. კვირიკაშვილი 2013. „პარონომაზია“ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით ლიტერატურაში იხმარება სხვა ტერმინების (ალიტერაცია, ვერბალური ალიტერაცია, ტავტოლოგია და ა.შ.) პარალელურადაც.

²⁴ წერეთელი 1954, 461.

²⁵ წერეთელი 1954; იმნაიშვილი 1957, 236-241.

(სხვადასხვა ენის შემთხვევაში – ინფინიტივი, პარტიციპიუმი) თუ სახელისაგან, მე ეტიმოლოგიურ ფიგურებს ვუწოდებ.

ეტიმოლოგიური ფიგურის ებრაული მოდელი ფორმალური თვალსაზრისით მარტივია: იგი შედგება აბსოლუტური ინფინიტივისა და ამავე ფუძის ან ძირის მქონე ზმნის პირიანი ფორმისაგან. ინფინიტივის ფუნქციაა გარკვეული ნიუანსი შესძინოს პირიანი ზმნის შინაარსს. ეს ნიუანსი შიძლება სხვადასხვა იყოს: მოახდინოს ზმნის მიერ გამოხატული იდეის ინტენსიფიკაცია, ან განმეორებითობისა და განგრძობითობის შინაარსი შესძინოს მას. ზოგი მკვლევარი ინფინიტივის ემფატიკურ ფუნქციას გამოკვეთს – მიიჩნევს, რომ ინფინიტივი ზმნის შინაარსს უსვამს ხაზს, ზოგი მას მოდალობის გამომხატველად თვლის – მოქმედებას აუცილებლობის, შესაძლებლობის ნიუანსს, დაბეჯითებით, დანამდვილებით, მტკიცებით ხასიათს სძენს.²⁶ Muraoka-ს აზრით, ზმნას დინამიურობას მატებს არა infinitivus absolutus-ი, როგორც გრამატიკული ფორმა, არამედ ძირის განმეორების ფაქტორი.²⁷ შესაბამისად, ფუნქციური დატვირთვა ინფინიტივს კი არ აქვს, არამედ ძირის დუბლირებას.²⁸ დუბლირების მნიშვნელობას უსვამს ხაზს infinitivus absolutus კონსტრუქციისთვის „ტავტოლოგიური ინფინიტივის“ დარქმევა,²⁹ რაც ინფინიტივის პლეონასტურ ხმარებას და, შესაბამისად, უფუნქციობასაც უნდა გულისხმობდეს.

გრამატიკულად infinitivus absolutus-ი პირიანი ზმნის ე.წ. შინაგან ანუ აბსოლუტურ ობიექტად არის მიჩნეული. ასე გაგებულ, Gesenius-ის აზრით, იგი ფარდია cognate accusative-ით შექმნილი კონსტრუქციისა, რომელიც ერთი ძირისგან შემდგარი პირიანი ზმნისა და აკუზატივში დასმული ობიექტის კავშირს წარმოადგენს, სადაც შინაგანი, ანუ აბსოლუტური ობიექტის ფუნქციას აკუზატივში დასმული

²⁶ Gesenius et al. 1995, 356 (113 l-x); Bergsträsser 1918, 61-64; წერეთელი 1954, 462-463; Jöüon and Muraoka 1991, 2:422.

²⁷ Muraoka 1985, 86, 92.

²⁸ Callaham 2010, 4-5.

²⁹ Goldenberg 1971, 36-85, ასევე Kim 2009.

სახელი ასრულებს.³⁰ თუმცა აღნიშნავენ cognate accusative-ისა და infinitivus absolutus-ის მნიშვნელობების განსხვავებასაც: სახელი ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების შინაარსს წამოსწევს წინ, ცნებას უფრო აკონკრეტებს, ინფინიტივი კი, როგორც აბსტრაქტული სახელი, მოქმედებას ენერგიას მატებს, ფერადოვანს ხდის და ავრცობს.³¹

ეტიმოლოგიური ფიგურები, რომლებიც ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანსა და ახალ აღთქმაში გვხვდება, ებრაიზმებად მიიჩნევა.³² თუმცა კლასიკური ბერძნული ლიტერატურის კვლევებმა ნათლად აჩვენეს, რომ ძველ ბერძნულ ლიტერატურაში ძირის განმეორებით მიღებული სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციები და, მათ შორის, ეტიმოლოგიური ფიგურები, ჰომეროსიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროის ძველ ბერძნულ წერილობით ძეგლებში გვხვდება და საკმაოდ პროდუქტულია.³³ იგი რამდენიმე სინტაქსური კონსტრუქციით გამოიხატება. ყველაზე პოპულარული ორიგინალურ ძეგლებში პირიანი ზმნისა და ამავე ძირის მქონე აკუზატივუსში მდგომი სახელია.³⁴ ხშირია ასევე ინსტრუმენტალისის გაგების მქონე დატივუსიც – ἐν წინდებულითაც და მის გარეშეც.³⁵ კლასიკურ ბერძნულში ერთგვარი ძირებით შეიძლება შეიქმნას შემასმენელისა და სუბიექტის წყვილიც, რომელიც მხატვრულ ტექსტებში სტილისტური ფუნქციით შეიძლება იყოს გამოყენებული.³⁶ ყველა ჩამოთვლილ მოდელში პირიან ზმნასთან ნახმარი იმავე ძირის სახელი, თუკი მას დამოუკიდებელი ფუნქცია არ აქვს, შეიძლება პლეონასტურად, ანდა ფორმალურ განმეორებად ჩაითვალოს.

³⁰ Gesenius et al. 1995, 356(113 l-x), 382(117p-r); Joüon and Muraoka 1991, 421; G. Bergsträsser 1918, 62. იხ. ასევე „An internal accusative is an expression of the verb's action; it is usually anarthrous (i.e., without the article) and may follow or precede the verb. It resembles in sense both the infinitive absolute (35.3.1) and various adverbial accusatives (10.2.2). An internal accusative may be a cognate accusative” (Waltke and O’Konnor 1990, 167).

³¹ Gesenius et al. 1995, 356 (113 l-x), 382(117p-r). სხვადასხვა მკვლევრის განსხვავებული შეხედულების შესახებ იხ. Callahan 2010, 5-6.

³² Thackeray 1908, 598.

³³ Smyth 1920; Fehling 1969, 51-52, 151-162.

³⁴ მაგ., βουλὰς βουλεῖν (ჰესიოდე), νίκην νικᾶν, νόον νοεῖν (ანაკრეონი).

³⁵ Smyth 1920, 355-357.

³⁶ κήρυκες κηρύσσοντες, იხ. Fehling 1969, 158-159.

ამავე დროს, ბერძნულში გვხვდება შესიტყვებები, სადაც პირიანი ზმნასთან დაკავშირებულ, მისივე ძირით ნაწარმოებ სახელს რეალური ფუნქცია აქვს და, შესაბამისად, მხატვრულ ფიგურად არ უნდა ჩაითვალოს.³⁷ თუმცა უნდა ითქვას, რომ კონკრეტული კონტექსტების განხილვისას განმეორებული ძირების შემცველ ზმნურ შესიტყვებებში სახელის რეალური სემანტიკისა და მისი ტროპული ფუნქციის ერთმანეთისაგან გამიჯნვა ყოველთვის შესაძლებელი არ არის.³⁸

სწორედ იმის გამო, რომ ძირის განმეორებით შექმნილი სხვადასხვა სტრუქტურისა და ფორმის შესიტყვებები ბერძნული ენისთვის ნაცნობი იყო, ძველი აღთქმის თარგმნისას ზემოთ განხილული ებრაული ფიგურების შესატყვისად ძველი აღთქმის ბერძნულად მთარგმნელები სინონიმურ მოდულებს იყენებენ: პირიანი ზმნა მეტყველების სხვადასხვა ნაწილთან (არსებითი და ზედსართავი სახელები, მიმღეობა, ზმნიზედა) ქმნის კომბინაციას და სხვადასხვა ფორმით (თანდებულობით და უთანდებულობით – დატივუსსა და აკუზატივუსში) შეიწყობს მათ. Thackeray-სა და შემდეგ, Tov-ს ებრაული infinitivus absolutus-ის რამდენიმე შესატყვისი აქვთ გამოყოფილი: 1. ინფინიტივი;³⁹ 2. ზმნიზედა; 3. არსებითი სახელი დატივუსში ან აკუზატივუსში, რომელთაც წინდებულები შეიძლება ახლდეს; 4. პარტიციპიუმი; 5. ზედსართავი სახელი. Infinitivus absolutus-ით შექმნილი კონსტრუქცია შეიძლება გადმოტანილი იყოს ასევე მხოლოდ ზმნის პირიანი ფორმით, ანდა თავისუფლად.⁴⁰ ცალკეულ წიგნებში ამ ეკვივალენტების გამოყენების მიმართ გარკვეული პრეფერენციები შეინიშნება და, ამდენად, ეს ეკვივალენტები მთარგმნელის იდენტიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს.⁴¹

³⁷ იხ. Schwyzer 1988, 74; Fehling 1969, 52.

³⁸ Fehling 1969, 153.

³⁹ ებრაულის ფორმალურად ზუსტი შესატყვისი – ინფინიტივი პირიან ზმნასთან, ბერძნულისათვის დამახასიათებელი არ არის და მისი მხოლოდ ორი მაგალითი (Jer. 44(51):25 Josh. 17:13) აქვს Tov-ს მოძებნილი. თუმცა სოლამო, სავსებით სწორად, ამ მაგალითებს სარწმუნოდ არ მიიჩნევს (Sollamo 2012, 5, n. 19).

⁴⁰ Thackeray 1908; Tov 1999.

⁴¹ Tov 1999, 253-254; Sollamo 1985; Sollamo 2012.

ძვ. აღთქმის თარგმანებში infinitivus absolutus-ს აღნიშნული შესატყვისებიდან ყველაზე ხშირად პარტიციპიუმი და დატივუსა⁴² ან აკუზატივუსში ნახმარი სახელები შეესაბამება. ამასთან, ითვლება, რომ ამ კონსტრუქციაში პარტიციპიუმის ხმარება ხელოვნურია ბერძნულისათვის.⁴³ რაც შეეხება სახელის ფორმას, შინაგანი ობიექტის გამოსახატად აკუზატივუსი უფრო გამოიყენება.⁴⁴ თუმცა დატივუსის ხმარებაც არაა ხელოვნური, რაკი მას ებრაული infinitivus absolutus-ის ადვერბიალური თუ მოდალური შინაარსის გამოხატვა შეუძლია (θάνον θανάτῃ, λόγῳ λέγισσι). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინსტრუმენტალისის ფუნქციის (dativus instrumenti) წინდებულებიან ან უწინდებულო დატივში მდგარი სახელი ამავე ძირის ზმნასთან კავშირში ბერძნული ენისათვის პლეონაზმს წარმოადგენს (δῆσαντες (έν) δεσμῷ, κειρασάμενα χυσῶν). ძირის განმეორებით შექმნილი ყველა ეს კონსტრუქცია სინონიმური გრამატიკული ფორმებია და ერთსა და იმავე კონტექსტში ანდა სხვადასხვა ტექსტუალურ ტრადიციაში ენაცვლებიან ერთმანეთს.⁴⁵

როგორც ვთქვი, ეტიმოლოგიურ ფიგურებს, ე.წ. პარონომაზიას, ქართულში სპეციალური ნაშრომი პირველად კ. წერეთელმა უძღვნა და საკითხი ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების ანალიზის საფუძველზე განიხილა ებრაულთან მიმართებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ პარონომაზიად იგი მხოლოდ ისეთ მოდელს მიიჩნევს, სადაც სახელური ნაწილი მოქმედებით ბრუნვაშია: „სიკუდილით მუკუდა“ (ე.წ. ძირეული პარონომაზია) და „სიკუდილით აღესრულა“ (ე.წ. სემასიოლოგიური პარონომაზია). მკვლევარი ირიბად სვამს საკითხს ქართულისათვის ამგვარი ფრაზების ორგანულობის შესახებ და ებრაულთან ფორმალურ პარალელებზე (მაგ., ებრაული ინფინიტივის ეკვივალენტად მასდარის ხმარებაზე, ებრაული მეშველზმნიანი ფორმების ეკვივალენტად ქართულ მეშველზმნიან ფორმებზე) მიუთითებს.

⁴² Sollamo 2012, 7-8.

⁴³ Sollamo 1985, 103, 111

⁴⁴ Sollamo 1985, 106

⁴⁵ მაგ., ესაიას წინასწარმეტყველების ერთ კონტექსტში: ეს. 6:9 ἀκοῖν ἀκούσετε καὶ οὐ μὴ συνῆτε καὶ βλέποντες βλέψετε καὶ οὐ μὴ ἴδῃτε, ანდა მსაჯულთა წიგნის სხვადასხვა ვერსიაში: მსაჯ(ა) 11:25 μὴ μάχη ἐμαγέσατο μετὰ Ἰσραῆλ ἢ πολεμῶν ἐπολέμησεν αὐτοῖς და მსაჯ(ბ) μὴ μαγόμενος ἐμαγέσατο μετὰ Ἰσραῆλ ἢ πολεμῶν ἐπολέμησεν.

შემდგომი დისკუსია ქართულ საენათმეცნიერო თუ ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა, კერძოდ, თუ რამდენად „ქართულია“ განმეორებული ძირებით შექმნილი ზმნური შესიტყვებები.⁴⁶

ივ. იმნაიშვილი საკითხს მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციებთან დაკავშირებით ეხება და შესიტყვების სტრუქტურას აანალიზებს.⁴⁷ კ. წერეთლისაგან განსხვავებით, „პარონომაზიული“ გამოთქმები მას საკუთრივ ქართულად მიაჩნია იმ არგუმენტით, რომ ეს მოვლენა ფართოდაა დამკვიდრებული ენაში და, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ქართულ „პარონომაზიულ“ შესიტყვებას ებრაულში პარალელი არა აქვს. ამგვარი მიდგომა საკითხისადმი მეთოდურად გამართლებული არ უნდა იყოს: ზემოთაც ვთქვი, რომ კ. წერეთლისა და ივ. იმნაიშვილის მიერ გაანალიზებული მასალა უმთავრესად ძვ. აღთქმის ქართული თარგმანებია, რაც ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში „პარონომაზიული“ გამოთქმების ფართო გავრცელებულობაზე არ მიუთითებს. „პარონომაზიის“ ქართულობაზე არ მეტყველებს არც ის მაგალითები, რომლებსაც ებრაულში პარალელი არ ეძებნება, რაკი გათვალისწინებული არაა ბერძნული ტექსტები, საიდანაც ქართული თარგმანი შესრულდა და მისი ხელნაწერი წყაროები, რომლებიც პარონომაზიის სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობენ. გათვალისწინებული არაა არც თარგმანის ხასიათი: ზოგჯერ, სწორედ რომ ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმების ხმარებით, მთარგმნელი განზრახ მიმართავს თარგმანის სტილიზაციას,.

პარონომაზიის (უფრო მართებული იქნებოდა – ეტიმოლოგიური ფიგურის) განსხვავებულ ფორმებს გამოყოფს გ. კარტოზია „ვეფხისტყაოსანში“:⁴⁸ გარდა

⁴⁶ მაგ., იმნაიშვილი 1957, კარტოზია, 2004.

⁴⁷ იმნაიშვილი 1957, 234-244.

⁴⁸ ვეფხისტყაოსანში სიტყვების თამაშის მრავალფეროვანი მოდელია მოცემული. ამათ შორისაა ეტიმოლოგიური ფიგურებიც, რაც მოსალოდნელიცაა ავტორისაგან, რომელიც ენის ყველა რესურსს იყენებს ტროპების შესაქმნელად და სიტყვების თამაშის ვირტუოზია. ძირის განმეორებებს, როგორც ალიტერაციას ყურადღება ჯერ კიდევ კ. ჭიჭინაძემ მიაპყრო (ჭიჭინაძე, 1925), ვერბალურ ალიტერაციას უწოდებენ ამგვარ შესიტყვებებს პ. ინგოროყვა და ალ. ბარამიძე (კარტოზია 2004).

„უჭვრეტდა ჭვრეტითა“, იგი ასახელებს ასევე, „თმობდეს გაყრისა თმობასა“, „კმარიან აქა ნახვისა კმანია“.

წინამდებარე სტატიაში მე შორსმიმავალ დასკვნებს ვერ გამოვიტან, შევეცდები მხოლოდ მაქსიმალური სიზუსტითა და დოკუმენტირებულად აღვწერო ქართული ბიბლიის ენაში არსებული ეს ფენომენი. მასალას, ძირითადად, მცირე წინასწარმეტყველთა თარგმანებიდან მოვიხმობ, პარალელების არსებობის შემთხვევაში კი ბიბლიის სხვა წიგნებიდანაც მოვიყვან მაგალითებს, განსაკუთრებით, ფსალმუნებიდან⁴⁹ და იმ წიგნებიდან, რომლებიც ჩვენამდე უძველესი და გელათური თარგმანებითაა მოღწეული. ვეცდები გავარკვიო, რა გრამატიკული მოდელებით გადმოაქვს ქართველ მთარგმნელს ძირის განმეორებით შექმნილი შესიტყვებები და, აქედან გამომდინარე, როგორ ესმის მას ეს შესიტყვებები: როგორც სათარგმნი ტექსტისთვის დამახასიათებელი იდიომა თუ როგორც ოდენ გრამატიკული კონსტრუქცია.

I. ერთი და იმავე ან სინონიმური ძირის მქონე პირიანი ზმნისა და პარტიციპიუმის შესიტყვება

ებრაული infinitivus absolutus-ის ფარდად მცირე წინასწარმეტყველთა ბერძენი მთარგმნელი ხშირად იყენებს კონსტრუქციას, რომელიც ნომინატივუსში მდგარი პარტიციპიუმისა და ამავე ფუძის მქონე პირიანი ზმნისგან შედგება.⁵⁰ Thackeray-ს სექტუაგინტაში მისი ხმარების 200 შემთხვევა აქვს დათვლილი, რაც infinitivus absolutus-ის შესატყვისების დაახლოებით ნახევარს შეადგენს.⁵¹ დაახლოებით იგივე შეფარდებაა იერემიას წინასწარმეტყველებაშიც.⁵²

⁴⁹ განმეორების ეს სახე ფსალმუნებში იხ. Kharanauli 2024, 314-322.

⁵⁰ Thackeray 1908; Tov 1999, 249-251; Sollamo 1985; Sollamo 2012, 4-8; Blass et al. 1990, §422; Aejmelaeus 2007, 2.

⁵¹ Thackeray 1909, 597-601. თუმცა ეს რიცხვი დასაზუსტებელია.

⁵² infinitivus absolutus-ის ხმარების 61(+2) შემთხვევიდან ნახევარი (33(+2)) (Sollamo 2012, 5).

პარტიციპიუმის გამოყენება ამ კონსტრუქციაში ბერძნული ენისათვის უჩვეულოა,⁵³ მიუხედავად იმისა, რომ participium conjunctum-ი ბერძნული ენის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი მახასიათებელია. ბერძნულში ამგვარი პარტიციპიუმი ერთგვარად განსაზღვრავს, ახასიათებს სუბიექტს და დროის, ვითარების, მიზნის და ა.შ. გარემოებების ფუნქციით უკავშირდება პირიანი ზმნით გამოხატულ შემასმენელს. ამრიგად, ბერძნული პარტიციპიუმისთვის მოდალური შინაარსი უცხო არ არის. როგორც ჩანს, პარტიციპიუმის სწორედ ამ სემანტიკამ განაპირობა მისი შერჩევა ებრაული ინფინიტივის ფარდად ამავე ძირის მქონე ზმნასთან კომბინაციაში. მოკლედ, პარტიციპიუმის ხმარება ეტიმოლოგიურ ფიგურაში გრამატიკულად გამართულ სტრუქტურას იძლევა, თუმცა რთული წარმოსადგენია, რომ მისი სემანტიკა ებრაულის გათვალისწინების გარეშე გაეგო ბერძენ მკითხველს.⁵⁴ ამიტომაც ასე გაგებული ეტიმოლოგიური ფიგურა ვერ დამკვიდრდა ენაში – ახალ აღთქმაშიც კი მხოლოდ სექტუაგინტადან მომდინარე ციტატებში გვხვდება.⁵⁵ ბერძნულისათვის უჩვეულო კონსტრუქციის გამოყენება infinitivus absolutus-ის ეკვივალენტად სწორედ იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ბერძენი მთარგმნელი მას იდიომატურ მნიშვნელობას ანიჭებს და მისი სტილური ფუნქციის ხაზგასმა სურს.⁵⁶

ახლა საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ ესმით ეს, ერთი ძირითადი ნაწარმოები მიმღეობისა და პირიანი ზმნის კომბინაციით შექმნილი შესიტყვება, ქართველ მთარგმნელებს და რა ეკვივალენტებს უძებნიან მას.

თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, ბერძნული ტექსტის ქართველი მთარგმნელი, რომელსაც მიაჩნია, რომ ტექსტი მისი ენის მახასიათებლებიდან გამოსვლით უნდა გაიგოს, სახელობითში დასმულ მიმღეობას მისი ტრადიციული მნიშვნელობით გადმოიტანს: როგორც სუბიექტს ან როგორც სუბიექტის მსაზღვრელს – გარემოებას,

⁵³ თუმცა ორიგინალურ ძეგლებში მაინც გვხვდება, მაგ., ჰეროდოტესთან, პლატონთან.

⁵⁴ Sollamo 1985, 105.

⁵⁵ Blass et al. 1990, §422.

⁵⁶ უჩვეულობის ხერხის, როგორც თარგმანის ტექნიკის გამოყენება ორიგინალის სტილის დასაცავად განხილული აქვს ა. ემელეუსს: Aejmelaeus 2007, 2-3.

ანდა, როგორც დროის, ვითარების, მიზეზის, პირობითი ან დათმობითი დამოკიდებული წინადადების შემოკლებულ ფორმას. მაგ., ამოს. 5:5-ში infinitivus absolutus-ით შექმნილი ებრაული ეტიმოლოგიური ფიგურის – *הָלַלְתָּ הָלַלְתָּ* ბერძნული შესატყვისი – (Γαλιλα) *αἰχμαλωτισομένη αἰχμαλωτισθήσεται*⁵⁷ მან რამდენიმენაირად შეიძლება გაიგოს და, შესაბამისად, გადმოიტანოს:⁵⁸ 1. *წარტყვენელი გალგალა წარიტყვენება*; 2. *გალგალა, რომელიც წარიტყვენება, წარიტყვენება*; 3. *გალგალა, როგორც წარსატყვეველი, წარიტყვენება*; 4. *წარიტყვენება რა გალგალა (/როდესაც წარიტყვენება გალგალა), წარიტყვენება*.

მაგრამ, თუკი მთარგმნელს ბიბლიის სტილის იდიომატურობა (რაგვარობა) გააზრებული აქვს და თუკი მისი მიზანი ამ რაგვარობის გადმოტანაა და არა ბერძნულის გრამატიკული ფორმების ფორმალური ასახვა ანდა ენის გრამატიკული სტრუქტურიდან გამომდინარე ტექსტის სემანტიკის გადმოტანა, იგი შეეცდება სათარგმნი ტექსტის იდიომს მისი საკუთარი, გამორჩეული ეკვივალენტი შეუსაბამოს (ენაში არსებული შესატყვისობებიდან შეარჩიოს ეკვივალენტი ანდა ახალი შექმნას) და ის მნიშვნელობა ჩადოს მასში, რაც მოცემულ ეტიმოლოგიურ ფიგურას აქვს ებრაულსა და ბერძნულში. მოცემულ მაგალითში ეს მნიშვნელობები შეიძლება იყოს: მოქმედების შესრულების აუცილებლობა: *აუცილებლად, ნამდვილად წარიტყვენება*, მოქმედების ინტენსივობა: *ძლიერ, დიდად წარიტყვენება*, მოქმედების დურატიულობა დროში: *წარიტყვენება და წარიტყვევენება*.

მცირე წინასწარმეტყველთა ქართველი მთარგმნელები სხვადასხვა მიდგომას ავლენენ ამ მუხლის გადმოტანისას: ძველ მთარგმნელს შესიტყვება როგორც ეტიმოლოგიური ფიგურა, ისე ესმის და შესაბამისად გადმოაქვს:

⁵⁷ ძვ. ბერძნულში აწმყო დროის მიმდებარე ფუტურუმში დასმულ ზმნასთან განგრძობითი მომავლის მნიშვნელობა აქვს.

⁵⁸ შდრ. განსხვავებული ინტერპრეტაციები თანამედროვე თარგმანებში: Galgala, taken captive, will be taken captive (NETS); Galgala as a captive will be taken into captivity (Glenny), Gilgal wird als Gefangene in die Gefangenschaft geführt werden (Septuaginta Deutsch, 1181), Галгала непременно взята будет в плен (Юнгеров 1913, 161).

გალგალად წარტყუნვით წარიტყუნოს OJ Ip;⁵⁹ გელათელი მთარგმნელი ბერძნული ენის გრამატიკის ნორმებს მიჰყვება და ნომინატივუსში დასმული მიმღეობა სუბიექტის ბრუნვით გადმოაქვს და, მამასადამე, მას სუბიექტის განსაზღვრებად მიიჩნევს: ღალღალად დატყუევებული ტყუე-იქმნეს GS; კალას ლექციონარის⁶⁰ გადამწერი უცხო კონსტრუქციის სირთულეს ამარტივებს და მხოლოდ შესიტყვების სემანტიკის გადმოცემით კმაყოფილდება: გალგალად წარვტყუნო k.

ერთი ძირის მქონე პარტიციპიუმისა და პირიანი ზმნით შექმნილი სინტაგმის გადმოტანისას მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული და გელათური თარგმანები სხვა შემთხვევებშიც განსხვავებულ ტენდენციებს ავლენენ. ძველი მთარგმნელი მას სათარგმნი ტექსტის იდიომად – ეტიმოლოგიურ ფიგურად განიხილავს და ხელოვნურ შესატყვისს უძებნის, რომელიც ქართულშიც სტილისტურ ნიშნად შეიძლება შეფასდეს: ბერძნულ ნომინატივუსში მდგარი მიმღეობა მას მოქმედებითში მდგარი საწყისით გადმოაქვს, რომელიც იმავე ძირის მქონე პირიან ზმნას უკავშირდება. რაც შეეხება გელათელ მთარგმნელს, იგი თავს არიდებს ტექსტის ინტერპრეტაციას და ბერძნული გრამატიკული კონსტრუქცია გადმოაქვს: ნომინატივუსში მდგარ ბერძნულ პარტიციპიუმს ამ უკანასკნელის გრამატიკულ ეკვივალენტს – სუბიექტის ბრუნვაში მდგარ მიმღეობას შეუსატყვისებს. ორივე მთარგმნელი საკმაოდ მყარად იყენებს ამ ეკვივალენტებს, ძველი თარგმანი მხოლოდ სამჯერ ცვლის შესატყვისს: მოქმედებითში დასმული საწყისის ნაცვლად, ბერძნულის ფორმალურ შესატყვისს – სახელობითში მდგარ მიმღეობას იყენებს (ზაქ. 11:9; ამბ. 2:3 და ამოს 9:1), ორჯერ კი დამოკიდებული წინადადებით გადმოაქვს (ანგ. 1:6; აბდ. 1:17). გელათური თარგმანი ორჯერ უშვებს გამონაკლისს, იმეორებს რა ძველი თარგმანის შესატყვისს – მოქმედებითში დასმულ საწყისს (ზაქ. 11:17; 12:3).

ბერძნული პარტიციპიუმის ქართული ეკვივალენტების შერჩევისას არცერთი ქართველი მთარგმნელი არ უწევს ანგარიშს იმას, 1. თუ რომელ გვარსა და დროშია

⁵⁹ წყაროთა აბრევიატურები იხ. სტატის ბოლოს. მოყვანილ ციტატებში არ არის ასახული ხელნაწერთა ის იკითხვისები (ორთოგრაფიული, მექანიკური), რომლებიც საკვლევი თემისთვის რელევანტური არაა.

⁶⁰ ლექციონარებში ძველი აღთქმის ტექსტები ძირითადად ძველი თარგმანიდანაა ამოკრებილი.

წარმოდგენილი ბერძნული პარტიციპიუმი; 2. პრეპოზიციამია თუ პოსტპოზიციამია პირიან ზმნასთან მიმართებით;⁶¹ 3. გამოყოფილია თუ არა პირიანი ზმნისგან წინადადების სხვა წევრებით; 4. განსხვავდება თუ არა პირიანი ზმნისგან ზმნისწინებით.⁶²

სახელური ნაწილი პრეპოზიციამია

აქტიური პარტიციპიუმი

ზაქ. 11:9 τὸ ἀποθνῆσκον ἀποθνῆσκέτω καὶ τὸ ἐκλείπον ἐκλείπεται] მოსიკუდიდი იგი მოკუედინ და მოკლებული იგი მოაკლდინ J M4; მოკუდომადი მოკუედინ და მოკლებადი მოაკლდინ S

ოს. 1:2 ἐκπορεύσῃσθε ἐκπορεύσῃ ἢ γῆ] სიძვით ისიძვიდეს ქუეყანად O p S⁶³

ოს. 4:18 πορεύοντες ἐξεπύρνευσαν] სიძვით ისიძვიდეს O; მსიძავნი განმეძვნეს S

იოელ 1:7 ἐρευνῶν ἐξηρῆσυσεν αὐτὸν] გამოძიებით გამოძია იგი JO; გამოძიებით გამოვიძინე იგინი p; გამოძიებელმან გამოძია იგი S

ნაუმ. 1:3 ἀθάψω σὺκ ἀθάψωσει] უბრალოებით არა უბრალო-ყვის OJ L; უბრალოდ არ უბრალო-ყოს GS

იხ. ასევე იერ. 30:6(49:12) ἀθάψω σὺ καὶ ἀθάψωσιν] განმართლებით არა განჰმართლდე JO; უბრალო-ქმნილი, არა უბრალო-იქმნე G.⁶⁴

ამბ. 3:9 ἐντείνων ἐντενεῖς] მორთხმით მორთხამ JK5; მოღებით მოვიღო O A38 Gr Sin 42; გარდაცუმით გარდააცუა Q37 K29; გარდამცუმელი გარდაუცუამ GS

⁶¹ თავად ბერძნულშიც ზმნისა და მიმღობის რიგი ებრაულს შეესატყვისება. საზოგადოდ, პარტიციპიუმის პრეპოზიციამია უფრო ხშირია, თუმცა არის პოსტპოზიციის შემთხვევებიც (იოელი 2:26, ამოს. 9:1). ქართული ყოველთვის ბერძნულის რიგს მიჰყვება.

⁶² მაგ., როცა ზმნას ერთვის ზმნისწინი, ხოლო მიმღობას – არა (მაგ. ოს. 4:18 (შდრ. ოს. 1:2); იოელი 1:7), ანდა როცა მიმღობასა და პირიან ზმნას სხვადასხვა წინდებული დაერთვის (მაგ. 9:1).

⁶³ ამ ადგილას S გელათურ ტექსტს არ წარმოადგენს: ოსიას დასაწყისში გელათის ბიბლიის ხელნაწერი, როგორც ჩანს, უკვე დაზიანებული იყო და საბა მის ტექსტს პარიზის ლექციონარით ავსებს.

⁶⁴ პარალელების არსებობის შემთხვევაში მოვიყვან მაგალითებსაც ძვ. აღთქმის სხვა წიგნებიდანაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს წიგნები გელათური თარგმანების სახითაც არის ჩვენამდე მოღწეული.

ნაუმ. 2:3 ἐκτινάσσοντες ἐξετίναξαν] განყრით განყარნეს OJ; განმბერტყელთა განბერტყნეს GS

ზაქ. 12:3 ἐμπαίζων ἐμπαίξεται] სიმღერით⁶⁵ ემღერდეს J; სიმღერით იმღეროდის S.

შესიტყვების წევრები გაყოფილია:

მალ. 3:9 ἀποβλέποντες ἄμεῖς ἀποβλέπετε] ქუეგანხედვით თქუენ (>O) ქუეგამხედავთ J O
k l p; უგულეებელს-მყოფელნი უგულეებელს-ჰყოფთ თქუენ S.

ამავე წესით გადმოდის ის. 6:9 βλέποντες βλέψετε] ხედვით ხედვიდეთ JO; მხედველნი ხედავთ S.⁶⁶

მედოპასიური პარტიციპიუმი

როგორც ადრეც შევნიშნე, შესიტყვების გაგებასა და გადმოტანაზე არავითარ გავლენას არ ახდენს მიმღეობის გვარი: ისევე, როგორც აქტიური პარტიციპიუმი, პასიურიც მოქმედებითი ბრუნვით გადმოიცემა ძველ თარგმანში, სუბიექტის ბრუნვით კი – გელათურში.

მიქ. 2:12 συναγόμενος συναχθήσεται] შეკრებით (შეკერბით J) შეკრბეს JO; შეკრებული შეკრბეს GS; შეკრებულ შეკრბეს K1

იხ. ასევე 2 მეფ. 17:11 συναγόμενος συναχθήσεται] რაჟამს შემოკრებით შემოგიკრბეს O; შემოგიკრბეს FS Ja. იხ. ქვემოთ, ანგ.1:6, სადაც იმავე ძირის აქტიური პარტიციპიუმი დამოკიდებული წინადადებითაა გადმოტანილი.

მიქ. 2:12 ἐκδέχόμενος ἐκδέξομαι] ლოდებით (მოლოდებით O) მოელოდენ JO; მომლოდე მოველოდი GS; მიმლოდემან მოვილოდინნე K1

ზაქ. 11:17 ζήραιόμενος ζήραιθήσεται] განჯმობით განჯმეს J M4 S

⁶⁵ შდრ. ამავე ზმნის აქტიური პარტიციპიუმი ორივე თარგმანში აქტიური, სასუბიექტო მიმღეობითაა გადმოტანილი: ზაქარ. 8:5 πλησθήσονται παιδάρων και κορασίων παιζόντων] აღივსნენ ყრმებითა წულებითა და ქალებითა, მემღერთა J O p; აღივსნენ ყრმებითა და ქალებითა მომღერალებითა GS; ნაუმ 2:4 ἐμπαίζοντας ἐν πυρί] მეკიცხველნი ცეცხლითა JO; მომღერალნი ცეცხლითა GS.

⁶⁶ ამ სემანტიკის შესატყვისები იხ. ქვემოთ.

ამავე მუხლის გელათურ თარგმანში, პარალელურ ფრაზაში, ისევ სახელობითში მდგარი მიმღობა გვაქვს (იხ. შემდეგი მაგალითი). ისიც საინტერესოა, რომ მოქმედებით ბრუნვას იყენებს ეზეკიელის გელათური თარგმანი, როცა ამავე შინაარსის შესიტყვებაში მიმღობის ნაცვლად დატივუსში მდგარი არსებითი სახელი გვაქვს: ეზეკ. 17:10 ξηραυθήσεται ξηρασία] განჯმესა სიჯმელითა (>J O)⁶⁷ G.

ზაქ. 11:17 ἐκτυφισόμενος ἐκτυφλωθήσεται] დაბრმობით დაბრმეს J M4; დაბრმალი დაბრმეს S

ოს. 1:6 ἀντιαποσόμενος ἀντιἀξίωμα] წინააღდგომით წინააღდგე O p S⁶⁸

შდრ. 3.მეფ. 11:34 ἀντιαποσόμενος ἀντιἀξίωμα] კდომით (> Ja) მკდომ-ვექმნე O FS.

სახელური ნაწილი პოსტპოზიციშია:

როგორც ზემოთაც ვთქვი, ბერძნულისათვის ეტიმოლოგიურ ფიგურებში პარტიციპიუმის პოსტპოზიციის დამახასიათებელი არ არის, თუმცა ამგვარი რიგი იშვიათად მაინც გვხვდება. ასეა მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნულ თარგმანშიც. ქართულ თარგმანებში, სეგმენტების თანამიმდევრობას ბერძნული ორიგინალი განაპირობებს.

ეტიმოლოგიური ფიგურის წევრები გაყოფილია:

ძველ თარგმანს ბერძნული პარტიციპიუმი სუბიექტის როლში მდგარი მიმღობით გადმოაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღობას მსაზღვრელი ახლავს, რომელიც მას კონკრეტულ შინაარსს სძენს (ეჭ აბრῶν ἀνασφᾶρμενος: გადარჩენილი იმათგან, (ვისაც უფლის რისხვა დაატყდება)):

ამოს 9:1 ὁ μὴ διασωθῆναι ἐξ ἀβρῶν ἀνασφᾶρμενος] არცა განერეს მათგანი განრინებულნი OJ; არა ცხონდეს მათგანი ცხოვნებული GS.

⁶⁷ ძველ თარგმანში გამოტოვებაა მსგავსი კიდურწერილობის გამო.

⁶⁸ ამ ადგილას S გელათურ ტექსტს არ წარმოადგენს, იხ. შენ. 14.

იდენტურ ეკვივალენტს იყენებენ ძველი აღთქმის სხვა წიგნთა ძველი ქართველი მთარგმნელებიც, როდესაც მსგავსი ლექსიკური ერთეულებით შედგენილი შესიტყვება გაყოფილი არ არის: ეზეკ. 7:16 ἀνασῳήσονται οἱ ἀνασῳζόμενοι⁶⁹ ἔξ ἀπ᾽αὐ] გან-თუ-ერნენ (om O) განრინებულნი მათგანნი O]; განერნენ განრინებულნი მათგან GS; ისუ 10:20 οἱ διασῳζόμενοι διασῳήσων εἰς τὰς πύλεις] განრინებულნი განერნეს ქალაქებსა BDS; განრომილნი შეივლტოდეს ქალაქთა G. ყველა ამ მაგალითში პარტიციპიუმს არტიკლი და//ან განსაზღვრება ერთვის და ამიტომ მას ადვერბიალური მნიშვნელობა ვერ მიენიჭება – კონკრეტრეტულ პირ(ებ)ს გულისხმობს და სუბიექტად უნდა იქნეს გაგებული. სწორედ ამით უნდა აიხსნას ძველ თარგმანებში პარტიციპიუმის ეკვივალენტად სუბიექტის ბრუნვების გამოყენება.

სემასიოლოგიური ეტიმოლოგიური ფიგურა

ქართული თარგმანების გრამატიკული ეკვივალენტების შერჩევის წესი არ იცვლება, როდესაც ბერძნულში ეტიმოლოგიური ფიგურა ძირმონაცვლე სეგმენტებით არის წარმოდგენილი. ებრაული იდიომის ქართულ ეკვივალენტზე არც ამ შემთხვევაში ახდენს გავლენას სეგმენტების რიგი.

ნაუმ. 3:13 ἀνοίξουσιν ἀνοίχθησονται] განლებით განებუნენ JO K5; განხმულნი განებუნენ S.

გრამატიკული სიზუსტის თვალსაზრისით უფრო სწორი იქნებოდა, რომ ქართულში მიმღეობა მრავლობითის ძირის ფორმით ყოფილიყო წარმოდგენილი (*განხმულით განებუნენ*), რაც ძირის განმეორების ეფექტსაც გაზრდიდა. თუმცა მთარგმნელის არჩევანი შეიძლება სწორედ იმის სურვილმა განაპირობა, რომ ბერძნულის მსგავსად, ძირმონაცვლე სეგმენტები მდგარიყო გვერდი-გვერდ. შდრ. 2. სჯ. 15:8 ἀνοίγων ἀνοίξει τὰς χεῖράς] ქსნილ-ჰყო კელი ES; განლებით განულო კელი G; 2. სჯ. 15:11 ἀνοίγων ἀνοίξει τὰς χεῖράς] ქსნით ქსნილ-ყავ კელი ES; აღმხუმელმან აღუხუნე კელნი G.

⁶⁹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ, განსხვავებით ამოს 9:1-ისგან, მიმღეობას არტიკლი ერთვის.

იოელი 2:26 φάρεσθε ἐσθίοντες] შქამდეთ ჭამით O P (deest in J); შქამოთ k (deest in p l ex homoiot); შქამოთ მქამელთა GS.

ერთი ძირის გამოყენება თარგმანში იმით უნდა აიხსნას, რომ მოცემული შინაარსის სინონიმური ძირები ქართულს არ აქვს. იგივე ეკვივალენტია გამოყენებული სხვაგან, ამავე შინაარსის სეგმენტებისგან შედგენილი პრეპოზიციული წყობის სემასიოლოგიური შესიტყვებისთვისაც: დაბად. 2:16 βράσει φάγη] ჭამით სქამო C AS.

ამბ. 2:3 ἐρχόμενος ἦξει] მომავალი იგი (> S) მოვიდეს JO K5 S.

ეს ფრაზა პავლე მოციქულს ციტატად მოაქვს: ებრ. 10:37 ὁ ἐρχόμενος ἦξει] მომავალი იგი მოვიდეს. პავლესთან მიმდებარე არტიკლი ახლავს, რითაც „მომავალი“ დაკონკრეტებულია და მესიას, იესო ქრისტეს გულისხმობს. კონტექსტის ასეთი, კონკრეტული გაგება ვლინდება ამბაკუმის ქართულ თარგმანშიც: პარტიციპიუმის შინაარსის კონკრეტულობა იწვევს მის სუბიექტად გაგებას და შესაბამისი ბრუნვით გადმოტანას.

პარტიციპიუმი დამოკიდებული წინადადებით

დამოკიდებული წინადადება ბერძნული პარტიციპიალური კონსტრუქციის ჩვეული ქართული ეკვივალენტია. საინტერესოა, რომ ეტიმოლოგიური ფიგურების პარტიციპიუმის გადმოტანისას ეს ეკვივალენტი იშვიათად გამოიყენება. ძველი მთარგმნელი მას მხოლოდ ორჯერ იყენებს, კერძოდ, როდესაც ბერძნულში პარტიციპიუმს არტიკლი (//მიმართებითი ნაცვალსახელი) უძღვის წინ და ობიექტს შეიწყობს. ასეთ შემთხვევაში, ძველ მთარგმნელს განმეორებული ძირები იდიომატური მნიშვნელობით აღარ ესმის და წინადადება მისი ჩვეული გრამატიკული შესატყვისით – დამოკიდებული წინადადებით – გადმოაქვს. გელათელი მთარგმნელი ისევ ნეიტრალურია დედნის მიმართ და არტიკლიან პარტიციპიუმსაც მიმდებარეობით გადმოსცემს:

ანგ. 1:6 ὁ τοῦς μισθὸς συνάγων συνήγαγεν] რომელი სასყიდელსა შეიკრებდა, შეიკრიბა J O p l; შემკრებელმან სასყიდელთამან შეიკრიბა GS.

იხ. ზემოთ, იგივე ზმნის მიმღეობა მიქ. 2:12-ში მოქმედებითი ბრუნვით არის გადმოტანილი.

დამოკიდებული წინადადებით გადმოდის მიმღეობა პოსტპოზიციშიც:

აბდ. 1:17 κατακληρονομήσουσιν ὁ οἶκος Ιακωβ τὸς κατακληρονομήσαντας αὐτοὺς] დაიმკვდრნეს სახლმან იაკობისმან, რომელ დაემკვდრნეს (რომელთა დაიმკვდრნეს J) იგინი JO; დაიმკვდრნეს სახლმან იაკობისმან დამმკვდრებელნი მათნი GS.⁷⁰

შეჯამება

ზემოთ მოყვანილი მაგალითების ანალიზს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ: ძირის ფორმალური თუ სემანტიკური განმეორებით შექმნილ ბერძნულ ზმნურ შესიტყვებებს მცირე წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში მყარი ეკვივალენტები აქვთ: ძველ თარგმანში – მოქმედებით ბრუნვაში დასმული საწყისი, ხოლო გელათურ თარგმანში – მიმღეობა სუბიექტის ფუნქციით. ეს ეკვივალენტები თარგმანისადმი ორ განსხვავებულ მიდგომას წარმოაჩენენ: 1. ძველი მთარგმნელი მკითხველს ინტერპრეტირებულ ტექსტს სთავაზობს, რომელიც ბერძნული პარტიციპიუმის ფუნქციის მისეულ გაგებას უკავშირდება: როდესაც მიიჩნევს, რომ ბერძნულ პარტიციპიუმს ადვერბიალური გაგება აქვს, ანუ, შესიტყვებას ეტიმოლოგიურ ფიგურად აფასებს, მას იმგვარ (მოქმედებით ბრუნვიან) შესიტყვებას შეუსაბამებს, რომელიც, თავისი უჩვეულობის გამო, ქართულში ფიგურალურ გამოთქმას ქმნის. ხოლო როდესაც პარტიციპიუმი კონკრეტულ პირს წარმოადგენს, მას შესიტყვება პირიანი ზმნის კონსტრუქციად მიაჩნია – პარტიციპიუმს შემასმენლის სუბიექტად თვლის და სუბიექტისავე ბრუნვითაც გადმოაქვს. 2. გელათელი

⁷⁰ საინტერესოა ასევე, რომ ფრაზაში, რომელიც ასევე სიტყვების თამაშზეა აგებული და რომელშიც პირიანი ზმნის ძირის მქონე მიმღეობა სუბიექტის განსაზღვრებას წარმოადგენს, ძველ მთარგმნელს გრამატიკული კონსტრუქცია გადმოაქვს: ოს. 4:16 ὁ δὲ δάμαλις παροίστησεν παροίστησεν Ἰσραὴλ] ვითარცა სამწყული მტრიობარი, შესტრიობდა ისრაელი O; ვითარცა დიაკეული მტრიობალი, მტრიობალ-იქმნა ისრაელი S. შდრ. ზემოთ, ამოს. 5:5 გვ. X სადაც მიმღეობა ასევე არსებითი სახელის განსაზღვრებად შეიძლება ყოფილიყო გაგებული.

მთარგმნელი ტექსტის ინტერპრეტაციას მკითხველს მიანდობს და ნეიტრალურ ტექსტს აწვდის მას – ადეკვატურად ასახავს დედნის გრამატიკულ კონსტრუქციას. რაც შეეხება ამ ეკვივალენტის ცვლილების იშვიათ შემთხვევებს, ძველი თარგმანის გავლენით – იკითხვის ძველი თარგმანიდან გადმოყოლით – შეიძლება აიხსნას.

II. ერთი და იმავე ან სინონიმური ძირის მქონე სახელისა და პირიანი ზმნის შესიტყვება

როგორც ითქვა, ძირის ფორმალური თუ სემანტიკური განმეორებით შექმნილ ზმნურ შესიტყვებებში სახელის გამოყენება ბერძნული ენისთვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე მიმღეობისა.⁷¹ ამგვარი, ზმნასთან ასოცირებული სახელი (cognate noun) ან დატივუსშია ხოლმე დასმული, ან აკუზატივუსში და სეპტუაგინტაში ებრაული infinitivus absolutus-ის შესატყვისადაც გამოიყენება: ხუთწიგნეულში სახელი უმეტესად დატივუსში გვხვდება (93/105), გაცილებით იშვიათად – აკუზატივუსში (9/105).⁷² იერემიაშიც ასევე – infinitivus absolutus-ის ფარდად დატივუსი უფრო ხშირად (13) გამოიყენება, ვიდრე აკუზატივუსი (5).⁷³ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში, თუ განმეორებული ძირებით შექმნილი შესიტყვებების მთლიან რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში (და არა მხოლოდ infinitivus absolutus-ის შესატყვისებს), განსხვავებული სურათი გვაქვს: განმეორებულძირიან შესიტყვებებში აკუზატივუსში დასმული სახელი რაოდენობრივად სჭარბობს დატივუსიანს.

ძველ ბერძნულში, ზოგადად, მსგავსი ფუნქციების გამო (ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების ნიუანსირება, შინაგანი ობიექტი, ინსტრუმენტალისი) დატივუსი და აკუზატივუსი ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. ასეა ეტიმოლოგიურ ფიგურებშიც: ერთსა და იმავე ზმნასთან მოდალური თუ შინაგანი ობიექტის ფუნქციით დატივუსიც გვხვდება და აკუზატივუსიც.⁷⁴ ქვემოთ, მასალის ანალიზისას,

⁷¹ იხ. ზემოთ X.

⁷² Sollamo 1985, 105-107.

⁷³ Sollamo 2012, 8.

⁷⁴ Helbing 1928, 89-90.

იმასაც დავუკვირდები, თუ რამდენად აისახება ქართულ თარგმანში გრამატიკული სინონიმია.

ქართველ მთარგმნელთა თარგმანის ტექნიკის შესწავლისათვის და მათ მიერ შექმნილი შესიტყვების სემანტიკის დასადგენად კიდევ ერთი მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული: ბერძნულ ეტიმოლოგიურ ფიგურებში, ზმნური ფუძის გაორმაგების გარდა, მოქმედების ინტენსიურობის ხაზგასმას სახელისათვის დართული ზედსართავი სახელები და ზმნიზედებიც (μέγα/σφοδρα ან ὀრივე (იონა 1:10, 16; 4:6)) ახდენენ (ასეა ებრაულშიც). ქართული ენის სტილისტიკისა და ქართული თარგმანის დასახასიათებლად, ისევ ყურადღებას მივაპყრობ იმას, თუ რამდენად აისახება ქართულ თარგმანებში ამგვარი, სემანტიკური და ფორმალური პლენაზმები: ქართველი მთარგმნელები მის ელიმინაციას ახდენენ თუ ინარჩუნებენ და სტილურ დატვირთვას აძლევენ.

II.1 ერთი ან სინონიმური ძირის მქონე პირიანი ზმნისა და (ἐν+) დატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება

ბერძნული დატივუსის (რომელსაც ἐν წინდებულზე შეიძლება დაერთოს) ფუნქციური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ამ ბრუნვამ მოცემულ შესიტყვებაშიც სხვადასხვა (რეალური ობიექტის, შინაგანი ობიექტის, ზმნიზედის) ფუნქცია შეიძლება იკისროს და სხვადასხვა შინაარსი გამოხატოს: ინსტრუმენტალისი, ზმნის მოდალობა, ან, უფრო ზოგადად, შეიძლება გამოკვეთოს ზმნით გამოხატული მნიშვნელობა.⁷⁵

ბერძნული დატივუსისა და ἐν წინდებულის ერთ-ერთი ფუნქცია ინსტრუმენტალისის გამოხატვაა. ამ ფუნქციით ნახმარ ბერძნულ დატივუსს ქართულში შესაბამისი ფუნქციის მქონე მოქმედებითი ბრუნვა შეესატყვისება და თარგმანებში, საზოგადოდ, მის მყარ ეკვივალენტს წარმოადგენს. ძირის განმეორებით

⁷⁵ Johannesson 1910, 56-57; Fehling 1969, 158; Sollamo 1985, 107; Sollamo 2012, 8-9.

შექმნილ შესიტყვებებში დატივუსში დასმული სახელური ნაწილის ფორმის გადმოსატანად მცირე წინასწარმეტყველთა ძველი თარგმანი სწორედ მოქმედებით ბრუნვას იყენებს – ე.ი. იმავეს, რასაც პარტიციპიუმისთვის ეტიმოლოგიურ ფიგურაში. ერთადერთი გამონაკლისია მიქ. 7:2, სადაც პლეონასტური დატივუსი გამოტოვებულია ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში. გელათელ მთარგმნელთა პოლიტიკა კი, როგორც პარტიციპიალური ეტიმოლოგიური ფიგურების შემთხვევებში, ისევ ბერძნული დედნის გრამატიკული სტრუქტურის გადმოტანას გულისხმობს. შესაბამისად, დატივუსის ეკვივალენტად იგი დამატების (უმთავრესად ირიბი დამატების) ბრუნვას იყენებს. მოქმედებითი ბრუნვა დატივუსის შესატყვისად მხოლოდ ორ შემთხვევაში გვხვდება (სოფ. 1:2 და მიქ. 2:10).

მიიჩნევა, რომ სეპტუაგინტაში ეტიმოლოგიური ფიგურის დატივუსში დასმული სახელური ნაწილის პოზიციას ებრაული დედანი განაპირობებს (თუმცა გამონაკლისებიც არსებობს) და, შესაბამისად, უმეტესად პრეპოზიციულია.⁷⁶ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ეს ტენდენცია არ ჩანს: აქ დატივუსში დასმული სახელი, ძირითადად, მოსდევს პირიან ზმნას. ქართული თარგმანები, თავის მხრივ, ასახავენ სეგმენტთა მიმდევრობას ბერძნულში. შესიტყვების წევრთა მიმდევრობა, ანდა წინადადების სხვა წევრებით მათი გაყოფის ფაქტი ეკვივალენტის შერჩევის წესზე გავლენას არ ახდენს.

შენიშნავენ, რომ ეტიმოლოგიურ ფიგურებში დატივუსში დასმულ სახელს უმეტესად მსაზღვრელი დაერთვის.⁷⁷ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ბერძნული თარგმანი ამ მხრივაც გამონაკლისია: ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში სახელურ ნაწილს მხოლოდ ერთგან (იონა 1:16) დაერთვის პლეონასტური შინაარსის მსაზღვრელი. ქართული არც ამ პლეონასტურ წევრს არ გამოტოვებს.

დატივუსით შედგენილი განმეორებულძირიანი კონსტრუქციის შინაარსი კიდევ უფრო ორაზროვანია, ვიდრე პარტიციპიუმით შედგენილი შესიტყვებისა, რაკი

⁷⁶ Sollamo 2012, 9.

⁷⁷ Helbing 1928, 90.

კონკრეტული ცნებების გამოხატვისას დატივუსი, პლენასტური ხმარების შემთხვევაშიც კი, ინარჩუნებს თავის პირვანდელ, ობიექტისა თუ გარემოების ფუნქციებს. მთარგმნელის გამოწვევაც სწორედ ეს არის – გამოიცილოს, როდის არის შესიტყვება მხატვრული სახე, მხატვრული ფიგურა, ანუ ტექსტის სტილისტური ნიშანი და როდის – ოდენ გრამატიკული კონსტრუქცია და ერთმანეთისგან განასხვავოს ისინი თარგმანში.

II.1.1. ეტიმოლოგიური ფიგურა

კონტექსტების ერთ ნაწილში, სადაც დატივუსში დასმული სახელები აბსტრაქტული ცნებებითა და სახელებით არიან წარმოდგენილნი, შესიტყვება ერთმნიშვნელოვნად ეტიმოლოგიურ ფიგურას წარმოადგენს. ამიტომაც ამგვარ მაგალითებს ცალკე დავაჯგუფებ. შევნიშნავ, რომ ამ ჯგუფში შესული ეტიმოლოგიური ფიგურების მაგალითების შემდგომი სემანტიკური დიფერენცირება, ანუ დატივუსისთვის ერთი რომელიმე კონკრეტული გაგების (პერმანსიულობის, ინტენსივობის ან მოდალურობის) მინიჭება, კონტექსტის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული და, რაკი სუბიექტურია, მოცემულ შემთხვევაში ამგვარ დიფერენცირებას არ მოვახდენ.⁷⁸

სახელური ნაწილი პრეპოზიციაშია:

სოფ. 1:2 ἐκλείψει ἐκλιπέτω] მოკლებით მოაკლდინ J K5 GS (homoiot in O)

მიქ. 2:4 ταλαιπαρία ἐταλαιπαρήσαμεν] უბადრუკებით (> J) უბადრუკ-ვიქმნენით O K1;
საარებაჲ ვისაარებეთ GS.

სახელური ნაწილი პოსტპოზიციაშია:

მიქ. 2:10 διεφθάρητε φθοιρᾶ] განიჭრწნენით განჭრწნით JO; განხრწნით განიხრწნეს K1;
განიხრწნენით ხრწნილებითა GS.

⁷⁸ კონტექსტების ინტერპრეტაცია სეპტუაგინტას სხვადასხვა, ძველ თუ ახალ ენებზე შესრულებულ თარგმანებში ერთმანეთისაგან განსხვავდება.

იხ. ამავე წესით გადმოტანილი იგივე შესიტყვება სხვა წიგნების ძველ და გელათურ ვერსიებში: ის. 24:3 φθιρᾶ φθαρῖσεται ἢ γῆ] განხრწნით განიხრწნეს ქუეყანა JO; ხრწნილებით განიხრწნას ქუეყანა GS; გამ. 18:18 φθιρᾶ καταφθαρῖσῃ] ჯრწნით განიჯრწნე OB AK; ხრწნილებით განიხრწნა C S.

მიქ. 2:6 κλαίετε (δακρυετε L'' (86^{ixi}) Th.Tht.) δάκρυσι სტირთ ცრემლით (-ითა GS) JO GS
სცრემლოით ცრემლითა K1

სინონიმური ძირები ერთი და იმავე ძირითაა შეცვლილი ანტიოქიური ტრადიციის ბერძნულ ხელნაწერებში და, მათი მიყოლით, მეტაფრასული კრებულის თეოდორიტეს კომენტარის ქართულ თარგმანშიც.

მიქ. 7:2 ἐκθλιβουσιν ἐκθλιβῆ (εκθλιβει εκθλιβουσιν 130') აჭირვებს (აჭირებს O) J O;
იჭირვებს მაჭირვებელი S.

რთული სათქმელია, ამ მაგალითში გადამწერმა გამოტოვა თუ ძველმა მთარგმნელმა არ თარგმნა შესიტყვების სახელური ნაწილი (შდრ. მიქ. 2:4, გამოტოვება J-ში). იხ. ამავე შინაარსის ეტიმოლოგიური ფიგურები სხვა წიგნებში: ეზეკ. 18:18 θλίψει θλίψῃ] ჭირი ვისმე აჭირვოს J O; ჭირვებით აჭირვა GS. მეორე სჯულის ორ მუხლში განმეორებული ფრაზა ἐν τῇ στενοχωρίᾳ σου καὶ ἐν τῇ θλίψει σου ἢ θλίψει σε ὁ ἐχθρὸς ერთი კონსტრუქციით, თუმცა გარკვეული განსხვავებებით, არის წარმოდგენილი ქართულ თარგმანებში: 28:53 იწროებითა მით ჭირისა შენისაჲთა და რომელსა გაჭირვებდენ შენ მტერნი ჭირსა შინა ABEKS; ჭირსა შენსა, შეგაიწროს რაჲ შენ მტერმან შენმან G. 28:57 იწროებითა ჭირისა მისისაჲთა, რომელსა-იგი გაჭირებდეს შენ მტერნი იგი შენნი ABEKS; იწროებასა შინა და ჭირსა შინა, რომლითაცა გაჭირვოს შენ მტერმან G. შდრ. იმავე შინაარსის შესიტყვება, სადაც სახელი ზმნიზედით არის ჩანაცვლებული ბერძნულშიც და ქართულშიც: მსაჯ. 2:15 ἐξέθλιψεν αὐτοὺς σφόνδρα] აჭირვებდა მათ ფრიად BDS; შეაჭირვა მათ ფრიად G.

ეტიმოლოგიური ფიგურის წევრები გაყოფილია

ეტიმოლოგიური ფიგურის თარგმანის ტექნიკა არ იცვლება მისი სეგმენტების სხვა წევრებით განცალკევების შემთხვევაშიც:

იონა 1:16 ἐπιθήσει οἱ ἄνδρες φάβαν μεγάλην] შეეშინა კაცთა მათ შიშითა დიდითა JO L P;

შეეშინა კაცთა მათ შიში დიდი GS.

შიშის სემანტიკის ეტიმოლოგიური ფიგურები ქართულსა და ბერძნულში იხ. ქვემოთ, იონა 1:10, მალ. 2:5. იმავენაირად გადმოდის მსგავსი სემანტიკის სემასიოლოგიური ეტიმოლოგიური ფიგურა ფსალმუნში:⁷⁹ 13:5 ἐκεῖ ἐδέχθησαν φάβαν] მუნ შეეშინოს მათ შიშით OGeo, მუნ შეეშინა შიში Geo^c. განსხვავებული ეკვივალენტებია ნახმარი დიდ წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში: ეზეკ. 27:28 φάβαν φεθήσονται] შეეშინა JO; შიშითა შეშინდენ G; ის. 33:7 ἐν τῇ φάβαν ἡμῶν αὐτοῖς φεθήσονται] შიში თქუენი მათ ეშინოდის JO; შიშისა მის მისისა იგინი შეშინდენ S.

მიქ. 5:1 (4:14) οὐκ ἐπαύθησεται θυγάτηρ Εφραῖμ ἐπαύμα (cf Rahlfs ἐν φραγμαῖ)⁸⁰] შეეყენოს ასული შეყენებით JO; შეიზღუდოს ასული ეფრემისი ზღუდისა მიერ GS; შეცვულ იქმნეს ასული ღობესა შინა K1.

გელათური თარგმანები კონკრეტულ მნიშვნელობას (დაკავების ადგილი) ანიჭებენ არსებით სახელს და ინსტრუმენტალისისა (GS) და ლოკატივის (K1) მნიშვნელობით გადმოაქვთ დატივუსი.

სემასიოლოგიური წყვილი

ძველი ქართული თარგმანი სინონიმური ძირებისაგან შექმნილ ეტიმოლოგიურ ფიგურას ერთი ძირის სახელითა და პირიანი ზმნით თარგმნის, გელათური თარგმანი კი ამ შემთხვევაშიც ფორმალური სიზუსტით მიჰყვება დედანს და სინონიმებს იყენებს:

სოფ. 3:17 ἐπαύθησεται ἐπὶ σὲ ἐν τέρψει] იხარებდეს შენდამი (შენ ზედა L) მხიარულებით OJ; იზღუბდეს შენ ზედა ძნობისა მიერ GS

⁷⁹ იხ. ასევე ქვემოთ და Kharanauli 2024, 314-315.

⁸⁰ L&S: ἐμ-φράσσα - *to block up*; ἐπαύμας - *barrier*; φραγμαῖς, οὐ, ὄ - *an enclosure, fence, hedge*.

ამავე შინაარსის ეტიმოლოგიური ფიგურა, სადაც სახელი აკუზატივუსშია, იხ. ქვემოთ, იონა 4:6. ბერძნულ ფსალმუნში სიხარულის სემანტიკის მქონე ძირებით შედგენილი სემასიოლოგიური ეტიმოლოგიური ფიგურები ქართულად ერთი, „ხარ“ ძირისგან ნაწარმოები შესიტყვებითაა გადმოტანილი:⁸¹ ფსალმ. 131:16 ἀγαλλιάσει ἀγαλλιάσονται] სიხარულით იხარებდენ Geo; 105:5 τὸν εὐφραίνῃαι ἐν τῇ εὐφροσύνῃ] რადთა...ვიხარებდეთ ჩუენ სიხარულითა Geo; 20:7 εὐφρανεῖς αὐτὸν ἐν χαρᾷ] ახარე (ახარო GeoG) მას სიხარულითა Geo; 131:9 ἀγαλλιάσονται] სიხარულით (> Geo^G) იხარებდენ Geo.

მოყვანილი მაგალითების ანალიზის შემდეგ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ უკვე გამოთქმულ დაკვირვებას: ეტიმოლოგიურ ფიგურებში ძველ ქართველ მთარგმნელს ერთგვარად გადმოაქვს მიმღეობა და დატივუსში მდგარი სახელი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძველი მთარგმნელი ამ ფიგურის, როგორც დედნის სტილური მახასიათებლის, ეკვივალენტს ქმნის და არა გრამატიკული კონსტრუქციისას.

II. 1.2. დატივუსი რეალური მნიშვნელობით

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში, სადაც სინტაგმის სახელური ნაწილი კონკრეტულ ცნებას გამოხატავს, ἐν წინდებულიანი ან უწინდებულო დატივუსი ინსტრუმენტალისის, ლოკატივის ან დროის მნიშვნელობითაც შეიძლება იქნეს გაგებული. ძველ ქართულ თარგმანში ამგვარად გაგებული დატივუსიც მოქმედებითი ბრუნვით გადმოდის, ანუ ეტიმოლოგიური ფიგურა და გრამატიკული კონსტრუქცია ფორმალურად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამოს 9:9 λικμαται ἐν τῷ λικμῷ] განიქრისის სანქრეველითა JO; განიფიწლვის ფიწლვასა GS.

ძველ თარგმანში ინსტრუმენტალისის ფუნქციის მქონე სახელი პლეონაზმს წარმოადგენს. გელათურ თარგმანში ἐν τῷ λικμῷ-ს დროის გარემოების მნიშვნელობის

⁸¹ იხ. Kharanauli 2024, 316.

მქონე მიცემითი ბრუნვა შეესაბამება. ასე გაგებული სახელი უკვე აღარაა პლეონასტური, რაკი დამატებითი ნიუანსი შემოაქვს კონტექსტში.

ამოს 1:3 ἔπεισον πρώσιον σιδηροῖς] განჰხერხვიდეს (განხერხვიდეს p) ხერხითა რკინისადათა JO GS; განხერხნეს რკინათა ხერხებითა K3, S417.

დატივუსის ამგვარ, რეალურ, გაგებას კიდევ უფრო გამოკვეთს მისთვის მსაზღვრელის (σιδηροῖς – რკინისადათა) დართვა. საინტერესოა, რომ მეტაფრასული კრებულის გელათურ თარგმანში მსაზღვრელი ობიექტადაა გაგებული, საზღვრულს კი იარაღობითობის მნიშვნელობა აქვს.

იმას, რომ ერთი ძირის მქონე ზმნისა და სახელის შესიტყვება ძველი მთარგმნელისთვის მხატვრულ ფიგურას არ წარმოადგენს, ზმნისა და სახელის სხვადასხვა ფუძით გადმოტანა მიანიშნებს. ასეთ შემთხვევებში ძველი მთარგმნელი სახელს ხან მოქმედებით ბრუნვაში სვამს, ხან (უმეტესად) – მიცემითში:

ზაქ. 9:14-ში ἐν σάλπιγγι σαλπαιῖ] საყვრითა დაჰბეროს (იზრახოს p) JO p; ნესტუსა მიერ დანესტოს S

იოელ. 2:1 σαλπίζατε σάλπιγγι] დაჰბერეთ ნესტუსა JO S

იოელ. 2:15 σαλπίζατε σάλπιγγι] დაჰბერეთ ნესტუსა JO p(a) P; დაჰნესტუეთ ნესტუსა GS; ნესტუ ადამაღლეთ p(b)

ოს. 5:8 σαλπίζατε σάλπιγγι] დაჰბეროთ ნესტუსა O; დაჰნესტუფთ ნესტუთა S.

იხ. ანალოგიური ეკვივალენტები ძველი აღთქმის სხვა წიგნებში: ის. 27:13 σαλπισῶσιν τῆ σάλπιγγι τῆ μεγάλῃ] დაჰბერონ საყვრსა (მას) დიდსა J O S; იერ. 28(51):27 σαλπίζατε ἐν ἔθνεσιν σάλπιγγι] დაჰბერეთ ნესტუსა წარმართთა შორის JO; ჰნესტუეთ ნესტუსა G; ეზეკ. 7:14 σαλπίζατε ἐν σάλπιγγι] დაჰბერეთ ნესტუსა JO; დაჰნესტუეთ ნესტუთა მიერ G; ეზეკ. 33:3 σαλπίσῃ τῆ σάλπιγγι] დაჰბეროს ნესტუსა JO; საყვრ-სცეს საყვრსა G; ისუ. 6:5 ὃς ἂν σαλπίσῃτε τῆ σάλπιγγι] დაჰბეროთ ნესტუთა მათ DS; აყვრნეთ საყვრნი G.

შეჯამება

ძველი ქართული თარგმანი ცდილობს ერთმანეთისაგან განარჩიოს დატივუსის ფიგურალური და რეალური მნიშვნელობები. პირველ შემთხვევაში ეტიმოლოგიური ფიგურის ქართულ ფორმულას იყენებს და სახელურ ნაწილს, ისევე როგორც ეტიმოლოგიური ფიგურის მიმღობას, მოქმედებით ბრუნვაში სვამს. მეორე შემთხვევაში სახელის ბრუნვასაც ცვლის და შესიტყვების სემენტებსაც სხვადასხვა ძირითად მოსცემს.

გელათელი მთარგმნელი ორივე შემთხვევაში ერთ მიდგომას იყენებს და ბერძნული ტექსტი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფორმალურ-გრამატიკული სიზუსტით გადმოაქვს.

II. 2. ერთი ან სინონიმური ძირების მქონე პირიანი ზმნისა და აკუზატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება

ზემოთაც შევნიშნეთ, რომ აკუზატივუსში დასმული სახელის გამოყენება ამავე ძირის მქონე პირიან ზმნასთან კლასიკური ბერძნულისთვის დამახასიათებელია, უკვე ჰომეროსთან გვხვდება და მხატვრული განმეორებების სხვა სახეებს შორის პოპულარობით გამოირჩევა ანტიკურ ლიტერატურაში. ელინისტურ ხანაში აკუზატივუსის გამოყენება ამგვარ შესიტყვებებში უკვე იშვიათია, თუმცა, ებრაულის გავლენით, სეპტუაგინტაში კვლავ იჩენს თავს.⁸²

განმეორებული ფუძეებით შექმნილ შესიტყვებებში აკუზატივუსის რამდენიმე მნიშვნელობას გამოყოფენ: 1. იგი აძლიერებს ზმნის მიერ გამოხატულ მოქმედებას, 2. არის მისი ობიექტი (შინაგანი ან პირდაპირი), 3. წარმოადგენს ინსტრუმენტს, ობიექტს, რისი და ვისი მეშვეობითაც სრულდება მოქმედება.⁸³ ის, თუ ჩამოთვლილთაგან რომელ კონკრეტულ შინაარსს ჩავდებთ შესიტყვებაში, მკითხველის ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული.

⁸² Helbing 1928, 88-91; Johannesson 1910, 72.

⁸³ Fehling 1969, 156-157; Smyth 1920, 355-356 (§1563-1577); Blass et al. 1990, § 153.

აკუზატივუსში დასმული სახელი პირიან ზმნას შეიძლება უძღვოდეს და შეიძლება მოსდევდეს⁸⁴, უშუალოდ ემეზობლებოდეს მას და მისგან წინადადების სხვა წევრებით იყოს გამოყოფილი (ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია), ასევე შესაძლებელია, რომ მიმართებითი ნაცვალსახელით დაუკავშირდეს პირიან ზმნას. პირიანი ზმნა შეიძლება აქტიურიც იყოს და პასიურიც. შესიტყვების სახელურ ნაწილს შეიძლება ახლდეს მსაზღვრელი – მართულიც და შეთანხმებულიც (ეს უკანასკნელი, როგორც წესი, სემანტიკური პლენონაზმია). არცერთი ზემოჩამოთვლილი ფაქტორი არ ცვლის შესიტყვების შინაარსს და არ ახდენს გავლენას მისი სემანტიკის ან ფორმის გადმოტანაზე ქართულში (მაგ., ერთი და იმავე სემანტიკის სემენტების სხვადასხვა მიმდევრობა: ზაქ. 1:2 და 1:15; აბდ. 1:1 და აბდ. 3:2; აბდ. 1:15, იოელ. 3:4 და იოელ. 3:7).

როგორც პარტიციპიუმისა და დატივუსის შემთხვევაში, აკუზატივუსის გადმოტანის დროსაც, ძველი ქართველი მთარგმნელი ცდილობს, ფორმალურად გამიჯნოს შესიტყვების სხვადასხვა გაგება: აკუზატივუსის ადვერბიალური მნიშვნელობა მას მოქმედებითი ბრუნვით გადმოაქვს, პირმიმართი წევრის ბრუნვას კი მაშინ იყენებს, როდესაც აკუზატივუსში დასმულ სახელს ობიექტად მიიჩნევს.⁸⁵ გელათელი მთარგმნელი ისევ გრამატიკული კონსტრუქციის ადეკვატურ გადმოტანაზეა ორიენტირებული.

II.2.1. ეტიმოლოგიური ფიგურა

ისევე, როგორც დატივუსში დასმული სახელის შემთხვევაში, აკუზატივუსიან ზმნურ შესიტყვებას ეტიმოლოგიურ ფიგურად ზმნური ძირის შინაარსი (გრძნობა-აქტა) და სახელის აბსტრაქტულობა აქცევს. ასეთი გაგების შემთხვევაში ძველ ქართველ მთარგმნელს აკუზატივუსში დასმული სახელი (ისევე, როგორც ეტიმოლოგიური ფიგურის პარტიციპიუმი ან დატივუსი) მოქმედებითი ბრუნვით

⁸⁴ მიიჩნევა, რომ აკუზატივუსში დასმული სახელი უმეტესად პრეპოზიციანია, მაგრამ ეს ტენდენცია მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში არ ჩანს.

⁸⁵ იხ. ქვემოთ, გვ X

გადმოაქვს (გამონაკლისია ამბ. 1:5; ზაქ. 1:14; 8:2). გელათელი მთარგმნელი უმთავრესად ისევ გრამატიკულ ეკვივალენტებს ქმნის – აკუზატივუსს პირმიმართი წევრის ბრუნვას შეუსაბამებს (თუმცა არის გამონაკლისიც: ზაქ. 1:2,15; იონა 4:1).

პრეპოზიცია:

ზაქ. 1:15 ὀργῶν μεγάλων ἐγὼ ὀργίζομαι] რისხვითა დიდითა მე განვირისხენ J GS;⁸⁶ რისხვითა დიდითა, რომელნი აღდგეს მათ ზედა, განვირისხენ მცირედ p.

პოსტპოზიცია:

ზაქ. 1:2 ἀργίσθη κύριος ἐπὶ τοὺς πατέρας ὑμῶν ὀργῶν μεγάλων] განვირისხნა უფალი მამათა თქუენტა ზედა რისხვითა დიდითა OJ S; უფალი განვირისხნა მამათა ჩუენტა ზედა რისხვითა დიდითა p.

ამავე სემანტიკის ეტიმოლოგიურ ფიგურებში ძველი აღთქმის წიგნებში აკუზატივუსი შეიძლება დატივუსმა და ნომინატივუსმაც ჩაანაცვლოს. ქართველი მთარგმნელები ორივე ბრუნვის შესატყვისად მოქმედებით ბრუნვას იყენებენ, მათ შორის სემასიოლოგიურ ეტიმოლოგიურ ფიგურებში: დატივუსი – ის. 5:25 ἐθυσάθη ὀργῶν] განვირისხნა გულის-წყრომით J; გულმწყარლ იქმნა რისხვა S; 2. ნეშტ. 29:8 ἀργίσθη ὀργῶν] განვირისხნა გულისწყრომით DFIS. ნომინატივუსი – იობ. 32:5 ἐθυσάθη ὀργῶν] განვირისხნა მათ გულისწყრომით DS.

იონა 4:6 ἐχάρη Ἰωνᾶς ἐπὶ τῆν κολοκύνθην ἧσαν μεγάλων (+ σφιδρα 36-86*-49')] განიხარა იონა აყიროსა მას ზედა სიხარულითა დიდითა ფრიად JO L P; განიხარა იონა აყიროსა ზედა სიხარული დიდი S.

ასეთივე წესით არის გადმოტანილი ეს ეტიმოლოგიური ფიგურა ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც: ის. 66:10 χάρητε ἧσαν] იხარებდით მის თანა სიხარულით JO; იხარეთ სიხარული ყოველთა GS. მსგავსი შინაარსის გამომხატველი სემასიოლოგიური

⁸⁶ ოშკის ხელნაწერს ეს და მომდევნო მუხლი აკლია.

ეტიმოლოგიური ფიგურები, სადაც აკუზატივუსის სინონიმად დატივუსიც გამოიყენება, იხ. ზემოთ სოფ. 3:17 და სხვ.

იონა 4:1 ἔλπιθη Ἰωνὰς λῦσιν μεγάλην] შეწუხნა იონა მწუხარებითა დიდითა JO k s S;
იონა შეწოჯნა ფრიად l p

იონა 1:10 ἐπιβήθησαν οἱ ἄνδρες φάβον μέγαν (cf : μέγαν] σφοδρα 62)] შეეშინა კაცთა მათ
შიშითა დიდითა ფრიად JO L P; შეეშინა კაცთა შიში დიდი GS.

ამავე სემანტიკის შესიტყვებაში აკუზატივუსის ეკვივალენტად მოქმედებით ბრუნვას იყენებს ფსალმუნის ძველი მთარგმნელიც:⁸⁷ ფსალმ. 52:6 φειθήσονται φάβον] შეეშინოს მათ შიშით (შიში G) Geo. თუმცა ფსალმუნის ამავე მთარგმნელს (თუ გადამწერს?) აკუზატივი ერთგან ობიექტის ბრუნვითაც აქვს გადმოტანილი: ფსალმ. 52:6 φειθήσονται φάβον (φάβδ L^bTHeS^c 55)] შეეშინოს მათ შიში OGeo; შეეშინა შიში Geo^c.⁸⁸ შიშის სემანტიკის შესიტყვებებში აკუზატივუსს, როგორც ზემოთაც ვნახეთ, დატივუსი⁸⁹ ენაცვლება ხოლმე, რომელიც მცირე წინასწარმეტყველთა (იონა 1:16) მთარგმნელს, ფსალმუნის მთარგმნელის მსგავსად, ასევე მოქმედებით ბრუნვით გადმოაქვს.

ზაქ. 12:10-ში ეტიმოლოგიური ფიგურებით პარალელური ფრაზებია შექმნილი: **κόψονται ἐπ’ αὐτὸν κοπετὸν ἄς ἐπ’ ἀγαπητὸν καὶ ὀδνηθήσονται ὀδνήν ἄς ἐπὶ πρωτοτόκῳ.** მიუხედავად ამ აშკარა პარალელიზმისა ორიგინალში, ძველ ქართულ თარგმანში აკუზატივუსები სხვადასხვაგვარად არის გადმოტანილი:

მოქმედებითით:

⁸⁷ იხ. ასევე ზემოთ და Kharanauli 2024, 314-315.

⁸⁸ საინტერესოა ასევე შემდეგი შემთხვევები: ფსალმ. 90:5 φειθήσθη ἄπὸ φάβου νεκρευοῦσ] არა გეშინოდის შენ (> Geo^c) შიშისაგან ღამისა Geo და ეს. 8:12 φάβον αὐτὸν ὡς μὴ φειθή] შიშისა მათისაგან არა გეშინოდის JO. იხ. იმნაიშვილი.

⁸⁹ თუმცა აკუზატივუსი უფრო ხშირია, მაგ., ახალ აღთქმაში მხოლოდ აკუზატივუსი გვხვდება, იხ. Johaneson 1910, 73.

κόψονται ἐπ’ αὐτὸν κοπετὸν] ეტყებდენ თავთა თვსთა ტყებით J; იტყებდენ მათ ზედა ტყებათა S

ასეთივე შესატყვისობაა სხვაგანაც: დაბად. 50:10 ἐκόψαντο αὐτὸν κοπετὸν μέγαν καὶ ἰσχυρὸν σφόνδρα] ეტყებდეს მას ტყებითა დიდითა და ძლიერითა ფრიად O AKS; იტყებეს მისთვის ტყებად დიდი და ძლიერი ფრიად C.

ობიექტის ბრუნვით, სახელობითით:

ὀδυσυθηθήσονται ... ὀδύνῃ] ელმოდის სალმობად J; ილმონ ლმობა S.

იხ. ამავე სემანტიკის შესიტყვება ქვემოთ, მიქ. 2:4, სადაც პასივში დასმული პირიანი ზმნა და მისი სუბიექტი ნომინატივუსში ასევე ერთი ძირით არის ნაწარმოები.

ეტიმოლოგიური ფიგურებით პარალელიზმია შექმნილი ასევე ზაქ. 8:2-ში: **ἐξήλωσα** τὴν Ἱερουσαλημ καὶ τὴν Σιων **ζήλον μέγαν** καὶ **θυσμῶ μεγάλῳ** **ἐξήλωσα** αὐτήν. ამ მუხლში ძველი ქართველი მთარგმნელი ერთმანეთისგან განასხვავებს აკუზატივუსსა და დატივუსს.

აკუზატივუსი სახელობითით გადმოაქვს:

ἐξήλωσα τὴν Ἱερουσαλημ καὶ τὴν Σιων ζήλον μέγαν] შევიშურვე (შევიშურე J) იერუსალჴმისათვს და სიონისათვს შური დიდი JO; ვაშურვე სიონსა და იჴრუსალიმისა შური დიდი GS.

დატივუსი – მოქმედებითი ბრუნვით:

θυσμῶ μεγάλῳ ἐξήλωσα] გულის-წყრომითა დიდითა შევიშურე მისთვის JO; გულისწყრომასა დიდსა ვეშურვე მას GS.

ამავე სემანტიკის შესიტყვებაში ზაქარიას მთარგმნელი აკუზატივუსისთვის კიდევ ერთხელ იყენებს ობიექტის ბრუნვას:

ზაქ. 1:14 ἐξήλωκα τὴν Ἱερουσαλημ καὶ τὴν Σιων ζήλον μέγαν] შევიშურე იერუსალჴმისათვს და სიონისათვს შური დიდი JO; იერუსალჴმისათვს და სიონისათვს შურითა p; ვაშურვე იჴრუსალიმსა და სიონსა შური დიდი GS.

პირმიმართი სახელის ბრუნვითაა გადმოტანილი იგივე შესიტყვება სხვაგანაც: ივდ. 9:4 $\xi\eta\lambda\omega\sigma\alpha\nu\ \tau\acute{o}\nu\ \zeta\eta\lambda\acute{o}\nu\ \sigma\omicron\varsigma$] რომელთა შეიშურეს შური შენი DFI. საინტერესოა, რომ იგივე აზრი იოელ. 2:18-ში, როგორც ბერძნულში, ისე ქართულში, მხოლოდ ზმნით არის გამოხატული: $\xi\eta\lambda\omega\sigma\epsilon\nu\ \kappa\acute{\upsilon}\rho\iota\omicron\varsigma\ \tau\eta\nu\ \gamma\eta\nu$] და შეიშურა ოვფალმან ქუეყანისა მისთვის O p(a) P; და შეშურდა ღმერთსა ქუეყანისა თვისსა p(b); შეიშურვა უფალმან ქუეყანაჲ GS.

II.2.2. აკუზატივუსი – შინაგანი ობიექტი⁹⁰ თუ პირდაპირი ობიექტი?

ვთქვით, რომ ეტიმოლოგიურ ფიგურასა და გრამატიკულ კონსტრუქციას შორის ზღვრის გავლება კონტექსტის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. ამბ. 1:5 ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ:

ამბ. 1:5 $\theta\alpha\sigma\mu\acute{\alpha}\sigma\alpha\tau\epsilon\ \theta\alpha\sigma\mu\acute{\alpha}\sigma\iota\alpha$] გიკვრდინ საკვრველი! JO K5 p; იკვრენით საკვრველნი S.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აკუზატივუსში დასმული ზედსართავი სახელი ($\theta\alpha\sigma\mu\acute{\alpha}\sigma\iota\alpha$) ზმნის მნიშვნელობას აძლიერებს, მით უმეტეს, რომ ებრაულში შესაბამის ადგილას გაორმაგებული პირიანი ზმნა გვხვდება. მაგრამ, თუ წინადადებას ებრაულისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ, ზედსართავი სახელი ჩაგდებული ობიექტის მსაზღვრელადაც (საკვირველი საქმე, ამბავი) შეიძლება გავიგოთ. ანდა შეიძლება შინაგან ობიექტადაც ჩავთვალოთ, რომელსაც ზმნა იმპლიციტურად ისედაც გამოხატავს.

ბერძნული ენისათვის უჩვეულო არ არის პირიანი ზმნასთან აკუზატივუსში დასმული შინაგანი ობიექტის ხმარება. ასეთი ობიექტი, ჩვეულებრივ, იმეორებს მმართველი ზმნის ძირს ან მის სემანტიკას.⁹¹ ქვემოთ მოყვანილ ორ შემთხვევაში შინაგანი ობიექტი ბერძნულში მხოლოდ სემანტიკურად არის დაკავშირებული ზმნასთან, ქართულ თარგმანში კი – ძირითაც:

⁹⁰ Internal Object/Object Effected, Cognate Accusative. ასე უნდა იყოს ხომ?

⁹¹ მაგ., ფსალმ. 75:6 $\acute{\upsilon}\pi\nu\omega\sigma\alpha\nu\ \acute{\upsilon}\pi\nu\omicron\nu\ \alpha\upsilon\tau\acute{\omega}\nu$] დაიძინეს ძილი მათი Geo; იერ. 28(51):39 $\acute{\upsilon}\pi\nu\acute{\omega}\sigma\omega\sigma\iota\nu\ \acute{\upsilon}\pi\nu\omicron\nu\ \alpha\iota\acute{\omega}\nu\iota\omicron\upsilon$] დაიძინონ ძილი საუკუნე JO. ამგვარი შესიტყვებები კლასიკურ ბერძნულში იხ. Smyth 1920, 355-357.

იოელი 2:23 βράξει ὑμῖν ὑετόν] გიწვმოს (გიწოვიმა p) თქუენ წვმა O I k P GS.

იხ. ასევე ის. 5:6 ἐντελῖσμαι τοῖς μὴ βράξαι εἰς αὐτόν ὑετόν] უბრძანო, და არა წვმონ მის ზედა წვმა O; ვამცნებ არაწვმად მას ზედა წვიმა S.

ზაქ. 3:5 περιβῆλαισ αὐτόν ἰμάτια] შეჰმოსეს მას სამოსელი JO; გარე-მოასხნეს მას სამოსელნი S.

ერთი ან სინონიმური ძირის შემცველ ზმნურ შესატყვისებში, როგორც წესი, ზღვარი შინაგან ობიექტსა და რეალურ, პირდაპირ ობიექტს შორის ძნელი დასადგენია. აკუზატივუსში დასმული სახელის ფუნქციის გასარკვევად ყველაზე სანდო კრიტერიუმი სახელით გამოხატული ცნების ხასიათია: როდესაც სახელი კონკრეტულ ცნებას გამოხატავს, ის პირდაპირ ობიექტად უნდა ჩავთვალოთ, თუ ცნება აბსტრაქტულია – შინაგან ობიექტად. თუმცა ყოველთვის არც ეს ამარტივებს სინტაგმის სემანტიკურ ინტერპრეტაციას. მაგალითად იოელ. 2:28 (3:1) შეილება მოვიტანოთ. ამ კონტექსტში საუბარია იმის შესახებ, რომ მოხუცებსა და ახალგაზრდებს ექნებათ განცხადება კონკრეტული ხილვებისა და სიზმრების სახით: სიზმრები ეზმანებათ და ხილვებს იხილავენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ აბსტრაქტულ ცნებებს (ἐνύπνια, ἰράσσεισ) კონკრეტული მნიშვნელობა აქვს კონტექსტში, ძველი მთარგმნელი მოქმედებითი ბრუნვით, ე.ი. ადვერბიალური მნიშვნელობით თარგმნიან აკუზატივუსში დასმულ ამ სახელებს და, შესაბამისად, ეტიმოლოგიურ ფიგურად მიიჩნევენ შესიტყვებასაც:⁹²

იოელი 2:28 (3:1) ἐνύπνια (-νιοισ S^c-V A''-Q'-49'-198-233''-534 Bo Cyr.^{comm} Th. Bas.N. = Act.; > Tht.) ἐσπνισθῆσονται] საჩუენებლით იხილვიდენ O; ხილვასა იხილვიდენ pl; ჩუენებით (საჩუენებელით Jer. 59 (II)) იხილვიდენ p; ძილისშორისსა იძილისშორისებდენ GS.

⁹² ისიც გასათვალისწინებელია, რომ აკუზატივუსს დატივუსი ენაცვლება ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში, მათ შორის, მაიუსკულეებში S^c-V, რომელთა იკითხვისეხსაც ძველი ქართული თარგმანი ხშირად იზიარებს.

იოელი 2:28 (3:1) ὁράσεις ὀψιόνται⁹³] ხილვით ჰხედვიდენ O; ჩოვენებით გამოეცხადნენ I; ჩუენებითა განეცხადოს p; ხილვით ხედვიდენ P; ხილვასა იხილვიდენ GS.

სხვა მსგავსსავე კონტექსტებში აკუზატივუსში მდგარი სახელი, რომელსაც, ამასთან, არტიკლი უძღვის წინ, ძველ ქართულ თარგმანში პირმომართი წევრის ბრუნვით არის წარმოდგენილი:

მიქ. 3:7 ὁρῶντες τὰ ἐνύπνια] რომელნი ჰხედვიდეს ჩუენებასა J O Arm; მხილველნი (მხედველნი K1) სიზმართანი GS K1.

სხვა წიგნების თარგმანებშიც, კონტექსტებში, სადაც კონკრეტულ ხილვებზეა საუბარი, აკუზატივუსი ისევ პირდაპირი დამატების გამოხატველი ბრუნვით არის გადმოტანილი: დაბ. 37:5 ἐνύπνιασθεῖς δὲ Ἰωσηφ ἐνύπνιον] ჩუენებად იხილა იოსებ O AKS; მზმანებელმან სიზმრისამან C; დაბ. 37:9 εἶδεν δὲ ἐνύπνιον] იხილა ჩუენებად სხუად O AKS; იხილა სიზმარი სხუად C; დაბ. 37:9 ἐνύπνιασάμην ἐνύπνιον ἕτερον] მეჩუენა მე ჩუენებად სხუად O AKS; მეზმანა სიზმარი სხუად C; დაბ. 37:6 ἀκούσατε τὸν ἐνύπνιον τοῦτου οὗ ἐνύπνιασθῆν] ისმინეთ ჩუენებად ესე, რომელ მეჩუენა O AKS; ისმინეთ სიზმრისა ამის, რომელი მეზმანა C; დაბ. 40:5 εἶδον ἀμφοτέροι ἐνύπνιον ἑκάτερος ἐνύπνιον ἐν μιᾷ νυκτὶ ὄρασις τὸν ἐνύπνιον αὐτῶν] იხილეს ჩუენებად ორთავე მათ, კაცად-კაცადმან ღამესა ერთსა, ხილვად იგი ჩუენებისა მათისად O AKS; იხილეს ორთავე ჩუენებად, თვთეულმან ერთსა შინა ღამესა, ხილვა ჩუენებისა თვისისა CB; ეზეკ. 43:3 ἢ ὄρασις ἢν εἶδον κατὰ τὴν ὄρασιν ἢν εἶδον ὅτε εἰσεπορευόμην τὸν χρῖσαι τὴν πόλιν καὶ ἢ ὄρασις τὸν ἄρματος οὗ εἶδον κατὰ τὴν ὄρασιν ἢν εἶδον ἐπὶ τὸν ποταμὸν τὸν Χοβὰρ] ხილვად, რომელ ვიხილე, იყო ხილვისა მისებრ, ოდეს შევიდოდე ცხებად ქალაქისა. და ხილვად იგი ჩუენებისად, რომელ ვიხილე, ხილვისა მისებრ იყო, რომელი ვიხილე მდინარესა მას ქობარისასა JO; და ხილვად, რომელი ვიხილე, ხილვისაებრ, რომელ ვიხილე, ოდეს შევიდოდე ცხებად ქალაქისა, და ხილვად ეტლისად, რომელ ვიხილე, ხილვისაებრ, რომელ ვიხილე მდინარესა ზედა ქობარსა GS;

⁹³ შდრ. ზემოთ მაღ. 3:9 [გვ. X], სადაც ამავე ძირით ნაწარმოებ, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის ეტიმოლოგიურ ფიგურაში პარტიციპიუმი ასევე მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისითაა წარმოდგენილი.

გოდება. 2:9 οὐκ εἶδον ὄρασις παρὰ κυρίου] არა იხილეს ჩუენებად უფლისაგან JO; პოვეს ხილვად S.

ქვემოთ მოტანილ კონტექსტებში ἡ ἀκοή⁹⁴ კონკრეტულ ამბავს, სიახლეს, ცნობას აღნიშნავს და ამავე ძირის მქონე პირიანი ზმნის რეალურ პირდაპირ ობიექტს წარმოადგენს. როგორც ჩანს, სწორედ ასეა გაგებული აკუზატივუსი ძველ ქართულ თარგმანში, სადაც სახელი ობიექტის ბრუნვაშია დასმული:

ამბ. 3:2 εἰσακήκω τὴν ἀκοήν σου] მესმა სმენად შენი OJ K5 GeoOd ‘; მესმა სასმენელი S. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ობიექტის ამ ფუნქციით გაგება უზიძგებს მთარგმნელს, რომ მისთვის მმართველი შემასმენლისგან განსხვავებული სინონიმური ძირი გამოიყენოს სხვა შემთხვევაში:

ახდ. 1:1 ἀκοήν ἤκουσα] ჰამბავი გესმა OJ; სასმენელი მესმა S.

იხ. იგივე შესიტყვება პრეპოზიციული წყობით ძველი აღთქმის სხვა წიგნებში, სადაც აკუზატივუსს ქართულში ისევ პირდაპირი დამატების ბრუნვა შეესაბამება: იერ. 30:8 (49:14) ἀκοήν ἤκουσα παρὰ κυρίου] სმენად მესმა უფლისაგან JO; სასმენელი მესმა უფლისაგან; იერ. 6:24 ἤκουσαμεν τὴν ἀκοήν αὐτῶν] გუესმა სმენად მათი JO; გუესმა სასმენელი ეგე G; იერ. 30:29 (49:23) ἤκουσαν ἀκοήν ποσὶράν] სმენად ბოროტი ესმა JO; სასმენელი ბოროტი ესმაყე G; 1. მეფ. 2:24 αἰ ἀκοαί ἄς ἐγὼ ἀκούω] სმენად ესე, რომელი მესმის თქუენტვს O; ამბავი ესე, რომელი მესმის თქუენტვს S.

პასივში დასმულ ამავე ზმნასთან ნომინატივუსში დასმული სახელი, ე.ი. სუბიექტი, ძველ თარგმანში ქართული ზმნის სინტაქსის შესაბამისად, სუბიექტის ბრუნვით არის გადმოტანილი. ე.ი. მთარგმნელს ერთნაირად გადმოაქვს ორივე - ბერძნული აქტიური ზმნისა და აკუზატივუსით და პასიური ზმნითა და ნომინატივუსით შედგენილი კონსტრუქციები:

ნაუმ 1:12 ἡ ἀκοή σου οὐκ ἐνακουσθήσεται ἔτι] ამბავი (+შენი I) არა ისმინეს მერმე JO I; ამბავი შენი მერმე არა ესმეს p; სასმენელმან შენმან არ შეისმინოს მერმე GS.

⁹⁴ L&S: ἀκοή, ἡ, 1. a hearing, the sound heard, 2. the thing heard, hearsay, report, news, tidings, II. the sense of hearing, 2. the act of hearing, hearing, III. the ear, Sappho, Aesch.

ის, რომ ძველი აღთქმის ქართველ მთარგმნელებს აკუზატივუსის (ἀκίϛ) ეკვივალენტად პირდაპირი ობიექტის ბრუნვა გააზრებულად აქვთ შერჩეული, კარგად ჩანს იმ კონტექსტების თარგმანებთან შეპირისპირებაში, სადაც ამავე ძირებით შექმნილ შესიტყვებებში აკუზატივუსში მდგარი სახელის ნაცვლად სხვა ფორმები გვხვდება: 1). ნომინატივუსში მდგარი პარტიციპიუმი, რომელიც თავისი ჩვეული ეკვივალენტით, მოქმედებითი ბრუნვით არის გადმოტანილი: იერ. 38(31):18 ἀκίϛαυ (ἀκίϛ B-S-130 A-106')⁹⁵ ἤκουσα Εφραιμ ὀδυσσομένου] სმენით მესმა ეფრემის გოდებაჲ JO; მსმენელსა მესმა ეფრემის გოდებაჲ G; და 2). დატივუსში მდგარი სახელი, რომელიც კონკრეტულ ამბავს, ახალ ამბავს კი არ აღნიშნავს, არამედ პირიანი ზმნის შინაგან ობიექტს წარმოადგენს და მასთან ერთად ეტიმოლოგიურ ფიგურას ქმნის. ამგვარი დატივუსიანი შესიტყვება მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტებში არ გვხვდება, მაგრამ ძველი აღთქმის სხვა წიგნებში, როგორც წესი, დატივუსი მოქმედებითი ბრუნვით არის გადმოტანილი: იერ. 17:24 ἐὰν ἀκίϛ ἀκούσῃτέ μου] უკუეთუ სმენით ისმინოთ ჩემი JO G; ის. 6:9 ἀκίϛ ἀκούσατε καὶ οὗ μὴ συνῆτε καὶ βλέποντες βλέψετε καὶ οὗ μὴ ἴδῃτε] სმენით გესმოდის და არა გულისწმა-ჰყოთ და ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ J; სმენით გესმაყე და არა გულისხმა-ჰყოთ და მხედველნი ხედავთ და არა იხილოთ S; გამ. 15:26 ἐὰν ἀκίϛ ἀκούσῃς τῆς φωνῆς κυρίου] უკუეთუ სმენით ისმინოთ ჳმა იგი AK; უკუეთუ სმენით ისმინო ჳმისა უფლისა C; გამ. 19:5 καὶ νῦν ἐὰν ἀκίϛ ἀκούσῃτε τῆς ἐμῆς φωνῆς] აწ სმენით თუ ისმინონ ჳმისა ჩემისა AK; უკუე სმენით ისმინოთ ჳმისა ჩემისა C; გამ. 22:22 ἀκίϛ εἰσακούσομαι τῆς φωνῆς αὐτῶν სმენით ვისმინო ჳმა მათი AK; სმენით ვისმინო ჳმისა მათისა C; გამ. 23:22 ἐὰν ἀκίϛ ἀκούσῃτε τῆς ἐμῆς φωνῆς უკუეთუ სმენით ისმინნე სიტყუანი ჩემნი AK; უკუეთუ სმენით ისმინოთ ჳმისა ჩემისა C; 2. სჯ. 11:13 ἐὰν δὲ ἀκίϛ εἰσακούσῃτε πάσας τὰς ἐντολάς αὐτοῦ] უკუეთუ სმენით ისმინნეთ ყოველნი ესე მცნებანი ჩემნი (მისნი C) AES C.

⁹⁵ სახელური ნაწილი ხელნაწერთა ერთ, უფრო დიდ ნაწილში მიმდევობით არის წარმოდგენილი, მეორეში – აკუზატივუსით. ძველი თარგმანის ორიგინალში სავარაუდოდ მიმდევობა იყო, რომელიც ქართულში მოქმედებითი ბრუნვით არის გადმოტანილი.

აკუზატივუსში დასმული სახელის ფუნქცია ἐργ- ძირით შექმნილ ზმნურ შესიტყვებებშიც ანალოგიურად დგინდება: როდესაც ἐργον// ἐργα კონკრეტულ საქმეს აღნიშნავს, ის პირდაპირ ობიექტად უნდა იქნეს მიჩნეული. ძველი ქართული თარგმანის ეკვივალენტი – არა მოქმედებითი, არამედ პირდაპირი ობიექტის ბრუნვა, ალბათ ამგვარ გაგებაზე მეტყველებს:

ამბ. 1:5 ἐργον ἔγὼ ἐργάσμαι] საქმესა ვიქმ მე J O K5 S.

მოცემულ კონტექსტში აკუზატივუსში დასმული ობიექტი ღვთის შესაქმნის გულისხმობს, ისევე როგორც ფსალ. 43:2: ἦμῃν ἐργον ὁ εἰργάσθη] საქმე იგი, რომელ ჰქმენ Geo.

ამავე ძირის შემცველი სხვა შესიტყვებებიც ანალოგიურადაა გადმოტანილი ძველი აღთქმის წიგნთა იმ კონტექსტებში, სადაც ἐργον // ἐργα კონკრეტული ტიპის საქმიანობას გულისხმობს: იერ. 18:3 ἐποίησεν ἐργον ἐπὶ τῶν λίθων] იქმოდა იგი საქმეთა (>O; საქმესა GS) ქვათა ზედა Geo; რიცხ. 8:11 ἄστει ἐργάσθησθαι τὰ ἐργα κυρίου] იყვნენ იგინი მოქმედად საქმისა მის კარვისა უფლისაჲსა AK; რიცხ. 8:15 ἐργάσθησθαι τὰ ἐργα] შევიდნენ ლევიტელნი იგი საქმედ საქმესა მას კარვისა წამებისასა AK.

აკუზატივუსი პირდაპირი ობიექტის გამომხატველად უნდა იქნეს გაგებული ἀνταποδίδομι-თი შექმნილ შესიტყვებებშიც, სადაც რეალურ საზღაურზე, გადასახადზე, რეტრიბუციაზეა საუბარი და არა საზოგადოდ, სამაგიეროს გადახდაზე:

პრეპოზიცია

აბდ. 1:15 τὸ ἀνταπόδομά σου ἀνταποδοθήσεται] მისაგებელი შენი მიგეგოს J; მიგეგოს O; მოსაგებელი შენი მოგეგოს GS

იოელ 3:4 μὴ ἀνταπόδομα ὑμεῖς ἀνταποδίδοτέ μοι⁹⁶] ნუ მოსაგებელსა რას მომაგებთ (-ებ I) მე O I p; ნუ მოსაგებელსა მომაგებთ თქუენ მე G.

პოსტპოზიცია

⁹⁶ BA 23.4-9, 73.

იოელ. 3:7 ἀνταποδώσω τὸ ἀνταπόδομα ὑμῶν] მიგაგო თქუენ მისაგებელი თქუენი O Ip;
მოვაგო მოსაგებელი თქუენი GS

იოელ 3:4 ταχέως ἀνταποδώσω τὸ ἀνταπόδομα ὑμῶν εἰς κεφαλὰς ὑμῶν] მწრაფლ და ადრე
მიგაგო (+თქუენ p) მისაგებელი თქუენი (>1) თავთა თქუენტა O; მწრაფლ მოვაგო
მოსაგებელი თქუენი თავთა მომართ თქუენტა GS.

ანალოგიურად არის გაგებული და გადმოტანილი ეს შესიტყვება ძველი აღთქმის სხვა
წიგნებშიც, მაგ: იერ. 28:6 ἀνταπόδομα αὐτὸς ἀνταποδίδωσιν αὐτῆ] მისაგებელსა იგი მიაგებს
მას JO; მისაგებელი მისი მიაგოს მან G; იერ. 28(51):56(57) κύριος ἀνταποδίδωσιν αὐτῆ τῆν
ἀνταπόδοσιν] უფალმან მიაგოს მას მისაგებელი O]; უფალმან ნაცვალ-აგოს მას ნაცვალ-
საგებელი მისა GS; გოდ. 3:64 ἀποδώσεις αὐτοῖς ἀνταπόδομα] მიაგე მისაგებელი მათი JO;
მიაგე მათ, უფალო, მისაგებელი S; ფსალმ. 27:4 ἀπόδος τὸ ἀνταπόδομα αὐτῶν αὐτοῖς] მიაგე
მისაგებელი მათი მათვე; ფსალმ. 136:8 ὅς ἀνταποδώσει σοι τὸ ἀνταπόδομά σοι ὃ
ἀνταπέδωκας ἡμῖν] რომელმან მიგაგოს მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩუენ;
დაბად. 50:15 ἀνταπόδομα ἀνταποδῶ ἡμῖν πάντα τὰ κακά] მოსაგებელი მომაგოს ჩუენი
ყოველთა ბოროტსა (> C) C; მოგუაგოს მოსაგებელი ჩუენი ყოვლისა მისთჳს ბოროტისა
O AKS.

Διατίθημι-თი შექმნილ შესიტყვებებში, სადაც სახელური ნაწილი - διαθήκη
კონკრეტულ აღთქმას გულისხმობს და ამავე ძირის ზმნასთან აკუზატივუსში დგას,
ქართულშიც პირდაპირი ობიექტის ბრუნვით გადმოდის:

პრეპოზიცია

ოს. 12:2 διαθήκην μετὰ Ἀσσυρίων δέθηκε] აღთქუმადა ასურასტანელთა თანა აღუთქუა
O; აღთქუმადა ასურასტანელთა თანა აღსთქმიდა S.

იგივე შესატყვისია სხვა წიგნებშიც: იერ. 38(31):33 ἢ διαθήκη ἢν διαθήσομαι] აღთქუმადა,
რომელ აღუთქუ Geo.

პოსტპოზიცია

ოს. 10:4 διαθήσεται διαθήκην] აღთქუას აღთქუმადა O S

ზმნა და სახელი გაყოფილია

ოს. 2:20 διαθήσομαι αὐτοῖς ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ διαθήκην] აღუთქუა მათ აღთქუმად (+მათი p) მათ დღეთა შინა O p; 2:18 აღუთქუა მათ აღთქმა მათი მათ დღეთა შინა S.

იხ. ასევე: დაბად. 21:27 δέθεντο ἀφ' ὅτεροι διαθήκην] აღითქუეს ურთიერთას აღთქუმად O; აღითქუეს ორთავე აღთქმა AS.

ძველი აღთქმის და, მათ შორის, მცირე წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებშიც „აღთქუმა“-თი შექმნილი შესიტყვება სხვა ბერძნული ძირით - *ἐσχῆ*⁹⁷-თი შექმნილ შესიტყვებასაც შეესაბამება. აქაც, როდესაც *ἐσχῆ* ერთჯერად, კონკრეტულ ლოცვას გულისხმობს, მისი პირდაპირ დამატებად გაგება უფრო მარტივია და ასეცაა გაგებული ძველ ქართულ თარგმანში:

იონა 1:16 ἠνῆαυτο ἐσχάς] აღუთქუეს (აღთქუნეს G) აღთქუმად JO ks P GS; აღთქუმად აღნათქუმთა l p

იხ. ასევე: დაბად. 31:13 ἠνῆα μοι ἐκεῖ ἐσχῆν] აღმითქუ მე აღთქუმად B O AKS; რიცხ. 30:4 ἐὰν δὲ γυνη εἰζῆται ἐσχῆν κερῖα] უკუეთუ დედაკაცმან აღუთქუას აღთქუმა უფალსა S; დედაკაცმან აღუთქუას აღთქმა უფლისა მიმართ AK; ხოლო დედაკაცმან თუ აღუთქუას აღთქუმად უფალსა G; 2. სჯ. 23:22 ἐὰν δὲ εἰζῆ ἐσχῆν κερῖα] აღ-თუ-უთქუა აღნათქუამი BDES; აღ-თუ-უთქუა აღთქუმად G.

ეს ბერძნული შესიტყვება ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში იმავე კონსტრუქციით (ერთი ძირის მქონე პირიანი ზმნა და პირდაპირი დამატება), ოღონდ განსხვავებული ლექსიკური ერთეულით („ლოცვა“) შედგენილი შესიტყვებითაც გადმოდის: დაბად. 28:20 ἠνῆατο Ιακωβ ἐσχῆν] ილოცა ლოცვად იაკობ O; ილოცა იაკობ ლოცვად AKS; რიცხ. 6:2 ἐὰν μεγάλας εἰζῆται ἐσχῆν] რომელმან ილოცოს ლოცვად დიდად S; ილოცოს დიდად ლოცვად AK; რომელმანცა დიდად აღთქუას აღთქუმად G; მსაჯ.

⁹⁷ *ἐσχῆ*-ს შესატყვისად „აღთქმა“ ხმამაღლა თქმის მნიშვნელობით იხ. ნაუმ. 1:15(2:1) ლოცვანი JO p; აღთქუმანი GS მალ. 1:14 აღთქუმად Geo; იონა 2:10 აღთქუ.

11:30 ἡμέτερον ἰερόμα ἐσχην τῷ κυρίῳ] ილოცა იეფთაე ლოცვაჲ BDS; აღუთქუა იეფთაემან აღთქუმაჲ G.

კიდევ ერთი ზმნური შესიტყვება, რომელიც ერთი ძირისგან აგებული შემასმენლისა და ობიექტისგან შედგება და ხშირად გვხვდება ძველ აღთქმაში, შესაწირის შეწირვასთან არის დაკავშირებული:

ოს. 8:13 ἠσθεσιν ἠσθίαν] დაკლან საკლველი O S.

რაკი აკუზატივუსში მდგარ სახელს პირდაპირ ობიექტად მიიჩნევს, მთარგმნელმა ტავტოლოგიას შეიძლება თავი აარიდოს და სინონიმები გამოიყენოს კონტექსტში:

იონა 1:16 ἔσθεσιν ἠσθίαν] შეწირეს მსხუერპლი JO k s P; მსხუერპლისა შეწირვად I p;

ამსხუერპლეს მსხუერპლი GS

მსგავსი შინაარსისა და ფორმის კონტექსტებში აკუზატივუსის პირდაპირ დამატებად მიჩნევა უფრო მარტივდება, როდესაც სახელი კონკრეტულ ცნებას გამოხატავს არა მხოლოდ შინაარსის, არამედ მსაზღვრელის დართვის გამოც. მაგ., შემდეგ შემთხვევებში მსხუერპლის სახეობა კიდევ უფრო კონკრეტდება მსაზღვრელის დართვით: ლევ. 19:5 ἔαν ἠσθητε ἠσθίαν σατηρίσιν] უკეთუ შესწიროთ შესაწირავი ცხორებისაჲ AKS; უკუეთუ ამსხუერპლოთ მსხუერპლი მაცხოვარებისაჲ G; ფსალმ. 4:6 ἠσθατε ἠσθίαν δικαιოსύνη] შეწირეთ მსხუერპლი სიმართლისაჲ; ფსალმ. 49:14 ἠσθεσιν τῷ θεῷ ἠσθίαν αἰνέσεσθε] შეწირე ღმრთისა მსხუერპლი ქებისაჲ (ანალოგიური კონტექსტები იხ. ფსალმ. 106:22; ფსალმ. 115:8).

მთარგმნელები რომ ფიგურალურ გამოთქმად არ მიიჩნევენდასახელებულ ბერძნულ შესიტყვებას, იმაშიც ვლინდება, რომ მის ქართულ ეკვივალენტს (მსხუერპლის შეწირვა) იყენებენ მაშინაც, როცა ამავე შინაარსის კონტექსტში პირიანი ზმნა სახელისაგან განსხვავებული ძირითაა წარმოდგენილი: მალ. 1:13 ἔαν φέριτε (ἔαν φέριτε] περισφერετε) τὴν ἠσθίαν] შემოსწირევდით მსხუერპლად JO p; შემოსწირავთ მსხუერპლსა S; მალ. 3:3 περισάγουσθε ἠσθίαν ἐν δικαιოსύνῃ] იყვნენ იგინი შემწირველ უფლისა მსხუერპლისა სიმართლით JO; იყუნენ უფლისა შემწირველ მსხუერპლსა

სიმართლისა მიერ S; მალ. 2:12 ἐκ προσαγόντων θυσίαν τῷ κυρίῳ] რომელნი მოართუმენ უფალსა ყოვლისა მპყრობელსა შესაწირავსა (შესაწირავთა J) JO; შემწირველთაგან მსხუჭრპლსა უფლისა ყოვლისა მპყრობელისა S.

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან შეგვიძლია მოვიტანოთ სხვა მაგალითებიც ერთი ძირით ნაწარმოები ზმნური შესიტყვებებისა, სადაც ზმნის ძირის მქონე სახელისათვის მსაზღვრელის დართვა სახელის მნიშვნელობას აკონკრეტებს და მის პირდაპირი ობიექტის ფუნქციას გამოკვეთს:

ოს. 10:12 φάτισατε ἑαυτοῖς φῶς γνῶσεως] განინათლეთ თავისა თქუენისა ნათელი მეცნიერებისა O; განუნათლეთ მათ ნათელი მეცნიერებისა S

მიქ. 5:4(3) ποιμανεῖ τὸ ποίμνιον αὐτοῦ] მწყსიდეს სამწყსოსა თვსსა (მისსა S; >I) J OL P S K1

მალ. 3:14 ἐφλάγαμεν τὰ φελάγματα αὐτοῦ] დავიცვენეთ (დავიცვენით O) საცავნი (დასაცავნი O) მისნი J O; დავიცვენით დასაცველნი S

ნაუმ 1:15 (2:1) ἐόρταζε Ιουδα τὰς ἐορτάς σου] დღესასწაულობდ იუდა დღესასწაულთა შენტა JOpGS.

ამ შესიტყვებაში ბერძნულში პირიან ზმნას ინფინიტივიც შეიძლება ჩაენაცვლოს, რომელიც სახელს აკუზატივში მართავს. ქართულ თარგმანებში ეს კონსტრუქცია მისი ჩვეული ეკვივალენტით - ვითარებითში დასმული მასდარით გადმოდის, რომელსაც ამავე ფუძის მქონე მიცემითში დასმული სახელი შეეწყობა:

ზაქ. 14:16 ἀναβήσονται ... τὸν ἐορτάζειν⁹⁸ τὴν ἐορτὴν τῆς σκηνοπηγῆς] აღვიდოდიან ... დღესასწაულობად დღესასწაულსა მას კარვობისასა JO; აღვიდოდიან ... დღესასწაულსა მას კარვობისასა p; აღმოვიდოდინ ... დღესასწაულობად დღესასწაული კარვის დგმისა S

⁹⁸ Ex 12:14. უმეტესად ποιῶν ზმნა ენაცვლება, მაგ., 2 სჯ. 16:10.

ზაქ. 14:18 μη ἀναβῆναι τὸν ἑορτάσαι τὴν ἑορτὴν τῆς σκηνοπηγίας] რომელნი არა აღმოვიდენ დღესასწაულობად დღესასწაულსა მას კარვობისასა JO p 1; რაოდენნიცა არა აღვიდენ დღესასწაულობად კარვის-დგმისა დღესასწაულსა S

ზაქ. 14:19 ἢ ἀναβῆναι τὸν ἑορτάσαι τὴν ἑορτὴν τῆς σκηνοπηγίας] რომელნი არა აღმოვიდენ დღესასწაულობად დღესასწაულსა მას კარვობისასა JO; რაოდენ[ნ]იცა არა აღვიდენ დღესასწაულობად დღესასწაულსა კარვის-დგმისასა S.

რაკი ძირის განმეორებას სტილური დატვირთვა არ ენიჭება, თარგმანში შესიტყვების ერთ-ერთი სეგმენტი სინონიმით შეიძლება შეიცვალოს. ამის მაგალითები არაერთია ძველი აღთქმის წიგნებში: გამ. 12:14 ἑορτάσετε αὐτὴν ἑορτὴν κυρίῳ] დღესასწაულად ზატიკებისა უფლისა AK; დღესასწაულად ზატიკობისა უფლისა S. გარდა ამისა, მთარგმნელმა აკუზატივუსი ადვერბიალური (ვითარების გარემოების) ფუნქციითაც შეიძლება გადმოსცეს: რიცხ. 29:12 ἑορτάσετε αὐτὴν ἑορτὴν κυρίῳ] დღესასწაულ ყავთ იგი დღესასწაულად უფლისა S; დღესასწაულობდით AK; უდღესასწაულეთ იგი დღესასწაულად უფალსა G.

ძირის განმეორებით ნაწარმოებ ზმნურ კონსტრუქციაში პირიანი ზმნის ადგილას პარტიციპიუმიც შეიძლება იქნას გამოყენებული. ქართულად იგი პარტიციპიუმის ჩვეული ეკვივალენტით გადმოდის: ან დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნით (ძველ თარგმანში), ან მიმდებარებით (გელათის თარგმანში), ხოლო მასთან შეწყობილი სახელი პირდაპირი ობიექტის ბრუნვაში დგას:

სოფ. 1:8 ἐνδεδυμένους ἐνδύματα ἀγλάστρια] რომელთა (ზედა O) ჰმოსიეს სამოსელი სხვსაჲ JO K5; შემოსილთა ზედა სამოსლებითა უცხოთა GS;

მიქ. 6:10 θησαυρίζων θησαυρούς ἀνόμους] რომელი იუნჯებდეს (იუნჯებს S) საუნჯეთა უსჯულოთა JO S; დაუნჯებულთა საუნჯეთა უსჯულოთასა K1;

ამბ. 2:9 πλεονεκτῶν πλεονεξίαν κακῆν] რომელი ანგაჰრებდეს (ანგაჰრობდეს K5 ანგაჰრობ დღეს (err J) ანგაჰრობასა ბოროტსა JO K5; რომელი ანგაარობდეს ანგარებასა ბოროტსა S.

შდრ. პირიანი ზმნითა და დატივუსში დასმული სახელით შედგენილი იგივე შესიტყვება: ეზეკ. 22:27 *πλεονεξία πλεονεκτων*] ანგაპრებასა ანგაპრებდენ O; ანგაპრობასა ანგაპრობდენ J; ანგაპრებასა ანგაპრობდენ GS.

ძირის განმეორებით ნაწარმოებ ზმნურ კონსტრუქციის გადმოტანისას, როდესაც ისინი გრამატიკულ კონსტრუქციად გაიგებიან და არა მხატვრულ ფიგურად, ქართულ თარგმანებში ძირი შეიძლება არც განმეორდეს და ლექსიკური ეკვივალენტი კონტექსტის მიხედვით შეირჩეს:

მიქ. 3:3 *τὰ δέριματα αὐτῶν ἀπ' αὐτῶν ἐξέδειραν*] ტყავი მათი მათგან განსძარცუეს JO; ტყავნი მათნი განჰკადნეს K1; ტყავნი მათნი ძუალთა მათთაგან განჰკადნეს GS

მიქ. 7:9 *ἕως τοῦ δικαίωσαι αὐτὸν (ἀν δίκαιωσῃ L' -613 Th. Tht.; δίκαιωσῃ 130') τὴν δίκην*] ვიდრე განამართლოს საშჯელი k JO L; ვიდრემდის განამართლოს მსჯავრი S; ვიდრეცა განამართლოს სჯაჲ K1

ამბ. 1:17 *ἀμφίβλεψί τὸ ἀμφίβληστρον αὐτοῦ*] უთხინეს სათხეველნი მისნი JO K5; განჰმარტნეს სათხეველნი თვისნი S.

და პირიქით - ბერძნული სინონიმური ძირები ქართულში ერთი ძირით შეიძლება იქნას გადმოტანილი:

ოს. 10:4 *λαλῶν ῥήματα*] იტყოდის სიტყუათა O; მეტყუზლმან სიტყუათა S

ოს. 5:2 *ὁ οἱ ἀγρεῦσontes τὴν θήραν κατέπιξαν*] რომელი იგი მონადირეთა მათ ნადირისათა დაარწყვან O; რომელი მომნადირებელთა ნადირისათა დაარწყუზს S.

შეჯამება

აღმოჩნდა, რომ ძირის განმეორებით შექმნილ შესიტყვებებს შორის მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში აკუზატივუსიანი შესიტყვებები სჭარბობს პარტიციპიალურს და დატივუსიანს. ძველი ქართველი მთარგმნელი გრძნობა-აღქმის სემანტიკის ძირებით შედგენილ შესიტყვებებს სათარგმნი ტექსტის იდიომებად

მიიჩნევს და მათ სათანადო ქართულ ფორმულას – მოქმედებითი ბრუნვით შედგენილ შესიტყვებას შეუსაბამებს. სხვა შემთხვევებში კი შესიტყვების გადმოტანისას ლექსიკურ-გრამატიკულ სიზუსტეს იცავს.

II.3. ერთი ძირის მქონე პირიანი ზმნისა და ნომინატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება

ბერძნულში, როდესაც ძირის განმეორებით შექმნილ შესიტყვებებში ზმნა პასივშია, არსებითი სახელი ნომინატივუსით გამოხატული სუბიექტი უნდა იყოს. ასეთი შესიტყვებების გადმოტანისას ძველ ქართულ თარგმანში სიტყვათა თამაში ყველა შემთხვევაში არის ასახული, თუმცა სახელი სხვადასხვა ფუნქციით არის ნახმარი და, შესაბამისად, შესიტყვებაც სხვადასხვაგვარად არის გაგებული. გელათური ვერსია ისევ გრამატიკულ სიზუსტეს იცავს ყველგან:

მიქ. 7:16 τὰ ἄτα ἀτάν ἀποικαφαιήσονται] ყურნი მათნი დაუყრუვდენ (დაყრუვნეს S) JO
L S K1

ორივე მთარგმნელს სუბიექტის ფუნქციით გადმოაქვს ნომინატივი და ქვემდებარე-შემასმენლისთვისაც ერთსადაიმავე ძირის ლექსიკას იყენებს.

ამბ. 1:8 ἐξῆπᾶσονται οἱ ἰππεῖς] აღემჯედრნენ (აღმჯდრნენ O) მჯედარნი JO L; ცხენოდინ
მჯედარნი S

ἐξῆπᾶσονται ერთხელ არის ნახმარი სეპტუაგინტაში და დანამდვილებით სიტყვების თამაშისთვის არის შემოტანილი ბერძნულად მთარგმნელის მიერ. ძველ ქართულ თარგმანში ბერძნული ნომინატივი რეალური სუბიექტის ფუნქციით არის გადმოსული. გელათური თარგმანი (თუ საბა ამ შემთხვევაში გელათურ თარგმანს ინარჩუნებს) ბერძნული ჰაპაქსლეგომენონის მეტად ხელოვნურ კალკს (ცხენოდინ) იყენებს, მაგრამ არ იმეორებს სახელის ძირს.

იოელ 3:14 ἦχοι ἐξήγησαν (ἐξηγηθησαν (-ηχθη 147) II 544 Bas.N.)] ოხრით ოხრიდეს (ოხრიდენ p; ოხრიდეთ l) O P pl; ოხრანი იოხრნეს GS.

ძველ მთარგმნელს შესიტყვება ეტიმოლოგიურ ფიგურად მიაჩნია. მსგავსივე კონსტრუქციაა მაგ., ფსალმ. 138:12 σάτις οὐ σκισθήσεται ἀπὸ τοῦ] ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს Geo.

მიქ. 2:4 θρηνηθήσεται θρηνοῖς] გგოდებდენ თქუნ გოდებასა JO; იგოდებოს გოდებაჲ GS; იტყებოთ ტყებაჲ K1

შდრ. ზემოთ, იმავე შინაარსის აქტიური გვარის ზმნა ზაქ. 12:10 ეტყებდეთ ტყებით.

მიქ. 2:4-ში პასიურ შემასმენელთან შეწყობილი, ნომინატივში მდგარი სუბიექტი გელათურ თარგმანში გრამატიკული ადეკვატურობით – პასიური ზმნითა და სუბიექტის ბრუნვით (სახელობითით) გადმოდის. ამ შემთხვევაში ძველი ქართული ვერსია მისთვის უჩვეულო თავისუფალ თარგმანს გვთავაზობს და სხვა ცვლილებებთან ერთად, განმეორებული ძირების შემცველი აქტიური გვარის შემასმენლითა და ობიექტით ქმნის შესიტყვებას.

III. ერთი ძირის მქონე პირიანი ზმნისა და εις წინდებულიან აკუზატივუსში მდგარი სახელის შესიტყვება

ამ ტიპის შესიტყვების ერთადერთ შემთხვევაში ბერძნულში ზმნას ადვერბიალური მნიშვნელობის მქონე წინდებულიანი აკუზატივი შეეწყობა,⁹⁹ რომელიც ძველ ქართულ თარგმანში ზმნიზედით არის გადმოტანილი - იმ ფორმით, რომელიც ერთპირიანი ზმნური შესიტყვებების გადმოტანის სხვა შემთხვევებში არ შეგვხვედრია, საბასეულ გელათის ვერსიაში კი მოულოდნელი შესატყვისი გვაქვს - ფუძე არ მეორდება, სახელი მოქმედებითი ბრუნვით არის წარმოდგენილი, ხოლო ზმნა - აღწერითი წარმოებით:

ოს. 13:6 ἐνεπλήσθησαν εἰς πλεθυσίην] განძღეს მამდრივ O¹⁰⁰; ამოროხვით განძღომით იქმნეს S.

⁹⁹ ამ თითქოსდა ებრაისტულ შესიტყვებას ებრაულში პირდაპირი პარალელი არ აქვს.

¹⁰⁰ J-ში ლაკუნაა.

დასკვნა

1. თუკი განმეორებული ძირებით შექმნილ ზმნურ შესიტყვებათა დისტრიბუციას გავითვალისწინებთ ძველ ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლებში, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს შესიტყვებები ძველი აღთქმის ქართული თარგმანებში შეიქმნა და აქედან შევიდა ქართულ ენაში.

2. მცირე წინასწარმეტყველთა და, უფრო ზოგადად – ძველი აღთქმის წიგნთა, ქართულ თარგმანებში ამ შესიტყვებების გრამატიკული ფორმა განპირობებულია:

ა. თარგმანის ტექნიკით – ძველი მთარგმნელი ფორმალურ-სტილისტურ სიზუსტეზეა ორიენტირებული, გელათელი მთარგმნელი – ფორმალურ-გრამატიკული სიზუსტეზე.

ბ. ტექსტის ინტერპრეტაციით: ძველ თარგმანში შესიტყვების სახელური ნაწილის გრამატიკული ფორმა შერჩეულია მისი ფუნქციის მიხედვით. კერძოდ, თუ ძველი მთარგმნელისათვის შესიტყვება სათარგმნი ტექსტის იდიომას წარმოადგენს, მას იგი ქართულისათვის არადამახასიათებელი შესიტყვებით, შაბლონური ფორმულით, გადმოაქვს, სადაც სახელური ნაწილი მოქმედებით ბრუნვაშია. სხვა შემთხვევაში შესაბამის გრამატიკულ კონსტრუქციას იყენებს.

საპირისპიროდ ძველი მთარგმნელისა, გელათელი მთარგმნელი მკითხველს ტექსტის მისეულ ინტერპრეტაციას არ ახვევს თავს, არამედ აძლევს მას საშუალებას, თავად განსაზღვროს კონტექსტის მნიშვნელობა. იგი შესიტყვების ფუნქციის ფორმალურ ასახვას არ ისახავს მიზნად და, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა სტილისტური დატვირთვა შესიტყვებას, ლექსიკურ-გრამატიკული სიზუსტით გადმოაქვს იგი.

3. მოქმედებით ბრუნვა ფუნქციურად ყველაზე დატვირთულია ქართულში. მისი დატივუსთან ასოციაცია განაპირობებს ამ ბრუნვის გამოყენებას ქართულ ეტიმოლოგიურ ფიგურაში. შესაძლოა სწორედ დატივუსის შესატყვისი მოქმედებითი გახდა ამოსავალი ეტიმოლოგიური ფიგურის ქართული შაბლონის შექმნისათვის,

რომელიც ბერძნული პარტიციპიალური კონსტრუქციით გამოხატული ეტიმოლოგიური ფიგურის შესატყვისადაც იქნა გამოყენებული.

4. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მგონია, რომ „თრევით მოგითრიო“ ტიპის გამოთქმები იაკობ ხუცესის თხზულებაში მასზე ბიბლიის ენის ზეგავლენის შედეგია. ამ ტიპის შესიტყვებები ძველი აღთქმის მთარგმნელთა შემოქმედებითი ძიების ნაყოფია: ბიბლიის მთარგმნელი ტექსტის ინტერპრეტაციას ახდენს და ეძებს ამ ინტერპრეტაციის გამომხატველ გრამატიკულ ფორმებს, შემდეგ ეს ფორმები მკვიდრდება ბიბლიის სტილით დაწერილ ორიგინალურ ტექსტებში, ანალოგიების შექმნისკენ უბიძგებს ენას და ნელ-ნელა ენობრივი დევიაცია სტილის ნიშნად, ქართულენოვანი ტექსტის იდიომად - მის იქცევა.

II. სათარგმნი ტექსტის იდიომა და ძველი აღთქმის ქართველი მთარგმნელის პოლიტიკა τίμημα/დადება-თი და λαμβάνω/აღება-თი შედგენილი ფრაზების ქართული ეკვივალენტების მაგალითზე*

ბიბლიის თარგმანების ენის თავისებურებად, პირველ რიგში, ბიბლიის ორიგინალის, ებრაულსთვის, დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს, ებრაულ იდიომებს – გრამატიკულ თუ სტილისტურ სტრუქტურებს, ე.წ. ებრაიზმებს მიიჩნევენ. ებრაიზმი კი განიმარტება, როგორც ებრაული/სემიტური ენის მახასიათებელი, რომელიც უცხოა ბიბლიის თარგმანთა ენებისთვის და რომლის პირდაპირი გადატანა სხვა ენაზე აზრს არ იძლევა.¹⁰¹

თუ ამ განსაზღვრებას სუფთად ლინგვისტური თვალსაზრისით მივუდგებით, შეიძლება არც დავეთანხმოთ, რაკი იშვიათია ენობრივი მოვლენა, რომელიც სრულიად გამორიცხულია ან უპრეცედენტოა სხვა ენაში და აბსოლუტურად გაუგებარია სხვა ენაზე მოლაპარაკეთათვის. მაგ., ბევრი ებრაიზმად წოდებული ენობრივი ფორმა აქა-იქ უკვე გვხვდება კლასიკურ ბერძნულში ჰომეროსიდან მოყოლებული და კონინეს ბერძნულით დაწერილ ელინისტური ხანის დოკუმენტებში. გარდა ამისა, იდიომა შეიძლება იყოს უცხო, მაგრამ არა გაუგებარი: მაგ., მიქ. 7:16 ἐπιθήσεισιν χεῖρας ἐπὶ τὸ στόμα αὐτῶν: **და დაიდვან კელი პირსა მათსა** ებრაული იდიომაა (קָלַף לִשְׁׁוֹן וְיָחַף), რომელიც ბერძნულშიცა და ქართულშიც გრამატიკულადაც ნორმაში ზის, ენის კოგნიტურ ხედვასაც შეესაბამება და გამჭვირვალე აზრსაც იძლევა – **გაჩუმებას** ნიშნავს. იგივე შეიძლება ითქვას ეტიმოლოგიურ ფიგურებზე (**რისხვით განრისხნა** ტიპისა), რომლებიც უკვე კლასიკურ ბერძნულშიც გვხვდება და, რადგანაც განმეორებას მაინტენსივებელი ფუნქცია აქვს სხვა ენებშიც, მათი სემანტიკა თარგმანებშიც გასაგებია. ასე რომ, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა კონკრეტული ‘ებრაიზმი’

*ავტორი მადლობას უხდის ლელა ჭელიძეს და ნათია ჩანტლამეს ებრაულ და სომხურ ტექსტებთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციებისთვის.

¹⁰¹ იდიომის ეს განმარტება იხ. Nida 1969: 45-46, 89, 106-107; Jakobson 1963: 47. ებრაიზმის განმარტება იხ. Léonas 2016: 364-5; Bivin 2013; Tov 1997: 22;

დამახასიათებელი სხვა ენებისთვის, მისი სემანტიკა მაინც გასაგები შეიძლება ყოფილიყო (თუმცა, ცხადია, არის ისეთი ენობრივი ასოციაციებით შექმნილი იდიომები, რომლებიც სრულიად გაუგებარია სხვა ენაზე მეტყველისათვის).

‘ებრაიზმის’ ამგვარი განმარტება კიდევ უფრო ნაკლებად გამოდგება ძველი ქართული ტექსტებისთვის: განსხვავებით ბერძნულისაგან, რომლის სალიტერატუროცა და ყოფითი ენაც კარგადაა დოკუმენტირებული წყაროებში, ქართულად არ არსებობს ბიბლიამდელი ტექსტები, რომელზე დაყრდნობითაც შეგვეძლო უცხო ენის გავლენით შექმნილი ლექსიკის, ფრაზებისა და გრამატიკული სტრუქტურების ამოცნობა და ქართულში ებრაულის მსგავსი ენობრივი მოვლენების არსებობის კატეგორიული გამორიცხვა ან დადასტურება.¹⁰²

კომპლექსურობის გამო ბუნდოვანია ‘იდიომის’, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინის განმარტებაც.¹⁰³ ლიტერატურათმცოდნეობა ‘იდიომის’ დეფინიციას მეტად დეტალიზებული კრიტერიუმებით ცდილობს და, რაც უფრო იზრდება გამოყენებული მასალა (სხვადასხვა ენაზე და ჟანრში დაწერილი ტექსტების რაოდენობა) და, რაც უფრო გამოწვლილვითი ხდება ანალიზი, მით უფრო რთულდება უნივერსალურად დამაკმაყოფილებელი განმარტების მიღება.¹⁰⁴ ‘იდიომის’ განსაზღვრებათაგან, რომელიც გასაზიარებელია, როგორც ყველაზე

¹⁰² შუშანიკის წამების ენა, რომელსაც ხშირად მოიხმობენ ხოლმე ქართულში ამა თუ იმ შესიტყვების ‘ბუნებრიობის’ დასადასტურებლად, მხოლოდ იმის ილუსტრაციაა, თუ რა სწრაფად ადაპტირდება უცხო სახეები და გრამატიკული სტრუქტურებიც კი სათარგმნ ენასთან და რამდენადაა დამოკიდებული მათი ენაში დამკვიდრება ტექსტის გადმომღების ნიჭზე. ის, რომ იაკობ ცურტაველი ბიბლიის ენით წერს, ჩემი აზრით, სწორედ იმას ნიშნავს, რომ ამ ენას ნორმატიულ სტილად მიიჩნევს, რომლითაც ლიტერატურული ნაწარმოებები იწერება. აქვე არ დავეთანხმები ‘სიუცხოვის’ დადგენის კრიტერიუმად იმ მაჩვენებლის გამოყენებას, მოიკიდა თუ არა ფეხი ამა თუ იმ მოვლენამ ენაში, რადგანაც ქართული ენის ისტორიაში არაერთი მაგალითია არათუ ფრაზების, გრამატიკული კატეგორიების დაკარგვისაც კი.

¹⁰³ შეჯამებითი მიმოხილვა იხ. van den Heever 2014.

¹⁰⁴ იდიომის განმარტებათაგან ერთ-ერთი საუკეთესოა თამაზ გამყრელიძის განმარტება: „იდიომები ანუ იდიომატური გამოთქმები ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს, მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა აზრობრივად გარდაქმნილია; მათთვის დამახასიათებელია ერთიანი მნიშვნელობა, ლექსემის მსგავსი სინთეზური ფუნქცია. იდიომები ლექსემათა ექსპრესიული სინონიმებია. მათი მნიშვნელობა შეიცავს არა მარტო კომპონენტისათვის დამახასიათებელ კონოტაციებს, არამედ თვით ფრაზემის ხატოვან საფუძველსაც; ამიტომ იდიომის მნიშვნელობა ლექსემის მნიშვნელობაზე უფრო მდიდარია“ (გამყრელიძე 2008: 376). განმარტების თითოეული პუნქტის შესახებ იხ. van den Heever 2014.

უნივერსალური, არის ის, რომ იდიომის სემანტიკა არ ასახავს მისი წევრების სემანტიკის ჯამს და რომ იგი ერთგვარად მეტაფორული – გადატანითი, არაპირდაპირი მნიშვნელობის მატარებელია.

ქართული ბიბლიის ენაზე მსჯელობისას არც ‘ებრაიზმისა’ და ‘იდიომის’ გაიგივება შეიძლება, რაკი ქართული ბიბლიის სტილს, ებრაულის გარდა, ბერძნული ენის მახასიათებლების – ‘ბერძნიზმების’ ან ‘გრეციზმების’ ტექსტში ასახვაც აყალიბებს.

ამიტომ, მგონია, რომ საქმეს გავიადვილებთ და უზუსტობასაც თავიდან ავიცილებთ, თუ ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტებს თავს დავანებებთ და ‘იდიომას’ პირდაპირი მნიშვნელობით (ბერძნული სიტყვიდან – *ἴδιος* (*საკუთარი, თავისი*)) – როგორც ამა თუ იმ ენის, ტექსტის ან ავტორის მეტყველების თავისებურებას, ძველი ქართული ტერმინებით – ‘მეყვსეობა’ (დობორჯგინიძე 2011: 83), ‘რაბამობა’ (დობორჯგინიძე 2011: 68-69; 147-148) გავიგებთ, ხოლო ‘ებრაიზმებს’ ან ‘გრეციზმებს’ ანუ ებრაული და ბერძნული ენების იდიომებს, სტილურ მოვლენად – ფიგურებად, მხატვრულ სახეებად,¹⁰⁵ ჩავთვლით, რომელიც მეტ-ნაკლებად მყარი სტრუქტურით და ლექსიკური შემადგენლობით, სტერეოტიპული ფორმულებით გამოიხატება და განსაკუთრებით დამახასიათებელია, ანუ იდიომატურია ებრაულად/ბერძნულად დაწერილი წმინდა წერილისთვის, განსაკუთრებით ჭარბად გამოიყენება მასში. მოკლედ რომ ვთქვათ, ბიბლიის ენის იდიომა არის ის, რაც წმინდა წერილის სახეს, მის სტილს ქმნის და რომლითაც ამოიცნობა წმინდა წერილის ტექსტები სხვადასხვა ენაზე.

სიტყვასიტყვითი თარგმანის მეთოდი ის საშუალებაა, რომლითაც ‘ებრაიზმები’/‘გრეციზმები’ ჩნდება თარგმანებში. ამ მეთოდით მუშაობისას მთარგმნელი არ

¹⁰⁵ უნდა აღინიშნოს, რომ იდიომა ყოველთვის არ გამოირჩევა მაინცდამაინც ხატოვანი, ფერადოვანი ხასიათით (van den Heever 2014: 12) — მაგრამ ესეც, ალბათ, გემოვნებისა და სიტყვიერი კულტურის საკითხია, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ენობრივ გარემოში. ამასთან, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ კულტურასთან ადაპტაციის შედეგად უცხო ენობრივ თუ სტილისტურ მოვლენებთან ადაპტაციაც ხდება.

ხსნის იდიომის აზრს, არც საკუთარი ენის იდიომით ჩაანაცვლებს მას, არამედ სიტყვასიტყვით გადმოაქვს იგი. ამრიგად, თარგმანში იდიომის გადმოტანის წესი მთარგმნელის პოლიტიკას ასახავს, მისი მთარგმნელობითი კონცეფციის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

მთარგმნელის არჩევანს, სიტყვასიტყვით გადმოიტანოს დედნის იდიომა, თეორიულად სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგ., მთარგმნელი, გამოუცდელობის გამო, სიტყვასიტყვით მიყვება დედანს – ასეთ თარგმანს მოწაფურს უწოდებენ ხოლმე. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მთარგმნელისათვის გაუგებარია კონკრეტული იდიომის აზრი, ამიტომაც სიტყვასიტყვით გადმოაქვს იგი და მის ინტერპრეტაციას მკითხველს მიანდობს. ანდა, მესამე, მთარგმნელი გაცნობიერებულად ამჯობინებს დედნის იდიომის სიტყვასიტყვით გადმოტანას, რაკი მას სტილურ მოვლენად მიიჩნევს, ხოლო მისი მთარგმნელობითი კონცეფცია დედნის სტილის შენარჩუნებასაც გულისხმობს. ფორმალური თარგმანის მეთოდის არჩევანი კიდევ ერთმა მიზეზმა შეიძლება განაპირობოს: ტექსტისადმი – ღვთის სიტყვისადმი – განსაკუთრებულმა მოწიწებამ. მართალია, სათარგმნი ტექსტის გადმოტანის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ მოტივების ერთმანეთისგან გარჩევა და მთარგმნელის ფიქრთმხილველობა სახიფათო გასართობია და რთულ ამოცანას შეადგენს (Dogniez 2002: 2), მაგრამ მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლის შედეგად ზოგადი ტენდენციის გამოვლენა მაინც შესაძლებლად მეჩვენება (მაგალითად, როდესაც თარგმანში გვხვდება ებრაისტული ფრაზა, რომელიც ორიგინალში არაა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთარგმნელი განზრახ გახაზავს ორიგინალის სტილის თავისებურებას და რომ, შესაბამისად, მისი ფორმალური თარგმანის მოტივი დედნის სტილის ასახვაა).

სტერეოტიპულობა იდიომის ერთ-ერთი ნიშანია. სწორედ ხშირი განმეორებადობა აქცევს შესიტყვებას იდიომად და სტილურ მოვლენად. ასე რომ, იდიომების გადმოტანაზე დაკვირვებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რამდენად თანმიმდევრულია მთარგმნელი: ერთიანი პოლიტიკა აქვს გამომუშავებული თუ

ყოველ კონკრეტულ იდიომასთან პირისპირ შეხვედრისას ირჩევს თარგმანის მეთოდს; იდიომის ეკვივალენტს ინარჩუნებს თუ ცვლის ხოლმე მას; ეკვივალენტების შერჩევასა აზრის გადმოტანას ანიჭებს უპირატესობას თუ გრამატიკული კონსტრუქციის ან ლექსიკის ფორმალურ ასახვას. ამ ყველაფერს უფრო ზოგადი კითხვისკენ მივყავართ: რამდენად ერკვევა მთარგმნელი დედნის სტილში? გამოარჩევს იდიომას ტექსტიდან, ცალკე სათარგმნ სეგმენტად მიაჩნია იგი და სპეციალურ დამოკიდებულებას იჩენს მისი გადმოტანის მიმართ თუ – ტექსტის ჩვეულებრივ მონაკვეთად თვლის, ასე რომ ვთქვათ, მისთვის „ტექსტი ტექსტია?“

საკითხს ჯერ სექტუაგინტას მთარგმნელის პოზიციიდან შევხედოთ, ვნახოთ, როგორ უდგება ბერძენი მთარგმნელი ებრაისტიული იდიომების გადმოტანას და, შემდეგ დავახასიათოთ ქართველი მთარგმნელის თარგმანის ამოცანები და მეთოდი.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ‘ებრაიზმის’ საკითხი წამოჭრა კოინეს ბერძნულსა და სექტუაგინტაში (რომელიც მას კოინეს ბერძნულის ამსახველად მიაჩნია), და მათი კლასიფიკაცია სცადა, რობერტ ჰელბინგი იყო (Helbing 1928: VI-X). მე ერთგვარი მოდიფიკაციით წარმოვადგენ ამ კლასიფიკაციას (Léonas 2016: 366-368; Blass/Debrunner/Rehkopf 1984: 4):

1. ლექსიკური ებრაიზმები: აქ შემოდის თარგმანის ენის ის სიტყვები, რომლებსაც სათარგმნი ენის სიტყვის მნიშვნელობა აქვს მიღებული; ასევე ნეოლოგიზმები – სიტყვები, რომლებიც ებრაულის გავლენით გაჩნდა სექტუაგინტაში ან კოინეს ბერძნულში;

2. ფრაზეოლოგიური ‘ებრაიზმები,’ ფორმულები, რომელშიც ერთიანდება: ა) სინტაქსური ებრაიზმები, ე.ი. გარკვეული გრამატიკული წესით შედგენილი სინტაგმები (მაგ. ეტიმოლოგიური ფიგურები, ზმნისა სახელის კომბინაციები და სხვ.) და ბ) იდიომატური გამოთქმები – მეტაფორული ფრაზები, გარკვეული ტიპის ლექსიკით (მაგ., სული, გული, ხელი, პირი და სხვ.) შედგენილი ფორმულები და სხვ..

3. სტილისტური მოვლენები – პარატაქსი, სხვადასხვა ტიპის მხატვრული ფიგურები, პარალელიზმები, პლეონაზმი, ელიპსისი, პრაქილოგია და სხვ.

სტატიაში ებრაიზმების ერთი ტიპის – ფრაზეოლოგიურ ებრაიზმების ქართულში გადმოტანის მაგალითზე ვეცდები გავარკვიო, თუ როგორია ქართველი მთარგმნელების პოლიტიკა თავისი დედნის – სექტუაგინტაში შესული, ბერძნულისათვის არადამახასიათებელი (თუმცა – არა უპრეცედენტო), ებრაისტული იდიომების გადმოტანის მიმართ. მაგრამ, რადგანაც ყველაფერი მიმართებებში უნდა იქნას შესწავლილი, მგონია, რომ ქართულ თარგმანში ბერძნულისათვის (და ქართულისთვისაც) ანომალური ენობრივი მოვლენების გადმოტანა ნორმატიული ენობრივი მოვლენების ასახვასთან ერთად უნდა იქნას განხილული და მასთან მიმართებაში შეფასებული. აქედან გამომდინარე, ამჯერად ერთ-ერთი ყველაზე მრავალჯერადი გამოყენების ზმნების – *πίθημι (დადება)*-ს და *λαμβάνω (ალება, მილება)*-ს – მონაწილეობით შექმნილი ‘ნორმალური’ თუ ‘ანომალური’ შესიტყვებების მთელი სპექტრი მინდა გავანალიზო მცირე წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში და ასე წარმოვაჩინო ქართველ მთარგმნელთა მუშაობის მეთოდი.

დავიწყებ ‘ნორმალური’ გამოყებიდან და დავუკვირდები, როგორ არჩევს მთარგმნელი ეკვივალენტს და რამდენად მყარად იცავს ამ ეკვივალენტს სხვადასხვა კონტექსტში.

საზოგადოდ, ბიბლიის მთარგმნელებს სათარგმნი სიტყვა ორი წესით გადმოაქვთ: ან კონტექსტის მიხედვით, ad hoc არჩევენ მის მნიშვნელობას, რაც, გარკვეულწილად ტექსტის ინტერპრეტაციასაც გულისხმობს, ან მისი პირველადი მნიშვნელობის მიხედვით არჩევენ ეკვივალენტს და ცდილობენ ეს ერთი შერჩეული ეკვივალენტი გამოიყენონ სხვადასხვა კონტექსტში. ივარაუდება, რომ უკანასკნელი შემთხვევისათვის მთარგმნელები ლექსიკონს ადგენენ, ანდა უკვე არსებული ლექსიკონებით სარგებლობენ, რომელიც წინამორბედი მთარგმნელების გამოცდილებას ეყრდნობა. ცხადია, რეალურად, ლექსიკონის გადმოტანის ორივე ეს წესი აბსოლუტური თანმიმდევრულობით ვერ განხორციელდება, მაგრამ იმაზე დაკვირვება, თუ როგორ იყენებენ მცირე წინასწარმეტყველთა ქართველი მთარგმნელები

ამ წესებს – რამდენად მიჰყვებიან რომელიმე ერთს, ან რამდენად აბალანსებენ ამ ორივეს გამოყენებას, ცალკეული მთარგმნელის ან მთარგმნელთა ჯგუფის ინდივიდუალურ ტექნიკასაც გამოგვაავლენინებს და, ამასთან, გასაღებსაც მოგვცემს ტექსტის გასაგებად.

I. **πίθημα**

ბიბლიის წიგნებში და, მათ შორის, მცირე წინასწარმეტყველებთან, **πίθημα** სხვადასხვა სტრუქტურაში და, შესაბამისად, სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება:

1. როგორც ბერძნული ლექსიკური ერთეული, წინადადებაში დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ზმნა-შემასმენელი, რომლის მნიშვნელობაც კონტექსტის მიხედვით ზუსტდება;
2. როგორც ებრაული იდიომის – ფრაზეოლოგიური ებრაიზმის შემადგენელი ზმნა, რომელიც:
 - 2.1. შინაგან ობიექტთან ერთად წარმოადგენს შემასმენელს და მასთან ერთად იძლევა ლექსიკურ მნიშვნელობას;
 - 2.2. იდიომატური, მეტაფორული გამოთქმების ნაწილია, რომლის სემანტიკასაც მისი, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა არ განსაზღვრავს.

1. **πίθημα, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნა წინადადებაში**

როდესაც **πίθημα** დამოუკიდებლად იხმარება, მან კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს:

ა) *დადება, დადგმა (ფიზიკური ნივთისა ფიზიკურ გარემოში)*

დადება, დადგმა τίθημι-ს თავდაპირველი მნიშვნელობაა, რომელიც განსაკუთრებით გამოკვეთილია, როდესაც ობიექტი ფიზიკურ ნივთს წარმოადგენს და, მით უმეტეს, როდესაც მითითებულია ფიზიკური ადგილი, სადაც ეს ნივთი უნდა დაიდოს. ქართულ თარგმანებში ამ მნიშვნელობით ნახმარი τίθημι-ს ძირითადი ეკვივალენტია ‘დადება’, რომელიც ერთხელ, აბდ. 1:4-ში, იცვლება სინონიმური ეკვივალენტით — ‘დადგმა’.

ზაქ. 5:11 *θήσουσιν αὐτὸ ἐκεῖ ἐπὶ τῆς ἐτοιμασίας αὐτοῦ*: დადვან იგი მუნ განმზადებულსა მას მისსა JO; დადვან იგი მუნ გამზადებასა ზედა მისსა GS.

აბდ. 1:7 *θήκαιν ἔνεδρα ὑποκάτω σου*: დაგიდვეს დასაბრკოლებელი (შესაბრკოლებელი S) ქუეშე შენსა JO S.

ოს. 4:17 *Ἐφραιμ ἔθηκεν ἑαυτῷ σκάνδαλα*: ეგრემ დაიდვა თავისა თვისისა საცთური O; ეგრემ დაუდვა მას საბრჯე S.

აბდ. 1:4 *ἐὰν ἀνὰ μέσον τῶν ἄστρον θῆς νοσησίαν σου*: გინათუ დაიდგნე შორის ვარსკულავთა ბუდენი შენნი JO; უკეთუ შორის ვარსკულავთა დაიდვა ბუდე შენი S.

ბ) დანიშვნა, დადგინება (თანამდებობაზე)

კონტექსტუალური მნიშვნელობის შეცვლის შესაბამისად, იცვლება ქართული ეკვივალენტიც, რომელიც ასევე, კონტექსტუალურად მორგებული – დადგინება:

ოს. 2:2 *καὶ συναχθήσονται οἱ υἱοὶ Ἰουδα ... καὶ θήσονται ἑαυτοῖς ἀρχῆν μίαν*: და შეკრბენ ძენი ისრაჴლისანი ... და დაიდგინონ თავისა მათისა მთავარი ერთი Op; და შეკრბენ ძენი იუდაძსნი ... და დაიდგინონ თავისა მათისა მთავარი ერთი S.

გ) არაფიზიკური ობიექტის შემთხვევაში: დაარსება, დამყარება, დაფუძნება (სამართლის, წესის, სიყვარულის, სუფევის, მშვიდობის...)¹⁰⁶

¹⁰⁶ L&S: *to establish, institute*; გვხვდება კლასიკურ ბერძნულშიც, იხ. L&S IV, V.

ამ მნიშვნელობის გამოსახატად ძველი თარგმანი ისევ ‘დადება’-ს იყენებს და მხოლოდ ერთ შემთხვევაში (ამოს 5:7) ცვლის ეკვივალენტს, გელათი კი სამივეჯერ ინარჩუნებს ‘დადება’-ს და რაც ქართულისათვის არადამახასიათებელ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს ქმნის:

ამბ. 3:4 *ἔθετο ἀγάπησιν κραταιὰν ἰσχύος ἀπτοῦ*: დადება (დადებას OM5 Od. Pscat (K 29 Q37) სიყუარული მტკიცე ძლიერებისა მისისა JOM5; დადება შეყუარება მტკიცე ძალისა მისისა GS.

ოს. 13:1 *δικαιώματα* ἀπτοῦ ἔλαβεν ἐν τῷ Ἰσραῆλ καὶ *ἔθετο* ἀπτὰ τῆ βααλ: სამართალიცა მისი მიეღო ისრაჴლსა შორის და დაუდება ბაალს O; სამართალნი მოიხუნა მან შორის ისრაჴლისსა და დაუდება ბაალსა S.

ამოს. 5:7 *ὁ ποιῶν εἰς ἦψος κρίμα καὶ δικαιοσύνην εἰς γῆν ἔθηκεν*: რომელი იქმს სიმაღლედ საშჯელსა და სიმართლე ქუეყანასა ზედა დაამტკიცა (დაემტკიცა J) JO 1p; ...მან დაამტკიცა სიმართლე ქოჯეყანასა ზედა k; რომელი იქმს სიმაღლედ მშჯავრსა და სიმართლე ქუეყანასა ზედა დადება GS.

შეჯამება

როდესაც ზმნა *πίθημι* დამოუკიდებელი მნიშვნელობით იხმარება წინადადებაში, მთარგმნელს მეტ-ნაკლებად თავისუფლად გადმოაქვს ის და კონტექსტის შესაბამისად უნაცვლებს სინონიმებს: *დადება / დადგმა / დადგინება / დამტკიცება*. ნაკლებად არის მთარგმნელი კონტექსტზე ორიენტირებული, როდესაც *πίθημι*-ს ობიექტი აბსტრაქტული ცნებაა და ორივე ერთად სპეციფიკურ გამოთქმას ქმნიან.

2. ომეოფრაზეოლოგიურ ებრაიზმებში

2.1. ომეოფრაზეოლოგიური შედგენილი სინტაგმები: ომეოფრაზეოლოგიური თანდებულის და უთანდებულო acc-თან

ეს ის შემთხვევაა, როცა ომეოფრაზეოლოგიური დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე წინადადების წევრი კი არ არის, არამედ თანდებულის თუ უთანდებულო აკუზატივით გამოხატულ შინაგან ობიექტთან, პრედიკატივთან ერთად ქმნის შემასმენელს, რომლის სემანტიკასაც სწორედ პრედიკატივუმის ლექსიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში, ომეოფრაზეოლოგიური-ს (Helbing 1928: 57-58) გარდა, ამგვარი, დამხმარე ფუნქციით, სხვა ზმნებიც გამოყენება: ომეოფრაზეოლოგიური (Helbing 1928: 59), ომეოფრაზეოლოგიური (Helbing 1928: 51-53), ომეოფრაზეოლოგიური (Helbing 1928: 64-65), ომეოფრაზეოლოგიური (Helbing 1928: 64-65).¹⁰⁷ ამიტომ, მე ამ ზმნებით შედგენილი შესიტყვებების გადმოტანის მაგალითებსაც მოვიტან და ასე, ბერძნული სინონიმური სინტაგმების ქართულ თარგმანებზე დაკვირვებით, უკეთ გავერკვევით მთარგმნელთა მუშაობის წესში.

ომეოფრაზეოლოგიური-სთან პრედიკატივუმი სამი ფორმით არის წარმოდგენილი: ა) აკუზატივუსით, ბ) ომეოფრაზეოლოგიური (-კენ) წინდებულისანი აკუზატივუსით, და გ) აკუზატივუსით, რომელსაც შემასმენელი ომეოფრაზეოლოგიური (როგორც) კავშირით უკავშირდება. ეს სამივე, ერთი და იმავე შინაარსის მქონე სინტაგმა, ფორმალურად განსხვავებული სამი ებრაული სინტაგმის ზუსტი ფორმალური შესატყვისია: ომეოფრაზეოლოგიური(დადება)+აკუზატივ.; ომეოფრაზეოლოგიური(დადება)+წინდ.(როგორც, მსგავსად, -ებრ); ომეოფრაზეოლოგიური(დადება)+(წინდ.) (-კენ, მიმართ, შესაბამისად, მსგავსად, თანახმად). სწორედ ეს ებრაულ-ბერძნული სინტაქსური შესაბამისობა აძლევს ჰელბინგს ომეოფრაზეოლოგიური ზმნით შექმნილი ბერძნული სინტაგმისთვის ებრაიზმის წოდების საფუძველს (Helbing 1928: 57-58).

¹⁰⁷ ამ ზმნებით შედგენილი ებრაიზმები ფსალმუნში იხ. ხარანაული 2010, Kharanauli 2024: 302-312. ამავე რიგის ზმნა ასევე ომეოფრაზეოლოგიური (ხარანაული 2010), რომელიც არ გვხვდება მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში.

ახლა ვნახოთ, როგორაა ეს ებრაიზმები გადმოტანილი ქართულ თარგმანებში და ვეცადოთ გავერკვეთ, რამდენად ესმით ქართველ მთარგმნელებს მათი შინაარსი, რა მეთოდით ცდილობენ მათ (შინაარსისა და სტრუქტურის) გადმოტანას ქართულად, რამდენად ბუნებრივია ეს გრამატიკული თუ ლექსიკური ეკვივალენტები ქართულისათვის და რამდენად გასაგები, გამჭვირვალე იყო ისინი მთარგმნელისდროინდელი ქართველი მკითხველისათვის.

τῆμαι + acc.

მიქ. 2:12

ἡμεῖς τῶν

θήται τῆς ἀποστολῆς ἀπάν: დავსხნე გარემიქცევანი მათნი JO; დავდვა მოქცევაჲ მათი GD; დავდვა უკუნქცევაჲ მისი M1.

ამ შესიტყვების შინაარსი შეიძლება გავიგოთ როგორც აღწერიტად ნაწარმოები შემასმენელი (Danove 2014), რომელიც ნიშნავს *დავაბრუნებ, მოვაქცევ* (დღეს ისევ უცხო ენის გავლენით ხშირად გამოყენებული სტრუქტურა რომ მოვიშველიოთ – *მოვახდენ მათ დაბრუნებას*).¹⁰⁸ თუმცა, როდესაც ზმნას მხოლოდ ერთი აკუზატივუსი ახლავს, მისი ცალსახად პრედიკატივუმად (და არა პირდაპირ ობიექტად) გაგება რთულია. ძნელი სათქმელია, როგორ ესმით ქართველ მთარგმნელებს აკუზატივუსის ფუნქცია. ფორმალურად სამივე ქართველი მთარგმნელი – ძველიცა და გელათელებიც¹⁰⁹ – ზმნას აქტიური ფორმით თარგმნიან, ხოლო აკუზატივუსს – პირდაპირი ობიექტის ბრუნვით და შედეგად სრულიად ბუნდოვან ფრაზას ქმნიან ქართულისათვის.

¹⁰⁸ შდრ. თარგმანები: I will establish their return (NETS); I will effect his return (Glenny, 2015; Muraoka 206); Je mettrai leur retour (BA 2023: 126).

¹⁰⁹ მიქეას ორი გელათური თარგმანი გელათის კატენებიან ხელნაწერსა და მეტაფრასულ კრებულში დაცულ თეოდორიტეს კითხვა-მიგებაშია დაცული.

τῖθημι + acc. + acc.

როცა **τῖθημι**-ს ორმაგი აკუზატივუსი ახლავს, ტექსტის გაგება თითქოს უფრო მარტივი უნდა იყოს: ერთი, არტიკლიანი აკუზატივუსი პირდაპირი ობიექტია, მეორე — უარტიკლო კი შინაგანი ობიექტი. სინამდვილეში, რთულ კონტექსტებში, სხვადასხვა მიზეზის გამო, არც ამგვარი სინტაგმა ადვილად იდენტიფიცირებადი.

ნაუმ. 1:14

אֲרַבֵּק מִיִּשָׁף הַכֶּסֶם וְלִפְנֵי תִּיִּבֶּה אֲרַבֵּל תִּיִּבֶּה

ἐξ οἴκου θεοῦ σου ἐξελθούσῃ τὰ γλυπτὰ καὶ χανευτὰ· **θήσομαι** (θήσω V) **ταφήν** σου:¹¹⁰ მოვსპო (მოსპო lp) კერპები და გამოდნობილნი (გამოდნობილი lp) **დავდვა საფლავი** შენი JO lp;

მოვსპნე წახნაგებულნი და გამოდნობილნი **დავსხნე საფლავად** შენდა GS.

იერონიმეს (Hieronymus 1970: 538-539), თეოდორიტე კვირელსა (PG 81, 1796) და კირილე ალექსანდრიელს (Cyrilli Alexandrini 1868²: 29) ტექსტი ასე ესმით: *გამოდნობილ [კერპებს] ვაქცევ საფლავად.*¹¹¹ ასეთი ინტერპრეტაცია აკუზატივუსში მდგარ **ταφήν**-ს **θήσομαι** (θήσω)-ს შინაგან ობიექტად გაგებას გულისხმობს. სწორედ ასე იგებს ტექსტს გელათელი მთარგმნელიც, რაკი **ταφήν**-ს (acc) ვითარებით ბრუნვით თარგმნის. რა აზრს დებს ძველი მთარგმნელი სათარგმნ ტექსტში, გაურკვეველია: დღევანდელი მკითხველისათვის ‘მოვსპო კერპები და გამოდნობილნი’ და ‘დავდვა საფლავი შენი’ სხვადასხვა წინადადებას წარმოადგენს, ხოლო ‘დავდვა საფლავი’ ფორმალური გრამატიკის წესების მიხედვით, შემასმენელი და მისი პირდაპირი დამატებაა. მაგრამ, ხომ არ უნდა მთარგმნელს, რომ ბერძნულის ფორმალურად ეკვივალენტურ ქართულ ფრაზაში ბერძნულის აზრი ჩადოს (და *გამოდნობილნი დავდვა საფლავი შენი*)?

¹¹⁰ I will utterly destroy the carved and molten images from the house of your God. I will make your grave (NETS).

¹¹¹ სეკტუაგინტას გამომცემლებს **θήσομαι ταφήν** σου ცალკე მდგომ წინადადებად მიაჩნიათ, შესაბამისად, **θήσομαι**-სთან მხოლოდ ერთ აკუზატივუსს აკავშირებენ.

მიქ. 4:13

הַשְּׂוֹחַ מִשָּׁף הַיְּהִי־וַיִּזְרַח מִשָּׁף הַיְּקָרָי

τὰ κέρατά σου θήσομαι σιδηρᾶ καὶ τὰς ὀπλάς σου θήσομαι (om. θήσομαι² W' 534 764 La^c Arm Geo^{GS}) **χαλκᾶς**: რქანი შენნი შეგასხნე (+ შენ JO) რკინისანი და ჭლავნი (ჭლიკნი J; ბრჭალნი p) შენნი რვალისანი ვყვნე (შეგადგნე რვალისანი (Jp) JO p; რამეთუ რქანი შენნი დავსხნე რკინებად და ჭლიკნი შენნი – რვალებად GS; რამეთუ რქანი შენნი ვყვნე რკინად, და რვალად დავსხნე საჭურველნი შენნი M1.

ამ შესიტყვებებში τίθημι-ს მნიშვნელობაა (რალაცად) გადაქცევა, (გარდა)ქმნა, **σιδηრᾶ** და **χαλκᾶς** მის შინაგან ობიექტს წარმოადგენენ, ხოლო რეალურ ობიექტს კი ზმნის წინ მდგომი და პრედიკატივუმს დაშორებული, არტიკლიანი τὰ κέρατά და τὰς ὀπλάς. შესაბამისად, ფრაზა ასე უნდა გავიგოთ: *რქები შენი ვაქციე რკინისად (გავრკინე) და ჩლიქები შენი – ბრინჯაოდ (გავაბრინჯაოე).*

ძველ მთარგმნელს ერთ კონტექსტში ნახმარი აკუზატივუსში დასმული სახელები (τὰ κέρατά... σιδηρᾶ; τὰς ὀπλάς ... χαλκᾶς) პირდაპირი ობიექტის ბრუნვით გადმოაქვს. აკუზატივუსების პირველი წყვილი ყველა ხელნაწერში შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულით გამოხატულ ობიექტს (*რქანი რკინისანი*, შდრ. ზემოთ, ამბ. 3:4) წარმოადგენს, მეორე წყვილი კი (τὰς ὀπλάς ... χαλκᾶς) ოშკის ხელნაწერში (რომელიც მე თავდაპირველ წაკითხვად მიმაჩნია) დაშლილია და **χαλκᾶς** პრედიკატივუმად არის გაგებული – **რვალისანი ვყვნე**.¹¹²

თეოდორიტეს კომენტარების გელათური თარგმანი, ოშკური ხელნაწერის მსგავსად, კონტექსტში განმეორებულ *θήσομαι*-ს ორი სხვადასხვა ეკვივალენტით თარგმნის, მაგრამ, მისგან განსხვავებით, პრედიკატივუმს ვითარებით ბრუნვაში

¹¹² შდრ. ლევ. 26:19, სადაც აკუზატივუსისთვის **აფ**-ის წამმდვარება ბერძნულ წყაროებში კონტექსტის გაგებას ამარტივებს: *θήσω τὸν ὀφθαλμὸν ἡμῶν σιδηροῦν* (σιδηροῦν] pr **აფ** F M' 58-376-*oI' C'*^{550 552c} *f s x y*¹²¹ z 319 799; **აფ** (sub ※ Syh) *σιδηρον* 18 59 646^{Lat} cod 100 Aeth Bo Sa³ Syh Barh = MT) *καὶ τῆς γῆς ἡμῶν ἄσπι χαλκῆς*, ბერძნულში აქ პრედიკატივუმიანი **τίθημι** სინონიმური გრამატიკული ფორმებითაა წარმოდგენილი ხელნაწერებში. ქართული თარგმანები იმ ხელნაწერებს მიჰყვება, რომლებიც **აფ**-ს შეიცავენ: **ვყო** ცაY თქუენ ზედა, **ვითარცა რკინა**, და ქუეყანაY — **ვითარცა რვალი** AKSB; **ვყო** ცაY თქუენტKს **ვითარცა რკინაY**, და ქუეყანაY თქუენი — **ვითარცა რვალი** G.

სვამს.¹¹³ კატენებიანი ბიბლიის გელათელი მთარგმნელი სხვებზე მეტად მიჰყვება დედანს, თუმცა, აქაც, მსგავსად რამდენიმე სხვა ბერძნული წყაროსი, მეორე *θήσομαι* განმეორებული აღარაა და მისი პრედიკატივუმი პირველ *θήσομαι*-ს მიემართება. ვითარებითი ბრუნვა გარდაქცევითობის ფუნქციის ქონის გამო პრედიკატივუმის აკუზატივუსის შინაარსს კარგად გამოხატავს და კონტექსტი სავსებით გასაგებია.

ზაქ. 12:3

הִצְטַחַךְ לְכָל מְלָאכֵי־תָא מִשָּׁא

θήσομαι τῆν Ἱεροσσαλημ λίθον (pr. ως 130' 26 Bo Aeth Arm; pr. εις 239) *καταπατούμενον*:¹¹⁴

დავდვა იერუსალჴმი, **ვითარცა** **ლოდი** **დათრგუნვილი** **O**; **დავდვა** იერუსალიმი **ქვად** **დათრგუნვილად** **S**.

ძველი მთარგმნელი (თუ გადამწერი?) პრედიკატივუმს *ვითარცა*-ს წაუმძღვარებს, რაც ბერძნული დედნითაც შეიძლება აიხსნას და ანალოგიითაც (იხ. ქვემოთ, *ვითარცა*-ს ხმარების შემთხვევები პრედიკატივუმის წინ). გელათელ მთარგმნელს კი იგი ისევ ვითარებითი ბრუნვით გადმოაქვს.

შეჯამება

განხილულ მაგალითებში, სადაც *τίθημι* აკუზატივუსთან ერთად იხმარება, აკუზატივუსის ფუნქციის გარკვევა ტექსტის ინტერპრეტაციის საქმე უფროა, ვიდრე გრამატიკული ანალიზისა. ძნელი სათქმელია, როგორ ესმოდა ძველ ქართველ მთარგმნელს ეს სინტაგმა და რა აზრს დებდა ის მის მიერ აკუზატივუსისათვის შერჩეულ ეკვივალენტში. ფაქტია, რომ მას აკუზატივუსი პირმომართი წევრის ბრუნვით გადმოაქვს და ამით ორიგინალის ზუსტ ასლს ქმნის, რაც ან მოწაფური თარგმანის ნიშანია, ან – პრინციპულად გატარებული მთარგმნელობითი მეთოდისა,

¹¹³ ლექსიკური ეკვივალენტის გარდა, მთარგმნელი ცვლის რთული შემასმენლის წევრების რიგსაც (**ვევნე რკინად**, და **რვალად დავსხნე**). სიტყვათა რიგის ცვლა თეოდორიტეს გელათელი მთარგმნელის მახასიათებელია.

¹¹⁴ *ვაქციო იერუსალიმი ქვად, იერუსალიმი გავაქვაო* (აქ და ყველგან მოტანილი კონტექსტების თარგმანები ჩემია (ა.ხ.).

რომელიც დედნის ფორმალურ ასახვას გულისხმობს. ქვემოთ მოტანილი მაგალითები, ჩემი აზრით, ცხადყოფენ, რომ უკანასკნელი დაშვება უფრო მართებულია და რომ ფორმალური თარგმანით ძველი მთარგმნელი *τῆμαι* ზმნით შედგენილი სამი განსხვავებული სინტაგმის დიფერენცირებასა და სხვადასხვა ეკვივალენტით გადმოტანას ცდილობს.

τῆμαι +acc+(ᾶς +acc)

მეორე სინტაგმა, რომელსაც *τῆμαι*, როგორც დამხმარე ზმნა (მნიშვნელობით – *ყოფ, ვაქცევ*), ქმნის, როგორც უკვე ვთქვი, არის ᾶς (*როგორც*) კავშირიანი პრედიკატივუმი. ეს კავშირი ებრაული *כּ* (prop. Subst. the like of, like, as, *როგორც*)-ის ეკვივალენტია. სწორედ ებრაული *כּ* *וּ* (*დადება, როგორც*) და ბერძნული *τῆμαι* + ᾶς+acc სინტაგმების ეკვივალენტურობის გამო, ამ უკანასკნელს სინტაქსურ ებრაიზმად მიიჩნევს ჰელბინგი. ბერძენი გადაწერები (როგორც მაგ., ნახსენებ ზაქ. 12:3-ში) და ზოგჯერ მთარგმნელებიც კი (როგორც მაგ, ქვემოთ, ზაქ. 12:2-ში) თავადაც, ებრაული დედნის გარეშე, ამატებენ ხოლმე ᾶς-ს და ამით, როგორც ჩანს, ებრაისტული ფრაზის იდიომატურობას უსვამენ ხაზს. ამგვარი შესიტყვება ბერძნულშიც და ქართულშიც მხატვრული შედარების სახეს იღებს და ამიტომ მისი შინაარსი უფრო გამჭვირვალეა.

ქართულ თარგმანებში სინტაგმის – *τῆμαι* +acc+(ᾶς +acc) სტერეოტიპული ეკვივალენტია *დადება + მიც./სახ. + (ვითარცა+პრედიკატივუმი)*:

ზაქ. 12:2

: *לְעוּלֵי יְהוּדָה וְיִשְׂרָאֵל וְיִשְׂרָאֵל וְיִשְׂרָאֵל*

ἐγὼ τῆμαι τῆν Ἱερουσαλημ ᾶς πρὸς τὰ σαλευόμενα: მე დავსდებ იერუსალემსა, ვითარცა კარსესა შერყეულსა O; მე დავსდებ იერუსალიმსა, ვითარცა კარსესა მერყევსა S.

ამოს. 8:10

: דוֹרְךָ לְבָאָהּ הִיִּתְמַשׁ!

θήσομαι αὐτὸν ὡς πένθος ἀγαπητοῦ: დაგდვა (დავადვა I; დავაგვირგვინო S) იგი, ვითარცა გლოვამ საყუარელისად JO kpls; დაგდვა მე იგი, ვითარცა გლოვამ საყუარელისად GS.

ოს. 11:8

:מִאֲבָצָה תִּשָּׂא הַמִּדְבָּר

ὡς Ἀδαμα θήσομαι σε καὶ ὡς Σεβίμου: ვითარცა ადამად დაგდვა შენ და ვითარცა ზებოიმი? O; ვითარცა ადამად და დაგდვა შენ მე ვითარცა სევოიმი S.

ზაქ. 12:6

:רִמְעָה שֶׁאֵין דִּפְלֵךְוּ מִצָּעָה שֶׁאֵין רִזְכָּה הִדְוִהוּ יִחְלַא-תֶּאֱמַר

θήσομαι τοὺς χιλιάρχους Ἰουδα ὡς δαλὸν πυρὸς ἐν ξύλοις καὶ ὡς λαμπάδα πυρὸς ἐν καλάμῃ: დაგდვხნე ათასისთავნი იუდაძსნი, ვითარცა მუგუზნი ცეცხლისანი შეშათა შინა და ვითარცა ლამპარი ცეცხლისად ლერწამსა შინა O; დაგდვხნე ათასისთავნი იუდაძსნი, ვითარცა მუგუზი ცეცხლისად შეშათა შორის და ვითარცა ლამპარი ცეცხლისად ლელწამთა შორის S.

ანგ. 2:23

:מִתְוַחֵוֹךְ תִּתְמַשׁ!

θήσομαι σε ὡς (ὡς W] εις A' 763-147-46') σφραγιῖδα: დაგადვა შენ, ვითარცა ბეჭედი JO; დაგდვა შენ, ვითარცა აღმონაბეჭედი S.

τιθημι + (εις +acc)

τιθημι + acc-ის და τιθημι + acc+ (ὡς +acc)-ის გვერდით კიდევ ერთი სინონიმური შესიტყვება იქმნება τιθημι-სთან დაკავშირებულ პრედიკატივუმისთვის εις (-კენ, მიმართულებით) წინდებულის დართვით. ესეც ებრაული სინტაგმის კალკირების

შედეგია, სადაც **εις** წინდებულის ზ (prep. to, for, in regard to, -კენ, მიმართებით) შესატყვისია. ქართველი მთარგმნელები სინტაგმის ამ ცვლილებაზეც რეაგირებენ და **εις+acc**-ით გამოხატული შინაგანი ობიექტი ვითარებითი ბრუნვით გადმოაქვთ, რომლის გარდაქცევითობის შინაარსი **εις** წინდებულისას შესატყვისება:

მიქ. 1:6

: םרָךְ יִשְׁמַחַּ הַדָּשִׁי יֵלֵךְ לְרִמָּשׁ יִתְמַשׁ

θήσομαι Σαμάρειαν **εις** ὀπαροφυλάκιον ἀγοῦν καὶ **εις** φυτεῖαν ἀμπέλωνος: **დავდვა** (დადვა JO) სამარიაჲ **ხილისსაცვად** ველისა და **დასანერგავად** (სარგავად S) ვენაჯისა JO S; **დავდვათ** სამარიაჲ მტილისა **ხილისსაცვად** და ვენაჯისა **სანერგავად** M1.

მიქ. 4:7

: םוֹצֵץ יִגַּל הַלְּהַנְהוּ תִיֹאשׁל הַעֲלֻזֵה־תֶּאֱ יִתְמַשׁ

θήσομαι τὴν συντετριμμένην **εις** ὑπόλειμμα καὶ τὴν ἀπασμένην **εις** ἔθνος ἰσχυρόν: **დავსხნე** შემუსრვილნი იგი **ნემტად** და განშორებულნი იგი – **ნათესავად** დიდად და ძლიერად J O p; **დავდვა** შემუსრვილნი **ნემტად** და განგდებული – **ნათესავად** ძლიერად GS; **დავსხნე** შემუსრვილნი **საკურნებელად** და განშორებულნი – **ნათესავად** ძლიერად M1.

ნაუმ. 3:6

: יֵאָרָךְ תִּיתְמַשׁ

θήσομαι σε **εις** παράδειγμα: **დავდვა** შენ განსაოტებელად JOM5; **დავდვა** მე შენ მაგალითად S.

სოფ. 3:19

: םתְּשֶׁבֶךְ רָאִה־לְךָ םשְׁלִי הִלְהִתִּל םִיתְמַשׁ

θήσομαι αὐτοὺς **εις** καύχημα καὶ ὀνομαστοὺς: **დავსხნე** იგინი **სიქადულად** (საქადულად ks) JO M5 ks p GS.

ოს. 4:7

:רמא ןלךב ןבבב

τὴν δόξαν αὐτῶν εἰς ἀτιμίαν θήσομαι: დიდებაჲ მათი უპატიოდ დავდვა O; დიდება მათი სირცხკლად გარდავსცვალო S.

ოს. 2:14

:הדשה תיח מתלכא ורעיל מיתמשו

θήσομαι αὐτὰ εἰς μαρτύριον (οἱ λ' εἰς δρυσμόν Syh Geo^s): დავსხნე იგინი საწამებელად O; დავსხნა იგინი ოPრად მ.

მიქ. 1:7

:המשׁ מישׁא הׁיצע-לך

τὰ εἴδωλα αὐτῆς θήσομαι εἰς ἀφαισισμόν: კერპნი მისნი დავსხნე (დალეწნენ O¹¹⁵) განსარყუნელად (უჩინოსაქმნელად S) JO S; ყოველნი კერპნი მისნი უჩინოზად დავსხნე M1.

იოელ. 1:7

:הצקל יתאחו הׁשׁל ינבג ןשׁ

ἔθετο τὴν ἀμπελὸν μου εἰς ἀφαισισμόν καὶ τὰς συκᾶς μου εἰς συγκλασμόν: დადვა სავენაჲე ჩემი განსარყუნელად და ლელოვანი ჩემი – შესამუსრველად JO p; დადვა ვენაჲე ჩემი უჩინო-საქმნელად და ლელოვანი ჩემი – შესამუსრველად S.

τ(θημι +acc + (εἰς+acc) + (ὡς +acc)

და ბოლოს, საინტერესო შემთხვევაა, სოფ. 2:13-ში, სადაც ებრაულში და, მასთან ერთად, ბერძნულში, ზმნას ὡς/τ(θημι-ს ორი პრედიკატივუმი ერთვის, რომელთაგან

¹¹⁵ ოშკში გადამწერი კონტექსტის მიხედვით აღადგენს, როგორც ჩანს, დედანში დაზიანებულ ადგილს.

პირველს *εις/ς* უძღვის წინ, მეორეს კი *ἀς/ς*. ქართულ თარგმანებში ეს დუბლირებული სინტაგმა დედნის სრული შესაბამისობითა და ეკვივალენტების დაცვით გადმოდის.

სოფ. 2:13

:*ῥᾶπιδον ἡψὶ ἡμῶν ἡνιχῆται ὁ ψῆυ*

θήσει τῆν Νινευη *εἰς ἀφαισμοὺν ἄσπυδρον ἀς ἔρημον*: დადვას (დავდვა GS) ნინევს^ჲ განსარყუნელად (>O), ურწყულად (>GS, ვითარცა ოკერი (უდაბნოდ GS) O GS.

τῆμαι + acc/εις/ἀς სინტაგმის სინონიმები და მათი ქართული ეკვივალენტები

V+ acc/εις + acc/ἀς +acc სინტაგმაში τῆμαι-ს გარდა სხვა ზმნაც შეიძლება იქნას გამოყენებული ისე, რომ შინაარსი არ შეიცვალოს. რიგ შემთხვევებში ეს ცვლილებაც ებრაული დედნის წაყოლით ხდება. მაგ., მთარგმნელმა *תש*-ს თარგმნისას τῆμαι შეიძლება *τάρσῶ*-თი ჩაანაცვლოს, ხოლო ებრაულში შეცვლილი ლექსიკური ერთეულის შესაბამისად თავადაც განსხვავებული ეკვივალენტები გამოიყენოს: *היה* (*ყოფნა, ყოფა, ქმნა*)-სთვის – *γίγνομαι* და *εἶμι*, ხოლო *תה* (*მიცემა*)-სთვის – *παράδωκα*.

განადგურების, მოსპობის, გაუდაბურების შინაარსის სინტაგმაში ოთხივე ამ ზმნამ ერთნაირად შეიძლება მიიღოს მონაწილეობა და შინაგან ობიექტად ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული *ἀφαισμός* (ებრაული ლექსიკური ერთეულების – *הפש* (n.f. waste, appalment) ან *המחש* (n.f. a devastation, waste)-ის შესატყვისი) დაირთოს. ქართული თარგმანები სინტაგმის არამხოლოდ გრამატიკულ, არამედ ლექსიკურ სინონიმობასაც ასახავენ:

τάρσῶ : დაწესება

ზაქ. 7:14

:*המשל הדהמחש ומוישו*

και ἔταξαν γῆν ἐκλεκτὴν εἰς ἀφαισμοῦν: და დააწესეს (დააწესე O) ქუეყანად (>GS) რჩეული (>O) განსარყუნელად (უჩინოსაქმნელად GS) JO M4 GS.

მალ. 1:3

ἡμῶν ἡ γῆ ἔταξε

ἔταξα τὰ ὄρια αὐτοῦ εἰς ἀφαισμοῦν: განვაწესენ (დავსხენ S) საზღვარნი (საზღუარნი S) მისნი განსარყუნელად (უჩინოსაქმნელად S) JO p S.

παραδίδωμι : გადაცემა/მიცემა

მიქ. 6:16

ἡμῶν ἡ γῆ ἔταξε

παραδίδωμι σε εἰς ἀφαισμοῦν: მიგცე შენ განსარყუნელად (+ და O) JO; მიგცე შენ უჩინოსაქმნელად S.

εἶμι : ყოფნა

მიქ. 7:13

ἡμῶν ἡ γῆ ἔταξε

ἔσται ἡ γῆ εἰς ἀφαισμοῦν: იყოს ქვეყანა განსარყვნელად JO p; იყოს ქუეყანად უჩინოსაქმნელად S.

იოელ. 4:19(3:19)

ἡ γῆ ἡμῶν ἔταξε ἡ γῆ ἡμῶν ἔταξε

Αἴγυπτος εἰς ἀφαισμοῦν ἔσται και ἡ Ἰδουμαία εἰς πεδῖον ἀφαισμοῦν ἔσται: ეგვიპტე განსარყუნელად იყოს და იდუმიად — ველად განრყუნისა JO pk P; ეგვიპტე უჩინოსაქმნელად იყოს და იდუმეად ველად განრყუნილებისად იყოს S.

სოფ. 1:13

הַמִּשְׁשׁוֹת הַיְהוּדִים הַשְּׂמֵלִים הַיְהוּדִים

ἔσται ἡ δὴναμις αὐτῶν εἰς διαρπαγὴν καὶ οἱ οἴκοι αὐτῶν εἰς ἀφαισισμόν: იცოს ძალი მათი აღსაჭრელ და სახლნი მათნი განსარყუნელად JO M5; იცოს ძალი მათი დასატაცებელად, და სახლნი მათნი – უჩინო-საქმნელად GS.

γίνομαι : ქმნა

ოს. 5:9

הַיְהוּדִים הַמִּשְׁשׁוֹת הַיְהוּדִים

Ἐφραιμ εἰς ἀφαισμόν ἐγένετο: ევრემ განსარყუნელად შეიქმნა O; ევრემ შესარყუნელად შეიქმნა S.

იგივე – მოსკობის, გაუდაბურების შინაარსის გამოსახატად ლექსიკური ცვლილება ზმნების გარდა შეიძლება პრედიკატივუმსაც შეეხოს და მის გრამატიკულ ფორმასაც:

ოს. 2:5

הַיְצִי פְּרָאָה הַיְהוּדִים רַב־מַחְמֵשׁ

θήσομαι αὐτὴν ὡς ἔρημον καὶ τὰξω αὐτὴν ὡς γῆν ἀσυνδρον: დავდვა იგი ვითარცა ოჯერი და დავაწესო იგი, ვითარცა ქუეყანა ურწყული O; დავდვა იგი ვითარცა უდაბნო და ვყო ვითარცა ქუეყანა ურწყული S.

ოს. 2:16

רַב־מַחְמֵשׁ הַיְהוּדִים

τὰξω αὐτὴν εἰς ἔρημον: განვაწესო (წარვდევნო შ) იგი (>S) ოPრად (უდაბნოსა S) O S.

შეჯამება

სინტაქსური ებრაიზმის გადმოტანისას ძველი ქართველი მთარგმნელი დედნის ფორმალურ ასახვაზეა ორიენტირებული. მთარგმნელი სინტაგმის შინაარსს კი არ გადმოსცემს (მაშინაც კი, როდესაც ეს შინაარსი გამჭვირვალეა), არც მის ლექსიკურ თუ

გრამატიკულ ადაპტირებას ცდილობს საკუთარ ენასთან, არამედ ფორმალური სიზუსტით (მათ შორის სიტყვათა რიგის დაცვით) ქმნის ქართულში ბერძნული სინტაქსური ებრაიზმის ლექსიკურ-გრამატიკულ ეკვივალენტებს და ლექსიკურ-გრამატიკულ სინონიმასაც ასახავს. თარგმანის სიტყვასიტყვით, ფორმალურ მეთოდს იგი ისე თანამიმდევრულად და გააზრებულად იყენებს, ამასთან, იმდენად გაბედული და კადნიერია საკუთარი ენის მიმართ, რომ შეუძლებელია მის ნამუშევარს მოწაფური ან მონური ვუწოდოთ. ჩანს, რომ მთარგმნელს წინასწარ შემუშავებული პოლიტიკა აქვს სინტაქსური ებრაიზმების გადმოტანის მიმართ: დედნისეულ იდიომად მიიჩნევს მას, ცდილობს ადეკვატური, სტერეოტიპული ქართული შესიტყვება შეუსაბამოს და ამით თარგმანის სტილურ ნიშნად აქციოს. ძველი ქართული თარგმანის ავტორი (შესაძლოა ბერძენი მთარგმნელის მიზაძვით) არ ცდილობს სექტუაგინტაში შესული სინტაქსური ებრაიზმების ადაპტირებას საკუთარი ენის ბუნებასთან. ამიტომაც, ამგვარ შესიტყვებებს ჩვენც ბერძნულით გაშუალებული ებრაიზმები უნდა ვუწოდოთ, რომელიც ქართული ბიბლიის ენის მახასიათებელი, მისი იდიომა ხდება.

2.2. τίθημι-თა და καρδιά-თი შედგენილი იდიომატური გამოთქმები

სექტუაგინტაში τίθημι და καρδιά (გული) ქმნის გამოთქმას τίθημι (εἶς / ἕν / ἓν) τὴν καρδίαν, რომელიც, მიუხედავად მარტივი გრამატიკული სტრუქტურისა და მასში შესული ლექსიკური ერთეულების ორდინარული მნიშვნელობისა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ბერძნულისათვის ბუნდოვანი შინაარსის მატარებელია. ეს გამოთქმა ებრაული იდიომის –בָּרַךְ מִן (გულის დადება) სიტყვასიტყვითი გადმოტანის შედეგია და ებრაისტული იდიომატური გამოთქმების რიცხვში დგას, რაკი მისი შემადგენელი ლექსიკური ერთეულების სიტყვასიტყვითი გაგება ბერძნულ წინადადებაში აზრს არ იძლევა.

ებრაულში იდიომა בָּרַךְ מִן გულისყურის, სიფრთხილის, კრძალოვის გამოჩენას, დაკვირვებას, ყურადღების მიპყობას, დაფიქრებას ნიშნავს (BA 2007: 75). ასე ესმოდათ

ეს გამოთქმა ქრისტიან მამებსაც, მაგ., იერონიმეს, რომელიც თავის ანგიასა და მალ.1:1-ის კომენტარებში მას განმარტავს, როგორც **დაფიქრებას, გააზრებას** (animaduertite et considerate) (Hieronimus 1970: 903-904), თეოდორიტე კვირელს – **სალი აზრით, განსჯის უნარით მოქმედება** (βρῆρῶν χρήσασθε λογισμῶν, Theodoretus Cyrrensis 1864). ეს ებრაისტული იდიომა, მიუხედავად ბერძნულში მისი სიუცხოვისა, მთარგმნელს დამატებული აქვს მალ. 1:1-ში, სადაც ებრაულ ორიგინალში ეს იკითხვისი არ იყო (იხ. ქვემოთ). ქართველი მთარგმნელები სიტყვასიტყვით მისდევენ ბერძნულ დედანს და ბერძნულით გაშუალებულ ებრაისტულ იდიომას ქმნიან ქართულშიც.

ებრაული **בָּחַל מִיָּשׁ** ბერძნულში რამდენიმე ლექსიკური და სტრუქტურული ვარიაციით გადმოდის: **მִּשׁ(დადება, დადგმა)** ზმნისთვის გამოიყენება ორი ბერძნული სინონიმი **τίθημι** და **τάσσω** (იხ. ზემოთ), ხოლო **בָּחַל(გული)** **καρδία**-ს უთანდებულო აკუზატივუსისა და სხვადასხვა (**εἰς / ἐν / ἐπὶ**) თანდებულიანი ფორმით გადმოდის. ჩვენთვის საინტერესოა ისაა, თუ რამდენად აისახება ქართულ თარგმანში ბერძნულის გამოხატვის ფორმების მრავალფეროვნება და რამდენად გაცნობიერებული აქვს მთარგმნელს ამ ფორმათა შინაარსის იგივეობრიობა.

ა) τίθημι/τάσσω +τὴν καρδίαν

ანგ. 1:7

:בָּחַלְתָּ לִּי מִיָּשׁ

θήσθαι τὰς καρδίας ἡμῶν εἰς τὰς ὀδοὺς ἡμῶν: **დაისხენით** (დასხენით p 1) **გულნი** თქვენნი გზათა თქვენთა JO L; **დაისხენით გულთა** თქვენთა გზათა მიმართ თქვენთა S.

ასევეა გადმოტანილი იგივე ფრაზეოლოგიური ებრაიზმი ფსალმუნში: Ps. 47(48):14 **הָלַחַלְתָּ לִּי מִיָּשׁ: θήσθαι τὰς καρδίας** ἡμῶν εἰς τὴν δὲνναμιν ἀπ’τῆς: **დასხენით გულნი** თქვენნი ძალსა შინა მისსა (მათსა GeoD) Geo

როდესაც მცირე წინასწარმეტყველთა ბერძენი მთარგმნელი ამავე შინაარსის იდიომაში **τίθημι**-ს **τάσσω**-თი ანაცვლებს, ქართველი მთარგმნელი მიჰყვება თავის

ბერძნულ დედანს და სინონიმური ბერძნული ზმნისთვის ისიც **დადება**-ს სინონიმს – **დაწესება/განწესება**-ს¹¹⁶ იყენებს:

ანგ. 1:5

:**ἰσχυρῶς ἐπέκειντο**

τάξατε δὲ τὰς καρδίας ὑμῶν εἰς τὰς ὁδοὺς ὑμῶν: განაწესენით (განაწესნეთ OI; დააწესენით S) გულნი თქვენნი გზათა (>O; +მათ S) თქვენთა JO L S.

ამ იდიომის გადმოტანისას ლექსიკურ სინონიმებს **τίθημι /τάσσω** ასხვავებს ეზეკიელის ქართველი მთარგმნელიც:

ეზეკ. 44:5 **τάξον εἰς τὴν καρδίαν σου...τάξεις τὴν καρδίαν σου εἰς τὴν εἴσοδον τοῦ οἴκου**: დააწესე გულსა შენსა ... დააწესო გულსა შენსა შესავალსა სახლისასა ჟO; დააწესე გულსა შენსა ... დააწესო გული შენი გზასა ზედა სახლისასა GS.

თუ წინა მაგალითებში **გულის დადება/დაწესებას** მოსდევდა **ეἰς** წინდებულიანი ადგილის გარემოება, რომელიც ქართულში ლოკალური ბრუნვით გადმოდიოდა, მომდევნო კონტექსტებში დაკონკრეტებული აღარაა, რაზე უნდა დაიდოს გული, ანუ - რას უნდა მიექცეს ყურადღება:

ანგ. 2:18

:**ἐπιπέσει** ἰσχυρῶς

ὑποτάξατε δὲ τὰς καρδίας ὑμῶν: დააწესენით გულნი თქვენნი JO; და-უკუწესენით გულნი თქვენნი შ.

ბ) **τίθημι/ τάσσω + εἰς /ἐν / ἐπὶ τὴν καρδίαν**

იგივე ებრაული იდიომა კიდევ ერთი გრამატიკული სახესხვაობით გადმოდის ბერძნულში: აკუზატივუსზე დართული ლოკალური შინაარსის სხვადასხვა

¹¹⁶ იგივე ეკვივალენტი იხ. ზემოთ, სინტქსურ ებრაიზმები.

წინდებულთ *ἐν* (-ში), *ἐπι* (-ზე) და *εἰς* (-კენ). ამასთან, ეს წინდებულები ბერძნულ ხელნაწერებში ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ კონტექსტებში ბერძენი გადამწერისა თუ მკითხველებისთვის მათ სინონიმური მნიშვნელობები აქვთ. ძველ ქართულ თარგმანში ეს წინდებულები ფორმალურად ასახული არ არის და სამივე ერთი ფორმით – ადგილობითი ბრუნვით არის გადმოღებული. გელათელი მთარგმნელი კი, მართალია, განარჩევს უწინდებულო და წინდებულიან ფორმებს, მაგრამ არ ახდენს ამ უკანასკნელთა ლექსიკურ დიფერენცირებას და ყველა მათგანისთვის ერთ, *შინა* წინდებულს იყენებს:

ანგ. 2:15

: *მჟაბჷ აჟ-ოიშ*

მῆσθε δὲ εἰς τὰς καρδίας ὑμῶν: დაიდევით გულთა თქუენტა JO; დაისხენით გულთა შინა თქუწნთა S.

იხ. ზემოთ, ეზეკ. 40:5 და ეზეკ. 40:4 *τὰξον εἰς τῆς καρδίας σοῦ πάντα*: დაიდევ გულსა შენსა ყოველი JO.

ანგ. 2:18

: *მჟაბჷ იოიშ*

მῆσθε ἐν ταῖς καρδίαις ὑμῶν: დაიდევით გულთა თქუენტა JO; დაისხენით გულთა შინა თქუწნთა S.

როგორც ვთქვი, სეპტუაგინტაში ეს იდიომა მაშინაც გვხვდება, როდესაც ებრაულში არაა.¹¹⁷ ქართული, ცხადია, ისევ ბერძნულს მისდევს:

მალ. 1:1

მῆσθε δὲ ἐπι τὰς καρδίας ὑμῶν: დაისხენით ესე გულთა თქუენტა JO p; დაისხენით უკუწ გულთა შინა თქუწნთა S.

¹¹⁷ ბერძნულის ეს მატება უკვე ვატიკანის კოდექსისა და სიროჰქესაჰლას აშიაზეა აღნიშნული.

ზემოთნახსენებ მაგალითებში, იქ, სადაც *καρδια*-ს წინდებული ემატება, ებრაულში *בָּרָא*-ს წინდებული არ ახლავს. მალ. 2:2-ში კი ჩნდება *בָּרָא* (-*ბე*) წინდებული, რომელიც ამ მუხლის ბერძნულ თარგმანშიც ასახულია. შესაძლოა სწორედ ამ პარალელით იყო ბერძენი მთარგმნელი შთაგონებული, როდესაც წინა შემთხვევებში *καρδια*-ს წინდებულებს ურთავდა. ქართული თარგმანები ისევ არ განასხვავებენ ერთმანეთისაგან ბერძნულ წინდებულებს.

მალ. 2:2

:*בָּרָא* *וּמִשָּׁתָּה* *אֱלֹהִים*

ἐὰν μὴ θῆσθε εἰς (ἐπι 233') τῆς καρδίας (ἐν ταῖς καρδίαις S^c-V 407 B^o) ἡμῶν: უკუეთუ არა დაიდვით გულთა თქუენტა JO; თქუენ არა დაიდევით გულთა თქუენტა S.

მალ. 2:2

:*בָּרָא* *וּמִשָּׁתָּה* *אֱלֹהִים*

ἡμεῖς οὖν τίθεσθε εἰς (ἐπι 233') τῆς καρδίας (ἐπι καρδίας L[']-36 Th.; ἐπι καρδίας 36; ἐπι καρδίας 576; ἐν ταῖς καρδίαις 538) ἡμῶν: თქუენ არა დაიდევით გულთა თქუენტა JO; თქუენ არ დაიდევით გულსა შინა თქუენსა S.

შეჯამება

დაფიქრება, გულისყურის მიქცევა ებრაულში იდიომატურად გამოითქმის და, ძირითადად, სტაბილური ფორმულით გამოიხატება. მოცემული აზრის გამოხატვის ებრაული ფორმა ბერძნულისათვის უცხოა,¹¹⁸ მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნულად მთარგმნელი მის გამოსახატად ეკვივალენტს ეძებს და ერთ ებრაულ იდიომას სხვადასხვაგვარად შედგენილ ფორმულას შეუსაბამებს: 1. ერთმანეთს უნაცვლებს

¹¹⁸ შდრ. თავისუფალი თარგმანი ხუთწიგნეულში: გამოსვლ. 9:21 *וְבָרָא אֱלֹהִים דָּבָר מִן פְּרוֹסֶטְרֶחַן וְחֵן דִּיאֻסִּיָּא* *εἰς τὸ ῥῆμα καρῖου* რომელი-იგი არა **ერჩდა გონებითა თვისითა** სიტყუასა უფლისასა O; რომელთა-იგი არა **მიხედეს** სიტყუასა მას უფლისასა AKS; რომელმან არა **მიუპყრა გონება** სიტყუასა უფლისასა C; 2 სჯლ. 32:46 *וְבָרָא אֱלֹהִים מִן פְּרוֹסֶטְרֶחַת וְחֵן דִּיאֻסִּיָּא* *ἐπι πάντας τοὺς λόγους τοῦτους*: **გულისწმა-ყვენით გულითა თქუენითა** ყოველნი ესე სიტყუანი BDES; **მოხედეთ გულითა თქუენითა** ყოველთა ამათ სიტყუათა მომართ G.

სინონიმურ ზმნებს (τίθημι და (ἀπο)τάσσω), რაც ქართულ თარგმანებშიც აისახება (*დადება* და *დაწესება*); 2. ერთმანეთს უნაცვლებს *καρῶνα*-ს გრამატიკულ ფორმებს: უწინდებულო აკუზატივუს და სხვადასხვა წინდებულიანს (εις, ἐν, ἐπι). ძველი ქართველი მთარგმნელი ყველა ამ ფორმას ერთნაირად, ლოკალური ბრუნვით გადმოსცემს, გელათელი მთარგმნელი კი უფრო ახლოსაა დედანთან: ასხვავებს თანდებულიან და უთანდებულო ფორმებს, თუმცა არ ასხვავებს ბერძნულ თანდებულებს.

ძნელი სათქმელია, როგორ ესმოდა განმარტების გარეშე ძველ ქართველ მსმენელს/მკითხველს ეს ებრაული იდიომა ტექსტში და რა აზრს დებდა მის ქართულ ეკვივალენტში. *გულის დადება* ახალ ქართულში დამკვიდრებული იდიომაა და ამავსე –*რაცის მიმართ გულისყურით, ყურადღებით დამოკიდებულებას* აღნიშნავს. ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში ეს იდიომა არ ჩანს¹¹⁹ და ბუნებრივად ისმის კითხვა, ხომ არ გაჩნდა იგი ბიბლიის ენის გავლენის შედეგად? და, თუ ასეა, ხომ არ არის ეს იმის მაგალითი, რომ თარგმანის შედეგად ენა იდიომატური თვალსაზრისითაც მდიდრდება?

II. λαμβάνω

ამ ზმნის გადმოტანაც მისი ფუნქციების გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ: 1. როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნა-შემასმენელისა და 2. როგორც ებრაულის იდიომის შემადგენელი ნაწილისა, სადაც იგი 2.1. პრედიკატივუმთან ერთად ქმნის შემასმენელს და 2.2. იდიომატური მნიშვნელობის ფორმულას.

1. λαμβάνω, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნა წინადადებაში

¹¹⁹ სამაგიეროდ, მოქცევაჲ-სა და გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში (აბულაძე 1963: 127,294) დასტურდება კომპოზიტი *გულდებულო*, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით – *დამშვიდებულო*.

λαμβάνω დამოუკიდებელი, თავდაპირველი მნიშვნელობით (*აღება, მიღება*) იხმარება, როდესაც მისი ობიექტი ფიზიკური საგანია. ასეთ შემთხვევებში ძველ ქართულ თარგმანებში იგი *აღება* ზმნით გადმოდის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ძირს იცვლის (*ხუმევა*) და სხვადასხვა ზმნისწინს (*მი-/მო-*) დაირთავს:

ზაქ. 11:7 *λήψομαι* ἐμαυτῷ δὲ ῥάβδου: **მოვიხუნე** თავისა ჩემისა ორნი კუერთხნი JOM4 S.

ზაქ. 11:10 *λήψομαι* τὴν ῥάβδον μου: **მოვილო** კუერთხი ჩემი JOM4 S.

ზაქ. 11:15 *λαβὲ* σεαυτῷ σκεῆτη: **მოვილე** ჭურჭელი JM4 S.; **მოიხუნე** თავისა შენისად ჭურჭელნი S.

ზაქ. 14:21 *λήψονται* ἐξ αὐτῶν: **მოილონ** მათგანთა JO; **მოიხუმედენ** მათგან S.

ამოს. 5:12 *λαμβάνοντες* ἀλλήματα: **მოიღებთ** ნაცვალსა JO kp; **მიმხუმელნი** საცვალე-ბელთანი GS.

ზაქ. 6:11 *λήψη* ἀργύριον: **მოილო** ვეცხლი (ვეცხლისა მისგან p) JOM4 GS.

ზაქ. 11:13 *ἔλαβον* τοὺς τριάκοντα ἀργυροῦς: **მოვილე** ოცდაათი იგი ვეცხლი JOM4; **მოვიხუნე** ოცდაათნი ვეცხლნი S.

ზაქ. 6:10 *λαβὲ* τὰ ἐκ τῆς αἰχμαλωσίας: **მოილე** ნატყუნავისაგან JO M4; **მოილე** ტყულობისათაგან GS.

ანგ. 2:12 *ἐὰν* λάβῃ ἄνθρωπος κρέας: უკუეთუ **მოილოს** კაცმან ჯორცი JO S.

მალ. 2:13 *λαβεῖν* δεκτὸν ἐκ τῶν χειρῶν ἰμῶν: **მოღებად** შესაწირავი სათნოდ ჯელთაგან თქუენთა JO; **მიღებად** მისათუალველი ჯელთაგან თქუენთა? S.

როდესაც λαμβάνω-ს ობიექტი ადამიანია, მას ქართულ თარგმანებში უმეტესად **მოყვანა** (ასევე იგივე *მოღება* ძირმონაცვლე ფორმით) შეესაბამება:

ამოს. 9:3 *λήψομαι* αὐτούς: **მოვიყვანე** იგინი JO S.

მალ. 2:3 *λήψομαι* ἰμάς: **მოვიყვანე** თქუენ JO p l; **მოვიხუნე** თქუენ S.

ამოს. 6:10 *λήψονται* οἱ οἰκεῖοι αὐτῶν: **მოიხუნენ** სახლეულთა მათთა JO GS; **მოიყვანენ** სახლეულნი მათნი S-417 M3.

როდესაც წინადადებაში *λαμβάνω* სხვადასხვა შინაარსობლივ ნიუანსს იღებს, მთარგმნელი ეკვივალენტს (*მოღება*) უცვლელად ტოვებს, არ ცვლის მას კონტექსტის შესაბამისად, სადაც *λαμβάνω* შეიძლება ნიშნავდეს მაგ.,

გამორჩევას:

ამოს. 2:11 *ἔλαβον ἐκ τῶν σίνων ἡμῶν*: მოვიყვანენ ძეთაგან თქუენტა JO; მოვიხუწნ ძეთაგან თქუენტა GS; მოვიყვანენ ძეთაგან თქუენტა S-417 M3.

ანგ. 2:23 *λήψομαι σε Ζοροβাবেλ*: მოვიყვანო შენ ზორობაბელ JO; მიგილო მე შენ ზორობაბელ S.

შეპყრობას:

ამოს. 4:2 *λήψονται ἡμᾶς ἐν ὄπλοις*: მოვიყვანნე თქუენ საჭურველებითა JO; წარგიხუნენ თქუენ ჭურვილებითა p; მოვიყვანნე თქუენ საჭურველთა მიერ S; წარგიყვანნენ თქუენ ჭურვილთა S-417 M3.

ოს. 5:14 *πορεύσομαι καὶ λήψομαι*: წარვიდე და მოვილო O k l s S.

მიტაცებას:

იოელ. 4(3):5 *τὸ ἀργύριόν μου καὶ τὸ χρυσίον μου ἔλάβετε*: ვეცხლი ჩემი და ოქროდ ჩემი წარიღეთ O; ოქროდ ჩემი და ვეცხლი მიიღეთ l p; ვეცხლი ჩემი და ოქროდ ჩემი მიიღეთ GS.

მით უმეტეს არ იცვლება *λαμβάνω*-ს პირდაპირი მნიშვნელობის მატარებელი ქართული ეკვივალენტი ბუნდოვან კონტექსტებში, სადაც ობიექტი აბსტრაქტული სახელია:

ოს. 13:1 *δικαιώματα αὐτὸς ἔλαβεν ἐν τῷ Ἰσραηλ καὶ ἔθηκε αὐτὰ τῇ Βααλ*:¹²⁰ სამართალიცა მისი მიელო ისრაჴლსა შორის და დაუდვა ბაალს O; სამართალნი მოიხუნა მან შორის ისრაჴლისსა და დაუდვა ბაალსა S.

¹²⁰ კანონები მიიღო, შდრ. Ephraim himself received statutes in Israel (NETS, Glenny 2013: 61), According to what Ephraim said he himself received ordinances in Israel (Muraoka 2022: 163).

ზაქ. 6:13 και αὐτὸς λήμψεται ἀρετὴν:¹²¹ მან თავადმან მოიღოს სათნოება JO;
დაიმკვდროს სიმკნფ p;¹²² მან მიიღოს სათნოება GS.

შეჯამება

ლაμβანა-ს ქართული ეკვივალენტები უფრო მყარია, ვიდრე τίμηαι-სი. მთარგმნელი საერთოდ არ იყენებს კონტექსტუალურ ეკვივალენტებს და მხოლოდ პირის და საგნის და მათი რიცხვის შესაბამისად ცვლის ეკვივალენტებს.

2. ლამბანა ფრაზეოლოგიურ ებრაიზმებში

2.1. ლამბანა-თი შედგენილი სინტაგმები

შემდეგ მაგალითებში ლამბანა-ს ლექსიკურ მნიშვნელობას ანიჭებს მისი თანმხლები აკუზატივუსი, რომელიც პრედიკატივუმადაც შეიძლება გავიგოთ:

*მოილო სიტყვა – თქვა*¹²³

ოს. 14:3 **λάβετε μεθ’ ἑαυτῶν λόγους: მოიხუნეთ თქვენ თანა სიტყუანი O I p S.**

¹²¹ He that shall receive virtue (NETS); Und er wird Ruhm gewinnen (Septuaginta Deutsch 2009: 1219).

¹²² ლექციონარი ბუნდოვანი აზრის ინტერპრეტაციას იძლევა.

¹²³ თქმის და, საერთოდ, აზრის, გრძნობის სიტყვით გამოხატვის სხვა შესაძლებლობა (მათ შორის ებრაული იდიომატური ფრაზით) მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტში: ამოს. 1:2 **κύριος ἐκ Σιων ἐφθέγγατο και ἐξ Ιερουσαλημ ἔδωκεν φωνήν αὐτοῦ**: უფალი სიონით **იტყოდა** (დადადყო P; თქუა S-417 M3) და იერუსალემით **მოსცა ჳმაჲ** თვისი JO; უფალმან სიონით **ჳმა-ყო** და იერუსალემით **მოსცა ჳმაჲ** თვისი GS; ამოს. 3:4 **εἰ δῶσει σκῦμος φωνήν αὐτοῦ**: უკუეთუ **მოსცეს** ლეკუმან ლომისამან **ჳმაჲ** თვისი JO; უკეთუ მოსცეს ლეკუმან მისმან **ჳმაჲ** S; უკ(უ)თუ სცესა ლეკუმან **ჳმაჲ** თვისი S-417 M3.

ამოს. 5:1 Ἀκούσατε τὸν λόγον κυρίου τοῦτον, ὃν ἐγὼ λαμβάνω ἐφ’ ἡμᾶς θρῆνον.¹²⁴ ისმინეთ სიტყუა უფლისაჲ, ესე, რომელი მომაქუს (მაქუს (err) O) თქუენ ზედა, გოდებაჲ JO; ისმინეთ სიტყუა უფლისაჲ, რომელსა ესე მე აღვიღებ თქუენ ზედა. გოდებაჲ აღიღოს სახლმან ისრაჴლისამან p; ისმინეთ სიტყუა უფლისაჲ ღმრთისაჲ, ესე, რომელ მე მომაქუს (მოვიღებ G*) თქუენ ზედა, გოდებაჲ GS; ისმინე სიტყუა ესე უფლისაჲ, რომელსა მე მოვიღებ თქუენ ზედა, მგოდებელისაჲ S-417 M3.

მოილო იგავი – იგავით თქვა

მიქ. 2:4 ἐν τῇ ἡμέρᾳ ἐκείνῃ λημφθήσεται ἐφ’ ἡμᾶς παραβολή: მას დღესა შინა მოილოს იგავი ესე თქუენ ზედა (om თქუენ ზედა O) JO; მას დღესა შინა მოღებულ იქმნეს თქუენ ზედა იგავი GS M1.

ამბ. 2:6 οὐχὶ πάντα πάντα παραβόλην κατ’ αὐτοὺς λήψονται: არა ყოველნი ესე იგავად მოიხუნენ მის ზედა om მის ზედა O) JOM5; არა ესე ყოველნი იგავად მოიხუნენ S.

მოილო ყვედრება – აყვედრა (შეურაცხყო)

სოფ. 3:18 οὐαὶ τίς ἔλαβεν ἐπ’ αὐτὴν ὀνειδισμόν: ვაY, რომელმან მოილოს (მოილო O) მას ზედა ყუედრებაჲ JO M5 L; ვაჲ, ვინ მოილო მის ზედა ყუჭდრებაჲ! GS.

მიქ. 6:16 ὀνειδὴ λαῶν λήψουσθε: ყუედრებაჲ ერთაჲ მოილოთ JO; ყუჭდრება ერთსაჲ მიილოთ S.

¹²⁴ ისმინე სიტყვა უფლისა, ის, რომელიც მე ავიღე თქვენზე (თქვენთვის), გოდება, ე.ი. ისმინე, რას ამბობს, გოდებს უფალი. ბერძნული სინტაქსის გადმოტანის მცდელობა ქართულ ტექსტში გაურკვევლობას იწვევს, რომლისგან თავის დაღწევასაც ქართველი გადამწერები სხვადასხვანაირად ცდილობენ. შდრ. Hear this word of the Lord, which I am taking up for you as a funeral dirge (Glenny 2013¹: 23).

ასევეა თარგმნილი ფსალმუნებში: 14:3 *ὁνειδισμὸν οὐκ ἔλαβεν ἐπὶ τοὺς ἔγγιστα αὐτοῦ*: ყუედრებაჲ მახლობელთა მისთაჲ მან არა მოიღოს OGeo; ყუედრებაჲ მახლობელთა მისთა ზედა არა მოილო G.

მოილო წყლულება – დააწყლულა

მიქ. 1:11 *λήμψεται ἐξ ἑμῶν πληγὴν ὀδύνης*: მოილოს თქუენგან წყლულებაჲ სალმობიერი J O; მოღებულ იქმნეს თქუენგან წყლული სალმობისაჲ GS; მიგედოს თქუენგან წყლულებისა ლმობაჲ M1.

*მოიყვანა ცოლი – დაქორწინდა*¹²⁵

ოს. 1:2 *λάβε σεαυτῆ γυναῖκα πορνείας*: მოიყვანე თავისა შენისა დედაკაცი სიძვისაჲ Op S

ოს. 1:3 *ἔλαβεν τὴν Γομερ θυγατέρα Δεβηλαιμ*: მოიყვანა გომერ, ასული თობელამისი (დებელაიმ S) Op S.

ოსიას მოყვანილ კონტექსტებში ჩაგდებულია პრედიკატივუმი აკუზატივუსში — (*εἰς*) *γυναῖκα*, რომელიც მსგავსი შინაარსის შესიტყვებებში ობიექტის აკუზატივუსთან ერთად ახლავს ხოლმე *λαμβάνω*-ს. მაგ., Gen. 26:34 *ἔλαβεν γυναῖκα Ἰουδιν*, τὴν θυγατέρα Βεηρ τοῦ Χετταίου: მოიყვანა ცოლი იუდინ, ასული ვეირ ქეტელისა CB; მოიყვანა ცოლი იუდინა, ასული ბეჰრისი, ქეტელისა AKS; მოიყვანა ცოლი იუდინ, ასული ბერისი ქეტელისაჲ O; Gen. 34:4 *λάβέ μοι τὴν παιδίσχην ταύτην εἰς γυναῖκα* მომგუარე მე ქალი ესე ცოლად CB; მომგუარე მე ყრმაჲ ესე ცოლად AKS; მომგუარე ყრმაჲ ესე ცოლად O.

შეჯამება

λαμβάνω-თი შედგენილი სინტაქსური ებრაიზმების გადმოტანისას მცირე წინასწარმეტყველთა ქართველი მთარგმნელები ამ ზმნას მისი პირველადი

¹²⁵ ამ მნიშვნელობით იხ. Helbing 1928: 53.

მნიშვნელობის შესატყვისი *მოღება/მოყვანა*-თი თარგმნიან და თარგმანში ებრაისტულ იდიომებს ქმნიან, რომელთა ერთი ნაწილი (*ცოლად მოყვანა*) ქართულ ენაში დამკვიდრდა კიდევ.

2.2. *λαμβάνω* და *ψαχί*-თი შედგენილი იდიომატური გამოთქმები

სტატიის წინა ნაწილში ვნახეთ, რომ ერთსადაიმავე ებრაულ იდიომას რამდენიმე ლექსიკურ-გრამატიკული ეკვივალენტი ჰქონდა ბერძნულ თარგმანში. ახლა კი პირიქითაა: მსგავსი ლექსიკური შედგენილობის, მაგრამ სხვადასხვა შინაარსის ორ ებრაულ იდიომას ერთი ბერძნული ეკვივალენტი შეესაბამება ბერძნულში. ჩვენთვის საინტერესო ისაა, ხედავან თუ არა ქართველი მთარგმნელები ამ ლექსიკური ერთგვაროვნების მიღმა განსხვავებულ შინაარსს.

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში შესიტყვება *λαμβάνω* *ἢ* *ψαχί*+*გენ*// *ἔξ*/*ἀπ*+*გენ*. ორ სხვადასხვა მნიშვნელობის ებრაულ სინტაგმას შეესატყვისება. ორივეს შემადგენლობაში შედის ერთი და იგივე სახელი: *שָׁחַ* (*სული, ცოცხალი არსება, სიცოცხლე, პიროვნება*) და სხვადასხვა, თუმცა სინონიმური მნიშვნელობის ზმნა: 1. *חָבַ* (vb. *აღება*) და 2. *חָבַ* (vb. Lift, carry, take *აღება, ამაღლება*).

1. *חָבַ* ზმნით შედგენილი იდიომის მნიშვნელობაა *სულის, სიცოცხლის წართმევა, მოკვლა*.¹²⁶

იონ. 4:3

: *וַיִּשְׁחַקְוּ אֶת־חַיֵּי הַיָּהוּדִים*

¹²⁶ იგივე მნიშვნელობა სხვაგვარადაც გამოიხატება ებრაულში, ბერძნულში და, შესაბამისად, ქართულშიც, მაგ. დაბ. 17:14 *ἔξιλεψεσθήσεται ἢ ψαχί ἐχείνη ἐκ τοῦ γένους αὐτῆς*; მოისპოს სული იგი ნათესავისაგან თვისის Ὁ Ἐ ἈΚ; გამოსვლ. 12:15 *ἔξιλεψεσθήσεται ἢ ψαχί ἐχείνη ἐκ συναγωγῆς*; მოისპოს სული იგი ისრაელისაგან Ὁ; მოისპოს იგი კაცი ისრაელისაგან ἈΚΣ; მოისპოს სული იგი ისრაელსა შორის Ἐ.

κῆριε λαβὲ τῆν ψυχὴν μου ἀπ' ἐμοῦ: უფალო, მიიღე (მიმიღე k) სული ჩემი ჩემგან
JO Arm-478 L; უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან S.

ბერძნულ თარგმანში ებრაული იდიომა გახსნილი არ არის და სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი. ქართველი მთარგმნელიც სიტყვასიტყვითი თარგმანის მეთოდს იყენებს – არც ის ხსნის იდიომას და თითოეული წევრი საკუთარი ეკვივალენტით (*სული* და *მიღება*) გადმოაქვს და, საბოლოოდ, ქართულისათვის სრულიად არაბუნებრივ, პლეონასტურ ფრაზას იძლევა. ამის მიუხედავად, კონტექსტი მკითხველს საშუალებას აძლევს გამოიცნოს იდიომის აზრი.

მსგავსი წესით არის გადმოსული იგივე ებრაული იდიომა ძველი აღთქმის სხვა წიგნების ბერძნულ და ქართულ თარგმანებშიც; 3 მეფ. 19:4 *λαβὲ δὴ τῆν ψυχὴν μου ἀπ' ἐμοῦ: მიიღე სული ჩემი* (>Ja) ჩემგან FJS O Ja; 3 მეფ. 19:10,14 *ζητῶσιν τῆν ψυχὴν μου λαβεῖν αὐτῆν: ეძიებენ სულსაცა ჩემსა მიღებად* FJS; ეძიებენ სულსა ჩემსა მიღებად მას O Ja; ფსალმ. 30:14 *ἐπ' ἐμὲ τοῦ λαβεῖν τῆν ψυχὴν μου ἐβουλεύσαντο: მიღებად სული ჩემისა* იზრახეს. საინტერესოა შემდეგი შემთხვევაც, სადაც *მოკვლას, მოკვდინებას λαμβάνω*-თი შედგენილი ორი სხვადასხვა სინტაგმა გამოხატავს ერთ კონტექსტში: ეზეკ. 33:6 *ἐλθῶσθα ἢ ῥομφαία λάβῃ ἐξ αὐτῶν ψυχὴν αὐτῆ διὰ τῆν αὐτῆς ἀνομίαν ἐλήμψῃ: მოვიდეს მახული იგი და წარიღოს მათგანი სული, იგი უშჯულოებითა თვისითა მიეცა* JO; ზედამოსრულმან მახულმან მიიღოს მათგანი სული, იგი უკუე ცოდვისათვის თავისა თვისისა მიღებულ იქმნა GS.

2. იგივე ბერძნული სინტაგმა – *λαμβάνω* τῆν ψυχὴν, გამოყენებულია ოს. 4:8-ში, ოღონდ ამჯერად იგი განსხვავებული შედგენილობის და მნიშვნელობის ებრაულ იდიომას შეესატყვისება: ებრაულში ამ ადგილას, ნაცვლად იონა 4:3-ში გამოყენებული ზმნისა (קחָ ვბ. *აღება*), რომელსაც *λαμβάνω* შეესაბამებოდა, არის *אָשַׁף* (*აღება, აწევა, ამალღება*). ეს ზმნა *אָשַׁף* (*სული, ცოცხალი არსება, სიცოცხლე, პიროვნება*)-თან ერთად ქმნის იდიომატურ ფრაზას

(**לֹא שָׁפַךְ אִשָּׁף (სულის ამაღლება)**), რომლის მნიშვნელობაა *მისწრაფება, რაღაცისკენ ლტოლვა, რაღაცის მძაფრი სურვილი*. მცირე წინასწარმეტყველთა ებრაულ ტექსტებში ეს იდიომა მხოლოდ ოს. 4:8-ში გვხვდება, მისი ფორმალური ბერძნული შესატყვისი ბუნდოვანია და ამ ბუნდოვანებას ვერც კონტექსტი შველის:

ოს. 4:8

¹²⁷:**לֹא שָׁפַךְ אִשָּׁף מִן־לֵבָא**

ἐν ταῖς ἀδικίαις αὐτῶν λήψονται τὰς ψυχὰς αὐτῶν.¹²⁸ სიცრუვეთა მათთა შინა მოიგნენ სულნი მათნი O; უსჯულოებამან მათმან აღამცირნა სულნი მათნი S.

გამოთქმის ბუნდოვანებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს კირილე ალექსანდრიელი და დაწვრილებით განმარტავს შესიტყვებას: მოიხმობს რა *λαμβάνω*-ს გამოყენების მაგალითებს რიცხ. 19:2-სა და ლევ. 14:3-4-ში,¹²⁹ დაასკვნის, რომ ფრაზის მნიშვნელობაა *მსხვერპლის მიტანა, მსხვერპლად შეწირვა: სულს მიიტანენ მსხვერპლად* (PG 71:124). ტექსტის სხვა გაგებასთან ერთად, ამავე ინტერპრეტაციას გვთავაზობს თეოფილაქტე ბულგარელიც (PG 126: 640).

ორივე ქართულ ვერსიაში *λαμβάνω*-ს ეკვივალენტი შეცვლილია. პარალელური წყაროს – იერუსალიმური ნუსხის ნაკლულობის გამო ოშკის ვარიანტის შეფასება ძნელია. ტექსტის ეს ნაწილი აკლია გელათური კატენების ხელნაწერსაც. ჩანს, რომ ხელნაწერი ნაკლული იყო სულხან-საბა ორბელიანის დროსაც და საბა ტექსტს ვულგატას მიხედვით აღადგენს შდრ.: *ad iniquitatem eorum sublevabunt* (ერთ-ერთი მნიშვნელობით, *შემსუბუქება*) *animas eorum*.

სიტყვასიტყვით და *λαμβάνω*-ს ეკვივალენტის დაცვით არის გადმოტანილი ეს ებრაული იდიომა ბერძნულ ფსალმუნშიც, რომელსაც ქართული თარგმანიც მიჰყვება:

¹²⁷ უსჯულოებისკენ აღმართულია მათი სული, უსჯულოებისკენ მიისწრაფვიან.

¹²⁸ თავიანთ უსჯულოებებში (უსჯულოებებით) მიიღებენ მათ სულს, უსჯულოებაში მოკვდებიან (?). სეპტუაგინტას ამ ადგილის კომენტარები იხ. Muraoka 2022: 44; Glenny 2013: 93.

¹²⁹ ლევიტელთას ქართული თარგმანები ამ ადგილას კონტექსტის მიხედვით არჩევენ *λαμβάνω*-ს ეკვივალენტს: ლევ.14:4 **λήψονται τῶ κακαθαρισμένῳ δὲο ἄρσῖναι: მოართუნენ** (მოჰგუარნენ G) განწმედისა მას ორნი ქათამნი AKS; რიცხ. 19:2 **λαβέτωσαν πρὸς σὲ δάμαλιν: მოგუარედ** შენ დიაკეული AKS; **მოიბან** შენდა დიაკეული G.

ფსალმ. 24:4 :¹³⁰ **אִשָּׁף אִשָּׁף-אֵל** **דַּע סוּחַ** **ἐλαβεν ἐπὶ ματαίᾳ τῆν ψυχὴν αὐτοῦ**: რომელმან არა აღილო ამოებად სული თვისი.¹³¹

ამავე ებრაული იდიომისთვის სექტუაგინტას მთარგმნელები სხვა წიგნებში იყენებენ **λαμβάνω**-სგან განსხვავებულ, თუმცა მსგავსი მნიშვნელობის ზმნებსაც: (**ἐπ**)**αίρω** (*აღება, ამალღება*), რომელიც უფრო ახლოს დგას ებრაულ **אִשָּׁף**-თან. ამ ადგილის ქართული თარგმანი ბერძნულ სინონიმებს არ ასახავს: ფსალმ. 24:1; 85:4; 142:8 **πρὸς σέ κύριε ἦρα τῆν ψυχὴν μου**: შენდამი, უფალო, ავიღე სული ჩემი. ბარუქის წიგნში, რომელიც ებრაულად არ შემორჩენილა, ამავე აგებულების იდიომაში **ψαχ**-ს **πνεῦμα** ენაცვლება. ქართული იერუსალიმურ ნუსხასა და გელათურ თარგმანში **πνεῦμα/ψαχ**-ს განსხვავება ასახული არაა: ბარუქ. 2:17 **ὅτι οἱ τεθνηκότες ἐν τῷ ἄδῃ ἂν ἐλήμψθη τὸ πνεῦμα** **αὐτῶν ἀπὸ τῶν σπλάγγων** **αὐτῶν**: არა მკუდართა, რომელნი არიან ჯოჯოხეთს შინა, რომელთანი მიხუმულ არიან სულნი მათნი გონებათა მათთაგან JO; არა მომკუდართა ჯოჯოხეთის შინათა, რომელთაჲ მიეღო სული მათი ნაწლევთაგან მათთა GS.

2.3. **λαμβάνω τὸ πρὸσωπον**¹³²

λαμβάνω τὸ πρὸσωπον (*სახის //პირის აღება //აწევა*) ებრაული იდიომის **אָנַף אֶשָּׂא** სიტყვასიტყვითი თარგმანია, სადაც **λαμβάνω** (*აღება, მიღება*) **אִשָּׁף** (**vb.** Lift, carry, take *აწევა, აღება (ქვემოდას ზემოთ)*)-ის შესატყვისია (იგივე შესატყვისობა ზემოთ, ოს. 4:8), ხოლო **πρὸσωπον** (*სახე, პირი, პიროვნება*, ამ მნიშვნელობით პოლიბიოსთან გვხვდება, თჰაკკერაყ 1909: 43) – **אָנַף**-ის (*სახე, პირი, პიროვნება*)¹³³ ეკვივალენტია. ებრაული იდიომა **წყალობის მოღებას, გამორჩევას, უპირატესობის მინიჭებას** აღნიშნავს.

¹³⁰ ვინც არ მიისწრაფა ამოებისკენ, არ ისურვა ამოება who does not lift up his soul to what is false (RSV). და თავისუფალი თარგმანი: who does not lie (NET).

¹³¹ სხვა წიგნებში ეს ფრაზა სხვადასხვანაირად გადმოდის, თუმცა ებრაული იდიომის შინაარსი დაცულია: 2სჯლ. 24:15; Je 22:27; 44 (51):14. ქართული ბერძნულს მიჰყვება.

¹³² ამ იდიომის შესახებ Dogniez 2002: 10-13 და Mangum 2018.

¹³³ ეს სიტყვა, ისევე, როგორც სხეულის სხვა ნაწილების აღმნიშვნელი სახელები (*გული* (იხ. ზემოთ), *სახე, ხელი*...), ხშირად შედის იდიომების შემადგენლობაში.

თავდაპირველად ეს ფრაზა გარკვეული ფიზიკური ქესტის – წყალობის გამოჩენის ქესტის (*ზემდგომის მიერ ქვემდგომის დახრილი სახის აწევა*) ამსახველი შეიძლება ყოფილიყო, რომელმაც შემდეგ *გამორჩევის, ყურადღების მიპყრობის, წარჩინების, უპირატესობის მინიჭების მნიშვნელობა*¹³⁴ მიიღო (BA 3 1988: 166; Dogniez: 2002, 10-11).

מִן פֶּ אֲשֶׁן 28-ჯერ იხმარება სეპტუაგინტაში, ამათგან 8-ჯერ მას λαμβάνω τὸ πρὸςωπιον შეესაბამება (Magnum 2018: 3). სეპტუაგინტასა და ახალი აღთქმის ბერძნულში λαμβάνω τὸ πρὸςωπιον ებრაულის კალკად და სემიტიზმად მიაჩნიათ (Thackerey 1909: 43-44; Blass/Debrunner/Rehkopf 1984: 4.7.), სიტყვასიტყვითი თარგმანის ნიმუშად, რომლის ზუსტი მნიშვნელობის გაგებაც ებრაულის ცოდნის გარეშე ბერძენი მკითხველისათვის რთული უნდა ყოფილიყო (Dogniez 2002: 11). თუმცა, მეორეს მხრივ, ისიც შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ მთარგმნელი ბერძნულ სიტყვებში იმ მნიშვნელობას დებდა (*λαμβάνω — მიღება, აქცეპტირება* და არა – *აღება*, πρὸςωπιον – *პიროვნება* და არა – *პირი*), რომელიც შესიტყვებას ებრაული იდიომატური ფრაზის მნიშვნელობას ანიჭებდა. ებრაულისა და ბერძნულის სიტყვასიტყვითი ახალქართული ეკვივალენტი – *პიროვნება მივიღე, მისაღები პიროვნება*, კარგი პარალელი შეიძლება იყოს ბერძნული ეკვივალენტის გასაგებად.

სეპტუაგინტას ლექსიკონის შემდგენლები – მურაოკა (Muraoka 1993) და ლუსტი (Lust 1996) λαμβάνω τὸ πρὸςωπιον-ს სემიტიზმად არ მიიჩნევენ. მურაოკას იგი ბერძნულ იდიომად მიაჩნია, რომელიც პირველად სეპტუაგინტაში ჩნდება.

მალ. 1:8

מִן פֶּ אֲשֶׁן יֵאָדָּר

¹³⁴ to take into consideration, to honour, to show favour; ხოლო სამართლის, იურიდიული შინაარსის კონტექსტებში to show partiality and favouritism (Dogniez 2002: 10).

εἰ προσδέχεται αὐτό εἰ λήψεται πρόσωπόν σου: უკუეთუ მიიღოს, გინათუ თულაგახუნეს შენ J; გინათუ თულაახუნეს Op; უკუეთუ მიიღოს, ანუ ათნოს პირსა შენსა S.

კონტექსტში, როგორც ებრაულ სტილისტიკას შეეფერება, ორჯერ სხვადასხვა საშუალებით არის ნათქვამი ერთი და იგივე: *განა თქვენი ბატონი რაიმე ნაკლის მქონე საჩუქარს მიიღებს? მოიწონებს?* λαμβάνω-ს მყარი ეკვივალენტი, *მიღება*, წინადადებაში προσδέχω-ს შესატყვისად არის გამოყენებული, ხოლო *λήψεται πρόσωπόν*-ს იდიომატურად ნაწარმოები ქართული ზმნა – *თულაღება*¹³⁵ (თვალეების აღხუმა, ახელა, აპყრობა) (მაისურაძე 2015) (*გამორჩევა, მოწონება, შეწყნარება, მიღება*) შეესაბამება, რითაც ფაქტიურად გახსნილია იდიომა:

მალ. 1:8 *προσάγαγε δὴ αὐτὸ τῷ ἡγουμενῷ σου, εἰ προσδέχεται αὐτό εἰ λήψεται πρόσωπόν σου*: მო-ლა-ჰგუარე იგი მთავარსა შენსა, უკუეთუ მიიღოს, გინათუ თულაგახუნეს შენ (თულაახუნეს O) JO; მო-ლა-ჰგუარო მეფესა შენსა, უკუეთუ მიიღოს, გინათუ თულაახუნეს p; შესწირე იგი წინამძღვარსა შენსა, უკეთუ მიითვალოს იგი, ანუ ათნოს პირსა შენსა S¹³⁶.

იგივე იდიომა კიდევ ორჯერ გვხვდება მალაქიაში და ძველი ქართველი მთარგმნელი იმავე შესატყვისს – *თვალღებას* იყენებს, საბა კი, რომელსაც გელათის ტექსტი, როგორცა ჩანს, ხელთ არ ჰქონდა, ცვლის ეკვივალენტებს:

მალ. 1:9 *εἰ λήψομαι ἔξ ἡμῶν πρόσωπα ἡμῶν*: უკუეთუ თულაგახუნე თქუენგანსა JO p; უკეთუ მე ვიპოო თქუენგან პირი თქუენი S.¹³⁷

¹³⁵ ასეთივე წარმოების (αἰκὴ (თვალი) + αἰνῶσις (აღება)) ზმნა (*კარგი თვალით შეხედვა, მოწონება*) არის სომხურშიც, თუმცა, სხვადასხვა ტექსტუალური დეტალის გათვალისწინებით, ქართული თარგმანის სომხურზე დამოკიდებულება საეჭვოა.

¹³⁶ საბას ვერსიაში ამავე მნიშვნელობის განსხვავებული იდიომატური ლექსიკური ერთეული (*პირმოთნე*) ჩნდება. გელათური ხელნაწერის ტექსტის ლაკუნის გამო ამ შესატყვისის ორიგინალურობა რთული დასადგენია. სომხურში სიტყვები გადანაცვლებულია: αἰνῶσις ἢ πειρ αἰκὴ

¹³⁷ Αἰκὴ αἰνῶσις αἰκὴ (აბსტრ. სახ. *პირმოთნეობა, მამებლობა*).

მალ. 2:9 *ἐλαμβάνετε πρόσωπα ἐν νόμῳ*: თუალალებდით პირთა შჯულსა შინა O; თუალთალებდით უშჯულოთა J; მიილებდით პირთა შჯულსა შინა S.¹³⁸

უკანასკნელი მაგალითი გამორჩეულია იმით, რომ ოშკის ხელნაწერში, რომელიც პირველად წაკითხვას შეიცავს, *πρόσωπα*-ც გადმოტანილია: მთარგმნელი, ერთი მხრივ, იდიომატური გამოთქმის შინაარსს გადმოგვცემს, მეორე მხრივ კი ცდილობს ყველა სიტყვა ასახოს ფორმალურად. შედეგად ბუნდოვანი წინადადება იქმნება, რომელსაც იერუსალიმური ტრადიციის გადამწერები, ბერძნულის გაუთვალისწინებლად, ცვლიან იმისათვის, რომ შინაარსობლივად გამართული წინადადება მიიღონ. ამ მაგალითის გათვალისწინებით, არაა გამორიცხული, რომ *πρόσωπων*-ის შესატყვისი იყო მალაქიას სხვა კონტექსტებშიც, რომელიც ტექსტის ისტორიის შემდგომ ეტაპებზე დაიკარგა.

თუალეზა ლამბანა τὸ πρόσωπον-ის მყარი ეკვივალენცია ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც:

ფსალმ. 81:2 *ἕως πότε ... πρόσωπα ἀμαρτανῶν λαμβάνετε*: ვიდრემდის ... თუალთა ალებდეთ, ცოდვილნო? Geo; 4 მეფ. 3:14 *εἰ μὴ πρόσωπον Ἰωσαφατ, βασιλέως Ἰουδα, ἐγὼ λαμβάνω εἰ ἐπέβλεψα πρὸς σὲ καὶ εἶδόν σε*: უკუეთუმცა არა თუალვახუნენ იოსაფატს, მეფესა იუდადსსა, არცალამცა მიგხედე და გიხილე შენ FJS; უკუეთუმცა არა თუალვახუნენ იოსაფატს, მეფესა იუდადსსა, არცალა თუმცა მიგხედენ და გიხილე შენ O; უკუეთუმცა არა თუალვახუნენ იოსაფატს, მეფესა იუდადსსა, არცალამცა მოგხედე და გიხილე შენ Ja; გოდ. 4:16 *πρόσωπον ἱερέων οὐκ ἔλαβον, πρεσβύτας οὐκ ἠλέησαν*: არა თუალახუნენს მდდელთა, არცა შეიწყალნენს მოხუცებულნი JO; პირსა მაღლისასა არ თუალ-ახუნენს, მოხუცებულნი არ შეიწყნარეს S; ზირ. 4:22 *μὴ λάβης πρόσωπον κατὰ τῆς ψυχῆς σου*: ნუ თუალთალებ სულისა შენისათოს O; ზირ. 35:12-13 *ὅτι κύριος κριτῆς ἐστίν καὶ οὐκ ἔστιν παρ' αὐτῷ δόξα προσώπου* 13 *οὐ λήμψεται πρόσωπον ἐπὶ πτωχοῦ καὶ δέησιν ἠδικημένου εἰσακοσῆται*:

¹³⁸ სომხურში, ქართულისგან განსხვავებით, არ არის *πρόσωπον*-ის შესატყვისი: *այլ սկն անսուիք օրինօքն* (მაამებლობდით კანონებით).

რამეთუ უფალი მსაჯულ არს და არა არს **თუალთხუმა მის წინაშე** დიდებასა კაცთასა.

13 არავის **თუალახუნის** გლახაკსა და ლოცვაჲ ვნებულისაჲ ადრე შეისმინის O; ზირ.

42:1 *μη λάβῃς πρόσωπον* τοῦ ἀμαρτάνειν: და ნუცა **თუალთლებით** სცოდავ O.

ერთადერთი ადგილი, მალ. 2:9-ის გარდა, სადაც *πρόσωπον* ქართულ თარგმანში ასახულია, იობის წიგნია: იობ. 42:8 *εἰ μη πρόσωπον αὐτοῦ λήψομαι*: პირსა მისსა თუალსავახებ S.

აღსანიშნავია ისიც, რომ *λαμβάνω τὸ πρόσωπον*, მიუხედავად მისი ებრაისტულობუსა და ბერძნული ენისთვის სიუცხოვისა, დასტურდება ბერძნულად დაწერილ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებშიც. ძველი ქართველი მთარგმნელები იდიომის გადმოსატანად აქაც ისევ *თუალთხუმა*-ს იყენებენ, ხოლო *πρόσωπον*-ს როგორც პიროვნება-ს, ადამიანს, იგებენ და ობიექტად მიიჩნევენ. გვიანდელ, გიორგი მთაწმინდელისა და ევრემ მცირის რევიზიებში კი გამოთქმა უკვე სხვა, თარგმანის ფორმალური ტექნიკით, გადმოდის - და იშლება: *თუალლება* ზმნის შესატყვისია, რომელსაც *πρόσωπον*-ის შესატყვისი *პირო*-ც ახლავს:

1 ეზრ. 4:39 *καὶ οὐκ ἔστιν παρ' αὐτῆς λαμβάνειν πρόσωπα*: არა არს მის თანა **თუალთხუმა** JOIDFS

ლუკ. 20:21 *οὐ λαμβάνεις πρόσωπον*: არავის **თუალთ-აღებ** Pr; არავის **თუალთაღებ** პირსა G. გალ. 2:6 *πρόσωπον [ὁ] θεοῦ ἀνθρώπου οὐ λαμβάνει*:¹³⁹ ღმერთმან კაცსა არა **თუალახუნის** AB; პირსა კაცისასა ღმერთმან არა **თუალახუნის** CD.

იგივე ებრაული იდიომა – **לִּפְנֵי אִשׁוּ** – რვაჯერ სხვა ზმნითაც – **תִּשְׁמָרָה** (*განცვიფრება, აღტაცება, მოწონება*) არის ხოლმე შედგენილი ძველი აღთქმის ხელნაწერებში. ეს, ფაქტიურად ებრაული იდიომის შინაარსობლივი გადმოტანაა და *πρόσωπον*-ს აღარ უნდა საჭიროებდეს. მაგრამ ბერძნულად მთარგმნელები, როგორც ჩანს, ერთდროულად ორი ამოცანის შესრულებას ცდილობენ: ტექსტის ფორმალური

¹³⁹ და აქედან ნაწარმოები ახალი სიტყვა *προσωποληψία* პავლეს ეპისტოლეებში: რომ. 2:11 არა არს თუალთლება(ღ) ღმრთისა თანა; ეფეს. 6:9 თუალთლება არა არს მის თანა; კოლას. 3:25 არა არს თუალთლება AB; არა არს თუალთხუმა CD).

ასახვისა და შინაარსობლოვი სიცხადისა (Magnum 2018: 3). Dogniez-ს მიაჩნია, რომ ეს გამოთქმა სეპტანტიზმია, რომელიც მთარგმნელმა შექმნა იმ კონტექსტებში, რომლებსაც იურისპრუდენციული შინაარსი არ აქვთ. ამ, შედარებით თავისუფალი ეკვივალენტის გამოყენება მისთვის იმის მანიშნებელია, რომ მთარგმნელს ესმოდა შესიტყვების იდიომატური მნიშვნელობა – *განცვიფრება ვილაცით აღტაცება, პატივის მიგება*¹⁴⁰. ქართველი მთარგმნელები *θασμάζω*-სთვის იმავე ეკვივალენტს იყენებენ, რასაც *λαμβάνω*-სთვის და ამით ავლენენ, რომ კარგად ესმით ამ ორი ბერძნული შესიტყვების სემანტიკური იგივეობა:¹⁴¹

დაბ. 19:21 *ἐθαύμασα σὺν τῷ πρὸςωπον*: თუალ-გახუნენ სიტყუასა მაგას, O; თუალ-გიხუნენ სიტყუასა მაგას AS; **დამიკვრდა პირი** შენი ამასცა ზედა სიტყუასა CB; 2 სჯ. 10:17 *ὁ θασμάζει πρὸςωπον*: არა თუალ-ახუნის ABES; არა დაუკვრდების პირი კაცისა G; 2 სჯ. 28:50 *ἔθνος ἀναιδὲς προσώπων ὅστις ὁ θασμάσει πρὸςωπον* *πρεσβύτου καὶ νέου οὐκ ἐλήθει*: ნათესავი ურიდი და თუალუხუჯვი, რომელმან არა თუალახუნის მოხუცებულსა სიბერესა BDES; ნათესავი შეუკდემელი პირითა, რომელსა არა დაუკვრდეს პირი მოხუცებულისა და ჭაბუკი არა შეიწყალოს G; იგავნ. 18:5 *θασμάσαι πρὸςωπον* *ἀσεβῶν* *ὁ καλόν*: თუალთღება უღმრთოსა კაცისა – არა კეთილ O; თუალღება უღმრთოსა არა კეთილ S; თვალღება არაწმინდისა – არა კეთილ B.

ერთადერთი წიგნი, სადაც ქართულში *πρὸςωπον*-იც აისახება, იოზის წიგნია: იოზ. 32:21 *ὁ γὰρ ἐπίσταμαι θασμάσαι πρὸςωπον*: რამეთუ არა ვიცი თუალთღება პირისა S; იოზ. 13:10 *κρυφῆ πρὸςωπα θασμάσετε*: ფარულითა პირითა თუალ-გახუნეს თქუნენ ODS; იოზ. 22:8 *ἐθαύμασας δὲ τινὰ πρὸςωπον*: თუალთ-ვიეთმე-ალებდ პირთა მათთა ODS.

საინტერესოა, რომ ლევ. 19:15-ის ერთ კონტექსტში თავმოყრილ ამ ორი განსხვავებული ზმნით შექმნილ ბერძნულ იდიომებს, რომელთა ებრაულ

¹⁴⁰ 'to admire the face', but can signify 'to show favouritism' (Dogniez 2002: 12)

¹⁴¹ ქართულისგან განსხვავებით, სომხური ფორმალურად განარჩევს *λαμβάνω*-სა და *θασμάζω*-ს ეკვივალენტებს, იყენებს რა ერთიდაიმავე სეგმენტებით შედგენილ ორ სხვადასხვა ფორმას: *սկն առնուլ*-ს და, როგორც ჩანს, თარგმანის პროცესში შექმნილ პირიან ზმნას - *սչառել* (*გამორჩევა, პატივის მიგება*) გადმოაქვს.

ორიგინალშიც ორი განსხვავებული ზმნაა, ქართველი მთარგმნელები ერთი შესატყვისით – *თულახუმით* თარგმნიან:

ἄτιμῃ σφῆτι κτύβῃ ἵδῃ ἕβῃ ῥῥῆτι ἄῃ ἕῃ ἕβῃ ἰψῆτι· ἄ

ὁ *λήμψη πρόσωπον* πτωχῶν, ὁ δὲ *θασμάσεις πρόσωπον* δυνάστου: არცა თულახუმენე გლახაკსა, არცა თულახუმენე პირსა ძლიერისასა AKS; არა თულახუმენე გლახაკსა, არცა დაგიკვრდეს პირი ძლიერისა G.¹⁴²

იგივე ებრაული იდიომა ბერძნულ ძველ აღთქმაში 11-ჯერ სხვადასხვა ზმნითაა გადმოტანილი. ყველა ისინი ქართულში მათი სემანტიკური შესატყვისებით ითარგმნება. მაგ., *αἰσχύνω* (*მორიდება, პატივისცემა*): იოზ. 34:19 *ὅς οὐκ ἐπαισχύνθη πρόσωπον ἐντίμου ὁ δὲ οἶδεν τιμῆν θέσθαι ἄδριος θασμασθῆναι πρόσωπα ἀπ᾽ αὐν*: რომელთა მთავართა პირისათვის არა შეიკვდიმონ და პატიოსანთა. არცა იცის პატივის პყრობაჲ დიდთაჲ და თულათლებაჲ პირთა მათთაჲ S.

შეჯამება

მცირე წინასწარმეტყველთა თარგმანს რომ დავუბრუნდეთ: ქართველ მთარგმნელს კარგად ესმის შესიტყვების *λαμβάνω τὸ πρόσωπον* იდიომატური ხასიათი და მისი მნიშვნელობა (*ვიღაცის გამორჩევა, გამოყოფა, ვიღაცაზე (გახელილი, გაღებული) თვალის მიპყრობა*) და, მის გადმოტანას ქართული იდიომატური გამოთქმით – *თვალის აღება, თვალთა აღებუმა* – ცდილობს. ამავე დროს, მას ფორმალური სიზუსტის დაცვაც სურს და *πρόσωπον*-იც გადმოაქვს.

¹⁴² სომხური სხვადასხვა ბერძნულ ზმნას სხვადასხვა ეკვივალენტს შეუსატყვისებს: *ἀλκὴν ἀληψασθῆναι* ἰψῆ ἁπῆνῆσθῆναι, *ἐκ* ἰψῆ ἔρῆσασθῆναι ἁγῆσθῆναι ἁπῆσθῆναι

დასკვნა

მას შემდეგ, რაც დაწვრილებით განვიხილეთ, თუ რა საშუალებებით გადმოდის კონკრეტული ებრაული იდიომები მცირე წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში და ისიც გავარკვიეთ, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჩავდოთ ქართულისათვის ამ უცხო ფრაზებში, უნდა ვეცადოთ, რომ საკითხი ფართო ჭრილში დავინახოთ, კერძოდ, გავარკვიოთ, თუ როგორია ქართველი მთარგმნელების პოლიტიკა წმინდა წერილის თარგმნისას.

სურათს მე ასე ვხედავ: მთარგმნელები ერთმანეთისაგან განარჩევენ ორდინარულ და იდიომატურ ფრაზებს. ორდინარული ფრაზების თარგმნისას ისინი არ ერიდებიან ლექსიკურ ვარიაციებს და კონტექსტის შესაბამისად ირჩევენ ლექსიკურ ეკვივალენტებს, ე.ი. შედარებით თავისუფლები არიან და კონტექსტის სიმარტივეზე არიან მიმართულები. იდიომატური ფრაზების გადმოტანისას მათი მეთოდი განსხვავებულია, მეტწილად – ფორმალური: ისინი არ ამარტივებენ კონტექსტს, არ განმარტავენ იდიომას, არ აწვდიან მკითხველს გახსნილ აზრს, შეიძლება ითქვას, რომ თავს არ ახვევენ საკუთარ ინტერპრეტაციას: დედნის ფორმალური ასახვით, ნეიტრალურად გადმოაქვთ ქართული ენისათვის და ქართველი აუდიტორიისთვის უცხო იდიომები და ამ გზით, ერთი მხრივ, ინარჩუნებენ წმინდა წერილის სტილს და, მეორე მხრივ, აიძულებენ მკითხველს, გამოიძიოს აზრი. მაგრამ, მცირე წინასწარმეტყველთა პირველმთარგმნელი ყოველთვის ერთი პრინციპით არ მუშაობს. როგორც ვნახეთ, ზოგი იდიომატური გამოთქმის შემთხვევაში ის უცხო იდიომატურ შესიტყვებას იგი ქართულ იდიომატურ გამოთქმას შეუსაბამებს.

III. მხატვრულ-რიტორიკული ხერხები - განმეორებები

პარალელიზმი ცნობილი და გავრცელებული მხატვრულ-რიტორიკული ხერხია სხვადასხვაენოვან მხატვრულ ტექსტებში.¹⁴³ იგი მიიღწევა როგორც სემანტიკის, ისე ოდენ ბგერათა და ბგერათშეთანხმებების რეგულარული, სიმეტრიული ან ასიმეტრიული განმეორებით.¹⁴⁴ განმეორებები და განმეორებებით შექმნილი პარალელიზმები ბიბლიის - მისი როგორც პროზაული, ისე პოეტური წიგნების - ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ ნიშანს წარმოადგენენ. განმეორებული წევრები ერთმანეთს უკავშირებენ და ამთლიანებენ პატარა და დიდ მონაკვეთებს, გამოკვეთენ მთავარ იდეასა და თემას, გარკვეულ შინაარსობლივ და რიტმულ სტრუქტურას აძლევენ ტექსტს და ერთგვარად ერთიან ესთეტიკურ ხასიათს სძენენ თხრობას.¹⁴⁵

ბიბლიის მთარგმნელთა მიზანია წმინდა წერილის აზრი იმ ფორმალურ-ენობრივი საშუალებებით გადმოიტანონ, რომლითაც ეს აზრი დედანშია გამოხატული: ასახონ სათარგმნ სემანტიკური მნიშვნელობები, სემანტიკა რაოდენობა, მათი მიმდევრობა, გრამატიკული ფუნქციები და, ასევე, ის მხატვრული ხერხები, პოეტური ეფექტები, რომლებიც ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენენ მკითხველსა და მსმენელზე და ტექსტის უკეთეს გააზრებასა და ათვისებას ემსახურებიან. სექტუაგინტას თარგმანის ტექნიკის კვლევისას უკანასკნელ ასპექტს ბოლო დრომდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბიბლიის ქართული თარგმანები კი ამ თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია.

¹⁴³ Tauberschmidt, Secondary Parallelism, 14

¹⁴⁴ ერთ-ერთი განმარტება: *“the repetition of the same or related semantic content and/or grammatical structure in consecutive lines or verses.”* Adele Berlin, *“Parallelism,”*

¹⁴⁵ განმეორების, როგორც თხრობის ტექნიკის შესახებ ბიბლიაში იხ. Alter, *The Art of Biblical Narrative*,

განმეორებას, როგორც რიტორიკულ ხერხს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ანტიკურ ბერძნულ პროზასა და პოეზიაში. ელინიზმის პერიოდში ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდებოდა და ცნობიერდებოდა.¹⁴⁶ პრაქტიკული გამოყენების გარდა, რიტორიკული ხერხები შეისწავლებოდა თეორიულადაც, განსაკუთრებით ალექსანდრიელი ფილოლოგების მიერ. სწორედ მათ გამოყვეს და განსაზღვრეს რიტორიკული ხერხებისა და მხატვრული ფიგურების სხვადასხვა ტიპები. რამდენად იცნობდნენ სექტუაგინტას მთარგმნელები მხატვრულ ხერხებს, რამდენად გაცნობიერებულად იყენებდნენ მათ, როგორ უხამებდნენ ერთმანეთს ებრაული და ბერძნული მხატვრული ენების ერთმანეთსაგან სრულიად განსხვავებულ ესთეტიკას, რა გადმოდიოდა ებრაული რიტორიკიდან თარგმანში და რა ემატებოდა ბერძნული მხატვრული სტილის არსენალიდან - ესაა საკითხები, რომელთაც სექტუაგინტას მკვლევარები სვამენ უკანასკნელ წლებში.¹⁴⁷

ბიბლიის ბერძნულ თარგმანებში ადეკვატურად არის ასახული განმეორებები - არა მხოლოდ როგორც კონკრეტული ტექსტის თარგმნისას ad hoc მიღებული გადაწყვეტილების შედეგი, არამედ განმეორება, როგორც დედნის სტილისტური ნიშანი.¹⁴⁸ მაგრამ ეს ფაქტი, თავისთავად, აუცილებლობით არ გულისხმობს, რომ მთარგმნელი ამ სტილის შექმნაზე მუშაობს. თარგმანის დედნის მხატვრული სტილის (მათ შორის, პარალელიზმის) ასახვა შეიძლება დედნისადმი ფორმალური ერთგულების თანამდევი შედეგი იყოს და არა იმისა, რომ მთარგმნელი მხატვრულ ხერხებს დედნის სტილის ნიშნად აღიქვამს და გაცნობიერებულად ცდილობს მის რეპროდუცირებას ტექსტის სემანტიკურ-კვანტიტატიურ მონაცემებთან ერთად. უკანასკნელი კვლევები ადასტურებენ, რომ ბერძენი მთარგმნელების ამოცანას ტექსტის ემოციურ-ესთეტიკური ხასიათის გადმოტანაც წარმოადგენს, ამასთან, იმ

¹⁴⁶ George A. Kennedy, "Historical Survey of Rhetoric," in *Handbook of Classical Rhetoric in the Hellenistic Period (330 B.C. – A.D. 400)* (ed. Stanley E. Porter; Leiden: Brill, 2001), 3–20;

¹⁴⁷ ლიტერატურა Mulroney გვ. 81-82 შენ. 16,

¹⁴⁸ Diens

ხერხებით გადმოტანა, როგორითაც იქმნება ეს ხასიათი ებრაულ დედანში - რიტორიკული ხერხებით.¹⁴⁹ ეს არცაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ გრამატიკა ელინისტური განათლების სისტემის საყრდენი იყო და გრამატიკული სკოლები - სოციუმის ნაწილი.

რიტორიკული ხერხების გამოყენება ბიბლიის ქართულ თარგმანებში სრულიად შეუსწავლელი თემაა. არადა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა არავითარი დოკუმენტური ცნობა არ გვაქვს საქართველოში გრამატიკული სკოლების არსებობის შესახებ, რიტორიკული ხერხების შესწავლა ქართულ ბიბლიაში - ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულენოვან ლიტერატურულ ტექსტში - განსაკუთრებულად საინტერესო უნდა იყოს საქართველოში რიტორიკული სკოლის ტრადიციისა და ქართული მხატვრული ესთეტიკის ჩამოყალიბების სათავეების საკვლევად. საკითხის შესწავლა გაგვაცემინებს პასუხს კითხვაზე - რამდენად იცნობდნენ ქართველი მთარგმნელები ელინისტურ კულტურაში კარგად დამუშავებულ ლიტერატურის თეორიას, რამდენად იყენებდნენ ამ ცოდნას მთარგმნელობით პრაქტიკაში და როგორ ხდებოდა პრაქტიკაში ათვისებული პოეტური საშუალებების გადანერგვა და განვითარება ორიგინალურ მხატვრულ მეტყველებაში.

პრობლემის გამოსაკვეთად სხვადასხვა ტიპის გამეორების შემცველი ერთი ნიმუში აივიდოთ:

ამბ. 1:4

1a διὰ τοῦτο διεσχέδασται νόμος /1b καὶ οὐ διεξάγεται εἰς τέλος κρίμα //

2a ὅτι ὁ ἀσεβὴς καταδυναστεύει τὸν δίκαιον /2b ἔνεκεν τούτου ἐξέλυσεται τὸ κρίμα διεστραμμένον

1a ამისთვის განქარვებულ არს შჯული /1b და არა გამოვალს სრულიად სამართალი,
//

¹⁴⁹ Diens

2a რამეთუ უღმრთოდ ჰმძლავრობს მართ ლსა. / 2b ამისთვის გამოვალს საშჯელი გულარძნილი JO

1a და ამისთვის განქარვებულ არს შჯული / 1b და არ მიიწვევის სრულებად სამართალი, //2a რამეთუ უთნო ჰმძლავრობს მართალსა./2b ამისთვის გამოვალს მსჯავრი გულარძნილი S.

(ეს მუხლი წინა, მე-3 მუხლში დასახელებული ფაქტის (სასამართლო (απίσις - საშჯელი JO, მშჯავრი S), სადაც მოსამართლე (ὁ ἀπίης - მსაჯული) ქრთამს იღებს) დასკვნაა: შჯული განქარვებულია, სამართალი არ სრულდება, უღმრთო მართალს სძლევს, უკუღმართი სამართალი ხორციელდება)

ამ მონაკვეთის ბერძნულ ტექსტში, რომელიც, სხვათა შორის, თავისი მხატვრულობით სრულიადაც არ გამოირჩევა მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების სხვა მონაკვეთებისაგან, სხვადასხვა ტიპის გამეორებაა:

ევფონიური განმეორება - ალიტერაცია: δ-ს და δ-თი შემდგარი ერთგვარი მარცვლების (მათ შორის δἰα წინდებულის) გამეორება, გარდა იმისა, რომ ევფონიურობას ანიჭებს ტექსტს, კრავს ორ პარალელურ პერიოდს. მგონია, რომ ლ-ისა და მისით შექმნილი მარცვლების გამეორება ბერძნულის ალიტერაციის სუსტ შესატყვისად შეგვეძლო ჩაგვეთვალა.

ევფონიური გამეორება ძვ. ქართულ თარგმანში ალიტერაციაზე უფრო მეტად სხვა საშუალებებით არის მიღწეული: **სიტყვისა ან სიტყვის ძირის გამეორებით: სამართალი... მართალსა, გამოვალს... გამოვალს; ანაფორით (მონაკვეთის დასაწყისის გამეორებით): ამისთვის... ამისთვის.**

მონაკვეთები - 1b ὁ διεξάγεται ... αρίμα და 2b ἐξέλυσεται τὸ αρίμα ერთმანეთის პარალელურია. პარალელიზმი მიიღწევა ერთიდაიმავე სიტყვის - αρίμα (რომელიც, სხვათა შორის, წინა მუხლთანაც აჩენს ასოციაციას) **ფორმალური** განმეორებით და, ასევე, ერთი **სემანტიკის სიტყვების** გამეორებით, ანუ **ლექსიკური ვარიაციით** (რაც,

როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ასევე რიტორიკულ ხერხს წარმოადგენს მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად): *διεξάγεται* (დი-εξ-ἀγω – L&S: *to bring to an end, to accomplish*) და *ἐξέλθεται* (ἐξ-έρχομαι L&S: *go or come out of, figuratively be gone, disappear*). ქართულ თარგმანებში გამეორებულ *κρίμα*-ს ნახევარსინონიმები შეესაბამება: *სამართალი* და *საშჯელი/მსჯავრი*. და პირიქით, ძველ თარგმანში ბერძნულის ლექსიკური ვარიაციის ნაცვლად გვაქვს სიტყვის გამეორება: გამოვალს JO (შდრ. ვარიაცია გელათურში: გამოვალს/მიიწვევის S). ასე რომ, ძველ ქართულ თარგმანში ეკვივალენტების ასეთი ცვლით თითქოს იგივე ეფექტი მიიღება რაც ბერძნულში. ბერძნულში ამ მონაკვეთის მთლიანობას 1a და 2a მონაკვეთებში სინონიმური კავშირების - *διὰ τούτο* და *ἔνεκεν* - გამოყენება განაპირობებს. ქართველი მთარგმნელები ამ სინონიმებს ერთი ლექსიკური ერთეულით თარგმნიან - *ამისთვის* JO G და თითქოს კიდევ უფრო უსვამენ ხაზს ამ მთლიანობას.

ეს არის სურათი, რომელსაც ტექსტის ჩვენეული ანალიზი იძლევა. მაგრამ, კითხვაა: რამდენად წარმოადგენს ქართულ თარგმანში გამოვლენილი ეს ელემენტები მართლაც ორატორულ ხერხებს და, თუ წარმოადგენს, რამდენადაა ეს ხერხები გააზრებულად გამოყენებული ტექსტში მხატვრული ეფექტის მისაღწევად, ამასთან, გამოყენებული იმისათვის, რომ სხვა, ფორმალურ-სემანტიკურ ასპექტებთან ერთად, დედნის ევფონიის ელემენტებიც აისახოს ტექსტში.

საკითხის გასარკვევად კონკრეტულ მაგალითებს მივმართოთ და განვიხილოთ, როგორ გადმოდის ბერძნულ დედანში გამოყენებული ცალკეული ორატორული განმეორება ქართულ თარგმანებში და გავარკვიოთ, რამდენადაა ორატორული ხერხების ასახვა ან არასახვა ბერძნული ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანის თანამდევი შედეგი. ქვემოთ განვიხილავ გამეორების ორ სახეს - ევფონიურსა და სემანტიკურს. დავიწყებ პირველით.

ევფონიური განმეორება

ევფონიური გამეორება ბიბლიის ებრაულის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

მისი მიზანია კეთილხმოვანების, ევფონიური ეფექტის მიღწევა 1. მოკლე ტექსტურ მონაკვეთში ბგერათა და ბგერათშეთანხმებების გამეორებით. 2. სიტყვებისა და ფრაზების გამეორებით.

1. ბგერების და ბგერათკომპლექსების გამეორება

Joel 1:7 *ἐρεσυνῶν ἐξήρησθησεν ἀπὸ τῆς γαῖας ἔρριψεν ἔλεσχανεν κλήματα ἀπὸ τῆς*

გამომიებით გამოიძია იგი და განაგდო იგი და განასპეტაკნა რტონი მისნი.

გამეორებული ბგერის ბუნების მიხედვით გამოყოფენ ასონანსს (ხმოვნების გამეორებას)¹⁵⁰, და კონსონანსს (თანხმოვნების გამეორებას), ხოლო პოზიციის მიხედვით - ალიტერაციასა (სიტყვის თავში მდგარი ბგერის გამეორება) და ჰომოიოტელევტონს (სიტყვის ბოლოს მდგარი ბგერის გამეორება).¹⁵¹

¹⁵⁰ უნდა ითქვას, რომ ესა და სხვა, ქვემოთგანხილული ტერმინები ლიტერატურათმოდნეობით სახელმძღვანელოებში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება, ისე რომ დეფინიციები ხშირად ფარავენ კიდევ ერთმანეთს (მაგ., Büllman, Bullinger, 171-261; Dean, Glossary of Greek Rhetorical Terms). აღრეულობისა და ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად მე ტერმინთან ერთად მომაქვს მისი განსაზღვრება და მაგალითების ანალიზისას ამ განსაზღვრებას მივყვები.

¹⁵¹ პოზიციის მიხედვით სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ თანხმოვანთა გამეორებას: თანხმოვნის გამეორებას ერთმანეთთან ახლომდგომი სიტყვების თავში უწოდებენ 'ალიტერაციას', მაშინ, როდესაც თანხმოვნის განმეორებას სიტყვების შიგნით 'კონსონანსად' მოიხსენიებენ. თუმცა, 'კონსონანსს' ასევე უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებენ და უწოდებენ თანხმოვნის გამეორებას მისი პოზიციის მიუხედავად. მე თანხმოვნის გამეორების ყველა ამ სახეს, მიუხედავად მისი პოზიციისა სიტყვაში, ერთი სახელის ქვეშ განვიხილავ. და თანხმოვნის გამეორებასთან ერთად, მარცვლის გამეორებით ('პარექსისს' (παρήχησις)) მიღწეულ ევფონიური ეფექტების მაგალითებს მოვიტან.

თარგმანში დედნის ევფონიური ტექსტური მონაკვეთების გადმოტანა და, მითუმეტეს, ევფონიის მიღწევა იმ ბგერებით, რომლითაც ეს ევფონია დედანშია გამოხატული, მთარგმნელის ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა: ტექსტის სემანტიკისა და გრამატიკული ფორმის გამოხატვის აუცილებლობა ზღუდავს მთარგმნელის შესაძლებლობებს ბგერითი შედგენილობის გათვალისწინებით შეარჩიოს ეკვივალენტები. მითუმეტეს რთულია ეს მაშინ, როდესაც ენათა ფონეტიკური ხასიათი ერთმანეთისგან განსხვავდება.

ამის მიუხედავად, რიგ შემთხვევაში კეთილხმოვანება ქართულ თარგმანშიც არის გადმოტანილი იმავე ბგერით, რითაც კონსონანსი მიიღება დედანში, მაგ., *σ/ს*-ს გამეორებით:

ამოს. 1:14 *σεισθήσεται ἐν ἡμέρᾳ συντελείας αὐτῆς*

შეიძრას დღესა აღსასრულისა (დასასრულისა GS) მისისასა Geo.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამგვარი შესაბამისობა მთარგმნელის განზრახვის, მისი მხატვრული შემოქმედების ნაყოფი კი არა, აუცილებლობის შედეგია - იმისა, რომ თარგმანის ალტერნატიული ლექსიკური და გრამატიკული საშუალება ენაში არ არსებობდა, რაც, სხვათა შორის, იმითაც დასტურდება, რომ მონაკვეთი გელათის თარგმანშიც უცვლელად არის გამეორებული.

ჩვეულებრივ, თარგმანში ალიტერაციის შექმნა იმავე ბგერებით, რითაც დედანშია შექმნილი, არ ხერხდება. ასეთ დროს მთარგმნელი, რომელსაც დედნისეული მხატვრული ეფექტის ასახვა სურს თარგმანში, სხვა ბგერაზე სვამს ხოლმე აქცენტს:

ოს. 12:2 *ὁ δὲ Εφραϊμ ποιηρὸν πνεῦμα ἐδῶξεν καύσωνα*

ხოლო ეფრემ სულსა ბოროტსა სდევდა, სიცხესა O;

ხოლო ეფრემ ბოროტსა სულსა სდევდა სიცხესა S.

ბერძნულში π-ს გამეორებით მიღებულ ალიტერაციას ქართულ თარგმანებში ს-ს სიტყვის თავში და ბოლოში მრავალჯერადი განმეორებით მიღებული ალიტერაცია შეესაბამება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ალიტერაცია განზრახ კი არაა შექმნილი მთარგმნელის მიერ, არამედ აუცილებლობით: ბერძნული ლექსიკური ერთეულების ჩვეული შესატყვისების (სული, სიცხე (ოს. 13:15) და ობიექტის მიცემითი ბრუნვის ნიშნის განმეორებითი გამოყენების საჭიროების გამო.

ნაკლები სკეპსისით განგვაწყობს შემდეგი მაგალითი:

მიქ. 2:5 ὁὐκ ἔσται σοὶ βάλανος σχοινίον ἐν ἀλήρῳ ἐν ἐκκλησίᾳ κυρίου არავინ იყოს შენდა მომდებელ საბლისა ნაწილსა ზედა. ეკლესიასა შინა უფლისასა JO;

არა იყოს შენდა დამდებელ საბლისა წილსა შორის ეკკლისიასა შინა უფლისასაGS;

არა იყოს ნაწილსა ზედა შენსა დამდებელი საბლისაჲ. კრებულსა შინა უფლისასა Tht.

კეთილხმოვანება, რომელსაც ბერძნულში κ-ს გამეორება იწვევს, ქართულ თარგმანებში ლ-ს გამეორებით მიიღწევა.

ქართულ თარგმანში გადმოტანილია ევფონიური ეფექტი, რომელიც იქმნება ერთმანეთისგან დაშორებულ სიტყვებში **ბგერათკომპლექსების** გამეორებით:

მიქ. 2:11 ἐστὶν ἄλαξέν σοι εἰς οἶνον καὶ μέθυμα καὶ ἔσται ἐκ τῆς σταγόνος τοῦ λαοῦ τούτου

გწოთდა შენ ღვინოდ მთრვალობაჲ; და იყოს ნაწუეთისა ამის ერისა JO;

გწოთდა შენ ღვინოდ და მთრვალობად. და იყოს ქუწყანისაგან წუჭთი ერისაჲ ამის. GS;

დააწოთ შენ ზედა, ვითარცა ღვინოდ და სიმთრვალე. ... 2:12 და იყოს წუჭთისაგან ერისა ამის. Tht.

წინდებულების სისტემის არსებობა ბერძნულში ამარტივებს ალიტერაციის ხერხის გამოყენებას. როდესაც ბერძნული წინდებულები ქართულ თარგმანში ფორმალურად გადმოდის, ალიტერაცია ბუნებრივად იქმნება, მაგ.:

მიქ. 2:13 **διὰ τῆς διακοπῆς** πρὸ προσώπου αὐτῶν **διέκοψαν** / **καὶ διήλθον** πύλην **καὶ ἐξήλθον** δι' αὐτῆς / **καὶ ἐξήλθεν** ὁ βασιλεὺς αὐτῶν / **πρὸ προσώπου αὐτῶν** :

განკუეტილებისაგან წინაშე პირსა მათსა **განკუეტეს**, და **განვლეს** ბჰჰ, და **განვიდეს** მისგან. და **განვიდა** მეფე მათი წინაშე პირსა მათსა JO;

განკუჭტილებისათვს პირისა მათისა **განკუჭტეს** და **განვლეს** ბჰე. და **განვიდა** მისგან, და **განვიდა** მეფე მათი წინაშე პირსა მათსა GS;

აღვედ **განკუჭტილით** წინაშე პირსა მათსა. **განკუჭტეს** და **განვლეს** ბჰე და მიერ **განვიდეს**. და **განვიდა** მეფე მათი წინაშე პირსა მათსა Tht.

ბერძნულში კეთილხმოვანებას **διὰ-** და **ἐξ-** წინდებულების და **ἤλθον** ძირის გამეორება ქმნის. ქართულ თარგმანებში ზმნური ძირის გამეორება ვერ ხერხდება ქართული ზმნის ძირმონაცვლეობის (ვალ/ვედ) გამო, სამგიეროდ, ორი ბერძნული წინდებულის შესატყვისად -**გან** თანდებული იხმარება და, ამის ხარჯზე მიიღწევა ევფონიური ეფექტი.

მიქ. 1:4 **καταφερόμενον** ἐν **καταβάσει**:

გარდამომავალი **გარდამოსაქანელსა** J;

შთამომდინარი **შთამოდმართსა** S;

შთამართ **შთამომავალნი** K-1

ცხადია, რომ სამივე მთარგმნელი სრულიად შეგნებულად აკეთებს აქცენტს კეთილხმოვანებაზე.

როდესაც ბერძნული წინდებულების ფორმალური გადმოტანა ვერ ხერხდება, მთარგმნელი სხვაგვარად ახდენს კეთილხმოვანების კომპენსირებას, მაგ., ძირის გამეორებით:

ამბ. 1:17 διὰ τοῦτο ἀμφιβαλεῖ τὸ ἀμφίβληστρον αὐτοῦ

ამისთვის უთხინეს სათხეველნი მისნი JO;

შდრ. ამისთვის განჰმარტნეს სათხეველნი თჳსნი S.

ევფონიურ ეფექტს ქართულში, ბერძნულის მსგავსად, თანხმოვნის გამეორების გარდა, ერთიდაიმავე ძირის გამოყენებაც ქმნის:

ამოს 2:13 ἐγὼ κλιῶ ὑποκάτω ὑμῶν /ὄν τρόπον κλιεταὶ ἢ ἄμαξα/ ἢ γέμουσα καλάμη

მე ვაგღრვო ქუეშე თქუენსა, / ვითარცა გღრავნ ურემი /სავსწ ლერწმითა O

მე ავაგორვებ ქუეშე-კერძო თქუენსა, /ვითარ-სახედ გორავს ურემი / სავსე ლელწმითა S.

κ-თი შექმნილი ალიტერაცია ქართულში ავ მარცვლის გამეორებითაა მიღებული (ამასთან, ძველ თარგმანში გელათურზე მეტად არის გამოხატული). ევფონიურობას ბერძნულში გამეორებული ზმნური ძირის კლ შესაბამისად გორ ძირის გამეორებაც აძლიერებს.

ქართველი მთარგმნელები ცდილობენ დედნის შესატყვისად ჰომოიოტელევტონის (ὁμοιοτέλευτον) შექმნასაც - სიტყვის დაბოლოებების გამეორებას:

ამოს 6:11 πατάξει τὸν οἶκον τὸν μέγαν θλάσμασιν / καὶ τὸν οἶκον τὸν μικρὸν ῥάγμασιν :

დასცეს სახლი იგი (>GS) დიდი წყლვითა, და სახლი მცირე - განხეთქითა JOGS.

ერთნაირი დაბოლოების გარდა, ამ მონაკვეთში ევფონიურ ეფექტს მარცვლის ერთნაირი რაოდენობაც ქმნის და ისიც, რომ ერთგვარი დაბოლოებების შემცველი სიტყვები აზრობრივი მონაკვეთების ბოლოს გვხვდება.

ამბ. 1:11 τότε μεταβαλεῖ τὸ πνεῦμα καὶ διελύσεται καὶ ἐξιλιάσεται αὐτὴ ἢ ἰσχυρὸς τῷ θεῷ μου:
მაშინ გარდაიქციოს სული და განვლოს და ულხინოს მას ძალი ღმრთისა ჩემისაჲ O;
მაშინ გარდიცვალოს სული და განვლოს და ულხინოს ესე ძალი ღმერთსა ჩემსა S.

ორივე ქართულ თარგმანში ჰომოიოტელეუტონები სამი ერთგვარი შემასმენლის დაბოლოებით იქმნება და ამით აჭარბებს ბერძნულის კეთილხმოვანებას, სადაც მხოლოდ ორ შემასმენელს აქვს ერთნაირი - მედიოპასიური დაბოლოება.

შემდეგ მაგალითში ბერძნული ჰომოიოტელევეტონი იმავე სიტყვების ჰომოიოარქტონითაა შენაცვლებული:

ამბ. 2:16 πλησμονῆ ἀτιμίας ἐκ δόξης πίε καὶ σὺ /καὶ διασαλεύσθητι καὶ σεισθητι

სიმამღრე გინებისა განდიდებისა ჰსუა შენცა /და შეირყიე და შეიძარ O; შდრ.
სავსებაჲ უპატივობისაჲ დიდებისაგან სუ და შენ შეირყიე S

ისევ ჰომოიოარქტონით - ზმნისწინებით არის მიღწეული კეთილხმოვანება შემდეგ შემთხვევაშიც, ოღონდ აქ ალიტერაცია ბერძნულისაგან განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებზე მოდის:

ამბ. 2:19 οὐαὶ ὁ λέγων τῷ ἔσλα ἐκνηψον ἐξεγέρθητι /καὶ τῷ λίθω ἰψώθητι:

ვამ, რომელმან ჰრქუას ძელსა: განიფრთხვე, განიპყრე! /და ქვასა: «აღმალლდი!» O;
შდრ. ვამ, რომელმან ჰრქუას ძელსა: განიფრთხუწ, აღდგე, /ქუასა: ამაღლდი! S

ეს და მსგავსი მაგალითები გვარწმუნებენ, რომ მთარგმნელს დედნის რიტორიკული ელემენტის დაკარგვა არ უნდა თარგმანში და სხვადასხვა გზას ეძებს ამ ეფექტის შესაქმნელად.

ქართული თარგმანებში გამოვლენილმა ევფონიის ზემოთ ჩამოთვლილმა მაგალითებმა შეიძლება ვერ დაგვარწმუნონ იმაში, რომ კეთილხმოვანების ეფექტის მიღწევა მთარგმნელის მიზანს წარმოადგენს. ამ დასკვნა იმგვარი მაგალითები ამყარებენ, სადაც მთარგმნელი: 1. თარგმნის ალტერნატიული შესაძლებლობების

შემთხვევაში ირჩევს ეკვივალენტს, რომელიც ევფონიურობას უზრუნველყოფს; 2. ევფონიურობის მისაღწევად ცვლის მისთვის ჩვეულ ლექსიკურ თუ გრამატიკულ ეკვივალენტებს; 3. თავად ქმნის ევფონიას, როდესაც დედანში ასეთი არაა. ქვემოთ სწორედ ამგვარ მაგალითებს განვიხილავ.

ამბ. 1:8 και ἐξῆλθονταὶ ὑπὲρ παρδάλεις οἱ ἵπποι αὐτοῦ /καὶ ὄξυτεροι ὑπὲρ τοὺς λύκους τῆς Ἀραβίας /καὶ ἐξἰππάσσονται οἱ ἵπποι αὐτοῦ:

და ხლდებოდინ, ვითარცა ვეფხნი, ცხენნი მისნი/ და უმაღლეს უფროს მკეცთა არაბისათა. /და აღემკედრნენ მკედარნი მისნი JO

და ვლდებოდინ უფროს ვეფხისა ცხენნი მისნი /და უმაღლეს უფროს მგელთა არაბისათა. /და ცხენოდინ მკედარნი მისნი S

ბერძნულში კონსონანსი ჳ-ს გამეორებით იქმნება, ქართულში კი ხანისა და კარის გამეორებით. კონსონანსი რომ გაცნობიერებულად არის შექმნილი, გელათურ თარგმანში დადასტურებული ლექსიკური ალტერნატივებიც მიუთითებს და ისიც, რომ კეთილხმოვანებისათვის მთარგმნელი λῆκους (მგელი)-ის ზუსტ და სხვაგან გამოყენებულ ეკვივალენტს (იხ. სოფ. 3:3 λῆκoi τῆς Ἀραβίας მგელნი არაბიადსანი) ზოგადი მნიშვნელობის მქონე მკეცი-თ ცვლის.

იმის დასადასტურებლად, რომ ქართველი მთარგმნელი დედნის რიტორიკული სტილის გადმოტანას ისახავს მიზნად, განსაკუთრებით საინტერესოა მაგალითი, სადაც ძველ მთარგმნელს არათუ გადმოაქვს ეს სტილი, არამედ მის იმიტაციასაც ახდენს იქ, სადაც ბერძნულ დედანში ტექსტი ევფონიური არ არის, მაგ.:

ნაუმ. 2:2 ἀνέβη ἔμφυσῶν εἰς πρόσωπόν σου ἐξαιρούμενος ἐκ θλίψεως

აღმოვდა აღმობერვაჲ პირსა შენსა (პირისაგან შენისა p) განრინებად ჭირისაგან JO p; შდრ. აღვიდა მბერავი პირისა-შენისაჲ განმარინებელი ჭირისაგან GS.

შეჯამება

ევფონიის, როგორც სათარგმნი ფენომენისადმი ქართველ მთარგმნელებს ინდივიდუალური დამოკიდებულება აქვთ: ძველი თარგმანისა და გელათის თარგმანების შედარებისას ცხადია, რომ ტექსტის ბგერწერულ სტილს ძველი მთარგმნელი უფრო აქცევს ყურადღებას, მაშინ როდესაც გელათელი მთარგმნელები უფრო ლექსიკური და გრამატიკული ეკვივალენტების სიზუსტეს ესწრაფვიან.

2. სიტყვის გამოორება ერთ ტექსტურ მონაკვეთში (წინადადებაში, ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში)

ტექსტის კეთილხმოვანების მიღწევა, ბგერების გამოორების გარდა, ერთ კონტექსტში (ერთ წინადადებაში, ერთმანეთის მიყოლებით მდგარ თუ ერთმანეთს დაშორებულ წინადადებებში) ერთიდაიმავე სიტყვისა თუ ჰარონიმების გამოორებითაც ხდება.¹⁵²

გემინაცია¹⁵³

ერთსადაიმავე ან განსხვავებულ გრამატიკულ ფორმაში მდგარი სიტყვის ან შესიტყვების გაორმაგება - ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმეჯერ გამოყენება,

¹⁵² *Die Paronomasie (von παρ ονομάζω «ein Wort umbilden») ist eine Erweiterung der Alliteration in dem Sinne, daß hier ganze Wörter (und nicht nur einzelne Silben wie bei der Alliteration) aus zum großen Teil gleichen oder ähnlichen Lauten gebildet werden. Andere Bezeichnungen sind: παρ ἰχθυσίς (Nachahmung eines Klanges), affictio (Hinzufügen), annominatio (Angleichen im Namen), denominatio (Benennung), levis immutatio (leichte Veränderung),supparile (Gleichheit), Gleichklang. (Bühlmann. Sprachliche Stilfiguren der Bibel, 19).*

¹⁵³ ერთიდაიმავე სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამოორება სხვა ტერმინებითაც გამოიხატება: გემინაცია :Doppelung, reduplicatio, iteratio, repetitio,ἀναδίπλασις («Verdoppelung»), ἐπανάληψις(«Wiederaufnahme»), ἐπίρρισις (დაკავშირება), παλίστοιχα (გამეორება)(Bühlmann. Sprachliche Stilfiguren der Bibel, 26).

ემოციის გასაძლიერებლად არის მოხმობილი. ებრაულისთვის ამგვარი გაორმაგება დამახასიათებელია. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ბერძნულ თარგმანში გამეორებული ლექსიკური ელემენტი, როგორც წესი, გამოტოვებულია.¹⁵⁴ თუმცა იშვიათი გამონაკლისები მაინც არსებობს, მაგ., შორისდებულების გამეორება:

იოელ. 1:15 οἴμμοι οἴμμοι οἴμμοι (om. οἴμμοι ³V-534 46-49 106 Ach Sa Aeth Cyr. Tht.^p Or.^{lat} VI 77 Lo. = MT) εἰς ἡμέραν ὅτι ἐγγὺς ἡμέρα κυρίου

ვამ მე, ვამ მე, ვამ მე (>lp), რამეთუ ახლოს არს დღე უფლისაჲ JO;

ვამ მე, ვამ მე, ვამ მე, დღისათჳს, რამეთუ ახლოს არს დღე უფლისა GS

მიქ. 7:4 οὐαὶ οὐαὶ αἰ ἐκδικήσεις σου ἦκασιν

Geo: **ვამ ვამ (>O; ვაე, ვაე S)**! შურის-გებანი შენნი მოიწვეიან.

ამოსი 5:16 ἐν πάσαις ὁδοῖς ῥηθήσεται οὐαὶ οὐαὶ

Geo: ყოველთა გზათა ითქუმოდის: **ვამ, ვამ.**

ზაქ. 2:6 (10) ἄ ἄ φεύγετε ἀπὸ γῆς βορρᾶ

Geo: **ჴ, ოჲ (ჴ J GS)**, ივლტოდეთ ქუეყანისაგან ჩრლდილოდსა

ზაქ. 12:12 καὶ κόψεται ἡ γῆ κατὰ φυλὰς φυλὰς

JO და იტყებდეს ქუეყანაჲ ტომად-ტომად

¹⁵⁴ Joosten, A Septuagintal Translation Technique in the Minor Prophets, The Elimination of Verbal Repetitions, in Collected Studies on the Septuagint, From Language to Interpretation and Beyond, 2012 by Mohr Siebeck Tübingen, 16

S: და იტყებდეს ქუჭყანაჲ ტომად-ტომად

ძველ თარგმანში დედანში გამოვლენილი სიტყვა ყოველთვის არ აისახება:

სოფ. 3:5 *πρως πρως δάσει κρίμα αὐτοῦ εἰς φῶς*

J: განთიად მოსცეს სამართალი მისი ნათლად

GS განთიად, განთიად მოსცეს მშჯავრი თვისი ნათლად

სიტყვების თამაში

სიტყვების თამაში განსაკუთრებით პოპულარულია ებრაულ ბიბლიაში. ებრაული ენის სტრუქტურა - ის, რომ ენაში ძირი სამთანხმოვნია, უფრო ამარტივებს სხვადასხვაგვარად გახმოვანებული, მაგრამ ერთგვარი დაწერილობის სიტყვების გამოვლენას და მათ შორის პარალელების გავლენას.¹⁵⁵

სიტყვების თამაშად შეიძლება ჩავთვალოთ მაგ., ერთი ძირის სახელების ერთმანეთის მომდევნოდ ხმარება:

ზაქ. 11:2 *μεγάλως μεγιστᾶνες* ¹⁵⁶(*μεγάλως μεγιστᾶνες*] tr. L' Geo^STh.Tht.) *ἐταλαιπώρησας*

J M4 O: დიდ-ძალად დიდ-დიდნი უბადრუკ იქმნეს

S: დიდად საარებულ იქმნეს დიდებულნი

ძველი ქართული თარგმანი ძირის გაორმაგებით კიდევ უფრო აძლიერებს ეფექტს. საბას ბიბლია ბერძნული ხელნაწერების ანტიოქიურ ტრადიციას მისდევს და

¹⁵⁵ very structure of the language, which with its system of triliteral roots makes the etymological nucleus of both verbs and nouns, however conjugated and declined, constantly transparent, and probably also by the idiomatic patterns of Hebrew, which tolerate a much higher degree of repetition than is common in Western languages (Alter, *The Art of Biblical Narrative*, 2. Ed. 2010)

¹⁵⁶ იგივე ეკვივალენტი იხ. ნაუმ. 2:6 (5) მოკსენეს დიდ-დიდა JO.

განსხვავებულად წარმოადგენს სიტყვების თამაშს: ერთი ძირის ორი სახელი აქ ზმნითაა გათშული.

სიტყვების თამაშის ერთ-ერთი ტიპი – **პარექეზისი** (παρήχηση) ანუ **პარონიმია/პარონომასია** - მსგავსი ბგერითი შედგენილობის, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების გამეორება - განსაკუთრებით რთული გადმოსატანია თარგმანში. ორივე ქართველი მთარგმნელი სემანტიკური ეკვივალენტურობით კმაყოფილდება:

იონა 1:15 και ἔλαβον τὸν Ἰωανν και ἐξέβαλον αὐτὸν εἰς τῆν θάλασσαν

JO: და აღიღეს იონა და შთააგდეს ზღუასა

GS: მოიყუანეს იონა და შთააგდეს იგი ზღუად.

ერთი ძირის შემცველი ზმნური შესიტყვებები (ეტიმოლოგიური ფიგურები)

ერთი და იმავე ან სინონიმური ძირის მქონე ზმნური და სახელური ფორმის ურთიერთკავშირი, იმის მიუხედავად, ზმნა სახელის წინ დგას თუ შემდეგ, რა ფუნქცია ენიჭება სახელს და რა გრამატიკული ფორმითაა შეწყობილი ზმნას, ქმნის ფიგურას, რომელიც ინტენსივობას სძენს ზმნით გამოხატული მოქმედებას. ქართველ მთარგმნელებს ეს ზმნური შესიტყვებები უმეტესად ერთი ძირით გადმოაქვთ (გამონაკლისი ძველი თარგმანი: იოელ 3:1), თუმცა სხვადასხვაგვარად ესმით.¹⁵⁷ ქვემოთ სულ რამდენიმე მაგალითს ჩამოვთვლი ნაუმისა და იოველის წიგნებიდან:

ნაუმ. 1:3 ἄμψυ οὐκ ἄμψυσει

OJ L: უბრალოებით არა უბრალო-ყვის;

¹⁵⁷ ერთვარფუმიანი ზმნური შესიტყვებების ქართული შესატყვისების შესახებ იხ. ხარანაული.....

GS: უბრალოდ არ უბრალო-ყოს

ნაუმ 1:15 (2:1) *ἐόρταζε Ιουδα τὰς ἐορτάς σου*

JOpGS: დღესასწაულობდ იუდა დღესასწაულთა შენთა

ნაუმ. 2:3 *ἐκτινάσσοντες ἐξείλιξαν*

OJ: განყრით განყარნეს;

GS: განმბერტყელთა განბერტყენეს.

იოელის ქვემოთ მოტანილი მაგალითები იმითაა საინტერესო, რომ მის ბერძნულ ტექსტში ერთ კონტექსტში ორჯერ გვხვდება ერთმირიანი ზმნური შესიტყვებები.

იოელ. 3:1 (2:28) *οἱ πρεσβύτεροι ἔμῳ ἐσπῦια ἐσπῦιασμήσονται καὶ οἱ νεανίσκοι ἔμῳ ὄρᾶσεις ᾗψονται*

JO: მოხუცებულნი თქუენნი **საჩუენებლით იხილვიდენ** და ჭაბუკნი თქუენნი **ხილვით ჰხედვიდენ**.

GS: მოხუცებულნი თქუენნი **ძილისშორისსა იძილისშორისვიდენ**, და ჭაბუკნი თქუენნი **ხილვასა იხილვიდენ**.

ძველ ქართულ თარგმანში მხოლოდ ერთი ასეთი ფიგურა გადმოდის, რაკი, როგორც ჩანს, არ მოხერხდა *ἐσπῦια*-ს¹⁵⁸ შესაბამისი ერთი ძირითადი გადმოღებულიყო სახელიცა და ზმნაც. გელათური თარგმანი კი ეტიმოლოგიურ თარგმანს მიმართავს.

¹⁵⁸ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში მხოლოდ ორჯერ გვხვდება ამ ძირის სიტყვა: მიქ. 3:7 ჩუენებასა JO; სიზმართანი GS; ზაქ. 10:2 *οἱ μάντις ὄρᾶσεις ψευθεῖς καὶ τὰ ἐσπῦια ψευδῆ* მისანნი ხილვასა ტყუვილისასა და **საჩუენებელსა** ნაცილსა JO; მისანთა ხილვანი მტყუარნი თქუნეს და **მესიზმრენი** ნუგეშინის-სცემდეს ცუდთა S.

იოელ 4(3):4 *μη ἀνταπόδομα ὑμεῖς ἀνταποδίδοτε μοι ἢ μνησικαχεῖτε ὑμεῖς ἐπ’ ἐμοὶ ὀξέως καὶ ταχέως ἀνταποδώσω τὸ ἀνταπόδομα ὑμῶν εἰς κεφαλὰς ὑμῶν*

JO: ნუ მოსაგებელსა რას მომაგებთ მე? ანუ ძვრსა იკსენებთ თქუენ ჩემ ზედა? მწრაფლ და ადრე მივაგო მისაგებელი თქუენი თავთა თქუენთა.

S: ნუ მოსაგებელსა მომაგებთ თქუენ მე, ანუ ძვრს-ჰმოკსენებთ თქუენ ჩემდა? მახვლად და მწრაფლ მოვაგო მოსაგებელი თქუენი თავთა მომართ თქუენთა.

იოელ 4(3):7 *ἰδοὺ ἐγὼ ἐξεγείρω αὐτοὺς ἐκ τοῦ τόπου οὗ ἀπέδισθε αὐτοὺς ἐκεῖ καὶ ἀνταποδώσω τὸ ἀνταπόδομα ὑμῶν εἰς κεφαλὰς ὑμῶν*

JO: აჰა-ესერა მე აღვადგინნე იგინი მიერ ადგილით, ვიდრე იგინი მიჰყიდენით მუნ და მივაგო თქუენ მისაგებელი თქუენი თავთა თქუენთა.

GS: რამეთუ აჰა მე აღვადგინნე იგინი ადგილსა შინა, სადა განსცენით იგინი მუნ. და მოვაგო მოსაგებელი თქუენი თავთა მომართ თქუენთა.¹⁵⁹

ქართული თარგმანები მიყვებიან თავიანთ დედნებს არამარტო ძირის განმეორებაში, არამედ ზმნური შესიტყვების წევრების მიმდევრობაშიც.

იოელ 4(3):14 *ἦχοι ἐξήχησαν ἐν τῇ κοιλίᾳ τῆς δίκης:*

JO: **ოხრით** **ოხრიდეს** ღელესა მას საშჯელისასა.

GS: **ოხრანი** **ოხრნეს** ღელესა შინა საშჯელისასა.

ვნახეთ, რომ ძირის გამეორებით შექმნილი ზმნური შესიტყვება ყოველთვის არაა გადმოტანილი ქართულ თარგმანებში. თუკი იოელ 3:1 (2:28)-ში ეს ენობრივი

¹⁵⁹ ზმნური შესიტყვება იოველის ორ მუხლში (4(3):4 და 7) საკვანძო სიტყვებს წარმოადგენს და ერთ კონტექსტად კრავენ ერთმანეთს დაშორებულ მუხლებს.

ლიმიტით შგვეძლო აგვეხსნა, რთული სათქმელია, შემდეგ კონტექსტში რატომ ამბობენ უარს მთარგმნელები ძირის გამეორებაზე (აოტნეს მეოტნი, განარინეს განრინებული) ერთი ზმნური შესიტყვების გამეორებისას, როცა მომდევნო წინადადებაში ძირგაორმაგებული ზმნურ შესიტყვება ბერძნულის მიყოლით გადმოაქვთ.

ამოს. 9:1 *ὁ μὴ διαφύγη ἐξ ἀπέν φεύγων καὶ ὁ μὴ διασωθῆ ἐξ ἀπέν ἀνασῶζόμενος*

JO: არა მოაკლდეს მათგანი მეოტი და არცა განერეს მათგანი განრინებულნი;

S: არა განერეს მათგანი მლტოლვარე და არა ცხონდეს მათგანი ცხოვნებული.

როდესაც ბერძნული ზმნური შესიტყვების მიმდევობური ნაწილი ძველ ქართულ თარგმანში დამოკიდებული წინადადებით გადმოდის, მიიღება **ეპანასტროფე** - როცა წინადადების ბოლო სიტყვა იწყებს მომდევნო წინადადებას.¹⁶⁰

ანგ. 1:6 *ὁ τοὺς μισθοὺς συσάγων συήγαγεν εἰς δεσμὸν τετραπημένον*

JO: და რომელი სასყიდელსა შეიკრებდა, შეიკრიბა ტვრთსა შინა განჯურეტილსა.

S: და შემკრებელმან სასყიდელთამან შეიკრიბა ნაკრაულად განჯურეტილად.

ოს. 4:16 *ὡς δάμαλις παροιστρῶσα παροίστησεν Ἰσραῆλ*

O: ვითარცა სამწყული მტრიობარი, შესტრიობდა ისრაჴლი;

S: ვითარცა დიაკეული მტრიობალი, მტრიობალ-იქმნა ისრაჴლი.

ან - ეპანალექსე:

¹⁶⁰ *reduplicatio, anadiplosis, epanadiplosis, epanastrophe (Rückkehr). Es ist die Wiederholung des letzten Wortes oder Wortgruppe eines Satzes oder Verses am Anfang des nächsten Satzes oder Verses (Bühlmann. Sprachliche Stilfiguren der Bibel, 26).*

აბდ. 1:17 κατακληρονομήσουσιν ὁ οἶκος Ιακωβ τοὺς κατακληρονομήσαντας αὐτοῦς

JO: დაიმკვდრნეს სახლმან იაკობისმან, რომელ დაემკვდრნეს (რომელთა დაიმკვდრნეს J) იგინი;

GS: დაიმკვდრნეს სახლმან იაკობისმან დამმკვდრებელნი მათნი.

ეპანასტროფე

ბერძნულისაგან დამოუკიდებლად იქმნება ეპანასტროფე კიდევ ერთხელ ძველ ქართულ თარგმანში: **სსოიჯჲ**-სთვის¹⁶¹ მთარგმნელი იმავე ძირს იყენებს, რასაც სინინიმური მნიშვნელობის, ზმნურ შსიტყვებაში გამოყენებული გამეორებული ძირისთვის.

Mic. 4:14 νῦν ἐμφραχθήσεται θσγάτηρ Ἐφραῖμ (om Ἐφραῖμ W-palBo Cyr. Thph.] > B-V L' (22*86^c)-³⁶C '(91*)-⁵³⁸-239) ἐν φραγμαῶ. **სსოიჯჲ** ἔταξεν ἐφ' ἡμᾶς (ἡμᾶς V Q^c C 407 Arab Tht.Hi. = MT ↓] *სმას* Geo rel შენ O) JO: აწ შეეყენოს ასული შეყენებით. შეყენებაჲ განაწესა თქუენ (შენ O) ზედა.

GS: აწ შეიზღუდოს ასული ეფრემისი ზღუდისა მიერ. შეწყუდე'ვაჲ განაწესა თქუენ ზედა

K1: და აწ შეცვულ იქმნეს ასული ღობესა შინა. სიჭშოდ დააწესა თქუენ ზედა.

ეპანასტროფეს ნიმუში უნდა იყოს შემდეგი მაგალითიც:

ნაუმ. 2:9 Νινευη ἄς κολυμβήθρα **შდაτος** τὰ **შδατα** αὐτῆς

JOS: ნინევი - ვითარცა საბანელი წყლისაჲ, წყალნი მისნი.

¹⁶¹ Fri: **სსოიჯჲ**, **წს**, **ჲ** from a basic meaning *holding together, compression*; literally *prison*.

Job 30:3 οἱ φεύγοντες ἀσπῆρον ἐχθῆς **სსოიჯჲ** καὶ *ταλαιπωρίαν* რომელნი ივლტოდეს გუმინ ურწყულსა იწროებისაგან და უბადრუკებისა, ODS Jer. 52:5 καὶ ἦλθεν ἡ πόλις εἰς **სსოიჯჲ** და მიიწია ქალაქი იგი იწროებად OJ GW

ანაფორა

ანაფორა (ἀναφορά) - სიტყვის ან შესიტყვებების გამოვლენა ერთმანეთის მომდევნო წინადადებების ან პერიოდების დასაწყისში¹⁶² - განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში:

ნაუმ 3:2 **φασή** μαστίγῃσιν καὶ **φασή** σεισμῶν τροχῶν

JO: **ჰმაი** τὰν ἄστῃσιν καὶ **ჰმაი** τῶν ἄστρον τῆσιν ὁλοκλήρως

S: **ჰმაი** τῶν ἄστῃσιν καὶ **ჰმაი** τῶν ἄστρον τῆσιν ὁλοκλήρως

ოს. 2:4 **κρίθητε** πρὸς τὴν μητέρα ὑμῶν, **κρίθητε**

O G: **ესაჯენით** დედასა თქუენსა, **ესაჯენით!**

ამოს 7:12 **ἐκεῖ** καταβίῃσιν καὶ **ἐκεῖ** προφητεῦσαις **მუნ** ἀποκτενεῖσθε καὶ **მუნ** წინასწარმეტყუელეზ JO; მუნ წინადასწარმეტყუელეზდე! S

იოელ. 2:21-22 **θάρσει** ἡ γῆ καὶ **εὐφραίνου** ὅτι ἐμεγάλυνεν κύριος τὸν ποιῆσαι, 22 **θαρσεῖτε** κτήνη τῶν πεδίων ὅτι βεβλάστηκεν πεδία τῆσιν ἐρήμου

O: **ნუ** გეშინინ, ქუეყანაო, გიხაროდენ და მხიარულ-იყავ, რამეთუ განადიდა უფალმან ყოფაჲ. 22 **ნუ** გეშინინ საცხოვართა ველისათა, რამეთუ მწყუნაჲ გამოიღეს ველთა უდაბნოსათ

¹⁶² Bühlmann. Sprachliche Stilfiguren der Bibel, 29-30.

GS: შენდობილ იყავ, ქუეყანაო, იხარებდ და იშუებდ, რამეთუ განადიდა უფალმან ყოფად. 22 შენდობილ იყვენით საცხოვარნი ველისანი, რამეთუ იმორჩეს ველთა უდაბნოდათა

ანაფორული გამეორება შეიძლება მრავალჯერ შეგვხვდეს ერთსამაიმავე კონტექსტში:

სოფ. 1:2 Ἐκλείψει ἐκλιπέτω ἀπὸ προσώπου τῆς γῆς, λέγει κύριος, ἐκλιπέτω ἄνθρωπος καὶ κτήνη, ἐκλιπέτω τὰ πετεινὰ τοῦ οὐρανοῦ καὶ οἱ ἰχθύες τῆς θαλάσσης,

OJ M⁵: მოკლებით მოაკლდინ პირისაგან ქუეყანისა - იტყვს უფალი. 3 მოაკლდინ კაცი და პირუტყვ, მოაკლდედ მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვსანი

GS: მოკლებით მოაკლდინ პირისაგან ქუეყანისა - იტყვს უფალი. მოაკლდინ კაცი და საცხოვარი, მოაკლდინ(!) მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვსანი.

ანგ. 2:4 καὶ νῦν κατίσχυε Ζοροβαβελ, λέγει κύριος. /καὶ κατίσχυε Ἰησοῦ ὁ τοῦ Ἰωσηθεκ ὁ ἱερεὺς ὁ μέγας /καὶ κατισχέτω πᾶς ὁ λαὸς τῆς γῆς:

JO: და აწ განძლიერდი ზორაბაბელ! - იტყვს უფალი - /და განძლიერდი ისო იოსედეკისო, მღდელი ეგე დიდი! /და განძლიერდინ ყოველი ეგე ერი ქუეყანისაჲ!

S: და აწ განძლიერდი ზორაბაბელ! - იტყვს უფალი - /და განძლიერდი იოსედეკ მღდელი დიდი! /და განძლიერდინ ყოველი ერი ქუეყანისა!

მეტაბოლე μεταβολή,¹⁶³

ერთ კონტექსტში თუ პარალელურ კონტექსტებში სიტყვისა ან ფრაზის ხშირი გამეორების შემთხვევაში, მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად და იმისათვის, რომ დინამიზმი შესძინოს ტექსტს, სეპტუაგინტა ლექსიკურ და გრამატიკულ ვარიაციებს მიმართავს ხოლმე: მაგ, შორისდებულების ანაფორული გამეორებისას სინონიმებს უნაცვლებს ერთმანეთს. ამ ცვლილებას მისდევენ ქართული თარგმანებიც:

ამბ. 2:6 **ὁ** πληθύνων ἔαυτῷ

JO: **ვად**, რომელი განიმრავლებდეს თავისა თვისისა;

S: **ვად**, რომელი განუმრავლებდეს თავსა თვისსა

ამბ. 2:9 **ὁ** πλεονεκτῶν πλεονεξίαν κακῶν

Geo: **ჰ** რომელი ანგაჰრებდეს ანგაჰრობასა ბოროტსა

ამბ. 2:12 **ὁ** οἰκοδομῶν πόλιν

JO: **ვად**, რომელი აშენებდეს ქალაქსა;

S: **ვად** მაშენებელსა ქალაქისასა სისხლისა მიერ

ამბ. 2:15 **ὁ** ποτιζῶν τὸν πλησίον αὐτοῦ

Geo: **ჰ** რომელი ასუმიდეს მოყუასსა თვისსა

ამბ. 2:19 **ὁ** λέγων τῷ ξύλῳ

Geo: **ვად**, რომელმან ჰრქუას ძელსა

¹⁶³ “elegant variation” (variatio) between connective parts of speech (James A. E. Mulroney, The Translation Style of Old Greek Habakkuk, 84).

სეპტუაგინტა **και μη** და **μηδὲ** -ს ერთმანეთს უნაცვლებს ანაფორულ გამეორებებისას. ქართული თარგმანები მიჰყვებიან დედანს და სინინიმური **და ნუ / ნუცა** -ს მონაცვლეობით გამოყენებით.

აბდ. 1:12 **και μη** ἐπίδης ἡμέραν ἀδελφοῦ σου **ἐν ἡμέρα** ἀλλοτρίων **και μη** ἐπιχαρῆς ἐπὶ τοὺς υἱοὺς Ἰουδα **ἐν ἡμέρα** ἀπωλείας αὐτῶν **και μη** μεγαλορρημονήσης **ἐν ἡμέρα** θλίψεως 13 **μηδὲ** εἰσέλθης εἰς πύλας λαῶν **ἐν ἡμέρα** πόνων αὐτῶν **μηδὲ** ἐπίδης και σὺ τὴν συναγωγὴν αὐτῶν **ἐν ἡμέρα** ὀλέθρου αὐτῶν **μηδὲ** συνεπιθῆ ἐπὶ τὴν δύναμιν αὐτῶν **ἐν ἡμέρα** ἀπωλείας αὐτῶν 14 **μηδὲ** ἐπιστῆς ἐπὶ τὰς διεκβόλας αὐτῶν τοῦ ἐξολεθρεῦσαι τοὺς ἀνασφζομένους αὐτῶν **μηδὲ** συγκλείσης τοὺς φεύγοντας ἐξ αὐτῶν **ἐν ἡμέρα** θλίψεως

JO: **და ნუ** დაივიწყებ **დღესა** ძმისა შენისასა **დღესა** მას უცხოეთელთასა, **და ნუ** მოგცხრებიან ძეთა ზედა იუდაასთა **დღესა** წარწყმედისა მათისასა, **და ნუ** დიდ-დიდსა (დიდსა O) იტყვ **დღესა** მას (>J) ჭირისასა. 13 **და ნუცა** შეხუალ ბჭეთა ერისათა **დღესა** სალმობისა მათისასა, **და ნუ** მიჰხედავ შენ **დღესა** კრებისა მათისასა მოწყუედასა მათსა, **ნუცა** დაშჯერდები ძალსა მათსა **დღესა** წარწყმედისა მათისასა. 14 **ნუცა** მიადგები განსავალსა მათსა მოსრვად განრინებულთა მათთა, **ნუცა** შეაყენებ მეოტთა მათთა **დღესა** ჭირისასა;

GS: **და ნუ** მიხედავ დღესა უცხოთა **დღესა** შინა ძისა შენისასა **და ნუ** მოსცხრები ძეთა ზედა იუდაასთა **დღესა** შინა წარწყმედისა მათისასა **და ნუ** დიდსიტყუაობ **დღესა** შინა ჭირისასა. 13 **ნუცა** შეხუალ ბჭეთა ერისათა **დღესა** შინა ტკივილთა მათთასა **და ნუ** ზედ-დაჰხედავ შენცა შესაკრებელსა მათსა **დღესა** შინა მოსრულებისა მათისასა **და ნუცა** თან-დაშჯდები ძალსა ზედა მათსა **დღესა** შინა წარწყმედისა მათისასა. 14 **ნუცა** დასდგები განსავალთა ზედა მათთა *მოწყუჭდად განრინებულთა მათგანთა, **ნუ** წყუდეულ-ჰყოფ მლტოლვარეთა მათგან **დღესა** შინა ჭირისასა

ქართული თარგმანები ყოველთვის არ მისდევს დედნის ვარიაციულობას (საბა ოს. 3:4-ში), ანდა მისდევს პრინციპულად - თავადაც ცვლის ეკვივალენტებს, მაგრამ არ მისდევს ფორმალურად (ძველი თარგმანი ოს. 3:4-ში):

ოს. 3:4 *διότι ἡμέρας πολλὰς καθήσονται οἱ υἱοὶ Ἰσραὴλ οὐκ ὄντος βασιλέως, οὐδὲ ὄντος ἄρχοντος, οὐδὲ οὐσίας, οὐδὲ ὄντος θυσιαστηρίου, οὐδὲ ἱερατείας οὐδὲ δῆλων*

O: ამისთვის დღეთა მრავალთა სხდენ ძენი ისრაჲლისანი და არა იყოს მეფე, არც მთავარი, არც იყოს შესაწირავი, არც საკურთხეველი, არც მღდელობაჲ, არც გამოცხადებაჲ;

S: რამეთუ დღესა მრავალსა ისხდენ ძენი ისრაჲლისანი **თჳნიერ** მეფეთასა და **თჳნიერ** მთავართათა(sic) და **თჳნიერ** მსხუერპლთასა და **თჳნიერ** საკურთხეველისა და **თჳნიერ** მღდელთასა და **თჳნიერ** ხილვათასა

ეპანალებსე

რიტორიკულ ეფექტი მაშინაც იქმნება, როცა სიტყვა ან შესიტყვება მეორდება, მაგრამ არა ერთმანეთის უშუალო მიმდევრობით. კონტექსტში ერთიდანამავე სიტყვის რამდენიმეგზის, თავისუფალ გამეორებას ეპანალებსეს უწოდებენ.¹⁶⁴

ამოს. 8:11 *ἐξαποστελῶ λιμὸν ἐπὶ τὴν γῆν, ὃς λιμὸν ἄρτου, οὐδὲ δὲψαν ὑδατος, ἀλλὰ λιμὸν τοῦ ἀκοῦσαι λόγον κυρίου*

JO GS: გამოვავლინო **სიყმილი** ქუეყანასა ზედა, არა **სიყმილი** პურისაჲ, და (>GS) არცა წყურილი წყლისაჲ, არამედ (+ანუ GS) **სიყმილი** სმენად სიტყუაჲ უფლისაჲ

ამოს. 9:8 *ἐξαρῶ αὐτὴν (βασιλείαν τῶν ἁμαρτανῶν) ἀπὸ προσώπου τῆς γῆς, πληγὴν ὅτι οὐκ εἰς τέλος ἐξαρῶ τὸν οἶκον Ἰακωβ*

¹⁶⁴ *mehrfache und freie Wiederholung desselben Wortes auch Epanalepse genannt* Bühlmann. Sprachliche Stilfiguren der Bibel, 28).

JO: ადვილო იგი პირისაგან ქუეყანისა. ხოლო არა სრულიად ადვილო სახლი იაკობისი

GS: ადვილო იგი პირისაგან ქუეყანისა, გარნა რამეთუ არა სრულიად ადვილო სახლი იაკობისი

აბდ. 16 διότι ὁν τρόπον **ἐπιες** ἐπὶ τὸ ἄγιόν μου **πίονται πάντα τὰ ἔθνη οἶνον πίονται καὶ καταβήσονται καὶ ἔσονται καθὼς οὐχ ὑπάρχοντες**

JO რამეთუ ვითარცა-იგი **ჰსუემდ** მთასა წმიდასა ჩემსა, ეგრე **სუმიდენ** ყოველნი ნათესავნი, ღვნოსა **სუმიდენ** და დაეცნენ იგინი და იქმნენ, ვითარცა არაყოფილი.

GS: მით რამეთუ ვითარ-სახედ **ჰსუემდ** მთასა ზედა წმიდასა ჩემსა, **სუმიდენ** ყოველნი ნათესავნი ღვნოსა. **სუმიდენ** და შთაჰსთქმიდენ. და იყვნენ, ვითარცა არაყოფილნი.

ქართულ თარგმანში ყოველთვის არ მეორდება

ამბ. 3:7 ἀντὶ κόπων εἴδον **σαησάματα** Αἰθίοπων πτοηθήσονται καὶ αἱ **σαηαι** γῆς Μαδίαμ

JM5: შრომის წილ ვიხილენ საყოფელნი ეთიოპელთანი, შეძრწუნდენ დაკარვები ქუეყანისა მის მადამისაჲ

O P Od: შრომით იხილვნენ შეძრწუნდენ **საყოფელნი** იგი ეთიოპელთანი და **კარვები** იგი ქუეყანისა მის მადამელთაჲსაჲ.

GS: შრომათა წილ ვიხილენ **დაკარვებანი** ეთიოპელთანი, შეძრწუნდენ **დაკარვებანი** ქუეყანისა მადამისნი.

ბერძნულში არაა, ქართულში არის:

მიქ. 5:4 και ἐν τῇ **δόξῃ** τοῦ ὀνόματος κυρίου τοῦ θεοῦ αὐτῶν ὑπάρξουσι· διότι νῦν **μεγαλυνθήσεται** ἕως ἄκρων τῆς γῆς.

და დიდებითა უფლისა ღმრთისა მათისადათა იყვნენ. რამეთუ აწ განდიდნენ ვიდრე კიდემდე ქუეყანისა JO

ეპანალებსე (სოფ. 1:14) და ანაფორა (სოფ. 1:15,16) ერთ კონტექსტშიც იყრის თავს:

სოფ. 1:14-16 Ὅτι ἐγγὺς ἡ **ἡμέρα** κυρίου ἡ μεγάλη, ἐγγὺς και ταχεῖα σφόδρα· φωνὴ **ἡμέρας** κυρίου πικρὰ και σκληρὰ, τέτακται δυνατὴ. 15 **ἡμέρα** ὀργῆς ἡ **ἡμέρα** ἐκείνη, **ἡμέρα** θλίψεως και ἀνάγκης, **ἡμέρα** ἀσπίδος και ἀφανισμοῦ, **ἡμέρα** σκοτόუს και γνόφου, **ἡμέρα** νεφέλης και ὀμίχλης

OJ M⁵: რამეთუ ახლოს არს **დღე** (დღე M⁵) უფლისადა, მახლობელ და მწრაფლ (მსწრაფლ M⁵) ფრიად. ჳმად **დღისა** მის უფლისადა - მწარე (მწარე O) და ფიცხელ (ფიცხელი O), დაწესებულ არს ძლიერი. 15 **დღე** რისხვისადა **დღე** იგი, **დღე** ჳირისა და ურვისადა, **დღე** უზადრუკებისადა და განრყუნილებისადა, **დღე** წყუდიადისა და ბნელისადა, **დღე** ღრუბლისა და ნისლისადა. 16 **დღე** ნესტვსა და ღალადებისადა.

GS: ახლოს არს **დღე** უფლისადა დიდი, ახლოს და მოსწრაფე ფრიად ჳმად **დღისა** უფლისადა და ფიცხლად დაწესებულ არს ძლიერ. 15 **დღე**¹⁶⁵ რისხვისა **დღე** იგი, **დღე** ჳირისა და სალმობისა, **დღე** საარებისა და უჩინო-ქმნისა, **დღე** აღმურისა და ბნელისა, **დღე** ღრუბლისა და ნისლისა. 16 **დღე** საყვრისა და ღალადებისა.

ეპიფორა¹⁶⁶

შემდეგ მაგალითში ბერძნულ ტექსტში ეპანალებსე (*ἀλοιφῆς ... Ἐξάλειψίς, ἡμέρας... ἡμέρα*) იხმარება ეპიფორასთან ერთად: **ἡ ἡμέρα ἐκείνη** მეორდება ერთმანეთის მომდევნო წინადადებების ბოლოს:

¹⁶⁵ A1108-ში (297r) განმეორებულ „დღე“-ზე დასმულია ზღაგვი მახვილი, რაც

¹⁶⁶ *Andere Bezeichnungen sind: Epistrophe (von em-<IT:perpm «hinwenden») und Antistrophe (von aVT:[-<IT:PORP (Bühlmann. Sprachliche Stilfiguren der Bibel, 30)*

მიქ. 7:11 *ἡμέρας ἀλοιφῆς πλίνθου./ Ἐξάλειψίς σου ἡ ἡμέρα ἐκείνη, /καὶ ἀποτρίψεται νόμιμά σου ἡ ἡμέρα ἐκείνη.*

JO: დღისი აღვლცით ალიზისაებრ. / აღვლცოს შენ მას დღესა შინა, /და განიშოროს შჯული შენი დღემან მან

S: დღეთა ცხებისა ალიზისათა. მცხებ მე მას დღესა, და განიჯადნენ შჯულვილნი შენნი მას დღესა.

ერთმანეთის მიმყოლი წინადადებების ბოლოს გამოყენებული შესიტყვება, რომელიც ბერძნულში ერთი გრამატიკული ფორმითაცაა წარმოდგენილი (*ἡ ἡμέρα ἐκείνη*), ძველ ქართულ თარგმანში სხვადასხვა გრამატიკული ფუნქციითაა გაგებულებულიც და გადმოტანილიც.

შემდეგ შემთხვევაში ბერძნულში ეპიფორა სინონიმებითაა წარმოდგენილი, ძველ ქართულ თარგმანში - ერთიდაიმავე ლექსიკური ერთეულით, საბასთან კი გამოტოვებულია:

Hos. 2:11 *κομιῶμαι τὸν σῖτόν μου καὶ ἄρα ἀπτοῦ καὶ τὸν οἶνόν μου ἐν καιρῷ ἀπτοῦ*

O: მოვილო იფქლი ჩემი **ჟამსა თვსსა** და ღვინოდ ჩემი - **ჟამსა მისსა**

S: მოულო იფქლი ჩემი **ჟამსა თვსსა** (გამოტოვებულია შემდეგი მონაკვეთი) ებრაულში

პლოკე¹⁶⁷

ესაა ის შემთხვევა, როცა ერთი და იგივე სიტყვა, იწყებს ერთ წინადადებას და ამთავრებს მის მომდევნოს.

სოფ. 2:3 *ζητήσατε τὸν κύριον, πάντες ταπεινοὶ γῆς· κρίμα ἐργάξασθε καὶ δικαιοσύνην ζητήσατε*

¹⁶⁷ Bei der Ploke (von πλέκω «flechten») fängt dasselbe Wort den Satz an und beschließt ihn. Die Ploke ist dem Chiasmus verwandt. Andere Bezeichnungen sind: Kyklos («Kreis»), redditio («Wiedergeben») und > Inclusio («Einschließen») (Bühlmann. Sprachliche Stilfiguren der Bibel, 31)

JOL: ეძებდით უფალსა ყოველნი მდაბალნი ქუეყანისანი! *სამართალსა* იქმოდეთ და *სიმართლესა* ეძიებდით!

GS: იძიეთ უფალი ყოველთა მდაბალთა ქუეყანისათა! მშჯავრსა (მსჯავრსა SB) იქმოდეთ, სამართალი მოიძიეთ!

ძველი ქართული თარგმანი პარალელიზმს იმითაც აძლიერებს, რომ ერთი ძირის სიტყვებით თარგმნის *κρίμα*-სა და *δικαιοσύνη*-ს.

ეპანასტროფე ქართულში

ქართული თარგმანები ზმნურ შესიტყვებას ხლეჩენ და ეპანასტროფეს ქმნიან.

მიქ. 5:3 διὰ τοῦτο δώσει αὐτοὺς ἕως καιροῦ **τικτούσης τέξεται**, καὶ οἱ ἐπίλοιποι τῶν ἀδελφῶν αὐτῶν ἐπιστρέψουσιν ἐπὶ τοὺς σίους Ἰσραῆλ

Glenny: *Therefore, he will give them over until the time she who is **giving birth will give birth**,*

JO: ამისთვის მოსცეს მას ჟამადმდე **შობისა**. **შვეს** და ნეშტნი იგი ძმათა მისთანი მოიქცენ ძეთა ისრაჴლისათა.

S: ამისთვის მისცეს მათ ვიდრე ჟამადმდე **შობისა**. **შუფს** და ნეშტნი ძმათა მისთანი მოიქცენ ძეთა მომართ ისრაჴლისათა.

ეპანასტროფე და პლოკე

ბერძნულში ერთ კონტექსტში თავს იყრის ეპანასტროფე და პლოკე (**ἐκδικῶν κύριος**. **ἐκδικῶν κύριος** μετὰ θυμοῦ **ἐκδικῶν κύριος** τοὺς ὑπεναντίους αὐτοῦ):

ნაუმ. 1:2 θεὸς ζῆλωτης καὶ **ἐκδικῶν κύριος**. **ἐκδικῶν κύριος** (ἐκδικῶν κύριος 2] > W ' B*-S-239 A ' -Q'-49'-198-233'-534' III Co Ge Arab ArmpCyr.p Thph.) μετὰ θυμοῦ **ἐκδικῶν κύριος** τοὺς ὑπεναντίους αὐτοῦ.

JO: ღმერთი მოშურნე და შურისმგებელი უფალი. გულისწყრომით შური იძიოს უფალმან მტერთა მისთაჲ.

GS ღმერთი მოშურნე და შურისმგებელი უფალი, გულისწყრომისა თანა შურის-მეძიებელი, უფალი წინააღმდგომთა მისთაჲ.

სეპტუაგინტაში სამჯერაა გამოვრებული **ἐκδικᾶν κήριος** პირველი ორი ეპიფორული გამოვრებაა, რომელიც მოშლილია ბერძნულ ხელნაწერთა ერთ ნაწილსა და მის მიმყოლ ქართულ თარგმანებში **ἐκδικᾶν κήριος** 2-ის გამოტოვების გამო. ძველ ქართულ თარგმანში ἐκδικᾶν κήριος სხვადასხვა ფუნქციით არის გადმოტანილი და ამიტომ დედნისეული გამოვრების ტიპიც შეცვლილია. ორივე მთარგმნელი *შურ* ძირის გამოვრებაზე სვამს აქცენტს: ზმნურ ნაწილში არ იმეორებენ ძირს (-*მგებელი* vs *იძიოს* JO; -მეძიებელი S), მაგრამ იმეორებენ ძირს ζηλωτής ეკვივალენტად (*მოშურნე*).

პლოკე და სიტყვების თამაში

ბერძნულში, გარდა იმისა, რომ ერთი, **λακμ** ძირის სიტყვები (ზმნა და სახელი) გამოიყენება რთული წინადადების თავში და ბოლოში (პლოკე), წინადადების ბოლოს გამოვრებული ძირიან ზმნურ შესიტყვებასაც ქმნიან. ეს უკანასკნელი ძველ მთარგმნელს ადეკვატურად გადმოაქვს (**განინქრიის სანქრეველითა**) - ერთი ძირის ზმნისა და სახელის მეშვეობით, წინადადების თავში მდგარი ზმნა **λακμᾶν** კი განსხვავებული, სინონიმური მნიშვნელობის ძირითაა (**განვაზნიო**) გადმოტანილი, მიუხედავად იმისა, რომ ზმნურიფორმის წარმოება ამ ძირისგან, ჩანს, რომ პრობლემას არ წარმოადგენდა:

ამოს 9:9 **λακμᾶν ἐν πᾶσι τοῖς ἔθνεσιν τὸν οἶκον τοῦ Ἰσραηλ ὅν τρόπον λακμᾶται ἐν τῷ λακμᾶ**

JO: **განვაზნიო** ყოველთა შორის თესლთა სახლი ისრაჴლისაჲ, ვითარცა-იგი **განინქრიის სანქრეველითა**

GS: **განვფიწლო** ყოველთა შორის სახლი ისრაჴლისა, ვითარ-სახედ **განიფიწლვის ფიწლვასა**

შეჯამება

მიქეას მეორე თავში განსაკუთრებული ინტენსივობითაა თავმოყრილი ერთი ძირის სიტყვების გამეორებით მიღებულისხვადასხვა სახის რიტორიკული ფიგურები და ნათქვამის შეჯამებად გამოდგება:

მიქ. 2:4

	JO	G	Tht
<p>4 θρηνηθήσεται θρήνος ἐν μέλει λέγων ταλαιπωρία ἐταλαιπώρησάμεν μερίς λαοῦ μου κατεμετρήθη ἐν σχοινίῳ καὶ οὐκ ἦν ὁ καλίσσων αὐτὸν τοῦ ἀποστρέψαι, οἱ ἀγροὶ ἡμῶν διεμερίσθησαν ...</p> <p>6 μὴ κλαίετε δάκρυσιν μηδὲ δακρυέτωσαν ἐπὶ τούτοις ...</p> <p>10 διεφθάρητε φθορᾷ, 11</p>	<p>4 გგოდებდენ თქვენ გოდებასა შესხმით, და თქუან: „უბადრუკებით უბადრუკ ვიქმნენით, ნაწილი ერისა ჩემისაა განიზომა საბლითა, და არავინ იყო მაყენებელ მისა მოქცევად, აგარაკნი ჩუენნი განიზომნეს.“...</p> <p>6 ნუ სტირთ ცრემლით, ნუცა ცრემლოიედ ამათ ზედა. ...</p>	<p>4 იგოდებოს გოდებაა კილოთა, მეტყუჭლი: „საარებაა ვისაარე'ბეთ, ნაწილი ერისა ჩემისაა განიწილა ვითარცა საბლითა და არა იყო მაყენებელი მისი მოქცევად, აგარაკნი ჩუენნი განიწილნეს.“ ...</p> <p>6 ნუ სტირთ ცრემლითა, ნუცა ცრემლოიან ამათ ზედა,...</p>	<p>4 იტყებოთ ტყებაა ავაჯითა მეტყუელთაებრ: „უბადრუკებითა უბადრუკ ვიქმნენით, ნაწილი ერისა ჩემისაა განიზომა საბლითა და არა იყო უკუნქცევად მაყენებელი მისი, ყანობირნი თქუენნი განიზომნეს“ ...</p> <p>6 ნუ სცრემლოით ცრემლითა, ნუცა ცრემლოიან ამათ ზედა თუალნი თქუენნი....</p>

<p>κατεδιώχθητε οὐδενὸς διώκοντος πνεῦμα ἔστησεν ψεῦδος. ἐστάλαξέν σοι εἰς οἶνον καὶ μέθυσμα καὶ ἔσται ἐκ τῆς σταγόνης τοῦ λαοῦ τούτου ¹² συναγόμενος συναχθήσεται Ἰακωβ σὺν πᾶσιν ἐκδεχόμενος ἐκδέξομαι τοὺς καταλοιπούς τοῦ Ἰσραηλ ... 13 διὰ τῆς διακοπῆς πρὸ προσώπου αὐτῶν διέκοψαν καὶ διήλθον πύλην καὶ ἐξήλθον δι' αὐτῆς καὶ ἐξήλθεν ὁ βασιλεὺς αὐτῶν πρὸ προσώπου αὐτῶν.</p>	<p>10 განიხრწნებით განხრწნით, 11 იღვენებოდეთ თვნიერ მღვენელისა. სული დაამტკიცა ტყუვილისაჲ. <u>გწთოდა</u> შენ ღვწოდ მთრვალობაჲ; და იყოს <u>ნაწუეთისა</u> ამის ერისა. 12 შეკრებით შეკრბეს იაკობ ყოვლითურთ. ლოდებით მოველოდი ნეშტთა მათ ისრაჴლისათა... 13 განკუეთილებისაგა ნ წინაშე პირსა მათსა განკუეთეს, და განვლეს ბჴჴ, და განვიდეს მისგან. და</p>	<p>10 განიხრწნებით ხრწნილებითა. 11 იღვენებით არცა ერთის-ვის მღვერობასა. სული დამტკიცნა ტყუილთაჲ, გწთოდა შენ ღვწოდ და მთრვალობად. და იყოს ქუჴყანისაგან წუჴთი ერისაჲ ამის. 12 შეკრებული შეკრბეს იაკობ ყოვლისა თანა. მომლოდე მოველოდი ნეშტთა ისრაჴლისათა... 13 განკუჴთილებისა თვს პირისა მათისა განკუჴთეს და განვლეს ბჴჴ. და განვიდა მისგან, და განვიდა მეფე მათი წინაშე პირსა მათსა.</p>	<p>10 განხრწნით განიხრწნეს, 11 იღვენებით არავისსა მღვენელობასა. რამეთუ დაადგინა სული მტყუარი, დააწოთ შენ ზედა, ვითარცა ღვწოდ და სიმთრვალე. ... და იყოს წუჴთისაგან ერისა ამის. 12 შეკრებულ შეკრბეს იაკობ. ყოველთაჲ თანა მიმლოდემან მოვილოდინე ნეშტნი ისრაჴლისანი, ... 13 აღვედ განკუჴთილით წინაშე პირსა მათსა. განკუჴთეს და განვლეს ბჴჴ და მიერ განვიდეს. და განვიდა მეფე მათი წინაშე პირსა მათსა.</p>
--	--	--	---

	განვიდა მეფე მათი წინაშე პირსა მათსა.		
--	---------------------------------------	--	--

წინადადებების გამოვლენები ერთმანეთის მომდევნოდ

ზაქ. 3:2 *ἐπιτιμήσαι κύριος ἐν σοὶ διάβωλε καὶ ἐπιτιμήσαι κύριος ἐν σοὶ*

JO: შეგრისხენინ შენ უფალმან, ეშმაკო! და შეგრისხენინ შენ უფალმან,

GS: შეგრისხენინ უფალმან შენ შორის, ეშმაკო! და შეგრისხენინ უფალმან შენ

ამოს. 8:14 *ζῆ ὁ θεός σου Δαν καὶ ζῆ ὁ θεός σου Βηρσαβее*

JO: ცხოველ არს ღმერთი შენი, დან! და ცხოველ არს ღმერთი შენი ბერსაბე!

GS: ცხოველ არს უფალი შენი, დან! და ცხოველ არს უფალი შენი, ბერსაბედ.

ოს. 6:4 *τί σοι ποιήσω Εφραϊμ τί σοι ποιήσω Ιουδα τὸ δὲ ἔλεος ὑμῶν ὡς νεφέλη πρωινή καὶ ὡς δρόσος ὀρθρινή πορευομένη:*

O: რაა გიყო შენ, ეფრემ, ანუ რაა გიყო შენ, იუდა?;

შდრ. G: გიყო რაა შენ, ეფრემ, რაა გიყო შენ, იუდა?

უკანასკნელ შემთხვევაში ქართულში თარგმანებში ანაფორული ნაწილის შემადგენელი წევრები გადაადგილებილია, მაგრამ მხატვრული გამოვლენა დაცულია. საბასთან ანაფორას ვარიაციული სახე აქვს.

ზაქ. 12:12 *καὶ κόψεται ἡ γῆ κατὰ φυλάς φυλάς*. (φυλάς 2°] + *φυλὴ καθ' ἑαυτὴν* L¹⁻³⁶-770 Ach Sa (sim.) Arm Geo^s Tht.^p) /*Φυλὴ οἴκου Δαυὶδ καθ' ἑαυτὴν καὶ αἱ γυναῖκες αὐτῶν καθ' ἑαυτάς.* / *Φυλὴ οἴκου Νάθαν καθ' ἑαυτὴν καὶ αἱ γυναῖκες αὐτῶν καθ' ἑαυτάς.* /13 *Φυλὴ οἴκου Λευὶ καθ' ἑαυτὴν καὶ αἱ γυναῖκες αὐτῶν καθ' ἑαυτάς.* *Φυλὴ τοῦ Συμεὼν καθ' ἑαυτὴν καὶ αἱ γυναῖκες αὐτῶν καθ' ἑαυτάς.* / 14 *Πᾶσαι αἱ φυλαὶ αἱ ὑπολελειμμέναι φυλὴ καθ' ἑαυτὴν*

JOM4: და იტყებდეს ქუეყანად **ტომად-ტომად: ტომი** (>M4) სახლისა დავითისა თსაგან / და ცოლნი მათნი - თსაგან, /**ტომი** სახლისა ნათანისი - თსაგან, / 13 და **ტომი** სახლისა ლევისი - თსაგან /და ცოლნი მათნი - თსაგან, /**ტომი** სახლისა სუმეონისი - თსაგან / და ცოლნი მათნი - თსაგან, /14 და ყოველნივე ნემტნი **ტომთანი** - თსაგან.

S: და იტყებდეს ქუეყანად **ტომად-ტომად** თსაგან: /**ტომი** სახლისა დავითისი - თსაგან, და დედანი მათნი - განთსებით, **ტომი** სახლი ნათანისი - თსაგან, და დედანი მათნი - განთსებით, / 13 **ტომი** სახლისა ლევისი - თსაგან, და დედანი მათნი - განთსებით, **ტომი** სახლისა სუმეონისი - თსაგან, და დედანი მათნი - განთსებით.

რეფრენი¹⁶⁸

რიტმის შესაქმნელად რეფრენიც გამოიყენება ხოლმე - სიტყვისა თუ ფრაზის გამეორება პარალელური ფრაზების - ერთმანეთის მომდევნო სტროფებისა თუ ტექსტური მონაკვეთების ბოლოში:

¹⁶⁸ *Unter Kehrreim oder Refrain versteht man die ein- oder mehrmalige Wiederholung einer Wendung am Ende einer Sinneinheit oder Strophe. 25*

იოელ. 4(3):14 ἤχιοι ἐξήχησαν ἐν τῇ κοιλάδι τῆς δίκης ὅτι ἐγγὺς ἡμέρα κυρίου ἐν τῇ κοιλάδι τῆς δίκης

JO: ოხრანი ოხრნეს ღელესა შინა საშჯელისასა, რამეთუ მოახლოებულ არს დღე უფლისა ღელესა შინა სასჯელისასა.

GS: ოხრით ოხრიდეს ღელესა მას საშჯელისასა, რამეთუ ახლოს არს დღე იგი უფლისაჲ ღელესა მას საშჯელისასა.

ოს. 7:9 κατέφαγον ἀλλότριον τὴν ἰσχὺν αὐτοῦ αὐτὸς δὲ οὐκ ἐπέγνα καὶ πολιαὶ ἐξήθησαν αὐτῷ καὶ αὐτὸς οὐκ ἔγνω

O: და შეჭამეს უცხოთა ძალი მისი და მკცენი გამოუკდეს მას და მან ვერ ცნა gamotovebulia;

S: შესჭამდეს უცხონი ძალსა მისსა, ხოლო მან ვერ აგრძნა. / და მკცენი აღყუავნეს მისნი და მან ვერსადა ცნა

გამოტოვებულია ოშკის ბიბლიაში αὐτὸς δὲ οὐκ ἐπέγνα. გამოტოვება ალბათ მექანიკურია - მსგავსი კიდურწერილობით გამოწვეული.

მეტაბოლე ქართულში

ძვ. ქართული თარგმანი სინონიმით თარგმნის ἄκρα-ს:

ანგ 2:12 ἐὰν λάβῃ ἀνθρῶπος κρέας ἄγιον ἐν τῷ **ἄκρα** τοῦ ἱματίου αὐτοῦ καὶ ἀψῆται τὸ **ἄκρον** τοῦ ἱματίου αὐτοῦ

JO: უკუეთუ მოიღოს კაცმან ჯორცი წმიდაჲ კიდესა სამოსლისა თვისისასა და შეეხოს წუერსა სამოსლისა მისისასა

S: უკეთუ მიიღოს კაცმან ჯორცი წმიდაჲ მწუჭრვალსა შინა სამოსლისა მისისასა და შეეხოს მწუჭრვალსა სამოსლისა მისისასა

სიტყვის, შესიტყვების, ფრაზის გამეორება პარალელურ პერიოდებში

სიტყვისა და შესიტყვების გამეორება თხზულების სხვადასხვა მონაკვეთში ტექსტის ორგანიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა, ერთ-ერთი ხერხია იმისა, რომ პარალელურ პერიოდებად დაიყოს ტექსტი - გამოკვეთოს მისი მოკლე და დიდი მონაკვეთები და კავშირები დაამყაროს მათ შორის. ასეთ შემთხვევაში ხშირად გამეორებული უსიტყვებები და ფრაზები ფორმულებს ქმნიან.

ფრაზა-ფორმულები

მაგ., წინასწარმეტყველებები - როგორც წინასწარმეტყველთა ცალკეული წიგნები, ისე ცალკეული წინასწარმეტყველება ერთი წიგნის ფარგლებში, ერთიდაიმავე შინაარსის ფორმულებით იწყება, რომელიც ზოგჯერ ლექსიკურ და გრამატიკულ მოდიფიცირებას განიცდის. ამგვარი გამეორებებით ხდება კონკრეტული წინასწარმეტყველების გამოყოფა:

1.

Hos. 1:1 *λόγος κυρίου δε̅ς ἐγενήθη πρὸς Ὠσηε*

O S: სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი იყო ჭსესა მიმართ

Joel 1:1 *λόγος κυρίου δε̅ς ἐγενήθη πρὸς Ἰαηλ*

JO: სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი იყო იოველისა მიმართ, ძისა ბათუელისა.

S: სიტყუა უფლისა, რომელი იქმნა იოილის მიმართ, ძისა ბათოელისისა.

Zeph. 1:1 λόγος κυρίου ὃς ἐγενήθη πρὸς Σοφονια

JO: სიტყუა უფლისა, რომელი იყო სოფონიასა მიმართ ქუსიანისა,

GS: სიტყუა უფლისა, რომელი იქმნა სოფონიას მიმართ ხუსისისა

2.

Jon. 1:1 καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ἰωαν τὸν τοῦ Ἀμαθι λέγων

JO: და იყო სიტყუა უფლისა იონასა მიმართ ძისა, ამითისა და ჰრქუა:

Jon. 3:1 καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ἰωαν ἐκ δευτέρου λέγων

სიტყუა უფლისა იონას მიმართ მეორედ და ჰრქუა:

GS: იქმნა სიტყუა უფლისა იონას მიმართ ამათიანისა მეტყუელი:

და იქმნა სიტყუა უფლისა იონას მიმართ მეორედ მეტყუელი:

Mic. 1:1 καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Μιχαιαν

JO: და იყო სიტყუა უფლისა მიქეას მიმართ მორასთიანისა

S: სიტყუა უფლისა, რომელი იქმნა მიქეას მიმართ მორათისსა

Zech. 1:1,7 ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ζαχαριαν τὸν τοῦ Βαραχιου υἱὸν Ἀδδῶ τὸν προφήτην
λέγων

JO: 1,7 იყო სიტყუად უფლისად ზაქარიას მიმართ ბარაქეანისა,

S: 1 იქმნა სიტყუად უფლისად ზაქარიას მიმართ ძისა ბარაქეას

S: 7 იქმნა სიტყუად უფლისად ზაქარიას მიმართ ბარაქეას

Zach 7:1,8 *καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ζαχαριαν λέγων*

JO: იყო სიტყუად უფლისად ზაქარიას მიმართ

GS: და იქმნა სიტყუად უფლისად ზაქარიას მიმართ

Zech. 4:8; 6:9 *καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς με λέγων*

4:8 JO: და იყო სიტყუად უფლისად ჩემდა მომართ და თქუა:

6:9 JO: და იყო სიტყუად უფლისად ჩემდა მიმართ და მრქუა მე:

4:8; 6:9 S: და იქმნა სიტყუად უფლისად ჩემდამო მეტყუჭლი:

S: და იქმნა სიტყუად უფლისად ჩემდამო მეტყუჭლი:

Zech. 7:4 *καὶ ἐγένετο λόγος κυρίου τῶν δυνάμεων πρὸς με λέγων*

JO: და იყო სიტყუად უფლისა ძალთადასა ჩემდა მომართ და თქუა:

GS: და იქმნა სიტყუად უფლისა ძალთადასა ჩემდამო მეტყუჭლი:

Zech. 8:1 *καὶ ἐγένετο λόγος κυρίου παντοκράτορος λέγων*

JO: და იყო სიტყუად უფლისა ყოვლისა მპყრობელისა ჩემდა მომართ და თქუა:

GS: და იქმნა სიტყუა უფლისა ყოვლისა მპყრობელისა მეტყუჭლი:

Zech. 8:18 και ἐγένετο λόγος κύριου παντοκράτορος πρὸς με λέγων

JO: და იყოს სიტყუა უფლისა ყოვლისა მპყრობელისა ჩემდა მომართ და თქუა:

S: და იყოს სიტყუა უფლისა ყოვლისა მპყრობელისა ჩემდამო მეტყუჭლი:

ანგ. 2:10,20 ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ἀγγαίον τὸν προφήτην λέγων

JO: იყო სიტყუა უფლისა ანგეას მიმართ წინაწარმეტყუელისა და თქუა:

S: იქმნა სიტყუა უფლისა ანგეას მიმართ წინადაწარმეტყუელისა მეტყუჭლი:

ანგ. 2:20 και ἐγένετο λόγος κυρίου ἐκ δευτέρου πρὸς Ἀγγαίον τὸν προφήτην

JO: და იყო სიტყუა უფლისა ანგეას მიმართ წინაწარმეტყუელისა მეორედ ოცდაოთხსა თვსასა და ჰრქუა:

S: და იქმნა სიტყუა უფლისა მეორედ ანგეას მიმართ წინადაწარმეტყუელისა

ფორმულა კიდევ უფრო გამოიკვეთება, როდესაც მას ბერძნულისა და ქართულისათვის უცხო, ებრაისტული ხასიათი აქვს:

ანგ. 1:1,3 ἐγένετο λόγος κύριου ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου;

JO: იყო სიტყუა უფლისა ჯელითა ანგეა წინაწარმეტყუელისადათა და ჰრქუა:

S: იქმნა სიტყუა უფლისა ჯელითა ანგეა წინადაწარმეტყუელისადათა და მეტყუჭლი (3 ესრე მეტყველი)

ანგ. 2:1 ἐλάλησεν κύριος ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων

JO: იტყოდა უფალი ჯელითა ანგეა წინაწარმეტყუელისათა და თქუა:

S: თქუა უფალმან ჯელითა ანგეა წინადაწარმეტყუელისათა მეტყუელმან:

ტექსტური მონაკვეთების ერთიდაიმავე ანდა სინონიმური სიტყვებითა ან ფრაზებით დაწყება, რაც, გარდა იმისა, რომ აკავშირებს ერთმანეთთან ამ მონაკვეთებს, რიტმულად აწესრიგებს კიდევ ტექსტს და მას კომპოზიციურად კრავს. ასეთია, მაგ., რეფრენის გამეორება ამოსის წიგნში (Amos 4:8-12): სანამ საბოლოო მუქარას წარმოთქვამს, ღმერთი ჩამოთვლის იმ სასჯელებს, რომლებიც გაფრთხილების სახით მიეცა ისრაელს და რომელთა მიუხედავადაც, ისრაელი არ მოიქცა ღვთისკენ:

8. καὶ συναθροισθήσονται δύο καὶ τρεῖς πόλεις εἰς πόλιν μίαν τοῦ πειῖν ὕδωρ καὶ οὐ μὴ ἐμπλησθῶσιν καὶ οὐκ ἐπεστρέψατε πρὸς με λέγει κύριος ⁹ ἐπάταξα ὑμᾶς ἐν πυρώσει καὶ ἐν ἰκτέρω ἐπληθύνατε κήπους ὑμῶν ἀμπελῶνας ὑμῶν καὶ συκῶνας ὑμῶν καὶ ἔλαιῶνας ὑμῶν κατέφαγεν ἡ κάμπη καὶ οὐδ' ᾧς ἐπεστρέψατε πρὸς με λέγει κύριος ¹⁰ ἔξαπέστειλα εἰς ὑμᾶς θάνατον ἐν ὁδῷ Αἰγύπτου καὶ ἀπέκτεινα ἐν ῥομφαίᾳ τοὺς νεανίσκους ὑμῶν μετὰ αἰχμαλυσίας ἵππων σου καὶ ἀνήγαγον ἐν πυρὶ τὰς παρεμβολὰς ὑμῶν ἐν τῇ ὀργῇ μου καὶ οὐδ' ᾧς ἐπεστρέψατε πρὸς με λέγει κύριος ¹¹ κατέστρεψα ὑμᾶς καθὼς κατέστρεψεν ὁ θεὸς Σοδομα καὶ Γομορρα καὶ ἐγένεσθε ὡς δαλδὸς ἐξεσπασμένος ἐκ πυρός καὶ οὐδ' ᾧς ἐπεστρέψατε πρὸς με λέγει κύριος ² διὰ τοῦτο οὕτως ποιήσω σοι Ἰσραηλ πλὴν ὅτι οὕτως ποιήσω σοι ἐτοιμάζου τοῦ ἐπικαλεῖσθαι τὸν θεόν σου Ἰσραηλ

4,8 და შეკრბენ ორნი და სამნი ერთსა ქალაქსა სუმად წყლისა და ვერ განძლენ. არა მოიქცით ჩემდა - იტყვს უფალი. 9 დაგცნე თქუენ მჯურვალეებითა და გუინითა. განამრავლეთ მტილები თქუენი, და ვენაჯები თქუენი და ლელოვანი და ზეთის ხილი თქუენი შეჭამა ჭიამან. და არცა ესრეთ მოიქცით ჩემდა - იტყვს უფალი. 10 მოვავლინე თქუენდა სიკუდილი გზასა მას ეგვიპტისასა. მოვსრენ მახვლითა ჭაბუკნი თქუენნი, ტყუენვით - ცხენები თქუენი და აღმოვიყვანე ცეცხლითა ბანაკები თქუენი რისხვითა თქუენითა. და არცა ესრეთ მოიქცით ჩემდა - იტყვს

უფალი. 11 ამისთვის ესრე იტყვს უფალი: დაგაქციენ თქუენ, ვითარცა სოდომად და გომორად. და იქმნენით, ვითარცა მუგუზნი გამოტაცებულნი ცეცხლისაგან. **და არცა ესრე მოიქცით ჩემდა - იტყვს უფალი. 12** ამისთვის ესრე გიყო შენ, ისრაელ. განემზადე ხადიდ ღმრთისა შენისა, ისრაელ!

GS: *შეკრბენ ორნი და სამნი ქალაქნი ქალაქად ერთად სუმად წყლისა და ვერ განძლენ. **და არა მოიქცეთ ჩემდამო - იტყვს უფალი. 9** დაგცენ თქუენ ჳურვებისა მიერ და გვნისა მიერ. განამრავლენით მტილნი თქუენნი, ვენაცოანნი თქუენნი ლელთანნი თქუენნი და ზეთის ხილნი თქუენნი შექამნა მგრანელმან. **და არცა ეგრეთ მიქცით ჩემდამო - იტყვს უფალი. 10** გამოვავლინე თქუენდა მე სიკუდილი გზასა ზედა ეგვიპტისასა. და მოვკლევდ ჳაბუკთა თქუენთა ტყუეობისა თანა ჳუნეთა შენთადას. და აღმოვიყვანენ შორის ცეცხლისა ბანაკნი თქუენნი რისხვისა მიერ თქუენისა. **და არცა ეგრეთ მოიქცით ჩემდამო - იტყვს უფალი. 11** დაგაქციენ თქუენ ვითარცა დააქცია უფალმან ღმერთმან სოდომად და გომორად. და იქმნენით ვითარცა მუგუზნი გამოტაცებულნი ცეცხლისაგან. **და არცა ეგრეთ მოიქცით ჩემდამო - იტყვს უფალი. 12** ამისთვის ესრეთ გიყო შენ ისრაელ ამისთვის ესრეთ გიყო შენ. განემზადე ხადად ღმრთისა შენისა, ისრაელ!

გამეორებული ფრაზებით განსაკუთრებით დატვირთულია ამოსის წიგნი (ამოს.1:3-14; 2:1-6). ისინი სხვადასხვა ქალაქის მიმართ გამოთქმულ წინასწარმეტყველებებს პარალელურ მონაკვეთებად კრავენ და, ამასთან, დრამატიზმსა და დინამიზმს ანიჭებენ მთელ წინასწარმეტყველებას. მაგალითად ორ მონაკვეთს მოვიტან:

ამოს. 1: ³ **a** και εἶπεν κύριος ἐπὶ ταῖς τρισὶν ἀσεβείαις Δαμασκοῦ και ἐπὶ ταῖς τέσσαρσιν οὐκ ἀποστραφήσομαι ἀπὸν ἀνθ' ὧν ἔπριζον πρὶοσιν σιδηροῖς τὰς ἐν γαστρὶ ἐχούσας τῶν ἐν Γαλαად ⁴

ბ και ἐξαποστελῶ πῦρ εἰς τὸν οἶκον Ἀζαηλ και καταφάγεται θεμέλια υἱοῦ Ἀδερ¹⁶⁹ **5** **c** και συντριψω μογλοὺς Δαμασκοῦ και ἐξολεθρεύσω κατοικοῦντας ἐκ πεδίου Ων και κατακόψω φυλὴν ἐξ ἀνδρῶν Χαρραν και αἰχμαλωτευθήσεται λαὸς Συρίας ἐπίκλητος λέγει κύριος

⁶ **a** τάδε λέγει κύριος ἐπὶ ταῖς τρισὶν ἀσεβείαις Γάζης και ἐπὶ ταῖς τέσσαρσιν οὐκ ἀποστραφήσομαι αὐτούς ἔνεκεν τοῦ αἰχμαλωτεῦσαι αὐτούς αἰχμαλωσίαν τοῦ Σαλωμων τοῦ συγκλείσαι εἰς τὴν Ἰδουμαίαν **7** **b** και ἐξαποστελῶ πῦρ ἐπὶ τὰ τείχη Γάζης και καταφάγεται θεμέλια αὐτῆς **8** **c** και ἐξολεθρεύσω κατοικοῦντας ἐξ Ἀζώτου και ἐξαρθήσεται φυλὴ ἐξ Ἀσκαλῶνος και ἐπάξω τὴν χεῖρά μου ἐπὶ Ἀκκαρων και ἀπολοῦνται οἱ κατάλοιποι τῶν ἄλλοφύλων λέγει κύριος

JO 3 ადა თქუა უფალმან: სამთა მათ ზედა უღმრთოებათა დამასკუსათა და ოთხთა არა გარემივაქციო მას ამისთჳს, რამეთუ განჰხერხვიდეს ხერხითა რკინისადთა მიდგომილთა მათ გალაადს შინა. **4** **b** და გამოვავლინო ცეცხლი სახლსა ზედა აზაელისსა და შეჰამნეს საფუძველნი მისა ადერისნი. **5** **c** და შევმუსრნე მოქლონნი და მასკუსანი და მოვსრნე მკვდრნი ველისა მისგან ონისანი და მოვწყვდნე ტომნი კაცთაგან ქანაანისათა და წარმოვტყუენო ერი ასურეთისაჲ რჩეული - იტყჳს უფალი.

6 **a** ამას იტყჳს უფალი: სამთა მათ ზედა უღმრთოებათა გაზადსათა და ოთხთა არა გარე-მოვიქცე მათა წარტყუენვისა მისთჳს ტყჳსა სალომონისა და შეყენებისათჳ იდუმისა **7** **b** გამოვავლინო ცეცხლი ზღუდეთა ზედა გაზადსათა და შეჰამნეს საფუძველნი მისნი. **8** **c** და მოვსრნე დამკვდრებულნი აზოტისანი და აღვილო ტომი ასკალონით და მივაწიო ჳელი ჩემი აკარონსა ზედა და წარწყმდენ ნეშტნი იგი უცხოთესლთანნი - იტყჳს უფალი.

¹⁶⁹ ეს მეტაფორა სხვაგანაც მეორდება: Hos. 8:14 και ἐξαποστελῶ πῦρ εἰς τὰς πόλεις αὐτοῦ και καταφάγεται τὰ θεμέλια αὐτῶν: O: და მივავლინო ცეცხლი ქალაქებსა მათსა და შეჰამნეს საფუძველნი მათნი. S: და გამოვავლინო ცეცხლი ქალაქთა მისთა ზედა და შეჰამნეს საფუძველნი მათნი. ამოსში მხოლოდ ერთხელ იცლება ზმნა ბერძნულში და მის კვალად, ქართულ თარგმანებში: ἀνάψω- აღვაგზნე JO; აღვაგზნა GS.

GS: 3. a და თქუა უფალმან: სამთა ზედა უთნოო[ბა]თა დამასკისათა და ოთხთა ზედა არა გარე-მივიქცე მათ, მით რამეთუ განჰხერხვიდეს ხერხითა რკინისაჲთა მუცელ-ქუმულთა გალაადთასა. 4 b და მივავლინო ცეცხლი სახიდ აზაილისა და შეჭამნეს საფუძველნი ძისა ადერისნი. 5 c და შევმუსრნე მოქლონნი დამასკოდსანი და მოვსრნე დამკვდრებულნი ველისაგან ონისსა და მოვჭრა ტომი კაცთაგან ხარრანისათა და წარმოიტყუენოს ერი ასურეთისაჲ წო[დ]ებული - იტყვს უფალი.

6 a ამათ იტყვს უფალი: სამთა ზედა უთნობათა ღაზისათა და ოთხთა ზედა არა გარე-მივიქცე მათ ტყუე-ქმნისათვს მათგან ტყუჴსა სალომისსა შეყენებად იდუმეას. 7 b და გამოვავლინო ცეცხლი ზღუდეთა ზედა ღაზისათა და შეჭამნეს საფუძველნი მისნი. 8 c და მოვსრნე დამკვდრებულნი აზოტით და აღებულ-იქმნეს ტომი ასკალონისაგან და მივაწიო კელი ჩემი აკარონსა ზედა და წარწყმდენ ნეშტნი უცხოთესლთანი - იტყვს უფალი.

სტროფების მრავალჯერმა გამეორებამ მონოტონურობა შეილება გამოიწვიოს. მისი თავიდან ასაცილებლად ბერძნულში ერთმანეთს ენაცვლება ორი კავშირი **ἀνθ' ἑν** და **ἐνεκα**. ქართულ თარგმანში ეს მონაცვლეობა ასახულია: **ἀνθ' ἑν**: JO - ამისთვის, რამეთუ GS - მის წილ, რამეთუ (გამონაკლისია 1:3: მით, რამეთუ); **ἐνεκα**: -თვის. ამასთან, 1:3-8-ს შემდეგ წინასწარმეტყველების მონაკვეთი მცირდება - c ნაწილი აკლდება - და წინასწარმეტყველება ორნაწილიანი ხდება.

გარკვეული ვარიაციულობა ფრაზების გამეორებისას ჩვეული მოვლენაა წინასწარმეტყველებებში, მაგ., იცვლება უარყოფითი ნაწილაკი და მსაზღვრელი:

აბდ.. 1:12-14 ¹² **καὶ μὴ ἐπίδης ἡμέραν ἀδελφοῦ σου ἐν ἡμέρα ἀλλοτρίων καὶ μὴ ἐπιχαρῆς ἐπὶ τοὺς υἰοὺς Ἰουδα ἐν ἡμέρα ἀπωλείας αὐτῶν καὶ μὴ μεγαλορρημονήσης ἐν ἡμέρα θλίψεως** ¹³ **μηδὲ** **εἰσέλθης εἰς πύλας λαῶν ἐν ἡμέρα πόνων αὐτῶν, μηδὲ ἐπίδης καὶ σὺ τὴν συναγωγὴν αὐτῶν ἐν ἡμέρα ὀλέθρου αὐτῶν μηδὲ** **συνεπιθῆς ἐπὶ τὴν δύναμιν αὐτῶν ἐν ἡμέρα ἀπωλείας αὐτῶν** ¹⁴ **μηδὲ** **ἐπιστῆς ἐπὶ τὰς διεκβολὰς αὐτῶν τοῦ ἐξολεθρευῆσαι τοὺς ἀνασφρομένους αὐτῶν, μηδὲ** **συγκλείσης** **τοὺς φεύγοντας ἐξ αὐτῶν ἐν ἡμέρα θλίψεως**

JO: და ნუ დაივიწყებ დღეს ძმისა შენისასა დღესა მას უცხოთესლთასა, და ნუ მოგცხრებიან ძეთა ზედა იუდაასთა დღესა წარწყმედისა მათისასა, და ნუ დიდ-დიდსა იტყვ დღესა მას ჭირისასა. 13 და ნუცა შეხუალ ბჭეთა ერისათა დღესა სალმობისა მათისასა, და ნუ მიჰხედავ შენ დღესა კრებისა მათისასა მოწყუედასა მათსა, ნუცა დაშჯერდები ძალსა მათსა დღესა წარწყმედისა მათისასა. 14 ნუცა მიადგები განსავალსა მათსა მოსრვად განრინებულთა მათთა, ნუცა შეაყენებ მეოტთა მათთა დღესა ჭირისასა. 15. რამეთუ ახლოს არს დღე უფლისაჲ

GS: და ნუ მიხედავ დღესა უცხოსა დღესა შინა ძისა შენისასა, და ნუ მოცხრები ძეთა ზედა იუდაასთა დღესა შინა წარწყმედისა მათისასა, და ნუ დიდსიტყუაობ დღესა შინა ჭირისასა.

1:13 ნუცა შეხუალ ბჭეთა ერისათა დღესა შინა ტკივილთა მათთასა და ნუ ზედ-დაჰხედავ შენცა შესაკრებელსა მათსა დღესა შინა მოსრულებისა მათისასა და ნუცა თან-დაშჯდები ძალსა ზედა მათსა დღესა შინა წარწყმედისა მათისასა. 14 ნუცა დასდგები განსავალთა ზედა მათთა *მოწყუფდად განრინებულთა მათგანთა, ნუ წყუდეულ-ჰყოფ მლტოლვარეთა მათგან დღესა შინა ჭირისასა. 15 მით რამეთუ ახლოს არს დღე უფლისაჲ ყოველთა ზედა ნათესავთა.

ერთსადაიმავე ფრაზაში ერთმანეთს ენაცვლება ორი ზმნა - **τάξατε** (1:5) / **ὑποτάξατε** (ანგ. 1:7; 2:18) და **θέσθε** (1:7; 2:15,18), ამ მონაცვლეობას ქართული თარგმანებიც ასახავენ: განაწესებით - დაისხენით/დაიდევით JO; დააწესებით - დაისხენით S.

ანგ. 1:5 και νῦν τάδε λέγει κύριος παντοκράτωρ **τάξατε** δὴ τὰς καρδίας ὑμῶν εἰς τὰς ὁδοὺς ὑμῶν ...⁷ τάδε λέγει κύριος παντοκράτωρ **θέσθε** τὰς καρδίας ὑμῶν εἰς τὰς ὁδοὺς ὑμῶν 2:15 και νῦν **θέσθε** **δὴ** εἰς τὰς καρδίας ὑμῶν ἀπὸ τῆς ἡμέρας ταύτης και ὑπεράνω πρὸ τοῦ θεῖναι λίθον ἐπὶ λίθον ἐν τῷ ναῷ κυρίου ...¹⁸ **ὑποτάξατε** δὴ τὰς καρδίας ὑμῶν ἀπὸ τῆς ἡμέρας ταύτης και ἐπέκεινα ἀπὸ τῆς τετραδὸς και εἰκάδος τοῦ ἐνάτου μηνὸς και ἀπὸ τῆς ἡμέρας ἧς ἐθεμελιώθη ὁ ναὸς κυρίου **θέσθε** ἐν ταῖς καρδίαις ὑμῶν

JO 5 და აწ ამას იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: **განაწესებით გულნი თქუენნი გზათა...** 7 ამას იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: **დაისხენით გულნი თქუენნი გზათა თქუენტა...** 2:15 **დაიდევით გულთა თქუენტა** ამიერითგან და მერმეცა ვიდრე დადებადმდე ლოდი ლოდსა ზედა ტაძარსა უფლისასა...18 **დააწესებით გულნი თქუენნი** ამიერითგან და მიმდემი ოცდაოთხითგან მეცხრისა თვსაფთ. და ამიერ დღითგან, ვინაფთგან დაეფუძნა ტაძარი უფლისად, **დაიდევით გულთა თქუენტა.**

S 1,5 და აწ ამას იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: **დააწესებით გულნი თქუენნი გზათა მათ თქუენტა...**1:7 **ამათ იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: დაისხენით გულთა თქუენტა გზათა მიმართ თქუენტა...** და აწ დაისხენით გულთა შინა თქუენტა ამით დღითგან და წამართ... 2:18 **და-უკუწესებით გულნი თქუენნი ამით დღითგან და წამართ** მეოთხითგან და მეოცით მეცხრისა თთვსაფთ; და დღითგან, რომელსა დაეფუძნების ტაძარი უფლისად, **დაისხენით გულთა შინა თქუენტა.**

Mich 4:13 **τὰ κέρατά σου θήσομαι σιδηρᾶ** καὶ τὰς ὀπλὰς σου θήσομαι χαλκᾶς,

რქანი შეგასხნე შ[ე]ნ **რკინისანი** · და **ჭლიკნი/ შ[ე]ნნი** შეგადგნე **რვა/ლისანი** **J** რქანი შეგასხნე შ[ე]ნ **რკინისანი** და/ **ჭლაკნი** შენნი **რვალისანი/ ვყვნე O**; რქანი შ[ე]ნნი შეგასხნე **რკინისანი** . და **ბრჭალნი** შ[ე]ნნი/ შეგადგნე **რვალისანი L-p**; რ(ამეთუ) რქანი შ(ე)ნნი **დავსხნე / რკინა**დებად · და **ჭლიკნი** შ(ე)ნნი **რვალეზად G S**; რქანი შენ/ნი **ვყვნე რკინად**, და/ **რვალად** დავსხნე ს(401rb)**აჭურველნი** შენნი **K1**

დასკვნა

მცირე წინასწარმეტყველთა ქართველი მთარგმნელები კარგად ერკვეოდნენ მხატვრულ სახეებში, მათ შორის, ტექსტის ბგერითი ორგანიზაციის სხვადასხვა საშუალებებში, გააზრებულად, თავიანთი შეხედულებისამებრ ცდილობდნენ ბერძნული დედნის ამ მახასიათებლის ასახვას თავიანთ თარგმანში: ან დედნისეული მხატვრული განმეორებების რეპროდუცირებას ახდენენ, ან მოდიფიცირებას უკეთებენ მას, ან უგულვებელყოფენ, ან დედნისაგან დამოუკიდებლად, თავად ქმნიან პარალელიზმს, როგორც მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ ხერხს.

IV. ებრაული ׀ და მისი ბერძნული და ქართული შესატყვისები - και და 'და' მცირე წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში

პირველი, რაც ბიბლიის ქართველ მთარგმნელს ხვდება თვალში და, რასაც ის ბიბლიის სტილის ამსახველად აღიქვამს, და 'კავშირის ჭარბი ხმარებაა: იგი ხან ზედმეტია ჩვენი ენისთვის, ხან სხვა კავშირით ჩანაცვლებადი. ცხადია, ქართული ბიბლიის ენის ეს თავისებურება მისი ბერძნული დედნიდან მომდინარეობს. ქართული 'და'-ს შესატყვისის, και-ს იმგვარი გამოყენება, როგორც ამას ძველი და ახალი აღთქმის კონტექსტებში ვხვდებით, კლასიკური ბერძნულისთვისაც ისევე უჩვეულოა, როგორც ქართულისთვის და სექტუაგინტაში მისი ხმარება სათარგმნი ტექსტის, ოღონდ ებრაული ტექსტის, ადეკვატური გადმოტანის შედეგია. και-ს ეს უჩვეულობა ბერძნულისათვის ქართველი მთარგმნელის თვალში ალბათ კიდევ უფრო გამოკვეთს მის იდიომატურობას ბიბლიის ენისათვის და დედნის სტილის დასაცავად მის ადეკვატურად გადმოტანას ავალდებულებს. ამიტომ, ბიბლიის ქართულ თარგმანებში ნახმარ 'და'-ს მნიშვნელობაზე თუ ფუნქციაზე მსჯელობა ებრაული ׀ (waw)-ის მნიშვნელობების გარკვევით უნდა დავიწყოთ.

ებრაულში ׀ ორი ფუნქციით იხმარება: კოპულატიური ანუ მაერთებელი, და კონზეკუტიური - შედეგობითი ან მიმდევრობის. მაერთებელი ׀-ის უმთავრესი ფუნქცია, ცხადია, ის არის, რომ ერთმანეთთან დააკავშიროს წინადადების ერთგვარი წევრები და კოორდინირებული, თანწყობილი წინადადებები. კონზეკუტიური ׀-ი ერთ ვრცელ, დროში განფენილ მოქმედებას ცალკეულ მონაკვეთებად ყოფს და ამ მოქმედებებს თანამიმდევრობით ალაგებს. თანამიმდევრობა შეიძლება დროითი იყოს, შეიძლება მიზეზ-შედეგობრივი, დამაზუსტებელი და ა.შ., მაგრამ ყველა შემთხვევაში, ფაქტიურად დროში (წარსულში ან მომავალში) განფენილი ერთიანი მოვლენისა თუ მოქმედების ნაწილებს წარმოადგენენ. ამგვარი კონსტრუქციებით აგებულ ებრაულ თხრობას თუ არასემიტური ენობრივი აზროვნების მქონეთა თვალსაზრისით შევაფასებთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ფორმალურად კოორდინირებული

წინადადებები რეალურად ლოგიკურ სუბორდინაციაშია ერთმანეთთან და სხვადასხვა შინაარსის მიმართებას გამოხატავენ: 1-ი წინ უძღვის წინადადებას, რომელიც წინამავალ წინადადებას უპირისპირდება ან უდარდება ან ექვემდებარება, აზუსტებს მას, წარმოადგენს წინამავალ წინადადებაში გამოხატული მოქმედების შედეგს, მიზანს, პირობას, განმარტავს და განსაზღვრავს მას სხვა (Gesenius 2003, §154 და ასევე, §141e, §142d, §158a, §161a, §165a, §143d, §134s.). ზოგიერთ შემთხვევაში, წინადადება, რომელთანაც 1-ი უნდა ამყარებდეს კავშირს, ფორმალურად გამოხატული არ არის - ან ჩავარდნილია, ან იგულისხმება.

1-ით აგებული თხრობის აღწერას თუ ინდოევროპული აზროვნებიდან გამომდინარე მოვინდომებთ, იძულებულნი ვართ, რომ ამ კავშირით შეერთებული წინადადებები სტრუქტურულ ტიპებად (არა ჰიპოტაქსური, არამედ პარატაქსული) და შინაარსის მიხედვით (მიმართებითი, მიზნის, მიზეზის და ა.შ. დამოკიდებული წინადადების) დავახასიათოთ და ლათინური გრამატიკული ტერმინებით აღვნიშნოთ. და, როგორც ეს საზოგადოდ, გრამატიკული სტრუქტურების აღწერისადმი ლოგიკური მიდგომის შემთხვევაში ხდება ხოლმე, ამ შემთხვევაშიც, შეფასებები უმეტესად სუბიექტურია - ტექსტის სუბიექტურ ინტერპრეტაცაზეა დამოკიდებული (Aejmelaeus 1982, 3-6).

მაგარამ ჩემი მიზანი ახლა არ არის ებრაული ენის გრამატიკის აღწერის მეთოდის შეფასება. ამ თემას შევხე მხოლოდ იმისათვის, რომ პარალელი გამევილო მთარგმნელებთან: 1-ისა და მისით დაკავშირებული წინადადებების ბერძნულად გადმოტანისას მათაც იგივე პრობლემა ედგათ, რაც ლათინური გრამატიკული ტრადიციის მიმდევარ თანამედროვე გრამატიკოსებს. მათაც უნდა გაერკვიათ 1-ით დაწყებული წინადადების წინამავალ წინადადებასთან მიმართების ხასიათი და მისი ბერძნულად გადმოტანის გზა ეპოვათ: ან ლოგიკური, და, შესაბამისად, საკუთარი ინტერპრეტაცია მიეწოდებინათ მკითხველისათვის, ანაც ფორმალური, რაც ბერძნულენოვან და ბერძნულად მოაზროვნე მკითხველს დაავალებდა ლოგიკური გზით თავად განესაზღვრა წინადადების შინაარსი. სეპტუაგინტას მთარგმნელები

უმეტესად ფორმალურ გზას ადგენენ და 1-ი, მიუხედავად კონტექსტისა, ძირითადად καί-თ გადმოჰქონდათ. Anneli Aejmelaeus-ი ამ ორი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულის ეკვივალენტურობას, სხვათა შორის, იმითაც ხსნის, რომ καί და 1-ი, როგორც მაკოორდინირებელი კავშირები, ნეიტრალური სემანტიკისანი არიან, ისინი არ აზუსტებენ და არ განსაზღვრავენ კოორდინაციის ტიპსა თუ შინაარსს და, შესაბამისად, შესაძლებლობას იძლევიან ფართო სემანტიკურ ველში იქნენ გამოყენებულნი (Aejmelaeus 1982, 29-30).

ბერძნულად მთარგმნელების მსგავსად, თარგმანის ფორმალურ მეთოდს იყენებენ ქართველი მთარგმნელებიც: καί-ს, ამ, თითქოს ყველაზე მონოსემანტურ ლექსიკურ ერთეულს, უმეტესად 'და' კავშირით გადმოსცემენ და ამით ქართულისათვის უჩვეულო როლს ანიჭებენ მას. ამ სტატიისა და ქართველი ფილოლოგის ამოცანა სწორედ ისაა, რომ 'და' კავშირის მნიშვნელობები და ფუნქციები განსაზღვროს ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში და გაარკვიოს, 'და' ქართულისათვის უცხო მნიშვნელობებისა და ფუნქციების მატარებელია თუ უფუნქციო, ოდენ ფორმალური სტილისტური ნიშნია ტექსტისა. ამისათვის 'და'-ს ხმარების იმ შემთხვევებს განვიხილავ, სადაც იგი ქართული ენისათვის უჩვეულო სინტაქსის შექმნაში მონაწილეობს ანდა მისთვის უჩვეულო მნიშვნელობას იღებს. საილუსტრაციო მაგალითებს უმეტესად მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მოვიხმობ, რომლის არც ბერძნული და, მითუმეტეს, არც ქართული ტექსტი ამ თვალსაზრისით შესწავლილი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, მეტი გარკვეულობისთვის, ძველი აღთქმის სხვა წიგნებსაც მივმართავ. მოყვანილ კონტექსტებში ხელნაწერთა განსხვავებულ იკითხვისებს უმთავრესად იმ შემთხვევაში აღვნიშნავ, როდესაც ეს შესასწავლი საკითხისთვის არის რელევანტური.

‘და’ წინადადების ერთგვარი წევრებისა და თანწყობილი წინადადების მაერთებლად

ცნობილია, რომ ‘და’-ს, როგორც მაერთებელი კავშირის უნივერსალურ ფუნქციას წინადადების ერთგვარი წევრებისა და თანწყობილი წინადადების დაკავშირება წარმოადგენს. ქართულშიცა და ბერძნულშიც ამ ფუნქციით იგი ან ერთგვარი წევრების ჩამონათვალის ბოლო წევრის წინ დაისმის (კაცი, ქალი, ბავშვი და მოხუცი), ან ორ-ორად აჯგუფებს ერთგვარ წევრებს (კაცი და ქალი, ბავშვი და მოხუცი). ებრაული ენისათვის კი პოლისინდეტონი - ჩამონათვალის ყველა წევრის ‘და’-თი შეერთებაა დამახასიათებელი (Gesenius 2003, 154, n. 1a). ყველა ამ ‘და’-ს ასახვა ბიბლიის ბერძნულ და ქართულ თარგმანებში თარგმანის ენისთვის პლეონასზმს წარმოადგენს და სიუცხოვის ეფექტს ქმნის (მიძიგური 1969, 23-24; დანელია 1998, 33-34). პლეონასტური ‘და’-ს უამრავი მაგალითია ბიბლიისა და, კონკრეტულად, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში. მე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას წარმოვადგენ:

ერთგვარი წევრები:

მიქ. 2:13 *πρὸ προσώπου αὐτῶν διέκοψαν καὶ διήλθον πύλην καὶ ἐξῆλθον*: განკუეთეს და განვლეს ბქწ და (+ მიერ K1) განვიდეს (განვიდა GS) JO GS K1

ოს. 2:13 *καὶ ἀποστρέψω πάσας τὰς εὐφροσύνας αὐτῆς ἐορτὰς αὐτῆς καὶ τὰς νοσηγίας αὐτῆς καὶ τὰ σάββατα αὐτῆς καὶ πάσας τὰς πανηγύρεις αὐτῆς*: და გარე-მოვაქცინე ყოველნი სიხარულნი მისნი: დღესასწაულნი და თვსთავნი მისნი და შაბათნი მისნი და ყოველნი კრებანი მისნი O; მოულო ყოველი სიხარული მისი: და დღესასწაული მისი და თვსთავნი მისნი და შაბათობანი მისნი და ყოველნი დღეკეთილობანი მისნი S.

ოს. 2:21 *μνηστεύσομαι σε ἔμαυτῶ ἐν δικαιοσύνη καὶ ἐν κρίματι καὶ ἐν ἔλει καὶ ἐν οἰκτιρμοῖς*: მოგითხოვო შენ თავისა ჩემისა საუკუნოდ სიმართლედ და განკითხვით და წყალობით და შეწყნარებით O; მოგითხოო შენ თავისა ჩემისა სიმართლით და განკითხვით და წყალობით S.

თანწყობილი წინადადებები

ამოსი 2:14-15 *και ἀπολείται φυγή ἐκ θρομέας και ὁ κραταιὸς οὐ μὴ κρατήσῃ τῆς ἰσχύος αὐτοῦ και ὁ μαχητῆς οὐ μὴ σώσῃ τὴν ψυχὴν αὐτοῦ και ὁ τοξότης οὐ μὴ ὑποστῆ και ὁ ὄξυς τοῖς ποσίν αὐτοῦ οὐ μὴ διασωθῆ* **ὁ ἰππεὺς οὐ μὴ σώσῃ τὴν ψυχὴν αὐτοῦ:** და წარწყმდეს სივლტოლაჲ მსრბოლისაგან და ძლიერმან ვერ დაიპყრას ძალი თვისი და მბრძოლთა მათ ვერ განირინონ თავი თვისი.¹⁵ და მეისარი ვერ დაუდგეს და მალე ფერჯითა ვერ განერეს და მკედარმან ვერ განირინოს თავი თვისი OGeo; და წარწყმიდეს სივლტოლაჲ მსრბოლისაგან და ძლიერმან ვერ დაიპყრას ძალისა თვისისა და მბძროლმან ვერ აცხოვნოს სული თვისი 15 და მშვლდოსანმან ვერ უძლოს წინააღდგომად და ქუჭით ვერ განერეს ფერჯთა თვისთა და ვერცა განარინოს ლაშქარნი S¹⁷⁰

‘და’ დიდი შინაარსობლივი მონაკვეთების დამაკავშირებლად

ებრაული აზროვნება კაცობრიობის, ცალკეული ერის, თუ კონკრეტული ადამიანის ისტორიას ერთ მთლიან ჯაჭვად აღიქვამს. ამ ჯაჭვში არ არსებობს რგოლი, რომელიც წინას და მომდევნოს არ ებმოდეს. სწორედ უწყვეტობის ხაზგასასმელად ბიბლიაში ყოველი ახალი წიგნი ან ახალი თემა ან ახალი ისტორია ან ამ ისტორიის დიდი შინაარსობლივი მონაკვეთი, როგორც წინას ლოგიკური გაგრძელება, მისი დასკვნა და, ამავე დროს, ახლის დასაწყისი, 1 // και //და კავშირით იწყება. ‘და’-თი იწყება წინასწარმეტყველებებიც, როგორც ნიშანი იმისა, რომ წინასწარმეტყველება ერის ცოდვებს უკავშირდება და მათი შედეგია:

ოსია 1:2 *και εἶπεν κύριος πρὸς Ὠσηε :* და ჰრქუა უფალმან ჰსეს Geo

იონა 1:1 *και ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ἰωναν τὸν τοῦ Ἀμαθι λέγων:* და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იონაჲსა მიმართ ძისა, ამითისა და ჰრქუა JO; და (>G) იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ იონაჲს მიმართ ამათიანისა მეტყუელი GS.¹⁷¹

¹⁷⁰ მსგავსი მაგალითები იხ. დანელია 1992, 34-36.

¹⁷¹ იხ. ასევე ამოს 1:2; მიქ. 1:1.

ახლა გავყვეთ იონას წინასწარმეტყველების ტექსტს და ვნახავთ, რომ ერთიდაიგივე 'და' ქართულში (ისევე, როგორც ბერძნულში და ებრაულში) სრულიად სხვადასხვა სინტაქსურ ერთეულებს აკავშირებს ერთმანეთთან.

'და' ზმნურ შესიტყვებებში

ღმერთი უბრძანებს იონას ნინევიანში საქადაგებლად წასვლას:

იონა 1:2 Ἀνάστηθι **καὶ** πορεύθητι εἰς Νινευὴ τὴν πόλιν τὴν μεγάλην **καὶ** κήρυσσον ἐν αὐτῇ: ალდეგ და წარვედ შენ ნინევედ ქალაქად დიდად და ქადაგებდ მას შინა JO; ალდეგ და წარვედ ნინევად ქალაქად დიდად და ქადაგე მას შინა! GS

ალდეგ და წარვედ: 'და' აკავშირებს ორ ზმნას, რომლებიც მხოლოდ ერთგვარი შემასმენლები კი არ არიან, როგორც მაგ., ამავე კონტექსტში, წარვედ ... და ქადაგებდ, არამედ ორივე ერთად ერთ მოქმედებას გამოხატავენ და ერთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე შესიტყვებას, ფორმულას ქმნიან. ამგვარი ფორმულის პირველი წევრი ინქოატიური ზმნაა, რომელიც მოქმედების (უმეტესად - მოძრაობის, თქმის) დასაწყის მომენტს გამოხატავს და მეორეს ზმნასთან, რომელიც თავად მოქმედების შინაარსს შეიცავს, 'და'-თია შეერთებული. ასეთი შესიტყვებები ბევრია მცირე წინასწარმეტყველებთანაც:

იონა 1:6 ἀνάστα **καὶ** ἐπικαλοῦ: ალდეგ და ხადოდე Geo

იონა 1:12 ἄρατέ με **καὶ** ἐμβάλετέ με εἰς τὴν θάλασσαν : აღმიღეთ მე და შთამაგდეთ ზღუასა (ზღუად G) Geo

ოს. 2:9 πορεύσομαι **καὶ** ἐπιστρέψω: წარვიდე და მოვიქცე Geo.

ოს. 1:3 καὶ συνέλαβεν **καὶ** ἔτεκεν αὐτῷ σὶόν: მიუდგა და შვა ძე O S;

ოს. 2:3 Πορεύσομαι **καὶ** ἐπιστρέψω: წარვიდე და მოვიქცე O; შევიქცე და მივიდე S

ზოგიერთ ასეთ შესიტყვებაში ბერძნულ ტექსტში καὶ არ გვხვდება, ქართული კი ამატებს:

მიქ. 6:1 Ἀνάστηθι κριθῆτι: აღდეგ და ეშჯოდე OGeo; აღდეგით და განისაჯენით S;
აღდეგ და განისაჯე G

ბერძნულ ბიბლიაში ინქოატიურ ზმნათაგან ყველაზე ხშირია *δέψτε*-ს ხმარება. საინტერესოა, რომ ბერძნულში ეს ზმნა თავის მომდევნოს იშვიათად უკავშირდება *καί*-თი (თუმცა, მაგ. 2 Ki. 1:2 *δέψτε καὶ ἐπιζητήσατε ἐν τῇ Βαβλ*). ასეთ შემთხვევაში ძველი ქართული თარგმანი (OGeo), გელათური თარგმანისაგან განსხვავებით, ყოველთვის ამატებს 'და'-ს:

იონა 1:7 *δέψτε βάλωμεν κλήρους*: მოვედით და განვიგდოთ წილი OGeo; შდრ. მოვედით, ვყარნეთ წილნი GS

მიქ. 4:2 *Δεψτε ἀναβῶμεν*: მოვედით და აღვედით OGeo, შდრ; მოვედით, აღვიდეთ GS

ზმნური შესიტყვების მეორე სახეა, როდესაც ერთი შინაარსის ზმნები უკავშირდებიან ერთმანეთს.¹⁷² განსაკუთრებით ხშირია მეტყველების შინაარსის ზმნების ერთად ხმარება, მაგ.:

იონა 1:14 *καὶ ἀνεβόησαν πρὸς κύριον καὶ εἶπαν*: და ღალად-ყვეს უფლისა მიმართ და თქუეს OGeo; და ჳმა-ყვეს უფლისა მიმართ და თქუეს G

ზაქ. 1:6 *ἀπεκριθήσαν καὶ εἶπαν*: მიუგეს და ჳრქუეს Geo

ალბათ სწორედ ბიბლიის ენის სტილის ხაზგასასმელად და არა თარგმანისადმი თავისუფალი მიდგომის გამო, მსგავს გამოთქმებში, სადაც მეორე წევრი მიმღეობითაა წარმოდგენილი, ეს უკანასკნელი ძველ ქართულ თარგმანში 'და' კავშირით შეერთებული პირიანი ფორმითაა გადმოტანილი და არა მიმღეობით (იხ., მაგ.

¹⁷² ეს არ არის სინონიმები, რომლებიც, როგორც წესი, ქართულშიც 'და' კავშირით არიან შეერთებული ხოლმე, შდრ. მიძიგური 1969, 28-30.

გელათური თარგმანი - მეტყუელი), ანდა ბერძნული პარტიციპიუმის ჩვეული ქართული შესატყვისით - დამოკიდებული წინადადებით¹⁷³, მაგ.:

იონა 1:1; 3:1; ანგ. 1:1,3 *ἐγένετο λόγος κυρίου ...λέγων: იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ... და ჰრქუა;*

ზაქ. 1:14 *ἀνάκραγε λέγων: დალაღ-ყავ და თქუ JO, შდრ. აღილაღადე მეტყუჴლმან GS*
ანგ. 2:1 *ἐλάλησεν κύριος ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων: ეტყოდა უფალი ჳელითა ანგეა წინაწარმეტყუელისაჲთა და თქუა JO; თქუა უფალმან ჳელითა ანგეა წინააწარმეტყუჴლისათა მეტყუჴლმან S.*

მაპირისპირებელი 'და'

καί მაპირისპირებელი ფუნქციით (*καί* adversativum) უკვე კლასიკურ ბერძნულში გვხვდება, მაგრამ როგორც Jerker Blomqvist-ი აღნიშნავს, ამგვარი ფუნქცია უფრო ხელოვნურია და სტილისტური მოსაზრებით, ეფექტისთვის არის გამოყენებული. რაც შეეხება კოინეს ბერძნულში *καί*-ს ურთიერთდაპირისპირებული წინადადებების შემაერთებელ ფუნქციით ხმარებას, მკვლევარი მას სემიტურის გავლენას მიაწერს (Blomqvist 1979, 13; Aejmelaeus 1982, 15).

ა. ემელეუსს მიზანშეწონილად არ მიაჩნია *καί*-ისთვის adversativum-ის ფუნქციის გამოყოფა.¹⁷⁴ მისთვის, როგორც Blomqvist-ისთვის, დაპირისპირებას ამ კონტექსტებში *καί* კი არ ქმნის, არამედ წინადადებების გამოკვეთილი შინაარსი, სადაც *καί* „სტილისტურ ნეიტრალიტეტს“ ინარჩუნებს (Blomqvist 1979, 52).

¹⁷³ თუმცა ასეთი მაგალითიც გვაქვს: ზაქ. 1:14 *καὶ εἶπεν πρὸς με ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἐμοί: და მრქუა მე ანგელოზმან მან, რომელი მეტყოდა მე JO, შდრ. და თქუა ჩემდამო ანგელოზმან მზრახვალმან ჩემ შორის GS*

¹⁷⁴ ამ ფუნქციას ბერძნულში სხვა კავშირები - ἄλλὰ, δὲ, ἢ ატარებენ. ქართულში გამოკვეთილად მაპირისპირებელი მნიშვნელობის კავშირებია 'ხოლო' 'არამედ.'

ქართულში 'და'-ს მაპირისპირებელ ფუნქციას გამოყოფს შ. დიმიტრიც, რომელსაც ძველი ქართულიდანაც მოაქვს რამდენიმე მაგალითი და იმასაც აღნიშნავს, რომ საშუალო ქართულში დაპირისპირების გასაძლიერებლად 'და' კავშირთან ერთად 'კი' ნაწილაკიც იხმარება ხოლმე (დიმიტრი 1969, 25-26), რაც, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ 'და' დამოუკიდებლად მაპირისპირებელ ფუნქციას ვერ გამოხატავს.

ბიბლიის ქართულ თარგმანებში და, მათ შორის, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში, 'და' ერთმანეთს უკავშირებს ზმნებით გამოხატულ მოქმედებებს, მოქმედ თუ სამოქმედო პირებს ანდა მათ მახასიათებლებს და 'ხოლო'-თიც შეიძლება ჩანაცვლდეს:

ოს. 2:23 ἐπακούσομαι τῆν οὐρανὸν **καὶ** ὁ οὐρανὸς ἐπακούσεται τῆν γῆν¹⁷⁵: ვისმინო მე ცისაჲ და ცამან ისმინოს ქუეყანისაჲ O S.

მიქ. 3:12 Σιών ἄς ἀγρὸς ἀροτριθήσεται, **καὶ** Ἱερουσαλὴμ ἄς ὀπωροφυλάκιον ἔσται **καὶ** τὸ ὄρος τοῦ οἴκου εἰς ἄλσος ἄριστον: სიონი, ვითარცა ყანაჲ მოიჭნას და იჭრუსალემი, ვითარცა ხილისსაცავი იქმნას, და მთაჲ იგი სახლისა უფლისაჲ - ვითარცა სერტყი მალნარისაჲ OGeo; სიონი, ვითარცა ყანაჲ მოიერქუნოს და იჭრუსალიმი ხილისსაცავად იყოს, და მთაჲ სახლისა ოვფლისაჲ - სერტყად მალნარისაჲ GS; სიონი მოიერქუნოს და იჭრუსალიმი, ვითარცა ხილის საცავი იქმნეს, და ტაძრისა საზღვარი, ვითარცა სერტყი მალნარისაჲ იყოს t.

მიქ. 4:4 καὶ ἀναπαύσεται ἕκαστος ὑποκάτω ἀμπέλου αὐτοῦ **καὶ** ἕκαστος ὑποκάτω συκῆς αὐτοῦ: და განისუენებდეს კაცად-კაცადი ქუეშე ვენაცსა თვისსა, და კაცად-კაცადი - ქუეშე ლელუსა თვისსა JOp; და განისუენებდეს კაცადი ქუეშე ვენაცსა თვისსა და კაცადი - ქუეშე კერძო ლელუსა თვისსა GS

¹⁷⁵ ვისმინ ცისას, ხოლო ცა - მიწისას.

მიქ. 4:2 ἐκ Σιών ἐξελεύσεται νόμος **καὶ** λόγος κυρίου ἐξ Ἱερουσαλήμ: სიონით გამოვიდეს შჯული და სიტყუა ოვფლისა - იწრუსალემით JOp; რამეთუ სიონისაგან გამოვიდეს შჯული და სიტყუა უფლისა - იწრუსალიმისაგან GS.

მალ. 1:2 ἡγάπησα ὑμᾶς λέγει κύριος **καὶ** εἶπατε ἐν τίνι ἡγάπησας ἡμᾶς¹⁷⁶: შეგიყუარენ თქუენ, - იტყვს ოვფალი - და სთქუათ: რადთა (რადსა შორის S) შემეყუარენ ჩუენ? Geo

ოს. 2:25 **καὶ** ἐρῶ τῷ Οὐ λαῷ μου λαός μου εἶ σὺ **καὶ** αὐτὸς ἐρεῖ κύριος ὁ θεός μου εἶ σὺ: და ვჰრქუას არა-ერსა ჩემსა: «ერი ჩემი ხარი შენ», და მან მრქუას: «უფალი ღმერთი ჩემი ხარი შენ.» OS

ოს. 1:9 ὑμεῖς οὐ λαός μου **καὶ** ἐγὼ οὐκ εἶμι ὑμῶν: თქუენ - თქუენ არა ერი ჩემი და მე არა ვარ თქუენი O; შდრ. და არა ვარ ღმერთი თქუენი, რამეთუ არა ხართ თქუენ ერი ჩემი S

უფრო გამოკვეთილია დაპირისპირება, როცა 'და' კავშირი წართქმით და უკუთქმით წინადადებებს აერთებს - სადაც დაპირისპირებულ ცნებათაგან ერთ-ერთს უარყოფითი ნაწილაკი დაერთვის:¹⁷⁷

ანგ. 1:6 ἐσπείρατε πολλὰ **καὶ** εἰσηγάκατε ὀλίγα,¹⁷⁸ ἐφάγετε **καὶ** οὐκ εἰς πλησμονήν, ἐπίετε **καὶ** οὐκ εἰς μέθην, περιεβάλεσθε **καὶ** οὐκ ἐθερμάνθητε ἐν αὐτοῖς: სთესეთ ფრიად და შეიღეთ მცირედ, შჰამეთ და არა მამღრივ, სუთ და არა სიმთრვალედ, შეიმოსეთ და ვერ განსტეფით JO; სთესეთ მრავალი და შეიკრიბენით მცრედ, ჰამეთ და არა განმღომად, ჰსუთ და არა სიმთრვალედ, გარე-მოისხთ და არა განსტეფით მათ მიერ S

ოს. 4:10 **καὶ** φάγονται **καὶ** οὐ μὴ ἐμπλησθῶσιν, ἐπόρνευσαν **καὶ** οὐ μὴ κατευσίνωσιν: და ჰამდენ და ვერ განმღებოდიან; ისიძვიდენ და ვერ წარემართოს O; შდრ. სჰამდენ, ვერ განმდენ, მრუშობდენ-ყე და არ დასცხრეს S

¹⁷⁶ ღმერთი იტყვის - შეგიყვარებთ, ხოლო ესენი იტყვიან: რის გამო შეგიყვარებ ჩვენ?

¹⁷⁷ შემთხვევითი არაა, რომ ბერძნულ ხელნაწერებში ამგვარ კონტექსტებში καὶ-ს მაპირისპირებელი კავშირი δε ენაცვლება ხოლმე, მაგ.: მიქ. 4:12.

¹⁷⁸ სთესეთ ბევრი, მაგრამ ცოტა მოიღეთ...

ოს. 14:3 *μη λάβητε ἀδικίαν και λάβητε ἀγαθὰ*¹⁷⁹: არა მიიღოთ სიცრუე, და მიიღოთ კეთილი Geo

ოს. 2:9 *και καταδιώξεται τους ἐραστὰς αὐτῆς και οὐ μη καταλάβῃ αὐτούς*: და სდევდეს ტრფიალთა და ვერ ეწიოს მათ O; მისდევდეს ტრფიალთა თვსთა და ვერ ეწინეს მათ S

ამბ. 1:2 *ὡς τίνος κύριε κερᾶξομαι και οὐ μη εἰσακοῦσης βιήσομαι πρὸς σὲ ἀδικοῦμενος και οὐ σῴσεις*: ვიდრემდე, ოჯფალო, ვლალადებდე, და არა ისმენ (ისმინე p), ვკმობ შენდამი, დაჭირვებული და არა მივსნი (მივსენ p) JO K5 p; ვიდრე რომლისამდე, უფალო, ვლალადებდე და არა ისმენ, ვკმობ შ(ე)ნდამი დაჭირვებული, და არა მივსნი S

მაპირისპირებელ კავშირად ბერძნულში, ჩვეულებრივ, ἄλλὰ გამოიყენება. როდესაც ერთმანეთს დიდი მონაკვეთები უპირისპირდება, ძველ ქართულ თარგმანში ἄλλὰ-ს 'და' შეიძლება შეენაცვლოს:

მალ. 2:16 *ἀλλὰ ἐὰν μισήσας ἐξᾶποστειλῆς*: და, უკუეთუ მოიძულო და განადო JO, შდრ. არამედ, უკეთუ მომძულელებელი განავლენ S.

მოულოდნელობა, გაკვირვება

კიდევ ერთი სემანტიკური ნიუანსი, რომელსაც მიიჩნევა რომ ებრაული 1-ის გარდა, ბერძნული *και*-ც აჩენს კონტექსტში, არის მოულოდნელობა, მოულოდნელი გასაკვირი, სურპრიზი. ეს სემანტიკაც, ჩვეულებრივ, წინამავალ მოქმედებასთან დაპირისპირებასაც (საპირისპირო მოვლენის მოულოდნელი გაგრძელება) გულისხმობს. მაგ., ზემოთმოყვანილი ამბ. 1:2-ის *και* მოულოდნელობის, გაკვირვების

¹⁷⁹ ნუ მიიღებთ უსამართლობას, არამედ მიიღეთ კეთილი.

სემანტიკის გამომხატველად მიაჩნია მურაოკას თავის ლექსიკონში (4.)¹⁸⁰. ამავე სემანტიკის გამომხატველად თვლის იგი **και**-ს შემდეგ კონტექსტებშიც:¹⁸¹

მალ. 2:14 "Οτι κύριος διεμαρτύρατο ἀνὰ μέσον σου **και** ἀνὰ μέσον γυναικὸς νεότητός σου, ἣν ἐγκατέλιπες, **και** ἀπὴ κοιναςός σου **και** γυνή διαθήκης σου¹⁸²: რამეთუ ოვფლი გიწამებდა შორის შენსა და შორის ცოლისა სიჭაბუკისა შენისა, რომელი დაუტევე ეგე **და** (>O) - ზიარი შენი და ცოლი აღთქმისა შენისაჲ JO; უფლისაჲთჳს გელმა შორის შენსა და შორის ცოლისა სიჭაბუკისა შენისაჲსა, რაჲთა დაუტევე, **და** ესე - ზიარი შენი და ცოლი აღთქმისა შენისაჲ S

ამბ. 2:19 Οὐαὶ ὁ λέγων τῷ ξύλῳ "Ἐκνηψον ἐξεγέρθητι, **και** τῷ λίθῳ Ἵψάθητι: **και** ἀπὸ ἐστὶ φαντασία¹⁸³ : ვაჲ, რომელმან ჰრქუას ძელსა: განიფრთხვე, განიღვძე! და ქვასა - აღმალღდი! **და** იგი არს საუცარი JK5O; ვაჲ, რომელმან ჰრქუას ძელსა: განიფრთხუღ, აღდგე! ქუაჲსა - ამალღდი! **და** იგი არს ოცნებაჲ S.

ამ მაგალითებს შეიძლება სხვაც მივუმატოთ:

მალ. 3:15 καὶ ἀντέστησαν θεῶ **και** ἐσώθησαν¹⁸⁴: და წინააღუდგეს ღმერთსა **და** ცხოველ არიან J O; და წინააღუდგეს ღმერთსა **და** ცხონდეს S.

‘და’-თი დაწყებული წინადადება არ შეესაბამება იმ მოლოდინს, რომელსაც წინმავალი წინადადება აჩენს. ასეთ შემთხვევაში დაპირისპირება ‘და’-ს თანმხლები უარყოფითი ნაწილაკითაც გამოიხატება:

ამოს. 4:11 **και** ἐγένεσθε ὡς δαλὸς ἐξεσπασμένος ἐκ πυρός **και** οὐδ’ ὧς ἐπεστρέψατε πρὸς με: და იქმნენით, ვითარცა მუგუზნი, გამოტაცებულნი ცეცხლისაგან, **და** არცა ესრე (ეგრეთ

¹⁸⁰ ... და აი, შენ არ მისმენ.

¹⁸¹ მურაოკა მოულოდნელობის გამომხატველად მიიჩნევს και-ს სხვა კონტექსტებშიც: ამბ. 2:19; სოფ. 1:4c.

¹⁸² წინადადების აზრია: ცოლი მიატოვე, მიუხედავად ამისა// და აი, მაინც შენი ცოლია

¹⁸³ ვაი მას, ვინც ქვას ეუბნება - ამალღდიო, მიუხედავად ამისა// და აი, ის კი რეალური არ არის.

¹⁸⁴ თუმცა ღმერთს წინ აღუდგებიან, მაგრამ აი, (ამის მიუხედავად) ცხონდებიან.

GS) მოიქეცით ჩემდა (ჩემდამო GS) OGeo GS; და იქმნენით ... ვითარ მუგუზნი ცეცხლით გამოხუმილნი, და არცა ეგრეთ მოიქეცით ჩემდამო t.

ზაქ. 1:4 ἀποστρέψατε ἀπὸ τῶν ὀφθῶν ὑμῶν τῶν ποσηρῶν καὶ ἀπὸ τῶν ἐπιτηδευσμάτων ὑμῶν τῶν ποσηρῶν **καὶ** οὐ προσέσχεον τοῖς εἰσακοῦσαις μου: მოიქეცით ჩემდა - იტყვს უფალი - გზათაგან თქუენთა ბოროტთა და საქმეთაგან თქუენთა არაკეთილთა! და არა ისმინეს ჩემი და არცა მერჩდეს მეOGeo; ამათ იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: მოიქეცით გზათაგან თქუენთა ბოროტთა და სიმარჯუჭთაგან თქუენთა ბოროტთა! და არ შეისმინეს და არ მოიხილეს შესმენად ჩემდა S.

მოულოდნელობის სემანტიკა გამოკვეთილია ასევე, როდესაც ἡ კომბინაციაშია დემონსტრაციული კონოტაციის შორისდებულთან - ἡ (და აი). ეს კომბინაცია სეპტუაგინტაში **καὶ ἰδοὺ**-თი გადმოდის ხოლმე. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში **ἰδοὺ**-ს გარეშე **καὶ** მხოლოდ ერთხელ შეესატყვისება ἡ-ს და ქართულშიც მარტოდენ 'და'-თია თარგმნილი:

ანგ. 1:9 ἐπεβλέψατε εἰς πολλὰ **καὶ** ἐγένετο ὀλίγα: მიხედეთ ფრიადსა (ფრიად O) და იქმნა მცირედ (მცირედი Ip) OGeo; მიიხილეთ მრავალთა ზედა და იქმნეს მცირედნი S.

სხვაგან ყველგან მოულოდნელი გაკვირვების სემანტიკის გამოსახატად ებრაული ἡ ბერძნულად καὶ ἰδοὺ-თი, ხოლო ქართულად - ძველ თარგმანში 'და აჰა ესერა' (გადამწერთა ვარიანტებია და ესერა/და აჰა ესე), გელათურ თარგმანში კი 'და აჰა'-თია გადმოტანილი:

ამოს 7:1 οὐτως ἔδειξέν μοι κύριος **καὶ ἰδοὺ** ἐπιγινή ἀκρίδων ἐρχομένη ἐσθινή **καὶ ἰδοὺ** βροῦχος εἰς Γαῦ ὁ βασιλεύς: ესრეთ მიჩუნა მე უფალმან ღმერთმან, და აჰა ესერა, ნაშობი მკალთაჲ, მომავალი ცისკრისაჲ, და აჰა ესერა, ბუზს ისგუგ მეფს! OGeo; ესრეთ მიჩუნა მე უფალმან უფალმან, და აჰა, აღმოფუილი მკალთაჲ, მომავალი ცისკრეული, და აჰა, ბუზი გოგისსა მიმართ მეფე! GS; ესრეთ მიჩუნა მე უფალმან, და აჰა, ნაყოფსა ზედა მკალი საცისკროდ მომავალი, და აჰა, ბუზს გრგ მეფისად! S-417 M3

ზაქ. 1:11 περιωδένκαμεν πᾶσαν τὴν γῆν **καὶ ἰδοὺ** πᾶσα ἡ γῆ κατοικεῖται καὶ ἡσυχάζει: მოვლეთ ყოველი ქუეყანა, **და ესერა (და აჰა ესე)** ყოველი ქუეყანა დაშწნებულ არს OJ; განმე-მოვსწყლეთ ყოველი ქუეყანა, **და აჰა**, ყოველი ქუეყანა მკვდროვნობს S
ზაქ. 1:8 ἑώρακα τὴν νύκτα **καὶ ἰδοὺ** ἀνὴρ ἐπιβεβηκὼς ἐπὶ ἵππον ვიხილე ჩუენებასა ღამისასა: **და აჰა-ესერა**, კაცი აღმკედრებული ცხენსა ზედა OJ; ვიხილე ღამით: **და აჰა**, მამაცი აღმავალი ცხენსა ზედა SB

‘და’ მიმართებითი ნაცვალსახელის სანაცვლოდ

‘და’ მიმართებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს ხოლმე მთავარ წინადადებასთან და ფაქტიურად მიმართებითი კავშირის - ნაცვალსახელის ადგილს იკავებს:

იონა 2:11 καὶ προσετάγη τῷ κήτει, **καὶ** ἐξέβαλε τὸν Ἰωνᾶν ἐπὶ τὴν ξηράν¹⁸⁵: და უბრძანა უფალმან ვეშაჰსა მას, **და** გამოაგდო იონა ჯმელად OGeo;¹⁸⁶ და ებრძანა უფლისა მიერ ვეშაჰსა, **და** განაგდო იონა ჯმელსა ზედა S

ამოსი 2:5 καὶ ἐξαποστελῶ πῦρ ἐπὶ Ἰουδαὶν **καὶ** καταφάγεται θεμέλια Ἱερουσαλημ: და გამოვაკლინო ცეცხლი იუდასა ზედა **და** შექამნეს საფუძველნი იერუსალემისანი Geo

ოს. 14:10 Τίς σοφὸς **καὶ** συήσει ταῦτα; ἢ συνετὸς **καὶ** ἐπιγνώσεται αὐτὰ¹⁸⁷: ვინ არს ბრძენ, **და** გულის ხმაყოს ესე? და გონიერ, **და** ცნას იგი? O; ვინ არს ბრძენ **და** გულის ხუმაყვნეს ესე? გულისჯმიერ, **და** ცნეს ესენი?

¹⁸⁵ ღმერთმა უბრძანა ვეშაჰს, რომელმაც გამოაგდო იგი.

¹⁸⁶ კალას ლექციონარი მისდევს ძველ თარგმანს, მაშინ, როდესაც სინას, ლატალის და პარიზის ლექციონარები უპირო კონსტრუქციას ხმარობენ მარტივი წინადადების ნაცვლად: და უბრძანა უფალმან ღმერთმან ვეშაჰსა მას გამონერწყვად იონადსი ჯმელად.

¹⁸⁷ ვინაა ბრძენი, რომელიც შეიცნობს ამას? შეიძლება ასეც გაგვეგო: ვინაა ისეთი ბრძენი, რომ შეეცნო ეს?

თანამიმდევრობის 'და'¹⁸⁸

თანამიმდევრობის 'და' ერთმანეთს უკავშირებს წინადადებებს, რომლებიც აზრობრივად ამა თუ იმ თვალსაზრისით დაქვემდებარებული არიან ერთმანეთზე. ამრიგად, ლოგიკურად დაქვემდებარებული წინადადება მაერთებელი კავშირის, 'და'-ს გამო, ფორმალურად თანწყობილ წინადადებად იქცევა, ანუ რეალურ სუბორდინაციას 'და'-ს მეშვეობით ფორმალური კოორდინაციის სახე აქვს. მაგრამ ხომ არ შეიძლება პირუკუც წარმოვიდგინოთ, კერძოდ, რომ მაერთებელი კავშირი 'და' დაქვემდებარებული კავშირის ფუნქციას ტვირთულობს? ანუ ისევ იმავე დილემის წინაშე ვდგევართ: სხვა კავშირების მსგავსად, 'და' კავშირი ანიჭებს გარკვეულ მნიშვნელობას წინადადებას თუ - თანწყობილი წინადადებების სემანტიკა კავშირის გარეშეც გასაგებია და 'და' მხოლოდ მიჯნავს ამ წინადადებებს?

1.1. თანამიმდევრობა დროში

იონას უნდა თავი აარიდოს უფლის დავალებას (წავიდეს ნინევიაში და ღვთის სასჯელის მოახლოება აუწყოს ქალაქის მკვიდრთ) და გაურბის ღმერთს:

იონა. 1:3 **καὶ** ἀνέστη Ἰωνᾶς τοῦ φυγεῖν εἰς Θάρσις ἐκ προσώπου κυρίου **καὶ** κατέβη εἰς Ἰοππην **καὶ** εὔρεν πλοῖον βασιλεῖον εἰς Θάρσις **καὶ** ἔβαινε τὸ ναῦλον αὐτοῦ **καὶ** ἐνέβη εἰς αὐτὸ τοῦ πλεῖσαι μετ' αὐτῶν εἰς Θάρσις: **და** აღდგა იონა სივლტოლად **და** წარსლვად (და წარვიდა სივლტოლით O) თარშიდ პირისაგან უფლისა, **და** შთავიდა იოჰედ, **და** პოვა ნავი, მიმავალი თარშიდ, **და** მისცა სანავე მისი, **და** შევიდა იგი მას J O; **და** აღვიდა იონა სივლტოლად თარშიდ პირისაგან უფლისა, **და** შთავიდა იოჰედ, **და** პოვა ნავი, მიმავალი თარშიდ, **და** მისცა სანავე მისი **და** აღვიდა მისდამი G.

¹⁸⁸ საინტერესო და ყურადსაღები ასპექტებით არის განხილული ამ ფუნქციის 'და' კავშირი ვინფრიდ ბოდერის მიერ *შუშანიკის წამების ტექსტის* მაგალითზე (ბოდერი 1994).

იონას გაქცევა მოკლე მოქმედებებად არის დაყოფილი, რომლებიც 'და' კავშირით შეერთებული, დროში ერთმანეთის მიმდევრობით დალაგებული შემასმენლებით არის გამოხატული. ქართულში, ისევე, როგორც ბერძნულში, ეს შემასმენლები და მასთან დაკავშირებული წინადადებების წევრები დროის ან ადგილის დამოკიდებულ წინადადებებთან შეიძლება გადმოტანილიყო:¹⁸⁹ *იონა გაიქცა ღვთისაგან და, როდესაც ჩავიდა იოპეში, ნახა თარშისკენ მიმავალი ნავი, და, გადაიხადა რა საფასური, ჩაჯდა მასში;* ან: *ღვთისგან გაქცეული იონა, ჩავიდა იოპეში, სადაც ნახა თარშისკენ მიმავალი ნავი, და, გადაიხადა რა საფასური, ჩაჯდა მასში.* სწორედ იმის გამო, რომ შინაარსობლივად დროის დამოკიდებული წინადადებები დროის კავშირებით არაა ერთმანეთთან შეერთებული, წინადადებები მათში გამოხატული მოქმედებების დროის ხაზის მიხედვით მიჰყვებიან ერთმანეთს და მათი გადაადგილება მოქმედების მდინარების დარღვევის გარეშე შეუძლებელია.

1.2. ლოგიკური თანამიმდევრობა

მოქმედებების თანამიმდევრობა ლოგიკურად შეიძლება იყოს. ერთმანეთთან ლოგიკურ მიმართებაში (დაქვემდებარებაში) მყოფი მოქმედებები ფორმალურად ასევე და *1// και //* და კავშირებით შეერთებული თანწყობილი წინადადებებით გამოიხატება.

შედეგი

მოქმედების თანამიმდევრობა გარდა დროში თანამიმდევრობისა, მიზეზ-შედეგობრივ თანამიმდევრობასაც გულისხმობს. იონას წინასწარმეტყველების მომდევნო კონტექსტში სწორედ ამგვარი თანამიმდევრობითაა აგებული თხრობა:

¹⁸⁹ ბერძნულში ამ წინადადებების შესატყვისად შეიძლება უპირო კონსტრუქციები - participium conjunctum ან genetivus absolutus გამოყენებულიყო.

იონას ურჩებას უპირისპიდება ღვთის მოქმედება - ქარის ამოვარდნა, რასაც შედეგად მოჰყვება ზღვის ღელვა და ამ უკანასკნელის შედეგი - ნავის დაღუპვის პირამდე მისვლა.

1:3 **Kai** κύριος ἐξήγειρε πνεῦμα (μεγα) εἰς τὴν θάλασσαν, **kai** ἐγένετο κλύδων μέγας ἐν τῇ θαλάσῃ, **kai** τὸ πλοῖον ἐκινδύνευσεν συντριβῆναι: და (ხოლო k) უფალმან აღადგინა ქარი დიდი ზღუასა ზედა, და იყო ღელვაჲ დიდი ზღუასა შინა, და ნავი იგი მიახლებულ იყო შემუსრვად JO; და ოჯვალმან აღადგინა ქარი სასტიკი ზღოვასა მას ზედა, და ნავი იგი შეურვებულ იყო, ვიდრე შემუსრვამდე s; და უფალმან აღადგინა ქარი ზღუასა შინა, და იქმნა ღელვაჲ დიდი შორის ზღვსა, და ნავი დაჭირვებულ იქმნებოდა შემუსრვად G.

როგორც ვხედავთ, ამ კონტექსტში 'და' კავშირით დაწყებული წინადადებებები წინა წინადადებაში გამოხატული მოქმედების ლოგიკურ შედეგს გამოხატავენ ('და'-ს ნაცვლად შეიძლება გადახედოთ *ამის გამო, შედეგად*): პირველი წინადადება - და იყო ღელვაჲ დიდი ზღუასა შინა - ერთსადაიმავე დროს წინამავალი წინადადების შედეგია (ანუ რეალურად - მთავარი წინადადების, აპოდოსისის ფუნქციის მატარებელია), და, ამავე დროს, მომდევნო წინადადების მიზეზიც (ანუ რეალურად - დამოკიდებული წინადადების, პროტასისის ფუნქციის მატარებელიც).¹⁹⁰

როგორც წესი, 'და'-თი იწყება მოქმედების აღწერა, რომელიც ღვთის ბრძანებას, მის ქმედებას, ანდა ღვთისადმი მიმართვას მოჰყვება შედეგად:

იონა 2:3 Ἐβόησα ἐν θλίψει μου πρὸς κύριον τὸν θεόν μου, **kai** εἰσήκουσέ μου: ლალად-ვყავ ჭირსა (+შინა) ჩემსა უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა, და ისმინა (შეისმინა S) ჩემი Geo

იონა 3:10 **kai** μετενόησεν ὁ θεὸς ἐπὶ τῇ κακίᾳ, ἣ ἔλαλῃσε τοῖς ποιῆσαι αὐτοῖς, **kai** οὐκ ἐποίησεν : და შეინანა ღმერთმან ბოროტის-ყოფისათვის, რომელსა იტყოდა მათთვის, და არა უყო

¹⁹⁰ იხ. ქვემოთ, აპოდოტური 'და'. ბერძნულში და ქართულში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში διὰ τοῦτο (ამისათვის), διότι (რამეთუ) იხმარება ხოლმე. ებრაულში ლოგიკურ მიმართებებს კავშირი უ (conj. that, for, when) გამოხატავს, ბერძნულში კი ὅτι, γὰρ, ὅδε, ქართულში - ხოლო, რამეთუ.

OGeo; და შეინანა ღმერთმან სიბოროტესა ზედა, რომელი თქუა ყოფად მათდა, და არა უყო S.

და-თი დაწყებული წინადადების სემანტიკა კიდევ უფრო გამოკვეთილია, როცა საქმე ეხება მომავალში აღსასრულებელი მოვლენის შედეგს:

ოს. 2:5 τάξω αὐτὴν ὡς γῆν ἄνυδρον καὶ ἀποκτενῶ αὐτὴν ἐν δΐψει¹⁹¹: დავაწესო იგი, ვითარცა ქუეყანად ურწყული, და მოვაკუდინო იგი წყურბლითა O; და ვყო, ვითარცა ქუეყანა ურწყული, და მოვსპო იგი წყურბლითა S.

მიზანი

როცა კონტექსტში გადმოცემული მოქმედება მომავალში აღსასრულებელ მოვლენებსა თუ მოქმედებებს ასახავს, მოსალოდნელი შედეგი ამავდროულად მიზანდაც შეიძლება ჩაითვალოს¹⁹² (Aejmelaeus 1982: 17), მაგ., უკვე მოყვანილ კონტექსტში: ოს. 2:5. ამგვარ გაგებას განსაკუთრებით უწყობს ხელს ლოგიკურად მთავარი წინადადების შემასმენლის ბრძანებითი და კითხვითი კილოებიც:

იონა. 1:11 τί σοι ποιήσωμεν καὶ κοπάσει ἡ θάλασσα ἀφ' ἡμῶν : რა გიყოთ შენ და დასცხრეს ზღუად ესე ჩუენ ზედა OGeo; რა გიყოთ შენ და დასცხრეს ჩუენ ზედა ზღუად? GS.

მიზნის შინაარსი უფრო გამოკვეთილია, როდესაც ლოგიკურად დამოკიდებული წინადადების შემასმენელს უარყოფითი ნაწილაკი ერთვის:

მალ. 2:16 καὶ φυλάξασθε ἐν τῷ πνεύματι ὑμῶν καὶ ὅς μὴ ἐγκαταλίπητε¹⁹³ : დაიცევით სულითა თქუენითა და არა დაუტევოთ JO; და დაიცევით სულისსა შორის თქუენისა და არ დატევებულ იქმნეთ! S

¹⁹¹ მოურწყავ ქვეყნად ვაქცევ და, შედეგად, წყურბლით მოვკლავ ან: მოურწყავ ქვეყნად ვაქცევ იმისათვის, რომ წყურბლით მოვკლა.

¹⁹² რთულ წინადადების შემთხვევაში მიზნის გამოხატვის ფუნქციით ბერძნულში იხმარება ἵνα, თუმცა მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ეს კავშირი მხოლოდ კითხვით წინადადებაში გვხვდება.

¹⁹³ დაიცავით სული, იმისათვის, რომ არ იქნათ მიტოვებულნი. თუმცა შეიძლება ასევე ჩაგვეთვალოს, რომ წინადადებას პირობითი სემანტიკისაა, ხოლო პროტასისის კავშირი გამოტოვებულია: (თუკი) სულს დაიცავთ, არ იქნებით მიტოვებულნი.

ოს. 2:8 *καὶ ἀνοικθῆσθε τὰς ὀδοὺς αὐτῆς καὶ τὴν τρίβον αὐτῆς ὅτι μὴ εἴρη*: აღვეყრო გზად მისი და ვერ პოვნეს ალაგნი მისნი O; მოვზლუდნე ყორითა და კვალნი შენნი არა იპოვნეს S.

მივუბრუნდეთ თავიდანვე დასმულ კითხვას: რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ 'და' კავშირს ბიბლიის ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს შეძენილი და, მსგავსად სხვა კავშირებისა (მაგ. მიზეზის, მიზნის, დროის და ა.შ.), ეს მნიშვნელობა განსაზღვრავს მისით დაწყებული წინადადების შინაარსს. თუ ზემოხსენებულ მაგალითების მიხედვით ვიმსჯელებთ, ცხადი უნდა იყოს ის, რაც უკვე ითქვა: 'და'-თი შეერთებული წინადადებების შინაარსისა და ურთიერთმიმართების განსაზღვრა, ამა თუ იმ სემანტიკური ნიუანსის წინ წამოწევა კონტექსტის მკითხველისეულ წაკითხვაზეა დამოკიდებული და სუბიექტურია. *καὶ*/'და'-ს დროის, შედეგისა ან მიზნის გამოხატვის ფუნქცია რომ ჰქონოდა, სუბიექტურობასაც აღარ ექნებოდა ადგილი როგორც ეს სხვა, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე კავშირების (მაგ., რაფთა, ოდეს, გარნა, ხოლო...) შემთხვევაში არის ხოლმე. ამდენად, უნდა დავეთანხმეთ ანელი აემელეუსს და ეს დასკვნა ქართულისთვისაც გავიზიაროთ: *καὶ*/'და' კავშირებისთვის დაპირისპირების, დროის, მიზნის, მიზეზის, და სხვ. გამომხატველი მნიშვნელობის გამოყოფა¹⁹⁴ არ უნდა იყოს სწორი (Aejmelaeus 1982: 14, 16). *καὶ*/'და' სემანტიკურად ნეიტრალურ, მნიშვნელობისგან დაცლილ კავშირებს¹⁹⁵ წარმოადგენენ, რომელთა ფუნქცია მხოლოდ ისაა, რომ თხრობის ერთიანობა და უწყვეტობა უზრუნველყონ.

აპოდოტური 'და'¹⁹⁶

¹⁹⁴ იხ. ეს მნიშვნელობები Blaf/Debrunner/Rehkopf 2001, §442; Muraoka 1993.

¹⁹⁵ ამ აზრს არ ეთანხმება Jan de Waard-ი (1984:123).

¹⁹⁶ მთავარი წინადადების 'და'/'ხოლო'-თი დაწყება შენიშნული აქვს ს. ყაუხჩიშვილს. ამ მოვლენას იგი ორიგინალურ ლიტერატურაშიც ადასტურებს (საინტერესოა, რომ უმთავრესად სერაპიონ ზარზმელის

ზემოთ ვმსჯელობდი 'და' კავშირზე, რომელიც ფორმალურად თანწყობილ და რეალურად ქვეწყობილ წინადადებებს აერთებდა ერთმანეთთან. დასახელებულ მაგალითებში, სადაც მოქმედებები დროითი ან ლოგიკური თანამიმდევრობით (როგორც პირობა და შედეგი) იყო დალაგებული, შესაბამისი ფუნქციისა და მნიშვნელობის (დროის ან პირობის) მისამართი სიტყვები და კავშირები არ ფიგურირებდა, ამიტომაც რეალურად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას 'და'-ს მეშვეობით ფორმალურად პარატაქსის სახე ჰქონდა. ახლა კი განვიხილავ ისეთ მაგალითებს, სადაც 'და' რთული წინადადების ნაწილებს აკავშირებს ერთმანეთთან: მთავარი წინადადების, აპოდოსისის¹⁹⁷ თავში დგას და მას წინამავალ, დამოკიდებულ წინადადებას - პროტასისს უკავშირებს, რომელსაც პირობითი ან დროის დამოკიდებული წინადადების მნიშვნელობას შესაბამისი შინაარსის კავშირები და ნაწილაკები ანიჭებს.¹⁹⁸ ცხადია, ესეც ებრაულის გავლენის მაგალითია, სადაც 1 აპოდოსისის თავში დგას ხოლმე (თუმცა არა აუცილებლად: Joüion–Muraoka, §176) და მის მარკერს წარმოადგენს, ოღონდ ისე, რომ მას არავითარი სპეციალური მნიშვნელობა არ ენიჭება. ებრაულის ეს იდიომა ბერძნულ თარგმანშიც არის გადმოსული და ამ ენისათვის სრულიად არაიდიომატურ - არაბუნებრივ კონსტრუქციას ქმნის¹⁹⁹ (Aejmelaeus 1982: 126-127).

ცხოვრებაში და ანასეულ ქართლის ცხოვრებაში) და მას ქართული ენის გარკვეული ეტაპისთვის ბუნებრივად და კანონზომიერად მიიჩნევს: „თუ დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, მაშინ მთავარი წინადადება იწყება ხოლმე კავშირით „და“, „ხოლო“ ან ზოგჯერ სხვა რომელიმე კავშირით“ (ყაუხჩიშვილი 1949: 112). მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ბერძნულში ამ ტიპის კონსტრუქციაში, სადაც მიზნისა და დროის დამოკიდებულ წინადადებას 'და'-თი დაწყებული მთავარი წინადადება მოჰყვება, 'და'-ს ფუნქცია „წინარებერძნული დროის მასალებით უნდა აიხსნას“ (ყაუხჩიშვილი 1949, განს. 112, 116-117). განსხვავებული აზრი აქვს 'და'-ს ამ ფუნქციის წარმომავლობაზე კ. დანელიას, რომელიც მას ებრაიზმად მიიჩნევს (დანელია 1998, 37).

¹⁹⁷ იხ. Aejmelaeus 1982: 128-138; Muraoka 2016, 767; Gehman 1951: 81-82, ხარანაული 2017: 266-267.

¹⁹⁸ ბერძნული ენისათვის უფრო დამახასიათებელია ასეთი აპოდოსისის ἄσπε, ἀλλά, δέ, τότε, τότε δή, οὐτᾶς კავშირებით და ზმნიზედებით დაწყება, ანდა, საერთოდ კავშირის არქონა (T'jen 2010, 36-37).

¹⁹⁹ თუმცა, ფორმალური თვალსაზრისით მსგავს კონსტრუქციას ვხვდებით კლასიკურ ბერძნულშიც მაგ. ჰომეროსთან, თუმცა აქაც καί შეიძლება გავიგოთ როგორც 'აგრეთვე', 'ც'.

ბერძნულ და ქართულ ენებში მთავარი წინადადების დაწყება 'და' კავშირით და მისით წინამავალ დამოკიდებულ წინადადებასთან დაკავშირება ბუნებრივი არ არის: რთულ წინადადებას პირობით ან დროის შინაარსს დამოკიდებულ წინადადებაში εἰ, ἐὰν, ὅταν, ὅτε // 'უკუეთუ' , '-თუ', 'რაჟამს', 'ოდეს' კავშირების ხმარება ანიჭებს და, ბერძნულის მსგავსად, მთავარ წინადადებასთან შესაერთებლად მაკავშირებელ სიტყვას არ საჭიროებს. ამის მიუხედავად, ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში აპოდოტური ἵ-ის შესატყვისად καί / 'და' გვხვდება ხოლმე (ხარანაული 2017).

1.1. აპოდოტური 'და' პირობით დამოკიდებულ წინადადებასთან

ასეთი შემთხვევა ძველი აღთქმის უძველეს თარგმანში ბევრი არ არის. მცირე წინასწარმეტყველთა ძველ თარგმანებში აპოდოტური καί სულ ოთხჯერ არის გადმოტანილი 'და'-თი და ბუნდოვან კონტექსტს ქმნის, რაც ბერძნული კონსტრუქციის ბუნდოვანებით აიხსნება, სადაც καί-თი დაწყებული აპოდოსისი ექსპლიციტურად არ გამოხატავს პროტასისში მოცემული პირობის შედეგს. ამ მნიშვნელობას მას εἰ და ἐὰν მაქვემდებარებელი კავშირები ანიჭებენ, რომლებიც ქართულ ხელნაწერებში ხან გადმოტანილია ('უკუეთუ' , '-თუ'), ხან ჩაგდებული:

εἰ

იონა 3:9 Τίς οἴδεν εἰ μετανοήσει (επιστρέψει 943 C-68 Tht. = MT;) ὁ θεός καί ἀποστρέψει ἐξ ὀργῆς ἡμᾶς ἀπὸ τοῦ²⁰⁰: ვინ უწყის, შეინანოს ღმერთმან, და მოაქციოს რისხვისაგან გულის-წყრომისა მისისა? OGeo; ვინ იცის, ხოლო-თუ იხილოს ესე ღმერთმან, შეინანოს ღმერთმან სასტიკებასა მას ზედა ბრძანებისა მისისა I; გინაცა-თუ იხილოს ესე ღმერთმან და შეინანოს ჩუენ ზედა, და გარეწარაქციოს გულისწყრომაჲ რისხვისა მისისაჲ p; ვინ უწყის, მო-თუ-აქციოს უფალმან და ვედრებულ იქმნეს, და მოიქცეს რისხვისაგან გულის-წყრომისა მისისა S.

²⁰⁰ ვინ იცის, თუკი ღმერთი შეინანებს /მოიქცევა, (მაშინ) მოიქცევა მრისხანებისგან. პარიზისა და ლატალის ლექციონარები ცდილობენ ტექსტის ადაპტირება მოახდინონ. გელათურ თარგმანში კი პროტასისი დუბლეტითაა წარმოდგენილი.

უფრო რთულია დამოკიდებული წინადადებით გამოხატული პირობის შედეგის შინაარსის დანახვა 'და'-თი დაწყებულ შემდეგ წინადადებებში:

ἐάν

ზაქ. 8:23 **ἐάν** ἐπιλάβωνται δέκα ἄνδρες ἐκ πασῶν τῶν γλασσωῶν τῶν ἐθνῶν **καὶ** ἐπιλάβωνται τοῦ κρασπέδου ἀνδρὸς Ἰουδαίου²⁰¹: **უკუეთუ** (>O) შეზმა-უყონ ათთა კაცთა ყოველთაგან ენათა წარმართთა, **და** შეუპყრან ფესვ კაცისა ჰურიადსაჲ JO K4; **უკეთუ** მოეკიდნენ ათნი მამაცნი ყოველთაგან ნათესავთა ენათაჲსა, **და** მოეკიდნენ ფესუსა მამაცისა იუდეანისასა S.

აპოლოტური **καὶ** ორმაგადაც არის გადმოტანილი ძველ ქართულ თარგმანში - როგორც 'და' და როგორც '-ც' ნაწილაკი²⁰²:

ზაქ. 14:17 ὅσοι **ἐάν** μὴ ἀναβῶσιν ἐκ πασῶν τῶν φυλῶν τῆς γῆς εἰς Ἱερουσαλημ... **καὶ** οὔτοι ἐκείνοις προστεθήσονται²⁰³: **უკუეთუ** არა აღმოვიდენ ყოველთაგან ტომთა ქუეყანისათა იერუსალჴმდ ... **და** ესენი (მასვე J K4 l p) დაერთნენ OGeo; **რაოდენნიცა** არა აღვიდენ ყოველთაგან ტომთა ქუეყანისათა იზრუსალიმად... **და** იგინიცა მათვე თანა შეეძინნენ S

ზაქ. 14:18 **ἐάν** δὲ φυλὴ Αἰγύπτου μὴ ἀναβῆ ἢ μὴδὲ ἔλθῃ ἐκεῖ **καὶ** ἐπὶ τούτοις ἔσται ἡ πτῶσις²⁰⁴ : **უკუეთუ** ტომი ეგვიპტისაჲ არა აღმოვიდეს (და O) არცა მოვიდენ, **და** (>O) ამათცა ზედა იყოს დაცემად JO; **უკუეთუ** ტომი ეგვიპტისაჲ არა აღმოვიდეს, **და** (> I) მათ ზედაცა (მას ზედა I) იყოს დაცემად Ip; ხოლო **უკეთუ** ტომი ეგვიპტისა არა აღვიდეს, არცა მივიდეს მუნ, მათ ზედაცა იყოს დაცემად S.

²⁰¹ NETS-ის თარგმანი: if ten men from all the languages of the nations take hold, **then** let them take hold of the hem of a Judean man. ინგლისური თარგმანისაგან განსხვავებით. La Bible d' Alexandrie-ის ფრანგი მთარგმნელები თვლიან, რომ პროტასისს ექსპლიციტური აპოდოსისი არ ერთვის (BA 2007, 295).

²⁰² 'და' 'ც' ნაწილაკის მნიშვნელობით იხ. ქვემოთ,

²⁰³ NETS: all who do not go up from all the tribes of the earth to Ierousalem... these **then** shall be added to those.

²⁰⁴ NETS: if the tribe of Egypt should not go up or come, then on these shall be the calamity.

ჩანს, რომ 'და'-ს აპოდოტური მნიშვნელობის უჩვეულობის გამო იგი გადამწერების მიერ არის გამოტოვებული როგორც ოშკის ბიბლიასა და ლატალის ლექციონარებში, ისე საბას ბიბლიაში.

სხვა შემთხვევებში, უმეტესად იქ, სადაც კონტექსტი მეტ-ნაკლებად ნათელია - ნათელია ის, თუ რომელია პირობითდამოკიდებულ წინადადების მთავარი წინადადება, ძველი ქართული თარგმანის ხელნაწერებში 'და' ჩაგდებულია და პირობითი რთული ქვეწყობილი წინადადება უფრო გამართულია ქართული ენის თვალსაზრისით. ძნელი სათქმელია, ეს ვითარება მეორეულია თუ - თარგმანისეული. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მსგავს კონტექსტებში სეპტუაგინტას ბერძნულ ხელნაწერებშიც და, განსაკუთრებით, სეპტუაგინტას თარგმანების ხელნაწერებში, **και** და მისი შესატყვისები ასევე გამოტოვებულია ხოლმე. ყველა ამ შემთხვევაში გელათური თარგმანი ისევ ფორმალურად მისდევს ბერძნულს აპოდოტური **και**-ს ასახვაში:

მალ. 2:2 **ἐὰν μὴ** ἦῃσθε εἰς τὴν καρδίαν ἡμῶν τοῦ δεῖναι δόξαν τῷ ὀνόματί μου ... **καὶ** ἐξαποστειλῶ ἐφ' ἡμᾶς τὴν κατάραν: **უკუეთუ არა** დაიდვათ გულთა თქუენტა მოცემად დიდებაჲ სახელსა ჩემსა... გამოვავლინო თქუენ ზედა წყევად JO; **უკეთუ არა** დაიდვათ გულსა შინა თქუენსა მიცემად დიდება სახელსა ჩემსა ... და გამოვავლინო თქუენ ზედა წყევად S

მალ. 2:16 **ἐὰν** μισήσας ἐξαποστειλῆς ...**καὶ** καλῶσαι ἀσέβεια ἐπὶ τὰ ἐνθυμήματα σου: **უკუეთუ** მოიძულო და განადო... დაფარნეს²⁰⁵ უღმრთობამან განზრახვათა შენთა ზედა JO; **უკეთუ** მოიმძულელებელი განავლენ ... და დაფაროს უთნობად გულის ზრახვათა შენთა ზედა S

²⁰⁵ თეორიულად შესაძლებელი იყო დაგვეშვა, რომ 'და' კავშირი ხელნაწერებში გამოტოვებულია ჰაპლოგრაფიის გამო.

ზაქ. 3:7 *ἐὰν* ἐν ταῖς ὁδοῖς μου πορεύῃ *καὶ ἐὰν* (>239 Co Syh Aeth Arm Cyr.F Hi) τὰ προστάγματα μου φυλάξῃς, *καὶ* (>130' 49 AchSa Arm) σὺ διακρινεῖς τὸν οἶκόν μου *καὶ ἐὰν* (*ἐὰν* 3 943 = MT) διαφυλάξῃς *καὶ* γε τὴν ἀσλὴν μου *καὶ* (>239 Co Aeth Arm) *δώσω σοὶ ἀναστρεφόμενους*: **უკუეთუ** გზათა ჩემთა ხვლოდი და ბრძანებათა ჩემთა (>K4) იმარხვიდე, შენ განიკითხვიდე სახლსა ჩემსა; და **უკუეთუ** სცვიდე (იცვიდე შენ O) ეზოსა (-თა K4 O) ჩემსა (ჩემთა K4 შენთა O), მოგცე შენ სლვაჲ OJ K4; **უკუეთუ** გზათა ჩემთა ხვლოდით და ბრძანებათა ჩემთა იმარხვიდეთ, და შენ სჯიდე სახლსა ჩემსა; და **თუ** დაიცვე ეზოდ ჩემი, მოგცე შენ სლვაჲ p; **უკუეთუ** გზათა ჩემთა ხვლოდი და ბრძანებანი ჩემნი დაიმარხნე, შენ განიკითხვიდე სახლსა ჩემსა; და იყო შენ მფლობელ სამკვდრებელსა ჩემსა და მიგცნე შენ მსახურნი, რომელნი იყვნენ სლვასა l; **უკეთუ** გზათა შორის ჩემთა ხვლოდი და ბრძანებათა შორის ჩემთა სცვდე, და შენ განსაჯო სახლი ჩემი, და უკეთუ დაიცვა ეზოდ ჩემი, და მოგცნე შენ მოციქულნი S

ზაქ. 13:3 *ἐὰν* προφητεύσῃ ἄνθρωπος ἔτι *καὶ* ἐρεῖ πρὸς αὐτὸν ὁ πατήρ αὐτοῦ *καὶ ἡ μήτηρ αὐτοῦ*²⁰⁶ : **უკუეთუ** წინაწარმეტყუელებდეს კაცი მერმე, ჰრქუან მამამან მისმან და დედამან მისმან OGeo; **უკეთუ** იწინაღსწარმეტყულოს კაცმან მერმე, და თქუას მისსა მიმართ მამამან მისმან და დედამან მისმან S

ამოს. 6:9 *ἐὰν* ὑπολειφῶσιν δέκα ἄνδρες ἐν οἰκίᾳ μιᾷ *καὶ* (> A'L''³⁶ Ach Aeth Th. Tht.) ἀποθανοῦνται²⁰⁷: **უკუეთუ** დაშთენ ათნი კაცნი სახლსა შინა ერთსა, მოსწყედენ J O S-417; **უკეთუ** დაშთენ ათნი მამაკაცნი ერთსა შინა სახლსა, და მოკუდენ GS

აპოდოტური 'და' საბასთან წარმოდგენილ გელათურ ვერსიაშიც შეიძლება იყოს ჩაგდებული, თუმცა აქ გვიანდელი გადამწერის შეცდომა არაა გამორიცხული:

²⁰⁶ NETS: if a person should again prophesy, **then** his father and his mother who bore him will say to him.
²⁰⁷ -ც ნაწილაკის მნიშვნელობით ესმით ეს *καὶ* NETS-ის მთარგმნელებს: if ten men are left in one house, they shall **also** die (*καὶ*-ს ამ, კლასიკური ბერძნულის შესაბამისი გაგების შესაძლებლობის შესახებ ემელეუსი 135).

ნაუმ. 3:12 *ἐὰν σαλευθῶσιν καὶ πεσοῦνται εἰς στόμα ἔσθοντος*: უკუეთუ შეიძრნენ, შთაცვვენ
პირსა მჭამელისასა JO S

აპოდოტური 'და' დროის დამოკიდებულ წინადადებასთან

დროის დამოკიდებული წინადადება, რომელსაც დროით შინაარსს დროის კავშირები (ὅταν, ὅτε) სძენენ, ისევე, როგორც პირობითი დამოკიდებული წინადადება, უსწრებს 'და'-თი დაწყებულ მთავარ წინადადებას:

მიქ. 5:5 *ὅταν Ἀσσύριος ἐπέλθῃ ἐπὶ τὴν γῆν ὑμῶν καὶ ὅταν ἐπιβῆ ἐπὶ τὴν χώραν ὑμῶν καὶ ἐπεγερθήσονται ἐπ' αὐτὸν ἑπτὰ ποιμένες*: ასურასნელი იგი, რაჟამს მოვიდეს ქუეყანასა თქუენსა, რაჟამს მოიწიოს სოფელსა თქუენსა, და აღდგენ მის ზედა შჯდნი მწყემსნი O J; ოდეს ასურასტანელი მოვიდეს ქუჭყანასა ზედა თქუენსა, და აღდგენ მის ზედა შჯდნი მწყემსნი S; რაჟამს ასურიაჲ მოვიდეს ქუეყანასა ზედა თქუენსა, და აღმოვიდეს სოფლებსა ზედა თქუენსა, და აღდგენ მას ზედა შჯდნი მწყემსნი K1

ანგ. 2:16 *ὅτε ἐνεβάλλετε εἰς κυψέλην κριθῆς εἴκοσι σάτα καὶ ἐγένετο κριθῆς δέκα σάτα καὶ εἰσεπορεύεσθε εἰς τὸ ὑπολήμιον ἐξαντλήσαι πεντήκοντα μετρητάς καὶ ἐγένοντο εἴκοσι*:

ოდეს იგი დასდევით საუნჯესა ოცი სათუელი, და იქმნა ათ სათუელ ქრთილი; და შთაჰკედით საწნებელსა აღმოსვებად ერგასისისა საწყაულსა, და იყო იგი ოც J O; ოდეს შთასთესევდით ურნატად ოცსა სატასა, და იქმნა ათი სატად ქრთილი; და შეხვდოდეთ ტაგარისა მიმართ აღმოსვებად ერგასისთა მართა, და იქმნა ოცად S.

გარდა დროის კავშირებისა, დამოკიდებულ წინადადებას დროით სემანტიკას ფორმულებიც ანიჭებენ (*καὶ ἐγένετο// καὶ ἔσται // καὶ ἔσται ἐν (ἐκείνῃ τῇ) ἡμέρᾳ* - და იყო/იყოს (იმ დღეს)) (Aejmelaeus 1982, 131-132). კიდევ უფრო გამოკვეთილია ეს სემანტიკა, როდესაც დამოკიდებულ წინადადებაში მოქმედების კონკრეტული დროა განსაზღვრული:

იონა 4:8 και ἐγένετο ἅμα τῷ ἀνατεῖλαι τὸν ἥλιον και προσέταξεν ὁ θεὸς πνεύματι καύσωνος συγκαίοντι : და იყო აღმოსლვასა მზისასა, და უბრძანა ოჯვალმან ღმერთმან ქარსა ცხელსა J O P; და იყო დაცხომად მზისად, და ოჯბრძანა ოჯვალმან (ღმერთმან p) ხორშაკსა Ip; და იქმნა მეყსეულად აღმოსლვასა მზისასა, და უბრძანა ოჯვალმან ღმერთმან სულსა ცხელსა S

ოს. 4:9 και ἔσται καθὼς ὁ λαὸς οὐτως και ὁ ἱερεὺς και ἐκδικήσω ἐπ’ αὐτὸν τὰς ὀδοὺς αὐτοῦ : და იყოს - ვითარცა ერი, ეგრეცა მღდელი იგი, და შური ვიძიო მის ზედა O; ვითარცა იყვნენ ერი, ეგრეთვე მღდელნი, და შურვიგო მათ ზედა S.

როგორც პირობითდამოკიდებული წინადადების, ისე დროის დამოკიდებული წინადადების მომდევნოდ აპოდოტური και შეიძლება არ იყოს გადმოტანილი ძველ თარგმანში, გელთური თარგმანი კი, 'და' კავშირის ასახვით ამ შემთხვევაშიც ფორმალური სიზუსტით მიჰყვება ბერძნულ დედანს:

სოფ. 1:8 και ἔσται ἐν ἡμέρᾳ θυσίας κυρίου και ἐκδικήσω ἐπὶ τοὺς ἄρχοντας: და იყოს დღესა (დღესა O) მას მსხუერპლისა (მსხუფ- K5) უფლისასა, შური ვიძიო მთავართა ზედა OJ K5; იყოს დღესა შინა მსხუერპლისა უფლისასა, და შურ-ვიგო მთავართა ზედა GS

ამოს 8:9 και ἔσται ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ ... και δύσεται ὁ ἥλιος μεσημβρίας: და იყოს მას დღესა შინა ... დაჰკდეს²⁰⁸ მზე შუვასამხრის Geo

დროის დამოკიდებული წინადადების შემასმენელი და ქვემდებარე ჩაგდებული შეიძლება იყოს და მხოლოდ დროის ზმნიზედით გამოიხატოს, მთავარი წინადადება კი ისევ 'და'-თი დაიწყოს:

ოს. 1:4 ἔτι μικρὸν και ἐκδικήσω τὸ αἶμα τοῦ Ἰσραὴλ: მცირედლა აწ (>p) და შური ვიძიო O p; მცირედლა და შური ვიძიო მე S.

²⁰⁸ არაა გამორიცხული, რომ 'და' კავშირი ჰაპლოგრაფიის გამო იყოს გამოტოვებული.

თუ მთლიანად გადავხედავთ დროისა და პირობის სემანტიკის გამომხატველ რთულ წინადადებებს - თანწყობილსა და ქვეწყობილს, ნათელია, რომ ძველი ქართველი მთარგმნელებიცა და გადამწერებიც *καί* შესატყვის 'და'-ს ფაქტიურად არ გამოტოვებენ თანწყობაში. ქვეწყობილ წინადადებაში კი საინტერესო მოვლენას ვაკვირდებით: რაც უფრო ნაკლებ ექსპლიციტურია 'და'-თი დაწყებული წინადადების აპოდოტური ფუნქცია და მისი კავშირი პროტასისთან და, რაც უფრო ბუნდოვანია წინადადება, მით უფრო ნაკლები თავისუფლების უფლებას აძლევს ძველი მთარგმნელი თავს, ე.ი. ნაკლებ პასუხისმგებლობას იღებს და *καί* მისი ჩვეული ეკვივალენტით - 'და'-თი გადმოაქვს. რაც უფრო გასაგებია რთული წინადადების გრამატიკული კონსტრუქცია და სემანტიკა, მით უფრო თავისუფლად იქცევა მთარგმნელი ქართული ჰიპოტაქსის გადმოტანისას და გამოტოვებს ქართულისათვის პლეონასტურ 'და' კავშირს.²⁰⁹

'და'-ს ხმარების კერძო შემთხვევები

1 და მისი შესატყვისი *καί* ხშირად მონაწილეობენ ებრაისტული ფორმულის შექმნაში. ქართველი მთარგმნელები აქაც მისდევენ თავიანთ დედანს და თარგმანს სათარგმნი ტექსტის სტილისტიკას უნარჩუნებენ. ზემოთ უკვე განვიხილეთ ზოგიერთი მათგანი: *καί ἰδου, καί ἔσται, καί ἐγένετο*.

'და' ფორმულებში

καί νῦν - და აწ: იწყებს ახალ თემას, ახალ დისკურსს და მთლიანად ტექსტს. „შუშანიკის წამების“ დასაწყისი ამ ფორმულის პოპულარულობაზე მეტყველებს და, ამავე დროს, იმაზე, რომ მხატვრული სტილის მახასიათებლად ითვლება.

ოს. 2:12 *καί νῦν ἀποκαλύψα τῆν ἀκαθαρσίαν αὐτῆς*; და აწ გამოვაცხადო არაწმიდებაჲ მისი
O; და აწ განვაცხადო სიცოფე მისი წინაშე ტრფიალთა მისთა S

²⁰⁹ შდრ. ყაუხჩიშვილი 1949.

ამოს. 7:16 *καὶ νῦν ἄκουε λόγον κυρίου*: და აწ ისმინე (ისმინეთ O) სიტყუად უფლისაჲ Geo
მიქ. 4:9 *καὶ νῦν ἵνα τί ἔγυας κακά*: და აწ რადასათჳს სცან (სცნენ GS) ბოროტი Geo^{-k1}; და
აწო, რადასათჳს ბოროტად გაიგონე? K1

გამაძლიერებელი/დამაზუსტებელი ‘და’²¹⁰

καὶ ყოველთვის არ წარმოადგენს კავშირს (რეალური ფუნქციის მქონესა თუ უფუნქციოს), არამედ არის ნაწილაკი, რომელიც აზუსტებს იმ სიტყვას, რომელსაც იგი უშუალოდ უძღვის წინ. *καί*-ს ამ ფუნქციას კარგად იცნობდნენ ქართველი მთარგმნელებიც: მცირე წინასწარმეტყველთა თარგმანებში არაერთი მაგალითია მისი ‘აგრეთვე’-ს მნიშვნელობის მქონე ‘ც’ ნაწილაკით გადმოტანისა:

იოელ. 4:4 *καὶ τί (ετι 130' La^{CS} (adhuc) Syp Geo^o Arm) καὶ ἴμενες ἔμοι Τύρος καὶ Σιδῶν*: და მერმე თქუენცა ჩემდავე ტჯროს და სიდონ O; შდრ. რაჲ არს თქუენი და ჩუენი (ჩემი და თქუენი p) ტოჯიროს და სიდონ I; და რად თქუენცა ჩემდა ტჯროს და სიდონ G.

ამბ. 2:16 *πίε καὶ σὺ* სუ (ჰსუა K5) შენცა J O K5; სუ S

ზაქ. 11:8 *καὶ γὰρ αἱ ψυχαι αὐτῶν ἐπαρῶσιντο ἐπ' ἐμέ*: რამეთუ სულიცა მათი იმულრობდა ჩემდამო.

მაგრამ, იშვიათად, არის კონტექსტები, როდესაც *καί* დაზუსტების ნაწილაკის მნიშვნელობით გაგების საშუალებას იძლევა და ქართულში ‘და’-თი გადმოდის:

მიქ. 4:6 *ἐν τῇ ἡμέρᾳ ἐκεῖνη, λέγει κύριος, σὺν ἄξω τῆν σὺν τετριμμένην καὶ τῆν ἐξ ἄσμενην εἰσθῆξομαι καὶ οὐκ ἀπασάμην*²¹¹ : მას დღესა შინა - იტყვს უფალი - შევკრიბნე შემუსრვილნი იგი (შემუსრვილნი ერისა ჩემისანი O) და განძებულნი იგი შევიწყნარნე (შევიწყალნე O), და (>p) რომელნი-იგი განვიშორენ JO p; მას დღესა შინა

²¹⁰ Blaß/Debrunner/Rehkopf 2001, §442 8d.

²¹¹ შევიწყნარე განძებულნი, ისინიც კი, ვინც განვიშორე.

- იტყვს უფალი - შევკრიბო შემუსრვილი და განგდებული შევიწყნარო, და რომელნი განვყარენ G; ამათ დღეთა შინა და მას ჟამსა შინაო, შევკრიბო შემუსრვილი და განშორებული, და რომელნი განვკადენ, შევიწყნარნე K1

დასკვნა

‘და’ - ლექსიკური ერთეულია, რომელსაც არ აქვს საკუთარი მნიშვნელობა და აქვს ერთადერთი ფუნქცია - ერთმანეთს დაუკავშიროს ენის ყველა დონის ელემენტი (სიტყვები კომპოზიტებში, სიტყვები წინადადებაში, წინადადებები და დიდი ტექსტური მონაკვეთები). სწორედ რომ სპეციფიკური მნიშვნელობის არქონის გამო, ამ ლექსიკურმა ერთეულმა მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ იტვირთა სხვადასხვა კავშირის, ზმნიზედისა თუ ნაწილაკის როლი ისე, რომ არ მიიღო მათი მნიშვნელობები და არ დაკარგა სათარგმნი ტექსტის თავისებურება. უმრავლეს შემთხვევაში ამგვარმა უცხო იდიომამ - ‘და’-ს პლეონასტურმა და მისთვის არადამახასიათებელ პოზიციებში გამოყენებამ - ბევრ შემთხვევაში ქართულისათვის უჩვეულო, ზოგჯერ არაერთმნიშვნელოვანი ბიბლიის ენა შექმნა. ამასთან ერთად, ქართულ ენასა და მთარგმნელებს ყოველთვის ერთნაირად იოლად არ გამოსდიოდათ ბუნდოვანებისა თუ (ზოგჯერ) წინადადების სიმახინჯის (თუ ზედმეტად მკაცრი შეფასება არ არის) თავიდან აცილება (მთარგმნელისათვის ყველაზე მეტად პრობლემატურად აპოდოტური ‘და’-ს ხმარება ჩანს). როგორც სხვა, ბერძნულით გაშუალებული ებრაიზმების შემთხვევაში, ‘და’-ს გადმოტანის დროსაც, განსაკუთრებით ხელოვნურად და გაუგებრად ჟღერს სემანტიკური თვალსაზრისით ისედაც რთული კონტექსტები, რომლებიც *καί*-ს ბერძნულისთვის უჩვეულო ხმარების გამო კიდევ უფრო გაუგებარი უნდა ყოფილიყო მთარგმნელისათვის. ამის მიუხედავად, ქართული ენა და ქართველი მწერლები ცდილობენ ამ იდიომების ენაში შემოტანას - მათს ორიგინალურ ტექსტებში დანერგვას. კორნელი დანელიას მიერ კარგად შესწავლილი „შუმანიკის წამება“ და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ფართოდ ციტირებული ბასილი

ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ამის კარგი მაგალითია. ორიგინალური ქართული ძეგლებისა და თარგმანების შეპირისპირებითი შესწავლა კარგად გამოაჩენს, თუ რამდენად მოიმკო ქართულმა ენამ მთარგმნელთა და მწერლებთა გამბედაობისა და კადნიერების ნაყოფი.

ნინო გიორგაძე

წინდებულთა გადმოტანის საშუალებები მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ თარგმანებში

I. ძველი ბერძნული წინდებულები

ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდს ბერძნულში გვხვდება წინდებულთა ჩამოყალიბებული და განვითარებული სისტემა, რომელმაც შემდგომ სექტუაგინტას შექმნისას ებრაულ წინდებულთა მნიშვნელოვანი გავლენა განიცადა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინდებულთა საკითხი ფუნდამენტრად შესწავლილი აქვს იოჰანესონს (1925) თავის ნაშრომში, რომელსაც შემდგომ ეყრდნობიან რიგი სექტუაგინტას ლექსიკონები თუ გრამატიკები, თუმცა კონტექსტთა ანალიზისას და მნიშვნელობების გამოყოფის კუთხით მაინც შეინშნება გარკვეული სხვაობა, კერძოდ მნიშვნელობის განსაზღვრისას ყველა ავტორი სუბიექტურად უდგება კონტექსტს და შესაბამისად ისე განსაზღვრას ბერძნული წინდებულის მნიშვნელობას, როგორც მას თავად აღიქვამს.

მაგალითისთვის მურაოკა ძალიან ანაწევრებს და ჩაშლილად წარმოაგენს მნიშვნელობებს, მაშინ როცა ლუსტი ასახელებს მხოლოდ ძირითად მნიშვნელობებს და აღარ უღრმავდება კონტექსტებს. აქვე უნდა აღვნიშოთ ისიც, რომ გვხვდება შემთვევები, სადაც ერთი და იგივე მუხლი სამივე ავტორთან სხვადასხვანაირადაა გაანალიზებული.

აქედან გამომდინარე, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მასალის ანალიზისას ჩვენ დაწვრილებით არ გავყვებით არც ლუსტისა და არც მურაოკას კვალიფიკაციებს (მათ მხოლოდ შესავალში წარმოვადგენთ), არამედ ყურადღებას გავამახვილებთ უფრო იმაზე თუ როგორ ესმის კონტექსტი თავად ქართველ მთარგმნელს და ენობრივ ფონდში არსებულ რა საშუალებებს იყენებს მათ გადმოსაცემად.

ἀντί

ἀντί-ს მნიშვნელობები სექსტუაგინტაში

ძველი ბერძნული წინდებული *ἀντί* გვხვდება მხოლოდ გენეტივთან. დასტურდება სახელი *ἀντίος* მნიშვნელობით *საკირისპირო*, ასევე ზმნა *ἀντιόμαι* მნიშვნელობით *წინააღმდეგობის გაწევა*. აგრეთვე, გვხვდება ფორმა *ἀντα*, ამიტომ *ἀντί-*ში ტერმინალური ἰ უძველესი ლოკატივის ნიშნად განიხილება (Frisk 1960:113-114; Chantraine 1999:91-92; Humbert 1960: 301; Beekes- Beek 2010:109).

ἀντί რიგ ანტიკური ბერძნულს გრამატიკებში *πρό*-ს ნაწილობრივ სინონიმად მიიჩნევა. ანტიკურ ბერძნულში *ἀντί*-ს ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო *წინაშე* (Kühner-Gerth 1898: 453; Schwyzer-Debrunner 1950: 441; Humbert 1960: 301). მას ეს მნიშვნელობა უკვე ანტიკურ ბერძნულში უნდა ჰქონოდა დაკარგული (Bortone 2010:290). თავდაპირველად ამ ორ წინდებულს განასხვავებდა ის, რომ *ἀντί* აღნიშნავდა –*სახით მობრუნებული*, *სახის წინაშე*, სახით მდგომი, პირისპირ მდგომი (*mit dem Antlitz zugekehrt*) მაშინ როცა *πρό* –, *ზურგიით მდგომი* (*mit den Rücken zugekehrt*) (Westphal 1888: 6).

შუა საუკუნეების ბერძნულში *ἀντί* გამოხატავს მხოლოდ მოქმედებას რაღაცის მაგივრად/ნაცვლად და სრულიად დაკარგული აქვს ლოკალურობის (წინაშე) გაგება (Bortone 2010:231).

სექსტუაგინტაში, როგორც იოჰანსონი (1925:198) შენიშნავს, *ἀντί* შემდეგი ებრაული წინდებულების ეკვივალენტად გვევლინება: და საქმე ისაა, რომ ყველა ამ წინდებულს აქვს ეს მონაცვლეობის, სანაცვლეობის შინაარსი შესაბამის კონტექსტებში.

1. *ἐν* მნიშვნელობით *in*, -ში.
2. *ὑπο* მნიშვნელობით *unter*, *anstatt*, *ქვეშ*, *მაგივრად*.
3. *ἐν* მნიშვნელობით *anstatt*, *მაგივრად*.
4. *ἐπι* მნიშვნელობით *auf*, -ზე.

5. შესიტყვებაში *ἀπὶ τοῦτου* ებრაული *אֲחֵר* -ის ეკვივალენტად მნიშვნელობით, *აძ მიზეზით. რადგანაც, ამგვარად (deshalb)*

6. *ἀπὸ ᾧ* შესიტყვებაში ქმნის მიზეზის კავშირს.

7. ინფინიტივთან კომბინაციაში, მხოლოდ ეზეკიელის წიგნში, აღნიშნავს საფუძველს ე.წ. მიზეზის ინფინიტივის კონსტრუქციას (Johannessohn 1925:198-201).

სეპტუაგინტაში ზოგადად გამოყოფებ *ἀπὶ*-ის შემდეგ მნიშვნელობებს:

ἀπὶ

I. +gen.

1. გამოხატავს მოქმედებას რაღაცის მაგიერ/სანაცვლოდ.

2. გამოხატავს რაღაცა მოქმედების სანაცვლოს ჯილდოს ან სასჯელის მიღებას.

3. მოქმედებას ვიღაცის თანდასწრებით – *წინაშე*. იმავე მუხლს მუროკა განმარტავს (Nm 32:14) როგორც მსგავსად ანალოგიურად.

4. წინ უსწრებს საფუძვლის ან მიზეზის არსებით სახელს.

5. აღნიშნავს მსგავსებას, ანალოგიას.

6. *ἀπὸ ᾧ* შესიტყვებაში გამოხატავს მიზეზს.

7. *ἀπὸ ᾧ ἔτι* შესიტყვებაში გამოხატავს მოქმედებას რაღაცის მაგიერ/სანაცვლოდ,

(Johannessohn 1925: 198-201; Muraoka 2009:57; Lust-Eynikel-Hauspie 2008:184).

ἀπὶ-ს მნიშვნელობების მცირე წინასწარმეტყველებში

მცირეებში *ἀπὶ* -ს გამოყენების სულ 22 შემთხვევა გამოვლინდა, აქედან 16 – შესიტყვება *ἀπὸ ᾧ*, ხოლო 6 შემთხვევაში აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის მაგიერ. ქართულში მათი ეკვივალენტებია:

I. გენეტივთან

I.1. გამოხატავს მოქმედებას რაღაცის სამაგიეროდ/სანაცვლოდ, საფასური რასაც რაიმეს სანაცვლოდ იხდი:

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+წილ

გაყიდვა, შესყიდვა სემანტიკის ზმნასთან

1. κτάομαι +ἀντί+gen.

LXX Amos 8:6 τοῦ κτᾶσθαι ἐν ἀργυρίῳ πτωχοὺς καὶ ταπεινὸν ἀντὶ ὑποδημάτων

OJ 8:6 რაფთა მოვიყიდნეთ დავრდომილნი ვეცხლითა და გლახაკნი

ფერთჳშესასხმელთა წილ

GSB 8:6 მოსყიდად გლახაკნი ვეცხლითა და დავრდომილნი **ფერჯთ-შესასხმელთა წილ**

მოგება სემანტიკის ზმნებთან

2. ἀντ-απο-διδामी+ἀντί+gen.

LXX Joel 2:25 καὶ ἀνταποδώσω ὑμῖν ἀντὶ τῶν ἐτῶν

O2:25 და მოგაგოს თქუენ მათ წელთა წილ

GSB 2:25 და ნაცვალად მოგაგო თქუენ წელიწადთა წილ

LXX Zech. 9:12 καὶ ἀντὶ μιᾶς ἡμέρας παροικεσίας σου διπλά ἀνταποδώσω σοι·

OJ 9:12 და დღისა წილ ერთისა მწირობისა შენისა მრჩობლი მიგაგო შენ.

SB 9:12 და ნაცვლად ერთისა დღისა მსხემობისა შენისა უკუნსცნენ მრჩობლნი.

აღნიშნულ მაგალითში კონტექსტში ბერძნულში წინდებულის სახით იგივე ერთეული გვევლინება, რაც ზმნისწინის სახით. ამ შემთხვევაში გელათური რეცენზია ორივესთვის ზუსტ ეკვივალენტს არჩევს, მაშინ როცა ძველ თარგმანში ზმნისწინის ეკვივალენტად ოდენ *მო- ან მი-ა* წარმოდგენილი. Zech. 9:12-ში თანდებულის ეკვივალენტის ცვლილება ზმნისწინთან კომბინაციით აიხსნება.

3. πάλῃ+ἀντί+gen.

LXX Joel 4:3 τὰ κοράσια ἐπᾶλουσ ἀντὶ οἴνου

SBJ 3:3 ქალებსა განყიდდეს (განჰ J) **ღვნისა წილ**

შდრ. O 3:3 ქალებსა განჰყიდდეს **ღვნოდ**

1. უშემასმენლო+ἀντί+gen.

LXX Zeph. 2:10 αὕτη αὐτοῖς ἀντὶ τῆς ὑβρεως αὐτῶν

OJ 2:10 ესე ეყოს მათ გინებისა მათისა წილ

GSB 2:10 ესე - მათ გინებისა წილ მისისა

2) ვითარებითი

ყიდვის სემანტიკის ზმნასთან:

1. *πᾶλᾶ+ἀντί+gen.*

LXX Joel 4:3 τὰ κοράσια ἐπῶλυσ ἄντι οἴνους

OJ 3:3 ქალებსა განჰყიდდეს ღვინოდ

შდრ. SBJ 3:3 ქალებსა განყიდდეს (განჰ J) ღვინისა წილ

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ძველი თარგმანიც თითქმის ისეთივე სისტემურობას გვიჩვენებს, როგორც გელათური რეცენზია. ძველის შემთხვევაში ძველი ბერძნულის წინდებული მხოლოდ ერთ შემთხვევაში ითარგმნება ბრუნვით. როგორც ჩანს, აღნიშნულს კონტექსტი განაპირობებს.

გვხვდება ერთადერთი შემთხვევა, როცა ოშკურ ვარიანტში წარმოდგენილი გვაქვს მოქმედებითი ბრუნვა:

ბილვა სემანტიკის ზმნებთან.

1. *ῥάα+ἀντί+gen.*

LXX Hab. 3:7 πορείας αἰωνίας ἀπὸς ἄντι κόπων εἶδον σκηνώματα Αἰθιοπῶν πτοηθήσονται καὶ αἱ σκηναὶ γῆς Μαδίαμ

O 3:7 შრომით იხილვნენ, შეძრწუნდენ საყოფელნი იგი ეთიოპელთანი და კარვები იგი ქუეყანისა მის მადაამელთაჲსაჲ.

J 3:7 შრომის წილ ვიხილენ, საყოფელნი ეთიოპელთანი შეძრწუნდენ და კარვები ქუეყანისა მის მადაამისაჲ.

GSB 3:7 შრომათა წილ ვიხილენ, და კარვებანი ეთიოპელთანი, შეძრწუნდენ და კარვებანი ქუეყანისა მადაამისნი.

აღნიშნულ მუხლს მურაოკა (2009: 57) განმარტავს, როგორც საფუძველ, მიზეზს. როგორც ჩანს, ოშკურ ვარიანტში მოქმედებითი ბრუნვა მეორეული უნდა იყოს, რადგან იერუსალიმშიც ეკვივალენტია *შრომის წილ*.

I.3. შესიტყვება *ἀπὸ* ᾶ

მურაოკას განმარტებით (Muraoka 1993:20), მცირეებში შესიტყვება გამოხატავს მოქმედებას რაღაცის სამაგიეროდ/მაგივრად/ნაცვლად და ქმნის დამოკიდებულ

წინადადებას. თუმცა ლუსტთან შესიტყვება გაიაზრება, როგორც მიზეზის გამომხატველი (Lust 2008: 184). ქართულ თარგმანში აღნიშნულ შესიტყვების ეკვივალენტია:

ოშკურ ტიპში ეკვივალენტია სისტემურად *ამისთვის, რამეთუ, ხოლო გელათურ რეცენზიაში მის წილ, რომელ ან მით რამეთუ:*

1) ნათესაობითი +-თვის

LXX Hos. 8:1 *εἰς κόλπον αὐτῶν ἄς γῆ ἄς ἀετὸς ἐπ’ οἴκον κυρίου ἄθ’ ᾧ παρέβησαν τῆς διαθήκης μου καὶ κατὰ τοῦ νόμου μου ἠσέβησαν*

ო 8:1 წიაღთა მათთა, ვითარცა ქუეყანასა, ვიტარცა ორბი სახლსა უფლისასა. **ამისთვის, რამეთუ** გარდაჰკდეს აღთქმასა ჩემსა და შჯულისა ჩემსა შესცოდეს

შდრ. SB 8:1 წიაღთა მიმართ მათთა ვითარცა ქუეყანად, ვითარცა არწივი სახლსა ზედა უფლისასა. **მის წილ, რომელ** გარდაჰკდეს აღთქმასა ჩემსა და ძვნად შჯულისა ჩემისა უთნო-იქმნეს

LXX Mic. 5:14 *καὶ ποιήσω ἐν ὄργῃ καὶ ἐν θυμῷ ἐκδικήσω ἐν τοῖς ἔθνεσιν ἄθ’ ᾧ οὐκ εἰσήκουσαν*

ოJ 5:15 და ვყო რისხვითა გულის-წყრომისა ჩემისადთა შურის-გებად წარმართთა შორის, **ამისთვის რამეთუ** არა ისმინეს.

შდრ. SB 5:15 5,15 და ვყო რისხვსა მიერ და გულის-წყრომისა მის შურის-ძიებად ნათესავთა შორის, **მათ წილ რომელ** არა მერჩდეს მე.

LXX Mal. 2:9 *καὶ γὰρ δέδωκα ὑμᾶς ἐξουθενωμένους καὶ παρειμένους εἰς πάντα τὰ ἔθνη ἄθ’ ᾧ ὑμεῖς οὐκ ἐφυσάξασθε τὰς ὁδοὺς μου ἀλλὰ ἐλαμβάνετε πρόσωπα ἐν νόμῳ*

SB 2:9 და მე მიგცნე თ[ქ]ვენ შეურაცხ-ქმნილად და უგულვებელს-ყოფილად ყოველთა შორის წარმართთა, **მით რამეთუ** თქუენ არ დაიცვენით გზანი ჩემნი, არამედ მიიღებდით პირთა შჯულისა შინა.

შდრ. o 2:9 მერმე მიგცნე თქუენ შეურაცხად და დაქსნილად წარმართთა შორის ყოველთა, **ამისთვის რამეთუ** თქუენ არა იმარხავთ გზათა ჩემთა, არამედ თუალ-აღებდით პირთა შჯულისა შინა.

LXX Amos 1:3 *καὶ εἶπεν κύριος ἐπὶ ταῖς τρισὶν ἀσεβείαις Δαμασκοῦ καὶ ἐπὶ ταῖς τέσσαρσιν οὐκ ἀποστραφήσομαι ἀπὸν ἄθ’ ᾧ ἐπρίζον πρίοσιν σιδηροῖς τὰς ἐν γαστρὶ ἐχούσας τῶν ἐν Γαλαად*

GSB 1:3 და თქუა უფალმან: სამთა ზედა უთნოო[ბა]თა დამასკისათა და ოთხთა ზედა არა გარე-მივიქცე მათ, **მით რამეთუ** განჰხერხვიდეს ხერხითა რკინისადთა მუცელ-ქუმულთა გალაადთასა.

შდრ. OJ 1:3 და თქუა უფალმან: სამთა მათ ზედა უღმრთოებათა დამასკისათა და ოთხთა არა გარემივაქციო მას **ამისთვის, რამეთუ** განჰხერხვიდეს ხერხითა რკინისადთა მიდგომილთა მათ გალაადს შინა.

როგორც ვხედავთ, გელათურ რეცენზიაში მხოლოდ ორჯერ იცვლება ეკვივალენტი. სოლამო შენიშნავს, რომ Mal. 2:9-ში აღნიშნული შესიტყვება გამოიყენება ებრაული ნახევარწინდებულის გადმოსატანად **יָדָד** მნიშვნელობით *რადაცის მიხედვით, გამო* (Sollamo 1979: 234), თუმცა ამას სისტემური ხასიათი არ აქვს და მის ეკვივალენტად მხოლოდ აქ დასტურდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გელათურ ტიპში რეცენზენტია სხვა ან აღნიშნული ორი კონტექსტი დანარჩენთან შედარებით განსხვავებულად აღიქმება.

სტატისტიკურად, 22 მაგალითიდან ოშკური ტიპი ფორმალურ შესატყვისს 21-ჯერ მიმართავს, გელათური – 22-ჯერ. განსხვავება მხოლოდ ეკვივალენტთა სიზუსტეშია.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული წინდებულის გადმოტანისას შემთხვევაში ორივე ტრადიცია ეკვივალენტთა შერჩევისას მეტწილად სისტემური ხასიათისაა.

ἀπὸ

ἀπὸ-ს მნიშვნელობები სეპტუაგინტაში

ძველი ბერძნული წინდებულის **ἀπὸ** გვხვდება მხოლოდ გენეტივთან. დასტურდება მისი დიალექტური ფორმა **απὸ**. ეტიმოლოგიურად, როგორც სხვა ბერძნული წინდებულები, წარმოადგენდა ზმნიზედას. წინდებულის პარალელს ავლენს სანსკრიტის *apa-*სა და ლათინურ *ab-*ისთან. **ἀπὸ**-სგანაა შემდგომ ნაწარმოები

ზედსართავი *ἀπὸς* მნიშვნელობით *შორეული* (Frisk 1960: 122; Chantraine 1999: 97-98; Beekes- Beek 2010: 117).

ἀπὸ-ს სინონიმურ ცალად განიხილება *ἐκ*. ისტორიულად ამ ორ წინდებულ შორის, როგორც ბორტონი აღნიშნავს, არსებობდა მიკროსემანტიკური სხვაობა, კერძოდ: *ἀπὸ* აღნიშნავდა მდებარეობას ან მოძრაობას ზედაპირიდან, როცა *ἐκ* – მოძრაობას შიდა სივციდან (შიგნიდან) გარეთ. მოგვიანებით, უკვე კლასიკური ხანის ბერძნულ ტესტებში, ეს განსხვავება თანდათან იშლება. აღნიშნულ წინდებულთა აღრევა შეინიშნება ერთი იდიოლექტის დონეზეც (Bortone 2010: 164).

ἀπὸ სეპტუაგინტაში გამოყენებულია სხვადასხვა სემანტიკის ზმნებთან:

1. მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან შემდეგი ებრაული წინდებულებისა თუ ნახევარწინდებულების ეკვივალენტად:

- ა) *וּבְ* მნიშვნელობით -*დან/გან* (*Von*).
- ბ) *בְּ* მნიშვნელობით, -*დან/გან* (*von bei*)(*ვიღაცისგან განშორება/დამშორება*).
- გ) *מִ* მნიშვნელობით, -*დან/გან* (*von bei*).
- დ) *מֵ* მნიშვნელობით, -*დან/გან* (*von auf*)(*ზედაპირიდან*).
- ე) *מֵ* *לְ* მნიშვნელობით, *ზედაპირიდან* (*პირისაგან*) (*von auf [dem] Angesichte*).
- ვ) *מִ* მნიშვნელობით, *გვერდიდან/-გან* (*von neben*).
- ზ) *מֵ* მნიშვნელობით, -*გან /-დან უკან დაბრუნება, საიდანმე, ვისგანმე* (*von hinter*).

2. *შეჩერება, განადგურების* სემანტიკის ზმნებთან ძირითადად მნიშვნელობით -*გან*, ებრაული *וּבְ* -ის ეკვივალენტად მნიშვნელობით -*დან/გან* (*von*)

- ა) დახოცვა სემანტიკის მზნებთან= *სე* მნიშვნელობით -*დან/გან* (*ზედაპირიდან*) (*von auf*),

ბ) მიმოფანტვის სემანტიკის ზმნებთან = **უჰ ლუჰ** მნიშვნელობით *ზედაპირიდან (პირისაგან) (von auf [dem] Angesichte)*

3. შიშის და გრძნობის სემანტიკის ზმნებთან ძირითადად მნიშვნელობით *-გან*, ებრაული **ן** -ის ეკვივალენტად მნიშვნელობით *-დან/-გან (von) ან გვხვდება ებრაული ნახევარწინდებულის ეკვივალენტად **ן** მნიშვნელობით *წინაშე პირთა/პირისაგან* .*

4. დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან მნიშვნელობით *-გან*.

ა) = **ן** მნიშვნელობით *von, -დან/-გან*.

ბ) = **ן** მნიშვნელობით როგორც პირველად (wie in der ersten (Zeit)).

5. **א** ... **ב** წად წყვილად დროისა და ადგილის გამოთქმებთან ძირითადად = **ן** მნიშვნელობით *-დან... -მდე (von ... bis) (ებრაულში ემატება სხვადასხვა კავშირი)*.

6. გამოხატავს მიზეზს, საფუძველს, ებრაული **ן** -ის ეკვივალენტად მნიშვნელობით *ამ მიზეზით*.

7. დავიწყებული, გადარჩენილი **ן**-სთან

8. ებრაულის კუთვნილებითი შინაარსის გამოსახატავად (Johannessohn 1925: 271-283).

ზოგადად სექტუაგნტაში დღესდღეობით გამოყოფილია **א**-ს შემდეგ მნიშვნელობები:

א

+gen.

1. გამოხატავს რაღაცადა/-გან დაშორებას/ მოშორებას.

ბ. გაქცევის ზმნებთან

გ. გაღვიძება

დ. თავის შეკავების, თავიდან აცილების ზმნებთან

ე. მოქმედების შეჩერების გამომხატველ ზმნებთან

ვ. შიშის ზმნებთან

ზ. დამალვა

- თ. გადარჩენის შინაარსის ზმნებთან
- ი. ფიცისაგან, წყევლისაგან გათავისუფლება
2. აღნიშნავს საწყის წერტილს, წარმოშობას (-დან/-გან) (= *ἐκ, παρὰ*).
- ა. ადგილი
- ბ. დრო
- გ. *ἀπὸ* ... *ἔως* შკალაზე ურთიერთსაპირისპირო წერტილების მოსანიშნად
- დ. წარსული მომენტის აღსანიშნავად.
3. გამოხატავს ინსტრუმენტალისს.
- ა. ის, რისგანაც კრებული შედგება ძენი ისრაელისაგან
- ბ. ე.წ. გამოყოფის გენეტივის ნაცვლად
4. გამომწვევი მიზეზი, რაღაცის გამო, რაღაცის წყალობით
- ბ. *ἀφ' οὗ, გამო, მოზეზით* (კავშირი) *რადგანაც*
- გ. ინფინიტივთან
- დ. ცოდნის წყარო
4. პასიური სემანტიკის ზმნებთან აღნიშნავს მოქმედების აგენსს (= *ὑπὸ, παρὰ*).
- ბ. პასიურ ზმნა გაგებასთან
- გ. ვირტუალურ პასივთან
5. რაღაცის საშუალებით
6. რთულ წინდებულებში
7. მიუთითებს მდებარეობას კონკრეტულ წერტილთან მიმართებით.
8. აღნიშნავს რაღაცის ღირებულებას.
9. ქმნის ნახევარწინდებულს *ἀπὸ προσώπου, ἀπὸ χειρὸς*.
10. გამოხატავს მნიშვნელობას
- ა. *უნარებს მიღმა*²¹²
- ბ. შედარება

²¹² აღნიშნულ მნიშვნელობას მურაოკა ებრაიზმად განიხილავს.

11. სახელი, რომელსაც ახლავს *ἀπό* არ წარმოადგენს სუბიექტის ან პირდაპირი ობიექტის თვისებას, მაგალითად Isa. 7:8 *ἐκλείψει ἡ βασιλεία Εφραιμ ἀπὸ λαοῦ* ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ აღარ არის ერი (Muraoka 2009 : 69-71; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 203).

ἀπό -ს მნიშვნელობების მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში *ἀπό* გვხვდება სულ 81-ჯერ, აქედან ნახევარწინდებული *ἀπὸ προσώπου* 15-ჯერ, რომელსაც ნახევარწინდებულთა თავში განვიხილავთ. დარჩენილი 66 შემთხვევა შემდეგი მნიშვნელობების გამომხატველია:

I. გენეტივთან

I.1. გამოხატავს რაღაცედან/-სგან დაშორებას/ მოშორებას.

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+გან:

მიღება სემანტიკის ზმნასთან

1. *λαμβάνω*+ *ἀπό* +gen.

LXX Jon. 4:3 *λαβὲ τῆν ψυχὴν μου ἀπ’ ἐμοῦ*

OJSB 4:3 მიიღე (მიმიღე SB) სული ჩემი ჩემგან

მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან

2. *ἀποστρέφω*+ *ἀπό* +gen.

LXX Zech. 1:4 *ἀποστρέφατε ἀπὸ τῶν ὀδῶν ὑμῶν τῶν πονηρῶν καὶ ἀπὸ τῶν ἐπιτηδεύματων ὑμῶν τῶν πονηρῶν*

OJ 1:4 მოიქეცით ჩემდა **გზათაგან** თქუენთა ბოროტთა და **საქმეთაგან** თქუენთა არაკეთილთა!

SB 1:4 მოიქეცით **გზათაგან** თქუენთა ბოროტთა და **სიმარჯუტათაგან** თქუენთა ბოროტთა!

3. *ἐξ-ἀνίστημι* [ἐξ, ἀνίστημι] + *ἀπό* +gen.

LXX Jon. 3:6 *καὶ ἐξάνεστη ἀπὸ τοῦ θρόνου αὐτοῦ*

OJ 3:6 და აღდგა **საყდრისაგან** თვისისა (მისისა SB)

განადგურების სემანტიკის ზმნასთან

1. συντρίβω+ από +gen.

LXX Nah. 1:13 και νῦν συντρίψω τὴν ῥάβδον αὐτοῦ **ἀπὸ σοῦ**
OJGSB 1:13 და აწ შევშუსრო კუერთხი (ფ GSB) მისი **შენგან**

2) მოქმედებითი:

განადგურების, მოძრაობის, ხსნის სემანტიკის ზმნებთან:

1. ἀπό-λυσμι+ ἀπό +gen.

LXX Mic. 7:2 ὅτι ἀπόλωλεν ἐσλαβῆς **ἀπὸ τῆς γῆς**
OJ 7:2 რამეთუ წარწყმდა მოშიში **ქუეყანით**.
SB 7:2 რამეთუ წარწყმდა განკრძალული **ქუწყანით**.

2. ἐκ-σπάω+ ἀπό +gen.

LXX Amos 9:15 και οὐ μὴ ἐκσπασθῶσιν οὐκέτι **ἀπὸ τῆς γῆς** αὐτῶν
OJ 9:15 და არღარა აღიფხურნენ **ქუეყანით** მათით
შდრ. GSB 9:15 და არა აღიფხურნენ არა მერმე **ქუეყანისაგან** მათისა

3. ἀνασφάζω+ ἀπό +gen.

LXX Zech. 8:7 ἐγὼ ἀνασφάζω τὸν λαόν μου **ἀπὸ γῆς** ἀνατολῶν και **ἀπὸ γῆς** δυσμῶν
OJ 8:7 მე ვიჭსნა ერი ჩემი **ქუეყანით** მზის აღმოსავალით და **ქუეყანით** მზის დასავალით.
შდრ. SB 8:7 მე აღმოუწოდო ერსა ჩემსა **ქუწყანისაგან** აღმოსავალთასა და **ქუწყანისაგან** დასავალთაჲსა.

როგორც ჩანს, ძველი მთარგმნელი აქტიურად მოიხმარს როგორც მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს გამოსვლითობის ფუნქციით, ასევე, **-გან** თანდებულს. აქვე, აღსანიშნავია, რომ -გან თანდებულისანი ფორმები სტატისტიკურად უფრო ხშირია, ვიდრე ოდენ ბრუნვიანი. რაც მეტყველებს იმაზე, რომ **ἀπὸ**-სთვის თანდათან ხდება

ფორმალური ეკვივალენტის შერჩევა. მაშინ როცა გელათური რეცენზია უპირატესობას თანდებულებიან ფორმას ანიჭებს და ცვლის ოშკის ეკვივალენტს.

გვხვდება ერთადერთი მაგალითი, როცა ძველ თარგმანში *ἀπό* გადმოტანილია მიცემითით:

3) მიცემითით:

განადგურების სემანტიკის ზმნებთან:

1. *περι-αιρέω*+ *ἀπό* +gen.

LXX Zeph. 3:11 ὅτι τότε περιελῶ ἀπὸ σοῦ τὰ φασίσιματα τῆς ὑβριεῶς σου

OJ 3:11 რამეთუ მაშინ მოგისპო შენ სიცრუეც გინებისა შენისაჲ

GSB 3:11 რამეთუ მაშინ მოგმარცუნე შენგან სიხენეშენი გინებისა შენისანი

როგორც ჩანს, თანდებულებიანი ფორმა ამ შემთხვევაში არ იყო ბუნებრივი ძველი ქართველი მთარგმნელისთვის. ძველი ქართული თარგმანი უთანდებულოდაც გადმოსცემს ძველი ბერძნული წინადადების შინაარსს. მოსალოდნელი იყო *მოგისპო შენგან*, თუმცა როგორც ჩანს აქ *-გან* პლეონასტური იქნებოდა, ისევე როგორც გამოთქმაში *Κρητὴ μὴς μὴμαρτ* (*πρὸς-ის გადმოსაცემად*), *μὴμαρτ* არის პლეონასტური, რომელსაც ძველი მთარგმნელი აგრეთვე შემთხვევათა უმეტესობაში ოდენ მიცემითით თარგმნის. აქ თავად ბერძნულშიც წინდებულის არსებობა, სავარაუდოდ, ებრაულის გავლენას უნდა მივაწეროთ, რადგან ძველ ბერძნულსაც შეეძლო ნაცვალსახელი უბრალოდ დატივში ჩაესვა, თუმცა ამ კონტექსტში *ἀπό* ებრაული *מן*-ს ფორმალური შესატყვისია.

I. 2. აღნიშნავს საწყის წერტილს, წარმოშობას (-დან/-გან) (= ἐκ, παρὰ).

ქართულში გადმოდის:

1) მოქმედებითი+გან:

დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან:

LXX Hag. 2:15 καὶ νῦν θέσθε δὴ εἰς τὰς καρδίας ὑμῶν ἀπὸ τῆς ἡμέρας ταύτης

OJ 2:15 დაიდევით გულთა თქუენთა ამიერითგან

SB 2:15 და აწ დაისხენით გულთა შინა თქუენთა ამით დღითგან

LXX Hag. 2:18 ὑποτάξατε δὴ τὰς καρδίας ὑμῶν ἀπὸ τῆς ἡμέρας ταύτης καὶ ἐπέκεινα ἀπὸ τῆς τετραδὸς καὶ ἀπὸ τῆς ἡμέρας θέσθε ἐν ταῖς καρδίαις ὑμῶν
OJ 2:18 დააწესენით გულნი თქუენნი ამიერითგან და მიმდემი ოცდაოთხითგან და ამიერ დღითგან დაიდევით გულთა თქუენთა.
SB 2:18 და-უკუწ-აწესენით გულნი თქუენნი ამით დღითგან და წამართ მეოთხითგან და დღითგან დაისხენით გულთა შინა თქუენთა.

LXX Hag. 2:19 τὰ ξύλα τῆς ἐλαίας τὰ οὐ φέροντα καρπὸν ἀπὸ τῆς ἡμέρας ταύτης εὐλογήσω
OJ 2:19 ხესა ზეთის ხილისასა, რომელსა არა აქუნ ნაყოფი, ამიერ დღითგან ვაკურთხო.
SB 2:19 ხენი ზეთისხისანი არ გამომღებელნი ნაყოფისანი ამით დღითგან ვაკურთხენე.

I. 3. შესიტყვება *ἀπὸ... ἕως*

ადგილის აღმნიშვნელ სიტყვებთან

LXX Jon. 3:5 ἐνεδύσαντο σάκκους ἀπὸ μεγάλου ἀπτῶν ἕως μικροῦ ἀπτῶν
OJ 3:5 ძამად შეიმოსეს მცირითგან ვიდრე დიდადმდე მათა
SB 3:5 შეიმოსეს ძამად დიდითგან მათით ვიდრე მცირედ მათდა

LXX Mal. 1:11 διότι ἀπ' ἀνατολῶν ἡλίου ἕως δυσμῶν τὸ ὄνομά μου δεδῶξασται ἐν τοῖς ἔθνεσιν
OJ 1:11 რამეთუ მზის აღმოსავალითგან ვიდრე დასავალადმდე დიდებულ არს სახელი ჩემი წარმართთა შორის.
SB 1:11 მით რამეთუ აღმოსავალთაგან მზისათათ და ვიდრე დასავალთამდე სახელი ჩემი დიდებულ არს წარმართთა შორის.

LXX Mic. 7:12 αἱ πόλεις σου αἱ ὄχυραι εἰς διαμερισμὸν ἀπὸ Τύρου ἕως τοῦ ποταμοῦ Συρίας ἡμέρα ὕδατος καὶ θορύβου
OJ 7:12 და ქალაქნი შენნი მოზღუდვილნი აღსაჭრელად ტჯროსით ვიდრე მდინარედმდე
შდრ. SB 7:12 და ქალაქნი შენნი მაგარნი განსაწილველად ტჯროსითგან ვიდრე მდინარედმდე

როგორც ვხედავთ, ძველი ბერძნული წინდებულის აღნიშნული სემანტიკის გადმოსაცემად ძველი თარგმანიც და გელათური რეცენზია ერთ სურათს გვიჩვენებს. ძველ ქართულში-ითგან ფორმათა ანალიზისას, მოწენიძე (1946:195) აღნიშნავს, რომ მათ ადგილის სემანტიკა შედარებით გვიან უნდა გამოეხატათ, რადგან ამ

მნიშვნელობას ზოგადად უთანდებულო მოქმედებითი გამოხატავდა, თუმცა, როგორც ვხედავთ, ძველ ქართულ თარგმანებშიც იგი ისეთივე პროდუქტიულია ადგილის, კერძოდ კი სივრცეში მოქმედების საწყისი წერტილის აღსანიშნავად, როგორც დროის ათვლის წერტილის გამოხატვისას. ხოლო რაც შეეხება ოდენ მოქმედებითის ფორმებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ჩვენს ტექსტში დაწყებითობის აღსანიშნავად არ გვხვდება.

I.4. აღნიშნავს წყაროს ან კრებულს რომლისგანაც ხდება არჩევა.

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+-გან:

1. ἐμπορεύομαι+ ἀπό +gen.

LXX Amos 8:6 ἀπό παντός γενήματος ἐμπορευσόμεθα
OJ 8:6 ყოვლისაგან სასყიდლისა ვივაჭრებდეთ.
GSB 8:6 ყოვლისაგან საქმისა ვივაჭროთ.

2. ἄπτα+ ἀπό +gen.

LXX Hag. 2:13 ἐὰν ἄφηται μεμιαμμένος ἐπὶ ψυχῇ ἀπό παντός τούτων
OJ 2:13 უკუეთუ შეეხოს შეგინებული სულითა ამის ყოვლისაგანსა
SB უკეთუ შეეხოს-თუ შეგინებული სულსა ზედა ყოველსა ზედა ამათგანსა²¹³
როგორც მაგალითები გვიჩვენებს, აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად ორივე ტრადიცია კვლავ ერთ სურათს გვიჩვენებს.

I. 4. აღნიშნავს მიზეზს (ვიღაცის/რადცის მიზეზით)

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+-გან

LXX Zech. 8:4 ἕκαστος τὴν ῥάβδον αὐτοῦ ἔχων ἐν τῇ χειρὶ αὐτοῦ ἀπό πληθους ἡμερῶν
OJ 8:4 კაცად-კადაცადასა კუერთხი თვისი აქუნდეს სიმრავლისაგან დღეთადასა
ჯელსა თვისსა.

²¹³ ἀπό] ἐπι Wc B-239 36 AchSaSyh (ა)

GSB 8:4 თითოეული კუეწროთხისა თჯსისა მქონებელი ჯელსა მისსა სიმრავლისაგან დღეთადასა.

LXX Zech. 8:10 τῷ εἰσπορευομένῳ οὐκ ἔσται εἰρήνη ἀπὸ τῆς θλίψεως

OJ 8:10 შემავალთა არა იყოს მშჯდობაჲ ჭირისაგან.

SB 8:10 შემავალისა არა იყოს მშჯდობა ჭირისაგან.

I. 6. პასიური სემანტიკის ზმნებთან გამოხატავს მოქმედების აგენსს (= ἵπός, παρὰ).

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+-გან

მოძრობის, დათმობის სემანტიკის ზმნებთან:

1. σείω+ ἀπό +gen.

LXX Nah. 1:5 τὰ ὄρη ἐσεισθήσαν ἀπ’ αὐτοῦ

OJ 1:5 მთანი და შეიძრნენ მისგან

GSB 1:5 მთანი შეიძრნეს მისგან

2. κατοικέω+ ἀπό +gen.

LXX Zech. 2:8 κατακάρπας κατοικηθήσεται Ἱερουσαλημ ἀπὸ πλήθους ἀνθρώπων

OJ 2:8(4) ნაყოფიერად დაემკვდროს იერუსალჴმი სიმრავლისაგან კაცთადასა

GSB Zech. 2:8(4) ნაყოფიერად დაემკვდროს იჴრუსალიმი სიმრავლისაგან კაცთა

როგორც ვხედავთ, ე.წ. აგენსური უბრალო დამატების გამოხატვაც ორივე ტრადიციაში -გან თანდებულით ხდება, თუმცა ეს დაკავშირებული უნდა იყოს არა იმდენად -გან-ის ფუნქციებთან ენაში, არამედ იმასთან, რომ იგი ἀπό-ს ფორმალური შესატყვისია. -გან-ისთვის ე.წ. აგენსური უბრალოდ დამატების გამოხატვა მეორეული ჩანს, რომელიც მისმა გამოსვლითობის სემანტიკამ მშვენიერად იგუა²¹⁴.

I. 7. შიშის სემანტიკის ზმნებთან გამოხატავს მოქმედების აგენსს:

ქართულში გადმოდის:

²¹⁴ იხ. παρὰ

SB 10,9 ვინათგან ბორცუთა შესცოდეს ისრაჲლსა, მუნ დაადგინნეს. ვერ ეწიოს მათ ბრძოლად შვილთა ზედა სიცრუისათა.

აგრეთვე შესიტყვება **აპ' ბრჩიჲს**. ამ კონტექსტებში წესით **დასაბამითგან** იყო მოსალოდნელი, ფსალმუნის სინურებში და გიორგისეულ რეცენზიაში დასაბამითგანაა, თუმცა მცირე წინასარმეტყველებში აღნიშნული შესიტყვების ეკვივალენტად გვევლინება უბრალო მიცემითიც:

LXX Amos 6:7 διὰ τοῦτο νῦν αἰχμάλωτοι ἔσονται **აპ' ბრჩიჲს** δυναστῶν καὶ ἐξαρθήσεται χρημετισμὸς Ἰσραὴλ ἐξ Ἐφραῖμ

OJ 6:7 ამისთვის აწ ტყუე იქმნენ **დასაბამსა** ძლიერთასა

GSB 6:7 ამისთვის აწ ტყუწნი იყვნენ **დასაბამსა** ძალთასა

LXX Zech. 12:7 καὶ σώσει κύριος τὰ σκηνώματα Ἰουδα καὶ θῶν **აპ' ბრჩიჲს**

OJ Zech. 12:7 და იქსნეს უფალმან საყოფელი იუდაისი, ვითარცა-იგი **დასაბამსა**

SB Zech. 12:7 და აცხოვნნეს უფალმან კარვებნი იუდაისნი, ვითარცა **დასაბამსა**

სავარაუდოდ, აღნიშნულ შემთხვევაში ბერძნულში შეიძლება სხვა წინდებული ყოფილიყო, რადგან Amos 6:7 -ში **აპ' ბრჩიჲს** დსვ.] **α' εν αρχη των αιχμαλωτισομενων Syh.**

მეორე ეკვივალენტად გვევლინება **მოქმედებითი+-გან**.

LXX Hab. 1:12 οὐκ ἔστι **აპ' ბრჩიჲს** κύριε ὁ θεὸς ὁ ἄγιός μου

OJ 1:12 არა შენ უფალი ღმერთი ხარა **პირველითაგან** წმიდაჲ ჩემი?

SB1:12 არა შენ **დაწყებითგან** უფალი ღმერთი წმიდაჲ ჩემი ხარ? ²¹⁶

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაგალითი, რომელშიც ბერძნულ წინადადებაში წარმოდგენილია ორი სინონიმური წინდებული, შესაბამისად ოდენ მოქმედებითის გამოყენება ორივე ტრადიციაში კონტექსტში ორი სინონიმური ბერძნული წინდებულის არსებობას უნდა დავუკავშიროთ.

LXX Mic. 5:1 αὶ ἐξ ὄθεν ἀπὸ τοῦ **აპ' ბრჩიჲს** ἐξ ἡμερῶν αἰῶνος

OJ 5:2 გამოსავალნი მისნი **დასაბამით** დღეთაგან საუკუნეთა.

GSB 5:2 გამოსავალნი მისნი **დასაბამით** დღეთაგან საუკუნოდასათა

²¹⁶ ამათი ეკვივალენტობაც საეჭვოა

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ჩანს, *ἀπό*-ს თავიდანვე მყარი ფომალური ეკვივალენტი შეერჩა ისეთ კონტექსტებშიც, რომლებიც ძველი ქართული მტარგმნელისთვისაც არაბუნებრივი არ უნდა ყოფილიყო. გვხვდება მხოლოდ ერთეული შემთხვევები, რომლებშიც ძველი თარგმანი ფუნქციურ ეკვივალენტს იყენებს (მიცემითის სახით), ხოლო რაც შეეხება მოქმედებითის გამოყენების შემთხვევებს, აქ საქმე უნდა გვექონდეს მთარგმნელის თარგმანის ტექნიკასთან, რომელიც გარკვეულ კონტექსტებში ჯერ კიდევ ეძებს ეკვივალენტს.

κατά

κατά-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

სექტუაგინტაში *κατά*, პოლისემანტური და ძალიან პროდუქტიული წინდებულაა, რომელიც იხმარება აკუზატივსა და გენეტივთან. გილესი (Giles (1895: 291-300) შენიშნავს, რომ *κατ-ά*-ს სუფიქსური ნაწილი აჯობებს, დაზუსტდეს, რომელ ნაწილზეა საუბარი წარმოშობით ძველი ინსტრუმენტალისის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო. ამდენად, როგორც სხვა წინდებულები, *κατά*-ც წარმოშობით სახელად მიიჩნევა, რომელიც შემდგომ ზმნიზედად, ხოლო საბოლოოდ წინდებულად ჩამოყალიბდა.

ანტიკურ ბერძნულში *κατά* აღნიშნავდა მოძრაობას ზემოდან ქვემოთ (სობოლევსკი 1890: 131), ასევე, მოძრაობას მიმართულების წინააღმდეგ “totum spatium percursum” და მოქმედების დასრულების ადგილს “ubi motus desinit” (Przybilla 1883: 21).

ბორტონი (Bortone 2010:116-117) გამოყოფს *kata*-ს ზოგად მნიშვნელობებს, რომლებიც, როგორც თავად აღნიშნავს, არ წარმოადგენენ *kata*-ს ამომწურავ სემანტიკურ დახასიათებას. მისი კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

Acc.

Gen.

მოძრაობა ქვემოთ (-კენ), მოძრაობა ზევიდან
κατά, მიზანი, რაღაცასთან ქვემოთ: ზედაპირზე /
 შესაბამისობა (-ებრ). სიღრმეში.

სეპტუაგინტაში, როგორც სხვა წინდებულებმა, *κατά*-მაც ებრაული წინდებულების გავლენა განიცადა. იოჰანესონი (Johannessohn 1925:245) გამოჰყოფს მის რამდენიმე მნიშვნელობას:

I. *κατά* გენეტივთან

შესაქმესა და გამოსვლათას წიგნებში *κατά*-ს გენეტივთან გამოყენების შემთხვევები იშვიათია, მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით და შემდეგი ებრაული წინდებულების ეკვივალენტად გამოიყენება:

1. ზე -ზე, წინააღმდეგ (*auf, gegen*)¹⁷
2. ჰ *in, gegen*-ში, წინააღმდეგ.
3. გამოხატავს მტრულ დამოკიდებულებას.
4. როგორცაა *herab von* „რაღაცეიდან ქვევით“ , *herab auf* „ქვემოთ რაღაცაზე“
5. იდიომატურ გამოთქმაში *ჟკან*-ის მნიშვნელობით ებრაული *חַצֵּל* -ის *hinter, ჟკან* შესატყვისად.

II. *κατά* აკუსატივთან

1. ლოკალურობა (გაფართოება/ განფენა სივრცეში)

ა) = ზე -ზე (*auf*)

ბ) = ჰ, -ში (*in*)

გ) = ზ -კენ

დ) = *πρὸς* კუთხეში (*zur Ecke*)

²¹⁷ აღნიშნული ებრაული წინდებულები აგრეთვე გადმოიცემა *ἐπί*+**dat**-ით.

ე) სეპტუაგინტასთვის დამახასიათებელ გამოთქმებში: *κατά πρόσωπον* = უჭ-ლუ სახით, სახის წინაშე (წინაშე პირსა) (*zu dem Antlitz*) *κατ' ὀφθαλμοῦς* = უიუქ , თვალთა წინაშე/თვალწინ (*zu den Augen*)

ვ) კარდინალურ მიმართულებას: = ოქქუ , აღმოსავლეთიდან (*von Osten*)

2. გამოხატავს დროს (რაცა დროის განმავლობაში) = იუქ , იმ დროს. (*um die Zeit*)

3. დისტრიბუტივი:

ა) დროის დისტრიბუტივი

თარგმანებში გამოიხატება სიტყვათა რედუბლიკაციით. მაგ.

სოფლად სოფლად და ენად ენადისა და მსგავსები დასაზუსტებელია წესით.

სივრცული დისტრიბუტივი და ა.შ.

4. გამოთქმაში *καθ' ἑαυτὸν* = იჭქ , თავისთავად (*zu seiner Absonderung*)

5. გამოიყენება შესაბამისობის გამოსახატავად: ხშირად = ჰ როგორ (*wie*) = იქ ისე როგორც (*wie so*) (Johannessohn 1925: 247-259)

κατά -ს მნიშვნელობები მეტად დაწვრილებითაა წარმოდგენილი სეპტუაგინტას ლექსიკონებში:

κατά,

I. 1. +gen. მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან აღნიშნავს მიმართულებას:

ა) ზემოდან ქვემოთ

ბ) ქვევით რაღაცაზე

გ) ქვევით რაღაცაში

დ) რაღაცის ქვეშ

2. ფიცის სემანტიკის ზმნებთან იმის აღსანიშნავად თუ ვის იფიცებს.

3. გამოხატავს მტრულ დამოკიდებულებას

4. უკან (იდიომატურად) (*მან მოიხურა კარი თავის უკან*).

5. გამოხატავს მიზეზს

6. გამოხატავს მიმართებას

II. 1. **+acc.** მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან აღნიშნავს მიმართულებას:

ა) ზედაპირის ქვეშ

ბ) რაღაცისკენ

გ) პირისპირ/ რაღაცის წინააღმდეგ

დ) მთელ სივრცეში ან ზედაპირზე

ე) გასწვრივ

ვ) რაღაცის წინაშე

ზ) რაღაციდან

2. დრო (რაღაცა დროის განმავლობაში)

მურაოკა, 6 მნიშვნელობა, რაღაც დროს, დაახლოებით ამ დროს, დასაწყისში....

3. ნორმა ან კრიტერიუმი, რის შესაბამისადაც ხდება მოქმედება

4. დისტრიბუტივი (დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან და რიცხვებთან, მაგ.: დღითი დღე, ორ-ორი) (Johannessohn 1925: 247-259; Muraoka 2009:408; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 647)

როგორც ვხედავთ, ბერძნული წინდებულის ყველა მნიშვნელობის გარჩევა და თარგმნა მარტივი არ უნდა ყოფილიყო ქართველი მთარგმნელისთვის, საინტერესოა ამ კუთხით რა სურათს იძლევა ჩვენი საანალიზო მასალა:

κατά-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში *κατά* სულ 43-ჯერ დასტურდება. აქედან აკუზატივთან – 28-ჯერ და გენეტივთან – 15-ჯერ. შემდეგი მნიშვნელობებით:

გენეტივთან

1) გამოხატავს მტრულ დამოკიდებულებას (მოქმედებას ვინმეს, რამეს წინააღმდეგ):

ქართულში გადმოდის:

1. მიცემითი ბრუნვით

1. ἀσεβέω+κατά+gen

LXX Hos. 8:1 καὶ **κατὰ τοῦ νόμου** μου ἠσέβησαν სჯულის წინააღმდეგ

O 8,1 და **შჯულსა** ჩემსა შესცოდეს

შდრ. SB 8,1 და **ძვნად შჯულისა** ჩემისა უთნო-იქმნეს.

2. მიცემითი+ზედა

1. ποιέω+κατά+gen

LXX Amos 7:10 συστροφὰς **ποιεῖται κατὰ σοῦ** Ἀμωσ შენ წინააღმდეგ

OJ 7,10 ერის-კრებასა ჰყოფს **შენ ზედა** ამოს

შდრ. GSB 7,10 მიმოქცეულებათა ჰყოფს **ძვნად შენდა** ამმოს

2. βουλεύω+κατά+gen

LXX Mic. 6:5 δὴ τί **ἐβουλεύσατο κατὰ σοῦ** Βαλακ

OJ 6,5 რაჲ-იგი იზრახა (ზრახა O) **შენ ზედა** ბალაკ (ბალაკ O),

შდრ. S 6,5 რაჲ იზრახა **ძვნად შენდა** ბალაკ

3. ნათესაობითი+-თვის

1. ἐξέρχομαι +κατά+gen

LXX Nah. 1:11 ἐκ σοῦ **ἐξέλυσεται** λογισμὸς **κατὰ τοῦ κυρίου**

OJ 1,11 რომლისაგან გამოვიდის გულის-სიტყუაჲ **უფლისათვის**

შდრ. GSB 1,11 შენგან გამოვიდეს გულის-სიტყუაჲ **ძვნად უფლისა**

2. κατα-λαλέω +κατά+gen

LXX Mal. 3:13 τίνι **κατελάλησαμεν κατὰ σοῦ**

OJ 3,13 «რაჲთა ძვრსა ვიტყოდეთ **შენთვის?**»

შდრ. SB 3,13 «რაჲ ძვრ-ვსიტყუფთ **ძვნად შენდა?**»

აღნიშნული მნიშვნელობა, როგორც ჩანს, რთული გადმოსაცემი აღმოჩნდა ძველი ქართველი მთარგმნელისთვის, რადგან შესატყვისობები არასისტემური

ხასიათისაა: *მიცემითი, ზედა, -თჳს* ზუსტად არ გამოხატავენ ბერძნული წინდებულის მნიშვნელობას, მაშინ როცა გელათში აღნიშნული სემანტიკა სისტემურად თარგმნილია ძუნად-ით, ე.ი. გელათს ნაპოვნი აქვს ფორმალური შესატყვისი, ხოლო ძველი ჯერ კიდევ ეძებს მას.

2) ფიცის სემანტიკის ზმნებთან აღნიშნავს იმას ვისაც იფიცებს:

ქართულში გადმოდის:

1. მიცემითი

1. *ბμσνσ+κατσ+gen*

LXX Amos 4:2 *ბμσνσ κσρσος κατσ τσν σγσων σბτσν*

OJ 4,2 ფუცავს უფალი წმიდათა მისთა

შდრ.SB 4,2 ფუცავს უფალი წმიდათა მიმართ მისთა

LXX Zeph. 1:5 *τσς ბμσνσντσς κατσ τσν βασιλσσς σბτσν*

OJ 1.5 რომელნი ფუცვენ მეფესა (მეფსა O) მათსა.

შდრ. GSB 1.5 რომელნი ფუცვენ (ფუცვენ+სახელსა რ~სა SB.) მეფისა მიმართ მათისა

LXX Amos 8:14 *σσ ბμσνσντσς κατσ τσν σλσσμσν Σσμσρσσσς*

OJ 8,14 რომელნი ფუცვენ სალხინებელსა მას სამარიადსასა

შდრ. GSB 8,14 მფუცავნი სალხინებელსა ზედა სამარიადსსა

2. ვითარებითი

LXX Zeph. 1:5 *τσς ბμσνσντσς κατσ τσν κσρσου*

OJ 1.5 რომელნი ფუცვენ უფლისა და (om. GSB)²¹⁸

²¹⁸ om. κ. τ. σμν. κατσ τ. κσρσου A''-Q'-198-233''-407txt-449'-534 c-239-613 LaS Co Aeth Arab Arm Cyr.Bas.N.: homoiot

3. ნათესაობითი+ მიმართ

LXX Amos 4:2 *ὁ μὲν κύριος κατὰ τῶν ἀγίων ἀπὸ τοῦ*

SB 4,2 ფუცავს უფალი წმიდათა მიმართ მისთა

შდრ. OJ 4,2 ფუცავს უფალი წმიდათა მისთა

LXX Zeph. 1:5 *τοὺς ἄμύοντας κατὰ τοῦ βασιλέως ἀπὸ τῶν*

GSB 1.5 რომელნი ფუცვენ (ფუცვენ+სახელსა ომსა SB.) მეფისა მიმართ მათისა

შდრ. OJ 1.5 რომელნი ფუცვენ მეფესა (მეფჳსა O) მათსა.

4. მიცემითი + ზედა

LXX Amos 8:14 *οἱ ἄμύοντες κατὰ τοῦ ἰλασμοῦ Σαμαρείας*

GSB 8,14 მფუცავნი სალხინებელსა ზედა სამარიაჲსსა

შდრ. OJ 8,14 რომელნი ფუცვენ სალხინებელსა მას სამარიაჲსასა

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ აპარატში ზედა-ს არსებობა სხვა წინდებულთ ვერ აიხსნება, ჩვენ მაინც გვგონია, რომ მისი ეკვივალენტობა საეჭვოა.

მიმართ თანდებულის მნიშვნელობაზე საუბრისას, მურაოკა მხოლოდ მის მიმართულების სემანტიკაზე მიუთითებს და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ფიცის სემანტიკის ზმნებთან იგი შეიძლება აღნიშნავსდეს იმას ვისაც ან რასაც იფიცებიან (მურაოკა 1946: 243).

როგორც ჩანს, ძველ ქართველ მთარგმნელს ფიცის ფორმულაში ძველი ბერძნული წინდებული უთანდებულოდ, ოდენ ბრუნვის ფორმით გადმოაქვს, (ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ფორმით), რაც ზუსტად ასახავს ბერძნული წინადადების შინაარსს. გელათი კი, თავის მხრივ, ცდილობს ფორმალური შესატყვისით, *მიმართ* თანდებულთ (ერთხელ *ზედათი*), გადმოიტანოს იგი²¹⁹, რაც გაიგება არა როგორც იმას ვისაც იფიცებიან, არამედ ვის მიმართაც, ვისდამიც

²¹⁹ შდრ. *πρός*

იფიცებთან, შესძლოა გელათს აღნიშნული კონტექსტი გააზრებული აქვს კიდევ ასე და ამიტომ იყენებს მიმართ თანდებულს, როგორც საუბრივ ფორმულებში ბერძნული *πρός*-ის შესატყვისად²²⁰.

აკუზატივთან

1) გამოხატავს შესაბამისობას, რის შესაბამისადაც ხდება მოქმედება:

ქართულში გადმოდის:

1. ნათესაობითი+-ებრ

1. *πληθύνω+κατά+acc*

LXX Hos. 10:1 *κατὰ τὸ πλῆθος* τῶν καρπῶν αὐτοῦ ἐπλήθυνεν τὰ θυσιαστήρια

O 10,1 **სიმრავლისაებრ** ნაყოფისა მისისა განამრავლნა საკურთხეველნი

SB 10,1 **სიმრავლისაებრ** ნაყოფთა მათთასა განამრავლნა მსხუერპლის-საცავნი.

2. *ποιέω +κατά+acc.*

LXX Hos. 11:9 οὐ μὴ ποιήσω *κατὰ τὴν ὁργὴν* τοῦ θυμοῦ μου

OSB 11,9 არა ვყო **რისხვისაებრ** გულის-წყრომისა ჩემისა,

3. *ἀντ-απο-δίδωμι +κατά+acc.*

LXX Hos. 12:3 τοῦ ἐκδικῆσαι τὸν Ἰακωβ *κατὰ τὰς ὁδοὺς* αὐτοῦ καὶ *κατὰ τὰ ἐπιτηδεύματα* αὐτοῦ ἀνταποδώσει αὐτῷ

OJ 12,3 შურის-გებად იაკობისგან **გზათაებრ** მისთა და **სლვათაებრ** მისთა მიაგოს მათ.

SB 12,3 შურის-გებად იაკობისა **გზათაებრ** მისთა და **სიმარჯუეთაებრ** მისთა მიაგოს მას.

4. *κηρύσσω+κατά+acc.*

LXX Jon. 3:2 *κήρυξον* ἐν αὐτῇ *κατὰ τὸ κήρυγμα* τὸ ἔμπροσθεν

OJ 3,2 და ქადაგებდ მას შინა **ქადაგებისა მისებრ** პირველისა

SB 3,2 ქადაგე მას შინა **ქადაგებისაებრ** წინასწარისა

5. *ὁμνῶ+κατά+acc.*

LXX Mic. 7:20 ὡμοσας τοῖς πατράσιν ἡμῶν *κατὰ τὰς ἡμέρας* τὰς ἔμπροσθεν

OJ ეფუცა მშთა (მამათა O) ჩნთა **დღეთა (დღჳთა O) მთათაებრ (მათებრ O) პლ'თა (პირველთა O).**

²²⁰ იხ. დანართი.

S ეფუცე მამთა ჩნთა დღეთაებრ წინასწართა.

2. მიცემითი + მსგავსად

LXX Hos. 2:17 *ταπεινωθήσεται κατὰ τὰς ἡμέρας ἀναβάσεως αὐτῆς ἐκ γῆς Αἰγύπτου*

OJ 2,17 და დამდაბლდეს მუნ მსგავსად დღეთა მათ გამოსლვისა მისისისათა ეგვიპტით.

შდრ. SB იმღერდეს დღეთაებრ გამოსლვისა ქუეყანით ეგვიპტით.

LXX Hos. 13:6 *κατὰ τὰς νομάς αὐτῶν καὶ ἐνεπλήσθησαν εἰς πλησμοσὴν*

OJ 13,6 მსგავსად საძოვართა მათთა და განძლეს მამღრივ

შდრ. SB 13,6 საძოვრისა მათისა მახლობელად ამოროხვით განძლომით იქმნეს

როგორც ვხედავთ, შემთხვევათა უმეტესობაში ოშკი სისტემურ ხასიათს გვიჩვენებს და ორივე ქართული ტრადიცია *κατὰ*-ს ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ფორმალურ ეკვივალენტს იყენებს. მხოლოდ ორ შემთხვევაში ოშკური ტიპი განსხვავებულ სურათს ქმნის და *-ებრ*-ის ნაცვლად *მსგავსად*-ს იყენებს. უკანასკნელი უ. ცინდელიანის შეხედულებით, მეფეთა წიგნებში უფრო არქაული ფენის მაჩვენებელია, „*ებრ სტილი*“ კი – უფრო გვიანდელი (უ. ცინდელიანი 1967:171-183). განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფორმა ოსიაში დასტურდება, რომელიც, ერთი შეხედვით, განსხვავდება სხვა მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული თარგმანებისგან. ამას დამატებული *მსგავსად* ეტაპი უცნობია ფსალმუნისთვის (მროტაძე 2009:207)

ამასთან, აღასანიშნავია, რომ ფსალმუნის ძველ ქართულ რეცენზიებში „*ებრ სტილი*“ სისტემურად დამახასიათებელია გიორგისეული რეცენზიისთვის, როცა ძველში ის სულ 4-ჯერ დასტურდება (მროტაძე 2009:207).

მომდევნო მაგალითებში, *κατὰ* -ს სხვა მნიშვნელობათა გადმოტანისას ძველი თარგმანიც და გელათური რეცენზია ერთნაირ სურათს გვიჩვენებს.

3) აღნიშნავს მხარეს (ფორმულა):

ქართულში გადმოდის:

1. მოქმედებითი+ კერძო:

LXX Zech. 14:10 *κυκλῶν πᾶσαν τῆν γῆν καὶ τῆν ἔρημον ἀπὸ Γαβε ἕως Ρεμμων κατὰ νότον*
Ierousaλημ

OJ 14,10 გარემო ყოველსა ქუეყანასა და უდაბნოდ გაბჭთვან ვიდრე რემონდმდე ზურგით კერძო იერუსალჴმსა.

SB 14,10 მომცველი ყოველსა ქუეყანასა და უდაბნოსა ღველითვან ვიდრე რემონამდე სამხრით კერძო იერუსალიმისა.

4) გამობატავს მოქმედებას რაღაცის გასწვრივ:

ქართულში გადმოდის:

1. მიცემითი+ზედა

1. *εἰμί+κατὰ+acc.*

LXX Hos. 13:7 *καὶ ἔσομαι αὐτοῖς ὡς πανθῆρ καὶ ὡς πᾶρδαλις κατὰ τῆν ὄδον Ἰσραηλ*
OJ13,7 და ვექმნე მათ, ვითარცა ავაზა (ავაზანი O) და ვითარცა ვეფხი გზასა ზედა ასურასტანელთასა.

SB 13,7 მეცა ვექმნე მათთვის ლომი ძუი ვითარცა ვეფხი გზასა ზედა ასსურასტანისასა.

5) გამობატავს დროის პერიოდულობას: რეგულარულად განმეორებად მოქმედებას

ქართულში გადმოდის რედუპლიკაციით:

1. *ἀνα-βαίνω+κατὰ+acc.*

LXX Zech. 14:16 *ἀναβήσονται κατ' ἑναιαυτὸν τοῦ προσκυνῆσαι τῷ βασιλεῖ κυρίῳ παντοκράτορι*

OJ 14:16 აღვიდოდინან წელიწადითი წელიწადად თაყუანის-ცემად მეუფისა უფლისა ყოვლისა მპყრობელისა

SB 14:16 და აღმოვიდოდინნ წლითი წლად თაყუანის-ცემად მეფესა უფალსა ყოვლისა მპყრობელსა

6) შესიტყვება *καθ' ἑαυτήν*:

ქართულში გადმოდის:

1. მიცემითი+ -გან

LXX Zech 12:6 κατοικήσει Ιερουσαλημ ἔτι καὶ ἔαυτήν

OJ 12,6 და დაემკვდროს იერუსალჴში მერმეცა თჴსაგან.

SB და დაიმკვდროს იჴრუსალიმმან მერმე თჴსაგან.

როგორც ჩანს, ძველი მთარგმნელისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა *κατά*-ს გენეტივთან კომბინაციით შემქმნილი, მტრული დამოკიდებულების გამომხატველი კონტექსტები, რამდენადაც აქ ეკვივალენტთა არასისტემური ხასიათი გვაქვს. სხვა შემთხვევაში, ძველი თარგმანიც, როგორც გელათური რეცენზია, ერთ მთარგმნელობით მეთოდს მისდევენ და ადეკვატურად გადმოაქვთ ბერძნული წინდებული.

μετά და σὺν

μετά+gen. და σὺν-ის მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ძველი ბერძნული წინდებული *σὺν* გვხვდება მხოლოდ დატივთან. მის უფრო ძველ ვარიანტად განიხილება ფორმა *ξὺν*, რომელიც დასტურდება ფორმაში *ξὺνός* მნიშვნელობით *საერთო*. ეტიმოლოგიურად ამოსავლად მიაჩნიათ საერთო ინდოევროპული ძირი **kom*, ისევე როგორც ლათინური *cum*-ისთვის (Frisk 1960: 339; Chantraine 1999: 768; Beekes-Beek 2010: 1038).

ძველი ბერძნული წინდებული *μετά* გენეტივსა და აკუზატივში მართავს სახელს. დაბოლოება *τά* პარალელს ავლენს ისეთ ბერძნულ წინდებულებთან, როგორებიცაა: *κατά*, *ἀνά*, *διά* და სხვ. (რაც მიუთითებს იმაზე, რომ წარმოშობით ისიც სახელი უნდა ყოფილიყო). ხოლო თავკიდური *με*, სავარაუდოდ, დასტურდება ფორმაში *μέσος* (Frisk 1960: 216; Chantraine 1999: 690; Beekes- Beek 2010: 936).

σὺν და *μετά+gen.*, სინონიმებია, ამათგან *σὺν* -ის გამოყენების არეალი ყოველთვის შეზღუდული იყო. მაგალითად, პლატონთან წინდებული *σὺν* სულ 29-ჯერ დასტურდება, *μετά+gen.* კი – 509-ჯერ (Mommsen 1895: 6).

სეკტუაგინტაშიც *σὺν*-ის დისტრიბუცია *μετά*+gen.-თან შედარებით გაცლებით მცირეა. მაგალითად, გენეზისსა და რუთის წიგნში საერთოდ არ გვხვდება (იოჰანესონი 1925: 202). როგორც იოჰანესონი შენიშნავს, რადგანაც *σὺν* და *μετά*+gen. სინონიმებია, ორივე ორივე მათგანი ერთი და იმავე ებრაული წინდებულების ეკვივალენტებად გვევლინება:

1. სვლა-სიარულის სემანტიკის ზმნებთან, ებრაული *ב*-ის, *ב*-ისა და *ב*-ის ეკვივალენტებად და აღნიშნავს თანაობას *თანა* (*mit*).

გამოსაყოფია *μετά*+gen-ის გამოყენება ებრაული *ב*-ის *უკან*, *თანა* (*hinter*) მნიშვნელობის გადმოსაცემად იდიომატურ გამოთქმაში *πορευόμενοι μετὰ τινος*, რომელიც *ვინმესთვის წაყოლას, თან გაყოლას, ვინმესთან ერთად სადმე წასვლას* აღნიშნავს (*jmdm. Folgen, ვიდაცის [უკან] მიყოლა*).

გამოსვლათასა და რიცხვთაში ვხვდებით გამოთქმას *σὺν δυνάμει ἀπ'αὐτῶν*, რომელიც ებრაულ *ב*-ს *სე* შეესაბამება (*ძალითურთ მათით*). აღნიშნული გამოთქმა გვხვდება ბიბლიის იმ წიგნებშიც, რომლებიც ბერძნულად დაიწერა (ივდიითი, მაკაბელები).

ებრაულში არის ზმნების ერთი წყება, რომლებიც სახელებს *ב* წინდებულთან ერთად შეიწყობენ და შესაბამისად აკუზატივსაც ამგვარად აწარმოებენ. დედნის ეს თავისებურებას, ცხადია, სეკტუაგინტაშიც აისახა და აღნიშნულ გამოთქმებში *ב* წინდებული უმეტესწილად *ἐν*-ით გადმოდის, თუმცა არის *σὺν*-ითა და *μετά*+gen.-ით გადმოტანვის შემთხვევებიც.

3. თანაობის შინაარსის გამოსახატავად *μετά* და *σὺν* სხვა შინაარსის ზმნებთანაც გამოიყენება.

4. მეტა ხშირადაა გამოყენებული *ב*-ისა და *ב*-ის შესატყვისად ჩამონათვალში არსებით სახელებთან.

გამონათქვამი *μετ' ἀπ'αὐτῶν* მხოლოდ თარგმნილ წიგნებშია გამოყენებული.

6. მხოლოდ *μετά* გვხვდება *თან წაღების, თან წაყვანის...* გამომხატველ ფრაზაში (*mit sich nehmen*) ებრაული *נָחַ*-ის, *נָחַ*-ისა და *נָחַ* -ის შესატყვისად.

7. ძალიან ხშირად, *שׁוּב* წინდებული გამოყენებულია რათა შეაერთოს ერთი ადამიანი ან საგანი სხვა საგნებთან თუ ადამიანებთან, რომლებიც ერთად არიან მოქმედების ობიექტნი. წესისამებრ ებრაულში ისინი და კავშირითა (!) არიან შეერთებულნი. მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში *שׁוּב*-ს და კავშირის ფუნქცია აქვს შეთავსებული. ამ ფუნქციით *μετά* არ დასტურდება.

שׁוּב-ითვეა გადმოტანილი ამავე მნიშვნელობის *נָחַ ... נָחַ* (ც...ც, ისევე როგორც....) *שׁוּב*, რომელიც ერთ არსებით სახელს მეორესთან აკავშირებს, გამოიყენება შემდეგი სემანტიკის არსებით სახელებთან:

ა. სხეულის ნაწილები = *שׁוּב* = *נָחַ*

ბ. ვინ ჯგუფის სახელებთან = *נָחַ* = *נָחַ* = *נָחַ*

გ. *שׁוּב* აკავშირებს ადამიანს თავის იარაღთან; მწყემსს თავის სამწყსოსთან; ცხენს თავის მხედართან; ქალაქს მოქალაქეებთან.

დ. ნივთებთან = *נָחַ*

ჩამონათვალში შემოჰყავს უკანასკნელი ელემენტი.

8. აბსტრაქტულ სახელებთან *שׁוּב* ძალიან იშვიათად გამოიყენება. უფრო ხშირად ვხვდებით *μετά* -ს. = *נָחַ* .

განსაკუთრებით საყურადღებოა ლევ. 26:5 = *נָחַ* *სარწმუნოდ, მტკიცედ, უსაფრთხოდ.*

9. ებრაული წინდებულების, *נָחַ*-ისა და *נָחַ*-ის, შესატყვისად გამოყენებულია *μετά* (არასოდეს *שׁוּב*):

ა) *ბრძოლის, ომის, წინააღმდეგობის* სემანტიკის ზმნებთან;

ბ) ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა *ზავის, შეთანხმების, პირობის დადება ვინმესთან* (*ein Bündnis mit jmdm. machen*)

ამ შინაარსით *συσ* -ის გამოყენების ერთადერთი მაგალითია მე-4 მეფეთას 17:15-ის ჰექსაპლურ მატებაში **תס**.

გ) *საუბრის, ლაპარაკის სემატიკის* ზმნებთან.

10) ცალკეული შემთხვევები

გვხვდება შესიტყვება *σὺν τοῦτοις* ებრაული **תְּחִיבָה** -ის ეკვივალენტად მნიშვნელობით *მიუხედავად ამისა*.

μετά ზმნასთან *διδόναι* გადმოსცემს დატივს.

μετά აღნიშნავს *შუას* 2 მაკ. 6.16-ში

(Johannessohn 1925:202-213).

II. *μετά*+acc

ადგილის აღმნიშვნელად არ გამოიყენება, გამოხატავს დროს შემდეგ ებრაულ გამოთქმებში

1. **רַחֵם** და **יָחַד** მნიშვნელობით, *უკან, შემდეგ* (*hinter, nach*) გამოხატავენ როგორც ადგილობით ასევე დროით შინაარსს, მაგრამ, როგორც ვნახეთ მეტა აკუზატივთან მხოლოდ მეორე შინაარსით გვხვდება. როგორც დროით ასევე ადგილობით მიმართებას გამოხატავს.

πίσω სხვა ებრაული წინდებულების გადმოსაცემადაც გამოიყენება.

2. ქმნის ზმნიზებას შესიტყვებაში *μετά ταῦτα* ებრაული **רַחֵם**-ის ეკვივალენტად მნიშვნელობით *მოგვიანებით* (*nachher*).

3. **מִן** მნიშვნელობით *-დან* (*von*) (მომავლის მნიშვნელობით),

4. **מֵעַד** მნიშვნელობით *ბოლოს* (*vom Ende*).

5. **עַד** მნიშვნელობით *-კენ* (*შემდეგ*) (*zu*).

6. **עַל** მნიშვნელობით, *-ში* (*ხუთ დღე*)ში (*in*).7. **עַל** მნიშვნელობით *ხელში* (*auf [der] Hand*). (1925:213).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული წინდებულების გამოყენების არეალი სრულად იდენტური არაა და არის გარკვეული კონტექსტები, რომელშიც უპირატესობა

ორიდან მხოლოდ ერთს ენიჭება, შემთხვევათა უმრავლესობაში კი ისინი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს.

ზოგადად კი სექსტუაგინტაში გამოჰყოფენ მათ შემდეგ მნიშვნელობებს:

σὺ

I. +dat.

1. ვინმესთან/რამესთან ერთად შეთანხმებულად მოქმედებას:

ა. რაღაცინად, ჩათვლით, -ურთ;

ბ. გამოიყენება ჩამონათვალის ბოლოს;

გ. აძლიერებს და კაცშირის მნიშვნელობას;

3. აღნიშნავს ინსტრუმენტალისს, მოქმედებას რაღაცით, რაღაცის გამოყენებით, რაღაცის საქმეში ჩართვით;

3. გამოხატავს რაიმე მოქმედების თანხლებ მოქმედებას (ემოციას);

4. წარმოადგენს ებრაიზმს გამოთქმაში *მიუხედავად იმისა, რომ* =*χω* . (ეს ყველაფერი მომიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ პური არ მომითხოვია);

5. აღნიშნავს პირდაპირ ობიექტს, ებრაული *נֶחֱ*-ის კალკი (Muraoka 2009:650; Lust-Eynikel-Hauspie 2008:1128).

μετά

I. +gen.

1. აღნიშნავს მოქმედებას/მყოფობას რაღაცასთან/ვიღაცასთან ერთად/ რაღაცინად.

2. გამოხატავს თანხლებას, მიუთითებს თანხლებ მოვლენაზე, ემოციაზე.

3. აღნიშნავს ინსტრუმენტალისს, მოქმედებას რაღაცით.

4. გამოხატავს მოქმედებას რაღაცის სანაცვლოდ.

5. აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის წინააღმდეგ.

6. გამოხატავს რაღაცასთან მსგავსებას.

7. გამოხატავს შეფასებას, აზრს (Muraoka 2009:452; Lust-Eynikel-Hauspie 2008:795).

μετά

II. +acc.

1. აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის დროის, მოვლენის შემდგომ.
2. იდიომატურ გამოთქმაში *ὁὐκ ἔστιν μετ' ἐμὲ* მნიშვნელობით *არავინაა ჩემ გვერდით* (Muraoka 2009:452-453; Lust-Eynikel-Hauspie 2008:795).

როგორც ჩანს, ორივე წინდებული, როგორც სხვა ბერძნული წინდებულები, მრავალმნიშვნელობიანი იყო. სავარაუდოდ, ქართველი მთარგმნელისთვის არ იყო იოლი მნიშვნელობათა განსაზღვრა კონტექსტში და მათი ადეკვატურად გადმოტანა. ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ქართველი მთარგმნელი ორი არჩევანის წინაშე იდგა: ეთარგმნა ძველი ბერძნული წინდებულები სხვადასხვა ქართული თანდებულებით, იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მას კონტექსტში, ან სისტემურად გადმოეტანა ერთი ქართული თანდებულებით და აღექურვა იგი ყველა იმ მნიშვნელობით, რაც ბერძნულს ჰქონდა, ე.ი. შეექმნა სემანტიკური კალკი.

μετά+gen. და σὺν-ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში, ისევე როგორც სეპტუაგინტას სხვა წიგნებში, *σὺν+dat.* გაცლებით იშვიათად გვხვდება, ვიდრე *μετά+gen.*, კერძოდ: *σὺν+dat.* 7-ჯერ, ხოლო *μετά+gen.* – 45-ჯერ, შემდეგი მნიშვნელობებით:

I. σὺν +dat.

I.1. აღნიშნავს მოქმედებას ვიღაცასთან/რაღაცასთან ერთად/რაღაცთანად.

აღნიშნული მნიშვნელობით ძველში სიტემურად მის ეკვივალენტად გამოყენებულია *-ურთ*, ხოლო გელათურ რეცენზიაში – *თანა*:

შემცირება, აღება, შეკრება, არსებობა სემანტიკის ზმნებთან:

1. *σμιχρῦσθαι* + *σὺν +dat.*

LXX Hos. 4:3 *σμιχρυσθήσεται σὺν πάνσιν τοῖς κατοικοῦσιν αὐτῆς σὺν τοῖς θηρίοις τοῦ ἀγροῦ καὶ σὺν τοῖς ἔρπετοῖς τῆς γῆς καὶ σὺν τοῖς πετεινοῖς τοῦ οὐρανοῦ*

ო 4:3 შემცირდეს ყოვლითურთ დამკვდრებულით მისით: მკვეციურთ ქუეყანისადთ და ქუეწარმაგალით და მფრინველით ცისადთ ²²¹ (Om. SB)

2. *ἐξ-αίρω*+ *σὺν* +dat.

LXX Amos 6:8 *ἐξἄρῶ πόλιν σὺν πᾶσιν τοῖς κατοικοῦσιν αὐτῆς*

OJ 6:8 აღვილო ქალაქი დამკვდრებულითურთ მისით.

შდრ. GSB 6:8 აღვილო ქალაქი ყოველთა თანა დამკვდრებულთა მისთა.

3. *Συν-άγω*+ *σὺν* +dat.

LXX Mic. 2:12 *συναγόμενος συναχθήσεται Ιακωβ σὺν πᾶσιν*

OJ 2:12 შეკრებით შეკრბეს იაკობი ყოვლითურთ

შდრ. GSB 2:12 შეკრებული შეკრბეს იაკობ ყოვლისა თანა

4. *εἶμι* + *σὺν* +dat.

LXX Mic. 7:13 *καὶ ἔσται ἡ γῆ εἰς ἀφανισμόν σὺν τοῖς κατοικοῦσιν αὐτῆς*

OJ 7:13 იყოს ქუეყანა განსარყუნელად დამკვდრებულითურთ მისით

შდრ. GSB 7:13 და იყოს ქუეყანა უჩინო-საქმნელად დამკვდრებულთა თანა მისთა

საინტერესოა, როგორ იქცევა ორივე ტრადიცია იმავე მნიშვნელობის *μετά*+gen.-ის გადმოტანისას:

I. *μετά*+gen.

I.1. აღნიშნავს მოქმედებას/მყოფობას ვიღაცასთან/რაღაცასთან ერთად/რაღაცაიანად.

ქართულში ორივე ტრადიციაში სისტემურად წარმოდგენილია ნათესაობითი+ თანა:

არსებობა, მოძრაობა სემანტიკის ზმნებთან

1. *εἶμι* + *μετά*+gen.

LXX Hag. 1:13 *ἐγὼ εἶμι μεθ' ὑμῶν*

OJ 1:13 მე ვარ თქუენ თანა

SB 1:13 მე თქუენ თანა ვარ

2. *πορεύομαι*+ *μετά*+gen.

LXX 8:23 *πορευσόμεθα μετὰ σοῦ*

²²¹ აღნიშნულ შემთხვევაში მოქმედებითის გამოყენებით მთარგმნელი თავიდან ირიდებს გამეორებას, ამას დამატებული, ოდენ ბრუნვიანი ფორმაც გამოხატავს იმავე მნიშვნელობას, რასაც -ურთ. რამდენადაც მოქმედებითის თავიდანვე ჰქონდა აღნიშნული ფუნქცია.

OJ 8:23 მოვიდეთ **შენ თანა**
SB 8:23 მოვიდეთ **შენ თანა**

3. *πλέω+ μετά+gen.*

LXX Jon. 1:3 *ἐνέβη εἰς αὐτὸ τοῦ πλεῖσαι μετ' αὐτῶν εἰς Θαρσῖς*
OJ 1:3 შევიდა მას წარსლვად **მათ თანა** თარშიდ
GSB 1:3 აღვიდა მისდამი ცურვად **მათ თანა** თარშიდ

როგორც ვხედავთ, *μετά+gen.*-ის აღნიშნული მნიშვნელობის გადმოტანისას ორივე ტრადიცია ერთნაირ სურათს გვიჩვენებს, თუმცა *σὺ*-ის გადმოტანასთან შედარებით, ოშკური ტიპი ერთმანეთისგან ასხვავებს წინდებულებს, მაშინ როცა გელათური რეცენზია ორივე წინდებულის გადმოტანისას ერთ თანდებულს იყენებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გელათურ მცირეებში *-ურთ* თანდებულის გამოყენების არეალის შეზღუდვაშია, რადგან მცირეების გელათურ რეცენზიაში ის თითქმის არ გვხვდება, მხოლოდ შესიტყვებაში *ყოვლითურთ* (2-ჯერ) ბერძნული ზმნიზედა *καθόλου*-ის გადმოსაცემად, მაშინ როცა ოშკურ თარგმნაში აღნიშნული ზმნიზედის ეკვივალენტია *ყოვლადვე*. მომავალში საინტერესოა, აღნიშნულის გადმოწმება სხვა წიგნებში და მხოლოდ შემდგომ შეიძლება იმის თქმა თუ რამდენად გადავარდნილია *-ურთ* ხმარებიდან გელათურ პერიოდში და წარმოადგენს თუ არა იგი უკვე არქაულ ფორმას.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ უდგება ოშკური და გელათური ტრადიცია *μετά+gen.*-ის სხვა მნიშვნელობების გადმოტანას:

I.3. გამოხატავს რაიმე მოვლენის თანმხლებ მოვლენას, მიუთითებს თანმხლებ მოვლენაზე,

თანმხლებ ემოციას.

ძველ თარგმანში ეკვივალენტია მოქმედებითი ბრუნვა, მაშინ როცა გელათურ რეცენზიაში სისტემურად გვაქვს თანა:

ჭამა, კვდომა, შეწირვა სემანტიკის ზმნებთან

1. κατεσθίω+ μετά+gen.

LXX Amos 1:14 καταφάγεται θεμέλια αὐτῆς **μετὰ** κραυγῆς
OJ 1:14 შეჭამნეს საფუძველნი მისნი **ღალადებით**
შდრ. GSB 1:14 შეჭამნეს საფუძველნი მისნი **ღალადებისა თანა**

2. ἀποθνήσκω+ μετά+gen.

LXX Amos 2:2 ἀποθανείται Μωαβ **μετὰ** κραυγῆς καὶ **μετὰ** φωνῆς σάλπιγγος
OJ 2:2 მოკუდეს **ღალადებითა** და **ჯმითა** ნესტჯსადთა.
შდრ. GSB 2:2 მოკუდეს მოაბი **ღალადებასა თანა** და **ჯმასა თანა** საყვრისასა.

3. θύω+ μετά+gen.

LXX Jon. 2:10 ἐγὼ δὲ **μετὰ** φωνῆς αἰνέσεως καὶ ἔξιμοιογήσεως θύσω σοι
OJ 2:10 ხოლო მე **ჯმითა** ქებისადთა აღსარებისადთა მსხუერპლი შევწირო შენდა.
შდრ. SB 2:10 ხოლო მე **ჯმასა თანა** ქებისა და აღსარებისასა გამსხუერპლო შენ.

გვხვდება მხოლოდ ერთი გამონაკლისი, როცა ეკვივალენტად ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია მოქმედებითი ბრუნვა:

1. უშემასმენლო+ μετά+gen.

LXX Hab. 3:1 προσερχῆ Αμβακουμ τοῖν προφήτου **μετὰ** ᾄδῆς
O 3:1 ლოცვად ამბაკუმ წინაწარმეტყუელისად **გალობით**:
SB 3:1 ლოცვად ამბაკომ წინაღწარმეტყუელისა **გალობით**:

როგორც ჩანს, მოცემულ მაგალითში გელათური რეცენზია და ძველი თარგმანი კონტექსტს ერთნაირად იაზრებს, სავარაუდოდ, როგორც ლოცვას გალობით და არა გალობის თანხლებით.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ შემთხვევაში ომკური ტიპი ბერძნულ წინდებულს ფუნქციურ შესატყვისს უსადაგებს, მაშინ როცა გელათს კვლავ მყარი ფორმალური შესატყვისით გადმოაქვს იგი.

I.4. აღნიშნავს ინსტრუმენტალისს, მოქმედებას რაღაცით.

გამოძიება სემატიკის ზმნებთან

1. ἐξεραισάω+ μετά+gen.

LXX Zeph. 1:12 ἐξεραισῆσα τὴν Ἱερουσαλημ **μετὰ λύχου**

OJ 1:12 გამოვიხილო იერუსალჴში **სანთლითა**

GSB 1:12 გამოვიძიო იჴრუსალიძი **ბაზმაკითა**

არსებულ მაგალითში, ორივე ტრადიცია ასხვავებს ბერძნული წინდებულის კონტექსტუალურ მნიშვნელობას და ისე გადმოაქვს იგი, ფუნქციური შესატყვისით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ე.წ. ომკური ტიპიც და გელათური რეცენზია კონკრეტულ მთარგმნელობით პრინციპს მისდევს – ეკვივალენტის შერჩევას ხშირ შემთხვევაში განაპირობებს კონტექსტი.

μετά+acc. -ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

წინდებულის აკუზატივთან მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში გვვდება მხოლოდ 5-ჯერ, შემდეგი მნიშვნელობებით:

II. μετά+acc.

II. 1. +acc. აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის შემდგომ

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+შემდგომად

LXX Hos. 3:5 **καὶ μετὰ ταῦτα ἐπιστρέψουσιν οἱ υἱοὶ Ἰσραηλ**

OJ 3:5 და ამისა **შემდგომად** მოიქცენ ძენი ისრაჴლისანი

SB 3:5 ამისა **შემდგომად** მოიქცენ ძენი ისრაჴლისანი

LXX Hos. 6:2 ὑγιασει ἡμᾶς **μετὰ** δύο ἡμέρας

O 6:2 განმაცხოველნეს **შემდგომად** ორისა დღისა

SB 6:2 განმამრთელნეს ჩუენ **შემდგომად** ორისა დღისა

LXX Joel 2:2 **καὶ μετ' αὐτὸν** οὐ προστεθήσεται ἕως ἐτῶν εἰς γενεὰς γενεῶν

OJ 2:2 და მისა **შემდგომად** არა შეეძინოს ვიდრე წლადმდე

SB 2:2 და **შემდგომად** მისსა არა შეიძინოს ვიდრე წელიწადთამდე

LXX Joel 3:1 **καὶ ἔσται μετὰ ταῦτα** καὶ ἐκχεῖ ἀπὸ τοῦ πνεύματος μου ἐπὶ πᾶσαν σάρκα

O 2:28 და იყოს ამისა **შემდგომად** - იტყვს უფალი ღმერთი - მივჴფინო სულისაგან

ჩემისა ყოველსა ჴორციელსა

GSB 2:28 და იყოს ამათსა შემდგომად მივჭფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ჯორცსა

II. 2. იდიომატური გამოთქმა

LXX Zeph. 'Εγώ εἶμι, καὶ οὐκ ἔστι μετ' ἐμὲ ἕτι

OJ 2:15 არღარავინ არს ჩემსა შემდგომად.

GSB2:15 არა იყოს ჩემ თანა მერმე

როგორც ჩანს, ძველი მთარგმნელი იდიომატურ გამოთქმას ვერ ასხვავებს სხვა კონტექსტებისგან, იგი **μετ+acc**-ს სისტემურად თარგმნის **შემდგომად-ით**, მაშინ როცა გელათური რეცენზია, მიუხედავად იმისა, რომ **μετ+acc**-ს სხვა კონტექსტებში სისტემურად თარგმნის **შემდგომად-ით**, აღნიშნულ მაგალითს განასხვავებს წინა კონტექსტებისგან და ისე არჩევს ეკვივალენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ თარგმანში ფორმალური შესატყვისობა ჭარბობს ფუნქციურს, კერძოდ 27 შეთხვევაში **μετ+gen**-ის თარგმნისას გამოყენებულია თანდებული, მაშინ როცა ოდენ ბრუნვისნიშნისანი ფორმა მხოლოდ 12-ია. **σν**-ის შემთვევაში კი მხოლოდ ერთ კონტექსტში გადმოტანილა ბრუნვის ნიშნით, ისიც გამეორების თავიდან ასაცილებლად.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად ბერძნული წინდებულის მრავალფუნქციურობისა ორივე ტრადიცია, შემთხვევათა უმეტესობაში, თავს ართმევს მის თარგმნას. აღნიშნულ მაგალითებშიც ძველი თარგმანიც შესატყვისობათა ისეთივე სისტემურობას გვიჩვენებს, როგორც გელათური რეცენზია, რიგ შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ ეკვივალენტთა შერჩევაშია.

παρῦ

παρῦ-ს მნიშვნელობები სეპტუაგინტაში

παρά ისევე, როგორც სხვა ბედნული წინდებულები წარმოშობით არსებით სახელად მიიჩნევა. გვხვდება მისი **παρά** ვარიანტიც, რომელიც დადასტურებულია სახელში **Παρα-βίτας** (Frisk 1960:472; Chantraine 1999:856). ტერმინალური **-ί** დატივის უძველეს ნიშნად განიხილება (Schwyzer-Debrunner 1950:491).

წინდებული **παρά** იხმარება გენეტივთან, აკუზატივსა და დატივთან. ისიც, როგორც სხვა ბედნული წინდებულები, პოლისემიურია. სექტუაგინტაში იგი რამდენიმე ებრაული წინდებულის შესატყვისად გამოიყენება და კონკრეტულ ზმნასა და ბრუნვასთან კომბინაციაში გამოხატავს კონკრეტულ მნიშვნელობას.

როგორც იოჰანესონი (1925:226) აღნიშნავს, **παρά** შემდეგი ებრაული წინდებულების ეკვივალენტად გვევლინება, კერძოდ:

I. **παρά** გენეტივთან

1. იხმარება ებრაული **יְבַרְכֶּנּוּ** -*დან/ -გან* წინდებულის გადმოსაცემად. და მასთან კომბინაციაში შექმნილი ებრაული წინდებულების **יְבַרְכֶּנּוּ** და **מֵעַל** -*გან თანა* (*von bei*) ეკვივალენტად. მათ თარგმნისას **παρά** გამოხატავს მოქმედების საწყის წერტილს ან მოქმედების ავტორს (ვისგანაც მოდის მოქმედება).
2. ხშირად გვხვდება *აღება* სემანტიკის ზმნებთან ებრაული **אֶל** (*aus der Hand* *ხელიდან/სგან*), **יְבַרְכֶּנּוּ** -*გან თანა პირისა* (*von bei dem Antlitz*), **מֵעַל** -*გან კენ პირისა* (*von zu dem Antlitz*) გამოთქმების გადმოსაცემად.
3. თავისუფალ თარგმანში **בְּ** -ში (*in*) შესატყვისად.
4. ერთადერთ შემთხვევაში გვხვდება ებრაული **עַל** -*ზე* (*auf*), შესაყვისად, რითაც მტარგმნელი სრულიად ცვლის კონტექსტის შინაარსს.

II. **παρά** დატივთან ეკვივალენტია

1. **מֵעַל** , **יְבַרְכֶּנּוּ** *თან, თანა* (*mit, bei*)²²²;
2. **יְבַרְכֶּנּוּ** *გვერდით* (*neben*);
3. **יְבַרְכֶּנּוּ** -*გან*; **יְבַרְכֶּנּוּ**

²²² აღნიშნული ებრაული წინდებულები აგრეთვე გადმოიცემა **μετά** +**gen**-ით

4. ჰ -ის გამოთქმაში :*ჰჰჰ ოჰჰჰ რომლის ხელშიც;*

კიდევ არის ისეთ გამოთქმებში, რომლებიც შედგება წინდებულ ჰ -სა და სუბსტანტიური შემადგენლისაგან. მხედველობაში აქვს ნახევარწინდებულები: ხელთა შინა, თვალთა შინა, წინაშე პირსა

5. ებრაული გენეტივის შესატყვისად. ნათესაობის გამომხატველ ადგილიმდებარეობის აღმნიშვნელი არსებითი სახელის გადმოსატანად.

III. *παρὰ* აკუზატივთან :

1. გამოხატავს ლოკატივს:

ა) აღნიშნული მნიშვნელობით იგი ებრაული ჰ -თან/წინაშე, მჟ -თან/ თანა, ზუ-ზე შესატყვისია;

ბ) გამოიყენება ებრაული ზმნიზედური აკუზატივის გადმოსაცემად.

გ) იხმარება მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან ებრაული ზჟ -კენ შესატყვისად;

დ) ქმნის გამონათქვამს *παρὰ πρόθεν*;

2. იშვიათად გამოხატავს მიზეზს/ საფუძველს კომბინაციაში ინფინიტივთან;

3. აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის წინააღმდეგ;

4. გამოხატავს შედარებით ხარისხს (Johannessohn 1925:226-235).

რომ შევაჯამოთ სეპტუაგინტაში *παρὰ*-ს მნიშვნელობები სხვადასხვა ლექსიკონის მიხედვით, შემდეგ სურათს მივიღებთ:

παρὰ

I. +gen.

1. აღნიშნავს სივრცეში მოძრაობის საწყის წერტილს (-დან/-გან) ე.ი. გამოსვლისობას.

2. აღნიშნავს მოქმედების აგენსს.

3. აღნიშნავს მოქმედების მიმდინარეობას/დასრულებას ვიღაცის თანდასწრებით.

II. +dat.

1. გამოხატავს სიახლოვეს, ახლოს მყოფობას როგორც სივრცეში, ასევე გადატანითი მნიშვნელობით, დამოკიდებულებით.

2. გამოხატავს მიმართებას.

3. შეფასებას.

III. + acc.

1. აღნიშნავს მოძრაობასა და მდგომარეობას სივრცეში: ა) გვერდით, ახლოს (როგორც მოქმედებას დინამიკაში, ასევე სტატიკაში). ბ) წინაშე გ) ზედა.
2. აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის გასწვრივ/-კენ.
3. გამოხატავს მიზეზს ინფინიტივთან კომბინაციაში.
4. გამოხატავს შედარებას.
5. აღნიშნავს რაოდენებას რითიც მიიღწევა ან ვერ მიიღწევა რაღაც მოქმედება.
6. გამოხატავს მნიშვნელობას *წინააღმდეგ*
7. აღნიშნავს *რაღაცის გავლით, განმავლობაში*.

(Johannessohn 1925:226-235; Muraoka 2009 : 522-524; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 904)

παρὰ-ს მნიშვნელობების მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში *παρὰ*-ს სულ 17 შემთხვევა დასტურდება. აქედან 15 - გენეტივთან 1 - დატივთან და 1 - აკუსატივთან შემდეგი მნიშვნელობებით:

I. გენეტივთან

I. I. გამოხატავს გამოსვლითობას, ე.ი. მიუთითებს წარმოშობის წყაროს, მოქმედების საწყის წერტილს, გამოსვლას რაღაცეიდან/რაღაცისგან = *ἐκ*.

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი + -გან:

აღება/მიღება სემანტიკის ზმნებთან:

1. *δέχομαι+ παρά+gen.*

LXX Amos 5:11 *δῶρα ἐκλεκτὰ ἐδέξασθε παρ' αὐτῶν*

OJ 5:11 ძღუენსა რჩეულსა მიიღებდით მათგან

GSB 5:11 ძღუენთა რჩეულთა შეიწყნარებდით მათგან

2. *λαμβάνω+ παρά+gen.*

LXX Zach. 6:10 *λαβέ τὰ ἐκ τῆς αἰχμαλωσίας παρὰ τῶν ἀρχόντων καὶ παρὰ τῶν χρησίμων αὐτῆς καὶ παρὰ τῶν ἐπεγνακώτων αὐτῆς*

OJ 6:10 მოიღე ნატყუნავისაგან მთავართაჲსა²²³ და ისჯმრესთა მისთაგან და მათგან, რომელთა იცოდინან იგი.

GSB 6:10 მიიღე ტყუზობისათაგან მთავართაგან და პატივ-ცემულთაგან მისთა და შემეცნებულთაგან მისთა.

თხოვნა, მოთხოვნა, გამოძიება სემანტიკის ზმნებთან:

1. *ἐκ-ζητέω+ παρά+gen.*

LXX Mich. 6:8 *τί κύριος ἐκζητεῖ παρὰ σοῦ*

OJ 6:8 რასა ეძიებს უფალი შენგან

SB 6:8 რასა ეძიებს შენგან უფალი

²²³ აღნიშნულ მაგალითში *παρὰ* კონტესტში გამოყენებულია სინონიმურ *ἐκ* -თან ერთად (ორივე -გან-ის მნიშვნელობით), რაც, როგორც ჩანს, ძველი მთარგმნელისთვის სირთულეს წარმოადგენს მეზობლობაში მყოფი ორივე სინონიმური წინდებულის გადმოტანა და იგი *ἐκ* -თან უშუალოდ მეზობლობაში მყოფ *παρὰ*-ს უთარგმნელად ტოვებს, მაშინ როცა დანარჩენ ორს თარგმნის, განსხვავებით გელათელი მთარგმნელისგან, რომელსაც ორივე წინდებულები გადმოაქვს. ის ფაქტი, რომ სამი *παρὰ*-დან მხოლოდ ერთს არ თარგმნის, რაც შეიძლება მიუთითებდეს გვიანდელი კლებაზეც.

2. αἰτέω+ παρὰ+gen.

LXX Zach. 10:1 αἰτεῖσθε ἕτερον παρὰ κυρίου

OJ 10:1 ითხოვდით უფლისაგან წვმასა

SB 10:1 ითხოეთ წვმა უფლისაგან!

I. II. გამოხტავს ვის მიერ სრულდება მოქმედება, ე.წ. აგენსს, მნიშვნელობით უდრის ἰπὸ-ს. ქართულში გადმოდის:

ნათესაობითი+ მიერ:

მოსმენა/გაგება სემატიკის ზმნებთან:

1. ἀκούς+ παρὰ+gen.

LXX Abd. 1:1 ἀκοῆν ἤκουσα παρὰ κυρίου

OJ 1:1 ჰამზავი გესმა უფლისა მიერ

GSB 1:1 სასმენელი მესმა უფლისა მიერ

მოძრაობის სემატიკის ზმნებთან:

1. κατα-βαίνω+ παρὰ+gen.

LXX Mich. 1:12 ὅτι κατέβη κακὰ παρὰ κυρίου ἐπὶ πύλας Ἱερουσαλημ.

OJ 1:1 რამეთუ გარდამოვდა ძვრი უფლისა მიერ ბჭეთა იერუსალჴმისათა.

GSB 1:12 რამეთუ შთამოვიდეს ბოროტნი უფლისა მიერ ბჭეთა ზედა იზრუსალიმისათა.

2. πίπτω + παρὰ+gen.

LXX Mich. 5:6 ὡς δρόσος παρὰ κυρίου πίπτουσα

OJ 5:7 ვითარცა ცუარი უფლისა მიერ გარდამომავალი

GSB 5:7 ვითარცა ცუარი დავრდომილი უფლისა მიერ

თქმა სემანტიკის ზმნებთან (გვარი პასივი):

1. κηρύσσω/λέγω+ παρὰ+gen.

LXX Jon. 3:7 καὶ ἐκηρύχθη καὶ ἐρρέθη ἐν τῇ Νινευη παρὰ τοῦ βασιλέως καὶ παρὰ τῶν μεγιστάνων

OJ 3:7 და იქადაგა და ითქუა ნინევეს შინა მეფისა მიერ და მთავართა მისთა მიერ

SB 3:7 და იქადაგა და ითქუა წინევეს შინა მეფისა მიერ და დიდ-დიდთა მისთა მეტყუღლთა²²⁴

იყო/იქმნა სემანტიკის ზმნებთან (უგვარო):

1. εἰμί + παρά+gen.

LXX Hab. 2:13 οὐ πάντα ἐστὶν παρά κυρίου

OJSB 2:13 არა ესე არსა (არიანSB) უფლისა მიერ

2. γίνομαι+ παρά+gen.

LXX Zach. 7:12 καὶ ἐγένετο ὄργη μεγάλη παρά κυρίου

GSB 7:12 და იქმნა რისხვაჲ (რისხვა SB.) დიდი უფლისა მიერ (om. OJ²²⁵)

აღნიშნულს თუ შევადარებთ ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ რეცენზიებს – *παρά+gen.*-ის აგენსური მნიშვნელობის გადმოტანისას უფრო ჭრელ სურათს ვხვდებით: აქ ეკვივალენტად გამოყენებულია როგორც *მიერ* და *-გან*, ასევე, მოქმედებითი ბრუნვა (მროტაძე 2010:73).

როგორც ვხედავთ, წინასწარმეტყველთა წიგნებში აგენსის მნიშვნელობით გამოყენებული *παρά+gen.*-ის სისტემურ შესატყვისად ქართულში *მიერ* გვევლინება და არცერთ შემთხვევაში *-გან*. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქართულისთვის *მიერის* გამოყენება არაბუნებრივია, კერძოდ: მოსმენა/გაგება და განსაკუთრებით მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან, სადაც *-გან*-ის გამოყენებაა მოსალოდნელი.

II. დატივთან

II. I. გამოხატავს ვინმესთან ან რამესთან სიახლოვეს = *μετὰ*.

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+თანა:

არსებობის სემანტიკის ზმნასთან:

1. ὑπάρχω+ παρά+dat.

LXX Amos 6:10 εἰ ἔτι ὑπάρχει παρά σοί

OJ6:10 «უკუეთუ არსდა შენ თანა?»

²²⁴ *παρὰ τ. μεγ.] παντων μεγ. S**; ab omnibus maioribus Hi.; om. *παρὰ* AchSa Thph. = M

²²⁵ om. *παρὰ* 130' Aeth

GSB 6:10 «უკეთუ არს-ღა შენ თანა?»

III. *παρά τὸ + inf.*

III. I. გამოხატავს მიზეზს

ქართულში გადმოდის:

1. ნათესაობითი +-თვის

1. *ἐκλείπω+ παρά +acc.+ inf.*

LXX Soph. 3:6 *ἐξέλιπον αἱ πόλεις ἀπ' αὐτῶν παρά τὸ μῆδενα ὑπάρχειν μῆδ' κατοικεῖν* (მოკვდნენ ქალაქნი მისნი რადგან არავინ იყო, არავინ მკვიდრობდა იქ.)

GSB 3:6 მოაკლდეს ქალაქნი მათნი არცაერთისათვის ყოფითა, არცა დამკვდრებითა.

შდრ. OJ 3:6 მოაკლდეს ქალაქნი მისნი, ამისთვის რამეთუ არავინ არს, რომელმანმცა დაიმკვდრა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კონტექსტი რთული სათარგმნი აღმოჩნდა ქართველი მთარგმნელისთვისაც. ძველი მთარგმნელი *παρά*-ს უკავშირებს *τὸ*-ს და შესაბამისად თარგმნის (შდრ. *διὰ τοῦτο* და *ἀπ' αὐτῶν*), ხოლო გელათი ინფინიტივს. სხვა შემთხვევაში ოშკური თარგმანიც და გელათური რევიზია ერთნაირ სურათს გვიჩვენებს.

ამ მუხლს მურაოკა განმარტავს როგორც მიზეზის ან თანმიმდევრული ძალის აღმნიშვნელს. და მიიჩნევს, რომ აქ *παρά* კავშირს ქმნის როგორც აკუზატივთან, ასევე ინფინიტივთან (Muraoka 1993: 182). თეოდორე მოფსუესტელი შედეგობით, *ἄσπε*-ს მნიშვნელობას ხედავს (297).

როგორც ვხედავთ, მნიშვნელობის დადგენა არც ძველი თარგმანისა და არც გელათური რევიზიისთვის არაა რთული. ოშკსა და გელათშიც *-თვის* თანდებულია წარმოდგენილი. მხოლოდ ის განასხვავებთ, თუ რას უკავშირებენ მას. ოშკური ტიპის რთულია არა მნიშვნელობის დადგენა, არამედ უპირო, ინფინიტივური, კონსტრუქციის თარგმნა. ამით შეიძლება ავხსნათ ოშკის გადაწყვეტილება – წინდებულს მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით თარგმნის. გელათს კი ინფინიტივი ფორმალური სიზუტის დასაცავად მასდარით გადმოაქვს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ *παρά*-ს პოლისემიურობის გამო გვაქვს ეკვივალენტთა ასეთი სიჭრელე. ორივე ტრადიცია ერთ მთარგმნელობით მეთოდს მიმართავს – ორივე

ასხვაგვებს ბერძნული წინდებულის კონტექსტუალურ მნიშვნელობას და შემდეგ უსადაგებს კონკრეტულ სემანტიკას მყარ ფორმალურ შესატყვის.

πλην

πλην-ის მნიშვნელობები სექსტუაგინტაში

πλην ძველ ბერძნულში გამოიყენება როგორც წინდებულის, ზმნიზედა და მკვემდებარებელი კავშირი. მისი დიალექტური ვარიანტია **πλάν**. ეტიმოლოგიურად განიხილება *πλη-ის აკუზატივის გაქვავებულ ფორმად.²²⁶ წარმოშობით მასთანავეა დაკავშირებული **πέλας** და **πλησιον** ზმნიზედები, რომლებიც *ახლოს, მახლობლად-ს* აღნიშნავს. თავად **πλην**-ის ამოსავალ მნიშვნელობადაც *ახლოს* მიიჩნევა, მნიშვნელობის გადაწევის შედეგად კი წინდებულმა შეიძინა *გარდა-ს* მნიშვნელობა (Frisk 1960:561; Chantraine 1999:873; Schwyzer-Debrunner 1950: 542; Beekes- Beek 2010:1209). წინდებულის ფუნქციით, **πλην** გვხვდება მხოლოდ გენეტივთან.

სექსტუაგინტაში წინდებულის **πλην** შემდეგი ებრაული წინდებულებისა თუ შესიტყვებების ეკვივალენტად გვევლინება:

1. **הַחוּץ** – *გარდა (außer)*. ამავე მნიშვნელობისაა და ამავე ებრაული წინდებულის ეკვივალენტებად ასევე გამოყენებულია წინდებულები: **ἐκτός** და **πάρῃξ**.
2. **מִחוּץ** – *გარდა, გარდა ამისა (außer, abgesehen von)*. ამავე მნიშვნელობის და ამავე ებრაული წინდებულის ეკვივალენტად ბერძნულში გვხვდება **ἐκτός**, **πάρῃξ** და **χωρίς**.
3. **ἄνωθεν** – *გარდა, გარეშე, თვნიერ (außer)*. ამავე მნიშვნელობის და ამავე ებრაული წინდებულის ეკვივალენტად ბერძნულში გვხვდება **ἄνωθεν**.
4. **ἄνωθεν** – *-დან გარდა (von außer)*.
4. **μόνον** – *მხოლოდ (nur)*.

²²⁶ გაქვავებული აკუზატივის ფორმადაც მიიჩნევა მისი ანტონიმი **ἐξ**.

5. ךך – მხოლოდ (*nur*).

6. םא זך – გარდა (*sondern, außer*).

7. מפ – ვიღაცასთან/რადაცასთან ერთად (*zusammen mit*).

8. $\text{יְהוֹחָנָן־לְפָנָיו}$ პირსა ზედა (*auf [dem] Antlitz*) (Johannessohn 1925:342-344).

როგორც ვხედავთ, სხვა ძველ ბერძნულ წინდებულთა მსგავსად, πλην -იც რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის ებრაული წინდებულის ეკვივალენტად გვევლინება.

სეპტუაგინტას ლექსიკონებში გამოყოფილია წინდებულის ფუნქციით გამოყენებული πλην -ის ქვემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობები:

$\text{πλην} + \text{gen.}$

1. ძირითადად გამოიყენება უარყოფითი გაგებით, მნიშვნელობით – *გარდა, გარდა ამისა*, გამოკლებით დამატებით.

აზისტებს სიტუაციას, რომელსაც წინამავალი მტკიცებულებანი არ ეხება (Muraoka 2009:564; Lust-Eynikel-Hauspie 2008:973).

πλην -ის მნიშვნელობების მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში πλην -ის წინდებულის ფუნქციით გამოყენების მხოლოდ 2 შემთხვევა დავადასტურეთ, *გარდას* მნიშვნელობით. რაც არაა გასაკვირი, რადგან ეს წინდებულის თავად სეპტუაგინტაშიც არც თუ ხშირად გამოიყენება (იოჰანსონის თანახმად, სულ 240 შემთხვევა დასტურდება (Johannessohn 1925:342)).

ქართულში აღნიშნული წინდებულის ეკვივალენტებია *თვნიერ, გარეშე და -გან კიდე*.

***ცნობა, არსებობა* სემანტიკის ზმნებთან:**

1. $\text{γινώσκω} + \text{πλην} + \text{gen.}$

LXX Hos. 13:4 $\text{μηδὲν πλην ἐμοῦ οὐ γινώσκει}$

OJ 13:4 ღმერთი თვნიერ ჩემსა არა იცნა

მდრ. SB 13:4 ღმერთი ჩემგან კიდე²²⁷ არა იცნა

2. $\text{εἶμι} + \text{πλην} + \text{gen.}$

²²⁷ აღნიშნული შესიტყვება მხოლოდ საბას ტობისშია ერთხელ, 4:12-ში. გელათში კი სხვაგან არ გვხვდება.

LXX Joel 2:27 οὐκ ἔστιν ἔτι **πλήθ** ἐμοῦ
GSB 2:27 არა არს უფალი **თვნიერ ჩემსა**
შდრ. OJ 2:27 არავინ არს სხუად **ჩემსა გარეშე**

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ტრადიცია ასხვავებს **πλήθ**-ის ფუნქციას წინადადებაში, კერძოდ, როცა ის ბერძნულში ზმნიზედური ფუნქციითა გამოყენებული, მცირე წინასწარმეტყველებში ძველი მთარგმნელი ეკვივალენტად არასდროს არ იყენებს **თვნიერ-ს** ან **გარეშე-ს**, გადმოაქვს **ხოლო-თი**, **გარნა-თი** ან **არამედ-ით**, გელათს კი სისტემურად **გარნა-თი** გადმოაქვს, მაგალითად:

LXX Amos 3:2 **πλήθ** ἡμᾶς ἔγνων ἐκ πασῶν φυλῶν
OJ 3:2 თქვენ **ხოლო** გიცნენ ყოველთაგან ნათესავთა
SB 3,2 **გარნა** თქვენ გიცნენ ყოველთაგან

LXX Amos 9:8 **πλήθ** ὅτι οὐκ εἰς τέλος ἐξαρᾶ τὸν οἶκον Ιακωβ λέγει κύριος
OJ **ხოლო** არა სრულიად აღვილო სახლი იაკობისი - იტყვს უფალი.
GSB **გარნა** რამეთუ არა სრულიად აღვილო სახლი იაკობისი

LXX Zeph. 3:7 **πλήθ** φοβεῖσθέ με
OJ 3:7 **გარნა** გეშინოდენ ჩემგან
GSB **გარნა** შეშინდით ჩემგან

LXX Zech. 1:6 **πλήθ** τοὺς λόγους μου καὶ τὰ νόμιμά μου δέχεσθε
OJ **არამედ** სიტყუანი ჩემნი და შჯული ჩემი შეიწყნარეთ
SB **გარნა** შჯული ჩემნი და საშჯულონი ჩემნი შეიწყნარებით

ამ ორიოდე მაგალითის მიხედვით, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ იმისთვის, რომ ზუსტად დავადგინოთ თუ რა არის **πλήθ**-ის ეკვივალენტი (როცა იგი წინდებულის ფუნქციითაა გამოყენებული) სხვადასხვა ტრადიციაში აუცილებელია მისი შესწავლა სხვა წიგნების მიხედვითაც.

ἵπός

ἵπός-ს მნიშვნელობები სექსტუაგინტაში

ἵπός წინდებული გვხვდება გენეტივთან, აკუზატივთან და დატივთან. დასტურდება მისი ἵπαι და ἵπαι ვარიანტები (შდრ. ფორმები: *παραι, καται*). ისევე როგორც სხვა წინდებულები, ისიც თავის დროზე დამოუკიდებელი სიტყვა უნდა ყოფილიყო (Frisk 1960:471; Chantraine 1999:1160).

იოჰანესონის (1925:174) თანახმად, ἵπός წინდებული რამდენიმე ებრაული წინდებულის ეკვივალენტად გვევლინება, კერძოდ:

I. ἵπός გენეტივთან

1. ებრაული *מן* -ის შესატყვისად, როდესაც იგი გამოსვლითობას, მოქმედების წყაროს, საწყისს, ინიციატორს აღნიშნავს, შეესაბამება ქართულ *-ის-გან / -ით-გან თანდებულებს* (*von*), და გამოიყენება პასიურ ზმნებთან (ამ მნიშვნელობით იხმარება ასევე *ἄπός*).

2. გარდაუვალ ან პასიურ ზმნებთან ებრაული წინდებულების შესატყვისად:

ა) *ב* -ში (*in*)

ბ) *תחת* -ის ეკვივალენტად, როცა იგი აღნიშნავს – *unter, ქვეშ*.

გ) *ל* -ის ეკვივალენტად, როცა მისი მნიშვნელობაა – *auf, -ზე*.

3. ეკვივალენტია ებრაული ფრაზისა, რომელიც შედგება არსებითი სახელისა და წინდებულისგან:

ა) *אֶפְרָיִם* , *სახისკენ=vor, წინაშე. წინაშე პირსა* (*zu dem Antlitz*)

ბ) *אֶפְרָיִם* *von dem Antlitz, სახის წინაშე. წინაშე პირსა*

გ) *אֶפְרָיִם* *in den Augen, თვალებში. თვალთა შინა*

დ) *בְּיָד* *in der Hand, ხელებში. ჯელისაგან*

4. *ბარ* გვხვდება პასიური სემანტიკის ზმნებთან, როცა ებრაულში წინადადება აქტიურ შინაარსს ატარებს. ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ კონტექსტებში სხვა ბერძნულ ხელნაწერებში *ბარ* დასტურდება.

5. *ბარ* გამოიყენება მაშინ, როდესაც *status constructus*-ში მდგარი არსებითი სახელები გადმოდის პასიური, განსაკუთრებით, აორისტიკისა და პერფექტის, მიმღებებით.

6. როდესაც *status constructus*-ში მდგარი მიმღობა გადმოდის მიმღებებით, რომელთაც მოჰყვება *ბარ* წინდებული.

II. *ბარ* დატივთან

არ გვხვდება არც სეპტუაგინტაში და არც ახალ აღთქმაში.

III. *ბარ* აკუზატივთან

1. ლოკატივი

ა. მოძრაობის, მდგომარეობისა და გარდამავალ ზმნებთან ეკვივალენტია ებრაულ *תחת*-ის ქვეშ (*unter*) შესატყვისად.

ბ. შეესაბამება ებრაულ *ב*-ს (-შინა – in).

გ. ეკვივალენტია ებრაულ *על*-ს (ზედა – auf).

დ. ებრაული ადგილობითის აკუზატივის შესატყვისად.

2. ფრაზაში *באר* *חַדְרָא* შეესატყვისება ებრაულ *בְּ תַּחַת*-ს (ხელის ქვეშ *unter [der] Hand*), ფერხთა ქვეშ.

3. აღნიშნავს ქვეშევრდომობას, ბატონის, მეფის მორჩილებას.

4. ძალიან იშვიათად აქვს დროული გაგება.

5. მონაწილეობს ზმნიზედურ გამოთქმებში.

(Johannessohn 1925:174-184).

რომ შევაჯამოთ *ბარ*-ს მნიშვნელობები სეპტუაგინტას ლექსიკონების მიხედვით:

ბარ

I. +gen.

1. გამოხატავს მიზეზს.

2. პასიურ ზმნებთან და პასიურ კონსტრუქციებში აღნიშნავს მოქმედების აგენსს.

3. აღნიშნავს მოქმედებას ვიღაცის მეთაურობის, ხელმძღვანელობის ქვეშ, ვინმეს ქვეშევრდომობას, ვინმესადმი მორჩილებას

II. + acc.

1. მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან (დინამიკურ და სტატიკურ) აღნიშნავს რაღაცის ქვეშ მყოფობას.

2. გამოხატავს მოქმედების მიმართულებას რაღაცის მიღმა, გავლით, ერთი მხრიდან მეორე მხარეს.

3. (დრო) განმავლობაში.

4. ვინმეს მფარველობის ქვეშ

5. ვინმეს გავლენის, მმართველობის ქვეშ

6. იდიომატურ გამოთქმებში: 2 Ma. 3:36 ἵπ' ὅψιν τεθεαμένος 'having seen with his own eyes' საკუთარი თვალებით დანახვა, Wis. 12:9 ἵπ' ἐν ἑκτρίψαι ერთი მოსმით განადგურება to destroy at a single stroke, Est. 8:12 ἵπὸ τῆς ὀψιν ἐρχόμενα რაც შემჩნეულია (ვიღაცის მიერაა შენიშნული) what comes to one's notice (Johannesson 1925:174-184; Muraoka 2009 : 700-701; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 1217-18)

ἵπὸ-ს მნიშვნელობების მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველტა წიგნებში, სხვა წინდებულებსგან განსხვავებით, ἵπὸ არც თუ ისე პროდუქტიული წინდებულია – დასტურდება მხოლოდ 5 შემთხვევა. აქედან 1-გენეტივთან, ხოლო 4 – აკუსატივთან შემდეგი მნიშვნელობებით:

I. გენეტივთან

I. 1. აღნიშნავს მიზეზს, თუ რის ან ვის გამო, მიზეზით ხდება მოქმედება:

ქართულში გადმოდის -გან თანდებულებით, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ძველ თარგმნაში -გან თანდებული წარმოდგენლია მოქმედებით ბრუნვასთან, ხოლო გელათურ რეცენზიაში – ნათესაობითთან:

1. πληθύνω+ ἵπὸ +gen.

LXX Hos. 9:7 ἵπὸ τοῦ πληθύνους τῶν ἀδικιῶν σου ἐπληθύνθη μαῖνία σου

○ 9:7 სიმრავლითგან სიცრუვეთა შენთა განმრავლდა სიცბილი.

შდრ. SB 9:7 სიმრავ[ლ]ისაგან სიცრუვეთა შენთასა განმრავლდა სიცბილი.

ზოგადად ძველი თარგმანი -გან თანდებულს მოქმედებითი ბრუვით მიმართავს არა მიზეზის, არამედ **ἀπὸ**-სთან დაწყებითის მნიშვნელობით (დროისა და ადგილის სიტყვებთან კომბინაციაში). როგორც ჩანს, აღნიშნულ კონტექსტში **მოქმედებითი +-გან** თანდებული ადეკვატურად გადმოსცემს ბერძნული წინდებულის შინაარსს. საინტერესოა ისაა, რომ ოშკში არაა წარმოდგენილი ოდენ ბრუნვანი ფორმა, თუმცა ერთი მაგალიტის საფუძველზე რაიმე დასკვნის გადმოტანა რთულია. შესასწავლია აღნიშნული ფუნქციით სხვა წიგნებში როგორ იქცევა ძველი მთარგმნელი.

II.აკუზატივთან

II. 1. აღნიშნავს მდებარეობას რაღაცის ქვეშ:

ქართულში გადმოდის:

1) მიცემითი +ქუეშე:

1. **ἐπι-στρέφω/καθ-ίζω+ ὑπό +acc.**

LXX Hos. 14:8 **ἐπιστρέψουσιν καὶ καθιοῦνται ὑπὸ τῆς σκέπης αὐτοῦ**

OJ 14:8 მოიქცენ და დასხდენ **ქუეშე** საფარველსა (საფუძველსა J.) მისსა

GSB 14:8 მოიქცენ და დასხდენ **საფარველსა ქუეშე** მისსა

2. **ἐπι-καλέω + ὑπό +acc.**

LXX Zeph. 3:9 **τοῦ ἐπικαλεῖσθαι πάντας τὸ ὄνομα κυρίου τοῦ δουλεύειν αὐτῷ ὑπὸ ζυγὸν ἕνα**

OJ 3:9 რადთა ჰხადოდინან ყოველნი სახელსა უფლისასა მონებად მისა **უღელსა ქუეშე** ერთსა.

GSB 3:9 ხდად ყოველთა სახელი უფლისაჲ. მონებდენ იგინი მას ერთსა **ქუეშე უღელსა**.

ამ ორიოდე მაგალითის მიხედვით, ორივე ტრადიცია სისტემურ ხასიათს გვივენებს, თუმცა საინტერესოა, სხვა წიგნების მიხედვით დაგვიდასტურდება თუ არა მომვალში მსგავსი სისტემურობა.

II.2. გამოხატავს დროს, დროში მოქმედების მიმდინარეობას, მოქმედებას რაღაცა დროის განმავლობაში:

ქართულში ოშკურ ხელნაწერში გვაქვს ოდენ სახელობით ბრუნვა, მაშინ როცა იერუსალიმში ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფრომით, ხოლო მეორე შემთხვევაში – მიცემითი. გელათური რეცენზია კი ორივეგან ზუსტ ფორმალურ ეკვივალენტს იძლევა:

I. *γίνομαι*+ *ἔπος* +acc.

LXX Jon. 4:10 ἡ ἐγενήθη *ἔπος νόστα* καὶ *ἔπος νόστα* ἀπάλετο

OJ 4:10 რომელი აღმოცდა ღამე და ღამეცა (ღამესა J) წარწყმდა

GSB 4:10 რომელი ღამესა შინა იქმნა და ღამესა შინა წარწყმდა²²⁸.

მიუხედავად სახელობითი ბრუნვისა, როგორც ჩანს, კონტექსტი მაინც ადეკვატურად გაიგება.

აღნიშნულ მცირე მაგალითთა საფუძველზე, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ორივე ტრადიცია თარგმნისას არჩევს წინდებულის კონტექსტუალურ მნიშვნელობას და მას შესაბამის ქართულ თანდებულებას თუ უთანდებულო კონსტრუქციას უსადაგებს. როგორც ჩანს, *ἔπος*-ს აღნიშნული მნიშვნელობები არ იყო უცხო და დაუძლეველი არც ძველი მთარგმნელისთვის. ხოლო რაც შეეხება გელათურ რეცენზიას, აღნიშნულ მაგალითებში ადეკვატურად უსადაგებს შესატყვისს.

²²⁸ შდრ. ἐν τῇ ἡμέρᾳ

„წინდებულები მთარგმნელისთვის წინასწარ დაგებული ხაფანგია. ისინი ხშირად არ ნიშნავენ იმას, რასაც წესით უნდა აღნიშნავდნენ და შეუძლებელია ერთი ენის წინდებულს მეორე ენაში მხოლოდ ერთი კონკრეტული წინდებული მივუსადაგოთ“ [Edward R. Hope 1986: 402].

ძველი ქართველი მთარგმნელი არაერთ წინაღობას წააწყდა ბიბლიის ტესტების თარგმნისას. ძირითადი სირთულე იყო აესახა ბერძნულისთვის დამახასიათებელი ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც უცხო იყო იმ პერიოდის ქართული ენისთვის, მაგალითად: უშემასმენლო, ინფინიტიური და მიმდებარე კონსტრუქციები; ამას დამატებული ქართველ მთარგმნელს უნდა გადმოეცა ისეთი კონსტრუქციებიც, რაც თავად ბერძნულში ებრაულის გავლენა იყო. სწორედ ასეთ რიცხვს განეკუთვნება წინდებულები.

ზოგადად, წინდებულები, ენაში არსებულ სხვა ლექსემათა მსგავსად, კონტექსტის გათვალისწინებით იფართოებს მნიშვნელობებს. ლინგვისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ცალკე აღებულ წინდებულს არ გააჩნია რამე კონკრეტული სემანტიკა და მხოლოდ სხვა სიტყვებთან კომბინაციაში იძენს მნიშვნელობას, ნაწილი კი ფიქრობს, რომ მათი ამოსავალი სემანტიკა სივრცეში საგნის მდებარეობის ან მიმართულების ჩვენებაა, ხოლო მეტაფორულ კონტექსტებში დამატებით მნიშვნელობებს იძენს (Bortone 2010: 43).

ძველ ბერძნულში წინდებულთა სემანტიკის უფრო გაფართოებას ხელი შეუწყო სეპტუაგინტას ბერძნულზე ებრაული ენის გავლენამ, რომელმაც კიდევ უფრო მეტი მეტაფორულობა შესძინა კლასიკური ბერძნულის წინდებულთა სისტემას. ამისი მიზეზი გახლდათ ის, რომ ისედაც პოლისემიურ ბერძნულ წინდებულებს დამატებით სემიტური ენისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობების გამოხატვა დაეკისრა. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ ებრაულ წინდებულთა სისტემის ასახვამ სეპტუაგინტას ბერძნულშიც წარმოშვა ე.წ. კერძოწინდებულები.²²⁹

ამდენად, ქართველი მთარგმნელი უნდა შესჭიდებოდა ორი ენის წინდებულთა ჰიბრიდულ სისტემას. სწორედ ამიტომ საინტერესოა, თუ როგორ გაართვა მან თავი აღნიშნულ ამოცანას.

²²⁹ ტერმინი „კერძოწინდებული“ შემოვიღეთ semipreposition-ის ეკვივალენტად, რომელიც შემოღებულია ბროკელმანისა (Brockelmann 1913:383) და სოლამოს (Sollamo 1979: 1) მიერ ებრაულში ისეთი ჯგუფის წინდებულთა აღსანიშნად, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილია ძველი, ახალი ან კომპოზიტიური წინდებული ხოლო მეორე კომპონენტი, ძირითადად, განეკუთვნება ანთროპომორფულ, ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ, სომატურ ლექსიკას (გიორგაძე 2023: 196).

ამჯერად მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებზე დაყრდნობით, კერძოდ კი მათ ოშკურ და გელათურ ტიპში, მხოლოდ **ἐν** წინდებულის სემანტიკასა და მის ქართულ ეკვივალენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ἐν უმთავრესად ნიშნავს ადგილს დროსა და სივრცეში – სახლში, ამა და ამ წელიწადში. ჩვენ კი გვინტერესებს ისეთი შემთხვევები, როცა **ἐν** გამოხატავს არა დროის ან სივრცით მიმართებას, არამედ უფრო მეტაფორულ ხასიათს იძენს, მიუთითებს ვინ მოქმედებს ან რითი ხდება მოქმედება (მოიკლა კაცისა მიერ და დაიწვა ცეცხლითა).

რატომ დაიგვინტერესა მაინდამაინც ამ წინდებულმა?

რადგან გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა პარალელურად იხმარება ფორმები: ცხონება სული წმინდის მიერ/ სულიწმინდით/ სულიწმინდაში და პირიქით, ზოგჯერ ერთ ფორმულაში მხოლოდ ერთი ფორმაა გაყინული, მეორეში კი მეორე, რაც კონტექსტის სწორად აღქმისას კითხვებს იწვევს ხოლმე. ამიტომ, საინტერესოა, რა იწვევს ასეთ პარალელურ კონტექსტებს.

იმისთვის, რომ უკეთ გავიაზროთ საკითხი, მოდით, ჯერ გავერკვიოთ თუ რა ხდება თავად ბერძნულში.

უხეშად რომ ვთქვათ ინსტრუმენტალისი და აგენსი ერთგვარად ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავენ, განსხმავება მხოლოდ იმაშია, რომ ინსტრუმენტალისი გამოიყენება უსულო საგნებთან მიმართებაში, მიუთითებს თუ რითი მოქმედებს სუბიექტი (იგივე იარაღი, საშუალება), მაგ.: დაწვა ცეცხლითა (ამ შემთხვევაში ცეცხლი არის საშუალება, ინსტრუმენტი). ხოლო ტერმინი აგენსი მიემართება სულიერს, რომელიც წინადადებაში მოქმედ პირს წარმოადგენს, მაგრამ ზმნაში გამოხატული არაა (მოიკლა კაცისა მიერ - აქ მოქმედი პირი კაცია).

ინსტრუმენტალისისა და აგენსობას კლასიკურ ბერძნულში, ძირითადად, ბრუნვები აღნიშნავდნენ. ინსტრუმენტალისი დატივით გამოიხატებოდა (dativus instrumentalis) (მსგავსად მოქმედებითისა ძველ ქართულში). ხოლო აგენსობა დატივითა და გენეტივით.

ამავე ფუნქციით კლასიკურ ბერძნულშივე გვხვდება წინდებულებიც. ინსტრუმენტალისის გამოსახატად უპირატესობა ეძლევა δὲ + genitive-ს, ხოლო აგენსის აღსანიშნად – ὑπὸ + genitive. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად მაგრამ მაინც ἐν + dative კლასიკურ ბერძნულშივე ორივე ფუნქციით დასტურდება.

უკვე სეპტუაგინტაში, როცა იწყება ებრაული წინდებულთა შესატყვისების დადგენა. სიტუაცია იცვლება და აგენსობისა და ინსტრუმენტალისის გამოხატვა უფრო აქტიურად სხვა წინდებულებსაც ეძლევათ. სწორედ ამ პერიოდში აქტიურდება ἐν + dative-იც.

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენ საკითხს, სექტუაგინტაში *ἐν* + dative-ის როგორც ინსტრუმენტალისისა და აგენსობის გამოხატვის გააქტიურებას ხელი შეუწყო ებრაულის გავლენამ, კერძოდ კი წინდებულმა ჰ, რომელიც ებრაულში გამოხატავს როგორც ლოკალურობას, ისე ინსტრუმენტალისს (ცეცხლში დაიწვა და ცეცხლით დაიწვა). მისი ზუსტი და ფორმალური ეკვივალენტი ბერძნულში კი სწორედ *ἐν*-ია.

რა ხდება ამ კუთხით ქართულში?

ქართულს, ბერძნულისგან განსხვავებით, ე.წ. ინსტრუმენტალისის გამოსახატავად აქვს შესაბამისი ბრუნვა – მოქმედებითი, რომელიც ამავდროულად მშვენივრად ითავსებდა აგენსურობის გაგებასაც, მაგ.:

Amos 1:3 OJ რამეთუ განჰხერხვიდეს **ხერხითა** რკინისადთა მიდგომილთა

Hos. OJ 12:14 **წინააღმართულისა** დაიცვა (დაცულ იქნა **წინააღმართულის მიერ**).

წინდებულებიდან ქართულში აგენსურობის გამოსახატავად გვაქვს *-გან ან მიერ*, მაგ.:

Es. OJ 18:7 შეიწიროს ძლენი უფლისა საბაოთისა **ერისაგან** ჭირვეულისა

Hos. SB 12:14 **წინააღმართულისა მიერ** დაცულ იქმნა.

ზოგადად, ყველა ენაში, წინდებულთა ჩამოყალიბება იწყება მაშინ, როცა ენა უფრო მეტი კონკრეტულობისკენ და სიზუსტისკენ მიილტვის. როცა ერთ ფუნქციას ერთი კონკრეტული ნიშანი გამოხატავს. ენა ყოველთვის ცდილობს თავიდან აირიდოს ომონიმურობა.

ქართულსაც, სხვა ენათა მსგავსად, იგივე პროცესი უნდა გაველო, ამ პროცესის დაჩქარებასა და ენის დახვეწაში სწორედ ბიბლიის თარგმანს უნდა შეესრულებინა დიდი როლი.

რომ მივუბრუნდეთ ჩვენ კონკრეტულ საკითხს, *ἐν*-ის თარგმანის დროს ომუკური ტიპი და მისი გელათური რეცენზიაც ენაში არსებულ ორივე საშუალებას მიმართავს: როგორც მის ფუნქციურ შესატყვისს – მოქმედებით ბრუნვას, ისე წინდებულებს.

განვიხილოთ მაგალითები:

Hos. 1:7 *καὶ οὐ σῶσω αὐτοὺς ἐν τῷξῶ οὐδὲ ἐν ῥομφαίᾳ οὐδὲ ἐν πολέμῳ οὐδὲ ἐν ἄρμασιν οὐδὲ ἐν ἵπποις οὐδὲ ἐν ἰππεῦσιν*

O 1:7 არა ვიკსნნე იგინი მშვლდითა არცა მახვლითა: არცა მბრძოლითა არცა მკედრებითა

SB 1:7 და არა ვიკსნნე იგინი მშვლდითა, არცა მახვლითა, არცა მბრძოლითა, არცა ცხენებითა, არცა მკედრებითა.

Amos 6:13 *ὄχι ἐν τῇ ἰσχύϊ ἡμῶν ἔσχομεν κέρατα*

OJ 6:13 არა ჩუენითა ძალითა გუაქუნდესა რქანი?

GSB 6:13 არა ძალითა ჩუენითა გუქონანა რქანი?

BGT Mic. 4:14 *ὡς ἐμφραχθήσεται θυγάτηρ Ἐφραϊμ ἐν φραγμῷ συνοχῆς ἕταξεν ἐφ' ἡμᾶς ἐν ῥάβδῳ πατάξουσιν ἐπὶ σιαγόνα τὰς φυλὰς τοῦ Ἰσραηλ*

OJ 5:1 კუერთხითა სცემდენ ღაწუსა ტომსა ისრაჴლისასა.

GSB 5:1 კუჭრთხითა სცემდენ ღაწუთა ზედა ტომთა ისრაჴლისათა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ კონტექსტებში უპირატესობა მოქმედებით ბრუნვას ეძლევა. გასაკვირი არაა როცა მოქმედებითი ბრუნვა გვხვდება ოშკური ტიპის თარგმანში, რადგან, როგორც ცნობილია, მაინც თარგმანის პირველი ეტაპია და მთარგმნელი ყველანაირად ცდილობს გამოიყენოს ის საშუალებები, რაც ენაში აქვს და შესაბამისად თარგმანის ამ ეტაპზე მთარგმნელი ძირითადად უპირატესობას ანიჭებს ბერძნულის ფუნქციურ შესატყვისებს. ხოლო ის ფაქტი, რომ გელათურ რეცენზიაშიც, რომელიც ცნობილია თავისი ფორმალური ეკვივალენტობით, შიგადაშიგ (42) მოქმედებითი გამოდის ბერძნული წინდებულის ეკვივალენტად, როცა შემთხვევათა უმეტესობაში უპირატესობა თანდებულს ეძლევა, გვაფიქრებინებს, რომ ინსტრუმენტალისის ფუნქციის გამოხატვა მოქმედებითით ქართულისთვის უფრო ბუნებრივ ვითარებას ასახავს.

გაცილებით საინტერესო ვითარება გვაქვს, როცა ეკვივალენტად ქართველი მთარგმნელები თანდებულებს იყენებენ:

აქ ორ შემთხვევას გამოვყოფთ:

1. როცა გელათური ტიპი ცვლის ოშკურ ტიპში არსებულ მოქმედებით ბრუნვას *მიერ* თანდებულებით:

Mic. 5:5 *καὶ ποιμανοῦσιν τὸν Ἀσσοῦρ ἐν ῥομφαίᾳ*

OJ 5:6 და მწყსიდენ ასურსა მას მახვლითა

SB 5:6 და მწყსიდენ ასსურსა მას მახვლისა მიერ

Joel 2:8 *καταβαρυσόμενοι ἐν τοῖς ὄπλοις αὐτῶν πορεύσονται καὶ ἐν τοῖς βέλεσιν αὐτῶν πεσοῦνται*

OJ 2:8 დამძიმებულნი საჭურველითა მათითა ვიდოდინან და ისრებითა მათითა დაეცნენ.

SB 2:8 დამძიმებულნი საჭურველთა მიერ მათთა ვიდოდინან და ისართა მიერ მათთა დაეცნენ

Joel 2:12 *ἐπιστράφητε πρὸς με ἐξ ὅλης τῆς καρδίας ὑμῶν καὶ ἐν νηστείᾳ καὶ ἐν κλαυθμῷ καὶ ἐν κοπετῷ*

OJ 2:12 ჩემდა ყოვლითა გულითა თქუენითა და მარხვითა და ტირილითა და ტყეებითა

SB 2:12 მოიქეცით ჩემდა ყოვლითა გულითა თქუენითა მარხვისა მიერ და ტირილისა და ტყეზისა.

ზოგადად *მიერ* თანდებული ყოველთვის უფრო აგენსურობის გაგებასთან ასოცირდება, ვიდრე ინსტრუმენტალისთან. თუმცა, როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, ფორმალური ეკვივალენტის ძიებისას სწორედ მასზე შეაჩერა არჩევანი გელათელმა რეცენზენტმა.

ახლა კი განვიხილოთ ისეთი მაგალითების, როცა

2. *შინა* თანდებულს ეკისრება ინსტრუმენტალისის გამოხატვა: როცა კონტექსტში *և* აბსტრაქტული სახელითან დგას, როგორც ჩანს, რთული გასარკვევია მისი ფუნქცია, ამიტომ ოშკური მთარგმნელი და გელათელი რეცენზენტი *և* -ის ყველა ეკვივალენტს ხმარობენ.

Hos. 5:5 και Εφραϊμ ἀσμενήσοισιν *և* ταῖς ἀδικίαις αὐτῶν

O 5:5 და ეფრემ მოუძღვრდენ სიცრუვითა მათითა

cf. SB 5:5 და ეფრემ მოუძღვრდენ სიცრუჭითა მათთა შინა

Hos. 7:3 *և* ταῖς κακίαις αὐτῶν ἐφφραναν βασιλεῖς και *և* τοῖς ψεῦδεσιν αὐτῶν ἄρχοντας

O 7:3 უკეთურებათა შინა მათთა ახარეს მეფეთა, და ტყუვილითა მათითა - მთავართა.

cf. SB 7:3 უკეთურებათა მიერ მათთა აშუებდეს მეფესა, და ცრუობათა მიერ მათთა - მთავართა.

Nah. 2:6 ἀσμενήσοισιν *և* τῇ πορείᾳ αὐτῶν

OJ 2:5 მოუძღვრდენ სლვითა მათითა.

GSB 2:5 მოუძღვრდენ სლვასა შინა მათსა.

Amos 2:2 ἀποθανεῖται *և* ἀδυναμίᾳ Μωαβ μετὰ κραυγῆς και μετὰ φωνῆς σάλπιγγος

OJ 2:2 მოკუდეს (377v) უძღვრებასა შინა ღაღადებითა და ჯმითა ნესტკსადთა.

GSB 2:2 მოკუდეს უძალოობასა შინა მოაბი ღაღადებასა თანა და ჯმასა თანა საყვრისასა.

ზოგადად *შინა* ბერძნული *և* წინდებულის ყველაზე ზუსტი ფორმალური შესატყვისია. მას ბერძნული წინდებულის მსგავსი მოქმედების არეალი აქვს. მართალია, ოშკურ ტიპში აღნიშნული შემთხვევა მხოლოდ ერთხელ გვიდასტურდება, თუმცა ესეც კი საკმარისია იმის სათქმელად, რომ, როგორც ჩანს, *შინა*-ს ბერძნული *և*-ის მსგავსად

ინსტრუმენტალისის გამოხატვის პოტენციალი ჰქონდა, ან თარგმანის შედეგად სწორედ მსგავს კონტექსტებში შეიძინა. გელათურ ტიპში კი უფრო გააქტიურდა.

ეს შემთხვევები, სწორედ, ნათელი მაგალითია იმის, თუ როგორ შეიძლება თარგმანის თარგმანშიც შევხვდეთ ისეთ ებრაიზმებს, რაც თავად ბერძნულშიც მისი შესაბამისი ებრაულის გავლენას წარმოადგენს.

II. ნახევარწინდებულები

ნახევარწინდებულები სეპტუაგინტაში

ბერძნულ გრამატიკებში ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი ერთი წყება წინდებულებისა, რომლებიც თავისი არსით, წარმოშობით წინდებულები არ არიან და მხოლოდ წინადადებაში ხანდახან ასრულებენ წინდებულის როლს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ აქვთ გავლილი გრამატიკალიზაციის ყველა საფეხური. ასეთ წინდებულებს *untrue, improper prepositions, unechte Präpositionen* (სიტყვასიტყვით: არანამდვილ, შეუსაბამო წინდებულებებს) უწოდებენ (Regard 1918: 63; Humbert 1960: 299; Schwyzer -Debrunner 1950: 533 ; Cooper 1998: 1134). აღნიშნული წინდებულები ანტიკურ და ელინისტური ხანის ბერძნულში ძირითადად გვხვდებოდნენ მხოლოდ ერთ კონკრეტულ ბრუნვასთან, შედგენილობის კუთხით კი – შეიცავდნენ ორ ან მეტ ელემენტს (Bortone 2010: 118). ტერმინ *შეუსაბამო წინდებულების* ნაცვლად, ქართულში ძველი ბერძნულის ამ ჯგუფის წინდებულების აღსანიშნავად ჩვენს ნაშრომში გამოვიყენებთ ბროკელმანისა (Brockelmann 1913:383) და სოლამოს (Sollamo 1979: 1) მიერ იმავე წყების ებრაული წინდებულებისთვის შემოთავაზებულ ტერმინ ნახევარწინდებულს²³⁰, ინგლისური *semipreposition*-ის ეკვივალენტად. ჩვენი გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ რასაც ბერძნულში *improper prepositions*-ს (*შეუსაბამო წინდებულებებს*) უწოდებენ პარალელს პოულობს ებრაულ ე.წ. ნახევარწინდებულებთან და ამასთანავე სეპტუაგინტაში მათ ეკვივალენტად გვევლინება.

²³⁰ ქართულში ტერმინი პირველად გამოყენებულია თ. მაგრაქველიძის მიერ, იხ. (მაგრაქველიძე 2021: 162).

უკეთ რომ დავასაბუთოთ ჩვენი გადაწყვეტილება, განვმარტავთ თუ რას წარმოადგენს იგი თავად ებრაულში: ნახევარწინდებული ეწოდება ებრაულ წინდებულთა ისეთ ჯგუფს, რომლის პირველი ნაწილიც ე.წ. ძველი ან ახალი წინდებულთა (მაგალითად: *א* მნიშვნელობით *in*, *-ში*, *სუ* მნიშვნელობით *auf*, *-ზე*), ხოლო მეორე კომპონენტი ძირითადად განეკუთვნება ადამიანის სხეულის ნაწილთა სემანტიკურ ჯგუფს (*א* *א* მნიშვნელობით *პირისგან*), რომელიც ბიბლიურ ებრაულში სხვა კონტესტებში ფუნქციონირებს როგორც ჩვეულებრივი სახელი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნახევარწინდებულში შემავალი თითოეული კომპონენტის სემანტიკა დაჩრდილულია და იგი ცალკე, როგორც დამოუკიდებელი სემანტიკის სიტყვა ისე ფუნქციონირებს (Sollamo 1979: 1). ბროკელმანის თანახმად, ენაში მათი არსებობა განპირობებულია ენის მოთხოვნით, სათქმელი მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს (Brockelmann 1913:383). ბერძნულში ასეთი წინდებულებია: *ἐν-αντίον*, *ἐν-ώπιον*, *ἐπί προσώπου*, *ἀπὸ προσώπου*, *ἀνὰ μέσον* და სხვა.

ნახევარწინდებულები მცირე წინასწარმეტყველებში

ჩვენ საანალო წიგნებში დასტურდება მხოლოდ შემდეგი ბერძნული ნახევარწინდებულები: *ἐνώπιον*, *ἐνεκα*, *ἐπάνω*, *ἐπέκεινα*, *ὑπεράνω*, *ὑποκάτω*, *κατέναντι*, *ἀνὰ μέσον*, *ἐν μέσῳ*, *διὰ μέσον*, *ἐκ μέσον*, *ἀπὸ ὀφθαλμῶν*, *ἐξ ὀφθαλμῶν*, *ἐκ προσώπου*, *εἰς πρόσωπον*, *ἐπὶ προσώπου*, *ἀπὸ προσώπου*, *εἰς πρόσωπον*, *ἐκ προσώπου*, *πρὸ προσώπου*, *ἐκ χειρὸς*, *ἐν χειρὶ*, *εἰς χεῖρας*.

თავად ბერძნულ ნახევარწინდებულებს ანალიზისას ორ ქვეჯგუფად დავყოფთ:

1. ნახევარწინდებულები, რომლებიც წარმოადგენენ კომპოზიტს და წინადადებაში ერთი სიტყვით გვევლინებიან, ასეთ რიცხვს განეკუთვნებიან, მაგ.: *ἐνώπιον*, *ἐνεκα*.
2. ნახევარწინდებულები, რომლებიც წინადადებაში შესიტყვების სახით გვხვდებიან, მაგ.: *ἀνὰ μέσον*, *εἰς πρόσωπον*.

საინტერესოა, ამ კუთხით რა სურათს გვიჩვენებს ძველი ქართული თარგანი თუ გელათური რეცენზია, როგორ უდგება საკითხს მთარგმნელი/რეცენზენტი, აქვს თუ არა

ნაპოვნი მყარი ფორმალური შესატყვისი, მიმართავს თუ არა ეტიმოლოგიურ თარგმანს, ქმნის თუ არა კალკს.

კომპოზიტიური ნახევარწინდებულები

ἐνώπιον

ἐνώπιον-ის მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული ἐνώπιον < ἐνώπιος მიღებულია ჰიპოსტასისის შედეგად. პირველი კომპონენტი ძველი ბერძნული წინდებული ἐν-ია, ხოლო მეორე მომდინარეობს სახელისგან ὤψ. თავად ნახევარწინდებული გამოიყენება ზედსართავ სახელად, ხოლო ფორმა ἐνώπιον წარმოშობით ამავე ზედსართავის აკუზატივია (Frisk 1960: 526; Chantraine 1999: 352; Beekes-Beek 2010: 432) როგორც სოლამო (Sollamo 1975: 777) აღნიშნავს, იგი არ დასტურდება ელინური ხანის ბერძნულამდე. სექტუაგინტაში ნახევარწინდებული ფართო დისტიბუციისაა, რთული სათქმელია, წარმოადგენს თუ არა იგი ებრაიზმს, რადგან ძირი

ἔσπαι კარგად იყო ცნობილი ჰომეროსის დროშიც. საყურადღებოა, რომ ის ხელნაწერები, რომლებშიც ἔσπαιონ დასტურდება უმეტესობა წარმოშობით ეგვიპტიდანაა. როგორც ჩანს, სიტყვა ეგვიპტურ კოინეს განეკუთვნებოდა, ხოლო ქრისტიანულმა ლიტერატურამ იგი სექტუაგინტადან შეითვისა (Sollamo 1975: 777).

სექტუაგინტაში ἔσπαιონ არ არის ჰომოგენური და ხასიათდება ბევრი განსხვავებული მნიშვნელობით, მაგალითად ხანდახან იგი წმინდა ლოკატივს გამოხატავს მნიშვნელობით წინაშე, რაც ებრაიზმად განიხილება (Sollamo 1975: 778).

ნახევარწინდებული გვხვდება მხოლოდ გენეტივთან და იგი შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გამოდის:

1. = ἔσπαι რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას. თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული ἔ მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და მეორე კომპონენტი სახელი ἔსპაი მნიშვნელობით სახე. როგორც სოლამო შენიშნავს, ἔსპαιონ სხვა ბერძნულ ეკვივალენტებთან შედარებით, გაცილებით ზუსტი თარგმანია თუ გავითვალისწინებთ ორივე სიტყვის ეტიმოლოგიას (Sollamo 1979: 18-19).

2. = ἔσπαι მნიშვნელობით von dem Antlitz, სახისგან/ სახიდან (Johannessohn 1925: 195). რომელიც მონაწილეობს ებრაულ იდიომატურ გამოთქმებში და აქვს ლოკატივის (რაღაცისგან შორს) ან მიზეზის გაგება (ამის გამო). მის ეკვივალენტად ἔსპαιონ გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 80). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: ἔ მნიშვნელობით -დან/-გან, გამო და მეორე კომპონენტი ἔსპაი მნიშვნელობით სახე.

3. = ἔსპაი მნიშვნელობით -დან/გან, რომელიც ძირითადად გამოხატავს მიზეზს ან დროს. ἔსპაიონ მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 99). თავად ებრაული ნახევარწინდებული სამი ელემენტისგა შედგება: ἔ მნიშვნელობით -დან/-გან, გამო, ἔ მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და ἔსპაი მნიშვნელობით სახე.

4. = **ჟჳ-ჟე** მნიშვნელობით auf dem Antlitz, სახეზე, წინაშე, რაღაცის მოპირდაპირედ (Johannessohn 1925: 195; Sollamo 1979: 109). *ἐνᾶπιον* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ, ისიც მთარგმნელის მიერ კონტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად (Sollamo 1979: 109). თავად ებრაული ნახევარწინდებული ორ კომპონენტს აერთიანებს: **ჟე** მნიშვნელობით -ზე, წინააღმდეგ და **ჟჳ** მნიშვნელობით სახე.

5. = **ჟჳ-ჟჳ** მნიშვნელობით წინაშე. *ἐνᾶπιον* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 115), ებრაული ნახევარწინდებული კი ასე დაიშლება: **ჟჳ** მნიშვნელობით -კენ და **ჟჳ** მნიშვნელობით სახე.

6. = **𐤒𐤓𐤕** მნიშვნელობით წინაშე (Sollamo 1979: 116). იგი ორ კომპონენტს აერთებს: **𐤕** მნიშვნელობით -თან და **𐤓** მნიშვნელობით სახე.

7. = **𐤒𐤓𐤕** მნიშვნელობით წინაშე. *ἔσπαιον* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ, ისიც მთარგმნელის ინტერპრეტაციის შედეგია (Sollamo 1979: 119). ებრაული ნახევარწინდებული კი შემდეგნაირად დაიშლება: **𐤒** მნიშვნელობით -ში, -ზე, თან, შორის და **𐤓** მნიშვნელობით სახე.

8. = **𐤒𐤓𐤕** რომლის ძირითადი მნიშვნელობაა ვიღაცის თვალეში, ვიღაცის განსჯით, ხანდახან ნიშნავს თვალეების წინაშე. შემთხვევათ უმეტესობაში *ἔσπαιον* მის ეკვივალენტად გამოდის მაშინ, როცა **𐤒𐤓𐤕** მონაწილეობს იდიომატურ გამოთქმებში (Sollamo 1979: 129). ებრაული ნახევარწინდებული კი შედგება ორი ნაწილისგან: **𐤒** მნიშვნელობით -ში, -ზე, თან, შორის და **𐤓** მნიშვნელობით თვალი.

9. = **𐤒𐤓𐤕** მნიშვნელობით წინაშე. იგი შედგენა ორი ელემენტისგან: **𐤒** მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და **𐤓** მნიშვნელობით თვალი (Sollamo 1979: 150; Johannessohn 1925: 194-196).

სექტუაგინტაში ზოგადად გამოყოფილია ნახევარწინდებულის შემდეგი მნიშვნელობები:

ἔσπαιον

I. 1. +gen. აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მიმდინარეობს ვიღაცის წინაშე.

2. ვიღაცის თვალეში, ვიღაცის განსჯით (ებრაიზმი) (Muraoka 2009 : 243; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 462).

***ἔσπαιον*-ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში**

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ძველი ბერძნული ნახევარწინდებულ ἔσπαιონ-ის სულ 11 შემთხვევა გამოვლინდა. შემდეგი მნიშვნელობებით:

I. გენეტივთან

I. 1. აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მიმდინარეობს ვიღაცის წინაშე.

ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+წინაშე

LXX Hos. 2:12 και νῦν ἀποκαλύψω τὴν ἀκαθαρσίαν αὐτῆς ἐνώπιον τῶν ἐραστῶν αὐτῆς
OJ 2:12 და აწ გამოვაცხადო არაწმიდებაჲ მისი წინაშე ტრფიალთა მისთა
SB 2:12 და აწ განვაცხადო სიცოფე მისი წინაშე ტრფიალთა მისთა

LXX Zeph. 3:20 ἐν τῷ ἐπιστρέφειν με τὴν αἰχμαλωσίαν ὑμῶν ἐνώπιον ὑμῶν
OJ 3:20 ოდეს მოვაქციო მე წინაშე თქუენსა

GSB 3:20 მოქცევასა ჩემგან ტყულობისა თქუენისასა წინაშე თქუენსა

LXX Hag. 2:14 και οὕτως τὸ ἕθνος τοῦτο ἐνώπιον ἐμοῦ
OJ 2:14 და ეგრეცა ესე ნათესავი წინაშე ჩემსა
SB 2:14 და ეგრეთ ნათესავი ესე წინაშე ჩემსა

LXX Zech. 8:6 διότι εἰ ἀδυνατήσῃ ἐνώπιον τῶν καταλοίπων ἐκείναις μὴ και ἐνώπιον ἐμοῦ ἀδυνατήσῃ
OJ 8:6 უკუეთუ შეუძლებელ არს წინაშე ნემტისა, ნუუკუე ჩემ წინაშეცა შეუძლებელ არს?
GSB 8:6 უკეთუ უძალოობდეს წინაშე ყოველთა ნემტთა, ნუ წინაშეცა ჩემსა უძალოობდეს?

I. 2. ვიღაცის თვალეზში, ვიღაცის განსჯით ქართულში გადმოდის:

1) ნათესაობითი+წინაშე

LXX Zech. 11:12 εἰ καλὸν ἐνώπιον ὑμῶν ἔστιν
J 11:12 უკუეთუ კეთილ არს თქუენ წინაშე
SB 11:12 უკეთუ კეთილ არს წინაშე თქუენსა

როგორც ვხედავთ, ძველი თარგმანიც და გელათური რეცენზიაც *ἐπάσιον*-ს მხოლოდ ლოკატივის გაგებით იცნობს და მათთვის უცხოა *Zech. 11:12*-ში არსებული მნიშვნელობა. ხოლო რაც შეეხება წყობას, წინაშე მხოლოდ 3-ჯერ გვხვდება პოსტპოზიციურად, დანარჩენ შემთხვევებში წარმოდგენილია პრეპოზიციურად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორივე ტრადიცია მყარ ფორმალურ შესატყვისის იყენებს ბერძნული ნახევარწინდებულის გადმოსაცემად.

ἐπάσιον

ἐπάσιον-ს მნიშვნელობები სეპტუაგინტაში

ნახევარწინდებულის *ἐπάσιον* გვხვდება მხოლოდ გენეტივთან. სეპტუაგინტაში იგი გამოიყენება როგორც წინდებულის, ასევე ზმნიზედის ფუნქციითაც. ფორმოზრივ იგი შემდეგნაირად დაიშლება: წინდებულის *ἐπί* მნიშვნელობით ზედა და ზმნიზედა *ἀσιν* იმავე მნიშვნელობით (Danker 2009: 137) იგი ფართოდ გამოიყენებოდა კლასიკურ ბერძნულში, შესაბამისად არ წარმოადგენდა მხოლოდ სეპტუაგინტას კუთვნილებას (Bortone 2010: 213).

ἐπάσιον სეპტუაგინტაში რამდენიმე ებრაული წინდებულისა და ერთი ნახევარწინდებულის ეკვივალენტად გვხვდება:

1. = **אֶל** მნიშვნელობით წინაშე. *ἐπάσιον* მის ეკვივალენტად გვხვდება რვაჯერ (Sollamo 1979: 108), ებრაული ნახევარწინდებულის კი ასე დაიშლება: **אֶל** მნიშვნელობით -კენ და **אֶל** მნიშვნელობით სახე.

2. = **עַל** მნიშვნელობით -ზე.

3. = **בְּ** მნიშვნელობით -ში (Johannesson 1925: 307).

სეპტუაგინტაში ზოგადად გამოყოფენ მის შემდეგ მნიშვნელობებს:

ἐπάσιον

I. 1. +gen.მნიშვნელობით ზემოთ და ზედაპირს ეხება ქვევიდან.

2. აღნიშნავს ახლოს მყოფობას, გვერდით.

3. აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მიმდინარეობს ვილაცის/რადაცის წინაშე. (Muraoka 2009 : 260; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 486).

ἐπάνω-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ἐπάνω მხოლოდ სამჯერ გვხვდება, შემდეგი მნიშვნელობებით:

I. გენეტივთან

I. 1. მნიშვნელობით ზემოთ და ზედაპირს ეხება ქვევიდან

ქართულში გადმოდის:

1) მიცემითი+ზედა

LXX Zech. 4:2 ἰδοὺ τὸ λαμπάδιον ἐπάνω αὐτῆς καὶ ἑπτὰ λύχνοι ἐπάνω αὐτῆς καὶ ἑπτὰ ἐπαρυστρίδες τοῖς λύχοις τοῖς ἐπάνω αὐτῆς

OJ 4:2 ვიხილე სანთელი მას ზედა და შვდნი პირნი სასანთლესა მას, რომელ არიან ზედა კერძო მისა.

მდრ. SB 4:2 ვიხილე ლამპარი ზედათ მისსა და შვდნი ბაზმაკნი ზედაით(sic) მისსა და შვდნი მოსავსებელნი მათნი ზედათთა მისთა ბაზმაკთანი.

LXX Zech. 4:3 καὶ δύο ἐλαῖαι ἐπάνω αὐτῆς μία ἐκ δεξιῶν τοῦ λαμπადίου καὶ μία ἐξ ἐναντίων

OJ 4,3 და ორნი ზეთისხილნი მას ზედა, ერთი მარჯუენით სასანთლესა მას მისსა, და ერთი - მარცხენით.

მდრ. SB 4,3 და ორნი ზეთისხენი ზედათ მისსა: ერთი მარჯუენით ლამპრისა მისისა, და ერთი - მარცხენით.

2) მიცემითი+ზედათ

LXX Zech. 4:2 ἰδοὺ τὸ λαμπάδιον ἐπάνω αὐτῆς καὶ ἑπτὰ λύχνοι ἐπάνω αὐτῆς καὶ ἑπτὰ ἐπαρυστρίδες τοῖς λύχοις τοῖς ἐπάνω αὐτῆς

SB 4:2 ვიხილე ლამპარი ზედათ მისსა და შვდნი ბაზმაკნი ზედაით მისსა და შვდნი მოსავსებელნი მათნი ზედათთა მისთა ბაზმაკთანი.

მდრ. OJ 4:2 ვიხილე სანთელი მას ზედა და შვდნი პირნი სასანთლესა მას, რომელ არიან ზედა კერძო მისა.

LXX Zech. 4:3 καὶ δύο ἐλαῖαι ἐπάνω αὐτῆς μία ἐκ δεξιῶν τοῦ λαμπადίου καὶ μία ἐξ ἐναντίων

SB 4:3 და ორნი ზეთისხენი ზედათ მისსა: ერთი მარჯუენით ლამპრისა მისისა, და ერთი - მარცხენით.

შდრ.ოJ 4,3 და ორნი ზეთისხილნი მას ზედა, ერთი მარჯუენით სასანთლესა მას მისსა, და ერთი - მარცხენით.

როგორც ვხედავთ, ორივე ტრადიცია ჰაძა-ს გადმოტანის შემთხვევაშიც სისტემურობას გვიჩვენებს. განსხვავებ მხოლოდ ეკვივალენტა შერჩევაშია, კერძოდ: გელათური რეცენზია აზუსტებს და აკონკრეტებს ჰაძა-ს მნიშვნელობას იმით, რომ თანდებულს უმატებს მიმართულებითობის გაგებას ზედა-ზე -ით-ის დამატებით.

ἑπέκεινα

ἑπέκεινα-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული ἑπέκεινα გვხვდება მხოლოდ გენეტივთან. ძირითადად ის გამოიყენება ზმნიზედური ფუნქციით, თუმცა ითავსებს წინდებულის ფუნქციებსაც. იგი შემდეგება ორი კომპონენტისგან: პირველი ეს არის წინდებული ἑπί და აკუსატივში მდგარი სხელი ἑκείνα (Danker 2009: 138).

სექტუაგინტაში ἑπέκεινα წინდებულის ფუნქციით გვხვდება მხოლოდ 5-ჯერ, ზმნიზედური ფუნქციით კი 13-ჯერ. აღსანიშნავია, რომ არც სოლამო, არც ბორტონე და არც იოჰანსონი აღნიშნულ ნახევარწინდებულს თავის ნაშრომებში არ განიხილავენ.

ἑπέκεινα სექტუაგინტაში როგორც წინდებული ძირითადად გამოხატავს ლოკატივს, მნიშვნელობით რაღაცის მიღმა (Muraoka 2009 : 261; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 490).

ἑπέκεινα-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

ἑπέκεινα მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში გვხვდება მხოლოდ ერთხელ მნიშვნელობით რაღაცის მიღმა, რაც ქართულში გადმოდის:

მიცემითი+მიერ კერძო

LXX Amos 5:27 καὶ μετοιχώσῃ ἡμᾶς ἑπέκεινα Δαμασχοῦ

ოJ 5:27 მიგკადნე თქუნ მიერ კერძო დამასკესა

GSB 5:27 და გარდაგასახლნე თქუენ მიერ კერძო დამასკისა

აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ქართულში მიმართულება ორმაგადაა გამოხატული, რადგან როგორც ჩანს ქართულში მხოლოდ ერთი თანდებული ზუსტად ვერ ასახავდა იმ მნიშვნელობას, რასაც ბერძნული ნახევარწინდებული. შესიტყვებას ვხვდებით უმეტესწილად ნათარგმნ ძეგლებში, ორიგინალური ლიტერატურიდან ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებაში. ამდენად, შესიტყვება შეიძლება ბერძნულის გავლენად განვიხილოთ.

ἵπεράνα

ἵπεράνα-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *ἵπεράνα* გვხვდება მხოლოდ გენეტივთან. ის გამოიყენება როგორც ზმნიზედის, ასევე წინდებულის ფუნქციით. ამათგან სექტუაგინტაში წინდებულის ფუნქცია დომინანტურია (15 შემთხვევა, მაშინ როცა ზმნიზედური - 5). თავად ნახევარწინდებული შედგენა ორი ნაწილისგან: პირველი ესაა წინდებული *ἵπερ* და ზმნიზედა *ἀνα* (Danker 2009: 362).

არც აღნიშნულ წინდებულს განიხილავენ სოლამო და იოჰანსონი თავის ნაშრომებში. სექტუაგინტაში მისი ძირითადი მნიშვნელობაა უფრო მაღლა (Muraoka 2009 : 697; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 1209).

ἵπεράνα-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველებში *ἵπεράνα* სულ ორჯერ გვხვდება მნიშვნელობით უფრო მაღლა, რაც ქართულში გადმოდის:

1) მიცემითი+ უფრომს ზედა

LXX Mal. 1:5 ἐμεγαλύνθη κύριος ἵπεράνα τῶν ὀρίων τοῦ Ἰσραηλ
OJ 1:5 განდიდნა უფალი უფრომს საზღვართა ზედა ისრაელისათა.

შდრ. SB1:5 განდიდნა უფალი ზეშთა ზედადთ საზღუართა ისრაჴლისათა.

2) მიცემითი+ზეშთა ზედადთ

LXX Mic. 4:1 μετewapισθήσεται ἰπewpάνw τῶν βουσῶν

შდრ. SB 4:1 განსაცხრომელ-იქმნეს ზეშთა ზედადთ ბორცუთასა²³¹

LXX Mal. 1:5 ἔμεγαλύνθη κύριος ἰπewpάνw τῶν ὀρίων τοῦ Ἰσραῆλ

OJ 1:5 განდიდნა უფალი უფროდს საზღვართა ზედა ისრაჴლისათა.

შდრ. SB1:5 განდიდნა უფალი ზეშთა ზედადთ საზღუართა ისრაჴლისათა.

აღნიშნულ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, გელათური რეცენზია აზუსტებს ეკვივალენტს, მაშინ როცა ე.წ. ოშკური ტიპი ეტიმოლოგიურ თარგმანს მიმართავს, შლის კომპონენტებს ἰπewp-ს თარგმნის უფროდს-ით, ხოლო ἄνω-ს ზედა-თი, ე.ი. მას ან არ ესმის ბერძნული ნახევარწინდებულის მნიშვნელობა ან ვერ უძებნის შესაბამის ქართულ შესატყვისს.

რაც შეეხება შესიტყვებას ზეშთა ზედადთ, როგორც ჩანს, ისიც ბერძნულის გავლენით შექმნილად უნდა განვიხილოთ. ქართულ ენობრივ ბაზათა მონაცემების მიხედვით, აღნიშნული შესიტყვება არ გვხვდება არსად, გადრა ძველი აღთქმისა.

ἰποκᾶτω

ἰποκᾶτω-ს მნიშვნელობები სეპტუაგინტაში

ნახევარწინდებულის ἰποκᾶτω გვხვდება მხოლოდ გენეტივთან. ისიც გამოიყენება როგორც ზმნიზედის, ასევე წინდებულის ფუნქციით და შემდეგნაირად იშლება: წინდებულის ἰπο და ზმნიზედა ἄτω (Danker 2009: 365) ნახევარწინდებულის ჩნდება კოინეში

²³¹ OJ 4:1 აღმალდეს იგი უფროდს ყოველთა ბორცუთა μετewap. ἰπ. τ. βουσῶν] ἐπιημενον αυτο υπew τους βουσους
Iust. = M |

(Bortone 2010: 187) სექტუაგინტაში წინდებულის ფუნქცია დომინანტურია, ხოლო ახალ აღთქმაში კი მხოლოდ წინდებულის ფუნქციით გვხვდება (Danker 2009: 365).

იოჰანსონის მიხედვით, იგი ძირითადად გვევლინება **ΠΠΠ** -ის ეკვივალენტად, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება: **Π** მნიშვნელობით -დან/-გან და მეორე კომპონენტი **ΠΠ** მნიშვნელობით ქვეშ (Johannessohn 1925: 183).

სექტუაგინტაში ძირითადად აღნიშნავს:

1. მოქმედებას, რომელიც მიმდინარეობს რაღაცის ქვეშ.
2. ადგილს სადაც საგანი მდებარეობს მნიშვნელობით ქვეშ.
3. ადგილი სადაც ან საითკენაც ობიექტი მოძრაობს მნიშვნელობით ქვეშ.
4. აღნიშნავს ადგილს სადაც რაღაც ან ვიღაც მდებარეობს, თუმცა მნიშვნელობა ქვეშ უგულებელყოფილია (Muraoka 2009 : 702; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 1209).

ἵποκᾶτα-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

ნახევარწინდებული **ἵποκᾶτα** მცირე წინასწარმეტყველებში გვხვდება 9-ჯერ და აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც მიმდინარეობს რაღაცის ქვეშ. ქართულში იგი გადმოდის:

1) მიცემითი+ქუეშე

LXX Amos 2:13 *διὰ τοῦτο ἰδὸς ἐγὼ καλῶ ἵποκᾶτα ἡμῶν*
OJ 2,13 ამისთვის აჰა-ესერა მე ვაგორვო ქუეშე თქუნსა
შდრ. SB 2,13 ამისთვის აჰა მე ავაგორვებ ქუეშე კერძო თქუნსა

LXX Mic. 4:4 *καὶ ἀναπαύσεται ἕκαστος ἵποκᾶτα ἀμπέλους αὐτοῦ καὶ ἕκαστος ἵποκᾶτα συκῆς αὐτοῦ καὶ οὐκ ἔσται ὁ ἐκφοβῶν διότι τὸ στόμα κυρίου παντοκράτορος ἐλάλησεν ταῦτα*
OJ 4,4 და განისუენებდეს კაცად-კაცადი ვენაჯსა თჯსსა ქუეშე (ქუეშე J) და კაცად-კაცადი -
ლელოვანსა თჯსსა ქუეშე ; ვენაჯსა თჯსსა J.
შდრ. GSB 4,4 და განისუენებდეს კაცადი ქუეშე ვენაჯსა თჯსსა და კაცადი - ქუეშე კერძო
ლეჯსა თჯსისა და არა იყოს მაშინებელი, რამეთუ პირი უფლისა ყოვლისა მპყრობელისაჲ
იტყოდა ამათ,

LXX Obad. 1:7 ἔθικαν ἔνεδρα ὑποκάτω σου οὐκ ἔστιν σύνεσις αὐτοῖς
OJ 1:7 დაგიდვეს დასაბრკოლებელი ქუეშე შენსა.
GSB 1:7 დაგიდვეს შესაბრკოლებელი ქუჭშე შენსა.

2) მიცემითი+ქუეშე კერძო

LXX Amos 2:13 διὰ τοῦτο ἰδοὺ ἐγὼ καλῶ ὑποκάτω ἡμῶν
OJ 2,13 ამისთვის აჰა-ესერა მე ვაგორვო ქუეშე თქუნსა
შდრ. SB 2,13 ამისთვის აჰა მე ავაგორვებ ქუეშე კერძო თქუნსა

LXX Mic. 4:4 καὶ ἀναπαύσεται ἕκαστος ὑποκάτω ἀμπέλου αὐτοῦ καὶ ἕκαστος ὑποκάτω συκῆς αὐτοῦ
OJ 4:4 და განისუენებდეს კაცად-კაცადი ვენაცსა თჯსსა ქუეშე (ქუჭშე J) და კაცად-კაცადი -
ლელოვანსა თჯსსა ქუეშე ; ვენაცსა თჯსსა J.
შდრ. GSB 4:4 და განისუენებდეს კაცადი ქუჭშე ვენაცსა თჯსსა და კაცადი - ქუჭშე კერძო
ლეღსა თჯსსა

როგორც მაგალიტებიდან ჩანს, ძველი თარგმანი იყენებს ნახევარწინდებულის ფუნქციურ შესატყვისს, მაშინ როცა გელათური რეცენზია რიგ შემთხვევებში აზუსტებს ეკვივალენტს და ჯერ კიდევ ეძებს ბერძნული ნახევარწინდებულისთვის ადეკვატურ შესატყვისს.

ἐναντίον

ἐναντίον-ის მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული ἐναντίον ზმნიზედის ფუნქციით უკვე ჰომეროსის ეპოქაში გვხვდება, რომელიც ხანდახნ გვხვდება დატივთან ან გენეტივთან და ასრულებს წინდებულის ან თანდებულის ფუნქციას. ჰომეროსთან იგი ხასიათდება ორი მნიშვნელობით: ვიღაცის წინაშე და წინააღმდეგ. კლასიკურ ბერძნულში იწყება ორი მნიშვნელობის ერთმანეთისგან ფორმალური გამიჯვნა ἐναντίον გამოდის წინდებულის ფუნქციით მნიშვნელობით ვიღაცის წინაშე, მაშინ როცა ზედსართავი ἐναντίας –წინააღმდეგ (Sollamo 1979: 313).

კონიეში ნახევარწინდებული *ἐναυτιον* სინონიმია ნახევარწინდებულისა *ἐνάπιον*, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ *ἐνάπιον* უცნობია ელინური პერიოდის ბერძნულისთვის. *ἐναυτιον* გვხვდება მხოლოდ გენეტივში.

სეპტუაგინტაში იგი შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვევლინება:

1. = **נִפְלָ** რომელიც შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას. თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული **נִ** მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და მეორე კომპონენტი სახელი **נִפְלָ** მნიშვნელობით სახე. (Sollamo 1979: 18-19).

2. = **נִפְלָנָה** მნიშვნელობით -დან/გან, რომელიც ძირითადად გამოხატავს მიზეზს ან დროს. *ἐναυτιον* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 99). თავად ებრაული ნახევარწინდებული სამი ელემენტისგა შედგება: **נָה** მნიშვნელობით -დან/-გან, გამო, **נִ** მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და **נִפְלָ** მნიშვნელობით სახე.

3. = **נִפְלָלֵע** მნიშვნელობით auf dem Antlitz, სახეზე, წინაშე, რაღაცის მოპირდაპირედ (Johannessohn 1925: 195; Sollamo 1979: 109). *ἐναυτιον* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 109). თავად ებრაული ნახევარწინდებული ორ კომპონენტს აერთიანებს: **לֵע** მნიშვნელობით -ზე, წინააღმდეგ და **נִפְლָ** მნიშვნელობით სახე.

4. = **נִפְלָתִי** მნიშვნელობით წინაშე (Sollamo 1979: 116). იგი ორ კომპონენტს აერთებს: **תִּי** მნიშვნელობით -თან და **נִפְლָ** მნიშვნელობით სახე.

5. = **נִפְלָנָה** რომლის ძირითადი მნიშვნელობაა ვიღაცის თვალებში, ვიღაცის განსჯით, ხანდახან ნიშნავს თვალების წინაშე. *ἐναυτιον* მის ეკვივალენტად გამოდის მაშინ, როცა **נִפְלָ** მონაწილეობს იდიომატურ გამოთქმებში (Sollamo 1979: 131). ებრაული ნახევარწინდებული კი შედგება ორი ნაწილისგან: **נָה** მნიშვნელობით -ში, -ზე, თან, შორის და **נִפְ** მნიშვნელობით თვალი.

6. = **נִפְלָ** მნიშვნელობით წინაშე. იგი შედგენა ორი ელემენტისგან: **נִ** მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და **נִפְ** მნიშვნელობით თვალი (Sollamo 1979: 150; Johannessohn 1925: 190-193).

ზოგადად კი სექტუაგინტაში გამოყოფენ მის შემდეგ მნიშვნელობებს:

ἐναντίον

I. 1. +gen. ნიშნავს მოქმედებას ვიღაცის წინაშე.

2. გამოხატავს მოქმედებას ვიღაცის წიააღმდეგ (მტრული გაგებით) (Muraoka 2009 : 233; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 444).

ἐναντίον-ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველებში ἐναντίον გვხვდება მხოლოდ ერთხელ და აღნიშნავს მოქმედებას ვიღაცის წინაშე, რაც ქართულში გადმოდის:

მიცემითი+წინაშე

LXX Amos 3:10 καὶ ὅτι ἔγνων ἃ ἔσται ἐναντίον αὐτοῦ

OJ 3:10 და არა სცნა (ცნას O), რად იყოს წინაშე მისსა

SB 3:10 და არა ცნა, რანი იყვნენ წინაშე მისსა

ἀπέναντι

ἀπέναντι-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული ἀπέναντι ცნობილია კონიესტვის, თუმცა არ გვხვდება კლასიკურ ბერძნულში. კონიეში იგი გამოიყენება ლოკატივის ფუნქციით მნიშვნელობით ვიღაცის მოპირდაპირედ. დასტურდება მხოლოდ გენეტივთან (Sollamo 1979: 317).

სექტუაგინტაში ნახევარწინდებული შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვევლნება:

1. = אֲנִי רֹמְעִילִי שֶׁיִּדְּבַר אֶת-לִבִּי אֶת-פִּי וְאֶת-לִבִּי אֶת-פִּי וְאֶת-לִבִּי אֶת-פִּי
რომელიც შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას. თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული הַ მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და მეორე კომპონენტი სახელი הַ מְּנִיშְׁנֵלֹּבִית სახე. (Sollamo 1979: 28).

2. = אֲנִי מִן-פְּנֵי אֲנִי מִן-פְּנֵי אֲנִי מִן-פְּנֵי
მნიშვნელობით von dem Antlitz, სახისგან/ სახიდან (Johannessohn 1925: 195).
რომელიც მონაწილეობს ებრაულ იდიომატურ გამოთქმებში და აქვს ლოკატივის

(რადაცისგან შორს) ან მიზეზის გაგება (ამის გამო). მის ეკვივალენტად *ἀπέναυτι* გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 80). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: *ן* მნიშვნელობით -დან/-გან, გამო და მეორე კომპონენტი *ן* მნიშვნელობით სახე.

3. = *ן* მნიშვნელობით -დან/გან, რომელიც ძირითადად გამოხატავს მიზეზს ან დროს (Sollamo 1979: 99). თავად ებრაული ნახევარწინდებული სამი ელემენტისგა შედგება: *ן* მნიშვნელობით -დან/-გან, გამო, *ן* მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და *ן* მნიშვნელობით სახე.

4. = *ן* მნიშვნელობით auf dem Antlitz, სახეზე, წინაშე, რადაცის მოპირდაპირედ (Johannessohn 1925: 195; Sollamo 1979: 107). *ἀπέναυτι* მის ეკვივალენტად გვხვდება ოთხჯერ (Sollamo 1979: 107). თავად ებრაული ნახევარწინდებული ორ კომპონენტს აერთიანებს: *ן* მნიშვნელობით -ზე, წინააღმდეგ და *ן* მნიშვნელობით სახე.

5. = *ן* მნიშვნელობით წინაშე. *ἀπέναυτι* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ სამჯერ (Sollamo 1979: 115), ებრაული ნახევარწინდებული კი ასე დაიშლება: *ן* მნიშვნელობით -კენ და *ן* მნიშვნელობით სახე (Johannessohn 1925: 193-194).

სეპტუაგინტაში ზოგადად გამოყოფენ *ἀπέναυτι*-ს შემდეგ მნიშვნელობას:

I. 1. +gen. მოპირდაპირედ, წინაშე.

ἀπέναυτι-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

ნახევარწინდებული მცირე წინასწარმეტყველებში გვხვდება მხოლოდ ორჯერ. აქედან ერთ შემთხვევაში სახელთან *προσώπου*, რომელსაც ცალკე განვიხილავთ შესაბამის ქვეთავში. დარჩენილ ერთ მაგალითში გამოიყენება მნიშვნელობით წინაშე და ქართულ თარგმანში შესაბამისად გადმოდის:

1) მიცემითი+წინაშე:

LXX Jon. 4:5 *ἐκάθισεν ἀπέναυτι τῆς πόλεως καὶ ἐποίησεν ἑαυτῷ ἐκεῖ σκηπῆν*

OJ 4:5 დაჯდა წინაშე ქალაქსა მას

მდრ. SB 4:5 შექმნა თვსად კარავი მუნ წინაშე ქალაქისა

2) ნათესაობითი+წინაშე:

LXX Jon. 4:5 ἐκάθισεν ἀπέναντι τῆς πόλεως καὶ ἐποίησεν ἑαυτῷ ἐκεῖ σκηπῆν

SB 4:5 შექმნა თვსად კარავი მუნ წინაშე ქალაქისა

შდრ. OJ 4:5 დაჯდა წინაშე ქალაქსა მას

κατέναντι

κατέναντι-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *κατέναντι* გვხვდება მხოლოდ გენეტივთან. აგებული კუთხით მისი პირველი ნაწილი არის წინდებული *κατά*, ხოლო მეორე *ἔναντι*, რომელიც თავის მხრივ კიდევ იშლება წინდებულად *ἐν* და *ἀντί* (Danker 2009: 198; Beekes- Beek 2010:419) როგორც სოლამო შენიშნავს, ნახევარწინდებული ἀπέναντι-ის სინონიმურ ცალს წარმოადგენს (Sollamo 1979: 318) .

κατέναντι სექტუაგინტაში გვხვდება შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად:

1. = *אָפֿן* რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას. თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული *בְּ* მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და მეორე კომპონენტი სახელი *פָּנִים* მნიშვნელობით სახე. როგორც სოლამო შენიშნავს, *κατέναντι* მის ეკვივალენტად გვხვდება 12-ჯერ (Sollamo 1979: 29).

2. = **ჟჟ-ღჟ** მნიშვნელობით წინაშე. *κατέναντι* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ორჯერ (Sollamo 1979: 107), ებრაული ნახევარწინდებული კი ასე დაიშლება: **ღჟ** მნიშვნელობით -კენ და **ჟჟ** მნიშვნელობით სახე.

3. = **ჟჟ-ღჟ** მნიშვნელობით წინაშე. *κατέναντι* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 115), ებრაული ნახევარწინდებული კი ასე დაიშლება: **ღჟ** მნიშვნელობით -კენ და **ჟჟ** მნიშვნელობით სახე.

სეპტუაგინტაში ზოგადად გამოყოფენ მის შემდეგ მნიშვნელობებს:

κατέναντι

1. *+gen.* აღნიშნავს გეოგრაფიულ ან ფიზიკურ მდებარეობას რაღაცის მოპირდაპირედ.

2. გამოხატავს მდებარეობას ან მოქმედებას რაღაცის წინაშე (Muraoka 2009 : 388; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 687).

κατέναντι-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველებში *κατέναντι* გვხვდება მხოლოდ სამჯერ, ამათგან იგი ერთ-ერთ კონტექსტში კომბინირებს სახელთან *ὄφθαλμων*, რომელსაც ნახევარწინდებულთა მეორე ნაწილში განვიხილავთ. დანარჩენ ორ შემთხვევაში *κατέναντι* აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც მიმდინარეობს რაღაცის წინაშე, რაც ქართულში სისტემურად გადმოდის:

ნათესაობითი+წინაშე

LXX Amos 4:3 *καὶ ἐξενεχθήσεσθε γυμναὶ κατέναντι ἀλλήλων*

OJ 4:3 და შეგიყვანენ თქვენ შიშუელნი **წინაშე ერთი ერთისა**

SB 4:3 და განყუანებულ იქმნეთ შიშუელნი **წინაშეცა** (-ცა>B) ერთმანერთისა

LXX Mic. 2:8 *καὶ ἔμπροσθεν ὁ λαός μου εἰς ἔθνην ἀντέστη κατέναντι τῆς εἰρήνης αὐτοῦ*

OJ 2:8 ერი ჩემი აღუდგა მტერად **წინაშე** მშჯდობისა მისისა.

SB 2:8 ერი ჩემი მტერად აღუდგა **წინაშე** მშჯდობისა მისისა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ შემთხვევაშიც ორივე ტრადიცია ერთნაირ სურათს გვიჩვენებს.

დასკვნა

როგორც ვედავთ, აღნიშნული ჯგუფის ბერძნულ ნახევარწინდებულთა გადმოსატანად ორივე ტრადიცია ხან ცალკე მდგომ თანდებულებს იყენებს და ხან კი ზმნიზედათა ფუნქციებს აფართოებს და მათ თანდებულის ფუნქციით იყენებს.

ეს პროცესი ზმნიზედიდან თანდებულამდე, როგორც წინდებულთა გენეზისის განხილვისას აღვნიშნეთ, ბუნებრივი და დამახასიათებელია ყველა ენისთვის. ასე ჩამოყალიბდა თანდებული ბერძნულში დამოუკიდებელი სიტყვიდან ზმნიზედამდე და ზმნიზედიდან წინდებულამდე, იგივე გრამატიკალიზაციის პროცესი გაიარა ქართულშიც თანდებულმა, თუმცა აღნიშნულ შემთხვევებში ზმნიზედათა ფუნქციის გაფართოება დაკავშირებულია ბერძნულ ნახევარწინდებულთა გადმოტანასთან, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული ააქტიურებს ენაში არსებულ პოტენციას.

ნახევარწინდებულები შექმნილი შესიტყვებით²³²

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ქვეჯგუფში შევა ისეთი რიგის ნახევარწინდებულები, რომლებიც წინადადებაში წარმოდგენილები არიან ორი სიტყვით (წინდებულთა და არსებითი სახელით). საინტერესოა, მთარგმნელობითი კუთხით რა სურათს გვიჩვენებს ძველი თარგმანი და გელათური რეცენზია, მთარგმნელი აღნიშნულ ნახევარწინდებულებს იაზრებს ერთ ოდენობად და ისე თარგმნის მათ, თუ როგორც უბრალო წინდებულიან სიტყვას.

აღნიშნულ ნახევარწინდებულების არსებობის საკითხს (ფორმებს *პირისაგან, წინაშე პირსა*) კ. დანელია (1998) და ზ. სარჯველაძე (1984) განიხილავენ და ორივე მათგანი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფორმები ბერძნულის გავლით შემოსული ებრაულის კალკია, რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ ნათარმნი ძეგლებისთვის, არამედ ორიგინალური ლიტერატურისთვის.

²³² აღნიშნული საკითხის ანალიზისას, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ეკვივალენტთა შერჩევის მხოლოდ ფორმალურ მხარეზე. ამიტომ მასალას დავაჯგუფებთ არა ფუნქციის, არამედ ეკვივალენტების მიხედვით.

საკითხს წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით, განიხილავს ნათია მიროტაძე (2009), სადაც იგი *თუალითა* და *პირით* შედგენილ ნახევარწინდებულთა ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ მთარგმნელ-რეცენზენტისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა აღნიშნული შესიტყვების თარგმნა.

წინდებული+ *მესო*

სეპტუაგინტაში გამოიყოფა ერთი წყება ნახევარწინდებულებისა, რომელთა პირველი ნაწილი ე.წ. ძველი წინდებულია, ხოლო მეორე ზედსართავი სახელი *მესო* მნიშვნელობით *შუა*.

ან *მესო*

ან *მესო*-ის მნიშვნელობები სეპტუაგინტაში

ნახევარწინდებულის პირველი ნაწილი *ან* ზოგადად გვხვდება მხოლოდ აკუზატივთან. სხვა წინდებულებისგან განსხვავებით, *ან* ნაკლებად პროდუქტიულია. დასტურდება მისი ზმნიზედური ფორმა *ანა* (Frisk 1960:100; Chantraine 1999:82).

როგორც სოლამო აღნიშნავს, შესიტყვება *ან* *მესო* არ გვხვდება ჰომეროსთან. იგი დასტურდება კლასიკური პერიოდის ბერძნულში. ადრეულ კონიეშიც პროდუქტიულია, რაც მტავრია იგი გვხვდება ებრაელ ბერძენთა ნაწერებში, მაგალითად არისტეასთან და ალექსანდრიის პოეზიაში. ასევე დამახასიათებელია პტოლემეაიოსის ეპოქის პაპირუსებისთვის, სადაც 33 შემთხვევაში იხმარება დამოუკიდებლად და მხოლოდ 12 შემთხვევაში კომბინირებს გენეტივთან (Sollamo 1979: 347).

სეპტუაგინტაში შესიტყვება გვხვდება ებრაული ნახევარწინდებულ *אֲנִי* -ის გადმოსაცემად ჩვეულებრივ მნიშვნელობით *ვიღაცას შორის* (ცოცხალ არსებებთან) და *რადაცის შუაში* (ადგილსა და უსულო საგნებთან) (Sollamo 1979: 251). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: *אֲנִי* მნიშვნელობით *-ში*, *-ზე*, *-თან*, *შორის* და მეორე ნაწილი *אֲנִי* მნიშვნელობით *შუა*.

ამდენად, შესიტყვების მნიშვნელობა სექტუაგინტაში:

ἀνά μέσον

I. 1.+gen. აღნიშნავს შორის ან შუაში (მრავლობითში მდგარ არსებით სახელთან).

2. ორ ან მეტ განსხვავებულ ჯგუფს შორის არჩევა ან განსჯა (Muraoka 2009 : 34; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 147).

ἀνά μέσον-ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში შესიტყვების სულ 18 შემთხვევა დავადასტურეთ, მურაოკასტან მცირე წინასწარმეტყველებში გამოყოფილია იგივე მნიშვნელობები, რაც ზოგადად სექტუაგინტაში (1993: 12). ძველ ქართულ თარგმანში აღნიშნული ნახევარწინდებულის გადმოტანა სისტემურად ხდება *შორის* თანდებულობით, ხოლო გელათურ რეცენზია ხან ასწორებს ძველ თარგმანს *საშუალ-ით*, ხან კი უცვლელად ტოვებს. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

1. ოშკურ ტიპში წაროდგენილია *შორის*, გელათურ რეცენზიაში კი – *საშუალ*.

სწავლის, დგომის, აღების, ტირილის სემანტიკის ზმნებთან

δια-στέλλα+ ἀνά μέσον

LXX Hos. 13:15 διότι οὕτως ἀνά μέσον ἀδελφῶν διαστειλεῖ

OJ13:15 რამეთუ მან (ამან J.) ძმათა შორის განწვალოს.

შდრ. SB13:15 მით რამეთუ ამან საშუალ ძმათა განწვალოს

κλαίω+ ἀνά μέσον

LXX Joel 2:17 ἀνά μέσον τῆς κρηπίδος τοῦ θυσιαστηρίου κλαύσονται οἱ ἱερεῖς

OJ 2:17 და შორის ხარისხსა საკურთხეველისასა ტიროდენ მღდელნი

შდრ. GSB 2:17 საშუალ ხარისხსა მსხურვლის-საცავისასა ტიროდენ მღდელნი

ἴσθημι+ ἀνά μέσον

LXX Zech. 1:8 οὗτος εἰστήκει ἀνά μέσον τῶν δύο ὁρέων τῶν κατασκίων

OJ 1:8 ესე დგა შორის ორთა მთათა ჩრდილოდასათა
შდრ. SB 1:8 ესე დგა საშუალ ორთა მთათა ჩრდილოანთასა

ἀναλαμβάνω [ἀνά, λαμβάνω] + *ἀνά μέσον*

LXX Zech. 5:9 ἀνέλαβον τὸ μέτρον ἀνά μέσον τῆς γῆς καὶ ἀνά μέσον τοῦ οὐρανοῦ
OJ 5:9 აღიღეს საზომი იგი შორის ცასა და ქუეყანასა
შდრ. GSB 5:9 აღიღეს საზომი საშუალ ქუეყანისა და საშუალ ცისა.

2. ომკური და გელათური ტიპი ერთად დგას, ორივეგან წარმოდგენილია შორის
თანდებული:

განსჯის, დადგომის, ლმობის სემანტიკის ზმნებთან

κρίνω + *ἀνά μέσον*

LXX Mic. 4:3 καὶ κρίνει ἀνά μέσον λαῶν πολλῶν
OJ 4:3 და შჯიდეს ერსა შორის მრავალსა
GSB 4:3 და შჯიდეს შორის ერთა მრავალათა

κατάγω [κατά, ἄγω] + *ἀνά μέσον*

LXX Obad. 1:4 ἐὰν ἀνά μέσον τῶν ἄσטרων θῆς νοσοῖάν σου ἐκεῖθεν κατάξω
OJ 1:4 გინათუ დაიდგნე შორის ვარსკულავთა ბუდენი შენნი
GSB 1:4 უკეთუ შორის ვარსკულავთა დაიდგა ბუდე შენი

δια-μαρτύρομαι [διά, μαρτυρέω] + *ἀνά μέσον*

LXX Mal. 2:14 ὅτι κύριος διεμαρτύρατο ἀνά μέσον σοῦ καὶ ἀνά μέσον γυναικὸς νεότητός σου
OJ 2:14 რამეთუ უფალი (> J.) გიწამებდა შორის შენსა და შორის ცოლისა სიჭაბუკისა
შენისა
SB 2:14 უფლისათჳს გელმა შორის შენსა და შორის ცოლისა სიჭაბუკისა შენისადასა

როგორც ჩანს, გარკვეულ კონტექსტებში გელათური რეცენზია ტოვებს ძველი
მთარგმნელის ეკვივალენტს, რადგანაც ასხვავებს კონტექსტების მიკროსემანტიკას. *საშუალ-*
ს გელათისთვის უფრო კონკრეტული მნიშვნელობა აქვს, გულისხმობს *შუაში მყოფობას*,
ხოლო *შორის-ს* უფრო ფართო სემანტიკა.

ამდენად, როგორც ჩანს, ძველი მთარგმნელი ან არ ასხვავებს კონტექტებს, ან ენაში
ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული ბერძნული ნახევარწინდებულის ადეკვატური

ეკვივალენტი, მაშინ როცა გელათური რეცენზია ასხვავებს კონტექსტებს და ისე არჩევს შესატყვისს.

ღვ მქსფ

ღვ მქსფ-ს მნიშვნელობები სეპტუაგინტაში

ნახევარწინდებული *ღვ მქსფ* დამახასიათებელი იყო ჰომეროსის ეპოქის ბერძნულისთვისაც. მისი ძირითადი მნიშვნელობებია *შუაში*, *შორის*. ჰომეროსთან და კლასიკურ ბერძნულში შესიტყვება გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ასევე კომბინაციაში გენეტივთან და ზოგჯერ აქვს ლოკალური, ზოგჯერ კი დროული გაგება (Sollamo 1979: 344). აქ აღარ შევჩერდებით იმის განხილვაზე თუ კიდე რომელ ავტორებთან და რა სტატისტიკით გამოიყენება აღნიშნული შესიტყვება და ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რომელი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვევლინება იგი სეპტუაგინტაში:

1. = *בְּרֵיב*, რომელიც კომბინაციაა *ב* -ისა და *רֵב*-ის. ნახევარწინდებულის ამოსვალი მნიშვნელობაა *სხეულის ნაწილის შიგნით* > *შიგნით* (ცოცხალ არსებებთან), მეორე მნიშვნელობაა *შორის* (ცოცხალ არსებებთან), ხოლო მესამე მნიშვნელობაა *შიგნით* (ადგილისა და უსულო არსებებთან მიმართებით). როგორც სოლამო შენიშნავს, ბერძნული შესიტყვება *ღვ მქსფ* -სთან აღნიშნული სამი მნიშვნელობიდან, თუ გავითვალისწინებთ ორიგინალურ ბერძნულს, მხოლოდ მეორე და მესამე მნიშვნელობები მოდის შესაბამისობაში. სეპტუაგინტაში იგი ებრაული ნახევარწინდებულის მეორე მნიშვნელობის ეკვივალენტად გვხვდება 22-ჯერ, ხოლო მესამის – 13-ჯერ (Sollamo 1979: 235-237).

2. ნახევარწინდებულ *רֵב־בְּ* -ის გადმოსაცემად ჩვეულებრივ მნიშვნელობით *ვიღაცას შორის* (ცოცხალ არსებებთან) და *რადაცის შუაში* (ადგილსა და უსულო საგნებთან) (Sollamo 1979: 251). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: *ב* მნიშვნელობით -*ში*, -*ზე*, -*თან*, *შორის* და მეორე ნაწილი *רֵב* მნიშვნელობით *შუა*.

3. = *רֵב־בְּ* თავად ებრაული ნახევარწინდებული აღნიშნავს *შუაში*, *ცენტრში* (ადგილსა და უსულო საგნებთან) (Sollamo 1979: 267). ებრაული ნახევარწინდებული კი კომბინაციაა

წინდებულისა ზჯ რომლის მნიშვნელობაა -ში, -კენ და არსებითი სახელისა ჟქმ მნიშვნელობით შუა.

én მésა-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველტა წიგნებში ნახევარწინდებულის სულ 23 შემთხვევა გამოვლინდა. ქართული ეკვივალენტების კუთხით აქაც იგივე სურათი გვაქვს, რაც *áná mésou-* ის შემთხვევაში: ძველში წარმოდგენილია შორის, ხოლო გელათური რეცენზია განასხვავებს კონტექტსტებს, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ოშკურ ტიპში წაროდგენილია შორის, გელათურ რეცენზიაში კი – საშუალ.

LXX Zeph. 2:14 και νεμήσονται én mésa აბტჲს ποίμνια και πάντα τὰ θηρία τῆς γῆς
OJ 2:14 და ძოვდენ შორის მისსა სამწყსონი და ყოველნი მჯეცნი ქუეყანისანი;
GSB 2:14 და ძოვდენ საშუალ მისსა სამწყსონი და ყოველნი მჯეცნი ქუეყანისანი

LXX Joel 2:27 én mésa τοῦ Ἰσραῆλ ἐγώ εἰμι
OJ 2:27 ისრაჲლსა შორის მე ვარ
GSB 2:27 საშუალ ისრაჲლისა ვარ მე

LXX Hab. 3:2 én mésa ὁὐκ ἔσται ἡ γῆ ὡς ἡμεῖς
O 3:2 შორის ორთა მათ ცხოველთასა გამოშჩნდი შენ
SB 3:2 საშუალ ორთა ცხოვართასა იცნობე

LXX Hag. 2:5 και τὸ πνεῦμά μου ἐφέσθηκεν én mésa ἡμῶν
OJ 2:5 სული ჩემი დადგრომილ არს თქუენ შორის
SB 2:5 სული ჩემი დადგა საშუალ თქუენსა

LXX Zech. 2:14 κατασκήνωσάω én mésa σου λέγει κύριος
OJ Zech. 2:14 (10) დავემკვდრო შორის შენსა - იტყვს უფალი.

GSB Zech. 2:14 (10) დავიმკვდრო საშუალ შენსა - იტყვს უფალი.

2. ოშკური და გელათური ტიპი ერთად დგას, ორივეგან წარმოდგენილია შორის თანდებული:

LXX Amos 3:9 ἴδετε θασμαστὰ πολλὰ én mésa აბტჲს
OJ 3:9 იხილეთ საკვრველი მრავალი შორის მისსა
SB 3:9 იხილენით საკვრველნი მრავალნი შორის მისსა

LXX Zeph. 3:15 βασιλεὺς Ἰσραηλ κύριος ἐν μέσῳ σου
OJ 3:15 მეუფე ისრაელისაჲ უფალი შორის შენსა
GSB 3:15 მეფობდეს უფალი შორის შენსა

LXX Zech. 2:9 εἰς δόξαν ἔσομαι ἐν μέσῳ αὐτῆς
OJ Zech. 2:9(5) დიდება ვეყო მას შორის მისსა.

GSB Zech. 2:9(5) დიდებად ვიყო შორის მისსა.

LXX Zech. 8:8 κατασκηνώσω ἐν μέσῳ Ἱερουσαλήμ
OJ Zech. 8:8 დავამკვდრნე შორის იერუსალემსა
SB Zech. 8:8 დავაშენნე შორის იერუსალიმსა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქაც ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, როგორც *ἀνὰ μέσῳ*-ის შემთხვევაში და მიზეზი აქაც კონტექტში უნდა ვეძიოთ.

ძი მესოს

ძი მესოს-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *ძი მესოს* შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვხვდება:

1. = *בְּקִרְבֵּךְ*, რომელიც კომბინაციაა *בְּ* -ისა და *קִרְבֵּךְ*-ის. ნახევარწინდებულის ამოსვალი მნიშვნელობაა *სხეულის ნაწილის შიგნით* > *შიგნით* (ცოცხალ არსებებთან), მეორე მნიშვნელობაა *შორის* (ცოცხალ არსებებთან), ხოლო მესამე მნიშვნელობაა *შიგნით* (ადგილისა და უსულო არსებებთან მიმართებით) *ძი მესოს* მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ (Sollamo 1979: 235-238).

2. ნახევარწინდებულ *בְּיָדְךָ* -ის გადმოსაცემად, რომლის მნიშვნელობაა *ვიღაცას შორის* (ცოცხალ არსებებთან) და *რადაცის შუაში* (ადგილსა და უსულო საგნებთან) (Sollamo 1979: 251). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: *בְּ* მნიშვნელობით -*ში*, -*ზე*, -*თან*, *შორის* და მეორე ნაწილი *יָדְךָ* მნიშვნელობით *შუა*. ბერძნული ეკვივალენტი *ძი მესოს* გვხვდება მხოლოდ ორჯერ მნიშვნელობით *შუის გავლით*. კონტექტში იგი კომბინაციშია ისეთ ზმნებთან, რომელთაც ერთვით ზმნისწინი *ძი* (Sollamo 1979: 255).

ძღ მესოს-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველებში აღნიშნული ნახევარწინდებული გვხვდება მხოლოდ ერთხელ, როცა ძველ თარგმანში ისევ წარმოდგენილია შორის, მაშინ როცა გელათურ რეცენზიაში *საშუალ*.

LXX Amos 5:17 *διελέσσομαι* *ძღ მესოს* σου *εἶπεν* *κύριος*

OJ 5:17 განვლო შორის შენსა - თქუა უფალმან.

GSB 5:17 განვლო *საშუალ* შენსა - თქუა უფალმან.

ἐκ მესოს

ἐκ მესოს-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *ἐκ მესოს* ბერძნულში კლასიკური პერიოდიდან გვხვდება, მაგალითად დემოსთენე შესიტყვებას იყენებს მნიშვნელობით მოშორებით, მაშინ როცა ჰეროდოტე მნიშვნელობით შუაში. კოინეში *ἀπέρχεσθαι* ზნმასთან კომბინაციაში გვხვდება მნიშვნელობით *განშორება/გამგზავება რაღაცისგან/-დან*, რაც თავს მხრივ პლეონასტურია, რადგან მართო აღებული ზმნაც გადმოსცემს აღნიშნულ მნიშვნელობას (Sollamo 1979: 350) ორიგინალურ ბერძნულ ტექსტებში ნახევარწინდებული არ კომბინირებს ბრუნვასთან, მაშინ როცა სექტუაგინტაში გვხვდება გენეტივთან (Sollamo 1979: 249).

სექტუაგინტაში იგი შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვევლინება:

1. = *בָּרָךְ*, რომელიც კომბინაციაა *בָּ* -ისა და *רָךְ*-ის. ნახევარწინდებულის ამოსვალი მნიშვნელობაა *სხეულის ნაწილის შიგნით > შიგნით* (ცოცხალ არსებებთან), მეორე მნიშვნელობაა *შორის* (ცოცხალ არსებებთან), ხოლო მესამე მნიშვნელობაა *შიგნით* (ადგილისა და უსულო არსებებთან მიმართებით) (Sollamo 1979: 235, 238).

2. = *בָּרָךְ* მნიშვნელობით -დან/-გან შორის (Sollamo 1979: 248). შედგება წინდებულისგან *בֵּן* რომლის ზოგადი მნიშვნელობებია *-დან/-გან, მიზეზით* და მეორე ნაწილი *רָךְ* მნიშვნელობით *შუა*.

3. = **𐤏𐤓𐤕**, რომლის მნიშვნელობაა *ვიღაცას შორის* (ცოცხალ არსებებთან) და *რადაცის შუაში* (ადგილსა და უსულო საგნებთან) (Sollamo 1979: 251, 256). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: **𐤕** მნიშვნელობით *-ში, -ზე, -თან, შორის* და მეორე ნაწილი **𐤏𐤓** მნიშვნელობით *შუა*.

4. = **𐤏𐤓𐤕** მნიშვნელობით *შუიდან* (Sollamo 1979: 268) თავად ებრაული ნახევარწინდებული კომბინაციაა წინდებულისა **𐤏** რომლის ზოგადი მნიშვნელობებია *-დან/-გან, მიზეზით* და არსებითი სახელისა **𐤏𐤓** მნიშვნელობით *შუაში*.

საინტერესოა აღნიშნული ნახევარწინდებულის გადმოტანისას რა სურათს გვაძლევს ქართულ მასალა და აასხვავებს თუ არა ნიშნელობებს ქართველი მთარგმნელი, ამავე კომბინაციით შედგენილ სხვა ნახევარწინდებულებისგან.

ἐκ μέσου-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ნახევარწინდებული **ἐκ μέσου** გვხვდება სულ 7-ჯერ, ამათგან მხოლოდ ორჯერ გელათურ რეცენზიაში ნახევარწინდებული თარგმნილია *საშუალოსაგან*-ით, ხოლო სამჯერ *შორისით*²³³ და ერთხელ *საშუალოთ*, ომკური ტიპის თარგმანში კი სისტემურად *შორის* შესატყვისია გამოყენებული:

1. ომკური და გელათური ტიპი ერთად დგას, ორივეგან წარმოდგენილია *შორის*:

1. **ἐξ αἴρω** [ἐξ, αἴρω] + **ἐκ μέσου**

LXX Hos. 2:4 **ἐξαρῶ** τὴν πορνείαν αὐτῆς ἐκ προσώπου μου καὶ τὴν μοιχείαν αὐτῆς **ἐκ μέσου** μαστῶν αὐτῆς
O 2:4(1:13) და აღვიხუნე სიძვანი მისნი პირისაგან ჩემისა და მრუმებანი მისნი **შოვრის**
ძუძუთა მისთა,

SB 2:4 განაგდოს სიძვაჲ პირისაგან მისისა და მრუმებაჲ მისი **შორის** ძუძუთაგან მისთა.

2. **ἐξ ὀλεθρέσω** [ἐξ, ὀλεθρέσω] + **ἐκ μέσου**

LXX Mic. 5:9 καὶ ἔσται ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ λέγει κύριος **ἐξ ὀλεθρέσω** τοὺς ἴππους σου **ἐκ μέσου** σου καὶ ἀπολῶ τὰ ἄρματα σου

OJ 5:10 მოვსრა ცხენები **შორის** შენსა

SB 5:10 მოვსრნნე ჰუნენი შენნი **შორის** შენსა

²³³ ამოსი 6:4-ში გელათის ბერძნულ დედანში **ἐκ μέσου**, სავარაუდოდ არ უნდა გვექონოდა, რადგან მხოლოდ ა ერთადერთ შემთხვევაში ეკვივალენტად შინაა წარმოდგენილი.

LXX Mic. 5:12 και ἐξελθρεύσω τὰ γλυπτὰ σου και τὰς στήλας σου ἐκ μέσου σου και οὐκ ἐτι μὴ προσκυσήσης τοῖς ἔργοις τῶν χειρῶν σου

OJ 5:13 და მოვსრნე ყოველნი გამოქანდაკებულნი და ძეგლები შენი შორის შენსა.

SB 5:13 და მოვსპნე ქანდაკებულნი შენნი და ძეგლნი შენნი შორის შენსა

როგორც ჩანს, აღნიშნულ მაგალიტებში **ἐκ**-ის -გან-ითგადმოტანის გარეშეც კონტესტი ადეკვატურად გაიგება.

2. გელათურ რეცენზიაში წარმოდგენილია საშუალისაგან:

(Mic. 5:13 BGT) και ἐκκόψω τὰ ἄλση σου ἐκ μέσου σου και ἀφανίσω τὰς πόλεις σου

OJ 5:14 და მოვკაფო სერტყეები იგი შორის შენსა და განვრყუნე ქალაქნი შენნი.

SB 5:14 და აღმოვსჭრნე სერტყეებნი საშუალისაგან შენისა და ვაუჩინოვნე ქალაქნი შენნი.

LXX Zech. 9:7 και ἐξαρῶ τὸ αἶμα αὐτῶν ἐκ στόματος αὐτῶν και τὰ βδελύγματα αὐτῶν ἐκ μέσου ὀδόντων αὐτῶν

OJ Zech. 9:7 და აღვილო სისხლი მათი პირისაგან მათისა და სამაგელებაჲ მათი შორის კბილთა (კრებულთა J.) მათთა.

SB Zech. 9:7 და აღვილო სისხლი მათი პირისაგან მათისა და სამაგელებანი მათნი საშუალისაგან კბილთა მათთასა.

3. გელათურ რეცენზიაში წარმოდგენილია საშუალ:

Zech. 6:1 BGT) και ἐπέστρεψα και ἦρα τοὺς ὀφθαλμοὺς μου και εἶδον και ἰδοὺ τέσσαρα ἄρματα ἐκπορευόμενα ἐκ μέσου δῆσο ὀρέων και τὰ ὄρη ἦν ὄρη χαλκῆ

OJ Zech. 6:1 აჰა-ესერა ოთხი ეტლები გამოვიდოდა შორის ორთა მთათა.

GSB Zech. 6:1 აჰა ოთხნი ეტლნი გამომავალი საშუალ ორთა მთათასა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მაგალიტში ბერძნული ზმნა წარმოდგენილი **ἐκ** ზმნისწინით ქართულში გამო-თი გადმოდის, ამდენად, გელათური რეცენზია თავიდან ირიდებს გამეორებას და **ἐκ μέσου**-ს ოდენ **საშუალით** თარგნის, ისევე როგორც ოშკი ოდენ **შორის-ით**.

როგორც ჩანს, გელათის არჩევანს კვლავ კონექსტი განაპირობებს, მაშინ როცა ოშკური ტრადიცია ისევე სისტემურად ერთ შესატყვისს იძლევა.

დასკვნა

ბერძნული ნახევარწინდებულების გადმოტანისას, რომლებიც შედგენილია წინდებული+ *μέσος*-თი ორივე ტრადიცია ერთ ოდენობად იაზრებს და არ შლის მას, გარდა *ἐκ μέσου* -ს ორი შემთხვევისა, როცა გელათური რეცენზიას ორივე ოდენობა გადმოაქვს, რადგან კონტექტი არ იძლევა საშუალებას მისი სემანტიკა ადეკვატურად გადმოიცეს. ხოლო რაც შეეხება ძველი თარგმანის არჩევანს, ჩვენი შეხედულებით, მას განაპირობებს ენის შესაძლებლობა და არა თარგმანის ტექნიკა.

წინდებული+ὀφθαλμῶν

მეორე წყება ნახევარწინდებულებისა, რომელებიც გვხვდება სექტუაგინტაში შედგენილობის პრინციპით არ განსხვავდება სხვებისგან – პირველი ნაწილი ძველი წინდებულია, ხოლო მეორე არსებითი სახელი *ὀφθαλμῶς*.

ἀπὸ ὀφθαλμῶν

ἀπὸ ὀφθαλμῶν-ის მნიშვნელობები სექტუაგინტაში

მეტაფორული ფრაზა *ἀπὸ ὀφθαλμῶν* მნიშვნელობით *წინაშედან*, *თვალთახედვის მიღმა* გვხვდება ჰომეროსთან და კლასიკური პერიოდის ბერძნულში, რაც მის ბერძნულობას ამტკიცებს. იგივე შეიძლება ითქვას, ნახევარწინდებული *ἐξ ὀφθαλμῶν*-ზე, რადგან ისიც გვხვდება ორიგინალურ ბერძნულ ტექსტებში (Sollamo 1979: 332-333). ორივე ნახევარწინდებული *ὕψῳ* ებრაული ნახევარწინდებულის ეკვივალენტებად გვევლინება, რომელიც თავის მხრივ ნიშნავს *თვალთახედვის მიღმა* (Sollamo 1979: 153) და შედგება *ἵδ-* სგან მნიშვნელობით *-გან/-დან*, *მიზეზით* და მეორე ნაწილი *ἵψ-* სგან მნიშვნელობით *თვალი*.

ἀπὸ ὀφθαλμῶν და ἐξ ὀφθαλμῶν-ის მნიშვნელობები მცირე

წინასწარმეტყველებში

ნახევარწინდებული *ἀπό ὀφθαλμῶν* მცირე წინასწარმეტყველებში გვხვდება მხოლოდ ერთხელ და ორივე ტრადიცია მას ნათესაობითი+*-გან* თანდებულით თარგმნის:

LXX Hos. 13:14 *ἔδη παράκλησις κέκρυπται ἀπό ὀφθαλμῶν μου*
OJ 13:14 ნუ გეშინის-ცემა დაფარულ არს *თუალთაგან* ჩემთა.
SB 13:14 ნუგეშინის-ცემა დაფარულ არს *თუალთაგან* ჩემთა.

რაც შეეხება ნახევარწინდებულ *ἐξ ὀφθαλμῶν*-ს იგი გვხვდება მხოლოდ 3-ჯერ და ორივე ტრადიციაში სამივე შემთხვევაში გადმოდის ნათესაობითი+*-გან* თანდებულით:

LXX Amos 9:3 *καταδύσωσιν ἐξ ὀφθαλμῶν μου εἰς τὰ βάθη τῆς θαλάσσης*
OJ 9:3 შთაჯდენ *თუალთაგან* ჩემთა სიღრმესა ზღვსასა
SB 9:3 დაჰჯდენ *თუალთაგან* ჩემთა სიღრმეთა შინა ზღვსათა

LXX Zeph. 3:7 *μη ἐξιλεθρευθῆτε ἐξ ὀφθαλμῶν αὐτῆς πάντα*
OJ 3:7 არა მოისრას *თუალთაგან* მისთა ყოველი იგი
GSB 3:7 არ მოესრულნეთ *თუალთაგან* მისთა ყოველნი

LXX Jon. 2:5 *ἀπώσμαι ἐξ ὀφθαλμῶν σου*
SB 2:5 განვიგდე *თუალთა* შენთაგან²³⁴.

κατέναντι τῶν ὀφθαλμῶν

κατέναντι τῶν ὀφθαλμῶν მნიშვნელობები სექსტუაგინტაში

κατέναντι ნახევარწინებულთა პირველ ქვეჯგუფში უკვე განვიხილეთ. ახლა მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, რომ იგი თავის მხრივ ქმნის შესიტყვებას *κατέναντι τῶν ὀφθαλμῶν* რომელიც ებრაული *לְפָנַי תִּפְּלוּ* გადმოსაცემად მნიშვნელობით *წინაშე თვალთა*. გვხვდება მხოლოდ ერთხელ Joel 1:16 -ში (Sollamo 1979: 154), რაც ქართულში ორივე ტრადიციაში გადმოდის, როგორც *წინაშე თვალთა*.

LXX Joel 1:16 *κατέναντι τῶν ὀφθαλμῶν ἡμῶν βρώματα ἐξάλεθρευθή*
OJ 1,16 წინაშე *თუალთა* თქუენთა საზრდელი მოაკლდა
SB 1,16 წინაშე *თუალთა* თქუენთა ჭამადნი მოაკლდეს

დასკვა:

²³⁴ OJ 2:5 გან-მე-გდებულ ვარა მე პირისაგან თუალთა შენთადას, *ἐξ ὀφθ. σου*] a facie tua AchSa

აღნიშნულ მცირე მაგალითებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მცირე წინასწამეტყველებში **წინდებული+ბήμισ** ორივე ტრადიციას გააზრებული აქვს არა ერთ ოდენობად როგორც ეს **წინდებული+ μέσης**-ს შემთხვევაში გვქონდა, არამედ როგორც ჩვეულებრივი სახელი თავისი წინდებულით. საინტერესოა ამ კუთხით სხვა წიგნების შესწავლა.

წინდებული+πρόσωπον

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ნახევარწინდებულთა ამ კატეგორიაში ერთიანდება, გახლავთ ნახევარწინდებული შექმნილი შესიტყვებით **წინდებული+πρόσωπον**. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებული ქვეჯგუფიდან ჩვენს ტექტში გვხვდება: **ἀπό προσώπου, εἰς πρόσωπον, ἐκ προσώπου, ἐπὶ προσώπου, πρὸ προσώπου**. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ἀπό/ ἐκ προσώπου

ἀπό/ ἐκ προσώπου-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული **ἀπό πρόσωπον** უცნობია ორიგინალური ბერძნული ტექსტებისთვის, ამიტომ სოლამო მას ფრაზეოლოგიურ ებრაიზმად განიხილავს მნიშვნელობით *წინიდან*, მაშინ როცა ნახევარწინდებული **ἐκ προσώπου** დასტურდება მხოლოდ ერთხელ ორიგინალურ ლიტერატურაში. ამასთან **ἐκ προσώπου** სექტუაგინტაში გაცილებით იშვიათა, ვიდრე **ἀπό προσώπου** (Sollamo 1979: 328-329).

ნახევარწინდებული შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვევლინება:

1. = ἤψῳ რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას. თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული ἤ მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და მეორე კომპონენტი სახელი ἡψῳ მნიშვნელობით სახე. როგორც სოლამო შენიშნავს, ἄπθ/ ἔκ προσηπous სავარაუდოდ 14 შემთხვევიდან, რომელიმეში ებრაულ ფორლაგეში სხვა ნახევარწინდებული უნდა ყოფილიყო და არა ἤψῳ (Sollamo 1979: 18-19).

2. = ἤψῳ რომელიც მონაწილეობს ებრაულ იდიომატურ გამოთქმებში და აქვს ლოკატივის (რაღაცისგან შორს) ან მიზეზის გაგება (ამის გამო). (Sollamo 1979: 81-84). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: ἡ მნიშვნელობით -დან/-გან, გამო და მეორე კომპონენტი ἡψῳ მნიშვნელობით სახე.

როგორც სოლამო შენიშნავს, ἄπθ προσηπous მისი ყველაზე ხშირი ეკვივალენტია და ებრაული ნახევარწინდებულის ორივე მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება (Sollamo 1979: 85), ხოლო ἔκ προσηπous გვხვდება მისი ოდენ ლოკალურობის შინაარსის გადმოსაცემად (Sollamo 1979: 86).

3. = ἤψῳ მნიშვნელობით -დან/გან, რომელიც ძირითადად გამოხატავს მიზეზს ან დროს (Sollamo 1979: 95, 99). თავად ებრაული ნახევარწინდებული სამი ელემენტისგან შედგება: ἡ მნიშვნელობით -დან/-გან, გამო, ἤ მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და ἡψῳ მნიშვნელობით სახე.

4. = ἤψῳ ἔψῳ მნიშვნელობით ზედაპირიდან, გამოსვლატაში გვხვდება მნიშვნელობით წინიდან. ყველზე რეგულარული ეკვივალენტია ἄπθ προσηπous. სოლამო ამ შემთხვევაში მას ებრაიზმად განიხილავს (როცა ის აღნიშნავს მნიშვნელობას ზედაპირიდან). ἔκ προσηπous მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ მნიშვნელობით წინიდან (Sollamo 1979: 114). თავად ებრაული შემდეგნაირად დაიშლება: ἡ მნიშვნელობით -დან/-გან, მიზეზით, ἔψ -ზე, საპირისპიროდ და ἡψῳ სახე, ზედაპირი.

5. = ἤψῳ ἔψῳ მნიშვნელობით წინიდან (Sollamo 1979: 118). ἡ მნიშვნელობით -დან/-გან, მიზეზით, ἔψ აკუზატივის ნიშანი და ἡψῳ სახე, ზედაპირი.

6. = **ἕξ ἄνθρωποι** აღნიშნული ნახევარწინდებულის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ **ἕκ προσώπων** (Sollamo 1979: 120). ებრაული ნახევარწინდებული კი შემდეგნაირად დაიშლება: **שֵׁשׁ** მნიშვნელობით -**დან/-გან, მიზეზით, ἄνθρωποι** -თან და **ἄνθρωποι** სახე, ზედაპირი.

ἀπό/ ἐκ προσώπων-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

ნახევარწინდებული **ἀπό προσώπων** მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში გვხვდება 15-ჯერ. ამათგან 12-ჯერ ორივე ტრადიციაში მისი ეკვივალენტია **პირისაგან**, ხოლო 2 შემთხვევაში ომკურ ტიპში გვევლინება **წინაშე პირსა** და ერთხელ ოდენ **წინაშე**, მაშინ როცა გელათურ რეცენზიაში სისტემურად ყველგან გვაქვს **პირისაგან**. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

1. ომკური და გელათური ტიპი ერთად დგას, ორივეგან წარმოდგენილია **პირისაგან**:

4. **ἐξ-αἴρω** [ἐξ, αἴρω] + **ἀπό** +gen.

LXX Amos 9:8 **καὶ ἐξαρῶ ἀπὸ προσώπων** τῆς γῆς
OJGSB 9:8 და აღვილო იგი **პირისაგან** ქუეყანისა (ფGSB)

5. **ποιέω** + **ἀπό** +gen.

LXX Hos. 10:15 **οὕτως ποιήσω ὑμῖν οἶκος τοῦ Ἰσραηλ ἀπὸ προσώπου** κακῶν ὑμῶν ...
OSB 10:15 ესრეთ გიყო შენ (თქუფნ SB), სახლო ისრაჲლისაო, **პირისაგან** უკეთურებისა თქუენისა (უკეთურებათა თქუენტასა SB)

6. **ἀνα-στέλλω** + **ἀπό** +gen.

LXX Nah. 1:5 **καὶ ἀνεστάλη ἡ γῆ ἀπὸ προσώπου** αὐτοῦ
OJ შეიპყრა ქუეყანაჲ ყოველი **პირისაგან** მისისა
GSB კდემულ-იქმნა ქუეყანაჲ **პირისაგან** მისისა

7. **καταλύω** + **ἀπό** +gen.

LXX Zeph. 2:7 **δείλης καταλύσουσιν ἀπὸ προσώπου** σίῳν Ἰουδα
OJ 2:7 მიმწუხრი დაემალნენ **პირისაგან** ძეთა იუდაისთა.
GSB 2:7 მიმწუხრი დაივანებენ **პირისაგან** ძეთა იუდაისთაჲსა

2. ომკურ ტიპში წაროდგენილია *წინაშე პირსა*, გელათურ რეცენზიაში კი – *პირისაგან*.

1. *συν-τριβω+ ἀπό +gen.*

LXX Joel 2:6 *ἀπό προσώπου* αὐτοῦ συντριβήσονται λαοί

OJ 2:6 წინაშე პირსა მისსა შეიმუსრნენ ერნი

GSB 2:6 პირისაგან მისისა შეიმუსრნენ ერნი

LXX Hag. 2:14 ὁδυσγηθήσονται *ἀπό προσώπου* πόνων αὐτῶν

OJ2:14 ელმოდის წინაშე პირსა უკეთურებისა მათისასა.

SB2:14 ლმობილობდენ პირსაგან უკეთურებათა მათთასა.

3. ომკურ ტიპში წაროდგენილია *წინაშე*, გელათურ რეცენზიაში კი – *პირისაგან*.

LXX Mic. 1:4 καὶ σαλευθήσεται τὰ ὄρη ὑποκάτωθεν αὐτοῦ καὶ αἱ κοιλάδες τακήσονται ὡς κηρὸς *ἀπό προσώπου* πυρὸς καὶ ὡς ἕδωρ καταφερόμενον ἐν καταβάσει

OJ 1:4 დელენი დადნენ ქუეშე მისსა ვითარცა ცვლი წინაშე ცეცხლსა

SB 1:4 კევნებნი დადნენ, ვითარცა ცვლი პირისაგან ცეცხლისა

აღნიშნული მაგალითებიდან იქ სადაც ომკში წარმოდგენილია *წინაშე პირსა* ან ოდენ *წინაშე*, დიდი ალბათობით დაკავშირებულია არა თარგმანის ტექნიკასთან, არამედ იმასთან, რომ ომკის ბერძნულ დედანში სხვა ნახევარწინდებული უნდა ყოფილიყო, მაგალითად *πρὸ προσώπου*, რომელიც ძირითადად *წინაშე პირსა-თი* ითარგმნება.

რაც შეეხება *ἐκ προσώπου*-ს, იგი მცირე წინასწარმეტყველებში გვხვდება მხოლოდ შვიდჯერ და ორივე ტრადიციაში ითარგმნება *პირისაგან-ით*, მოგვყავს ყველა მაგალითი:

LXX Hos. 2:4 *ἐξ ἁρῶ τῆν πορνείαν* αὐτῆς *ἐκ προσώπου* μου

OJ 2,4(1,13) აღვიხუნე სიძვანი მისნი პირისაგან ჩემისა

SB 2,4 განაგდოს სიძვაჲ პირისაგან მისისა

LXX Hos. 11:2 καθὼς μετεκάλεσα αὐτούς οὕτως ἀπάχοντο *ἐκ προσώπου* μου

O11,2 წარვიდოდა პირისაგან ჩემისა.

SB 11,2 წარწყმდენ პირისაგან ჩემისა.

LXX Amos 2:9 ἐγὼ δὲ *ἐξήρα* τὸν Ἀμορραῖον *ἐκ προσώπου* αὐτῶν

OJ 2:9 ხოლო მე აღვიღე ამორვეელი იგი პირისაგან მათისა

GSB2:9 ხოლო მე აღვიღე ამორვეელი პირისაგან მათისა

LXX Amos 5:19 *ὃν τρόπον ὅταν φύγη ἄνθρωπος ἐκ προσώπου τοῦ λέοντος*
OJ5:19 ვითარცა-სახედ იგი ივლტინ კაცი პირისაგან ლომისა
GSB5:19 ვითარ-სახედ უკეთუ ივლტოდის კაცი პირისაგან ლომისა

LXX Jon. 1:3 *καὶ ἀνέστη Ἰωνᾶς τοῦ φύγειν εἰς Θαρσίς ἐκ προσώπου κυρίου ... ἐνέβη εἰς αὐτὸ τοῦ πλεῖσαι μετ' αὐτῶν εἰς Θαρσίς ἐκ προσώπου κυρίου*
OJ 1:3 და აღდგა იონა და წარვიდა სივლტოლით თარშიდ პირისაგან უფლისა ... შევიდა მას წარსლვად მათ თანა თარშიდ პირისაგან უფლისა.
GSB 1:3 და აღვიდა იონა სივლტოლად თარშიდ პირისაგან უფლისა ... აღვიდა მისდამი ცურვად მათ თანა თარშიდ მიმართ პირისაგან უფლისა.

LXX Jon. 1:10 *ὅτι ἐκ προσώπου κυρίου ἦν φεύγων ὅτι ἀπήγγειλεν αὐτοῖς*
OJ1:10 ვითარმედ პირისაგან უფლისა ივლტოდა იგი
GSB1:10 ვითარმედ პირისაგან უფლისა იყო მლტოლვარე

როგორც ჩანს აღნიშნულ შემთხვევაშიც ორივე ტრადიცია კვლავ სისტემურ სურათს გვიჩვენებს.

εἰς πρόσωπον

εἰς πρόσωπον-ის მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *εἰς πρόσωπον* გვხვდება კოინეში ორიგინალურ ლიტერატურაში. იგი დასტურდება იდიომატურ გამოთქმაში არისტეასთან და ასევე გვხვდება ევრიპიდესთან. ნახევარწინდებული ზოგადად აღნიშნავს *სახისკენ* (Sollamo 1979: 32, 328). ნახევარწინდებული გვხვდება შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად:

1. = *יָצַף* რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას. თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული *יָ* მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და მეორე კომპონენტი სახელი *יָצַף* მნიშვნელობით სახე (Sollamo 1979: 18-19).

2. = *יָצַף-לָּ* მნიშვნელობით *სახის წინაშე, მოპირდაპირედ* და მეორე მნიშვნელობა *ზედაპირზე* (Sollamo 1979: 102). *εἰς πρόσωπον* მის ეკვივალენტად გვევლინება ორჯერ როგორც *κατὰ πρόσωπον*-ის სინონიმი, ხოლო სხვა შემთხვევებში ჩვეულებრივ მნიშვნელობით *სახისკენ* (Sollamo 1979: 106).

3. = **ⲏⲡⲣ** მიმართვის სემანტიკის ზმნებთან აღნიშნავს *სახისკენ ან სახის წინაშე* (Sollamo 1979: 119-120). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: **ⲡ** მნიშვნელობით -ში, -ზე, -თან, შორის და მეორე ნაწილი **ⲏⲡⲣ** მნიშვნელობით *სახე*.

εις πρόσωπον

εις πρόσωπον-ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველებში ნახევარწინდებული *εις πρόσωπον* გვხვდება მხოლოდ სამჯერ, გასხვავებული შესატყვისებით, განვიხილოთ თითოეული:

1. ომკური და გელათური ტიპი ერთად დგას, ორივეგან წარმოდგენილია *წინაშე პირსა*:

LXX Hos. 5:5 και ταπεινωθήσεται ἡ ὕβρις τοῦ Ἰσραηλ *εις πρόσωπον* αὐτοῦ
OSB 5:5 და დამდაბლდეს გინებად ისრაჲლისაჲ *წინაშე პირსა* მისსა

აღნიშნულ მაგალითში, როგორც ვხედავთ, ორივე ტრადიცია ერთნაირად აღიქვამს ბერძნული ნახევარწინდებულის კონტექსტუალურ მნიშვნელობას. აღნიშნულ კონტექსტში ებრაულში წარმოდგენილია **ⲏⲡⲣ** ნახევარწინდებული, რომელიც ნიშნავს *სახისკენ ან სახის წინაშე*.

2. ომკურ ტიპში წარმოდგენილია *წინაშე პირსა*, გელათურ რეცენზიაში *პირისა მიმართ*:

LXX Hos. 7:10 και ταπεινωθήσεται ἡ ὕβρις Ἰσραηλ *εις πρόσωπον* αὐτοῦ
O 7:10 და დამდაბლდეს გინებად ისრაჲლისაჲ *წინაშე პირსა* მისსა.
SB 7:10 და დამდაბლდეს ვნება ისრაჲლისა *პირისა მიმართ* მისისა.

მოცემულ მაგალითში, როგორც ჩანს, ძველი ქართული თარგმანი და გელათური რეცენზია განსხვავებულად იაზრებენ კონტექსტებს. აღნიშნულ შემთხვევაშიც ებრაულში წარმოდგენილია **ⲏⲡⲣ** ნახევარწინდებული.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა ძველ თარგმანში და გელათურ რეცენზიაში წარმოდგენილია ოდენ ბრუნვისნიშნისანი ფორმა, ძველში – მიცემითი, ხოლო გელათში – მიმართულებითი:

LXX Nah. 2:2 ἀνέβη ἐμψυσῶν *εις πρόσωπόν* σου

O 2:1 აღმოცდა აღმობერვად პირსა შენსა
GSB 2:1 აღვიდა მბერავი პირისა შენისაჲ

აღნიშნული მაგალითი უფრო თარგმანის ტექნიკის კუთხით უნდა იქნეს განხილული და არა – ენის შესაძლებლობის.

ἐπὶ προσώπου

ἐπὶ προσώπου-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *ἐπὶ προσώπου*-ს ძირითადი მნიშვნელობაა *სახის წინაშე*, თუმცა სექტუაგინტაში აგრეთვე ვხვდებით მნიშვნელობას *ზედაპირზე*, რაც ორიგინალურ ტექსტებში არ დასტურდება (Sollamo 1979: 328). იგი გვხვდება ებრაული **עַל-פְּנֵי** ეკვივალენტად მნიშვნელობით *სახის წინაშე*, *მოპირდაპირედ* და მეორე მნიშვნელობა *ზედაპირზე* (Sollamo 1979: 102-104). ებრაული წინდებული თავის მხრივ კი იშლება როგორც: **עַל** მნიშვნელობით -*ზე*, *საპირისპიროდ* და **עַל-פְּנֵי** მნიშვნელობით *სახე*.

ἐπὶ προσώπου-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

ნახევარწინდებული *ἐπὶ προσώπου* მცირე წინასწარმეტყველებში გვხვდება მხოლოდ ორჯერ. გელთურ რეცენზიაში იგი ორივეგან წარმოდგენილი ეკვივალენტით *პირსა ზედა*, მაშინ როცა ძველი თარგმანი ორივე კონტექტს სხვადასხვანაირად იაზრებს:

LXX Hos. 10:7 ἀπέριψεν Σαμάρεια βασιλέα αὐτῆς ὡς φρύγανον ἐπὶ προσώπου ὑδατος
O10,7 განაგდო სამარიამან მეფე ტვისი, ვითარცა ქარქუეტი წინაშე პირსა წყლისასა.
SB 10,7 განაგდო სამარიამან მეფე ტვისი, ვითარცა ქარქუეტი პირსა ზედა წყლისასა.

LXX Amos 5:8 ἐκχέων αὐτὸ ἐπὶ προσώπου τῆς γῆς

OJ 5,8 მიჰფინის იგი პირსა ზედა ქუეყანისასა

GSB 5,8 მიჰფენს მას პირსა ზედა ქუეყანისასა

πρὸ προσώπου

πρὸ προσώπου-ს მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *πρὸ προϊσάπαι* ორიგინალურ ბერძნულ ლიტერატურაში არ გვხვდება, ამიტომ მას სოლამო ფრაზეოლოგიურ ებრაიზმად განიხილავს (Sollamo 1979: 30, 328). ბერძნული ნახევარწინდებულის ძირითადი მნიშვნელობაა *წინაშე*. იგი შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვხვდება:

1. = *יָצַף* რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას. თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული *יָ* მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და მეორე კომპონენტი სახელი *פָּ* მნიშვნელობით სახე. როგორც სოლამო შენიშნავს, *πρὸ προϊσάπαι* ამ შემთხვევაში „მონური“ თარგმანია (Sollamo 1979: 30).

2. = *יָצַף* რომელიც მონაწილეობს ებრაულ იდიომატურ გამოთქმებში და აქვს ლოკატივის (რაღაცისგან შორს) ან მიზეზის გაგება (ამის გამო). (Sollamo 1979: 81-84). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: *יָ* მნიშვნელობით -დან/-გან, გამო და მეორე კომპონენტი *פָּ* მნიშვნელობით სახე.

3. = *יָצַף* მნიშვნელობით -დან/გან, რომელიც ძირითადად გამოხატავს მიზეზს ან დროს (Sollamo 1979: 95, 98). თავად ებრაული ნახევარწინდებული სამი ელემენტისგან შედგება: *יָ* მნიშვნელობით -დან/-გან, გამო, *יָ* მნიშვნელობებით -კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში და *פָּ* მნიშვნელობით სახე.

აღნიშნულ შემთხვევაში სოლამოს მოსაზრებით, საქმე გვაქვს მთარგმნელის შეცდომასთან (Sollamo 1979: 98).

4. = *יָצַף-לָ* მნიშვნელობით *სახის წინაშე, მოპირდაპირედ* და მეორე მნიშვნელობა *ზედაპირზე* (Sollamo 1979: 102, 107). ებრაული წინდებული თავის მხრივ კი იშლება როგორც: *לָ* მნიშვნელობით -ზე, *סָ* მნიშვნელობით და *פָּ* მნიშვნელობით სახე.

5. *יָצַף חָ* ყოველთვის მიემართება ადამიანს (Sollamo 1979: 122). პირველი ნაწილი *חָ* ნიშნავს *წინაშე*, ხოლო მეორე *יָ* – სახე.

πρὸ προσώπου

πρὸ προσώπου-ს მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველებში ნახევარწინდებული *πρὸ προσώπου* გვხვდება 17-ჯერ, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

1. ომკური და გელათური ტიპი ერთად დგას, ორივეგან წარმოდგენილია წინაშე პირსა:

μοძრაობის სემანტიკის ზმნასთან:

1. *πορεύομαι*+ *πρὸ*+gen.

LXX Amos 9:4 *καὶ ἐὰν πορευθῶσιν ἐν αἰχμαλωσίᾳ πρὸ προσώπου* τῶν ἐχθρῶν αὐτῶν

OJGSB 9:4 და უკუეთუ წარვიდენ ტყუედ (ტყულობად GSB) წინაშე პირსა მტერთა მათთასა,

LXX Hab. 3:5 *πρὸ προσώπου* αὐτοῦ πορεύσεται λόγος

OJ GbSB 3:5 წინაშე პირსა მისსა ვიდოდის სიტყუად

დგომა, ჯდომა, *არსებობა* სემანტიკის ზმნებთან:

1. *ἴσθημι*+ *πρὸ*+gen.

LXX Zech. 3:1 *καὶ ἔδειξέν μοι Ἰησοῦν τὸν ἱερέα τὸν μέγαν ἐστῶτα πρὸ προσώπου* ἀγγέλου κυρίου

შდრ. GSB 3:1 მდგომარე წინაშე პირსა ანგელოზისა უფლისასა

OJ 3:1 და მიჩუენა მე უფალმან ისუ მდდელი დიდი მდგომარე წინაშე ანგელოზისა მის უფლისადასა

LXX Zech. 3:3 *εἰσθήκει* *πρὸ προσώπου* τοῦ ἀγγέλου

OJ 3:3 დადგა წინაშე ანგელოზისა მის

შდრ. SB 3:3 დადგა წინაშე პირსა ანგელოზისასა.

2. *κάθημαι*+ *πρὸ*+gen.

LXX Zech. 3:8 *οἱ καθήμενοι πρὸ προσώπου* σου

OJ 3:8 რომელნი სხენან წინაშე პირსა შენსა

SB 3:8 მსხდომარეთა წინაშე პირსა შენსა

3. *κατ-ορθῶ*+ *πρὸ*+gen.

LXX Zech. 4:7 *τίς εἶ σὺ τὸ ὄρος τὸ μέγα πρὸ προσώπου* Ζοροβაβελ τοῦ κατορθῶσαι

OJ 4:7 ვინ ხარ შენ, მთად ეგე დიდი წინაშე პირსა ზორობაბელისსა წარმართებად

SB 4:7 რად იყოს შენდა მთად დიდი წინაშე პირსა ზორობაბელისსა წარმართებულად

4. *εἶμι*+ *πρὸ*+gen.

LXX Zech. 14:20 *καὶ ἔσονται οἱ λέβητες οἱ ἐν τῷ οἴκῳ κυρίου ὡς φιάλαι πρὸ προσώπου τοῦ θυσιαστηρίου*
OJ 14:20 და იყვნენ ავაზანნი სახლსა უფლისასა, ვითარცა ფიალნი წინაშე საკურთხეველსა.
SB 14:20 და იყუნენ სიავნი სახლსა შინა უფლისასა, ვითარცა ფიალი წინაშე პირსა
მსხუჭრპლის-საცავისასა.

მიცემა, გამოვლენა სემანტიკის ზმნებთან:

1. *ἐξ-αποστέλλω+ πρό+gen.*

LXX Mic. 6:4 *ἐξαπέστειλα πρὸ προσώπου σου τὸν Μωσῆν καὶ Ααρων καὶ Μαριαμ*
OJ 6:4 გამოვავლინე წინაშე პირსა შენსა მოსე და აჰრონ და მარიამ.
SB 6:4 განვავლინენ წინაშე პირსა შენსა მოსე და აჰრონ და მარიამი.

2. *δίδωμι+ πρό+gen.*

LXX Joel 2:11 *καὶ κύριος δώσει φωνὴν αὐτοῦ πρὸ προσώπου δυνάμεως αὐτοῦ ...*
OJ GSB 2:11 და უფალმან მოსცეს ჳმაჲ თვისი წინაშე პირსა ძლიერებისა(>GSB) მისისასა
(მისსა GSB)

2. ომკურ ტიპში წარმოდგენილია ოდენ წინაშე, გელათურ რეცენზიაში – წინაშე პირსა:

1. *ἴσθημι+ πρό+gen.*

LXX Zech. 3:1 *καὶ ἔδειξέν μοι Ἰησοῦν τὸν ἱερέα τὸν μέγαν ἑστῶτα πρὸ προσώπου ἀγγέλου κυρίου*
OJ 3:1 და მიჩუნა მე უფალმან ისუ მღდელი დიდი მდგომარე წინაშე ანგელოზისა მის
უფლისადას

შდრ. GSB 3:1 მდგომარე წინაშე პირსა ანგელოზისა უფლისასა

LXX Zech. 3:3 *καὶ Ἰησοῦς ἦν ἐνδεδυμένος ἱμάτια ῥυπαρὰ καὶ εἰστήκει πρὸ προσώπου τοῦ ἀγγέλου*

OJ 3:3 და იესუს ემოსა სამოსელი მწინკულევანი და დადგა წინაშე ანგელოზისა მის

შდრ. SB 3:3 დადგა წინაშე პირსა ანგელოზისასა.

LXX Zech. 3:4 *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς τοὺς ἑστηκότας πρὸ προσώπου αὐτοῦ*

OJ 3:4 და მიუგო და ჰრქუა მდგომარეთა მის წინაშე

შდრ. SB 3:4 და მიუგო და ჰრქუა მდგომარეთა მიმართ წინაშე პირსა მისსა

როგორც მაგალითებიდან ჩანს, რამდენიმე შემთხვევაში ძველ თარგმნაში უთარგმნელადაა დატოვებული ნახევარწინდებულის მეორე ნაწილი *πρὸς πρόσωπον*. *πρὸς πρόσωπον*-ს გამოტოვების მიზეზად შეიძლება ძველი ქართველი მთარგმნელისთვის აღნიშნულ კონტექტებში ფრაზის არაბუნებრიობა მივიჩნიოთ.

დასკვნა

ორივე მთარგმნელობითი ტრადიცია ნახევარწინდებულს, რომელიც შედგენილია წინდებული+*πρόσωπον* ცალ-ცალკე ოდენობად იაზრებს და ისე თარგმნის მას.

აღნიშნული შესიტყვება არ უნდა ყოფილიყო ბუნებრივი ქართულისვის და იგი ბერძნულის გზით შემოსულ ებრაიზმად შეიძლება მივიჩნიოთ.

წინდებული+*χειρῶς*

სექტუაგინტაში გვხვდება აგრეთვე ისეთი ნახევარწინდებულები, რომლებიც შედგენილია წინდებული+*χειρῶς*.

ეἰς *χειρῶς*

ეἰς *χειρῶς*-ის მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებული *εἰς *χειρῶς** გვხვდება ბერძნულში ჰომეროსის ეპოქიდან როგორც პირდაპირი, ასევე მეტაფორული მნიშვნელობით. სექტუაგინტაში შესიტყვება ძირითადად ნიშნავს *ხელებში, ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ* (Sollamo 1979: 333-334).

1. = *ἰσχυρῶς* რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოხატავდეს ლოკალურობას, დროს ან რაღაცის უპირატესობას (Sollamo 1979: 13, 43). თავად ებრაული ნახევარწინდებული ორი კომპონენტისგან შედგება ესაა წინდებული *ἰ* მნიშვნელობებით *-კენ, -თვის, შესაბამისად/თანახმად, -ში* და მეორე კომპონენტი სახელი *ἰσχυρῶς* მნიშვნელობით სახე.

*εἰς *χειρῶς** აღნიშნულ შემთხვევაში კომბინირებს ზმნასთან *παρὰδῆγμα* და უდრის ებრაული იდიომატურ გამოთქმას, რომელიც იქმნება *ἰσχυρῶς ἰσχυρῶς* -ით (Sollamo 1979: 43).

2. = *ἰσχυρῶς* ლოკატივის მნიშვნელობით აღნიშნავს *ხელზე*, გვერდით, ხოლო მეტაფორულად აღნიშნავს *ხელებში, ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ*. როცა გამოხატავს ინსტრუმენტალის ნიშნავს *ვიღაცის ხელებით, მიერ* (Sollamo 1979: 156).

3. = *ἰσχυρῶς* ძირითადად გამოიყენება ლოკატივის ფუნქციით მნიშვნელობით *გვერდით*, ხანდახან აღნიშნავს *ხელებში, ვიღაცის ძალაუფლებაში*, ასევე, იშვიათად – *ვიღაცის*

კონტროლის ქვეშ (Sollamo 1979: 205). ებრაული ნახევარწინდებული კი შემდეგნაირად დაიშლება: **ל** მნიშვნელობით -*ზე*, *საკირისპიროდ* და **ז** მნიშვნელობით ხელი.

4. = **ז** მირითადად ნიშნავს *გვერდით*. აღნიშნული ნახევარწინდებულის გადმოტანა *εις* *χειρας*-ით სოლამო მთარგმნელის არასწორ ინტერპრეტაციას მიაწერს (Sollamo 1979: 219).

5. = **ז** მნიშვნელობით *ვიღაცის ხელებში*, *ვიღაცის ძალაუფლებაში* (Sollamo 1979: 222).

εις χειρας-ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველებში *εις χειρας* გვხვდება მხოლოდ 3-ჯერ. ორ შემთხვევაში ორივე ტრადიციაში იგი ოდენ მიცემითით გადმოდის:

LXX Joel 4:8 και ἀποδῶσομαι τοὺς σίους ἡμῶν καὶ τὰς θυγατέρας ἡμῶν **εις χειρας** σὶν Ἰουδα
OJ 3:8 და მივსცნე ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი **ჯელთა** ძეთა იუდაასთა
GSB 3:8 და უკუნ-ვსცნე ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი **ჯელებსა** ძეთა იუდაასთასა

LXX Zech. 11:6 ἐγὼ παραδίδωμι τοὺς ἀνθρώπους ἕκαστον **εις χειρας** τοῦ πλησίον αὐτοῦ καὶ **εις χειρας** βασιλέως αὐτοῦ
OJ11:6 მე მივსცემ კაცთა, თითოეულსა **ჯელთა** მოყუსისა თვისისათა და **ჯელთა** მეფისა თვისისათა.

SB 11:6 მე მივსცემ კაცთა, - თითოეულსა **ჯელთა** მოყუსისა თვისისათა და **ჯელთა** მეფისა თვისისათა.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში ძველ და გელათურ რეცენზიას ნახევარწინდებულის კონტექსტუალური მნიშვნელობა განსხვავებულად ესმის, როცა ომკურ ტიპში წარმოდგენილია მიცემითი+შინა და გელათურ რეცენზიაში ნათესაობითი+მიერ:

LXX Zech. 2:4 εἰσέλθουσιν οἱ τοῦ οὐρανοῦ ἄγγελοι αὐτῶν **εις χειρας** αὐτῶν
OJ 1:21 გამოვიდეს ესენი აღმახუვად მათა **ჯელთა შინა** მათთა.
GSB 1:21 გამოვიდეს ისინი განმახ[უწ]ად მათდა **ჯელთა მიერ** მათთა.

ႁႁ ႁႁႁႁ

ႁႁ ႁႁႁႁ-ის მნიშვნელობები სეპტუაგინტაში

ნახევარწინდებული ႁႁ ႁႁႁႁ გვხვდება ჰომეროსთან, თუმცა არა მეტაფორული, არამედ პირდაპირი გაგებით. კლასიკურ პერიოდში შესიტყვება გვხვდება მნიშვნელობით *ხელით, ახლო მანძილზე*. სოფოკლესთან ერთ შემთხვევაში შესიტყვებას აქვს მნიშვნელობა *ვიღაცის ხელით*. პოლიბიუსთან ფრაზა გვხვდება მნიშვნელობით *ხელთაგან*. მას აგრეთვე შეიძლება ჰქონდეს დროული გაგება მნიშვნელობით *მაშინვე*. აქედან გამომდინარე, სომალო აღნიშნულ შესიტყვებას ებრაიზმად არ განიხილავს (Sollamo 1979: 191, 340-342).

შესიტყვება შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტად გვხვდება:

1. = ႁႁႁ ႁႁႁႁ-ის მნიშვნელობით აღნიშნავს *ხელზე*, გვერდით, ხოლო მეტაფორულად აღნიშნავს *ხელებში, ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ*. როცა გამოხატავს ინსტრუმენტალის ნიშნავს *ვიღაცის ხელებით, მიერ* (Sollamo 1979: 156). მის ეკვივალენტად გვხვდება მხოლოდ ერთხელ, რაც შეიძლება თავად ებრაულში შეცდომით დაწერილობას მივაწეროთ (Sollamo 1979: 172).
2. = ႁႁႁ ႁႁႁ, *მიწოდების* სემანტიკის ზმნებთან იგი აღნიშნავს *ხელებიდან/-სგან, ძალაუფლებისგან, მფლობელობისგან, ხოლო მიღება, ყიდვა, მოთხოვნა* სემანტიკის ზმნებთან კი აღნიშნავს *-დან/-გან* (Sollamo 1979: 191). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: წინდებული ႁႁ მნიშვნელობით *-დან/-გან, გამო* და ႁႁ მნიშვნელობით *ხელი*.
3. = ႁႁႁ ႁႁႁႁ-ის გარკვეული ფორმა, როგორც სინონიმი ႁႁႁ (Sollamo 1979: 202).
4. = ႁႁႁ (Sollamo 1979: 223), რომელიც შემდეგნაირად დაიშლება: ႁႁ მნიშვნელობით *-დან/-გან, გამო* და ႁႁ *ხელისგული*.

ႁႁ ႁႁႁႁ-ის მნიშვნელობები მცირე წინასწარმეტყველებში

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ნახევარწინდებული ႁႁ ႁႁႁႁ გვხვდება მხოლოდ 6-ჯერ. ორივე ტრადიციაში მისი სისტემური ეკვივალენტია *კელი+გან*

თანდებული გარდა ერთი შემთხვევისა, როცა საბა-ბაქარში წარმოდგენილია *ჯელისა შინა*, რაც სავარაუდოდ უფრო ბერძნულით უნდა აიხსნას, ვიდრე მთარგმნელის ინტერპრეტაციით:

LXX Hos. 2:12 και νῦν ἀποκαλύψω τὴν ἀκαθαρσίαν αὐτῆς ἐνώπιον τῶν ἐραστῶν αὐτῆς και οὐδεις οὐ μὴ ἐγγέλῃται αὐτὴν *ἐκ χειρὸς μου*

O 2:12 არავინ განარინოს იგი *ჯელთაგან* ჩემთა.

SB 2:12 კაცმან ვერ განარინნეს(sic) *ჯელთაგან* ჩემთა.

LXX Hos. 13:14 *ἐκ χειρὸς* ἄδου ῥύσομαι αὐτοὺς

OJ 13:14 *ჯელისაგან* ჯოჯოხეთისა ვიქსნნე იგინი.

SB13,14 *ჯელისაგან* ჯოჯოხეთისა ვიქსნნე იგინი

LXX Mic. 4:10 λυτρώσεται σε κύριος ὁ θεός σου *ἐκ χειρὸς* ἐχθρῶν σου

OJ 4:10 გიხსნეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან *ჯელთაგან* მტერთა შენთადასა.

GSB 4:10 გიქსნას შენ უფალმან ღმერთმან შენმან *ჯელისაგან* მტერთა შენთადასა.

LXX Hab. 2:9 τοῦ ἐκσπασθῆναι *ἐκ χειρὸς* κακῶν

OJ 2:9 გამოტაცებად *ჯელისაგან* უკეთურთადასა.

შდრ. SB 2:9 დაფარვად *ჯელისა* (!) *შინა* უკეთურთასა

LXX Zeph. 3:15 λελύτρωται σε *ἐκ χειρὸς* ἐχθρῶν σου

OJ 3:15 გიქსნა უფალმან *ჯელთაგან* მტერთა შენთადასა.

GSB 3:15 გიქსნა შენ *ჯელისაგან* მტერთა შენთადასა.

LXX Zech. 11:6 οὐ μὴ ἐγγέλωμαι *ἐκ χειρὸς* αὐτῶν

OJ11:6 არა განვარინნე იგინი *ჯელთაგან* მათთა.

SB 11:6 არ განვარინო *ჯელთაგან* მათთადასა.

ἐν (ταῖς) χερσὶ(ν) და *ἐν* (τῇ) χεῖρι

ἐν (ταῖς) χερσὶ(ν) და *ἐν* (τῇ) χεῖρι -ის მნიშვნელობები სექტუაგინტაში

ნახევარწინდებულები *ἐν ταῖς χερσὶν* და *ἐν τῇ χεῖρι* გვხვდება ჰომეროსის ეპოქის ბერძნულშიც პირდაპირი მნიშვნელობით *ვიღაცის ხელებში*. კლასიკური პერიოდის ავტორებთან აღნიშნავს საბრძოლო ტერმინს *ხელჩართული* (ვიღაცის ხელჩართულ

ბრძოლაში მოკვლა). ორივე ფრაზა ძირითადად აღნიშნავს ლოკატივს ან მეტაფორულად ლოკატივს (Sollamo 1979: 335-337).

ისინი შემდეგი ებრაული ნახევარწინდებულების ეკვივალენტებად გვევლინებიან:

1. = **לְמַעַן** ლოკატივის მნიშვნელობით აღნიშნავს *ხელზე*, გვერდით, ხოლო მეტაფორულად აღნიშნავს *ხელებში*, *ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ*. როცა გამოხატავს ინსტრუმენტალის ნიშნავს *ვიღაცის ხელებით*, *მიერ* (Sollamo 1979: 156).

2. = **מֵ** *აღება*, *მიწოდების* სემანტიკის ზმნებთან იგი აღნიშნავს *ხელებიდან/-სგან*, *ძალაუფლებისგან*, *მფლობელობისგან*, ხოლო *მიღება*, *ყიდვა*, მოთხოვნა სემატიკის ზმნებთან კი აღნიშნავს *-დან/-გან* (Sollamo 1979: 191). თავად ებრაული ნახევარწინდებული შემდეგნაირად დაიშლება: წინდებული **מֵ** მნიშვნელობით *-დან/-გან*, *გამო* და **לְ** მნიშვნელობით *ხელი*.

აღნიშნული ნახევარწინდებულის ეკვივალენტად გამოყენებულია მხოლოდ **ἐν χερσιν** ისიც სოლამოს შეხედულებით, მთარგმნელის არასწორი წაკითხვის შედეგი უნდა იყოს, კერძოდ ებრაული **לְ**-ში უნდა არეოდა.

3. = **מֵ** მნიშვნელობით *ვიღაცის ხელებში*, *ვიღაცის ძალაუფლებაში* (Sollamo 1979: 222). მის ეკვივალენტად გვევლინება მხოლოდ **ἐν χερσιν**.

ἐν (ταῖς) χερσίν(ν) და ἐν (τῆ) χερσὶ -ის მნიშვნელობები მცირე

წინასწარმეტყველებში

ნახევარწინდებული **ἐν (ταῖς) χερσιν** არტიკლთან ერთად გვხვდება მხოლოდ სამჯერ, ხოლო უარტიკლოდ ექვსჯერ. ქართული თარგმანი მას სხვადასხვა ეკვივალენტს უსადაგებს, იმის მიხედვით თუ როგორ ესმის კონტექსტი:

1. ორივე ტრადიციაში ეკვივალენტია *ჯელთა შინა*:

LXX Hos. 11:6 *κατέπαυσεν ἐν ταῖς χερσιν αὐτοῦ*

O 11:6 დასცხრა *ჯელთა შინა* მისთა

SB 11:6 დასცხრა *ჯელთა შინა* მისთა

LXX Hab. 3:4 και φέγγος αὐτοῦ ὡς φῶς ἔσται κέρατα ἐν χερσίν αὐτοῦ και ἔθετο ἀγάπησιν κραταιὰν ἰσχύος αὐτοῦ

O 3:4 ბრწყინვალეზაჲ მისი - ვითარცა ნათელი, და რქანი - ჯელთა შინა მისთა.

GbSB 3:4 და მთოვარე მისი ვითარცა ნათელი იყოს. რქანი - ჯელთა შინა მისთა.

2. ომკურ ტიპში წარმოდგენილია ოდენ ბრუნვისნიშნიანი ფორმა (მიცემითი), გელათში – ჯელთა შინაჲსა:

LXX Jon. 3:8 και περιεβάλλοντο σάκκους οἱ ἄνθρωποι και τὰ κτήνη και ἀνεβόησαν πρὸς τὸν θεὸν ἐκτενῶς και ἀπέστρεψαν ἕκαστος ἀπὸ τῆς ὁδοῦ αὐτοῦ τῆς πονηρᾶς και ἀπὸ τῆς ἀδικίας τῆς ἐν χερσίν αὐτῶν

OJ 3:8 მოაქცია კაცად-კაცადმან ... სიცრუვისაგან ჯელთა მათთაჲსა

SB 3:8 მოაქცია კაცადმან ... სიცრუვისაგან ჯელთა მათთა შინაჲსა

აღნიშნულ მაგალითში, ჩვენი ვარაუდით, ეკვივალენტის შერჩევა დაკავშირებულია თარგმანის ტექნიკასთან და არა ენის შესაძლებლობებთან.

3. ომკურ ტიპში წარმოდგენილია ოდენ ბრუნვისნიშნიანი ფორმა (მიცემითი), გელათში – ჯელთა შორის:

LXX Hos. 12:11 ἐν χερσίν προφητῶν ἀμοιῶθῃς

OJ 12:11 ჯელთა წინაღწარმეტყუელთაჲსა მივემსგავსე.

SB 12:11 ჯელსა შორის წინაღწარმეტყუელთაჲსა ვემსგავსე.

4. ომკურ ტიპში ეკვივალენტია ჯელთა შინა, გელათურში – ჯელთა შორის:

LXX Zech. 4:12 και ἐπηρώτησα ἐκ δευτέρου και εἶπα πρὸς αὐτόν τί οἱ δύο κλάδοι τῶν ἔλαιῶν οἱ ἐν ταῖς χερσίν τῶν δῶν μισθωτῶν τῶν χρυσῶν τῶν ἐπιχεόντων

OJ 4:12 რაჲ არიან ორნი ესე რტონი ზეთისხილისანი, რომელნი არიან ჯელთა შინა ამათ მოსაყოფელთა ოქროდსათა,

SB 4:12 რაჲ ორნი რტონი ზეთისხეთანი ჯელთა შორის ორთა მოსაყოფელთა ოქროდსათა

როგორც ჩანს, აღნიშნულ მაგალითში გელათურ რეცენზიაში ეკვივალენტის შერჩევას განაპირობებს კონტექსტი, კერძოდ: *ორთა-ს* არსებობა გელათურ რეცენზიაში.

ახლა კი განვიხილოთ კონტექსტები, რომლებსაც ქართველი მთარგმნელი ინსტრუმენტალისად აღიქვამს:

1. ორივე ტრადიციაში გადმოტანილია მოქმედებითი ბრუნვით:

LXX Zech. 7:7 οὗς ἐλάλησεν κύριος ἐν χερσίν τῶν προφητῶν τῶν ἔμπροσθεν

OJ 7:7 რომელთა იტყოდა უფალი ჯელითა წინაწარმეტყუელთა მისთაჲთა

GSB 7:7 რომელთა იტყოდა უფალი ჯელითა წინაღწარმეტყუელთა წინაპართაჲთა

LXX Zech. 7:12 οὐκ ἐξῆλθεν ἀπὸ τοῦ κυρίου παντοκράτωρ ἐν πνεύματι αὐτοῦ **ἐν χερσίν** τῶν προφητῶν τῶν
ἐμπροσθεν

OJ 7:12 რომლისათვის მოავლინა უფალმან ყოვლისა მპყრობელმან სულითა თვისითა და
ველითა წინაწარმეტყუელთადათა

GSB 7:12 რომელნი მიავლინნა უფალმან ყოვლისა მპყრობელმან სულისა მიერ მისისა
ველითა წინადაწარმეტყუელთა პირველთადათა.

**2. ძველ თარგმანში წარმოდგენილია მოქმედებითი ბრუნვა, გელათურ რეცენზიაში
თანდებული მიერ:**

LXX Zech. 8:13 **κατισχύετε ἐν ταῖς χερσίν** ἡμῶν

OJ 8:13 განძლიერდით ველითა თქუენითა!

SB 8:13 განძლიერდით ველთა მიერ თქუენთა!

**3. ძველ თარგმანში წარმოდგენილია მოქმედებითი ბრუნვა, გელათურ რეცენზიაში
თანდებული შინა:**

LXX Mal. 1:9 **ἐν χερσίν** ἡμῶν γέγονεν ταῦτα

OJ 1:9 ველითა თქუენითა იქმნა ესე.

SB 1:9 ველთა შინა თქუენთა იქმნ[ნ]ეს ესენი.

უკანასკნელ მაგალითში გელათურ რეცენზიაში **შინა-ს** გამოყენება კონტექტში მაინც
ინსტრუმენტალისის გაგებას ტოვებს და არა ლოკატივის.

როგორც ჩანს, ძველ თარგმანში სისტემურად მოქმედებითი ბრუნვაა წარმოდგენილი,
ხოლო გელათური რეცენზია ხან ცვლის ეკვივალენტს, ხან ტოვებს ძველს. ძველი
მთარგმნელის არჩევანი, ისევე როგორც გელათური რეცენზიისა კვლავ დაკავშირებულია
თარგმანის ტექნიკასთან, ვიდრე ენის შესაძლებლობასთან, რადგან ენაში არსებობს სხვა
ეკვივალენტებიც. თუმცა რატომ ირჩევს მთარგმნელი ერთ შემთხვევაში ერთ ეკვივალენტს
და მეორე შემთხვევაში სხვას, რთული სათქმელია.

რაც შეეხება ნახევარწინდებულს **ἐν τῇ χεiri**, მცირე წინასწარმეტყველებში ის გვხვდება
მხოლოდ სამჯერ, შემდეგი ეკვივალენტებით:

**1. ძველ თარგმანში წარმოდგენილია ოდენ ბრუნვისნიშნისანი ფორმა (მიცემითი), გელათურ
რეცენზიაში – ჯელსა შინა:**

LXX Amos 7:7 οὕτως ἔδειξέν μοι κύριος καὶ ἰδοὺ ἀνήρ ἐστῆκώς ἐπὶ τείχος ἀδαμαντίνου καὶ **ἐν τῇ χεiri**
αὐτοῦ ἀδάμας

OJ 7:7 ესრჷთ მიჩუნა მე უფალმან და აჰა-ესერა მდგომარჷ ზლუდეთა ზედა ადამანტიანისათა და **ჯელსა** მისსა - ადამად.

GSB 7:7 ესრეთ მიჩუნა უფალმან და აჰა კაცი მდგომარე ზლუდესა ზედა ადამანტისასა და **ჯელსა შინა** მისსა - ადამასი

LXX Zech. 2:5 *ἐν τῇ χειρὶ αὐτοῦ σχοινίον γεωμετρικόν*

OJ Zech. 2:5(1) აქუნდა **ჯელთა** მისთა საბელი ქუეყანის საზომელი. OJ var: ~ ჯელთა მისთა აქუნდა J.

GSB Zech. 2:5(1) **ჯელსა შინა** მისსა - საბელი საქუყყანის მზომელი.

2. ორივე ტრადიცია წარმოდგენილია ოდენ ბრუნვის ფორმით (მიცემით):

LXX Zech. 8:4 *ἔχων ἐν τῇ χειρὶ αὐτοῦ ἀπὸ πλῆθους ἡμερῶν*

OJ 8:4 აქუნდეს სიმრავლისაგან დღეთადასა **ჯელსა** თჷსსა.

GSB 8:4 მქონებელი **ჯელსა** მისსა სიმრავლისაგან დღეთადასა.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გელათური რეცენზია ორჯერ მიმართავს ფორმალური ეკვივალენტის გამოყენებას და ერთხელ ბერძნული ნახევარწინდებულის შესატყვისად იყენებს მიცემით, რაც თარგმანის ტექნიკით აიხსნება, ისევე როგორც ოშკური ტიპის არჩევანი.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, იმ ნახევარწინდებულების ეკვივალენტად, რომლებიც შექმნილია წინდებულისა და სახელის კომბინაციით, ორივე ტრადიცია თარგმნის სიტყვასიტყვით, როგორც ჩვეულებრივ ძველი ბერძნულის წინდებულიან სახელს, თუმცა ისევე როგორც ებრაულში ან ბერძნულში, ქართულშიც იგი ერთ მტლიან მნიშვნელობას გამოხატავს და ფუნქციონირებს, როგორც წინდებული.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შესიტყვება არ უნდა ყოფილიყო ბუნებრივი ქართველი მთარგმნესთვის, რაზეც მეტყველებს თუნდაც ოდენ *წინაშე* გამოყენება, ნაცვლად *წინაშე პირისა*. ამას დამატებული ქართულში იქმნება ერთგვარი პლეონაზმი²³⁵, როგორცაა:

LXX Zeph. 3:15 *λελύτρωται σε ἕκ χειρὸς ἐχθρῶν σου*

OJ 3:15 გივსნა უფალმან *ჯელთაგან* მტერთა შენთადასა.

GSB 3:15 გივსნა შენ *ჯელისაგან* მტერთა შენთადასა.

ამ შემთხვევაში *ჯელთაგან* სრულიად ზედმეტია და საკმარისი იქნებოდა შემდეგი: *გივსნა უფალმან მტერთაგან შენთადასა*.

ზოგადად ისეთი შესიტყვებები, როგორცაა *პირისაგან*, *ჯელსა შინა* ან სხვა ზემოთ განხილულიდან თავისთავად ბუნებრივი კომბინაციებია და ენაში თავისთავად უნდა არსებულებოდა, ისევე როგორც ცალკე აღებული *εἰς πρὸσωπον* ბუნებრივია ბერძნულისთვის. თუმცა კონკრეტულ კონტექსტში ენისთვის ყველაზე ბუნებრივიც კი შეიძლება კალკი აღმოჩნდეს.

ამიტომ, ზემოთ ჩამოთვლილ კონტექსტებში შესიტყვებები როგორცაა: *პირისაგან*, *ჯელსა შინა*, *ჯელთა მიერ*, *წინაშე პირსა*, *პირსა ზედა*, *პირისა მიმართ*, *წინაშე თუალთა*, *თუალთაგან*, *საშუალისაგან*, *შორის*, *საშუალ* – უნდა დავეთანხმოთ ზ. სარჯველაძისა და კ. დანელიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და ისინი ბერძნულის გზით შემოსული ებრაიზმებად უნდა განვიხილოთ. ხოლო რაც შეეხება კვალიფიკაციას, ქართულშიც მათ ნახევარწინდებულები უნდა ეწოდოთ (თ. მაგრაქველიძე 2021: 161).

III. ძველი ბერძული ზმნისწინები

ისევე როგორც ძველ ქართულში, ძველ ბერძნულში ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია მიმართულების ჩვენება იყო, ასევე როგორც დერივაციული ელემენტი ცვლიდა ზმნის მნიშვნელობას.

²³⁵ რასაც კ. დანელიაც აღნიშნავს 1998: 75

ძველი ბერძნული ზმნისწინის თარგმნა არ უნდა ყოფილიყო რთული ძველი ქართველი მთარგმნელისთვისაც, რამდენადაც, როგორც ჩანს, ენაში უკვე არსებობდა კარგად ჩამოყალიბებული ზმნისწინთა სისტემა. თუმცა საკითხი საინტერესოა იმ კუთხით თუ რამდენად განარჩევდა ქართველი მთარგმნელი ბერძნულში ზმნისწინის ფუნქციას, რა შემთხვევაში მოიხმარდა იგი დამატებით საშუალებებს ბერძნული ზმნისწინის სემანტიკის ასახვისთვის (როგორცაა ზმნიზედათა გამოყენება), როდის მიმართავდა ფორმალურ ეკვივალენტს, იყენებდა თუ არა იმავე ეკვივალენტს, რასაც წინდებულთა შემთხვევაში, რამდენად სისტემური იყო იგი და რა შემთხვევაში ტოვებდა ზმნისწინს უთარგმნელად.

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ შემდეგ ზმნისწინებს: *ἀνά, ἀντί, ἀπό, κατά, περί, ὑπό*. მათი არჩევა განაპირობა იმან, რომ ზოგი მათგანი თანდებულის ფუნქციით ნაშრომის პირველ ნაწილში უკვე განვიხილეთ, ზოგი კი საინტერესო სურათს გვიჩვენებს ბერძნულის გავლენის კუთხით.

ἀνά

როგორც ზმნისწინი *ἀνά* აღნიშნავს მოქმედებას ქვემოდან ზემოთ, აღნიშნული ფუნქციით ქართულში მისი ზუსტი ეკვივალენტია *აღ- ან აღმო-*. მცირე წინასწარმეტყველებში ზმნისწინი გვხვდება სხვადასხვა სემანტიკის მქონე ზმნასთან. ძველი ქართული თარგმანი და გელათური რეცენზია კონკრეტულ ზმნებთან მის ფორმალურ ეკვივალენტად სწორედ *აღ- ან აღმო-* ზმნისწინს იყენებს:

1. ორივე ტრადიციაში *ἀνά*-ს ეკვივალენტია *აღ-/აღმო-*:

LXX Hos. 12:14 *καὶ ἐν προφήτῃ ἀνήγαγεν* κύριος τὸν Ἰσραὴλ ἐξ Αἰγύπτου

OJ 12:14 და წინადასწარმეტყველითა *აღმოიყვანა* უფალმან ისრაელი ქუეყანით ეგვიპტით

SB 12:14 და წინადასწარმეტყველისა მიერ *აღმოიყვანა* უფალმან ისრაელი ქუეყანისაგან ეგვიპტისა

ἀναβαίνω

LXX Nah. 2:8 *ἀνέβαινεν* καὶ αἱ θύραι ἀπὸ τῆς ἡγούσης

OJ 2:7 იგი *აღვიდოდა* და მჯევალნი მისნი მოჰყვანდეს

SB 2:7 იგია *აღვიდოდა* და მჯევალნი მისნი უძლოდეს

LXX Hos. 2:2 *ἀναβήσονται ἐκ τῆς γῆς*
OSB 2:2(1,11) **აღმოვიდნენ** ქუეყანისა მისგან

LXX Hos. 14:4 *ἐφ' ἵππον οὐκ ἀναβησόμεθα οὐκέτι μὴ εἶπωμεν*
OJ 14:4 ცხენთა არღარა **ავსხდეთ**, არცა ვჰრქუათ
SB14:4 ცხენთა არა **ავსხდეთ**, არღარა ვთქუათ

LXX Jon. 4:6 *ἀνέβη ὑπὲρ κεφαλῆς τοῦ Ἰωνα*
O 4:6 **აღმოსცენდა** თავსა თანა იონადსსა
J 4:6 **აღმოჰდა** თავსა თანა იონადსსა
SB **აღმოჰდა** ზემთა თავსა იონადსსა

როგორც ჩანს, თავად ზმნური ძირის ცვლილება ქართულ თარგმანში განპირობებულია კონტექსტით.

ἀναβλέπω

LXX Joel 1:20 *καὶ τὰ κτήνη τοῦ πεδίου ἀνέβλεψαν πρὸς σέ*
OJ 1:20 და საცხოვართა ველისათა **აღიხილნეს** შენდამი
SB 1:20 და საცხოვართა ველისათა **აღიხილეს** შენდამი

LXX Zech. 5:5 *ἀνάβλεψον τοῖς ὀφθαλμοῖς σου*
OJ 5:5 **აღიხილენ** თუალნი შენნი
GSB 5:5 **აღიხილენ** თუალნი შენნი

ἀναγινώσκω

LXX Amos 4:5 *καὶ ἀνέγνωσαν ἔξω νόμον*
OJ 4:5 და **აღმოიკითხეს** გარემშე შჯული
SB4:5 და **აღმოიკითხეს** გარემე სჯული

ἀναθάλλω

LXX Hos. 8:9 *ἀνέθαλεν καθ' ἑαυτὸν Ἐφραϊμ δῶρα ἠγάπησαν*
O 8:9 **აღმოსცენდა** თვსაგან ეფრემ.
SB 8:9 **აღმოძორღდა** თვსაგან ეფრემ ძლუენი შეიყუარა.

ἀνακαίω

LXX Hos. 7:6 *διότι ἀνεκαύθησαν ὡς κλίβανος αἱ καρδίαι αὐτῶν ἐν τῷ καταράσσειν αὐτούς ὄλην τὴν σύκα ὑπνοῦ Ἐφραϊμ ἐνεπλήσθη πρῶτι ἐγενήθη ἀνεκαύθη ὡς πυρὸς φέγγος*
OJ 7:6 რამეთუ **აღატყდა**(!) ვითარცა თორნე, გულნი მათნი დახეთქასა მათსა. ღამშე ყოველ ძილითა განძღა ეფრემ, განთიად **აღატყდა**, ვითარცა ცეცხლი საჯუმილი.

SB 7:6 მით რამეთუ **აღეტიყინეს**, ვითარცა თორნე გულნი მათნი განბძარვასა შინა მათსა. სრულსა ღამესა ძილითა განძდა ეფრემ. განთიადი იქმნა, **აღეგზნა**, ვითარცა ცეცხლი მთებარე.

ἀναλαμβάνω

LXX Hos. 11:3 **ἀνέλαβον** αὐτὸν ἐπὶ τὸν βραχίονά μου
O 11:3 **აღვილო** იგი მკლავთა ჩემთა
SB 11:3 **აღვილე** იგი მკლავსა ჩემსა ზედა

ἀναλάμπω

LXX Amos 5:6 ὅπως μὴ **ἀναλάμπῃ** ὡς πῦρ
OJ 5:6 რადთა არა **აღატყდეს**, ვითარცა ცეცხლი
GSB 5:6 რადთა არა **აღენთოს**, ვითარცა ცეცხლი

ἀνάπτω

LXX Amos 1:14 καὶ **ἀνάψω** πῦρ ἐπὶ τὰ τείχη Ραββὰ
OJ 1:14 და **აღვაგზნე** ცეცხლი ზღუდეთა ზედა რაბათისათა
SB 1:14 და **აღვაგზნა** ცეცხლი ზღუდეთა ზედა რა[ვვაჲ]სათა
ἀνασπάω

LXX Amos 9:2 ἐκείθεν ἡ χεὶρ μου **ἀνασπάσει** αὐτούς
OJ 9:2 მიერ ჯელმან ჩემმან **აღმოიტაცნეს** იგინი.
SB 9:2 მიერ ჯელმან ჩემმან **აღმოიტაცნეს** იგინი.

LXX Nah. 3:17 ὁ ἥλιος **ἀνέτειλεν**
OJ 3:17 მზე **აღმოჰკდა**.
GSB 3:17 მზე **აღმოჰკდა**

ἀνοιχοδομέω

LXX Amos 9:11 **ἀνοιχοδομήσω** τὰ πεπτακῶτα αὐτῆς
OJ 9:11 **აღვაშენო** დარღუეული მისი
GSB 9:11 **აღვაშენნე** დარღუჭულნი მისნი

როგორც ჩანს, ქართულში აღ-ზე მო-ს დამატება ხშირ შემთხვევაში განპირობებულია კონტექსტში კონკრეტული თანდებულის არსებობით და იშვიათად აღნიშნულის მიზეზი

ზოგადად მთელი კონტექსტია, კერძოდ აღ-ის მო-სთან კომბინაციისას 15 შემთხვევაში კონტექსტში წარმოდგენილია წინდებული, ხოლო მხოლოდ 5 შემთხვევაში მისი არსებობა შეპირობებულია კონტექსტით.

2. ძველ თარგმანში ფორმალური ეკვივალენტია შე-, გელათურ რეცენზიაში აღ- ან უზმნისწინო ფორმა:

ἀναβιβάζω

LXX Amos 8:10 ἀναβιβῶ ἐπὶ πᾶσαν ἔσφην σάκκων
OJ 8:10 შეეჭმოსო ყოველთა წელთა ძაძაჲ
შდრ. GSB 8:10 აღვილო ყოველსა წელსა ზედა ძაძაჲ

ἀναστῆλλω

LXX Nah. 1:5 ἀνεστῆλη ἡ γῆ ἀπὸ προσώπου αὐτοῦ
OJ 1:5 შეიპყრა ქუეყანაჲ ყოველი პირისაგან მისისა
შდრ. GSB 1:5 კდემულ-იქმნა ქუეყანაჲ პირისაგან მისისა

როგორც ჩანს, მეორე მაგალითში გელათი უპირატესობას ანიჭებს ზმნის სემანტიკის გადმოტანას და არა ზმნისწინის ფორმალურ ასახვას. ძველი მთარგმნელი კი პირველ მაგალითში მიმართავს უფრო ფუნქციურ და ვიდრე ფორმალურ თარგმანს (შე- აქ მნიშვნელობით არაა იგივე ოდენობა, რაც ἀνά), რადგან თავად ზმნა ἀναβιβάζω ნიშნავს ჩაცმას. გელათი კი ამ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს ზმნისწინის ფორმალურ ასახვას, რამდენადაც კონტექსტში აღვილოც შემოსვათი გაიგება.

გზვდება მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ძველ თარგმანში წარმოდგენილია ზმნიზედისა და ზმნისწინის კომბინაცია, ხოლო გელათურ რეცენზიაში ბერძნულ დედანში სხვა ზმნისწინია:

3. ძველ თარგმანში ეკვივალენტია ზედა+მი-:

LXX Zech. 7:14 ἡ γῆ ἀφανισθήσεται κατ'ὀπισθεν αὐτῶν ἐκ διωδύσσοντος (ἀναστρεψόντος S*)

OJ Zech. 7:14 და ქუეყანაჲ ესე განირყუნეს შემდგომად მათსა ზედა-მიმავალთაგან (ზედა-მავალთაგან J) მისთა

GSB Zech. 7:14 უჩინო-იქმნეს უკუანაგან (უკანაგან SB.) მათსა (მათ... G.) არავინ იყოს (არავინ იყო G.) განმვლელისაგან

4. *ბაბ*-ს ფორმალურ ეკვივალენტად ორივე ტრადიციაში გვევლინება *გან*- ზმნისწინი:

ἀναπαύω

LXX Mic. 4:4 *καὶ ἀναπαύσεται ἕκαστος ὑποκάτω ἀμπέλου αὐτοῦ*

OJ 4:4 და განისუენებდეს კაცად-კაცადი ვენაცსა თვსსა ქუეშე

GSB 4:4 და განისუწნებდეს კაცადი ქუწშე ვენაცსა თვსსა

გვხვდება ისეთი კონტექსტებიც, როცა ქართულში ზმნა წარმოდგენილია *გან*- ზმნისწინით, თუმცა იგი არ წარმოადგენს *ბაბ*-ს ფორმალურ შესატყვისს, რამდენადაც ბერძნული უზმნისწინო ფორმის ეკვივალენტადაც ქართულში იგივე ზმნისწინიანი ზმნა გვევლინება:

LXX Hos. 13:15 *ἀναξήρανεῖ τὰς φλέβας αὐτοῦ*

OJ 13:15 განაცმნეს გამოსადინელნი მათნი

SB 13:15 განაცმნეს მარლუნი მისნი

LXX Amos 1:2 *ἐξήρασθη ἡ κορυφή τοῦ Καρμήλου*

OJGSB 1:2 განჯმა თხემი კარმელისაჲ.

5. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია უზმნისწინო ფორმა:

ἀνακράζω

LXX Joel 4:16 *ὁ δὲ κύριος ἐκ Σιων ἀνακράξεται*

OJSB 3:16 ხოლო უფალმან სიონით ღალად-ყოს

აღნიშნულ მაგალითში, როგორც ვხედავთ, ქართულში ჯერ არაა ჩამოყლიბებული ზმნის ორგანული ფორმა, ამიტომაც მთარგმნელი მიმართავს აღწერითს და აწარმოებს რთულ ზმნას, ამდენად ზმნისწინის უთარგმნელობის მიზეზი სწორად ორგანული ზმნის არარსებობით უნდა აიხსნას.

როგორც ვხედავთ, *ბაბ*-სთვის ფორმალური შესატყვისობის მოძებნა არ წარმოადგენდა სირთულეს, ყველა ჩვენ მიერ შემოწმებული მაგალითში, მხოლოდ სამ

შემთხვევაშია ზმნისწინი წარმოდგენილი უთარგმნელად, რაც ქართული ენის შესაძლებლობით უნდა აიხსნას.

ἀντί

როგორც ზმნისწინი **ἀντί** ძირითადად აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის წინააღმდეგ. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში **ἀντί** როგორც ზმნისწინი გვხვდება მხოლოდ 4 ზმნასთან. ქართულში მისი ეკვივალენტებია:

1. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია წინა+ალ-: ἀντιτάσσω

LXX Hos. 1:6 ἢ ἀντιτασσομενος ἀντιτάξιμαι ἀπὸ τοῦ
O 1:6 წინა-აღდგომით წინა-აღუდგე მათ.
SB 1:6 წინა-აღდგომით წინა აღუდგე მათ.

აღნიშნულ შემთხვევაში **წინა+ალ-** ბერძნული ზმნისწინის ყველაზე ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს, რამდენადაც ყველაზე ადეკვატურად გადმოსცემს მის მნიშვნელობას.

როგორც კორნელი დანელია (1998: 54) შენიშნავს, **წინა** ელემენტი არამოდრაობის აღმნიშვნელ ფუძეებში ბერძნულის გავლენად უნდა განვიხილოთ, რაც გასაზიარებელია. როგორც ჩანს, ენას არ აღმოაჩნდა სხვა საშუალება, რათა **ἀντί**-ს აღნიშნული სემანტიკა ადეკვატურად გადმოეცა.

2. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია ალ-:

LXX Mic. 4:3 καὶ οὐκ ἔτι μὴ ἀντάρη ἔθνος ἐπ' ἔθνος ῥομφαίαν
OJ 4:3 და არღარა აღილოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახული
GSB 4:3 და არა მიერმე არ აღილოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახული

3. ორივე ტრადიციაში ეკვივალენტია შე-:

LXX Mic. 6:6 ἀντιλήψομαι θεοῦ μου ὑψίστου
OJ 6:6 შემწე-ვეყო მე ღმერთსა ჩემსა მაღალსა
SB 6:6 შევეწიო ღმერთსა ჩემსა მაღალსა

აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში ქართულში მუდამ წარმოდგენილია **ἀντί**-ის ფორმალური ეკვივალენტი.

ἀπό

როგორც ზმნისწინი **ἀπό** ძალიან პროდუქტიულია სექტუაგინტაში. ისევე როგორც თანდებულის შემთხვევაში, მისი ძირითადი მნიშვნელობა გამოსვლითობაა. აღნიშნული ფუნქციით ქართულში მისი ზუსტი ეკვივალენტია **გან-** ან **გამო-** ზმნისწინები. მცირე წინასწარმეტყველებში იგი კომბინაციაში გვხვდება 21 ზმნასთან. ძველ ქართულ თარგმანსა და გელათურ რეცენზიაში მის ეკვივალენტებად შემდეგი ზმნისწინები გვევლინება:

1. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია **გან-**:

ἀπογαλακτίζω

LXX Hos. 1:8 καὶ ἀπεγαλάκτισεν τὴν Οὐκ-ἡλεημένην
O 1,8 და განეყენა სძესა არაშეწყალებული იგი.
SB 1,8 და სძესა განეყენა არაშეწყალებული იგი.

ἀποδίδωμι

LXX Amos 2:6 ἀπέδοντο ἀργυρίου δίκαιον
OJ 2:6 განყიდეს მართალი ვეცხლად
GSB 2:6 განსცემდეს ვეცხლად მართალსა

ἀποπηδᾶω

LXX Hos. 7:13 ὅτι ἀπεπήδησαν ἀπ' ἐμοῦ
O 7:13 რამეთუ განმწუართეს ჩემგან.
SB 7:13 რამეთუ განვლიდეს ჩემგან.

ἀποτρίβω

LXX Mic. 7:11 ἀποτρίψεται νόμιμά σου
OJ 7:11 განიშოროს შჯული შენი
SB 7:11 განიჯადნენ შჯულვილნი შენნი

ἀφάλλομαι

LXX Nah. 3:17 ὁ ἥλιος ἀνέτειλεν καὶ ἀφῆλατο καὶ οὐκ ἔγνω τὸν τόπον αὐτῆς οὐαὶ αὐτοῖς

OJ 3:17 მზე აღმოცდა. და იგინი განფრინდეს და ვერ საცნაურ იქმნა ადგილი მათი.

GSB 3:17 მზე აღმოცდა და განიტევა და არა იცნობა ადგილი მისი.

2. ძველ თარგმანში ეკვივალენტია მი-, გელათურ რეცენზიაში გან-:

ἀποπηδᾶω

LXX Joel 4:6 ἀπέδοσθε τοῖς σίοις τῶν Ἑλλήνων

OJ 3:6 მიჰყიდენით ძეთა იონთასა

GSB 3:6 განსცენით ძეთა ელლინთასა

LXX Joel 4:7 ἀπέδοσθε αὐτοὺς ἐκεῖ

OJ 3:7 მიჰყიდენით მუნ

GSB 3:7 განსცენით იგინი მუნ.

აღნიშნულ შემთხვევაში ეკვივალენტის ცვლილებას განაპირობებს კონტექსტი, რამდენადაც, როგორც ამავე ზმნის სხვა მაგალითში ვნახეთ, იგი ჩვეულებრივ ითარგმნება *განყიდვით*.

3. ორივე ტრადიციაში ეკვივალენტია გამო-:

ἀποκαλύπτω

LXX Mic. 1:6 τὰ θεμέλια αὐτῆς ἀποκαλύψω

OJ 1:6 საფუძველნი მისნი გამოვაჩინნე.

SB1:6 საფუძველნი მისნი გამოვაჩინნე.

ἀπολυτρόω

(Zeph. 3:1 BGT) ὃ ἢ ἐπιφανῆς καὶ ἀπολυτρωμένη ἢ πόλις ἢ περιστέρα

OJ 3:1 ზ წარჩინებული და გამოჯსნილი ქალაქი - ტრედი!

GSB 3:1 ეჰა საჩინო და გამოჯსნილი ქალაქი. ტრედმან

როგორც ჩანს, აქ გან-ისა და მო-ს კომბინაცია არ არის შეპირობებული კონტექსტში თანდებულის არსებობით, არამედ აღჩევანს განაპირობებს ზმნური სემანტიკა.

4. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილი მი-:

ἀποφέρω [ἀπό, φέρω]

LXX Hos. 10:6 ἀπήνεγκαν ξένια τῷ βασιλεῖ Ιαριμ
O 10:6 მიჰგუარეს ძღუნად მეფესა იარამისასა
SB 10:6 მიჰგუარეს მეფესა არიმისასა მისაცემელად

LXX Zech. 5:10 ποῦ αὐταὶ ἀποφέρουσιν τὸ μέτρον
OJ 5:10 ვიდრე მიაქუს ამათ საზომელი ესე?
GSB 5:10 სადა მიიღებენ ისინი საზომსა?

5. ძველ თარგმანში წარმოდგენილია ქუე+გან-, გელათურ რეცენზიაში უზმნისწინო:

LXX Mal. 3:9 καὶ ἀποβλέποντες ἑμεῖς ἀποβλέπετε
OJ 3:9 და ქუე-განხედვით ქუე-განმხედავთ მე
SB 3:9 და უგულუბელს-მყოფელნი უგულუბელს-ჰყოფთ თქუენ

სავარაუდოდ, *ქუე+გან-* არ უნდა წარმოადგენდეს ოდენ აპრ-ს ეკვივალენტს და ბერძნულ დედანში შესაძლოა რთული ზმნისწინი ყოფილიყო სპრ+აპრ-ს სახით, რამდენადაც ქუე- სწორედ სპრ-ს გადმოსაცემად გვხვდება (იხ. დანელია 1998: 56).

უკანასკნელ მაგალითში გელათურმა რეცენზიამ, როგორც ჩანს, აქ უპირატესობა მიანიჭა ზმნური მნიშვნელობის ასახვას (თავად ბერძნული ზმნა ἀποβλέπω უგულუბელყოფას აღნიშნავს) და არა ზმნისწინის თარგმანს, რაც უკვე თარგმანის ტექნიკის სფეროა.

6. ორივე ტადიციაში წარმოდგენილია წარ-:

ἀποίχομαι

LXX Hos. 11:2 οὕτως ἀπήχοντο ἐκ προσώπου μου
O 11:2 ეგრეთვე წარვიდოდა პირისაგან ჩემისა.
SB 11:2 ეგრეთ წარწყმდენ პირისაგან ჩემისა.

ἀπόλλυμι

LXX Amos 1:8 ἀπολοῦνται οἱ κατάλοιποι τῶν ἀλλοφύλων
OJ 1:8 წარწყმდენ ნემტნი იგი უცხოთესლთანი
GSB 1:8 წარწყმდენ ნემტნი უცხოთესლთანი

7. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია მო-:

ἀποθνήσκει

LXX Amos 2:2 ἀποθάνειται ἐν ἀδυναμίᾳ Μωαβ μετὰ κραυγῆς καὶ μετὰ φωνῆς σάλπιγγος
OJ 2:2 მოკუდეს უძლურებასა შინა ღალადებითა და ჳმითა ნესტვსადთა.
GSB 2:2 მოკუდეს უძალოობასა შინა მოაბი ღალადებასა თანა

ἀποκρίνω

LXX Mic. 6:3 ἀποκριθήτι μοι
OJ 6:3 მომიგე მე სიტყუაჲ!
SB 6:3 მომიგე მე!

აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქართველი სხვა ზმნისწინს ვერც იხმარდა.

8. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია და-:

ἀποκλιθῆναι

LXX Mic. 7:16 τὰ ἄτα ἀπτῶν ἀποκλιθήσονται
OJ 7:16 ყურნი მათნი დაუყრუვდენ.
SB 7:16 ყურნი მათნი დაყრუვნეს.

ἀποστέρω

LXX Mal. 3:5 τοὺς ἀποστειρόντας μισθὸν μισθωτοῦ

OJ 3:5 რომელნი დააკლებენ სასყიდელსა მორეწისასა

SB 3:5 დამაკლებელთა ზედა სასყიდელსა მოსასყიდლისასა

ἀποτίθημι

LXX Joel 1:18 τί ἀποθήσομεν ἑαυτοῖς
OJ 1:18 რად-მე დავიუნჯოთ თავისა ჩუენისა?
SB 1:18 რად დაუმარხოთ თავთა თვსთა?

ისევე, როგორც მო-ს შემთხვევაში, ამ მაგალითებშიც და-ს შერჩევა ἀπό-ს ფორმალუ ეკვივალენტად განაპირობებს ის თუ რომელ ზმნისწინს იგუებს კონკრეტული ზმნა თავად ქართულში.

როგორც ჩანს, ἀπό-ს შემთხვევაშიც ეკვივალენტის შერჩევას ორი ფაქტორი განაპირობებს: ბერძნული ზმნისწინიანი ზმნის სემანტიკა და ქართულში ზმნისწინთა დისტრბუციის წესი.

διὰ

მცირე წინასწარმეტყველებში **διὰ** როგორც ზმნისწინი გვხვდება 24 ზმნურ ძირთან. ქართულ თარგმანში მის ეკვივალენტად არაერთი ზმნისწინი გამოდის, რაც, როგორც სვა ბემნულ ზმნისწინთა შემთხვევაში, დამოკიდებულია იმაზე თუ თავად ბერძნული **διὰ** რომელ ზმნასთან კომბინირებს და თუ რას ნიშნავს იგი კონტექსტში.

1. ორივე ტრადიციაში ეკვივალენტია *გან-*:

διαβαίνω

LXX Zech. 13:9 και **διὰ**ζω τὸ τρίτον διὰ πυρὸς

OJ 13:9 და **განვიყვანო** მესამე იგი ნაწილი ცეცხლისაგან

SB 13:9 და **განვავლო** მესამედი ცეცხლისა მიერ

διακόπτω

LXX Amos 9:1 **διὰ**κοψον εἰς κεφαλὰς πάντων

OJ 9:1 **განკუეთე** თავსა ზედა ყოველთასა.

GSB 9:1 **განკუჭთილებისა** მიმართ ყოველთასა.

διαμετρέω

LXX Zech. 2:6 **διαμετρήσαι** τὴν Ἱερουσαλημ τοῦ ἰδεῖν πηλίκον τὸ πλάτος αὐτῆς ἔστιν

OJ Zech. 2:6(2) **განზომად** იერუსალჴმისა და ხილვად, რავდენ არს სივრცე მისი

SB Zech. 2:6(2) **განზომად** იზრუსალიმისა. ხილვად, რავდენი - სივრცე მისი,

διασκορπίζω

LXX Zech. 2:2 ταῦτα τὰ κέρατα τὰ **διασκορπίσαντα** τὸν Ἰουδαν και τὸν Ἰσραηλ

OJ 1:19 ესე რქანი არიან, რომელთა **განაზნიეს** იუდაა

GSB 1:19 ესე - რქანი **განმაზნეველნი** იუდადსნი და ისრაჴლისნი.

διαστέλλω

LXX Mic. 5:7 **διαστείλας** ἀρπάσῃ και μὴ ᾗ ὁ ἐξαιρούμενος

OJ 5:8 **განაზნიის** და აღიტაცის და არავინ არს განმარინებელ.

GSB 5:8 **განმთესველმან** მიიტაცოს და არა იყოს განმარინებელი.

διαφθείρω

LXX Mic. 2:10 **διαφθείρητε** φθιορᾶ
OJ 2:10 განიხრწნენით განხრწნით!
GSB 2:10 განიხრწნენით ხრწნილებითა.

δικαίω

LXX Mic. 6:11 εἰ **δικαιωθήσεται** ἐν ζυγῷ ἄνομος
OJ 6:11 უკუეთუ განმართლდეს უღლითა უშჯულოდ იგი
SB 6:11 და უკეთუ განმართლდეს უღლისა შორის უსჯულოდ

2. ძველ თარგმნაში წარმოდგენილია შუ-, გელათურ რეცენზიაში და-:

διαθρόπτω

LXX Hab. 3:6 **διαθρόψη** τὰ ὄρη βίβρα ἐτάκησαν βουνοὶ αἰώνιοι
OJ 3:6 შეიმუსრნენ მთანი სასტიკებითა თჳსითა.
SB 3:6 დაიმუსრნეს მთანი იძულებითა.

3. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია და-:

διαπᾶσ

LXX Hos. 5:13 οὐ μὴ **διαπᾶσῃ** ἐξ ἡμῶν ὁδόνῃ
O 5:13 არა დასცხრეს თქუენგან სალმოზად.
SB 5:13 ვერ დააცხროს თქვენგან სალმოზა.

διαπίπτω

LXX Nah. 2:7 πύλαι τῶν ποταμῶν διησιόχθησαν καὶ τὰ βασίλεια **διέπεσεν**

OJ 2:6 ბჳენი ქალაქისანი განეხუნეს და სამეფონი დაეცნეს.

SB 2:6 ბჳენი ქალაქ*თანი განეხუნეს და სამეფონი დაეცნეს.

LXX Hos. 12:14 ἐν προφήτῃ **διεφυλάχθη**
O 12:14 წინადაწარმეტყუელითა დაიცვა.
SB 12:14 წინადაწარმეტყუელისა მიერ დაცვულ იქმნა.

ამ შემთხვევაში და-ს ეკვივალენტად გამოყენება ქართულ ზმნაში ზმნისწინთა დისტრიბუციის წესს უკავშირდება.

გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია და- ზმნისწინი, თუმცა მას ვერ განვიხილავს ძი-ს ფორმალურ ეკვივალენტად, რადგან უზმნისწინო ფორმაც ქართულში ზმნისწინით არის წარმოდგენილი. ამას დამატებული თავად ბერძნულში ორივე - ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმაც ერთ შინაარსს გამოხატავს:

δια-τήκω

LXX Hab. 3:6 ἔστη και ἐσαλεύθη ἡ γῆ ἐπέβλεψεν και διετάκη ἔθνη
O 3:6 დადგეს და შეიძრას ქუეყანაჲ, მიჰხედოს წარმართთა და დადნენ.
GSB 3:6 დადგა და შეიძრა ქუეყანაჲ ზედ-მიიხილა და დადნეს წარმართნი

LXX Mic. 1:4 αἱ κοιλάδες ταχῆσονται
OJ 1:4 ღელენი დადნენ
SB 1:4 ჳევნებნი დადნენ

4. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია შე-:

διασαλεύω

LXX Hab. 2:16 πλησμονὴν ἀτιμίας ἐκ δόξης πίε και σὺ και διασαλεύθητι
OJ 2:16 სიმაძღრე გინებისა განდიდებისა ჰსუა შენცა და შეირყიე
SB 2:16 სავსებაჲ უპატვიობისაჲ დიდებისაგან სუ და შენ შეირყიე,

διασαλεύω

LXX Hab. 2:16 διασαλεύθητι και σείσθητι ἐκύκλωσεν ἐπὶ σὲ ποτήριον δεξιᾶς κυρίου και συνήχθη ἀτιμία ἐπὶ τὴν δόξαν σου
OJ 2:16 შეირყიე და შეიძარ და გარე-მოგადგა შენ სასუმელი მარჯუენისა უფლისაჲ
SB 2:16 შენ შეირყიე, რამეთუ მრგულევა-ყო შენ ზედა სასუმელმან მარჯუენისა უფლისამან

5. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია აღ-:

διατίθημι

LXX Hos. 2:20 και διαθήσομαι αὐτοῖς ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ διαθήκη
O 2:20 და აღუთქუა მათ აღთქუმაჲ მათ დღეთა შინა
SB 2:20 და აღუთქუა მათ აღთქმა მათი მათ დღეთა შინა

6. ძველ თარგმანში წარმოდგენილია უზმნისწინო ფორმა:

διαστέλλω

LXX Mal. 3:11 και διαστειλῶ ἡμῖν εἰς βρώσιν
OJ 3:11 და გიბრძანო თქუენ საზრდელად
SB 3:11 და დაგაწესნე თქუენ ჭამად მიმართ

როგორც ჩანს, აღნიშნულ მაგალითში ძველი თარგმანი უპირატესობას ანიჭებს ზმნის სემანტიკის ზუსტ ასახვას, ვიდრე ზმნისწინის ფორმალური შესატყვისით გადმოტანას.

7. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია უზმნისწინო ფორმა:

διαμαρτύρομαι

LXX Zech. 3:6 και διεμαρτύρατο ὁ ἄγγελος κυρίου πρὸς Ἰησοῦν λέγων
OJ 3:6 და უწამებდა ისუს და ჰრქუა:
SB 3:6 და წამებდა ანგელოზი უფლისაჲ იისუას მიმართ მეტყუჭლი:

აღნიშნულ მაგალითში ბერძნულის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმაც ერთ შინაარსს გადმოსცემს, ე.ი. აქ ბერძნული ზმნისწინის ფუნქცია დაჩრდილულია, შესაბამისად ის ქართულშიც ვერ აისახებოდა.

8. ძველ თარგმანში წარმოდგენილია მიმო- ან მო- , გელათურ რეცენზიაში და-:

διαρπάζω

LXX Amos 3:11 διαρπαγῆσονται αἱ χῆραι σου
OJ3:11 მიმოსატაცებელ იყოს სოფლები შენი.
SB 3:11 დაიტაცნეს სოფლებნი შენნი.

LXX Mic. 2:2 διηρπαζον ὀρφανοὺς ... διηρπαζον ἄνδρα και τὸν οἶκον αὐτοῦ
OJ 2:2 მოიტაცებდეს ... მოიტაცებდეს კაცებსა და სახლთა მათთა
GSB 2:2 დაიტაცებდეს ობოლთა ... დაიტაცებდეს კაცსა და სახლსა მისსა

LXX Zeph. 2:4 διότι Γάζα διηρπασμένη ἔσται
OJ 2:4 რამეთუ გაზაჲ მიმოსატაცებელ იყოს
GSB 2:4 მით რამეთუ ღაზაჲ დატაცებული იყოს

9. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია გარდა-:

διέρχομαι

LXX Jon. 2:4 τὰ κύματα σου ἐπ’ ἐμὲ διήλθον
OJ 2:4 დელვანი შენნი მე ზედა გარდამვდეს.
SB 2:4 დელვანი შენნი ჩემ ზედა გარდავდეს.

LXX Amos 8:5 οἱ λέγοντες πότε διελεύσεται ὁ μῆν
OJ 8:5 ოდესმე გარდავდეს თთუფ ესე
GSB 8:5 ოდეს გარდავდეს თთუფ

როგორც ვხედავთ, διά-ს გადმოტანის შემთხვევაშიც იმავე სურათს ვხედავთ, რასაც სხვა ზმნისწინთა თარგმნისას – ეკვივალენტის შერჩევას კონტექსტში ზმნის სემანტიკა განაპირობებს.

κατά

როგორც ზმნისწინი κατά ძალიან პროდუქტიულია როგორც ზოგადად სეპტუაგინტაში, ასევე მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში. ჩვენს საანალიზო წიგნებში იგი ძირითადად გვხვდება მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან, რომლებთანაც იგი ძირითადად აღნიშნავს მოძრაობას ზემოდან ქვემოთ და მისი ყველაზე ხშირი ფორმალური ეკვივალენტია ზმნისწინი შთა-:

1. ეკვივალენტია შთა- ზმნისწინი:

κατα-βαίνω

LXX Amos 6:2 **κατάβητε** ἐκεῖθεν εἰς Γεθ ἀλλοφύλων τὰς κρατίστας
GSB 6:2 შთავედით გეთდ უცხოტომთად უმტკიცესთა
შდრ. OJ 6:2 შევედით გეთდ უცხოთესლთა მათ უმტკიცესთა

LXX Jon. 1:3 **κατέβη** εἰς Ἰοππην
OJ 1:3 შთავიდა იოპედ
GSB 1:3 შთავიდა იოპედ

LXX Jon. 2:7 **κατέβην** εἰς γῆν
OJ 2:7 და შთავედი მე ქუეყანად
GSB 2:7 შთავედი ქუფყანად

2. ოშკურ ტიპში ეკვივალენტია წარმო-, გელთში – შთა-:

LXX Amos 8:8 *καταβήσεται ὡς ποταμὸς Αἰγύπτου*

OJ 8:8 წარმოეცეს (წარმოცეს O): ვითარცა მდინარე ეგვიპტისაჲ.

შდრ. GSB შთავიდეს: ვითარცა მდინარე ეგვიპტისაჲ

LXX Amos 9:5 *καταβήσεται ὡς ποταμὸς Αἰγύπτου*

OJ 9: 5 წარმოეცეს: ვითარცა მდინარე ეგვიპტისაჲ.

შდრ. GSB 9:5 შთამოვიდეს: ვითარცა მდინარე ეგვიპტისაჲ

ზმნური ეკვივალენტის ცვლილება, როგორც ჩანს, შეპირობებულია კონტექსტით, კერძოდ მდინარის მიმართა, როგორც ჩანს, წარმოცემ უფრო ბუნებრივი შესატყვისი იყო, ვიდრე შთამოსვლა. ხოლო რაც შეეხება ზმნისწინს აღნიშნულ მაგალთში წარმო-ს ეკვივალენტობა ისევ ქართული ზმნის ბუნებით იხსნება, მთარგმნისვის საჭირო სემანტიკას მხოლოდ ამ ზმნისწინთან კომბინაციაში გადმოსცემს.

აღსანიშნავია ისეთი კონტექსტებიც, რომლებშიც ბრძნული ზმნა *κατα-βαίνω* ნიშნავს დამარცხებას, რამდენადაც ამ შემთხვევაში ოშკური ტიპი კვლავ სხვაობა, კერძოდ:

2. ძველ თარგმანში ეკვივალენტად წარმოდგენილია და-, ხოლო გელათში შთა-:

LXX Hag. 2:22 *καταβήσονται ἵπποι καὶ ἀναβάνται ἀπὸ τῶν ἔκαστος ἐν ῥόμφαίᾳ πρὸς τὸν ἀδέλφον αὐτοῦ*

OJ 2:22 დაეცეს ცხენები და მჯედრები და აღმჯედრებულნი მათ ზედა კაცად-კაცადი მახვლითა ძმისა მიმართ თვისისა.

შდრ. SB 2:22 შთაჯდენ ცხენნი და აღმავალნი მათნი თითოეული მახვლითა ძმისა მიმართ თვისისა.

აქაც და-ს ეკვივალენტად არსებობა ქართულით იხსნება.

3. ორივე ტრადიციაში ეკვივალენტია გარდამო-:

κατάγω

LXX Hos. 7:12 *ἐπιβλήω ἐπ' αὐτοὺς τὸ δίκτυόν μου καθὼς τὰ πετεινὰ τοῦ οὐρανοῦ κατάξω αὐτοὺς*

O7:12 გარდავჭბურო მათ ბადე ჩემი და, ვითარცა მფრინველნი ცისანი, გარდამოვსთხინნე იგინი.

SB 7:12 გარდავჭბურნე მათ ზედა ბადენი ჩემნი და ვითარცა მფრინველნი ცისანი გარდამოვყარნე იგინი.

LXX Obad. 1:4 *ἐὰν μετewpισθῆς ὡς ἀετὸς καὶ ἐὰν ἀνὰ μέσον τῶν ἄστρων θῆς νοσοιάν σου ἐκεῖθεν κατάξω σε λέγει κύριος*

OJ 1:4 გინათუ დაიდგნე შორის ვარსკულავთა ბუდენი შენნი, მიერ გარდამოვადლო შენ

GSB 1:4 უკეთუ შორის ვარსკულავთა დაიდგა ბუდე შენი, მიერ გარდამოვადლო შენ.

ამ შემთხვევაში თავად ბერძნული *κατάγω* გადმოყრას, შესაბამისად ამიტომაც იცვლება ქართული ეკვივალენტი.

4. ორივე ტრადიციაში წარმოდგენილია *და*:-

κατακαίω

LXX Amos 2:1 *κατέκαυσαν* τὰ ὅσα βασιλέως τῆς Ἰδουμαίας εἰς κοίαν
OJ 2:1 დაწუნეს ძუალნი მეფისა მის იდუმეადსანი მტუერად.
GSB 2:1 დაწუნეს ძუალნი მეფისა იდუმეადსანი მტუერად.

κατακαλύπτω

LXX Hab. 2:14 ἴδωρ *κατακαλύψει* αὐτοὺς
OJ 2:14 წყალმან დაფაროს იგი ზღუად მიმართ.
SB 2:14 წყალმან მრავალმან დაფარნეს იგინი ზღუად მიმართ.

აქაც *და-ს* ეკვივალენტად არსებობა ქართულით იხსნება, რამდენადაც სხვანაირად ვერ გადმოსცემდა ბერძნული ზმნის შინაარსს. აღნიშნულ შემთხვევებში თავად ბერძნული წინდებული უფუნქციოა, რამდენადაც უწინდებულოდაც იმავე შინაარსს გადმოსცემენ.

5. ორივე ტრადიციაში ეკვივალენტია *გან*:-

καταμετρέω

LXX Amos 7:17 ἢ γῆ σου ἐν σχοινίῳ *καταμετρηθήσεται*
OJ 7:17 ქუეყანაჲ შენი საბლითა განიზომოს
SB 7:17 ქუეყანაჲ შენი საბლითა განიზომოს

როგორც ჩანს, აქაც იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც *და*-სთან გვქონდა.

გვხვდება ეკვივალენტთა სიჭელის შემთხვევებიც, რაც თავად ბერძნული ზმნის სემანტიკაში უნდა ვეძიოთ, მაგალითად: ზმნა *κατακόπτω* აღნიშნავს როგორც დაჭრას, ასევე განადგურებასაც და ქართულში შემდეგნაირად გადმოდის:

κατακόπτω

LXX Mic. 1:7 καὶ πάντα τὰ γλυπτὰ αὐτῆς *κατακόψουσιν*
OJ1:7 და ყოველნი გამოქანდაკებულნი მისნი დაკოდნენ

SB 1:7 და ყოველნი ქანდაკებულნი მისნი დაკოდნენ

LXX Mic. 4:3 *κατακόψουσιν τὰς ῥομφαίας αὐτῶν εἰς ἄροτρα*

OJ 4:3 დაშჭრიდენ ჳრმლებსა მათსა საჯნისებად

GSB 4:3 დაშჭრიდენ მახვლებსა მათსა საჯნისად

LXX Zech. 11:6 *κατακόψουσιν τῆν γῆν καὶ οὐ μὴ ἐξέλωμαι ἐκ χειρὸς αὐτῶν*

OJ 11:6 მოსრან ქუეყანად

SB 11:6 და დაჭრას ქუჭყანა

რომ შევაჯამოთ, მთარგმნელობითი პრინციპი κατά-ს შემთხვევაშიც იგივეა, რაც სხვა წინდებულთა ანალიზისას ვნახეთ, კერძოდ ეკვივალენტის შერჩევა დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ ზმნასთან გვხვდება ზმნისწინი და რა მნიშვნელობას ანიჭებს მას.

περί

περί როგორც ზმნისწინი ძალიან პროდუქციულია სექტუაგინტაში. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში იგი გვხვდება 10 ზმნურ ძირთან. მისი ამოსავალი მნიშვნელობაა მოქმედება რაღაცის გარშემო. იგი ქართულში შემდეგი ეკვივალენტებით გადმოიცემა:

1. ოშკურ ტიპში წარმოდგენილია *შე-, მიმო- გარდა-*, გელათურში სისტემურად *გარე-+მო-*:

περιβάλλω

LXX Jon. 3:6 *περιβάλετο σάκκον καὶ ἐκάθισεν ἐπὶ σποδῶν*

OJ 3:6 შეიმოსა ძაძაჲ და დაჯდა იგი ნაცარსა ზედა.

SB 3:6 გარე-მოირტყა ძაძაჲ და დაჯდა ნაცარსა ზედა.

περιχέω

LXX Jon. 2:6 *περιχέθη ὁ δαίμων μοι ἕως ψυχῆς ἄβυσσος ἐκκλυσέν με*

OJ 2:6 გარდამეცნეს წყალნი ვიდრე სულად ჩემდამდე

SB 2:6 გარე-მომესხა მე წყალი ვიდრე სულად ჩემდამდე

περιοδεύω

LXX Zech. 1:10 οἱ τοῖς εἰσιν οἱς ἐξάπεσταλκεν κύριος τοῖς **περιοδεῖσαι** τῆς γῆς

OJ Zech. 1:10 ესენი არიან, რომელნი გამოავლინნა უფალმან **მიმოსლვად** ქუეყანისა.

SB Zech. 1:10 ესენი არიან, რომელი (!) გამოავლინნა უფალმან **გარე-მოვლად** ქვეყანისა.

კ. დანელია გარე-იან ფორმებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „იგი აზუსტებს და აძლიერებს სხვა ზმნისწინთა შინაარს“ [დანელია 1998: 53]. როგორც ჩანს, გელათური რეცენზია ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად გადმოიტანოს ბერძნული ზმნისწინის მნიშვნელობა, მაშინ როცა ძველ ქართული თარგმანი ქართულისთვის უფრო ბუნებრივ ზმნისწინებს მიმართავს.

გვხვდება ორიოდე მაგალითი, როცა გელათურ რეცენზიაში ეკვივალენტად გამოყენებულია **შე-** ან **მიმო-**:

περιτῖθαι

LXX Hos. 2:15 **περιετίθετο** τὰ ἐνώτια αὐτῆς

O 2:15 **შეისხმიდა** საყურებსა მათსა

SB 2:15 **შეიმკობდა** სამკაულითა თვისითა

περιτρέχω

LXX Amos 8:12 ἀπὸ βόρρα ἕως ἀνατολῶν **περιδραμοῦνται** ζῆτοῦντες τὸν λόγον κυρίου

GSB 8:12 ჩრდილოთგან ვიდრე აღმოსავალთამდე **მიმორბიოდნ** მეძიებელნი სიტყუასა უფლისასა (om. OJ)

როგორც ვხედავთ, გარკვეულ კონტექსტებში, გელათური რეცენზიაც ქართულისთვის უფრო ბუნებრივ ეკვივალენტს იყენებს, რა თარგმანის ტექნიკით უნდა აიხსნას და არა ენის შესაძლებლობით.

ὑπό

ზნისწინის ფუნქციით **ὑπό** მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ძალიან იშვიათად დასტურდება. მხოლოდ 8 ზმნურ ძირთან და ამათგან ქართული მასალის კუთხით საინტერესოა მხოლოდ ზმნა **ὑποκαίω**

LXX Amos 4:2 τοὺς μεθ' ἡμῶν εἰς λέβητας **ὑποκαίωμένους** ἐμβαλοῦσιν ἔμπυροι λοιμοί

OJ 4:2 თქვენ თანანი იგი სიავებად **ქუეშე საგზებელად** დაასხნენ.

SB 4:2 თქვენთანანი სიავებად და **ქუეშემგზებარებად** შევქმნენ.

აღნიშნული ზმნიზედის ზმნისწინად გამოყენების შესახებ კ. დანელია შენიშნავს (1998: 56), რომ იგი იშვიათად გვხვდება ზმნისწინის ფუნქციით და მისი ზმნისწინის ფუნქციით ხმარება დამახასიათებელია ორიგინალური ლიტერატურისთვისაც, თუმცა მისი ამ ფუნქციით გამოყენებას ბერძნულის გავლენად განიხილავს, რაც გასაზიარებელია.

სხვა კონტექსტებში *ἄπό* გვხვდება ისეთ ზმნებთან კომბინაციაში, სადაც მისი ამოსავალი სემანტიკა დაჩრდილულია, მაგ.:

ὑποτάσσω

LXX Hag. 2:18 *ὑποτάξατε* δὴ τὰς καρδίας ὑμῶν ἀπὸ τῆς ἡμέρας ταύτης

OJ 2:18 დააწესენით გულნი თქუენნი ამიერითგან

SB 2:18 და-უკუფ-აწესენით გულნი თქუენნი ამით დლითგან

ὑπο-στέλλω

LXX Hab. 2:4 ἐὰν ὑποστείληται ὁκ εὐδοκίῃ ἢ ψυχῇ μου ἐν αὐτῷ

OJ 2:4 უკუეთუ მოჰრიდოთ, არა სთნავს სულსა ჩემსა მას შინა.

SB 2:4 უკუეთუ სწიწნეულობდეთ, არა სთნავს სულსა ჩემსა მის შორის.

ὑπολείπω

LXX Amos 5:3 διότι τάδε λέγει κύριος κύριος ἡ πόλις ἐξ ἧς ἐξεπορεύοντο χίλιοι ὑπολειφθήσονται ἑκατὸν καὶ ἐξ ἧς ἐξεπορεύοντο ἑκατὸν ὑπολειφθήσονται δέκα τῷ οἴκῳ Ἰσραὴλ

OJ 5:3 ქალაქსა მას, რომლისაგან გამოვიდოდეს ათასნი, დაშთენ ასნი ოდენ, და რომლისაგან გამოვიდოდეს ასნი, დაშთენ ათნი სახლსა ისრაელისასა.

GSB 5:3 ქალაქი, რომლისაგან გამოვიდოდეს ათასნი, დაშთენ ასნი, და რომლისაგან გამოვიდოდეს ასნი, დაშთენ ათნი სახლსა ისრაელისასა.

დასკვნა

1. ძველ ბერძნულ ზმნისწინთა გადმოტანისას ეკვივალენტთა შერჩევის პრინციპი ომკურ და გელათურ რეცენზიაში ერთია – როგორც ზმნური ძირის, ასევე შემთხვევათა უმეტესობაში წინდებულის შერჩევა ხდება კონტექსტში ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე. ამით აიხსნება ეკვივალენტთა სიჭრელეც.
2. ზმნისწინის შერჩევას აგრეთვე განაპირობებს ქართულში ზმნისწინთა განაწილების წესი.

3. ზმნიზედათა გამოყენება ზმნისწინის ფუნქციით დამახასიათებელია უფრო გელათური რეცენზიისთვის, ვიდრე ძველ მთარგმნელისთვის. იგი ძველი ბერძნული ადგილობითი ზმნისწინებს გადმოტანისას ქართულისთვის უფრო ბუნებრივ ზმნისწინებს იყებს.

4. ქართულში უზმნისწინო ფორმების არსებობა ძველი ბერძნული ზმნისწინიანი ფორმების ეკვივალენტად შედეგია იმისა, რომ თავად ბერძნულში ზმნისწინი უფუნქციოა და ზმნისწინიან ფორმას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც უზმნისწინოსაც.

ძირითადი დასკვნები

- I. ძველი ბერძნული წინდებულების ეკვივალენტად ძველ ქართულ თარგმანსა და გელათურ რეცენზიაში გამოიყენება როგორც ფორმალური ეკვივალენტი (თანდებულის სახით), ასევე ფუნქციური (ბრუნვის სახით). მათი დისტრიბუცია და გამოყენების სიხშირე დამოკიდებულია:
 - ა) რომელი წინდებულია წარმოდგენილი ბერძნულში და რა ფუნქციით (მაგალითად ἄρα-ს გადმოტანა ფორმალური ეკვივალენტით არც ძველი მთარგმნელისთვისაა უცხო და მითუმეტეს არც გელათურისთვის, მაშინ როცა κατά-ს გადმოტანა ორივესთვის პრობლემურია);
 - ბ) ენის შესაძლებლობაზე;
 - გ) თარგმანის ტექნიკაზე.
- II. ძველ ქართულ თარგმანში ბერძნულ წინდებულთა თარგმნისას ჭარბობს ფორმალური ეკვივალენტის გამოყენება, ფუნქციურ ეკვივალენტზე. ე.ი. ძველი ქართველი მთარგმნელი უფრო ხშირად მიმართავს თანდებულის ფორმას ძველი ბერძნული წინდებულის გადმოსაცემად, ვიდრე ოდენ ბრუნვიანს (გამონაკლისს წარმოადგენს საუბრისა და ფიცის ფორმულებში გამოყენებული წინდებულები, აქ ფუნქციური ეკვივალენტი ჭარბობს ფორმალურს, მაგ. ბერძნული παρά-ის ეკვივალენტად ძველ თარგმანში 71-ჯერ გვევლინება ოდენ მიცემითი ბრუნვა და 37-ჯერ მიმართ თანდებული).
- III. ისეთი შესიტყვებები, როგორიცაა *წინაშე პირსა, წინაშე თუალოთ...* ბერძნულიდან სიტყვასიტყვით თარგმანის შედეგად გაჩენილი პლეონაზმებია, რომლებიც არ უნდა ყოფილიყო ბუნებრივი ძველი ქართველი მთარგმნელისთვის, წარმოადგენენ

ბერძნულის გზით შემოსულ ებრაიზმს და უნდა კვალიფიცირდნენ, როგორც ნახევარწინდებულები.

- IV. ძველი ბერძნული ზმნისწინების გადმოტანის კუთხით ორივე ტრადიცია შემთხვევათა უმეტესობაში ერთ მთარგმნელობით პრინციპს მისდევს – ასხვავებს ზმნაში ზმნის ფუნქციას და შესაბამისად თარგმნის მას. განსხვავება ოშკურ და გელათურ ტრადიციაში ეკვივალენტთა შერჩევაში ვლინდება: კონკრეტულ კონტექსტებში ოშკური ტრადიცია ჯერდება ქართულ ზმნისწინთა გამოყენებას, მაშინ როცა გელათური ზმნიზედათა ფუნქციის გაფართოების ხარჯდე უფრო ზუსტ ეკვივალენტს უსადაგებს ბერძნულ ზმნისწინს.
- V. გარკვეულ შემთხვევებში გელათური რეცენზიაც უპირტესობას ანიჭებს ზმნის სემანტიკის ასახვას, ვიდრე ზმნისწინის ფორმალური შესატყვისის გადმოტანას.
- VI. ზმნისწინთა ეკვივალენტის შერჩევას აქაც იგივე ფაქტორები განსაზღვრავენ, რასაც წინდებულთა გადმოტანის შემთხვევაში.

ბიბლიოგრაფია:

- **აბულაძე 1963:** აბულაძე ი. (რედ.) 1963, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. 1, V–X სს., თბილისი.
- **ბოედერი 1994:** ბოედერი ვ. 1994, *ძველი ქართული თხრობის ერთი ტექსტლინგვისტური თავისებურება: დაკავშირება და არადაკავშირება, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1–4*, 129–135.
- **გაბიძაშვილი 2009:** გაბიძაშვილი ე. 2009, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიოგრაფია, ტ. 4: ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- **გამყრელიძე 2008:** გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. 2008, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი.
- **დანელია 1998:** დანელია კ. 1998, *ნარკვევები ძველი ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*, ტ. 1, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- **ვეშაპიძე 1967:** ვეშაპიძე ი. 1967, *ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში*, თბილისი.
- **იმნაიშვილი 1957:** იმნაიშვილი ი. 1957, *სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში*, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- **კარტოზია 2004:** კარტოზია გ. 2004, *რუსთველური პარონომაზია, ტექსტოლოგიური გამოკვლევები*, თბილისი, ნეკერი.
- **კვირიკაშვილი 2013:** კვირიკაშვილი ნ. 2013, *ქართულში პარონომაზიული კონსტრუქციის წარმომავლობისათვის ქართულ-სემიტური ტექსტოლოგიური კვლევების საფუძველზე*, თბილისი, ქართული აკადემიური წიგნი.
- **მაგრაქველიძე 2021:** მაგრაქველიძე თ. 2021, *ბიბლიის ენისა და სტილის გავლენა ქართულ ორიგინალურ მწერლობაზე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები 7*, 153–167.
- **მაისურაძე 2015:** მაისურაძე ა. 2015, *თუალღება/თუალხუმა-ს მნიშვნელობა ბიბლიის ქართულ ხელნაწერებში და მათი ბერძნული ეკვივალენტები. მოხსენება ნ. ბაბუნაშვილისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე*.
- **მარტიროსოვი 1946:** მარტიროსოვი ა. 1946, *თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. I, 203–246.
- **მარტიროსოვი 1953:** მარტიროსოვი ა. 1953, *ზმნისწინების შედგენილობა და მისი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. V.

- **მარტიროსოვი 1955:** მარტიროსოვი ა. 1955, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. VII, 43–60.
- **მარტიროსოვი 1967:** მარტიროსოვი ა. 1967, ზოგი თანდებულიანი სახელის ანალიზისათვის ძველ ქართულში, ენათმეცნ. ინსტ. XXIII სამეცნ. სესია, თეზისები, თბ., 10–12; მაცნე, 1968, №5, 169–178.
- **მელიქიშვილი 2019:** მელიქიშვილი დ. 2019, *გელათის აკადემია – სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი*, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“.
- **მიროტაძე 2009:** მიროტაძე ნ. 2009, *ადრე წინდებულის ეკვივალენტები ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ რეცენზიებში, ენათმეცნიერების საკითხები I–II*, 205–214.
- **მიროტაძე 2009:** მიროტაძე ნ. 2009, ებრაიზებული ფრაზეოლოგიური წინდებულები და მათი მნიშვნელობა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებში, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“ (მასალები)*, 471–478.
- **მიროტაძე 2010:** მიროტაძე ნ. 2010, *παρά და διά წინდებულთა ეკვივალენტები* ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ რეცენზიებში, ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, 72–83.
- **მიროტაძე 2010:** მიროტაძე ნ. 2010, ებრაიზებული ფრაზეოლოგიური წინდებულები და მათი სემანტიკა სახარებაში, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაქარობა“ (მასალები)*, 425–428.
- **სარჯველაძე 1984:** სარჯველაძე ზ. 1984, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- **სარჯველაძე 1997:** სარჯველაძე ზ. 1997, *ძველი ქართული ენა*, თბილისი, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- **უთურგაძე 2004:** უთურგაძე თ. 2004, სუბსტანტიური მსაზღვრელი ძველსა და თანამედროვე ქართულში, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, XII, 170–177.
- **უტიე 2009:** უტიე ბ. 2009, ზმნისწინები და ქართული ბიბლიის დედანი, *ენათმეცნიერების საკითხები*, I–II, 229–232.
- **ყაუხჩიშვილი 1949:** ყაუხჩიშვილი ს. 1949, ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენა ძველ ქართულში, *ქუთაისის პედაგოგიკის შრომები*, 9, 111–119.
- **ჩიქობავა 1937:** ჩიქობავა არნ. 1937, წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, *ენიძვის მოამბე*, თბილისი.
- **ჩხუბიანაშვილი 1961:** ჩხუბიანაშვილი დ. 1961, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, II, 185–195.
- **ჩხუბიანაშვილი 1972:** ჩხუბიანაშვილი დ. 1972, *ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

- **ცინდელიანი 1967:** ცინდელიანი უ. 1967, κατά წინდებულის ეკვივალენტები მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებში, *მრავალთავი IV*, 171-185.
- **ცქიტიშვილი 1976:** ცქიტიშვილი თ. 1976, *ეზეკიელი წიგნის ძველი ქართული ვერსიები*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- **ძიძიგური 1969:** ძიძიგური შ. 1969, *კავშირები ქართულ ენაში*, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- **წერეთელი 1954:** წერეთელი კ. 1954, პარონომაზია ქართულში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. VI, 461-499.
- **ჭიჭინაძე 1925:** ჭიჭინაძე ი. 1925, *ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა*, თბილისი.
- **ხარანაული 2009:** ხარანაული ა. 2009, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ტექნიკა, *ბიზანტიოლოგია საქართველოში 2*, 938-968.
- **ხარანაული 2010:** ხარანაული ა. 2010, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანის ხასიათის შესახებ, *თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები*, ტ. 1, 83-92.
- **ხარანაული 2017:** ხარანაული ა. 2017, თარგმანის ტექნიკა და ენის შესაძლებლობები, *ჟურნალი ქართველური ენათმეცნიერება IV*, 253-260.
- **Abbott & Mansfield 1885:** Abbott, E., Mansfield, E.D. 1885, *A primer of Greek grammar—accidence and designations of space*, New York: D. Appleton and Co.
- **Abel 1927:** Abel, F.M. 1927, *Grammaire du grec biblique*, Paris: Gabalda.
- **Adams 1885:** Adams, F.A., *The Greek prepositions, studied from their original meanings*.
- **Aejmelaeus 1982:** Aejmelaeus A. 1982, *Parataxis in the Septuagint*, in *A Study of the Renderings of the Hebrew Coordinate Clauses in the Greek Pentateuch (Annales Academiae Scientiarum Fennicae, Dissertationes Humanarum Litterarum 31)*, Helsinki, Suomalainen Tiedeakatemia.
- **Aejmelaeus 2007:** Aejmelaeus A. 2007, *Participium coniunctum as a criterion of Translation Technique*, in *On the Trail of Septuagint Translators*, 1-10. Leuven: Peeters.
- **Babut 1995:** Babut J.-M. 1995, *Les Expressions Idiomaticques de l'Hebreu Biblique: Signification Et Traduction, Un Essai d'Analyse Componentielle*, *Cahiers de la Revue Biblique 33*, Paris.
- **Bergsträsser 1918:** Bergsträsser G. 1918, *Hebräische Grammatik*. Leipzig: F.C.W. Vogel.
- **Beck 1971:** Beck, H.G. 1971, *Geschichte der Byzantinischen Volksliteratur*, Munich: Beck.

- **Bivin 2013:** Bivin D. N. 2013, Hebraisms in the New Testament, in: *Encyclopedia of Hebrew Language and Linguistics Online*
- **Blass & Debrunner 1961:** Blass, F., Debrunner, A. 1961, A Greek Grammar of the New Testament and Other Early Christian Literature, Cambridge.
- **Blass, Debrunner, Rehkopf 1984:** Blass F. 1984, Debrunner S. Rehkopf F., *Grammatik des neutestamentlichen Griechisch*, Vandenhoeck & Ruprecht, Göttingen.
- **Blomqvist 1979:** Blomqvist J. 1979, *Das sogenannte kai adversativum: Zur Semantik einer griechischen Partikel*, *Acta Universitatis Upsaliensis : Studia Graeca Upsaliensia*.
- **Bons 2011:** Bons E. 2011, Rhetorical Devices in the Septuagint Psalter, *Et sapienter et eloquenter, Studies on Rhetorical and Stylistic Features of the Septuagint*, Göttingen: V&R.
- **Bortone 2010:** Bortone, P. 2010, Greek Prepositions: From Antiquity to the Present, Oxford University Press.
- **Bühlmann, Scherer 1994:** Bühlmann W. 1994, Scherer Karl., *Sprachliche Stilfiguren der Bibel (Von Assonanz bis Zahlenspruch), Ein Nachschlagewerk*. Brunnen: Verlag Gießen.
- **Bullinger 1898:** Bullinger E.W. 1898, *Figures of Speech Used in the Bible*. London: Eyre & Spottiswoode; New York: E. & J. B. Young & Co.
- **Callaham 2010:** Callaham S. 2010, The Paronomastic Infinitive Construction as a Modality-Focusing Device: Evidence from Qatal Verbs, in *Modality and the Biblical Hebrew Infinitive Absolute*. *Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes 71*. Wiesbaden: Harrassowitz Verlag.
- **Casanowicz 1893:** Casanowicz I. M. 1893, Paronomasia in the Old Testament, in *Journal of Biblical Literature*, Vol. 12, No. 2: 105-167.
- **Danove 2014:** Danove P. L. 2014, “Deriving” and Describing Usages of Τίθημι and Τίθημι Compounds in the Septuagint and New Testament, in: *Biblical and Ancient Greek Linguistics (BAGL)* 3 (2014) 5-30.
- **de Waard 1984:** de Waard J. 1984, Reviewed Work: Parataxis in the Septuagint. A Study of the Renderings of the Hebrew Coordinate Clauses in the Greek Pentateuch (*Annales Academiae Scientiarum Fennicae, Dissertationes Humanarum Litterarum 31*) by Anneli Aejmelaeus, *Biblica*, Vol. 65, No. 1, 121-124.

- **Dogniez 2002:** Dogniez C. 2002, The Greek Renderings of Hebrew Idiomatic Expressions and their Treatment, in the Septuagint Lexica in: *Journal of Northwest Semitic Languages* 28/1, Stellenbosch, 1-17.
- **Everaert 2010:** Everaert M. 2010, The Lexical Encoding of Idioms, in: M. Rappaport Hovav, I. Sichel, E. Doron (eds.) *Syntax, Lexical Semantics and Event Structure*, Oxford University Press, 76-99.
- **Fehling 1969:** Fehling D. 1969, *Die Wiederholungsfiguren und ihr Gebrauch bei den Griechen vor Gorgias*. Berlin: Walter de Gruyter.
- **Gehman 1951:** Gehman H. S. 1951, The Hebraic Character of Septuagint Greek, *Vetus Testamentum*, Vol. 1, Fasc. 2, pp. 81-90.
- **Gesenius 2003:** Gesenius F. W. 2003, *Hebrew grammar* (E. Kautzsch & S. A. E. Cowley, Ed.) (2d English ed.), Bellingham, WA.
- **Gesenius, Kautzsch, Bergsträsser 1995:** Gesenius F. W., Kautzsch E., Bergsträsser G. 1995, *Hebräische Grammatik*, 28. Aufl. Hildesheim: Georg Olms Verlag.
- **Goldenberg 1971:** Goldenberg G. 1971, Tautological Infinitive, in *Israel Oriental Studies*, I, Jerusalem: Magnes Press, Hebrew University.
- **Helbing 1928:** Helbing R. 1928, *Die Kasussyntax der Verba bei den Septuaginta*, V&R, Göttingen.
- **Humbert 1960:** Humbert, J. 1960, *Syntaxe grecque*, Paris: Klincksieck.
- **Jakobson 1963:** Jakobson R. 1963, *Essais de linguistique générale*, Paris.
- **Johaneson 1910:** Johaneson M. 1910, *Der Gebrauch der Kasus und der Präpositionen in der Septuaginta*, T.1, Inaugural Dissertation. Berlin.
- **Johannessohn 1925:** Johannessohn, M. 1925, *Der Gebrauch der Präpositionen in der Septuaginta*, Berlin.
- **Joosten 2010:** Joosten J. 2010, Translating the Untranslatable: Septuagint Renderings of Hebrew Idioms, in: R. Hiebert (ed.), *Translation Is Required: The Septuagint in Retrospect and Prospect*, Leiden/Atlanta, GA 2010, 59-70.
- **Joosten 2009:** Joosten J. 2009, Three Remarks on Infinitival Paronomasia in Biblical Hebrew, in *Zaphenath-Paneah: Linguistic Studies Presented to Elisha Qimron on the Occasion of his*

Sixty-Fifth Birthday, eds. D. Sivan, D. Talshir and C. Cohen, 99-113. Beer Sheva: Ben Gurion University of the Negev.

- **Jouon, Muraoka 2000:** Jouon P., Muraoka T. 2000, *A Grammar of Biblical Hebrew*, III: Syntax (Subsidia Biblica, 14/1-14/2), Roma, Pontifical Biblical Institute.
- **Kabergs, Ausloos 2012:** Kabergs V., Ausloos H. 2012, Paronomasia or Wordplay? A Babel-Like Confusion Towards A Definition of Hebrew Wordplay, *Biblica*, Vol. 93, No. 1: 1-20.
- **Kharanauli 2024:** Kharanauli A. 2024, The Georgian Psalter (Translation Technique in Psalm 90 and Beyond), in F. Albrecht and R. G. Kratz, (eds.), *Editing the Greek Psalter*, DSI 18, V&R, Göttingen, 279-328.
- **Kharanauli 2016:** Kharanauli, A. 2016, Battling the Myths. What Language Was the Georgian Amos Translated from?, Munich, 241–265.
- **Kim 2009:** Kim Y.K. 2009, *The Function of the Tautological Infinitive in Classical Biblical Hebrew* (Harvard Semitic Studies 60). Eisenbrauns: Winona Lake, Indiana.
- **Kühner & Gerth 1898:** Kühner, R., Gerth, B. 1898, Ausführliche Grammatik der Griechischen Sprache, II Teil: Satzlehre, Hannover and Leipzig: Hahnsche Buchhandlung.
- **Léonas 2016:** Léonas A. 2016, The Language of the Septuagint Between Greek and Hebrew, in: E. Bons, J. Joosten (eds.), *Die Sprache der Septuaginta, Handbuch zur Septuaginta 3*, Gütersloh.
- **Lust 2001:** Lust, J. 2001, Syntax and translation Greek, *Ephemerides theologicae Lovanienses*, 77(4), 395–401.
- **Mangum 2018:** Mangum D. 2018, The Biblical Hebrew Idiom ‘lift the face’ in the Septuagint of Job, in: *the Septuagint of Job, HTS Theologiese Studies/ Theological Studies 74(3)*.
- **Mirotadze 2009 :** Mirotadze, N. 2009, The Influence of the Biblical Translation on the Postpositional System of the Georgian Literary Language, *Oriental Languages in Translation and Interpretation*.
- **Mommsen 1895:** Mommsen, T. 1895, Beiträge zu der Lehre von den griechischen Präpositionen, Berlin: Weidmann.
- **Muraoka 2022:** Muraoka T. 2022, *The Books of Hosea and Micah in Hebrew and Greek* (Orbis Biblicus et Orientalis 294), Peeters, Leuven - Paris - Bristol, CT.
- **Muraoka 2016:** Muraoka T. 2016, *The Syntax of the Septuagint Greek*, Louvain: Peeters

- **Muraoka 1985:** Muraoka T. 1985, *Emphatic Words and Structures in Biblical Hebrew*. Jerusalem: The Magness Press and Leiden: Brill.
- **Nida 1969:** Nida E. A., Taber C. R. 1969, *The Theory and Practice of Translation*, Brill, Leiden.
- **Perkins 2022:** Perkins L. 2022, Renderings of paronymous infinitive constructions in OG Exodus and implications for defining the character of the translation, in *HTS Teologiese Studies / Theological Studies* 78(1).
- **Schwyzler 1988:** Schwyzler E. 1988, *Griechische Grammatik, Bd. 2., Syntax und syntaktische Stilistik*. Berlin: C.H.Beck.
- **Smyth 1920:** Smyth, H. W. 1920. *Greek Grammar for Colleges*. American Book Company.
- **Sollamo 1985:** Sollamo R. 1985, The LXX Renderings of the Infinitive Absolute Used with a Paronymous Finite Verb in the Pentateuch, in *La Septuaginta en la investigación contemporánea (V Congreso de la IOSCS)*, ed. Natalio Fernández Marcos, 101-13. Madrid: Instituto “Arias Montano.”
- **Sollamo 1979:** Sollamo, R. 1979, Rendering of Hebrew Semiprepositions in the Septuagint, Helsinki.
- **Sollamo 2012:** Sollamo R. Why Translation Technique and Literalness Again? The Renderings of the Infinitive Absolute in the Septuagint of Jeremiah, in *Congress Volume Helsinki 2010 (Vetus Testamentum, Supplements, Volume: 148)*, ed. M. Nissenen, 1-21. Leiden: Brill.
- **Taylor 1993:** Taylor, J.R. 1993, Prepositions: patterns of polysemisation and strategies of disambiguation, in *The Semantics of Prepositions*, Berlin/New York: Mouton de Gruyter, 151–175.
- **Thackeray 1909:** Thackeray H. St. J. 1909, *A Grammar of the Old Testament in Greek According to the Septuagint*, University Press, Cambridge.
- **Thackeray 1908:** Thackeray H. St. John. 1908. Renderings of the Infinitive Absolute in the LXX in *JTS* 9: 597-601.
- **Tjen 2010:** Tjen A. 2010, *On Conditionals in the Greek Pentateuch*, NY: T&T Clark International.

- **Tov 1997:** Tov E. 1997, *The Text-Critical Use of the Septuagint in Biblical Research* (second edition, revised and enlarged, Jerusalem Biblical Studies 8), Jerusalem.
- **Tov 1999:** Tov E. 1999, Renderings of Combinations of the Infinitive Absolute and Finite Verbs in the Septuagint: Their Nature and Distribution, in *The Greek and Hebrew Bible: Collected Essays on the Septuagint*. Vol. 72, 247-56. Leiden: Brill.
- **van den Heever 2014:** van den Heever M. 2014, Defining Idiom in Biblical Hebrew, in *Journal of Northwest Semitic Languages* 40/1, Stellenbosch, 1-21.
- **Waltke, O'Connor 1990:** Waltke B. K., O'Connor, M. 1990, *An Introduction to Biblical Hebrew Syntax*. Eisenbrauns: Winona Lake, Indiana.

ლექსიკონები:

- **Beekes 2010:** Beekes, P., van Beek, L., Steven, R. 2010, *Etymological Dictionary of Greek*, vols. 1–2, Leiden: Brill.
- **Chantraine 1999:** Chantraine, P. 1999, *Dictionnaire étymologique de la langue grecque (Histoire des mots)*, Paris: Klincksieck.
- **Frisk 1960:** Frisk, H. 1960, *Griechisches etymologisches Wörterbuch*, Heidelberg: Carl Winter.
- **Lampe 1961:** Lampe, G.W.H. 1961, *A Patristic Greek Lexicon*, Oxford: Oxford University Press.
- **Lust 1996:** Lust J., Eynkel E., Hauspie K. 1996, *A Greek - English lexicon of the Septuagint*, Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart.
- **Muraoka 1993:** Muraoka T. 1993, *A Greek-English Lexicon of the Septuagint: Twelve Prophets*, Peeters, Louvain.
- **Muraoka 2009:** Muraoka, T. 2009, *A Greek-English Lexicon of the Septuagint*, Leuven: Peeters.
- **Holladay 1988:** Holladay W.L., Köhler L., 1988, *A concise Hebrew and Aramaic lexicon of the Old Testament*, Brill, Leiden.
- **Muraoka 1993:** Muraoka T. 1993, *A Greek-English Lexicon of the Septuagint: Twelve Prophets*, Peeters, Louvain.

- **Muraoka 2009:** Muraoka, T. 2009, *A Greek-English Lexicon of the Septuagint*, Leuven: Peeters.
- **Holladay 1988:** Holladay W.L., Köhler L., 1988, *A concise Hebrew and Aramaic lexicon of the Old Testament*, Brill, Leiden.

ბიბლიის თარგმანები:

- **BA 1986:** Harl M. (ed.), 1986, *La Genèse, La Bible d'Alexandrie 1*, Cerf, Paris.
- **BA 1988:** Pralon D., Harlé P. (eds.), 1988, *Le Lévitique, La Bible d'Alexandrie 3*, Cerf, Paris.
- **BA 2002:** Bons E., Joosten J., Kessler S., Le Moigne P. (eds.), 2002, *Osée, La Bible d'Alexandrie 23/1: Les douze prophètes*, Cerf, Paris.
- **BA 2007:** Casevitz M. (eds.), 2007, *Aggée, Zacharie, La Bible d'Alexandrie 23/10-11: Les Douze Prophètes*, Cerf, Paris.
- **BA 2011:** Vianès L. (eds.), 2011, *Malachie, La Bible d'Alexandrie 23/12: Les Douze Prophètes*, Cerf, Paris.
- **BA 2023:** Joosten J., Le Moigne P., Roukema R., Dogniez C., Dorival G., Munnich O. (eds.), 2023, Michée, *La Bible d'Alexandrie 23/3: Les Douze Prophètes*, Cerf, Paris.
- **Glenny 2013:** Glenny E. W. 2013, *Hosea, A Commentary based on Hosea in Codex Vaticanus*. Leiden, Boston: Brill.
- **Glenny 2013¹:** Glenny E. W. 2013, *Amos, A Commentary based on Amos in Codex Vaticanus*. Leiden, Boston: Brill.
- **Glenny 2015:** Glenny E. W. 2015, *Micah, A Commentary based on Micah in Codex Vaticanus*. Leiden, Boston: Brill.
- **NET:** New English Translation, 2005, Biblical Studies Press.
- **NETS:** Pietersma, A., Benjamin G. W. (eds), 2007, *A New English Translation of the Septuagint*, Oxford University Press.
- **RSV:** Revised Standard Version of the Bible, 1952, National Council of the Churches of Christ

- **Septuaginta Deutsch 2009:** Kraus W., Karrer M. (eds.), 2009, *Septuaginta Deutsch Das Griechische Alte Testament in deutscher Übersetzung, I*, Die Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart.
- **Septuaginta Deutsch 2011:** Kraus W., Karrer M. (eds.), 2011, *Septuaginta Deutsch, Erläuterungen und Kommentaren, II*, Die Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart
- **Юнгеров 1913:** Юнгеров, А. П. 1913. *Книги 12 малых пророков в русском переводе с греческого текста 70-ти, с введением и примечаниями.* Казань,. С. 6.

წმ. მამების კომენტარები:

- **Cyrilli Alexandrini 1868:** Pusey P. E. (ed.), 1868, *Sancti Patris nostri Cyrilli archiepiscopi Alexandrini in XII prophetas, I*, Typographeo Clarendoniano, Oxonii.
- **Cyrilli Alexandrini 1868²:** Pusey P. E. (ed.), 1868, *Sancti Patris nostri Cyrilli archiepiscopi Alexandrini in XII prophetas, II*, Typographeo Clarendoniano, Oxonii.
- **Theodoretus Cyrrhensis 1864:** Migne J.P. (ed.), 1864, *Opera omnia*, in *Patrologiae cursus completus, Series Graeca (PG, 81)*, Paris.
- **Hieronymus 1969:** Adriaen M. (ed.), 1969, *Commentariis in Prophetas Minores*, in *Corpus Christianorum, Series Latina (CCSL 76)*, Brepols.
- **Hieronymus 1970:** Adriaen M. (ed.), *Commentariis in Prophetas Minores*, *Corpus Christianorum Series Latina (CCSL 76A)*, Brepols.